



ვაჟა კაკაბაძე  
Vazha (Vaja) Kakabadze



ზღაპრის ფილოსოფია  
(ზღაპარი სულელი დიდებისათვის და  
ჭკვიანი პატარებისათვის)

**Philosophy of a Fairy-Tale**  
**(A Tale for Stupid Adults and Clever**  
**Children)**

**Filozofia baśni**  
**(Opowieść dla Głupych dorosłych i mądre**  
**dzieci)**



თბილისი, 2014

უაკ (UDC)1  
კ-171

ISBN 978-9941-0-7167-6

ვაჟა ვლადიმერის ძე კაკაბაძე - ზღაპრის ფილოსოფია (ზღაპარი სულელი დიდებისათვის და ჭკვიანი პატარებისათვის). „მანაგ“, თბ., 2014. გვ. 418.

**ზღაპრის ფილოსოფია**  
(ზღაპარი სულელი დიდებისათვის და ჭკვიანი პატარებისათვის)

წარმოდგენილ წიგნში აღწერილია საქართველოს საგანმანათლებლო და, საერთოდ, სამთავრობო სისტემაში არსებული მანკიერი მხარეები, გაკრიტიკებულია საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი და პოლიტიკოსი, მხილებულია მათი ბოროტი ზრახვები და ფარული კავშირები საქართველოს მტრებთან. გაკრიტიკებულია რუსეთის ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტები და მათი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ.

წიგნი, ასევე, ერთგვარი ისტორიული ცნობარია ქართველი ერის წარმოშობის და მისი განვითარების შესახებ, მასში მოცემულია ერის დამოკიდებულება სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ზღაპრის მთავარი გმირები არიან სხვა სამყაროდან გადმოსული ადამიანები, მწვერები, მცენარეები და ცხოველები. ამ გმირებს სიმბოლური დატვირთვა აქვთ, მათი ძირითადი მისიაა: სიკეთის კეთება და ბოროტების დამარცხება - რასაც ისინი საბოლოოდ ახერხებენ.

**Philosophy of a Fairy-Tale**  
(A Tale for Stupid Adults and Clever Children)

The presented book describes vices existing in the educational and generally governmental system of Georgia, criticizes several members of the Parliament and politicians, and discloses their evil intents and secret liaisons with the enemies of Georgia. It also criticizes the present and former presidents of Russia and their attitude towards the Georgian nation.

The book is at the same time a kind of historical reference book about the origin and development of the Georgian nation giving the nation's attitude towards the



world processes whereas the main participants of the story are the aliens from the other world as well as insects, plants and animals.

These protagonists have symbolic value; their main mission is to conduct good deeds and defeat evil and eventually they manage to do it.

**Filozofia baśni**  
(Opowieść dla Głupych dorosłych i mądre dzieci)

W dodanej książce opisany wadliwe punkty stana systemu rządu i edukacji Gruzji, poddaje krytyce niektórych członkowie parlamentu Gruzji i polityków, wyświetlany ich złe intencje i tajne związki z wrogami Gruzji. Poddaje krytyce Bylego i obecnego prezydentów Rosję I ich stosunek do narodu gruzińskiego.

Książka jest także swego rodzaju historyczne odniesienie pochodzenia gruzińskiego narodu i jego rozwój, opisuje stosunek narodu do procesów bieżących w świecie, a głównymi bohaterami są ludzie, którzy przychodzą z innego świata - owady, rośliny i zwierzęta. Te bohaterzy mają symboliczne znaczenie, ich zadaniem jest robić dobre i pokonać zło, co oni osiągną w kontse.

[kakabadzev@hotmail.com](mailto:kakabadzev@hotmail.com)

© წიგნი დეკონირებულია საქპატენტში, დადგენილი წესის შესაბამისად.

ISBN 978-9941-0-7167-6



## ზღაპრის ფილოსოფია (ზღაპარი სულელი დიდებისათვის და ჭკვიანი პატარებისათვის)

დმერთო, შენ დაიფარე საქართველო, მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა, სადაც ინახება ილია-წინასწარმეტყველის მოსასხამი, მარიამ ღვთისმშობელის პერანგი, იესო-ქრისტეს კვართი, სადაც დაიბადა ნოე და იქმნებოდა ლეგენდები, სადაც დამალულია სამყაროს შემეცნების გასაღები.

საქართველოს ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია, არ დაკლებია გარეშე თუ, შინაური ნაძირალების მიერ ნასროლი ტალახი, მტერიც ბევრი ჰყოლია და მოყვარეც; ხშირად ფიზიკური განადგურების პირას დამდგარა, მაგრამ არ დაჩოქილა, რამეთუ ზნეობა აცისკროვნებდა თითოეული ქართველის გულს, ხოლო გაცისკროვნებული გულის მქონე ადამიანის დამარცხება შეუძლებელია.

დღეს გაცისკროვნებული გული ერთ-ორს თუ შემორჩენია და ისინიც ხელს იფარებენ გულზე, ნათება სხვამ, რომ არ შეამჩნიოს - ეშინიათ სულელ კაცად, რომ არ მონათლონ, აი ასეთი მანკიერი ხედვა ჩამოუყალიბდათ შეთვის შთამომავლებს, იმ ერს, რომელიც ორჯერ არის კურთხეული დმერთის მიერ და, რომელსაც ორჯერ მეტი მოეკითხება, ვიდრე სხვას.

სულიერმა შიმშილმა ქართველი ერი სრულიად გარყვნა, ფულის მონად აქცია, ჩაძირა ცოდვებისა და უცოდინარობის ჭაობში, თითო-ოროლა თუ გადაურჩა, მაგრამ, ისინიც ჭაობის პირას დამდგარან, ცოდნისა და სიბრძნის შორის.

აირია საქართველო, ადამიანების უმეტესობა პოლიტიკოსობს და ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურთ, ქვეყანას კი არაფრად არგებან, არ იციან და არც აინტერესებთ თუ როგორ დაიბრუნონ მტრების მიერ მიტაცებული ტერიტორიები. ხოლო, ისინი ვინც ბიზნესში არიან ჩართულნი გამწარებული იტაცებენ მიწებს, იმას რადაც გადაიქცევიან ოდესმე. უგუნურებამ ქართველი გლეხი მიწას მოწყვიტა და უცხოეთში გადახვეწა, მის ადგილას კი, უცხო ტომის შვილებმა გაიდგეს ფესვები.

დღევანდელ საქართველოში სწავლა და ცოდნის მიღება ჭუჭყიანი ფულის შოვნის საფუძველი გახდა. უმაღლესი სასწა-



ვლებელის რექტორებისათვის მთავარი მიზანი ფულის შოვნაა და სულ არ ანადვლებთ სტუდენტი მიიღებს ცოდნას თუ არა, კიდევ უფრო უარესი ის გარემოებაა, რომ მათ დაბეზლებას და ერთმანეთის ქიშპობას აიძულებენ.

წლების განმავლობაში, ეკლესიას მოწყვეტილი ქართველის სულში ბევრი მანკიერი თვისებები დატბორდა, ამ ჭუჭყმა დღეს გარეთ გამოხეთქა, დააბინძურა გარემო, მოწამლა ახალგაზრდა თაობა.

დახმარება სჭირდება ქართველს, ან ვინ უნდა დაეხმაროს? თუ ჩვენ თვითონ არ ვუმკურნალებთ საკუთარ თავს. დროზე სჭირდება ჩვენს სულს შეწამვლა და გონებას გაჯანსაღება, თორემ გადავშენდებით.

და, ეს ჩემი მოთხოვნაა, პატარა წამალია, სიკეთეს ემსახურება, სიყვარულითაა დაწერილი და იმ მანკიერ მხარეებს ავლენს, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას უნდა ავარიდოთ - სარეველა თუ არ ამოძირკვე, ხორბალს გახარება გაუჭირდება.

ღმერთო შენ დაიფარე მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყანა და ქართველი ერი. დამიფარე მეც, იმ ადამიანებისაგან ვინც ამ მოთხოვნაში გამხილე და ჩემს მიმართ შურისძიების გრძნობა გაუჩნდათ.

ამ ნამდვილ ზღაპარში ზოგიერთი გვარი განგებაა დამახინჯებული, რომ ღირსეულმა ადამიანმა, რომელიც თავის გვარს პატივს სცემს და მისით ამაყობს, უხერხულად არ იგრძნოს თავი. ხოლო, იმ უღირსმა, რომელიც ამ მოთხოვნაში არ მიგულისხმია, მაგრამ მსგავსი ცუდი საქციელი ჩაუდენია და ყოველივე თავის თავზე მიიღო ანუ ეცნო ამ წიგნში აღწერილი მანკიერებანი, და რახან ეცნო, ესე იგი განიცადა, ხოლო რახან განიცადა მაშასადამე შეეცდება ჩადენილის გამოსწორებას, რომ არც მან არ იგრძნოს თავი უხერხულად - დიახ, ამიტომ დავამახინჯე ზოგიერთი გვარები და სახელები.

და, კიდევ, ლექსები და გამოცანები ჩემს მიერ არის შეთხზული, და ისინიც სიყვარულითა დაწერილი.



## **Philosophy of a Fairy-Tale (A Tale for Stupid Adults and Clever Children)**

**God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, the country which keeps Prophet Elijah's mantle, the Virgin Mary's robe, seamless robe of Jesus (Holy Tunic), where Noah was born and legends have been created, and where the key to the cognition of the world is hidden.**

**Georgia has witnessed many disasters and torments including mud thrown by scoundrel compatriots too; it used to have plenty of enemies and friends alike, often facing physical destruction as well but it never fell on the knees as it was helped by the morality burnt into the hearts of every Georgian. And everyone knows how difficult it is to defeat a human with a radiant heart.**

**Today the radiant heart is hard to find, and if you do, it is still hidden to prevent others from noticing it, fearing not to be claimed as fools. This is the vicious vision that has been formed in the offspring of Seth, the nation twice blessed by God, thus double responsible for their sins than others.**

**Spiritual starvation has completely corrupted the Georgian nation, made it enslaved to money, plunged into the swamp of sins and ignorance. Very few have survived but still standing on the verge of the swamp, between knowledge and folly.**

**Georgia is at utmost confusion. Most of the people have been politicizing wanting to come to the power but doing no good to the country by either knowing or wishing to return territories taken away by the enemy. On the other hand, those engaged in business are desperately seizing the lands – the things they are soon to become. Stupidity tore Georgian farmers off the land and lost them abroad in foreign lands while settling foreigners in their places.**

**Getting education in present-day Georgia has become the basis for making dirty money. For the university rectors making money is the main goal and they never care about how or whether students obtain knowledge or not. The worst thing is that students are made to denounce or rival one another.**



**During years lots of vices have accumulated in the souls of the Georgian people distanced from the Church. These vices have erupted today and polluted the environment, poisoned the younger generation.**

**The Georgians need help but who can do it unless we strive to heal ourselves? Our hearts need timely fertilization and the minds – speedy recovery. Otherwise we will become extinct.**

**And this short story of mine is a little remedy serving goodness, written with love and revealing the vices to be avoided by our new generations; wheat cannot grow unless you root out weeds.**

**God save Georgia, the country destined to the Most Holy Virgin, and the people of Georgia as well. God have mercy on me too and save me from the people unmasked in my tale as they might be wishing to revenge me.**

**In the fairy tale some surnames are purposefully misspelled not to put respectful people under these surnames in an awkward position. However, those not meant in the story but recognizing themselves conducting the same erroneous deeds not to feel awkward either inasmuch as they have realized their mistakes and will try to correct them. That is the reason I have distorted some of the names and surnames.**

**Filozofia baśni  
(Opowieść dla Głupych dorosłych i mądre dzieci)**

**Broń Boże Gruzję, kraj dostany na udziału dziewicą Mary, gdzie przechowywane odzieży wierzchniej Proroka Elia, koszula Mariacki Matki Boża, Święta Tunika Jezusa Chrystusa, gdzie urodził się Noe i stworzony legendy, gdzie ukryty klucze do poznania świata.**

**Gruzja widziała wiele nieszczęścia, wystarczająco i zabrudzenia rzucone przez wewnętrznych lub zewnętrznych przeciwników, było wielu jak wrogów tak i przyjaciół, ona często stała w obliczu fizycznego zniszczenia, ale nie pokonany, bo moralność uświęcone serce każdego Gruzjinu, a pokonać mężczyznę z uświęconym sercem niemożliwe.**



**Dziś uświęcone serce może pozostać w jednym – dwóch i one tej łoży rękę na sercu, że inni nie dostrzegają ich poświęcenia, obawia się, że nie są one nazywane osoby chore psychicznie, tak błędne spojrzenie na rzeczy wyszedł z potomków Seta, ludzie, którzy zostali pobłogosławieni przez Boga dwukrotnie i z których wymaga dwa razy większa niż w przypadku innych.**

**Duchowy głód całkowicie uwiódł naród gruziński, uczynił go niewolnikiem pieniędzy, utonął w bagnie grzechu i ignorancji, zapisany jeden lub dwa, ale są one w obliczu przepaści między wiedzą a prawdą.**

**Gruzja zwariowała, większość ludzi zajmujących się polityką i chce przysiąc do szczytu władzy, nie przejmują o kraju, nie znają i nie są zainteresowani, jak wrócić, terytorium zajmowane wrogiem. A te, którzy są zaangażowani w biznesie, pochłonięty kradzieży ziemi, tego, co one będą. Głupota rozerwała gruzińskich chłopów z ich ziem i przyniósł do obcego kraju, a ich miejsce jest już zajęte przez dzieci z innych plemion.**

**W dzisiejszej nauce Gruzji i edukacji w ogóle stały się sposobem na zarabianie pieniędzy, głównym celem rektorów uniwersytetów stało zarobić pieniądze i nie obchodzi studenci będą uczyć się, czy nie, pogarsza fakt, że uczniowie uczą się narzekać na siebie nawzajem i soritsya.**

**Duszy Gruzinów oddzielona od kościoła przez wiele lat utonęły się w grzechu, ten brud uwolnił się dziś, zanieczyszczone środowisko, zatrul młode pokolenie.**

**Gruzini potrzebują pomocy, ale kto im pomoże? Jeśli sami nie pełne utwardzenie. Nasz duch jest pilnie potrzebne leczenia i odświeżenie umysłu, inaczej jesteśmy zgubieni.**

**Moje opowiadanie jest mała tabletką, która służyć jako dobre, napisane z miłością i widać przez złą stronę, że nie należy dotykać młodszego pokolenia, jeśli nie pozbyć się chwastów, nie będzie upraw pszenicy.**



**Broń Boże Gruzje, kraj dostany na udziału dziewicą Mary i mieszkańcy Gruzji, broń i mnie, od ludzi, że powiedziałem w mojej historii i którzy mają chęć zemsty na mnie.**





**W tej prawdziwej historii, niektóre nazwiska są celowo okaleczone, aby przywoitych ludzi, którzy szanują swoje nazwisko i z tego dumny, nie czuje się zakłopotany. A te niegodne, że nie wspomniano w tej historii, ale były też złe i miały wszystko na ich koszt, rozpozna się w opisane w książce czynów złych, i wstydzić się, i raz zawstydzony na pewno starałby się go naprawić aby nie czuć się nieprzyjemne; tak, to dlatego uszkodzony niektóre imiona i nazwiska.**



 ზღაპრის ფილოსოფია  
(ზღაპარი სულელი დიდებისათვის  
და ჭკვიანი პატარებისათვის)  
საჯილდაო 

- სამყაროზე ქობინის ქმნა - გვ: 12  
ვიღაცის იასამნისფერი დილა - გვ: 16  
ორმხვრივი გადასასვლელი - გვ: 18  
მოკლე-კულა უღვაშა სკოლის რექტორი-ფაქტორი - გვ: 21  
ჭიპ-ჭიპელას სკოლა - „ლამურა“ - გვ: 25  
იაუაუ-იაუას სკოლა - „მოიხადე ქუდი“ - გვ: 28  
ამირანის წინაპრები - გვ: 31  
სახლისაკენ მიმავალი ჩაფიქრებული გზა - გვ: 33  
შინდისფერი დილა ჩამწიფდა - გვ: 44  
გზაში მიმავალი ნაცრისფერი საღამო მოსახვევში  
მოცურდა - გვ: 63  
ჩემი, შენი და მისი ვარდისფერი დილა - გვ: 74  
ვისია ეს მწვანე დილა? - გვ: 87  
ნახევრად რუხი დილა - გვ: 96  
როგორია რძისფერი დილა?... ალბათ გონიერი - გვ: 110  
ნინოს წინაპრები - გვ: 118  
სახლისკენ მიმავალ გზაზე მორბენალი ფიქრები  
ჩაფიქრდნენ - გვ: 124  
შენთვის ჩვეულებრივი დილა, მაგრამ სხვისთვის? - გვ: 131  
მხიარულმა დილამ კიბეები ჩაირბინა და ჩაიხითხითა - გვ: 161  
ვარდს გაეშალა კოკორი, მაგრამ ზამბახისფერი დილა არ  
გაწითლდება - გვ: 183  
ყვავილის დილამ დაამარცხა ურჩხული - გვ: 207  
ერთ ფერში გადაწყვეტილი ფერადი დილა - გვ: 226  
ვიღაცისათვის საიდუმლო, ვიღაცისათვის არა. დავითის  
სამსახური - გვ: 229  
სიყვარულისგან დამდნარი საღამო, ბუჩქებში დაიმალა - გვ: 234  
უცნაური დილა - გვ: 241  
ტყუპისცალი დილა სკუპ-სკუპით მინდორში მირბის - გვ: 264



ციდან არეკლილი ჩალისფერი დილა - გვ: 298  
მხიარული დილა - გვ: 323  
შარბათის შაბათი დილა - გვ: 368  
გათეილილი ყაყაჩოს ფურცლების კვირა - გვ: 390  
არავის, თუ შენი დილა? - გვ: 401  
სოკრატეს ღამე - გვ: 407  
წარსულიდან მომავალში მიმავალი დილა – ბოლოდან მესამე  
გვერდი.



## სამყაროზე ქობინის ქმნა



თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი.

და ნახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა დღე და ბნელს ღამე უწოდა, იყო საღამო, იყო დილა - პირველი დღე.

თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყალი. გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. და იქმნა ასე. მყარს ღმერთმა უწოდა ცა. იყო საღამო, იყო დილა - მეორე დღე.

თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. და, თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით. და, იქმნა ასე. წარმოშვა მიწამ მცენარეული - ბალახი, თესლის მთესველი თავისი გვარისდა მიხედვით, და ხე, თესლოვანი ნაყოფის მომტანი, თავისი გვარისდა მიხედვით. იყო საღამო, იყო დილა - მესამე დღე.

თქვა ღმერთმა: იყოს მნათობი ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროუჟამის აღმნიშვნელად - დღეებისა და წელიწადებისა; იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე რომ გაანათონ მიწა. და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, - დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად - და ვარსკვლავები. დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა, განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ



ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა, - მეოთხე დღე.

თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე. შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავთავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავთავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე. იყო საღამო, იყო დილა - მეხუთე დღე.

თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწამ სულდგმული თავთავისი გვარისდა მიხედვით - პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცები თავთავისი გვარისდა მიხედვით და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ნადირი თავთავისი გვარისდა მიხედვით, საქონელი თავთავისი გვარისდა მიხედვით და ქვემძრომი თავთავისი გვარისდა მიხედვით. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო.

თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსათ. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად მამაკაცი, და დედა(ს)კაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზებს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს. თქვა ღმერთმა: აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი. ეს იყოს თქვენი საზრდო. მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად. და, იქმნა ასე. დაინახა ღმერთმა ყოველივე რაც გააჩინა, ძალიან კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა - მეექვსე დღე.

და, როცა გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობითურთ. ღმერთმა დღის მიწურულს გადაწყვიტა დედამიწაზე, სამალავს, სამოთხის შექმნა და მესამე, ყველაზე ლამაზი, შექმნა

კოლხეთის მშვენიერ მხარეში, რომელსაც ჰაველა(ია) დაარქვა, ხოლო იქ მოჩქრიალე მდინარეს პი(ღვთი)სიონი. გაავსო ეს მხარე თვინიერი ცხოველებით, ფრინველებით, მდინარე თევზებით, იქაურობა დაასახლა ლამაზი ადამიანებით, აჩუქა მათ ნიჭი სიმღერის, როკვის, სიყვარულის და უწინასწარმეტყველა იაფეტის ძის თუბალის შთამომავლებთან ერთად კავკასიური უკვდავი რასის შექმნა. ამით გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე.

ღმერთმა, სამყაროს შექმნა, რომ მოათავა დასვენება გადაწყვიტა, მაგრამ, ვინ დაასვენებდა... მთვარე, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ ღმერთი სამყაროს აწესრიგებდა, სულმოუთქმელად ელოდებოდა, თუ რას დაავალებდა მას ღმერთი და, რომ შეამჩნია დავავიწყდიო, ჩუმად მიუჩონდა ყოვლისქმნელს და მორიდებით ჰკითხა:

– მე რას დამავალებ?

– შენ ჩემო მშვენიერო, დედაშენს უყარაულე მოუსვენარმა მზის სხივებმა და მოხეტიალე სხვადასხვა პლანეტის ნატყებმა, რომ არ შეაწუხონ, ღამე კი, ძილად წასულ ადამიანებს სიზმრები გაუზზავნე და კეთილ მგზავრს გზა გაუნათე. აი კიდევ რა, შეგიძლია სიზმრების დარიგებაში ღამე დაიხმარო. ჰო, კინაღამ დამავიწყდა - ყურადღება მიაქციე ჩემს შვილობილს, მის შთამომავლებს და შთამომავლებს წინაპრებად ქცეულს. თეთრლოყებავ, დაიმახსოვრე! შენ, იბერთა მეფეს ფარნავაზს ეყვარები, მაგრამ იმაზე მეტის უფლება არ მისცე, რაც მათ ჩემს სიყვარულს დაავიწყებს. – ეს, რომ უთხრა, პირჯვარი გადაწერა, თითი ჰკრა და დედამიწისკენ გააგზავნა, თვითონ კი აკურთხა მეშვიდე დღე და დაისვენა.

მთვარე კოტრიალ-კოტრიალით დედამიწისკენ გაგორდა და მის ახლოს დაიდო ბინა.

მთვარე, მარსისა და დედამიწის შვილი იყო, უფრო მამას ჰგავდა და როცა უგუნებოდ იყო, მის ხასიათს ავლენდა. გაბრაზებული - ზღვას ტაღლებს აუშლიდა, ან ქარბორბალას დაატყებდა ადამიანებს, ხოლო როცა გართობის ხასიათზე იყო, მაშინ სულიერ არსებებს მხიარულ ან სასაცილო სიზმრებს უგზავნიდა.

მთვარემ, ღმერთისგან იცოდა, რომ ძილი ყველა სულიერი არსებისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი იყო. ღმერთისაგან, გარკ-



ვეული უფლებებიც კი მოიპოვა ძილის მართვაში - აი, მაგალითად: ის ვინც მას აღმაცერად შეხედავდა, ან ღმერთის მცნებებს არ შეასრულებდა, ჭკუის სასწავლებლად გრძელ და არეულ სიზმარს უგზავნიდა. როცა მთვარემ, ადამიანების ბუნება კარგად შეისწავლა, სიზმრის ყველა თვისება თითოეულ ადამიანში ჩაღო და ამით თავისი საქმეც გაიიოლა, ადამიანებს კი, საქმე გაუჩინა. ცნობისმოყვარე ადამიანებმა სიზმრების წარმოშობის მიზეზების ძიება დაიწყეს, მაგრამ უნაყოფოდ, მაგალითად: ზოგმა მეცნიერმა ჩათვალა, რომ ადამიანში არსებობს „ძილის ცენტრი“, რომელიც არეგულირებს ძილს და, რომ ტვინის ზოგიერთი ნაწილების გაღიზიანებით შეიძლება ძილის ეფექტის მიღწევა; სხვა მეცნიერების მოსაზრებით ადამიანი ქვეცნობიერად მთელი დღის განმავლობაში აგროვებს ინფორმაციას რომელსაც ძილის პროცესში აცნობიერებს; ზოგს კი, მიაჩნია, რომ სიზმარი ასახავს ადამიანის მოთხოვნილებას და იმ სურვილების რეალიზაციას, რომელიც ცხადში, სხვადასხვა შეზღუდვების გამო მიუღწევადია მისთვის; კიდევ ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანის სისხლში არსებობს ერთგვარი ნივთიერება, რომელიც ძილს იწვევს. მთვარე, ამ ადამიანებს და მათ გამოკვლევებს აკვირდებოდა და თავისთვის ფიქრობდა: „ეს რა კარგი საქმე მიმიცია მათვის“, – თან ეღიმებოდა და ჩუმად ჩურჩულებდა: – კი მაგრამ, თუ სისხლშია ძილის გამომწვევი ნივთიერება მაშინ რატომ სძინავთ სხვადასხვა დროს სიამის ტყუაებს და რატომ ხედავენ სხვადასხვა სიზმრებს? და, ეს მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთიანი სისხლის მიმოქცევის სისტემა გააჩნიათ... იქნებ ადამიანებს გააჩნიათ თავის ქალის ისეთი ქერქქვეშა უჯრედები, რომლებიც იწვევენ არა მარტო ძილს, არამედ სიზმრებსაც, ასეა თორემ დაბადებისთანავე ბრმები ვერ ნახავდნენ სიზმრებს. ჰოო, აი კიდევ რა, მატერიალურ ცხოვრებაში, ბრმებისთვის სიზმარი არაახსნადია, რამეთუ შედარების საშუალება არა აქვთ, მაგრამ სამყაროსთან კავშირის ეს ძაფი მათშიც არის. მე, ამაში, ნამდვილად ხელი არ მირევა, ეს ღმერთის მადლია, დიახ ასეა, ღმერთმა ყველა ადამიანს მიანიჭა ცხოვრების სამი ფაზა სიფხიზლე, აქტიური და ღრმა ძილი. მე, მხოლოდ სიზმრების თვისებები ჩავდე ადამიანში, ესეც ღმერთის ნებით... მაგრამ... და, თუ ადამიანში, ღმერთის მიერ ჩაბერილი სული გადაწყვეტს... მაშინ ღრმა ძილის პროცესში

ადამიანს დაავიწყდება ნანახი სიზმარი. საოცარია, მაგრამ ასეა... ძილი, სამყაროსა და ადამიანს შორის შუამავალ ნეირონებსაც უყვართ, რამეთუ მათ ყველაზე უფრო სჭირდებათ დასვენება. მართალია, ისინი სამ სახოვანი არიან და როცა ერთნი ისვენებენ სხვები ფხიზლობენ, მაინც სჭირდებათ ღრმა ძილი, დიახ ღრმა ძილი. ჰო, მართლა, სამსახოვნების დამსახურებაა ხილვები... დიახ, ამიტომაც იხილა ძილში იაკობმა ზეციური ტაძარი და ამიტომაც ხედავს ამირანი თავის წარსულ და მომავლ ცხოვრებას ძილში, და ხშირად წარმოსახვაშიც, რასაც ადამიანები ხილვებს უწოდებენ.

ბოლოს და ბოლოს, მთვარე, საკუთარ თავთან საუბრით დაიღალა, ჩაფიქრდა... ღმერთის დანაბარები გაახსენდა და თავისი დარღვიმანდი სხივები იმ ფანჯრის მინას მიანათა სადაც ამირანს ეძინა.

– ძინავს შეილობილს... ჩემი წასვლის დროც მოვიდა, – ჩაილაპარაკა, და დედამიწის მეორე მხარეს გადაგორდა.

### ვიდაცის იასამნისფერი დილა



კაქტუსის ეკალს ოთახის ფანჯრის მინა გაეხვრიტა, გარეთ გასულიყო და პარალელურ სამყაროში შეღწევას ლამობდა, მსგავსი სურვილი კაქტუსის ეკალზე შემომჯდარ ფუტკარსაც ჰქონდა, ოღონდ ის ამას, გონების ენერგეტიკული ველით ცდილობდა, რამეთუ მას სურდა, მოცემული სამყარო და დრო, რომელშიც ის ამჟამად იმყოფებოდა - შეენარჩუნებინა, მაგრამ ამასთან სხვა სამყაროც აღექვა. მსგავსი სურვილი არ აწუხებდა, სამ განზომილებიან სისტემაში მოქცეულ მეზოვეს, რომელსაც შეეძლო ერთდროულად ყოფილიყო აქაც, იქითაც და იქაც. ის, ცელივით იქნევიდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც მღეროდა:

მენაგვე ვარ, მენაგვე,  
გამაქვს „ქვეყნის“ ნაგავი,  
ჯერ არსად არ მინახავს,





## ტუტუცები ამგვარი.

მენაგვის სიმღერას, მანქანის ხმაური დაემატა, მერე - მაღაზიის მეპატრონის ბუზღუნი, შემდეგ - გაწბილებული ცოლის ჩხუბი, რომელიც მთვრალ ქმარს კარს არ უღებდა. ცოლ-ქმრის ჩხუბი, მეზობელი სახლების ისედაც დაბზარულ კედლებს არღვევდა, ბინაში აღწევდა და იქ გულის შემაწუხებელ გარემოს ქმნიდა. მოგვიანებით, ამ გროტესკულ დილის იდილიას, ძაღლის ყეფის და მისი პატრონის, დათოს, ხმა შეემატა.

– მოდი აქ! ჩქარა მოდი, მოდი! თორემ მოგხვდება! – უყვიროდა დათო ძაღლს.

ძაღლი წკმუტუნ-წკმუტუნით პატრონთან მივიდა, ორაზროვნად ახედა - მის თვალებში წაიკითხავდით სიყვარულსაც და დიდ გაკვირვებასაც: „ნეტავ რას მეჩხუბება? რა უნდა ჩემგან?“

დიღამ, თანდათანობით იასამნისფერი დაკარგა და კაშკაშა ვერცხლისფერში გადავიდა... ქალაქი ნელ-ნელა იღვიძებდა. იღვიძებდნენ კაქტუსის მობინადრეებიც: პირველმა თვალები ამირანმა გაახილა, გამოძვრა ხის კასრიდან, გაიზმორა, ზმორება-ზმორებით მშობლების ოთახში გავიდა, მათ საწოლზე ჩამოჯდა, ხმამაღლა დაამთქნარა, მერე გადაწვა და დედას მიუწვა. ამ ტკბილმა ხმაურმა, ძილ-ბურანში მყოფი მშობლები დაათბო და ორივეს გულში ბადაგი ჩაედგარა.

– ვინც მოსულა გაუმარჯოს, – მიესალმა მამა.

– დედა გენაცვალოს, – და შვილს, საწოლის გადასაფარებელი გადააფარა.

დედის თბილმა სხეულმა და სურნელებამ ამირანი დაათრო, ისევ ძილისკენ გაიპარა.

– აბა! აბა! არ დაიძინო! თორემ სკოლაში დაგაგვიანდება, – მხიარულად შეეხმინა მამა და ამირანს თავზე ხელი მოუთათუნა.

რასაკვირველია, ამირანს კასრში ყოფნა ერჩია და მფრინავ თევზებზე ოცნება, რომლებიც პირველად აიეტის ზღვის პირა ქალაქში ნახა... ეს მაშინ იყო როცა იმაზე უფრო უფროსი იყო ვიდრე ახლაა, მაგრამ, ახლა ახლაა და სკოლაში უნდა წასულიყოს.



## ორმხვრივი გადასასვლელი



სკოლა, რომელშიც ამირანი დადიოდა, ერთი მეტად გაუგებარ ადგილზე იყო აშენებული, ხალხი აქ სხვადასხვა ენაზე საუბრობდა, მანქანები განუწყვეტლივ მოძრაობდნენ, ქუჩის გადასასვლელ შუქნიშნებზე კი, მხოლოდ ორი ფერი ინთებოდა: წითელი და ყვითელი. ასე რომ, ფეხით მოსიარულეებს ყურადღების დიდი კონცენტრაცია სჭირდებოდათ გადასასვლელზე გადასვლისას, თორემ მანქანა დაეტაკებოდა და...

ამირანმა, ამ გადასასვლელს რუბიკონი შეარქვა, ეს სახელი საიდან მოაგონდა ან საიდან მოიტანა თვითონაც არ ახსოვდა, შეიძლება, ხის კასრმა მოუყვა რაიმე... ჰო, მართლაც ასე იქნებოდა. ამ დილით კი, კასრმა, დააბარა: დაკვირვებოდა გადასასვლელზე გადამსვლელ ადამიანების ქცევას, მათ განწირულ და შეშინებულ სახეებს, და საღამოს მისთვის, თავისი შთაბეჭდილებები მოეყოლა.

ამირანს რატომღაც, დღეს, პირველად, ერთმა აზრმა გაუელვა, და ეს შესაძლოა, კასრის დილანდელი დანაბარების ბრალი იყოს. გადაწყვიტა - მამის სახეს დაკვირვებოდა, ახედა და თვალებში დაინახა უდიდესი სევდა, მაგრამ ეს თვალებში, სახის გამომეტყველება კი, სულიერ სიმტკიცეს გამოხატავდა. ამირანმა მზერა, მამას, ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოაყოლა, იგრძნო, რომ მთელი სხეული შვილდისარივით ჰქონდა მომართული და გაახსენდა ხის კასრის ნაამბობი: „გახსოვდეს, მხედველობა აზროვნების მნიშვნელოვანი წყაროა. ადამიანები ხედავენ იმ საგნებს, ფერებს და მოვლენებს, რისი დანახვის უფლებაც აქვთ. აზროვნების მეორე წყარო სმენაა. ადამიანებს ესმით ის რისი გაგონების უფლებაც აქვთ და რისი გაგონებაც სურთ. აზროვნების ეს წყარო ღმერთის მიერ გარკვეული თავისუფლებითაა დაჯილდოებული. მაგრამ, ამ მინიჭებულ თავისუფლებას ადამიანები გაურბიან, ეკრძაღვიან, ეშინიან. აზროვნების მესამე წყაროა გრძნობა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნე-



ბებში, ის ყველა ადამიანისთვის განსხვავებულია ანუ რაც ერთისათვის სასიამოვნოა, მეორესათვის შეიძლება უსიამოვნო იყოს. გრძობა ადამიანს ჩასახვის დღიდან უყალიბდება. ხოლო, აზროვნების ძირითადი წყაროა - ქვეცნობიერება. ადამიანი, რასაც ვერ ხედავს და რისი გაგონებაც არ შეუძლია, ქვეცნობიერად აღიქვამს. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დასაბუთება არ შეუძლია".

ამირანმა ქვეცნობიერად იგრძნო, რომ მამა ყველა ამ გრძობას სრულად ფლობდა, ესიამოვნა, სიმშვიდე დაეუფლა.

და, აი, შუქნიშანზე აინთო ყვითელი ფერი, დავითმა ამირანს ხელში ხელი ჩაავლო; ამირანი დაჰყვა და ორივემ სირბილით გადაკვეთეს ქუჩის გადასასვლელი.

შუქნიშნის მეორე მხარეს, ყოველთვის იდგა ერთი უცნაური კაცი, რომელიც ქუჩაზე გადამსვლელებს გახარებული, ტაშისკვრით ეგებებოდა.

ერთხელ ამირანმა ჰკითხა მამას:

– მამა, რა ახარებს ამ კაცს?

მაშინ, მამამ უპასუხა:

– იმედი აქვს, როცა ინჩ-უზუმე გაიგებს, რომ ყველა იბერიელს შეუძლია გადასასვლელის გადალახვა, შეატყობინებს რუს-უზუმეს, დაფიქრდებიან ჩრდილოელი თეთრი ვირთხები და მიხვდებიან, რომ შეუძლებელია იბერთა გენის გადაგვარება, ამის შემდეგ, ალბათ, თავს დაგვანებებენ, წავლენ აქედან, დატოვებენ ჩვენს ქვეყანას და შუქნიშანზე მწვანე შუქიც აინთება.

– კი მაგრამ, შენ ხომ მითხარი, რომ ეს გადასასვლელი იბერიელების მიერაა მოწყობილი... მაშინ რა შუაშია ინჩ-უზუმე ან რუს-უზუმე? – მაშინ გაიკვირვა ეს ამირანმა, მაგრამ ეს ყოველთვის უკვირდა... და ეს მიუხედავად იმისა, რომ მამამ კარგად აუხსნა ყოველივე: - „ამირან, ინჩ-უზუმე და რუს-უზუმე ეს არა მარტო ტომის ბელადის თანამდებობაა, არამედ ავადმყოფობაცაა, რომელიც ბევრ იბერიელს შეეყარა წითელი გველეშაპის წელიწადს". და, ეს საუბარი, ამირანს, ყოველ დილას, სკოლაში წასვლისას და სახლში დაბრუნებისას ზუსტად ქუჩის ამ გადასასვლელზე ახსენდებოდა, რაც მასში სინანულის გრძობას აღვიძებდა.



გადასასვლელზე მდგომი უცნაური კაცი, როგორც ყოველთვის მწვანე ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მაგრამ სხვა დღეებისაგან განსხვავებით, დღეს ქუდიც ეხურა და გაბრაზებული ჩანდა, ამიტომაც ერთ-ერთს ჩამრგვალებულ კაცს უხეშად მიაძახა:

ვატრიალებ ტარაბუას,  
მამაძაღლს ვასწავლი ჭკუას.

ამირანმა იცნო ეს კაცი, ის სკოლის მფლობელის მოადგილე ემა-ზარი ბარ-აქა-ძე იყო, ანუ ძე, რომელიც სკოლაში „ზარს“ რეკავდა და ხელიდან ბარს არ უშვებდა. ემა-ზარი თვინიერი, წყნარი, ყველა დავალების ზუსტი და უსიტყვო შემსრულებელი იყო, შეიძლება არც კი სურდა ყველა დავალების შესრულება, მაგრამ, მაგრამ და ისევ მაგრამ, და ეს სამი „მაგრამ“ ყველანაირად ბოჭავდა ემა-ზარს, ვინაიდან, მას არ ჰქონდა გაცნობიერებული ამ „მაგრამის“ საფასური.

ამირანს, ემა-ზარი იმ დღიდან ახსოვს, როცა მშობლებმა ამ სკოლაში გადმოიყვანეს. სკოლაში ახალ გადმოსულს პირველად ემა-ზარი გამოეღაპარაკა, ხოლო ერთხელ, ვითომ შემთხვევით, „მაგრამის“ მიზეზით, მამა-შვილს მეტროში დაემგზავრა და, ვითომ აქ არაფერიო, გამოჰკითხა ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდა მათი გვარი, რატომ გადმოვიდნენ უფრო პრესტიჟული სკოლიდან მათთან, იცნობდნენ თუ არა ცნობილ მეეზოვეს ზაქარიას და შემთხვევით მათ სახლში ჯადოსნური ტყის მობინადრე ფუტკარი ხომ არ ცხოვრობს, ან რა ყვავილები უყვართ. ყველა ამ კითხვაზე დავითს ეღიმებოდა და შეძლებისდაგვარად თავს არიდებდა მზაკრულ კითხვებს. მამა-შვილმა, კარგად იცოდა რომ ჩრდილოელი თეთრი ვირთხები გამწარებული ეძებდნენ ჯადოსნური ტყის ყოფილ მობინადრეებს - ფუტკარს, კაქტუსს და საერთოდ მათ ოჯახს. ისიც აშკარა იყო, რომ „მაგრამს“ დაავალეს მათ შესახებ ინფორმაციის შეგროვება.



## მოკლე-კულა ულვაშა სკოლის რექტორი-ფაქტორი



არ-სეი-რგო სტეფან-რაფნაძე დაიბადა იმ სოფელში სადაც მესხები ცხოვრობდნენ, რომლებიც ერთმა უვარგისმა ბატონმა – სტალინმა, აყარა და ქვიშიან ქვეყანაში გადაასახლა. მესხებმა, იმ იმედით, რომ უკან დაბრუნდებოდნენ, თავისი განძი წინაპრების საფლავებთან ჩამარხეს. განძის არსებობა, ჩრდილოელი ვირთხების გენერალ პასკევიჩის მიერ, თურქეთიდან ჩამოსახლებულმა ინჩ-უზუმეს ტომმა შეიტყო და საფლავეები, სულ ერთიანად გაძარცვეს. ასე, გამდიდრდნენ იქ ჩასახლებულები, და მათ შორის სტეფან-რაფნაძეები, რომლებმაც მთელი თავისი სიმდიდრე უფროს ვაჟს არ-სეი-რგოს გადასცეს.

არ-სეი-რგოს ბავშვობა მხიარულად მიდიოდა ერთი ამბავი, რომ არ გადახდენოდა თავს: ერთხელ, და ეს მაისის თვე იყო, სკოლიდან შინ ბრუნდებოდა და შორს ცხენზე ამხედრებული მესხი დაინახა, რომელიც შემთხვევით გადაურჩა სტალინის დროინდელ გადასახლებას, ასეთი სოფელში მხოლოდ რამდენიმე იყო, მაგრამ ჩამოსახლებულებს მათი ძალიან ეშინოდათ და, თუ სადმე დაინახავდნენ მათ - თავს არიდებდნენ, არ-სეი-რგოც ასე მოიქცა, დაინახა თუ არა მესხი გაიქცა და დამალვის მიზნით შარავზაზე უპატრონოდ მიგდებულ რკინის კასრში შეძვრომა მონდომა, მაგრამ ვერ შეეცია და საჯდომი გარეთ დარჩა. მხედარმა, ბავშვის ასეთი საქციელი, რომ დაინახა გაცხარდა და როცა მიუახლოვდა, არ-სეი-რგოს გარეთ დარჩენილ უკანალზე მათრახი რამდენიმეჯერ გაატყლაშუნა. იმ დღის მათრახის კვალი, სამუდამოდ წითელი ზოლებად დააჩნდა არ-სეი-რგოს, რომლის არსებობა ყოველთვის ძალიან ანერვიულებდა. დღეს, ის, უკვე ცნობილი მფრინავი და სკოლის რექტორი-ფაქტორია, მართალია ტრაკზე სამი ზოლით, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მან იცის, ამიტომაც ამაყად დგას სკოლის შესასვლელ კარებთან და სულმოუთქმელი ელოდება თავის მსხვერპლს, ელოდება თუ როდის გამოჩნდება პატარა იბერიელი.

გადასასვლელზე მშვიდობიანად გადასული მამა-შვილი სკოლას მიუახლოვდა. არ-სეი-რგომ, ისინი შორიდანვე დაინახა, ჯიბიდან სასწრაფოდ ამოიღო მომღიმარე ნიღაბი და სახეზე გაიკეთა, მერე ხელები გაშალა, ვითომ თვითმფრინავი ყოფილიყოს, ოდნავ მარჯვნივ გადაიხარა და ვრრ, ვრვრ-ს ძახილით თავის კაბინეტისკენ „გაფრინდა“. უკან კუნტრუშ-კუნტრუშით, მოკლეკაბიანი, მუხლებამდე მაქმანებით გაწყობილი საცვლით, ხელში ჩამქრალი სანთელით, გუ-თლინკო იმ-ზედა-შვილი მიჰყვა, მას კი, მისი ქვეშევრდომი ლოკოკინა ლი-აი თავ-ვაგა-ძე, ხოლო ლი-აის მიჰყვანო-დო დუმ-დუნკ-ბაძე. ამ სამეუღლმა თავი მოიყარა რექტორი-ფაქტორის კაბინეტში, სადაც ემა-ზარის ინფორმაცია მოისმინეს, გაიზიარეს ზარი-ურის წინადადება, რომელიც რექტორი-ფაქტორის კაბინეტში ემა-ზარისთან ერთად ელოდებოდა მათ და ყველაფერი შეაჯერეს, ფუნქციები დაინაწილეს... დაბოლოს, წინასწარი გამარჯვების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და კაბინეტი ნეტარი საახეებით დატოვეს - იმ იმედით, რომ ამირანს თავის მოკავშირედ გახდიდნენ, თუ არადა... ჰო, ამის გეგმაც ჰქონდათ.

კაბინეტში მხოლოდ არ-სეი-რგო დარჩა, ის დიდხანს უახროდ იჯდა თავის რბილ სავარძელში, მერე წამოდგა და წიგნების თაროდან ფსიქოლოგ უზნაძის წიგნი გადმოიღო. მას ძლიან აინტერესებდა უზნაძის „წინასწარ განწყობის თეორია“, რამეთუ ეშინოდა სიზმრების ახდენის. არ-სეი-რგო მიიჩნევდა, რომ ყველა სიზმარი ადამიანის წინასწარი განწყობის შედეგი იყო, მომავლის წინასწარმეტყველებით.

არ-სეი-რგომ ერთხელ სიზმარში ნახა: თითქოს-და ცა მწვანე ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, თვითონ კი, ვითომ, თეთრ ღრუბელზე იჯდა. მის წარმოდგენაში ღრუბელი სამოთხისკენ მიცურავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მოძრაობა უჭირდა, მაშინ არ-სეი-რგომ მიზეზის გარკვევა დაიწყო: ჯერ ქარს დააბრალა, მერე ღრუბლის შუაგული მოქექა, შიგ ჩაიხედა, და რას ხედავს ღრუბელი ოქროს მონეტებით ყოფილა გავსებული, ახლა კი მიხვდა თუ რატომ უჭირდა ღრუბელს მოძრაობა. არ-სეი-რგო შეშინდა და მონეტების გადაყრა დაიწყო, როცა მონეტებს ძირს ყრიდა, უნებლიედ ქვევით გადაიხედა და ვარდისფერ ჭალაში,



წიგნებ-მომარჯვებული სკოლის ბავშვები დაინახა, რომლებიც მის მიერ გადაყრილ ოქროს მონეტებს აგროვებდნენ, დანახული ეამა, გაახსენდა... და თავისთვის ჩაილაპარაკა: – „ეს ხომ მათი ფულია“.

მონეტების გადაყრისთანავე ღრუბელი შემსუბუქდა და სწრაფად გაქანდა სამოთხისაკენ, მაგრამ, ცოტახანში ისევ შეანელა სვლა, გაუკვირდა არ-სეი-რგოს: – „რა მოხდაო?“ – ჩაილაპარაკა. ისევ მიქექ-მოქექა ღრუბელი, ნახა რომ აღარაფერი იყო გადასაყრელი, – „რაშია საქმე, რა ხდება?“ – ისევ აბურღუნდა, მერე ქვემოდან ამოხედა ღრუბელს და რას ხედავს: ზარი-ური, ნო-დო, ლი-აი, გუ-თლინკო და ინჩ-ურა დაჰკიდებიან ღრუბელს. გაბრაზდა არ-სეი-რგო და დაუყვირა: – „ეი, თქვენ თავხედებო, გაუშვით ხელი ჩემს ღრუბელს!“ – მაგრამ, ისინი არ უშვებდნენ ხელს... ღრუბელი კი, უფრო და უფრო მძიმდებოდა, პატარავდებოდა და კატასტროფული სიჩქარით ეშვებოდა ქვემოთ. მალე ღრუბელი სულ დაიღია და გაქრა. არ-სეი-რგომ საშიშროება იგრძნო, თითქოს ცხადშიაო ისე მკვეთრად დაინახა სკოლის შენობის სახურავი და იგრძნო ზედ დაცემის ტკივილი, მისი დაუპატიჟებელი სტუმრებიც იქვე, ახლოს დაენარცხნენ. არ-სეი-რგომ როგორც კი დაცემა იგრძნო, იმწამსვე გაეღვიძა. ოფლისაგან, ერთთავად სულ დასველებულიყო. იმ დღეს როცა ეს სიზმარი ნახა, სკოლაში, ფულის ამკრეფი სახელმწიფო კომისია ესტუმრა, ძალიან ძვირი დაუჯდა მათი მოთაფვლა. გაოგნებული დადიოდა და ბურტყუნებდა: „ლექტორ-ფაქტორებს ჩერქეზას და ქსოსტელას ჩემზე ნაკლები ფული აახიეს, მე რატომ წამართვეს ამდენი? ალბათ სიზმრის ბრალია?“. ამის შემდეგაა, რომ ეშინია სიზმრის, ამიტომაც დაინტერესდა უზნაძის წინასწარი განწყობის თეორიით.

დღესაც ამიტომ განმარტოვდა თავის კაბინეტში, სურდა უზნაძის წიგნში გუშინდელი სიზმრის ახსნა ეპოვნა. ბევრი ქექა წიგნი, მაგრამ ვერაფერს მიაგნო, წიგნი ისევ თაროზე შემოდო, სხვა წიგნი აიღო, ამჯერად ფროიდის, ამ წიგნშიც ვერაფერი იპოვა, არადა წინა ღამეს მისი სკოლის ახალი მოწაფე ამირანი ესიზმრა. ყურებში ახლაც ნათლად ესმოდა თუ როგორ თხოვდა ამირანი: „არ გამიშვა სკოლიდან თორემ შიმშილით მოგკვდები.“



წასასვლელი არსად მაქვს". მერე პირიქით, ესიზმრა თითქოს-და თვითონ თხოვდა ამირანს სკოლაში დაბრუნებას და როცა უარი მიიღო, ჯიბიდან იარაღი ამოიღო და პირდაპირ გულში ესროლა, ტყვიამ ამირანს გული გაუხვრიტა, მაგრამ არც კი შეტორტმანებულა, მტკიცედ იდგა და დამცინავად უყურებდა, მაშინ კიდევ ესროლა, ამირანი არც ახლა შეტორტმანდა, ისევ ძველებურად, ურყევად იდგა, მხოლოდ გულში მეორე გამჭოლი ნახვრეტი გასჩენოდა. არ-სეი-რგომ კიდევ ერთხელ დააჭირა თითი სასხლეტს, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა, მაშინ რევოლვერი გვერდზე მოისროლა და ჯიბიდან დანა ამოიღო, მაგრამ ვერ მოახერხა დარტყმა, გაშეშდა, დაინახა თუ როგორ გამოანათა ცეცხლოვანმა შუქმა ამირანის გულიდან, რომელიც გარს შემოერტყა, შუქი ააღდა, გრძნობდა ცეცხლის სიმხურვალეს, ხედავდა როგორ იწვოდა. არ-სეი-რგოს, შეშინებულს გაეღვიძა. ახლაც კი, შემორჩენოდა სახეზე წუხანდელი სიზმრის შიშის კვალი.

არ-სეი-რგო საზოგადოებაში კარგი სახელით სარგებლობდა, ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა სახის ნიღაბი ჰქონდა, როცა სურდა ქველმოქმედად წარმოეჩინა თავი, მწვანე ფერის, სანდომიანი გამოეტყველების ნიღაბს იკეთებდა, და მაშინ ყველას პირზე ეკერა სიტყვები: „ჩვენი არ-სეი-რგო, ეს რომ არ გვყავდეს რა გვეშველებოდა". როცა სურდა ჭკვიანი ყოფილიყო, მაშინ შინდისფერ, შუბლდაღარულ ნიღაბს იკეთებდა, და ყველა აღფრთოვანებით გაიძახოდა: „რა გამჭრიახეა, როგორი ჭკვიანია, სად შეიძინა ამდენი ცოდნა". ხოლო, რაც შეეხება მის ნამდვილ სახეს, არავის არ ენახა ის, მხოლოდ ზარი-ურიმ იხილა, ისიც შემთხვევით, როცა არ-სეი-რგო ტუალეტში უნიტაზზე იჯდა და იჭინებოდა.

არ-სეი-რგოს მრავალმხრივი კავშირი ჰქონდა გაბმული რუსინჩ-უზუმეს ტომთან, მათ მიმართ მზრუნველობას იჩენდა, უგზავნიდა თავის დაწურულ ღვინოს, ზოგიერთი მათგანი, სკოლაში, თანამშრომლებადაც კი აიყვანა. თავის მხრივ არც ისინი აკლებდნენ პატივისცემას, კახეთში თვითმფრინავის ასაფრენი ბილიკი გაუკეთეს, იაფად მიყიდეს ახალი თვითმფრინავები, ბოლოს - ღვინის გასაფილტრი დანადგარიც კი, აჩუქეს. ძალიან გაიხარა არ-სეი-რგომ და ყოველივეს სანაცვლოდ შეატყობინა - რომ მისი





სკოლის მოწაფე ამირანი, იმ დავითის შვილია, რომელმაც ჯადოსნური ტყის ადგილ-სამყოფელი იცისო, და დახმარებაც აღუთქვა ჯადოსნური ფუტკრის და კაქტუსის განადგურებაში, პირველ რიგში კი, ამირანის. დღევანდელი საიდუმლო შეხვედრაც სწორედ რომ, ამ მიზანს ემსახურებოდა.

ღიას, ჩვენდა გასაკვირად, ასეთი კაცი ყოფილა არ-სეი-რგო, დგას მუხლებამდე ჭაობში და არ სურს იქიდან ამოსვლა, ან რატომ ამოვა მისია ეს ჭაობი და კარგად გრძნობს თავს იქ, მეტიც, ყელამდე ჩაძირულებს ზემოდან უყურებს, სიამოვნებს ეს და მოსწონს, ხოლო, ჭაობის პირზე მდგომი ადამიანები აღიზიანებს, რამეთუ ისინი, ზემოდან დაჰყურებენ მას. ერთხელ მიაძახა კიდევ: „სანამ არის ადგილი ამ ჭაობში, დროზე ჩამოეთრიეთ, თორემ იდგებით ასე მთელი სიცოცხლე მშიერ-მწყურვალი“.

### ჭიპ-ჭიპელას სკოლა - „ღამურა“



შენობა, სადაც სკოლა განთავსდა, ადრე ღამურებით იყო დასახლებული. შენობის ახლანდელ მეპატრონეებს, ღამურების გამოსახლება, ძალიან გაუჭირდათ, რა ხერხს არ მიმართეს: თხოვნას, მუქარას. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, ღამურების დასახოცად ქვის მსროლელები მოიწვიეს, სამხედროებიც კი, მაგრამ, ვერც მათ შეძლეს, ვინაიდან ძალიან ბევრნი იყვნენ და, ღამურებსაც ჰქონდათ იარაღი. მაშინ არ-სეი-რგო ყვავებს გაურიგდა და მათ, ათი ღამურას მოკვლაში ერთ ღალის თვალს და ორი კატის კუდს შეჰპირდა. მოეწონათ გარიგება ყვავებს, და არ დააყოვნეს, დაერივნენ ღამურებს და სულ ერთიანად ამოულიტეს. ღამურების საცოდავი წივილი ცას წვდებოდა. ამ სკოლის მახლობელ შენობებში მაცხოვრებელ ადამიანებს, დღემდე, ყოველ დღით, ესმით მათი განწირული ხმა. ხოლო, სკოლის შენობის შიდა კედლებს, დახოცილი ღამურების გამოსახულებები, ღანდებად შემორჩათ.

ღამურები უცნაური ჯიშის არსებები არიან, არც თავგებს მიეკუთვნებიან, არც ფრინველებს, გვარგადაკეთებული ადამიანებით არიან, თავიანთი წარმომავლობის გამომჟღავნება რომ არ სურთ, რცხვენიათ.

ღამურებს ერთი საშინელი თვისება გააჩნიათ, თავის მსხვერპლს ჩუმად ესხმიან თავს, კბენისთანავე მსხვერპლის ორგანიზმში ტკივილის გამაყურებელ ნივთიერებას უშვებენ, ასე რომ მსხვერპლი ვერც კი, გრძნობს თუ როგორ წოვს ღამურა მას სისხლს. ადამიანების ნაწილს ღამურას ეს თვისება მოსწონთ, მათ შორის იყო ნო-დო, სწორედ მან შესთავაზა არ-სეი-რგოს სკოლისათვის „ღამურა“ დაერქმია.

სკოლის თანამშრომლები სამ კატეგორიად იყვნენ დაყოფილი: მოწვეული თანამშრომლები, რომლებსაც როცა უნდოდათ მაშინ გააგდებდნენ სამსახურიდან - სამუშაოს დიდ ნაწილს ამ კატეგორიის თანამშრომლები ასრულებდნენ; მეორე კატეგორიის თანამშრომლებს არ-სეი-რგოს ნათესავები წარმოადგენდნენ, რომლებიც მოწვეულ თანამშრომლებს დერეფანში თავს ესხმოდნენ და სახლიდან წამოღებულ საჭმელს ართმევდნენ, ასევე მათ იღებდნენ ითვისებდნენ... და რაღაც-რაღაცეების გამო არ-სეი-რგოსთან აბეზღებდნენ; მესამე კატეგორიის თანამშრომლები არ-სეი-რგოს თანამოაზრეები იყვნენ ანუ იღვის მეგობრები, ამ კატეგორიის თანამშრომლები სკოლაში უპირატესობებით სარგებლობდნენ, მათ ევალბოდათ ინფორმაციის შეგროვება ბავშვებისა და მათი მშობლების შესახებ, ისინი ძირითადად ჩრდილოეთის თეთრი ვირთხების შიკრიკები იყვნენ.

შენობის ახალმა მეპატრონეებმა სკოლა უცნაურად გადააკეთეს, კიბის საფეხურები ზოგი მაღალი გახადეს, ზოგი კი იმდენად დაბალი, რომ ვერც კი შეამჩნევდი - თუ კარგად არ დააკვირდებოდი. კიბის სახელურზე რკინის ეკლები დაამაგრეს და, თუ შემთხვევით კიბეზე ფეხი დაგიცდებოდა და თავის შესამაგრებლად კიბის სახელურს წაავლებდი ხელს, რკინის ეკალი აუცილებლად შეგერჭობოდა და ჭრილობიდან სისხლი წამოგივიდოდა. სისხლის სუნზე, კედელზე ლანდებად აკრული ღამურები ცოცხლდებოდნენ და იქაურობას წივილით აყრუებდნენ. ღამურების წივი-



ლი, ბავშვებისა და მოწვეული თანამშრომლების გარდა, ყველას ძალიან ახალისებდა, განსაკუთრებით, გვარგადაკეთებულ ინჩ-ურას, რამეთუ, კიბის სახელურზე დაღვრილი სისხლის ანალიზის გაკეთების საშუალება ეძლეოდა, რითაც ის სისხლის მეპატრონის წარმოშობას ადგენდა და თუ წარმოშობით იბერიელი აღმოჩნდებოდა, მაშინ სისხლის მეპატრონე შავ სიაში შეჰყავდა. ინჩ-ურამ, იბერიელების შესახებ, პირველად მაშინ შეიტყო როცა ანთროპოლოგ იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახის გამოკვლევებს გაეცნო. აქამომდეც სმენოდა, რომ იბერიული კულტურის აკვანი კავკასია იყო და ის, რომ კავკასიელები მხოლოდ იბერიელები, ჩინები და ინგუშები იყვნენ. მაგრამ, როცა უშუალოდ გაეცნო მეცნიერულ გამოკვლევას და ეს ყოველივე საკუთარი თვალთა ამოიკითხა, ძალიან გამწარდა. ხოლო, როცა არტურ ევანსის შრომებიდან შეიტყო, რომ ფინიკიური და არამეული მარცვლოვანი დამწერლობის წარმოშობა დედნად იბერიული ნიშნებია მიჩნეული და, რომ ქრისტე არამეულ ენაზე საუბრობდა, მის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა. მიხვდა, კავკასიაში მისი ტომი ფეხს მანამ ვერ მოიკიდებდა, სანამ იბერიელები არსებობდნენ. კარგად იცოდა ისიც, რომ სხვების დახმარების გარეშე ვერაფერს დააკლებდა იბერიას, ამიტომ თავისი მოდგმის, ლაგროვის დახმარებით კავშირი ჩრდილოელ ვირთხებთან დაამყარა. ჩრდილოელმა ვირთხებმაც არ დააყოვნეს და ინჩ-ურას პირველი დავალება მისცეს, მას იბერიელების რაოდენობა უნდა დაედგინა. ამიტომაც შექმნა შავი სია, რომელშიც ჯერ კიდევ შემორჩენილი, სუფთა სისხლის იბერიელების გვარები და საცხოვრებელი სახლის მისამართები შეჰყავდა. და, თუ რაიმე მიზეზს უპოვიდა, მათ სარკეებიან კარცერში სვამდა. სარკეებიან კარცერში მსხდომთ, თავისი გამოსახულების მუდმივი ცქერა უწევდათ და პიროვნული გაორება ემართებოდათ, მერე კი, მათი გადაგვარება, ინჩ-ურას, უადვილდებოდა.

სკოლის შენობა იმითაც იყო უცნაური, რომ მას საძირკველი არ ჰქონდა, პირდაპირ ყუთივით იდო მიწაზე, ხოლო ფანჯრები შენობის კედლიდან გარეთ იყო გადაქანებული, მინების ნაცვლად უცნაური შემადგენლობის გამჭვირვალე ფირფიტები ჩაედგათ, რომლებიც მხოლოდ მზის სხივის ანარეკლს ატარებდა, ხოლო



პირდაპირ დაცემულ სხივს ირეკლავდა, ამიტომაც, ზაფხულშიც კი, ოთახებში საშინელი სინესტე იგრძნობოდა. არ-სეი-რგოს, ყველა ოთახში მოსასმენი აპარატი ედგა, უსმენდა ბავშვებს, თანამშრომლებს, სტუმრების საუბარსაც კი.

შენობის შუაგულში, მესამე სართულზე, სიკეთის ოაზისი, პატარა სალოცავი ოთახი იყო, ყველას სურდა იქ შესვლა, დიახ, ყველას სურდა სამოთხეში მოხვედრა, მისი ჩადენილი ცოდვების სიმრავლის, თუ სიმძიმის მიუხედავად. მაგრამ, ავიწყდებოდათ, რომ დანთებული სანთელისათვის სული არ უნდა შეებერთათ.

### იაუაუ-იაუას სკოლა - „მოიხადე ქუდი“



ხალხმა, სკოლას „მოიხადე ქუდი“ იმიტომ შეარქვა, რომ ამ სკოლის რექტორი-ფაქტორს უცნაური ჩვევა ჰქონდა - ვინც ქუდ-მოუხდელი შემოვიდოდა სკოლის შენობაში, უკნიდან ჩუმად მიეპარებოდა და ყურში ჩასძახებდა: „მოიხადე ქუდი!“, ეს ისე ხმამაღლა გამოსდიოდა, რომ შიშისგან კაცს თმები ყალყზე უდგებოდა და ქუდი ძირს უვარდებოდა, მაგრამ, თუ თმა არ ჰქონდა, მაშინ თვითონ ჩამოაძრობდა ქუდს და მელოტ თავზე წკლიპურტებს წააყრიდა, თანაც დააყოლებდა: „ეი შე პოსლიკა, არ გესმის, მოიხადე ქუდი, მოიხადე!“

„მოიხადე ქუდი“, ის სკოლა იყო, სადაც ამირანი, ამ ცხოვრებაში, პირველად ეზიარა მატერიალურ ცოდნას. სკოლა, მისი სახლიდან, დაახლოებით კენგურუს შეიდასი სკუპის მანძილზე მდებარეობდა, ხოლო, ის ადგილი სადაც სკოლის თანამშრომლები იკრიბებოდნენ სამსახურში წასასვლელად, კენგურუს რვაასი სკუპით იყო დაცილებული. ამირანს, უკვირდა რატომ მიდიოდნენ კენგურუზე ამხედრებული სკოლის თანამშრომლები სამსახურში ერთი და იგივე დროს, როცა თითოეული კენგურის ნახტომის სიგრძე ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდა - განსხვავებული იყო მათი მოძრაობის სიჩქარეც. ეს კითხვა, ამირანმა, თავის გამზრდელ ხის კასრს დაუსვა, ამ კითხვამ კასრი გააკვირვა და ხმა-



დაბლა ჩაილაპარაკა: „ასეთ უცნაურ კითხვებს თვით დიოგენე არ მისვამდა“... – მერე ჩაფიქრდა, და უპასუხა: „საერთოდ იცოდეთ დრო არ არსებობს, ადამიანები რასაც დროს უწოდებენ შეგრძნების განზომილებაა, მაგრამ რასაც ეს ცნება შემოიღეს, ასე იყოს, და გეტყვი, რომ ადამიანებისათვის დრო ერთ განზომილებიანია. იყო დრო, როცა ადამიანები ოთხ განზომილებიან შეგრძნებაში ცხოვრობდნენ: სამოთხეში, წარსულში, აწმყოში და მომავალში. ამასთან, უნარი ჰქონდათ არამატერიალურ დროშიც გადასულიყვნენ, ანუ სულიერ სამყაროში, სადაც ყველა განზომილება და, განსაკუთრებით დრო, პირობითი ცნებებია და პროცესები მხოლოდ სივრცით განზომილებას ექვემდებარება, ანუ: ის რაც ახლოა, ახლოა დროშიც, ხოლო ის რაც შორსაა, დროშიც შორსაა, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიშორე მიუღწევადი იყოს მოცემულ დროში. აი, ასეთ განზომილებებში შეეძლოთ ადამიანებს ეცხოვრათ, მაგრამ, ადამისა და ევას მიერ ჩადენილი ცოდვის გამო, ეს უნარი დაკარგეს. დიახ, მაშინ პირველად დაბინძურდა ადამიანის გონება და მის თავში გაჩნდა ამპარტავნობის გრძობა, რის გამოც ღმერთმა დასაჯა თქვენი მოდგმა, გამოაძევა სამოთხედან და დაასახლა სამ განზომილებიან მატერიალურ სამყაროში. ხოლო, როცა კაენმა თავისი ძმა - აბელი მოკლა, ჩამოაცილა მომავლის განზომილების აღქმის უნარი. მეორე განზომილება, წარსული, ადამიანებმა მაშინ დაკარგეს, როცა ქრისტე ჯვარს აცვეს. წარსულის განზომილებიდან ადამიანებს, მხოლოდ მისი მცირედი ნაწილი შემორჩათ, რასაც ისინი მოგონებას უწოდებენ, ხოლო მომავლის განზომილებიდან იმედი. ყოველი ახალი ჩადენილი ცოდვის შემდეგ, ადამიანები, სულ უფრო და უფრო იძირებიან მატერიალურ დროში, დროში, რომელიც მოქცეულია მხოლოდ ადამიანის მიწიერ ცნობიერებაში, რომელსაც ფიზიკური სხეულების მიზიდულობის უნარი გააჩნია. ამირან, ფიზიკური მიზიდულობა მხოლოდ მატერიალურ სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. გახსოვდეს! მატერიალური მიზიდულობა ქმნის თანაარსებობის ისეთ ქცევებს როგორცაა: მინდა დაგეჯახო, ეს ადგილი ორისთვის ცოტაა, ჩაგარტყამ, ვერ წამართმევ, გაგასწრებ, ვერ მაჯობებ. ამიტომაც, ერთდროულად მიდიან ყველა თანა-

მშრომელი სამსახურში, ხოლო ისინი ვინც თავის თავს დაგვიანების უფლებას აძლევენ, მათ გავლენიანი მფარველები ჰყავთ და მათი აზროვნების განზომილება მოქცეულია ორ სიტყვაში – ფეხებზე მკიდისხართ. შენ ჩემო ამირან, ყოველივეს რაც აქ ხდება ანუ ამ მიწიერ სამყაროში, დროის არამატერიალური განზომილებიდან უყურებ და ამიტომ განიცდი ყოველივეს მძაფრად, ეს კარგია. და, კიდევ რა მინდა გითხრა: არამატერიალურ სამყაროში მიზიდულობის ნაცვლად ენერჯის ურთიერთგაცვლის კანონი მოქმედებს.


ამირანს, გაუხარდა ხის კასრის შექება, თან გაიფიქრა: „რატომ ქმნიან ადამიანები იმას რაც მათში არ არსებობს, ანუ ის რაც არსებობს განწყობის გარეთ, რომელსაც კაენის განწყობა ჰქვია“.

„მოიხადე ქუდი“ სკოლის რექტორი, ქალების ჭორ-სიმღერას აყოლილი დუ-რა-მი კრი-მანჭულა იყო. დასაწყისში, ამირანსა და კრი-მანჭულას შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, მაგრამ, ეს არ მოეწონათ ავ-ათოს ჩუთ-ლა-ძვირას, და ბევრ იმ სხვასაც, ვისაც კავშირი ჰქონდათ რუს-უზუმესთან. ამირანს არ უყვარდა რუს-უზუმეს ტომი, ან როგორ უნდა ყვარებოდა, როცა მათ აიეტის ქვეყანაში იბერიელები დახოცეს და ოს-მუს ტომთა დახმარებით, იბერიის მხარე - სამაჩაბლო დაიპყრეს. ეს ომი მიმდინარეობდა, როცა ამირანმა თავის თანატოლებს მოუწოდა სამაჩაბლოს დასაცავად წასვლა, ამ მოწოდებამ ძალიან განარისხა რუს-უზუმეს მომხრეები და ერთ დღეს, ამირანი შეიპყრეს, გააკოჭეს და მათრახებით დაუწყეს ცემა. ყველაზე მონდომებით მათრახს ლამარი ბეგი-ძე იქნეოდა, არც ბე-სი ალი-და-შილი ჩამორჩებოდა. მართალია, მათრახს არ იქნეოდნენ, მაგრამ სიხარულით ხტოდნენ: ში-თა ჯავა-ხის-ვირი, ლაი-ლი ჩაგე-გე-იშვილი, რა-მი მი-თა-შვირი და ან-ია მარ-უუ-შილი, მაგრამ, ტყუილი იყო მათი სიხარული და გამამათრახებლების გარჯა, რამეთუ მოქნეული მათრახი ჰაერში იკლაკნებოდა, ძალას კარგავდა და სანამ ამირანს მოხვდებოდა ისე რბილდებოდა, რომ ამირანი საერთოდ ვერ გრძნობდა მათრახის დარტყმას. სამაგიეროდ ამირანზე მოქნეული მათრახის სიმწარე ჰაერში გროვდებოდა და უეცრად, იქვე მდგომ სეირის მაცურებლებს მეხივით დაატყდათ თავზე, ყველამ იგრძნო ზურგზე ადუ-



წერელი ტკივილი, ის რაც ამირანს უნდა ეგრძნო გამათრახებისას. ამ ამბის შემდეგ, ამირანს, სკოლაში, ბევრი ჩუმი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, რაც კიდევ უფრო აცოფებდა ჩრდილოელ შიკრიკებს და, მათ გადაწყვიტეს: ამირანი, ყოველ დღე, თითო საათით ბნელ ოთახში ჩაეკეტათ, სადაც გამუდმებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნს მოასმენინებდნენ. ასეც გააკეთეს, მაგრამ, ამირანი ვერ გატეხეს და ვერც გატეხავდნენ, ვინაიდან ამირანის უშუალო წინაპრები ღმერთის მსახურები იყვნენ.

### ამირანის წინაპრები



ამირანის ბაბუას არსენი ერქვა, თავად ამირანი ბაბუას ვერ მოესწრო. მაგრამ, მამის მონაყოლიდან იცოდა, რომ ის ბუნებით ლალი კაცი იყო, უყვარდა სიმღერა, ღამე სეირნობა და ვარსკვლავებთან საუბარი, მცენარეების, ცხოველების და ფრინველების ენა იცოდა, ჰაერიდან პეპლების გაჩენა შეეძლო, ან უცნაურად მოფარფატე ფრინველების. ამგვარი ნიჭით, ღმერთმა, მაშ შემდეგ დააჯილდოვა, როცა მისმა მამამ და უფროსმა ძმამ თავი გაწირეს იბერიელების სულის გადასარჩენათ, ეს მოხდა სკუპსკუპა ეშმაკების წელს, როცა იბერიას კუდიანმა-სკუპსკუპა-აღა-მანხმადი ურიცხვი ჯარით შემოესია.

სკუპსკუპა ეშმაკების წელს, იბერიელებს ცუდი დრო დაუდგათ, კუდიანი-სკუპსკუპა-აღა-მანხმადი ყვითელი ეშმაკის ხელშეწყობით იბერიისკენ მომწამლავი ორთქლის ღრუბელი გამოუშვა, რომელიც ჰაერს შეერია, პირველად ორთქლმა ცა გაყვითლა, მერე ხეები, ამას მოსახლეობის დიდი ნაწილის გაბრიყვება მოჰყვა, ზოგი დაბრმავდა, ზოგიც ფიზიკურად დაუძლურდა, ხოლო ის ვინც სულიერად ძლიერი აღმოჩნდა, ყვითელმა ორთქლმა ვერაფერი დაუშავა, მაშინ, გადარჩენილების გასანადგურებლად კუდიანმა-სკუპსკუპა-აღა-მანხმადმა ექვსფეხა თხების ჯარი დაძრა, რომლის

მიზანი იყო ღვთისმშობლის ხატის შეურაცყოფა. იცოდა სკუპსკუპა-აღა-მასხადმა, რომ მხოლოდ ასე იყო შესაძლებელი იბერიის საბოლოო დამარცხება, თორემ ისე ბევრჯერ აუოხრებია.

ექვსფეხა თხები საშინელი არსებები იყვნენ, მათ რქები წინ ჰქონდათ წამოშვერილი, ტანზე ბეწვის ნაცვლად, რკინის ეკლები ჰქონდათ ამოშვერილი, შუა ფეხები წინა და უკანა ფეხებთან შედარებით მოკლე ჰქონდათ. შეეძლოდ უკანა ფეხებზე დამდგარიყვნენ და წინა ორი ფეხით ხმლები ექნიათ, ხმლებს ჩლიქებს შორის იმაგრებდნენ. სისხლი საერთოდ არ გაჩნდათ, ამიტომ მათი დახოცვა თითქმის შეუძლებელი იყო და ეს მხოლოდ იმას ხელეწიფებოდა ვისაც სულის სიღრმემდე სჯეროდა იესო ქრისტესი.

სკუპსკუპა-აღა-მასხადმა ექვსფეხა თხების მილიონიანი ჯარი შეუსია იბერიას. თხებმა იბერიის დედაქალაქს ალყა შემოარტყეს, სომ-ინჩ-უზუმეს დახმარებით საიდუმლო გვირაბით ქალაქში შეიჭრნენ და დაერიენ ქალაქის მოსახლეობას, არ ინდობდნენ არც მოხუცებს, არც ბავშვებს. საშინელი წამებით სჯიდნენ ეკლესიის მღვდელ-მსახურებს და ეს მიუხედავად იმისა რომ იცოდნენ, თითოეული მღვდელის ან მონაზონის მოკვლა მათ ძალას დაასუსტებდა, მაგრამ რა ექნათ, ბოროტება იმდენად მართავდა მათ ტვინს, რომ სხვა არაფერზე არ ფიქრობდნენ; გარდა ამისა იმედი ჰქონდათ, რომ მიაგნებდნენ ღვთისმშობლის ხატს, გაანადგურებდნენ და სამუდამოდ მოიპოვებდნენ გამარჯვებას. თუმცა ხატის განადგურება ასე ადვილი არ იყო, და ეს რატომაც, ესეც კარგად იცოდნენ - ხატის განადგურება მხოლოდ იბერიელების ხელით იყო შესაძლებელი, რამეთუ ხატი მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიან იბერიელს იკარებდა ახლოს. ამ საქმეშიც სომ-ინჩ-უზუმე დაეხმარა და ხატის ადგილსამყოფელი გაუმხილა. ექვსფეხა თხებმა ალყა შემოარტყეს იმ ეკლესიას სადაც ხატი ეგულებოდათ, მაგრამ ხატს ვერ შეეხებოდნენ - იცოდნენ რომ შეხებისთანავე, მთელი მათი ჯარი ფერფლად გადაიქცეოდა. ამიტომაც ისევ სომ-ინჩ-უზუმეს უბრძანეს ხატის ეკლესიიდან გამობრძანება, რამეთუ ის მართლმადიდებელ ქრისტიანად იყო მონათლული და ხატზე ხელის შეხების უფლება ჰქონდა. მერე, ხატთან მორეკეს იბერიელები და უბრძანეს - ხატი ფეხით გაეთელათ, მაგრამ იბერი-





ელები გაქვავებულები იდგნენ, ადგილიდან არ იძროდნენ, უცებ ხმა გაისმა: „გამიშვით წინ!“ ხალხი შუაში გაიპო, გამოჩნდა თეთრჩოხაში გამოწყობილი მამაკაცი, რომელსაც გვერდით ვაჟისშვილი მოსდევდა, სწრაფად მიუახლოვდნენ ხატს, პირჯვარი გადაიწერეს, დაიჩოქეს და ხატს ეამბორნენ, სწრაფად წამოდგნენ, ჩოხაში დამალული ხმლები იშიშვლეს და ექვსფეხა თხებს დაერივნენ. მამა-შვილის ხმლების სიკაშკაშემ, იბერიელებს გული აუნთო, გაუქრათ შიში, მხრებში გასწორდნენ, გაიშალნენ და ერთიანად ხატის საშველად დაიძრნენ, ხატმა იგრძნო ხალხის გულის სიმხურვალე, გაცისკროვნდა და კაშკაშა შუქით აენტო. ნათება ღვთიური ძალისა იყო და იმდენად მწველი, რომ ექვსფეხა თხების მთელი ჯარი ფერფლად იქცა.

ამირანის წინაპრების საქციელმა რწმენა დაუბრუნა იბერიელებს და ისევ აღორძინდა იბერთა ქვეყანა.

### სახლისაკენ მიმავალი ჩაფიქრებული გზა



ამირანს ყოველთვის ახარებდა სახლში წასვლა, მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ აუცილებლად ქანქარა კაცს უნდა დამშვიდობებოდა, მაგრამ რა ექნა, ასეთი იყო სკოლა „ღამურას“ წესი და უნდა დამორჩილებოდა ამ წესს.

ქანქარას, ბავშვები ნო-დო დუმ-დუნკ-ბაძეს ეძახდნენ, ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ტვინი უყანყალებდა და რომელ მხარესაც გადახრიდა თავს, ან სხეულით გადაიხრებოდა, ტვინიც იმ მხარეს გადაუგორდებოდა. ხოლო, თუ მთვრალი იყო, ტვინი თავის ქალის ხან ერთ კედელს მიენარცხებოდა, ხან მეორეს. ამ დროს ნო-დოს თვალები ტვინის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით იცქირებოდა, პირს კი, წყლის ნაპირზე გამორიყული თევზივით აფჩენდა, ამ დროს ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა. ხშირად, თვითონაც იცოდა ხელის წარტყმა თავში, წაირტყამდა და ტვინს, ან მარცხნივ გადააგორებდა, ან მარჯვნივ, ამას

იმის შესაბამისად აკეთებდა, თუ რა გადაწყვეტილების მიღება სჭირდებოდა, როცა მარჯვნივ გადააგორებდა, მაშინ ერთ განზომილებიანი კატეგორიის აზროვნებაში მოექცეოდა, აზრებიც ერთ-კატეგორიული მოსდიოდა, ეს იყო: „კი“, ან „არა“, „მესმის“, ან „არ მესმის“, „არ დავაბეზდებ“, ან „დავაბეზდებ“, ამ უკანასკნელი აზრის მოსვლის შემთხვევაში გარბოდა ზარი-ურისთან, ან გუთლინკოსთან, იმიტომ, რომ მათაც ხშირად მოსდიოდათ მსგავსი აზრები და, მაშინ პირიქით ხდებოდა, ორივე ნო-დოსთან მიღბოდა, ერთიანი გადაწყვეტილების მისაღებად - რასაკვირველია, თუ ეს ურთიერთნაშეგებას არ ეხებოდა. მაგრამ, თუ ნო-დო ტვინს მარცხნივ გადააგორებდა, აზროვნების ორგანზომილებიანი კატეგორიაში ექცეოდა, აი მაშინ იწყებოდა მისი ტანჯვა, თავში საინტერესო აზრები მოსდიოდა, მაგრამ, ეს აზრები ძალიან აშინებდა, რამეთუ ხომ შეიძლებოდა, მისი აზრები, არ მოსწონებოდათ ინჩრუს-უზუმეს შიკრიკებს, მაშინ თავისიანად აღარ მიიღებდნენ და შეიძლება სამსახურიდან დაეთხოვათ, ან ყურები დაეჭრათ, როგორც ეს ერთ ვითომ პოეტს ყუბანას გაუკეთეს. ამიტომაც, სულ მარჯვნივ გადააგორებული ტვინით დადიოდა, ამის გამო დაკოჭლდა კიდევ.

ამირანი, გამოსამშვიდობებლად მაშინ შევიდა ნო-დოსთან, როცა დუმ-დუნკ-ბაძეს ტვინი მარცხნივ ჰქონდა გადააგორებული. ამირანმა, მის თვალებში ერთგვარი ნათელი ნათება შეამჩნია და გაუკვირდა თუ, რატომ მაღაგდა თავის შესაძლებლობებს ეს ადამიანი. ხოლო, ნო-დომ როგორც კი შეატყო, რომ ამირანმა შეამჩნია მის თვალებში ნათება, იმწუთასვე თავში ხელი მოირტყა და ტვინი მარჯვნივ გადააგორა - თვალებში ნათება ჩაუქრა და ამირანის კითხვაზე: „შეიძლება, თქვენო უმაღლესობავ წავიდე სახლში?“ – ნო-დომ კატეგორიულად უპასუხა: „წადი“.

სახლისკენ მიმავალი ამირანი, ყოველთვის, ცოტა ხნით, ქუჩის გადასასვლელ შექნიშანთან გაშენებულ პატარა სკვერში სკამზე ჩამოჯდებოდა, აქ მამას ელოდებოდა, და თან ქუჩაში მოსიარულე ხალხს აკვირდებოდა. დღესაც, ჩვეულებისამებრ, სკამზე ჩამოჯდა, ოდნავ ჩაცურდა და ცას მიაშტერდა, ჩაფიქრებულმა ვერც კი იგრძნო, თუ როგორ მიუჯდა გვერდით ვიღაცა, მხოლოდ სკამის



გადახრამ მოაბრუნა ფიქრებიდან, გვერდზე გაიხედა, მას მღვდელი უღიმოდა, ამირანი იმწუთშივე წამოდგა და მღვდელს ანაფორაზე ეამბორა. მღვდელს ნეტარების შუქმა გადაურბინა სახეზე და გულში გაიფიქრა: „ეს არის, ვიპოვე, ღმერთმა დაიფაროს“, – მზრუნველი იერით გახედა და შესთავაზა:

– დაჯექი შვილო, აი უფრო ახლოს, ჩემს გვერდით.

ამირანი მორიდებით მიუჯდა მამაოს.

– რატომ შესცქეროდი ცას? – ჰკითხა მღვდელმა.

– ვეძებდი, – უპასუხა ამირანმა.

– ის შენშია, – შენიშვნის ფორმით მიმართა მღვდელმა.

– ის ყველაშია და ყველას სჯერა მისი. და, ეს კანონზომიერია, – უპასუხა ამირანმა.

– მეტ-ნაკლებად, – ბოლომდე არ დაეთანხმა მღვდელი.

– რატომ არ სჯერათ სხვებს? – ჰკითხა ამირანმა.

მღვდელი დაფიქრდა, მერე მხრებში გასწორდა და მძიმედ ამოიოხრა, ამირანისკენ მთელი სხეულით მოტრიალდა და ჰკითხა:

– მომისმენ?

– სიამოვნებით, – დათანხმდა ამირანი.

– მაშ კარგი, მომისმინე, – მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და საუბარი დაიწყო:

– ადამიანების უმრავლესობას ღმერთის არსებობის სჯერა და სურთ იხილონ ღმერთი, ეს კანონზომიერია. ნაკლებად მორწმუნეებსაც სურთ იხილონ ღმერთი ან მისი არსებობის დამადასტურებელი ფაქტები და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათი რწმენა სუსტია, თუმცა ესეც კანონზომიერია. ჰოო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთის არსებობის დამადასტურებელი ფაქტების ხილვის სურვილი, ადამიანების დაბალ ცნობიერებაზე მიუთითებს, რამეთუ ღმერთის არსებობის ფაქტებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით, უბრალოდ ჩვენ ამას ვერ ვამჩნევთ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ადამიანს ბევრი რამ ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული, მაგალითად მას უკვირს ან არ უკვირს, როცა სოფლის ორღობეში შემთხვევით წააწყდება ვინმეს მიერ დაკარგულ ახალ ან გადაგდებულ ძველ რკინის ქვაბს. დაკარგვის შემთხვევაში ადამიანი ეძებს მიზეზ-შედეგობრივ გარემოებას, მაგრამ



თუ ქვაბი ძველია, მისთვის შედეგი გასაგებია. – ამირან, ხომ მისმენ?  
– შეეხმიანა მღვდელი.

– კი, მამაო ყურადღებით გისმენ, – უპასუხა ამირანმა.

– და, ასე, – გააგრძელა მღვდელმა საუბარი: – დაუშვით პირველი შემთხვევა. ქვაბი ახალია, ადამიანმა იგი შეიძინა და შემთხვევით დაკარგა. აქ ერთმანეთს უპირისპირდება კანონზომიერება და არაკანონზომიერება. კანონზომიერება მდგომარეობს იმაში, რომ სხვა ადამიანმა ქვაბი იმიტომ გააკეთა, რომ გაეყიდა და მიეღო შემოსავალი, ხოლო მყიდველმა იმიტომ იყიდა, რომ მოეხმარა. ადამიანს არ უკვირს ეს კანონზომიერება ანუ იგი რეალურ პროცესად მიაჩნია, მაგრამ უკვირს არაკანონზომიერება ანუ შემთხვევითობა - ქვაბის დაკარგვის და პოვნის. ამასთან, მას არ შეუძლია გამორიცხოს ეს შემთხვევითობა, ანუ მთელი პროცესი მოაქციოს კანონზომიერებაში. ადამიანის გაჩენის ანუ სიცოცხლის შექმნის, ან გარდაცვალების ანუ სიცოცხლის დაკარგვის შემთხვევაში, თუ რომელია ამ ორი მოვლენიდან კანონზომიერი ანუ რეალური, ან არაკანონზომიერი ანუ შემთხვევითი, ამის მტკიცება აბსურდულია, იმიტომ რომ, ორივე პროცესი რეალურია ანუ კანონზომიერი, სიცოცხლის შექმნა და მისი დაკარგვაც, მაგრამ, ქვაბის შემთხვევაში არა. ქვაბის შექმნა კანონზომიერია და ახასიათებს მიზეზ-შედეგობრივი პროცესი, ხოლო დაკარგვას არა. მაშასადამე, საწინააღმდეგო მოვლენების კანონზომიერების ერთ სისტემაში მოქცევა შესაძლებელია და ეს შეუძლია მხოლოდ ადამიანზე ბევრად უფრო გონიერ ძალას... ვინ არის ეს? ჩვენ მას გაჩენის დღიდან ღმერთს ვუწოდებთ. – მღვდელმა წამიერად შეისვენა და ისევ განაგრძო: – ახლა ამირან, განვიხილოთ მეორე შემთხვევა: ქვაბი, რომელსაც ადამიანი სოფლის ორღობეში შემთხვევით წააწყდა, ძველია, და ძირგამომპალი, მას არ უკვირს ქვაბის ასეთი ხვედრი და, შესაბამისად, ქვაბის პატრონის საქციელიც, რომელმაც უვარგისი ქვაბი გადააგდო. ამ შემთხვევაში სრულ კანონზომიერებას აქვს ადგილი: ქვაბი დაძველდა, გაფუჭდა და გადააგდეს, ეს პროცესი ადამიანის სასიცოცხლო ციკლს წააგავს, ადამიანი დაიბადა, ცხოვრობს, მოხუცდა და გარდაიცვალა. ამ ორ მსგავს პროცესს შორის განსხვავება შემდეგშია: ქვაბის დაძველება, მოხმარება და გადაგდება ადამიანის საყოფაცხოვრებო სურვილს უკავშირდება, ხოლო ადამიანის გაჩენა, ცხოვრე-



ბა და გარდაცვალება სცილდება ყოველგვარ ადამიანის და მითუმეტეს საყოფაცხოვრებო სურვილს, მის სასიცოცხლო ციკლში ღმერთი მონაწილეობს და ის არსებობს! და, თუ ვინმეს არ სჯერა? მაშინ, ურწმუნოებმა აღიარონ, რომ საყოფაცხოვრებო ნივთები არიან. და, კიდევ, ადამიანები როცა ჩახედავენ თვიანთ მობილურ ტელეფონებს, ტელეფონის ნომრებს მიღმა ცოცხალ ადამიანებს წარმოიდგენენ. მაშინ რატომ არ სჯერათ წმინდა წერილებში მოხსენიებული ღმერთის არსებობა? ვიცი, ამასთან დაკავშირებით ურწმუნოების პასუხი ასეთია: „ვერ ვხედავთ“. მაგრამ, ადამიანი ხედავს თავის გონებას? - მიუხედავად ამისა, ის ხომ არსებობს; ადამიანი შეიგრძნობს სითბოს, მაგრამ ვერ ხედავს მას, მაგრამ ეს ენერჯია რეალურია; ადამიანი ვერ ხედავს მართულში გამავალ დენს, მიუხედავად ამისა დენის არსებობა რეალურია და მას ის მაშინ შეიგრძნობს, როცა ელექტროდენის გამტარ შიშველ მართულს შეეხება, რაც შესაძლოა მისთვის სავალალოდ დასრულდეს. აბა, რატომ არ უნდა ირწმუნოს მისთვის უხილავი ღმერთის არსებობა? იმიტომ, რომ მიწიერი სამყაროს ცდუნებები ხიბლავს - გუული ეხარბება ცდუნებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემო ამირან, საყურადღებოა წმინდა მელიტონის სიტყვა: „ღმერთმა შენ შეგქმნა, როგორც მას სურდა და მოგცა შენ გონება და თავისუფლება, მან შენს წინაშე მრავალი ნივთი დააწყო, რომ შენ განსაჯო ყოველივე და ამოირჩიო ღირებული“. აი კიდევ რას ამბობს სხვა გონიერი ადამიანი, პლუტარქი: „მოიარეთ ყველა ქვეყნები და თქვენ შეიძლება შეხვდეთ ქალაქებს კედლების გარეშე, დამწერლობის გარეშე, მმართველის გარეშე, სასახლეების გარეშე, სიმდიდრის გარეშე, მონეტების გარეშე, მაგრამ არავის არ უნახია ქალაქი სალოცავების და ღმერთის არსებობის წრმენის გარეშე, ქალაქები სადაც არ აღაველენენ ღოცვას და არ იფიცებოდნენ ღმერთს“. და კიდევ - იესო ნაზარეტელის შობამდე, რამდენიმე ასწლეულის წინ, ეგვიპტელებს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავისი შეხედულება სამყაროს შექმნის შესახებ, მათი რწმენით ყველაფერი ღმერთმა შექმნა და შეუძლებელია მის გარეშე რაიმეს არსებობა, და როგორც ვხედავთ დღესაც ასეა, თითქოს-და ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა, მაგრამ, საიდან გაგვიჩნდა ეს მოთხოვნილება? ჩემი აზრით, ამ მოთხოვნილებას ჩვენში სული ქმნის, რომელიც ღმერთის მიერაა

ჩაბერილი. აი, რას ამბობს დიდი ასტრონომი კეპლერი: „დიდია ღმერთი და ყოვლის შემძლე, და მის სიბრძნეს არა აქვს საზღვარი, და შენ სულო ჩემო მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე იმღერე ღმერთის სადიდებელი“. გახსოვდეს ამირან! მატერიალურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები დამოკიდებულია მიზეზშედეგობრივ პროცესებზე, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებაშია მოქცეული. იგივეს ამბობდა კანტი, კარგად მომისმინე: „მიზეზის გარეშე სამყაროში არაფერი არ ხდება“. ხედავ რა სიღრმისეული აზრია, მაგრამ, ადამიანის საქციელი ხშირად სცილდება მატერიალური სამყაროს კანონებს, მას შეუძლია გადააგდოს ან არ გადააგდოს დაძველებული, ძირგამომპალი ქვაბი, ანუ თავისუფალი იყოს თავის საქციელში. აღნიშნულთან დაკავშირებით კანტი ამბობს: „იქ სადაც არ არის თავისუფლება არ არის ვალდებულება და ზნეობა“. მაშასადამე, კანტი თავისუფლებას, სულს და მორალს აიგივებს. მე მიმაჩნია, და ალბათ შენც დამეთანხმები, თავისუფლების არსებობა კი არ უარყოფს სულის არსებობას, არამედ პირიქით ადასტურებს, რომ ადამიანში არის ის რაც, არ არის მიწიერი და, ამას ჩვენ ვამჩნევთ მორწმუნე ადამიანის გაცისკროვნებულ გამოხედვაში. მორწმუნე და ურწმუნო ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ისევე როგორც ნიჭიერი და უნიჭო ადამიანები. – მამაო, ამირანს გახედა და ჰკითხა: – რისი უფლება აქვს ადამიანს? – იმისი რასაც მოიპოვებს, კეთილი საქციელით, – უპასუხა ამირანმა.

– გაიხარე! მართალი ხარ, – დაეთანხმა მამაო და საუბარი განაგრძო: – ადამიანის მიერაა შექმნილი ტელევიზორი და მან კარგად იცის, რომ ტელევიზორში გამოსახულების არსებობა დამოკიდებულია ელექტროდენის უწყვეტ მიწოდებაზე. ასევეა სამყაროს არსებობის პრინციპი, რომლის ენერგიით მომარაგება ღმერთის მიერ ხორციელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ისაკ ნიუტონი ამბობდა: „ის ყველგან არსებობს“. ნიუტონი სამყაროში მიმდინარე პროცესებს გარკვეულ კანონზომიერებას უკავშირებდა და, მართლაც, დედამიწა რამდენიმე ათეული მეტრით ახლოს, რომ იყოს მზესთან მისი ზედაპირი უდაბნოთი დაიფარებოდა, საწინააღმდეგო შემთხვევაში ყინულის სქელი ფენით. აღნიშნულთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ნიკოლაი კოპერნიკის აზრი: „ასეთი უნივერსალური მოდელის შექმნა



ღვთიურ ძალას თუ შეეძლო, აბა კიდევ ვის შეეძლო ეს ღამეა განეთავსებინა ასეთ საუკეთესო პოზიციაში”. კოპერნიკს მიაჩნდა, რომ სამყარო რთული მოდელია, რომელსაც ღვთიური ძალა აწესრიგებს. კოპერნიკის შეხედულებას ამაგრებს შედარებითი ანალიზი, მაგალითად: ადამიანმა შექმნა ფიჭური ტელეფონი, რომელიც საკმაოდ რთული მოდელია, მაგრამ რამდენად რთულია ადამიანის შექმნა, რომელმაც შექმნა ფიჭური ტელეფონი, ააგო კოსმოსური ხომალდი, ან რაოდენ ძნელია ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შექმნა და, მითუმეტეს, მისი მოწესრიგება. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საინტერესოა ალბერტ აინშტეინის მოსაზრება, რომელსაც მიაჩნდა, რომ სამყაროში მოქმედი კანონზომიერებები ადასტურებს ადამიანზე უფრო ძლიერი გონების არსებობას.

– მაგრამ, ამ მოსაზრებამდე აინშტეინი გვიან მივიდა, – ჩაერთო საუბარში ამირანი.

– გეთანხმები. მაგრამ, სჯობს გვიან ვიდრე არასდროს, – და, მამა-ომ საუბარი უფრო დამაჯერებელი ტონით განაგრძო: – სამყაროში მიმდინარე პროცესებს, ცოცხალი ორგანიზმების და საგნების არსებობას, გააჩნია წარმოშობის და არსებობის მიზეზი, რომლის უსასრულობა, ან დასასრული მიზეზის პირველსაწყისთან მიგვიყვანს, საიდანაც პროცესი მეორდება, სანამ იგი სრულყოფას არ მიაღწევს, ანუ მიზეზის პირველსაწყისის საწყისი და სასრული - პირობითი ცნება არ არის, ეს არის სპირალის პრინციპი, როცა ყველაფერი კანონზომიერ მოძრაობაშია და უსასრულოა. ასეთი კანონზომიერების შექმნა და ენერგიით მომარაგება შეუძლია მხოლოდ ღმერთს. ადამიანის შემთხვევაში ამ კანონზომიერებას სული აწესრიგებს, რომლის მისია ზეციური და მიწიერი სამყაროს ჰარმონიზაციაა, ხოლო სამყაროს შემთხვევაში ამას კოსმოსური ენერგია აწესრიგებს, ორივეს კი ღმერთი. ჩემო ამირან! – და, მღვდელმა საუბარი დაბალ ხმაზე განაგრძო: – განამარხებული და ცოცხალი ორგანიზმების შესწავლამ დაადასტურა, რომ ყველა ორგანიზმში ჩადებულია გარემოს მიმართ შემგუებელი კოდი, აქ ისმის კითხვა ვინ ჩადო ეს კოდი ორგანიზმში? ვინ იცოდა, რომ გარემო შეიცვლებოდა? ყველაფერი ეს მიგვანიშნებს, რომ სამყაროში წინასწარ განზრახული, მოწესრიგებული პროცესები მიმდინარეობს, რომელსაც თავისი მიზანი გააჩნია. ასეთი რთული

მოწესრიგებული სისტემის ჩამოყალიბება მხოლოდ ზებუნებრივ ძალას შეეძლო, ასეთი ძალა კი, მხოლოდ ღმერთს გააჩნია. ამირან, სამყაროს არსებობა და მასში მოქმედი კანონები თავისთავად ამტკიცებს ღმერთის არსებობას, რამეთუ სამყარო თავისით ვერ შეიქმნებოდა, მითუმეტეს ასეთი მოწესრიგებული. და, თუ სამყარო თავისით შეიქმნა საიდან მოვიდა ის საწყისი მატერია საიდანაც ის შეიქმნა? ან საიდან მოვიდა სამყაროს შესაქმნელად საჭირო ენერჯია? შესაძლებელია ეს მომხდარიყო თავისთავად, საწყისი ბიძგის გარეშე? საიდან გაჩნდა და რატომ მოქმედებს სამყაროში ბუნების კანონები, თუნდაც სხეულების ურთიერთმიზიდულობის? ჩემი მოსაზრებით არასულიერ სამყაროს არ შეუძლია შექმნას და, მითუმეტეს, შეინარჩუნოს რაიმე მოქმედების პრინციპები, კანონებზე ლაპარაკიც კი, ზედმეტია. ესე იგი უნდა ვაღიაროთ, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა. – მამაო ცოტახნით დადუმდა და მერე კატეგორიული ტონით განაგრძო: – და, კიდევ ერთხელ დავსვამ კითხვას, რატომ ვერ ხედავს ადამიანი ღმერთს? წარმოვიდგინოთ ღამის ფრინველი ბუ, რომელიც მონაწილეობს როგორც ღამის, ასევე დღის ცხოვრების რიტმში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღისით ის ვერ ხედავს, მასში ეს შესაძლებლობა არ განვითარდა და ამიტომაც ვერ ხედავს, სწორედ ამიტომაც ვერ ხედავს ურწმუნო ადამიანი ღმერთს, ის ბუს მსგავსად ერთდროულად იმყოფება ზეციურ და მიწიერ სამყაროს ზღურბლზე... აქ ჩნდება ადამიანის ძირითადი მისიის ცნება, რომელიც ზეციური და მიწიერი სამყაროების ჰარმონიზაციაში მდგომარეობს... ჰოო, რთულია... მაგრამ, ეს უნდა იცოდეთ, რომ ადამიანში არსებული რწმენა თავისთავად ადასტურებს ღმერთის არსებობას, იმიტომ, რომ რწმენა ეს რეალობის ამსახველი განცდაა, მაგალითად: გლეხს სწამს, რომ დარგული ხეხილი ნაყოფს გამოისხამს; სტუდენტს სჯერა, რომ თუ საგანს ისწავლის ნიშანს მიიღებს; მღვდელს სჯერა წმინდა წერილის და დარწმუნებულია, რომ სამოთხეში მოხვდება.

– ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ,  
– საუბარში ჩაერთო ამირანი.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა მღვდელი, და განაგრძო: – გასული და თანამედროვე საუკუნის მეცნიერების უმეტესობას სწამს ღმერთის არსებობის. აი რა თქვა დევიდ ინგლსმა: „ჩვენ ფიზიკოსებმა, ვნახეთ





შემოქმედების ხელქმნილება, რომელიც უხილავია სხვა ადამიანებისათვის, ეს მე და ჩემს თანამშრომლებს გვანიჭებს გრძნობას, რომ არსებობს რაღაც დიადი და მშვენიერი. ესაა სამყაროს შექმნის მიზეზი, რომლის ახსნა შეუძლებელია”. დაახლოებით იგივე მოსაზრებისაა ბელგიელი მეცნიერი ჟულ დიუშეზი, ხოლო, ფერადი ტელევიზორის შემქმნელი ელმერ ენგსტრომი სამყაროს წარმოშობის შესახებ ამბობს: „მე ვხედავ კარგად გააზრებულ და შემუშავებულ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდა სამყაროს შექმნა”. იცი კიდევ რას ამბობდა აინშტეინი? – არ დაელოდა პასუხს და საუბარი განაგრძო: – „მეცნიერება რაც უფრო მეტ აღმოჩენებს აკეთებს ფიზიკურ სამყაროში, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ზოგიერთი რამ შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული რწმენით აიხსნას”. დიახ, აინშტეინის მიერ წარმოთქმული ეს მოსაზრება დღესაც აქტუალურია და, მართლაც, ჩვენს საუკუნეშიც ჯერ კიდევ ამოუხსნელია გრავიტაციის, საერთოდ ენერჯის ან ძალის არსი, ეს მხოლოდ მათემატიკური ენითაა განმარტებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ღმერთი ყველაფრის უფლებას არ გვაძლევს, ჩვენ ბევრი რამ მხოლოდ გონების თვალთ შეიძლება დავინახოთ... მეცნიერებმა ეს ფაქტი დიდი ხანია დააფიქსირეს და მეცნიერებაც უფრო მორიდებული გახდა. საბუნებისმეტყველო მეცნიერების დოქტორი ხაიხემ აუტრუმი ამბობს: „უკანასკნელ ასწლეულში, მეცნიერება უფრო მოკრძალებული გახდა. ოდესღაც მიაჩნდათ, მეცნიერება ყველაფერს აღმოაჩენდა, რაც კი უცნობი იყო. თანამედროვე მეცნიერებამ ამაზე მოკრძალებულად დაიწყო ფიქრი მას შემდეგ, როცა დაადგინა, რომ ადამიანს არ შეუძლია საბოლოო და სრულყოფილი დასკვნების გაკეთება; ადამიანის ცნობიერება შეზღუდულია. თანამედროვე მეცნიერებს გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ დაიჯერონ ღმერთის არსებობა, ვიდრე ეს ადრე იყო, იმიტომ რომ, მეცნიერებამ ახლა დაინახა თავისი შესაძლებლობის ფარგლები”. ჩემი მოსაზრებით, ამირან, ადამიანის შესაძლებლობები დამოკიდებულია ადამიანის სულის კომუნიკაბელობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით გამიჩნდა საკმაოდ სერიოზული კითხვები: რამდენად მიზანშეწონილია მეცნიერების ჩარევა ადამიანის გენეტიკურ აგებულებაში? ხომ არ გამოიწვევს ეს სულის გაუცხოვებას მიწიერი სამყაროს მიმართ? ჩემო ახლად შეძენილო მეგობარო, აი რას წერს ამის შესა-

ხებ ელვინგ ანდერსონი: „ჩვენ უკვე შეგვიძლია შევცვალოთ გენების თანაფარდობა. მომავალში შევძლებთ მისი შემცვლელების დამზადებას. მაგრამ, გენეტიკური კონტროლი ცუდი მიზნებისათვის შეიძლება იყოს გამოყენებული. აი რატომაა საჭირო ბიბლიით ხელმძღვანელობა, გენეტიკური მაკონტროლებელი პროგრამის შემუშავებისას და როგორც ქრისტიანი მე მჯერა, რომ ადამიანი მეტია ვიდრე ქიმიისა და ფიზიკის ელემენტების კომბინაცია“.

ვერც ამირანმა და ვერც მღვდელმა ვერ შეამჩნია, თუ როდის წამოადგათ თავზე დავითი, რომელიც კარგახანია ყურადღებით უსმენდა შვილისა და მღვდელის საუბარს.

– შენა ხარ დავით? – გაკვირვება ვერ დამალა მღვდელმა.

– ჰო, მე ვარ, – ღიმილით უპასუხა დავითმა.

– აი გიპოვეთ, უფრო სწორედ ჯერ შენი შვილი... იცი, რომ დავინახე, იმწუთასვე მასში შენ ამოგიცანი... კარგია, ისევ ვიკრიბებით, – იმედიანი განწყობით თქვა მამამ.

– ეს კარგია, თორემ... – დავითმა სათქმელი აღარ დაამთავრა, და განაგრძო: – მინდა აღვნიშნო, – და დავითმა გააგრძელა მღვდელის საუბარი, – რომ ღმერთის არსებობა მტკიცდება ეგზოგენური სულიერმატერიალური შეგრძნებითაც. შენს მიერ აღწერილ ქვების შექმნის და დაკარგვის მაგალითში აღწერილი გარემოება ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი ენდოგენური დასაბუთებაა, რადგანაც პროცესი მიმდინარეობს უშუალოდ ადამიანის შიგნით, რამეთუ საუბარი იყო სიცოცხლის - ქვების პოვნის და გარდაცვალების - პროცესის ერთ კანონზომიერებაში მოქცევის შესახებ. მაგრამ, ღმერთის არსებობის შესახებ არსებობს მრავალი სხვადასხვა სახეობის არგუმენტი, რომელიც შეიძლება მოექცეს ერთდროულად ეგზოგენურ და ენდოგენურ ფაქტორებში. ეგზოგენური, ანუ გარეშე გარემოებანი მოიცავენ მეცნიერულ დასაბუთებებს და სხვა ადამიანების არგუმენტებს. ხოლო, ენდოგენური - ადამიანის შიგნით არსებული შეგრძნებები და ხილვები, გამოწვეულია სულის ზემოქმედებით, და ორივე ეს ფაქტორი - ეგზოგენური და ენდოგენურიც ერთმანეთშია. ხშირად შეუძლებელია ენდოგენურის და ეგზოგენურის ერთმანეთისგან გარჩევა, მაგალითად, ლუი პასტერის უეცარი აღიარება ღმერთის არსებობის შესახებ ეს შეიძლება მივაწეროთ როგორც ენდოგენურ, ასევე ეგზოგენურ შეგრძნებებს და ეს



ჩანს მის გამონათქვამშიც: „მე ბევრი შევისწავლე და ამიტომ მჯერა, როგორც უბრალო ქრისტიანს. მე, რომ უფრო მეტი ცოდნა მიმელო, ჩემი რწმენა გახდებოდა ისეთივე ღრმა და ცეცხლოვანი, როგორც უბრალო გლეხი ქალისა“. ამ გამონათქვამიდან აშკარად ჩანს თუ რა გავლენა მოახდინა პასტერზე სხვისმა რწმენამ, ცოდნამ და შინაგანმა სულიერმა განწყობამ; ადამიანის სული ადამიანის მიწიერი ცხოვრების განმსაზღვრელია. აი რას წერს სულის შესახებ პავლოვი: „მე ვსწავლობ უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედებას და ვიცი, რომ ყველა ადამიანის გრძნობები: სიხარული, მწუხარება, სევდა, განრისხება, სიძულვილი, ადამიანის აზრი, თვით ცნობიერება და განსჯა ურთიერთდაკავშირებული არიან და თვითოეული მათგანი დაკავშირებულია ადამიანის ტვინთან და მის ნერვებთან. და, როცა სხეული წყვეტს სიცოცხლეს, მაშინ ყველა ეს გრძნობები და ადამიანის აზრი, ერთგვარად მოსწყდებიან გარდაცვლილის ტვინის უჯრედებს. საერთო კანონის ძალის ქვეშ იმის შეგრძნებით, რომ არც ენერჯია და არც მატერია სამყაროში უკვალოდ არ იკარგება და უკვდავი სულის შემადგენელია“.

– შეიძლება მეც ვთქვა, – მოკრძალებულად ჩაერთო საუბარში ამირანი.

– რა თქმა უნდა, – ერთდროულად უპასუხა მღვდელმა და დავითმა.

– ჩემი მოსაზრებით, – ამირანმა ხმადაბლა დაიწყო საუბარი, – ის რაც არსებობს მას დასაბუთება არ სჭირდება, ღმერთის არსებობის დასაბუთება მკრეხელობაა, უბრალოდ უნდა გვეჯეროდეს მისი არსებობის, და გვახსოვდეს: „ნეტარნი არიან მორწმუნენი“. ჩვენი მეცნიერება, მატერიალურ სამყაროს ცდებზე დამყარებული მეთოდებით სწავლობს, ამასთან სწავლობენ იმას რასაც თვითონ აღიქვამენ. – და ხმამაღლა დაამთავრა: – ჩემს წინაპრებს სჯეროდათ, მეც მჯერა, და ამიტომაც ვერაფერ ვერ დამამარცხებს, რამეთუ ღმერთი ჩემთანაა!

და, როცა ამირანმა საუბარი დაამთავრა, დავითმა და მღვდელმა ერთმანეთს შეხედეს, და მათ მზერაში წაიკითხავდით სიხარულს, გაკვირვებას, აღფრთოვანებას და იმედს.

მღვდელმა თავი დახარა და დავითის გასაგონად წაიჩურჩულა: – მას ყველაფერი ახსოვს, ოღონდ არ ამბობს, ჩვენი სწავლა არ სჭირდ-



ება, იცის როგორ უნდა მოიქცეს... ჩვენ მთავარია დავიფაროთ, გაზრდა მოასწროს და მერე... – და მღვდელმა დავითის მსგავსად სათქმელი არ დაამთავრა.

დაღლილობა სამივეს შეეცყო, ჩუმად დაიშალნენ, მხოლოდ თვალებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავიანთ გზას გაუდგინენ.

ამირანმა და დავითმა ქუჩის გადასასვლელი გადაკვეთეს, ტაშის დამკვრელ კაცს გამოხედეს, რომელმაც ხელი დაუქნია და თან მიაძახა:

- ხვალამდე დღეს, წარსულის იმედად გუშინ.
- ამირანი მიუხვდა სათქმელს და თვითონაც გასძახა:
- დღე დილისა და ღამე მოციქულისა.

### შინდისფერი დილა ჩამწიფდა



ღამე თანდათანობით გაფერმკრთალდა, მიხვდა მისი წასვლის დრო რომ ახლოვდებოდა, მუქი ფერის შუქ-ჩრდილები შემოიკეცა და ცაში გაჭრილი ფანჯრიდან გადაძვრა - დედამიწის მეორე მხარეს. მთვარემაც იგრძნო თავისი წასვლის დრო, კიდევ ერთხელ გადავლო თვალი ქალაქს, დაემშვიდობა ღამის მანათობელ ვარსკვლავებს და ისიც დედამიწის მეორე მხარეს გადაგორდა, იქ სადაც უკვე ღამე ელოდებოდა.

ამირანმა, საბანში შემოპარული დილის სუსხის სურნელება იგრძნო, გაეღვიძა, თავი კასრიდან გამოყო, ოთახი მიათვალაიერ-მოათვალაიერა, გამოღებული კარიდან შეამჩნია, რომ საწოლში დედ-მამა აღარ იწვნენ, არა და როგორ უყვარს მათთან ლოგინში ჩაკოტრიალება... რა ექნა, ზღაზუნა-ზღაზუნით გამოძვრა კასრიდან და ჩაცმა დაიწყო... სევდიანი სიმღერის ხმა შემოესმა, ყური ქუჩისკენ გაექცა, მეუზოვე მღეროდა:

ილიას თოფი ესროლეს,



აკაკი მოკლეს შიმშილით,  
ქვეყანა წითლად შეღებეს,  
ბელელი გააგსეს თავგებით.  
მირონცხებული საგანე,  
სხვა იბერია სად არის?!  
ზვიადმა ხალხი აშალა,  
ედუარდმა ყველა დაგეშალა,  
მიშამ აგეშალა-დაგეშალა,  
ოპოზიციამ წაგეშალა.  
მირონცხებული საგანე,  
სხვა იბერია სად არის?!

ერთ-ერთმა გამგლეღმა, მეეზოვეს სიმღერა აიტაცა და შემდეგ-  
ნაირად დაასრულა:

ისევ აგეშლიან, დაგეშლიან  
სანამდე სულ არ წაგეშლიან.

ამირანს, აივნიდან მამის საუბარი შემოესმა - დედას ესაუბრებო-  
და:

– ზაქარია უნდა გავხიზნოთ სადმე, თორემ მიხვდებიან რა „მე-  
ნაგვეცაა“.

– მე მგონი უკვე იციან, თანაც ის ჩვენს გარეშე არსად არ წა-  
ვა, – უპასუხა თამარმა.

ცოტახნის სიჩუმე, ისევ მამამ დაარღვია:

– თამარ ბავშვს გაეღვიძებოდა.

– მართალი ხარ, – უპასუხა თამარმა.

თამარი ამირანის ოთახში შევიდა და როცა ამდგარი ნახა, გა-  
უხარდა.

– ჩემი ვაჟკაცი ბიჭი. – მიუახლოვდა და გულში ჩაიკრა.

ცოტახანში მამაც შემოვიდა და სამივე საჭმელად სასადილო  
ოთახში გავიდნენ.

– დღეს აუცილებლად იწვიმებს, ქოლგა წაიღეთ, – ორივეს  
გასაგონად აღნიშნა თამარმა.



– კარგი, – დაეთანხმა დავითი.

ამირანს ძალიან უყვარდა ქოლგა, მყუდროდ გრძნობდა თავს მის ქვეშ, მითუმეტეს თუ წვიმდა.

სახლიდან სამივე ერთად გამოვიდა, მამა-შვილი მეტროსკენ წავიდა, ხოლო თამარი, ჰაერში მოხტუნავე გადასასვლელით მოპირდაპირე მხარეს გადავიდა, იქ საიდანაც მისი სამსახურისკენ მიმავალი ყვითელ-მწვანე ფერის, ხუთკუთხა ავტობუსი ჩერდებოდა.

დილის ცხრა საათი იყო, როცა დავითი და ამირანი ქუჩის გადასასვლელს მიაღწენენ. ადრე იყო და ქუჩაში შედარებით ცოტა მანქანა დადიოდა, მაგრამ, დავითი მაინც დაიძაბა, ყვითელი შუქნიშნის მოლოდინში და როცა აინთო, სასწრაფოდ ხელი წაავლო ამირანს, და ორივემ სწრაფად გადაიბრინეს გადასასვლელი.

ამ დილითაც ტაშით მიეგება გადასასვლელზე გადმოსულ ამირანს და დავითს, გადასასვლელის კაცი.

ცოტახანშიც სკოლაც გამოჩნდა, მიახლოებისთანავე დავითმა, ამირანს ქოლგა გადასცა და დაარიგა:

– დღეს ცოტა დამაგვიანდება და როგორც ყოველთვის სკვერში დამელოდე. იცოდე, არავის არ გამოელაპარაკო, არ წამოგცდეს ფუტკრისა და კაქტუსის შესახებ რაიმე, აბა ჭკუით იყავი, – და დავითმა, გამხნეების ნიშნად მხარზე ხელი დაჰკრა, თვითონ კი, უკან გაბრუნდა.

ამირანს სკოლის კარებში, გაბადრული სახით და აღფრთოვანებული შეძახილით გუ-თლინკო შეეგება:

– ჩვენი სიამაყე მოვიდა, ჩვენი ჭკვიანი... დედა რა ლამაზი ფენსაცმელები გაცვია...

საიდანღაც ნო-დოც გამოჩნდა. ამირანმა მაშინვე შეატყო, რომ მას ტვინი მარჯვენა მხარეს ჰქონდა გადაგორებული. ნო-დომაც გუ-თლინკოს მსგავსად მორთო ერთი ვაი-ვიში.

– ჩემი საუკეთესო მეგობარი! – საკუთარ ყვირილს გაასწრო ზარი-ურმა და ამირანს ჩაეხუტა.

ამირანს გულმა რეჩხი უყო, მიხვდა, რომ მის მიმართ მზაკრული გეგმა მზადდებოდა.



გუ-თლიკომ ამირანს დღის სამუშაო გეგმა გადასცა, რომელიც ამირანს გაკვეთილის ბოლომდე უნდა შეესრულებინა. გეგმის მიხედვით, ამირანს, პირველად, კედელზე ღამურების ლანდებისათვის ნივრისანი წყალი უნდა შეესხა, მერე ქლიბით კიბის სახერულზე ამოშვერილი რკინის ეკლებისათვის თავები წაემახვილა, ბოლოს კი, საჯარო გაკვეთილზე ლენინზე ლექსები უნდა ეთქვა. ამირანმა, სამუშაო გეგმიდან, მხოლოდ პირველი შეასრულა, რამაც ძალიან გააჯავრა არ-სეი-რგო... და მისი ბრძანებით, სკოლის შუადღის საჭმელზე, შემწვარი კარტოფილი, დააკლეს. ინჩ-ურამ კი დავალების ბოლომდე არ შესრულების გამო, თავის წიგნაკში, ამირანის გვარის გასწვრივ, მინუს სამი ქულა ჩაწერა - მინუს თერთმეტი ქულის შეგროვების შემთხვევაში, მას სარკეებიან ოთახში ჩასვამდენ.

დღის ბოლოს, ამირანი, როგორც წესი ნო-დოსთან შევიდა და სამშვიდობებლად და დაინახა, თუ როგორ მადიანად მიირთმევდა იმ კარტოფილს, რომელიც მას დააკლეს, დავალების ბოლომდე არ შესრულების გამო.

- შეიძლება წავიდე ბატონო? - მოკრძალებით იკითხა ამირანმა.

- ხელი თუ მოაწერე ლი-იას დავთარში? - ჰკითხა ნო-დომ.

- დიახ, - უპასუხა ამირანმა.

ნო-დომ ახედა ამირანს და მკაცრი ხმით მიახალა:

- შენზე, ლა-მარი ბეგი-ძემ, ან-ია მარ-უუ-შილს საიდუმლო ინფორმაცია გამოატანა. ჰო-და... და, თუ ჭკუით არ იქნები, ამ სკოლიდან მოგისვრიან. ხომ გაიგე რაც გითხარი?

- კარგი, ჭკუით ვიქნები, - უპასუხა ამირანმა, დაემშვიდობა და სახლისკენ წავიდა.

გარეთ ოდნავ წინწკლაგდა. წვიმას ვერ მოესწრო სკვერში დადგმული სკამების დასველება.

- გამიმართლა, - გაიფიქრა ამირანმა, ქოლგა გაშალა და ერთ-ერთ სკამზე დაჯდა. ცოტა მოგვიანებით, ოდნავ მოშორებით, მეორე სკამზე გრძელთმიანი მამაკაცი ჩამოჯდა, ქვაფენილზე ფეხების წინ, ქუდი დაიდო. მერე, ყუთიდან ვიოლინო ამოიღო და დაკვრა დაიწყო. ჯადოსნური ჰანგები ჰაერში მიმოიფანტა. მართა-



ლია, სამუშაო საათი იყო, მაგრამ ხალხი ქუჩაში მაინც საკმაოდ ბევრი ირეოდა. მათგან უმრავლესობა საჭმელად, ან პირად საქმეზე მიიჩქაროდა და მუსიკოს მხოლოდ ირიბად თუ გახედავდნენ, ყურით რამდენიმე ჰანგს მოიპარავდნენ და თავის სურვილებში ჩაკარგულები ლაბირინთების სივრცეში განაგრძობდნენ გზას. ხანში შესულ მუსიკოს პირველად ლამაზი გარეგნობის ქალბატონმა მიაქცია ყურადღება, რამდენიმე წამით მევიოლინეს წინ შეჩერდა, მერე, ჩანთიდან საფულე ამოიღო და რაც ხურდა ფული ჰქონდა ქუდში ჩაუყარა და ისევ განაგრძო გზა. ცოტა მოგვიანებით ახალგაზრდა მამაკაცმა ჩაუყარა ფული, მერე გოგონამ, ისე რომ არც შეუხედავთ მუსიკოსისათვის, არც მევიოლინე აქცევდა ასეთ გამვლელებს ყურადღებას, მისი ყურადღება მხოლოდ ერთმა ბავშვმა მიიქცია, მას დედა ხელჩაკიდებული მიარბუნინებდა, უცებ ბავშვმა დედას ხელი გააშვებინა და მუსიკოსთან მიიბრინა:

– მეც გამოვალ დიდი მუსიკოსი, – ამაყად თქვა ბიჭუნამ და ფულის ნაცვლად შოკოლადი კინდერის საჩუქარი ჩაუგდო ქუდში.

მუსიკოსმა საჩუქარი ქუდიდან ამოიღო და გაცრეცილი პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიღო - ამასობაში, ბავშვს დადევნებული დედაც წამოადგა თავზე, ბიჭუნას ხელი წაავლო და ისევ სირბილსირბილით გააქცია. ბიჭუნა მიჰყვებოდა დედას, მაგრამ წამდაუწუმ უკან იყურებოდა, რომ კიდევ ერთხელ შეეველო თვალი მუსიკოსისათვის.

წვიმამ ნელ-ნელა უმატა და წვეთები ისეთი ხშირი გახდა, რომ ჰაერში დაბინდული ფარდის მსგავსი მატერია შეიქმნა, მუსიკოსის თავზე ჩამოშვებული დაბურული ხის ფოთლები წვიმას ვედარ აკავებდნენ, მაშინ ამირანი მუსიკოსის გვერდით გადაჯდა და ქოლგა გადააფარა.

– მე გიცანი, – უთხრა ამირანმა.

მუსიკოსმა დაკვრა შეწყვიტა, ამირანისაკენ გაიხედა და შეეკითხა:

– ყოფილხარ ჩემს კონცერტზე?

– კი, წინა ცხოვრებაში, ოცდახუთი წლის რომ ვიყავი მაშინ, – იღუმალნი ხმით უპასუხა ამირანმა.





– იცი ერთხელ სცენაზე ვიოლინოს სიმები გამიწყდა და მხოლოდ ერთ სიმზე მომიწია დაკვრა, იმ დღიდან ხალხმა მუსიკის „ჯადოქარი“ შემარქვა... ახლა რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გაგზინდე, ჩემს დაკრულს არ უსმენენ, ვერ აღიქვამენ, მხოლოდ ფულს მიყრიან ქუდში, არადა ჩემი სახელის გაგონებაზე ხალხი აღფრთოვანებას ვერ მაღავდა, – დაღონებით თქვა მუსიკოსმა. მერვე ვიოლინო ყუთში ჩადო, ქუდიდან ხურდა ფული ამოიღო და ჰაერში აისროლა, მონეტები ჰაერში დატრიალდნენ, მოციმციმე წერტილებად გადაიქცნენ და სივრცეში გაუჩინარდნენ. – სიკეთე ხალხს ეკუთვნის, – ეს თქვა, ქუდი დაიხურა, ამირანს დაემშვიდობა და წვიმის ფარდის უკან გაუჩინარდა.

მუსიკოსის გაუჩინარებიდან რამდენიმე წამის შემდეგ წვიმაც შეწყდა. ქუჩაში მოსიარულეთა რიცხვმა იმატა. ამირანმა ხალხის თვალიერება განაგრძო, აკვირდებოდა მათი სიარულის მანერას, ქცევას და შეამჩნია, რომ ზოგიერთი დარდის გასაქარვებლად სეირნობდა, ასეთები მძიმე ნაბიჯებით დადიოდნენ. ფეხით მოსიარულეთა ერთი ნაწილი ნებივრობდა სიარულისას, უბრალოდ მოსწონდათ სეირნობა, ზოგიც შეშინებული დადიოდა და აქეთ-იქით იყურებოდა, მათი სიარულის მანერა ფრთხილი იყო. ახალგაზრდები, მეტწილად კი არ დადიოდნენ, დაფრინავდნენ – თუმცა ზოგი უსაქმოდ, ზოგიერთი კი, უსუსურად თავჩაღუნული. მამისგან იცოდა, რომ ახალგაზრდების დიდ ნაწილს ძალიან გაუჭირდა, სწავლის ფულს ვერ იხდიან, ვერც სამსახურს შოულობდნენ და იძულებულნი გახდნენ ქურდობისათვის მოეკიდათ ხელი, ან საზღვარგარეთ წასულიყვნენ თავის სარჩენად. კარგად ესმოდა ამირანს, რომ ამგვარი გარემოების შექმნა, ინჩ-უზუმეს ემისრების ერთგვარი გეგმის ნაწილი იყო, მათ სურდათ, რომ იბერია იბერიელებისაგან დაეცალათ და იბერიის მიწას, კულტურას და ისტორიას დაპატრონებოდნენ.

– აი ყველაზე უღირსი სიარული, – ხმამაღლა წარმოთქვა ამირანმა, – საშინელებაა როცა ადამიანი მუცლითა და თეძოებით დადის, ანუ როცა ღოღავს, ასეთები ძალიან მომრავლდნენ იბერიაში ვისაც მხოლოდ მუცლის ცხონება ახარებს, – უკვე გონებაში ჩაილაპარაკა, – ასეთ ადამიანებს ხმაც განსხვავებული აქვთ, რა-



დაც ქონიანი, მსუყე და ამასთან ჩახლქილი, – და ამირანი ფიქრებში წავიდა, თან ცას შესცქეროდა, თითქოს მას უზიარებდა თავის აზრს: „ადამიანის ხმა სულის ინსტრუმენტია, რომელიც ყველაზე უფრო მგძნობიარე და ემოციურია, ხმა გრძნობების მატარებელია, ის აწიშვლებს ადამიანის ბუნებას“. ამ ფიქრში იყო, როცა ახალგაზრდა ბიჭებმა და გოგონებმა სიმღერით ჩაიარეს – კახურ მრავალჯამიერს მღეროდნენ. სიმღერამ მთელი მისი სხეული მოიცვა... – მართალია მამაჩემი, როცა ამბობს, და გონებაში გაიმეორა: „როცა ადამიანი მღერის სული ფარისევლობის ნიღაბს იცილებს და წარმოჩნდება მთელი თავისი სიწმინდით“. – მართლაც ასეა! თორემ, ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, მათი ჩაცმულობის მიხედვით, გარყვნილების ჯგროდ შეიძლებოდა შეგვეკრაცხა. ასეა, სიმღერა ყველაზე ძლიერი იარაღია, რამეთუ ის აღწევს ადამიანის სულში, სიმღერით მიდიოდნენ იბერიელები ომში და სიმღერით აცილებენ თავის მიცვალებულებს. სიმღერა ეს ის თვისებაა, რომელიც ადამიანს განასხვავებს სხვა არსებებისაგან... ეს მაღლი იბერიელებს ღმერთმა მიანიჭა. ბევრი ჩვენებური და უცხოებიც გვაკრიტიკებენ, იბერიელებმა სიმღერისა და ცეკვის მეტი არაფერი არ იციანო, მაგრამ ეს ხომ ყველაფერია და ეს ხომ ღმერთთან გვაახლოვებს... და, ამაზე მეტი რა გვინდა, რომ გვჭქონდეს?!

ამირანი ფიქრმა ისე გაიტაცა, რომ მთელი არსებით ჩაეფლო განცდებში, სხეული დაეძაბა, წარბები მოეჭმუნა. აზრი ხან მასთან იყო, ხან გარბოდა უკიდევანო სივრცეში და იკარგებოდა გველეშაპივით პირდაფრენილ სამყაროში, იმ იმედით, რომ ოდესღაც ვინმე იპოვნიდა და უკან დააბრუნებდა.

ამასობაში მზემაც კარგა გვარიანად გამოანათა და სხივები თავის საქმიანობას აქტიურად შეუდგნენ, ჯერ პატარა წყლის გუბეები ამოაშრეს და მერე ერთიანად დიდ გუბეებს ეძგერნენ. ამირანიც მოწყდა ფიქრების ზგავს... და განმარტოვდა წყლისგან შეკრულ სხეულში... მერე, იმ მხარეს გაიხედა საიდანაც მამას ელოდებოდა... მამას საკმაოდ აგვიანდებოდა. მამის ლოდინი გაუსაძლისი გახდა, სკამიდან წამოდგა და ქუჩის გადასასვლელს მიუახლოვდა, გადასასვლელის ნაპირას გაჩერდა და აჟინებით დაა-



ცქერდა მეორე მხარეს. ნახევარი საათის შემდეგ მამაც გამოჩნდა. ერთმანეთისაგან კარგა დიდი მანძილი აშორებდათ, მაგრამ ერთმანეთს მკაფიოდ ხედავდნენ. დავითმა, როცა ამირანი ქუჩის გადასასვლელის ნაპირას დაინახა, საყვედურის ნიშნად თავი გააქნია-გამოაქნია. მიხვდა ამირანი, რასაც საყვედურობდა მამა – შუქნიშანთან ახლოს არ უნდა დამდგარიყო, მაგრამ იქ ხომ გადასასვლელის კაცი იყო, რომელსაც მამა ენდობოდა, და ხომ იცოდა, რომ გადასასვლელზე მარტო არ გაატარებდა.

დავითმა გადასასვლელი აღელვებულმა გადმოკვეთა, ღიმილნარევი სიბრაზით დატუქსა, მეორე მხარეს გადაიყვანა და ორივე საუბარ-საუბრით სახლისკენ წავიდნენ.

სახლში მისულ მამა-შვილს, დედა დამწუხრებული დახვდათ.

– რა მოხდა? – შეშინებულმა ჰკითხა დავითმა თამარს.

– მოკლეს.

– ვინ? – ჩაეძია დავითი.

– კავკასიელი, – დამძიმებული გულით უპასუხა თამარმა.

ამირანმა შეატყო, რომ მამაც ძალიან შეწუხდა, და ხან დედას შეხედავდა, ხან მამას. მერე დედას მიუახლოვდა და ჰკითხა:

– ვინ იყო კავკასიელი?

– ერთ-ერთი ჩვენთაგანი, – გაბზარული ხმით უპასუხა თამარმა და სახეზე სინანული აღებეჭდა. – ამირან, შვილო, წადი გამოიცვალე... საჭმელი ვჭამოთ, საღამოს მოგიყვები მის შესახებ.

საღამოს თამარმა და დავითმა ამირანს უამბეს ამბავი იმ გულანთებულ ადამიანზე, რომელსაც ძალიან უყვარდა იბერია, თავისუფლება, თავისი ხალხი.

ამირანი ყურადღებით უსმენდა და როცა დედამ დაასრულა ამბის მოყოლა, დედას მიმართა:

– დედა შენ მართალი ხარ, ის თავს არ მოიკლავდა, ის მოკლეს, ისევე როგორც გალაქტიონი. გალაქტიონი არ გადამხტარა ფანჯრიდან, ის ხშირად ადიოდა ფანჯრის რაფაზე, უბრალოდ თავს ცდიდა, მაგრამ გადმოხტომას არ აპირებდა. მისი ეს საქციელი შეამჩნიეს სავადმყოფოს რუს-უზუმეს შიკრიკებმა და ერთხელაც როცა ისევ ავიდა ფანჯრის რაფაზე, ხელი ჰკრეს... კაცმა, რომელმაც დაწერა ლექსი: „მესაფლავე“, თავს არასოდეს არ მოი-



კლავდა. არც კავკასიელი მოიკლავდა თავს, რამეთუ ის, როგორც თქვენ მითხარით, მორწმუნე კაცი ყოფილა.

ნაამბობმა ამირანზე ძალიან იმოქმედა, მთელი ღამე იმაზე ფიქრობდა, თუ რატომ არ უფრთხილდებიან იმ პიროვნებებს ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის, ვინც ერის სახეს წარმოადგენს... ამ ფიქრში ჩაძირულს მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა.

მეორე დღეს, როცა ამირანი სკოლაში მივიდა, მას წინააღმდეგობის ორი დარჩენილი დავალების შესრულება მოსთხოვეს: ქლიბით, კიბის სახელურებზე ამოშვებული რკინებისთვის თავების წაწვეტება და ბაშეებისათვის ღვინის ღვინის თქმა. ამირანმა, ამჯერადაც არ შეასრულა დავალები. რის გამოც ცარიელ ოთახში გამოკეტეს და საჭმლის გარეშე დატოვეს. სკოლის ხელმძღვანელობა, დასჯის ამ მეთოდს ხშირად მიმართავდა, ისინი ამით საჭმელზე გამოყოფილ ფულს ზოგავდნენ, რომელსაც ახალი შენობის ასაშენებლად იყენებდნენ.

ოთახში გამოკეტილმა ამირანმა მოხერხებული ადგილი შეარჩია, ისეთი, რომელიც კარის ჭუჭრუტანიდან არ გამოჩნდებოდა. ამოიღო ჯიბიდან პატრა ბლოკნოტი, ფანქარი და წუხანდელი ღამის ნააზრების ჩაწერა დაიწყო: – მე მიყვარს ჩემი ხალხი, – ასე დაიწყო წერა, მერე ცოტახანი ჩაფიქრდა და განაგრძო: – ერს გააჩნია ისტორიული მახსოვრობა, ფიზიკური შესაძლებლობა და ფსიქოლოგიური სახე, ამ სამი მახასიათებლის წარმოქმნის საფუძველია, ერის შემადგენელი თვითეული ადამიანის ანატომიურ-ფიზიოლოგიური უნარი. ეს უკანასკნელი კი, კოსმოსური ძალების და მიწიერი გარემოს ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. ადამიანები, ამ მსგავსი თვისებების ქვეშ ერთიანდებიან და ქმნიან ერს - თავისი უნიკალურობით, რაც შემდგომში მემკვიდრეობით ხასიათს იძენს. ხოლო, მემკვიდრეობითობა აყალიბებს ერის ცნობიერებას, რომელიც წარმოშობს ერის აზრს, გრძნობებს, წარმოდგენებსა და სურვილებს როგორც მოცემულ, ასევე ვირტუალურ დროში. ჩამოყალიბებულ ერს, ცნობიერების ხუთი დონე გააჩნია: ისტორიული ანუ მოვალეობის გაცნობიერების უნარი, ეს არის ბაზისური დონე; შინაგანი და გარეგანი სამყაროს გაცნობიერების უნარი, ანუ სულიერი დონე; გაცნობიერებულის სისტემატიზაცია,



ანუ შემოქმედების დონე; საკუთარი ღირსების, როგორც ცნობიერის და უნიკალურის შემეცნების უნარი, ეს არის ამაღლების დონე და ღმერთის მიერ დაკისრებული მოვალეობების ცნობიერება - ტკბობის დონე. და, თუ ერმა ერთ-ერთი თვისება დაკარგა მისი დეგრადირება იწყება ან სხვა ერში ათქვეფა, ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცალკეული ადამიანები, ერის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც უანგარო შრომის, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე უბრუნებენ ერს ცნობიერების დაკარგულ თვისებას, ასეთი ადამიანები ღრმად მორწმუნეები არიან. სამწუხაროდ, მათ ავიწყდებათ, რომ ერში ყალიბდება კონგლომერატული საზოგადოება, რომელიც გაყოფილია „სარვანის“ და „მანბედის“ თაყვანისმცემლებლად. როგორც წესი მანბედის თაყვანისმცემლები ეროვნულობის გრძნობას მოწყვეტილი ადამიანები არიან, სწორედ ასეთებს სჩვევია დალატი, გაუტანლობა, სიმუხთლე, ქურდობა და სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოკლეს ილია, გალაქტიონი, კავკასიელი. – ამირანმა წერა დაასრულა, ბლოკნოტი დაკეცა და ფანქართან ერთად ჯიბეში ჩაიღო. ერთხანს ჩუმად იჯდა, თითქოს სადღაც უსასრულობაში ჩაძირულიყო, მერე წამოდგა, ოთახში დაიწყო სიარული, სკამის ქვეშ - სადაც იჯდა, ბზინავი ნივთი შეამჩნია, მიუახლოვდა და აიღო - ეს ლურსმანი იყო, ცოტახანი ხელში ათამაშა, მერე ოთახის კედელთან მივიდა და კედელზე ლექსი ამოფხაჭნა:

ეს დაცემაა, გაგიწყრეთ ღმერთი,  
რატომ ჩაუქვრეთ სანთელი გულში?  
უგუნურებო! თქვენ არც კი იცით,  
თუ რა ძნელია,

როცა ვერ ხედავ სინათლეს კუბიკულუმში.  
ჩაქრა სანთელი, დაბრმავდა სული  
და ფანჯრებს მთვარის შუქი ლანდავდა,  
ცაში მრისხანედ ყვიროდა ღმერთი:  
„რატომ ჩაუქვრეთ სანთელი გულში?“



– და, როცა მორჩა ლექსის წერას შეამჩნია, რომ კედელზე ამოფხაჭნილმა ასოებმა თანდათანობით ნათება დაიწყეს, ნათება ძლიერდებოდა, ოთახი შუქით გაივსო და კარის ღრიჭობიდან გარეთ გააღწია.

კარის ჭუჭრუტანიდან გამოსული სხივი პირველად ზარი-ურიმ შეამჩნია და ყვირილი ატეხა: – ვიწვით! ვიწვით! – თან ადგილზე ხტუნაობა დაიწყო, მერე გაახსენდა, რომ იქ ამირანი ჰყავდათ ჩაკეტილი. – აააა, აი რაშია საქმე... – შიშნარევმა აზრმა გაურბინა თავში, ცოტახანი მონუსხულივით იდგა და მერე, უეცრად მოთქმა დაიწყო: – ხომ გეუბნებოდით სუყველას დაგეწვავს ეს ოხერი. სადაა ახლა ინჩ-ურა? რაში სჭირდებოდა ამას რაიმე გეგმის შემუშავება, ჩაესვათ პირდაპირ სარკეებიან ოთახში და დამთავრდებოდა ამით ყველაფერი...

ყვირილზე, დერეფანში, მოსწავლეები და მასწავლებლები გამოცვივდნენ და როცა კარის ჭუჭრუტანიდან გამოსული ნათება დაინახეს გაუკვირდნენ, მერე თითქოს რაღაცას მიხვდნენ... ზოგი, ირონიული ღიმილით უკან შებრუნდა, ზოგი კი შიშით მიუახლოვდა ვერცხლისფერ სხივს, თითოთ შეეხნენ, რაღაც ამაღლებული გრძნობა დაეუფლად და ილიას ლექსზე შეთხზული სიმღერა წამოიწყეს:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია! ..  
აწყმო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია...

ამ ამბავმა ძალიან შეაშინა არ-სეი-რგო, რომელიც თავისი კაბინეტის მისაღები ოთახის კარების ზღურბლიდან ყოველივეს, თვალყურს ადევნებდა და ნერვიულობისაგან უღვაშებს აცმაცუნებდა. გვერდზე ინჩ-ურა ედგა, რომელმაც რაღაც წასჩურჩულა და ორივემ, თითქმის ეთდროულად, ჯიბიდან სათნო გამოსახულებების ნიღაბი ამოიღო, სახეზე გაიკეთეს და მომღერალ მასწავლებლებს სიმღერაში აყვნენ. ამ საქციელმა მასწავლებლები გააკვირვა, დადუმდნენ, მოეშვნენ, თავები ჩაქინდრეს და წელში მოხრილები თავიანთ ოთახებში დაბრუნდნენ. არ-სეი-რგო და ინჩ-ურა სიმღერით მიუახლოვდნენ იმ კარებს სადაც ამირანი ჰყავდათ



გამომწვევდელი, მაგრამ კარის გაღებას ვერ ბედავდნენ, მაშინ არ-სეი-რგომ იქვე მდგარს, დაშტერებულ, ზარი-ურის შეუღრინა:

– ეს ყველაფერი შენი ბრალია, მოდი და გააღე კარი.

ზარი-ური მორჩილად მიუახლოვდა კარებს, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარის საკეტს მოარგო, გასაღები გადაატრიალა, კარი ოდნავ შეაღო, და ეს საკმარისი აღმოჩნდა - ოთახში დაგროვილი ენერჯია მხუილით გამოვარდა გარეთ, დერეფანში სპირალივით დატრიალდა, ბურთად შეიკრა, ქუჩაში გამავალ კარს დაეჯახა, გაანგრია და გარეთ გავარდა. სამივემ დაინახა, თუ შეუქს როგორ ჰყავდა ატაცებული ამირანი. ყველაფერს მიხვდნენ და სიბრაზე დაეუფლათ, ბოღმა აღრჩობდათ, მიხვდნენ, რომ მათმა გეგმამ მარცხი განიცადა, არადა რა ახლოს იყვნენ მიზანთან... ჰო, სამივემ იცოდა, რომ ამირანი არასოდეს არ წაუწვეტავდა კიბეზე ამოშვერილ რკინებს თავებს, რაც მათ იმის საშუალებას აძლევდა, რომ მისთვის უარყოფითი ქულები დაეწერათ და დაეწერათ, და როცა მინუს თერთმეტი ქულა შეუგროვდებოდა, და უკვე მინუს ოთხი ჰქონდა, სკოლის კანონით უფლება ეძლეოდათ მისი სარკეებიან ოთახში გამოკეტვის. ახლა კი რა, გაუფრინდათ, და კაცმა არ იცის რა შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას... გარეთ გავარდნილ შეუქს იბერიელების გაერთიანება შეეძლო, და მაშინ ნამდვილად დამთავრდებოდა მათი ბატონობა.

– რა ვქნათ, – ხმა პირველად ზარი-ურიმ ამოიღო.

– ეს ამბავი ჩვენებს უნდა გავაგებინოთ, – დაჯერებული ტონით თქვა ინჩ-ურამ.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ზარი-ური.

– ის ჩვენი დამაქცეველი, ან სახელშია უკვე, ან უფრო უარესი - ჯადოსნურ ტყეში. იბერიელებს ჩვენ უნდა დავასწროთ. გამოიტანეთ დროშები და ვინც ჩვენიანია ყველა ეზოში გამოვიდეს, – ბრძანა არ-სეი-რგომ.

არ-სეი-რგოს დავალება სწრაფად შეასრულეს ზარი-ურიმ და ინჩ-ურამ. ეზო, რუს-ინჩ-უზუმეს შიკრიკებით გაივსო, ყველას იბერიის დროშა ეჭირა და იბერიულ პატრიოტულ სიმღერას მღეროდა. მაღე არ-სეი-რგოც გამოჩნდა, ხალხს სათავეში ჩაუდგა და: „გაუმარჯოს იბერიას!“ ყვირილით მე-ინჩ-უზუმეს სასახლისკენ



გაემართნენ. გზადაგზა რუს-ინჩ-უზუმების სხვა გაერთიანებები ემატებოდათ. ჩქარა ქალაქის ქუჩები ხალხით გაივსო, ყველა რაღაცას გაიძახოდა, მაგრამ რას, არ იცოდნენ.

ხალხის ქუჩაში გამოსვლა „უზუნაეს“ მე-ინჩ-უზუმეს გააგებინეს, ესიამოვნა „უზუნაეს“, მას თავის გამოჩენის საშუალება მიეცა, მაგრამ ხალხის გამოსვლის მთავარი მიზეზი, რომ შეიტყო შეშინდა, სასწრაფოდ გამოიძახა კლეპტო-მან-უზუმე და ამირანის ოჯახისათვის თვალყურის დევნის გაძლიერება დაავალა. კლეპტოს, ასევე ქუჩაში გამოსული ხალხის დარბევა უბრძანა, ხოლო, თუ მათ შორის იბერიელებს მოკრავდა თვალს, სხვების შეუმჩნეველად უნდა დაეხოცა.

ქუჩაში გამოსული ხალხის ნაკადი ამღვრეულ მდინარეს ჰგავდა, რომელიც წინასწარ გაკეთებულ კალაპოტში თხლაფუნ-თხლაფუნით მიედინებოდა, მაგრამ სად? - არავინ არ იცოდა. უცებ დინება შეჩერდა, ხალხი შეტორტმანდა, ნაკადის ბოლოში და შუაში მოქცეული ხალხი აფორიაქდა, წინ წასვლა სურდათ, უკმაყოფილებას გამოხატავდნენ და ყვიროდნენ:

- ვინ გაგვაჩერა?
- რა მოხდა, რატომ გაგვაჩერეთ?
- გაუმარჯოს თავისუფლებას!

მერე ვიდაცამ ხმამაღლა დაიყვირა:

- ჩვენი ლიდერები მოვიდნენ, ჩვენი მხსნელები!

და, მართლაც ქუჩის შედარებით ამაღლებულ ადგილზე, იქ სადაც ექვსფეხა თხის ძეგლი იდგა, სხვადასხვა პარტიის, თუ გაერთიანებების გოგრათავიანი ლიდერები გამოჩნდნენ, რომლებიც რაღაცეებს გაიძახოდნენ, მაგრამ, ხალხის მსგავსად არც მათ არ იცოდნენ, თუ რას ყვიროდნენ, თუმცა ის კი იცოდნენ ვისთვის...

არც ხალხმა არ იცოდა, არც გოგრათავიანებმა არ იცოდნენ რა სურდათ და სწორედ ეს არცოდნა აერთიანებდათ მათ. ლიდერებს ერთ-ერთი, ყველაზე უფრო ჭკვიანი გამომეტყველების, ჰოლანდიური მამლის მსგავსი კისრით, გამოეყო და დამაჯერებელი ტონით მიმართა ხალხს:

- ხალხო, ჩვენ დიდი კულტურის მქონე ვართ. ზუსტად ვგეგმავთ ჩვენს მიზნებს, დროის მოცემულ მომენტისათვის ვაკეთებთ





მხოლოდ ერთ საქმეს და ვიღებთ მრავალპოლუსიან გადაწყვეტილებას. ამასთან, მთლიანად კონცენტრირებული ვართ ერის წინაშე დასმულ ამოცანაზე, ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ...

ორატორს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, როცა შეამუნდირებში გამოწყობილი მე-ინჩ-უზუმეს რაზმი თავს დაესხათ და მომიტინგეებს ხელკეტებით დაუწყეს ცემა, ხალხი აქეთ-იქით გარბოდა. ადგილზე მხოლოდ პარტიის ლიდერები დარჩნენ. ერთ-ერთმა ვერ მოითმინა და ხმამაღლა მიაძახა შეამუნდირიანებს:

- ეი, ჩვენ მოველაპარაკეთ თქვენს კლექტო-მან-უზუმეს, რომ მიტინგის ჩასატარებლად ჩვენთვის ერთი საათი უნდა ეცლია, რატომ გატეხა სიტყვა, რა მოხდა?

შამუნდირიანების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც, ეტყობა მათი მეთაური იყო, ირონიულად უპასუხა:

- თქვენ მხოლოდ ორმოცდახუთი წუთის ფული გადაიხადეთ და, თუ დროზე არ დატოვებთ აქაურობას, თქვენც არ დაგადგებათ კარგი დღე.

გაწბილებულმა პარტიის ლიდერებმა ქუჩა დატოვეს.

ქუჩაში მხოლოდ მოხითხითე, ყველაფრის მნახველი ქარი დარჩა, რომელიც დროდადრო ნაგავს მალლა აიტაცებდა, ჰაერში დაატრიალებდა და ქუჩის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში მიაყრიდა. ქარს კარგად ახსოვდა ის დრო, როცა გალაქტიონის მხურვალე სახეს მიასკდებოდა, ეს ორივეს მოსწონდა. ისიც კარგად ახსოვდა ილიას ცილინდრი, როგორ მოსტაცა და ჰაერში ათამაშა. ყველაზე უფრო კი მერაბ კოსტავას ჭადარა თმების აშლა უყვარდა, მითუმეტეს მაშინ როცა მიტინგზე ხალხს მიმართავდა. ბოლო დროს კი, აღარ უყვარდა ქუჩაში ფრენა, არ აინტერესებდა, რამეთუ ვერავის ვერ ნახულობდა ისეთს ვისაც გულის სიმხურვალისგან აგიზგიზებული შუბლის გაგრილება სჭირდებოდა, ამიტომაც დაიწყო ნაგვის აქეთ-იქით მიყრა და ამიტომაც მოუხშირა რესტორანში სტუმრობას - მოსწონდა ღვინისგან გახურებული სახეების გაგრილება. ღვინისგან გახურებულებს სიამოვნებათ ქარის ღლაბუცი - „დაილოცოს შენი გამჩენი“ - მიაძახებდნენ, პერანგის ზედა ღილს გაიხსნიდნენ და გულს მიუშვერდნენ. ქარს ახარებდა მათი დალოცვა, მითუმეტეს მაშინ, თუ კარგი მოქე-



ფეები იყვნენ, აი ისეთები როგორც ეთიმ გურჯი, ან გოგლა ლეონიძე იყო. ერთხელ, ეს დაახლოებით დღევანდელ ამბებამდე ერთი კვირით ადრე მოხდა, ძალიან ძვირიან რესტორანში შეფრინდა, რა მისი ბრალი იყო კარი გააღეს და სხვა რა გზა ჰქონდა შექროლდა, მიიხედ-მოიხედა, ყველაზე ბარაქიანი სუფრა შეარჩია და თავისი სიგრილე შეაფრქვია, ჩვეული ლოცვა გაიგონა: „დაილოცოს შენი გამჩენი“, ესიამოვნა, აღარ მოცილდა და მათ თავზე დაიწყო ტრიალი.

მოქეიფეებს ერთი შეხედვითაც ეტყობოდათ, რომ სუფრას ახალი მიმსხდარნი იყვნენ, ყველა მორიდებულად იქცეოდა, ისე როგორც იბერიელებს და იბერიულ სუფრას შეშვენოდა – ქალბატონები მთელი თავისი სიმშვენიერით ყელმოღერებულები ისხდნენ, მამაკაცები კი თავმდაბლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იყო მხიარულება, სიმღერა, ლექსების კითხვა. მაგრამ, როცა ღვინო მოეკიდათ ერთმანეთის ქება დაიწყეს, რომელსაც საკუთარი თავის ქება მოჰყვა: „მე ესა და ეს ვარ, მე აქა და აქ ვიყავი, ჩემი შვილები საზღვარგარეთის ცნობილ უნივერსიტეტებში სწავლობენ, ის მინისტრი ჩემი ახლობელია, და თქვენ არც კი იცით რა ამაგი მაქვს მის გაზრდაში“. ქეიფი თანდათანობით ღრეობაში გადადიოდა, მოქეიფეები კი პარლამენტის მოლაყბეებს ემსგავსებოდნენ. ბრწყინვალეობით ავსებული ქალბატონების სახეები დამძიმდნენ, სხეული მოეფლაშათ, სიგარეტი სიგარეტზე გააბოლეს, ერთმანეთის თვალებით გაზომვას შეუდგნენ, და ის ვინც მორიდებულად იქცეოდა, მას, დამცინავ მზერას ესროდნენ.

გამომძღარ მამაკაცებს დაავიწყდათ თავისი მშვენიერი ქცევა, რომელსაც ასე უხვად აფრქვევდნენ ქეიფის დასაწყისში.

– დაილოცოს ღვინის მადლი, როგორ გააშვიშვლა მათი ჭეშმარიტი სახეები, – თავისთვის გაიფიქრა ქარმა და ბროლის ჭაღზე შემოჯდა.

ერთ საათში, სუფრა, მიწაზე დაჭყლეტილ ბუოლოს დაემსგავსა, რომელსაც უამრავი ადამიანი-მწერი დასეოდა. ხარხარებდა ბახუსი და დასცინოდა თავგამოდებულ ორატორებს, ბუნდოვან აზრებს რომ აფრქვევდნენ. ერთ-ერთმა, წითელსახიანმა მამაკაცმა, ძერას მზერა შემოავლო სუფრას, წამოდგა, ფულის დასტა ამოი-



ლო ჯიბიდან და - „ყველას გიყიდით“, - ძახილით, ჰაერში მოისროლა. ფულის დასტა ჰაერში გაიშალა და ფრიალ-ფრიალით იატაკზე მიმოიფატა. ქალბატონი, რომელიც წითელსახიანი მამაკაცის გვერდზე იჯდა და, როგორც ჩანდა მისი მეუღლე უნდა ყოფილიყო, სასოწარკვეთილი სკამიდან წამოხტა და იატაკიდან ფულის აკრეფა დაიწყო... ოღნავ მოშორებით, ორი სკამის გამოტოვებით, თხელი სახის და გრძელი ნაკეთების მქონე ქალბატონი, სკამიდან წამოდგა, მშვიდი გამოზომილი ნაბიჯებით მიუახლოვდა წითელ სახიანს და იმისთანა ძლიერი სილა გააწნა, რომ მამაკაცს სახე გვერდზე მოექცა. წითელ სახიანმა მუშტი შეკრა დასარტყმელად, მაგრამ, ეტყობა ჯერ კიდევ სადღაც, გონების სიღრმეში შემორჩენილი წინაპრების სინდისმა თვალი გაახილა და ქალზე დასარტყმელად მომარჯვებული მუშტი მაგიდას დაჰკრა. ამ ამბავმა ყველა გააოგნა, სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქალბატონი, რომელიც იატაკიდან ფულს კრეფავდა, აკრეფას თავი დაანება წამოდგა, შეგროვილი ფული წითელ სახიან მამაკაცს სახეში მიაყარა და რესტორანის გასასვლელი კარისკენ გაიქცა, მას იმწუთშივე წითელ სახიანი მამაკაცი დაედევნა. სუფრის ირგვლივ დაგუბებული ჰაერი შერცხვენილი დუმდა, იატაკზე დაყრილი დაობლებული ფული პატრონის მოლოდინში შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა, ხოლო ჭადზე ჩამომჯდარ ქარს, გაცეცხისაგან, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა. ქალბატონი, რომელმაც წითელ სახიან მამაკაცს სილა გააწნა, რესტორნის აივანზე გავიდა - ქარიც თან გაჰყვა, ჩუმად უკნიდან მიეპარა, თმები აუჩეჩა, მხარზე წამოუსკუპტა და ყურში ჩასჩურჩულა:

- რატომ გააკეთე ეს?

ქალს ჯერ შეეშინდა, მერე მიხვდა თუ რაშიც იყო საქმე და მშვიდად უპასუხა:

- ჩვენ ყველას გვჭირდება ღროდადრო სახეში შემოლაწუნება, თორემ გადავგვარდებით. ჩვენი მთავრობა, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფულის შოვნაზე დაგეშილი საზოგადოება ჩამოყალიბოს, ხომ მეთანხმები?... მერე უფრო გაუადვილდებათ ჩვენში



ეროვნული გრძნობების ჩაკვლა, ამიტომაც სილა კარგი წამალია ყველა ჩვენთაგანისთვის, – სევდიანი ხმით თქვა ქალმა.

– ქალბატონო თქვენი სახელი? – ჰკითხა ქარმა.

– ნინო, – მორიდებით და ოდნავ გაპრანჭულად უპასუხა ნინომ.

– ნინო? თუ ნინკა? იქნებ ნინი, ან ნინუსი? – გააჯავრა ქარმა.

ნინოს ქარის ოხუნჯობაზე გაეღიმა... და, ღიმილი ისეთი ლამაზი ჰქონდა, რომ ქარს თავდავიწყებით შეუყვარდა ის.

– ქალბატონო ნინო, ყველა ერში მიმდინარეობს საზოგადოების გარდაქმნა, ევოლუცია ანუ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. დამიჯერეთ, ეს მე ნამდვილად ვიცი, რამეთუ ყველგან დაფრინავ და... დიახ, ვერც თქვენი ერი გადაურჩება ამას.

– არა ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი გენი... ჩვენ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, თუ ჩვენ არ გადაგრჩით ყველა ძველი ერი დაიღუპება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერის გადასარჩენად. თუმცა გეთანხმები, ეს საზოგადოება არ არის ის საზოგადოება, რომელიც იყო, თუნდაც, ილია ჭავჭავაძის პერიოდში.

– საზოგადოების ინტერესები და ეროვნული გრძნობა ხშირად უპირისპირდება ერთმანეთს, – მიახალა ქარმა.

– არა, არ გეთანხმები, – არანაკლებ მძაფრად უპასუხა ნინომ და გააგრძელა საუბარი: – აი მომისმინე, რას გეტყვი. რასაკვირველია, თუ არ გეჩქარება, თუ არ უნდა გაქროლდე სადმე.

– კარგი მოგისმენ, – უპასუხა ქარმა და თახმობის ნიშნად დადუმდა.

ნინომ საუბარი დაიწყო:

– ყველა საუკუნეში ომების და ხალხთა დიდი მიგრაციის შედეგად იცვლებოდა ერის ან საზოგადოების დიდი ნაწილის მენტალიტეტი, ხოლო საზოგადოების წყობის ცვლასთან ერთად, იცვლებოდა საზოგადოების ეროვნული გრძნობა, ის ხან ძლიერდებოდა, ხან კი პირიქით. მაგრამ, ჩემო კარგო, იბერიაში ეროვნულობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული: სარწმუნეობასთან, ენასთან, მიწასთან ამიტომაც ყოველთვის ვინარჩუნებდით სულს, ეროვნულ ღირსებას. იბერიელი, იცავდა რა ამ სამ საკრამენტალურ ფენომენს,



უზრუნველყოფთა ერის სიცოცხლეს, და ამასთან შეუბღალავი რჩებოდა მისი ეროვნული ვალდებულება. ერი, მომავალ თაობასაც ამ სამი საკრამენტალური ფენომენის ცნობიერების საფუძველზე ზრდიდა. სარწმუნოებაში სქიზმამ, ჰაიკის ცნებების მოზღვაგება იბერიელებს მოუჩლუნგა ისეთი გრძნობები როგორცაა: ენა, მამული, სარწმუნოება. დღეს, ეკლესიაში სიარული ერთგვარი მოდა გახდა, ხოლო მიწის გაყიდვა სარფიანი შემოსავალი. ყოველივე ამას, კიდევ უფრო საშინელი მანკიერი თვისება დაემატა ურთიერთქიშობა. ყველა ჩვენთაგანში ჩამოყალიბდა გრძნობაში გადასული სურვილი: „მთავარია ჩემიანმა არ მაჯობოს, თორემ სხვამ თუ მაჯობა ავიტან, რა მოხდა მერე რა“. და, ამ მიდგომამ ანუ „მერერას“ მიდგომამ, უცხო თესლის შთამომავლები გაახარა. წარსულს მოწყვეტილები უგზოუკლოდ დავეხეტებით აწმყოში. ახლისაკენ უაზრო სწრაფვამ კი, ჩვენი ქვეყანა სხვისი მიზნების საპარპაშო პოლიგონად აქცია, ჩვენი ვაჭრობენ ისე, რომ არც კი გვეკითხებიან და ეს იმიტომ, რომ ერში ამორფული, კონგლომერატული საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელმაც არ იცის თუ რა არის ჭეშმარიტი ფასეულობა. არადა, ჩვენმა ერმა მიიღო ზეცით ქსოვილი - კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი, ნიშნად იმისა რომ „საზეპურო ერი“ მის წიაღში შენახული კვართის მსგავსად სამარადშაოდ, მის მეორედ მოსვლამდე, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი უნდა დარჩენილიყო. ეჰ, ჩემო კეთილო ქარო, ღმერთმა, დედა ღვთისას უთხრა: „არა უგულვებულვყო, ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის“. – ასე დაილოცა ჩემი ერი, – და ნინომ ამაყად გახედა ქარს, რომელიც ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხრიდან, ხან კი, თავის ზევით დასტრიალებდა, რა ექნა ასეთი ჯიშისა იყო და ვერ ისვენებდა.

– კიდევ როდის დაილოცა? – ჰკითხა ქარმა და ნინოს თვალებში ჩახედა.

– წარღვნის შემდეგ, ხალხმა უაზროდ დაიწყო დედამიწაზე ხეტიალი, ღმერთს შეეცოდა უგზოუკლოდ მოხეტიალე ხალხი და ისევ გადაწყვიტა მათი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დასახლება. მიწების დარიგების ამბავი ხალხმა, რომ შეიტყო, რიგში



ჩადგნენ და როცა მათი ჯერი მოდიოდა, ცდილობდნენ ღმერთისათვის თავი მოეწონებინათ. ღმერთი აკვირდებოდა მათ ქცევებს, აფასებდა და ამის შესაბამისად, აკუთვნებდა დედამიწაზე შესაბამის ადგილს. ყველაზე ბოლოს იბერიელები მივიდნენ – დააგვიანდათ, თურმე მინდორში სუფრა ჰქონიათ გაშლილი და ქეიფობდნენ - ეს იყო მათი დაგვიანების მიზეზი. ღმერთს კი, ამასობაში, უკვე, ყველა მიწა დაერიგებინა, მაგრამ, როცა იხილა ლაღი, გულანთებული იბერიელები შეუყვარდა ისინი, დალოცა და თავისთვის შემონახული მიწა უსახსოვრა, თვითონ კი, ცაში ავიდა საცხოვრებლად.

რესტორანში სუფრასთან მსხდომი მოქეიფეების ნაწილმა შეამჩნია, რომ ნინო თავდავიწყებით საუბრობდა – მაგრამ, ვისთან? - ერთხანს გაკვირვებულები უყურებდნენ, მერე ერთ-ერთმა სუფრის წევრმა ირონიულად იკითხა:

– რა ჭირს ნეტავ?

სხვამ დაამატა: – გაუფრენია მაგ საწყალს.

ვიღაცამ დიაგნოზი დაუსვა: – გიჟი ყოფილა, – და დაამატა, – მოდით თუ ღმერთი გწამთ ქეიფი გაგაგრძელოთ.

და, ისევ ახორხოცდა ბახუსი.

ნინომ და ქარმა კი, დაკარგულის ძებნაში დრო დააბუდეს და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა ნინოს ქმარმა მოაკითხა - სახლში წასაყვანად. ქმრის დანახვაზე ქარი გაცეცხლდა, მაგრამ რას იზამდა... მოხეტიალემ დღეს პირველად ინატრა საკუთარი მყუდრო ბუდე... გადაწყვიტა თავისი დარდი მთვარესათვის გაემხილა და მისკენ გაფრინდა - შინ არ დახვდა, მაშინ, უდაბნოში მოხეტიალე ზღარბთან მიფრინდა და ყოველივე მას უამბო. ზღარბმა მოუსმინა და ურჩია:

– წადი ისევ მთვარეს მიაკითხე, ის მგონი ღამესთან ერთად სოკრატეს მოწაფეს მიერ დაწერილ ლექს არჩევს.

ჰო, კარგი – მიიმედ ამოიოხრა ქარმა და ისევ მთვარესთან გაფრინდა.

ზღარბმა, სისვის ფერი მზერა გააყოლა ქარს და თვისთვის ლექსი წარმოთქვა:



ცხოვრების რიტმით დაღლილი ქარი  
გულის სიღრმეში მაღავედა სურვილს,  
არ სურდა ვინმეს შეეველო თვალი  
როგორ ებრძოდა საკუთარ ზრახვას.

დაღონდდა ქარი მოუსვენარი,  
მხოლოდ თვალები ამბობდნენ სათქმელს,  
ბრმაც კი, შეძლებდა იმის წაკითხვას  
თუ რა გრძნობები ახრჩობდა რაინდს.

წარმოიდგინა სურათი... მიხვდა,  
რომ ვერასოდეს დაიოკებდა...  
თავისუფლების წყურვილი კლავდა,  
თან სიყვარულის უინი ათრობდა.

ვეღარ გაუძლო გრძნობების ტალღას,  
ისევ გაგიჟდა, გადაირია,  
ხე ამოგლიჯა, მიწას დაასკდა  
და, მერე, სადღაც გაუჩინარდა.

გზაში მიმავალი ნაცრისფერი საღამო მოსახვევში მოცურდა



სახლში მისულ თამარს, ამირანი, შესასვლელ კარებთან დახვდა.

- მარტო ხარ? - შეშინებულმა იკითხა თამარმა.
- კი, - უპასუხა ამირანმა.
- სად არის მამა? თუ იცის აქ, რომ ხარ? იცი გარეთ რა ხდება? - აღელვებულმა დააყარა კითხვები თამარმა შვილს.
- არ იცის. შეეშინდება, დაურეკე, - და ამირანმა დამნაშავედ ჩაღუნა თავი.

- დავურეკავ, ჰო უნდა დავურეკო, - და თამარმა ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, თან ეკითხებოდა: - შენ როგორ მოხვედი? იმ გადასასვლელზე როგორ გადმოხვედი? რატომ ხარ მარტო?



– სხივის ბურთმა მომიყვანა და მან გადმომიყვანა გადმოსასვლელზეც, – მშვიდად პასუხობდა ამირანი, – დედა, სხივის ბურთს ყველა იბერიელის გადაჰყვანა შეუძლია ორშუქა გადასასვლელზე, – ამშვიდებდა ამირანი.

თამარი თან დავითს ესაუბრებოდა, თან ამირანს უსმენდა და როცა ამირანმა უთხრა, რომ სხივმა მომიყვანაო სახლში, დროებით შეწყვიტა საუბარი დავითთან და ამირანს ჰკითხა:

– სად არის სხივის ბურთი?

– აგერ მყავს, შეიკუმშა და უბეში ჩამიძვრა, აქამდე პირიქით, მე ვიყავი მასში ჩამალული, – და ამირანმა დედას სხივის ბურთი დაანახა.

სხივის ბურთის დანახვაზე თამარს სახე გაუბრწყინდა და აღფრთოვანებით წარმოთქვა:

– როგორც იქნა დაიბადა, ახლა საჭიროა გავუფრთხილდე და საჭირო დროს ჰაერში გავუშვათ... მისი ნათება იბერიელებს გამოაფხიზლებს, ხოლო მტერს დააბრმავებს, ის ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლის წინ დაგვეხმარება, – ბოლო სიტყვები თამარმა მომავლიდან წამოსული ფიქრებით დაამძიმა.

– ეს როგორც მაშინ ექვსფეხა თხები, რომ დახოცა ღვთისმშობლის ხატის ნათებამ. ხომ ასე იქნება დედა? – ჰკითხა ამირანმა.

– ჰო, როგორც მაშინ, ასე იქნება, – უპასუხა თამარმა, და ტელეფონზე საუბარს დაუბრუნდა.

ამირანი დედის საუბრიდან მიხვდა, რომ მამა ნერვიულობდა.

– კარგი, – რაღაცაზე დაეთანხმა თამარი და ტელეფონი გათიშა. ამირანს თავზე ხელი გადაუსვა, ჩანთიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ორივენი სახლში შევიდნენ. თამარმა სხვა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად კარის ყველა კლიტე ჩარაზა. სანამ გაიხდიდა ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო, სახლში ფუტკარი შემოუშვა, შემდეგ თმის ვერცხლიფერ სამაგრს, რომელსაც არასოდეს არ იცილებდა, ერთი რგოლი მოხსნა და გარეთ გასულ კაქტუსის ეკალზე, რაღაცის ნიშნად, ჩამოკიდა..

ამირანი, მთელი ამ ხნის განმავლობაში დედას თვალს არ აცილებდა, თამარმა ეს რომ შეამჩნია, მშვიდი ხმით მიმართა:





– ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეა, ჩქარა მამაც მოვა, გამოიცვალე ტანსაცმელი, მამას დაველოდოთ და ერთად ვჭამოთ. სხივის ბურთი კი ჩვენს ხის ფიალაში დაასვენე - მაცხოვრის ხატთან რომ დევს, – და თამარმა ხელით ხის ფიალაზე მიუთითა.

ამირანმა დედის თხოვნა შეასრულა, უბიდან სხივის ბურთი ამოიღო და ხის ფიალაში ჩაასვენა. სხივს, ფიალაში იდუმალი ნათება შეემატა, უფრო თბილი გახდა და გულივით დაიწყო ფეთქვა. ამირანმა მოფერების ნიშნად სხივს ხელი გადაუსვა და თავის ოთახში გავიდა, ფუტკარიც ბზუილით გაჰყვა.

ერთი საათის შემდეგ კარის გაღების ხმა გაისმა. ეს დავითი იყო.

– სადაა ბავშვი? – შემოსვლისთანავე ჰკითხა თამარს, რომელიც გასაღების ჩხარუნზე შემოსასვლელ კარებთან მისულიყო.

– თავის ოთახშია, – უპასუხა თამარმა.

– ხომ არ შეაშინეს? – ჰკითხა დავითმა.

– ვერ შეაშინებენ, მაგარია. იცი სხივის ბურთი გამოეცხადა.

– სხივი?! ძალიან კარგი, როგორც ვარაუდობდი... მართლა, მე გზაში სოსო შემხვდა, – ეს უკანასკნელი სიტყვები ხმამაღლად წარმოთქვა - ამირანის გასაგონად. მეუღლეს ხელი მოხვია, მისაღებ ოთახში გაიყვანა და ერთად გრძელ სავარძელში ჩასხდნენ.

– რაო მამა, სოსო ნათლია შეგხვდა?... მოვა ჩვენთან? – დავითის ნათქვამს გამოეხმაურა ამირანი.

– შეიძლება ერთ საათში მოვიდეს. ამირან, გამოდი ჩვენთან სალაპარაკო გვაქვს, – მოუხმო დავითმა.

ამირანი დედასთან და მამასთან გავიდა და მათ შორის ჩაჯდა.

დავითმა ბავშვს ხელი გადახვია თავისკენ მოზიდა და წყნარი, დაბალი ხმით მიმართა:

– ამირან, რასაც ახლა გეტყვი კარგად დაიმახსოვრე და არავის არ უთხრა, შევთანხმდით?!

– კარგი, – დაეთანხმა ამირანი.

– მაშინ ყურადღებით მომისმინე და შეხედე ჩვენს კედელზე დაკიდებულ სურათს, დააკვირდი როგორი სივრცე შეიძინა, თითქოს-და ტყე ცოცხალია, ეს იმიტომ, რომ დედამ კაქტუსის ეკალზე თმის სამაგრი ჩამოკიდა, საიდანაც არეკლილი მზის სხივი

ოქროსფერ ვარსკვლავამდე მივიდა, ვარსკვლავმა კი, თავისი სხივი სურათისკენ გამოგზავნა და ამ სურათში დამალული სიცოცხლე გაადვიდა... ხედავ როგორ ერთმანეთთან არის ყველაფერი დაკავშირებული. დღეიდან ყველა შენს საფრთხეს სურათი შეიტყობს, და განსოვდეს, თუ რაიმე საფრთხე დაგემუქრა მიხვალ სურათთან შუბლით შეეხები და იმ ადგილას გაჩნდები, რომელიც ამ სურათზეა გამოსახული. უკან დაბრუნებაში ჩვენი მეგობარი ფუტკარი დაგეხმარება.

ფუტკარმა, თანხმობის ნიშნად დაიბზუილა და მერე, ამირანის გასაკვირად, ადამიანურ ენაზე ალაპარაკდა:

– ამირან იქ ყოფნა ბევრად უკეთესია, ვიდრე აქ - დამიჯერე.

ამირანი, ჯერ შეცბა, მერე ნაწყენი ტონით მიმართა ფუტკარს:

– ადამიანის ენაზე ლაპარაკი თუ შეგეძლო, რატომ ადრე არ მელაპარაკებოდი?

– მაპატიე, მაგრამ ასე იყო საჭირო და თანაც მე ხომ სულ რამდენიმე თვეა რაც მოვფრინდი თქვენთან, – უპასუხა ფუტკარმა და ამირანს თავისი ფრთებით ლოყაზე მოეაღწერსა.

ფუტკარის ალერსი ამირანს ეამა, დატკბა და გაბუტული იერი მიიღო, თან ხელის გული მიუშვირა ნიშნად იმისა - „აქ ჩამომიჯექიო“, და ალერსიანად მიმართა:

– დანაშაული, თუ გინდა გამოისყიდო მიაგებ ამ ჯადოსნური ტყის შესახებ.

– კარგი, – დაეთანხმა ფუტკარი, – ოღონდ საძინებელ ოთახში გავიდეთ, – და ორივე მშობლების საძინებელ ოთახში გავიდა, კარიც გამოიხურეს.

ამირანი, მშობლების საწოლზე მოკალათდა და ამბის მოსასმენლად მოემზადა.

– იცი რა, მოდი ჩიტის ამბით დავიწყოთ, თანაც შესაძლოა, მისი შთამომავალი შენი მეგობარი გახდეს, – თქვა ფუტკარმა და მოყოლა დაიწყო: – ნახატში შეამჩნევდი ერთ პატარა ჩიტს, რომელიც არ სცილდება წყლის გუბებს და სულ თავზე დასტრიალებს, ეს ის ჩიტია, რომელმაც ხორბლის ზეციური მარცვალი მოუტანა იბერიელებს... ტყუილად არ ამბობს ჩვენი მაცხოვარი: „პური ჩემი სხეულია“. დიახ, ჩემო ამირან, ხორბალი ზეციური წარმოშობისაა



და ის პირველად იბერიის მიწაზე, ჰაველას ალაგს დაითესა, აქედან გავრცელდა მთელ მიწაზე. ჰო მართლა, ამ ჩიტს, ჩინარი ჰქვია.

– ჩინარი ხომ ხის სახელია, – შეაწყვეტინა საუბარი ამირანმა.

– მართალია ხეს ჰქვია, მაგრამ იბერიაში ჩიტის ერთ სახეობას, რომელსაც ახლა იადონს უწოდებენ, ადრე ჩინარს ეძახდნენ და ის იბერიული წარმომავლობის სახელია, – განუმარტა ფუტკარმა.

– შემთხვევით, კავშირი ხომ არ არის ინდურ მითოლოგიურ ფრინველს „კინარსა“ და ჩვენს „ჩინარს“ შორის? – ჰკითხა ამირანმა.

– შესაძლოა, მაგრამ ძირითადად მითები შუამდინარეთის სახელმწიფოდან გავრცელდა, ხოლო იქ მაცხოვრებელი შუმერები იბერიელთა მონათესავე ტომია და მათ პატრონად დადგენილნი იყვნენ. შუამდინარეთის მაცხოვრებელთა ერთმა ნაწილმა – შვენების ტომმა, ჩრდილოეთით გადმონაცვლეს და იბერიელებთან ერთად კავკასიური რასა შექმნეს. მაგრამ, ამაზე ყველაზე კარგად შენი გამზრდელი ხის კასრი მოგიყვება, მე კი ჩიტზე გავაგრძელებ ამბის თხრობას. კარგი?

– კარგი, – დაეთანხმა ამირანი.

ფუტკარმა განაგრძო ჩიტის ამბის თხრობა:

– ამირან, ჩიტ ჩინარს სასწაულების მოხდენა შეეძლო, მაგალითად, ერთხელ გზააბნეულ და შემთხვევით ჯადოსნურ ტყეში მოხვედრილ მონადირის გარდაცვლილი დედის იერი მიიღო, მიუახლოვდა მონადირეს, დაუჩოქა და სთხოვა, რომ ამ ტყეში არც ფრინველი და არც ნადირი არ მოეკლა, გაოცებულმა მონადირემ ისე დატოვა ტყე, რომ სურვილიც კი არ გასჩენია თოფის გასროლის. ამის შემდეგ, როცა მონადირეს დედა მოენატრებოდა მივიდოდა ტყის პირას, ჩამოჯდებოდა ხის კუნძზე და ელოდებოდა თუ როდის ეჩვენებოდა ჩინარი - მისი დედის სახით. ერთხელ, და ეს მაშინ მოხდა როცა შენი მშობლები პატარები იყვნენ, მე კი გაჩენილი არ ვიყავი, ბოროტმა ძალებმა, შეიტყვეს ჯადოსნური ტყის შესახებ და მისი განადგურება განიზრახეს, მათ ვიღაც კოტ აბულიყ-ძე და დავი ასატ-კი-ანანი ჩაუდგნენ სათავეში. ამ მზაკვრული განზრახვის შესახებ მონადირემ შეიტყო, ბოროტ ძალებს

გზაში ჩაუსაფრდა და შეებრძოლა. მარტოს დაუმარცხებია ისინი, მაგრამ, თვითონაც მიძიმედ დაჭრილა და გარდაცვლილა.

– სევდიანი ამბავია, – ისევ შეაწვევტინა ამირანმა მოყოლა ფუტკარს.

– არა, არ არის სევდიანი, – არ დაეთანხმა ფუტკარი, – ეს საგმირო ამბავია, სევდიანი მაშინ იქნებოდა მონადირეს, რომ დაეგვიანა და ბოროტ ძალებს ტყის განადგურება მოესწროთ. გავაგრძელო მოყოლა? – იკითხა ფუტკარმა.

– კი, ძალიან მაინტერესებს, – უპასუხა ამირანმა.

– მაშინ მისმინე: – ჩიტს ძალიან უყვარდა გუბეში ბანაობა, რამეთუ ბუმბული უფრო ფერადი უხდებოდა, ეს კი ძალიან ახალისებდა და უფრო ანდამატურ ხმაზე იწყებდა გალობას, ჩიტის ხალისი მთელ გარემოზე გადამდებად მოქმედებდა, ხავს მოდებულ ბებერი რცხილაც კი ააყოლებდა თავის ხრინწიან ხმას მგალობელს, ფერადხალებიანი შვლის ნუკრი, ჭრელი კურდღლები, მინდვრის ლურჯი თაგვები სიმღერის ბგერებს აყოლილები განდაგანას ცეკვავენ, დათვიც კი იწყებდა ცეკვას, და მაშინ უნდა გენახა შენ, თუ რა მხიარულება იყო, ყველა სიცილით იხოცებოდა დათვის ბაჯბაჯზე, თეთრკუდა მეღიებს სიცილისაგან სლოკინიც კი ეწყებოდათ, ხოლო, მზის სხივები ისე სასაცილოდ დახტოდნენ, კალიები გეგონებოდათ. ხშირად ეს მხიარულება ტყის საზღვრებს სცილდებოდა და ახლო მდებარე სოფლის მაცხოვრებლებსაც ესმოდათ, ტყის მხიარული ჰანგები მათაც ახალისებდა, განსაკუთრებით ბავშვებს, მათ შორის შენს დედიკოსაც და მამიკოსაც. ჰო მართლა, ტყეში კიდევ ერთი იდუმალი არსება ცხოვრობს კლდის ვარდისფერი ლოდი, რომელიც წყლის გუბეს დარაჯად უდგას და როცა ანცი მზის სხივები, წყლის გუბეს, თავისი სიმხურვალით შეაწუხებენ, კლდე უჩრდილავს. ეს კლდე კავკასიის მთებში დაიბადა, იქ სადაც შენი მოსახელე და წინაპარი, ჭეშმარიტი ღმერთის მოქიშპეებმა, მთის კლდეზე ჯაჭვით მიაბეს.

– რატომ მიაბეს? – დაინტერესდა ამირანი.

– იმიტომ, რომ ხალხს ცეცხლი აჩუქა, – უპასუხა ფუტკარმა.

– ჭეშმარიტი ღმერთის მოქიშპეები ვინ იყვნენ? – ჰკითხა ამირანმა ფუტკარს.



– სულით დაცემული, ადამიანების მიერ შექმნილი ცრუ ღმერთები... იყო ერთი პერიოდი, როცა ადამიანებმა ჭეშმარიტი ღმერთი უარყვეს და თავისი გამრუდებული წარმოდგენით ცრუ ღმერთები შექმნეს, ამის გამო ღმერთმა დასაჯა ადამის მოდგმა, – ფუტკარმა ფრთები გაისწორა და გამოღებულ კარებში ხის კასრს გახედა, იმ იმედით რაიმე სწორად თუ არ ვთქვი, გამისწორებსო – კასრი დუმდა, ესე იგი ფუტკარი არ ცდებოდა.

– ამირანი, როდის განთავისუფლდება? – ჩაფიქრებულმა და ოდნავ ყოყმანით ჰკითხა ამირანმა ფუტკარს.

– როცა ჩვენი ქვეყანა მთლიანად, ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი სახელმწიფო გახდება. და, აი, მაშინ ღმერთი მესამედ აკურთხებს ჩვენს მიწას და ერს.

საუბარში გართულებს კარზე კაკუნის ხმა შემოესმათ, კარი ოდნავ გაიღო და ოთახში მამაკაცმა შემოიხედა.

– ნათლია, – სიხარულით წამოიყვირა ამირანმა, – მოდი ჩვენთან, – ამირანი ლოგინიდან წამოდგა და ნათლიას მიეგება.

– აქ რითი ხართ დაკავებულები? – ზოგადად იკითხა სოსო ნათლიამ.

– იცი ნათლია, ფუტკარს ადამიანის ენაზე ცოდნია საუბარი და ჯადოსნური ტყის ამბავს მიყვება, უფრო სწორედ ჩიტი ჩინარის ამბავს. მგონი დაასრულა უკვე ასეა ფუტკარო? – და ფუტკარს გახედა.

– ასეა, – დაუდასტურა ფუტკარმა.

– კარგით, მაშინ გინდათ მე, გუბის წყლის ამბავს მოგიყვებით?

– შესთავაზა სოსო ნათლიამ.

– გვინდა, – ყველას მაგივრად უპასუხა ამირანმა.

– საერთოდ ჩემო კარგებო, – ცოტახნით შეყოვნდა და ისევ გააგრძელა: – წყალი ერთდროულად ოთხ სამყაროში ცხოვრობს დეტაბერიც სამყაროში უხილავი წყალბადისა და ჟანგბადის ნაწილაკების სახით, რომლებიც ერთმანეთთან შეკავშირებული არიან ელექტრონული ნაწილაკებით, რაც მის სამბუნებრიანობას ქმნის. ამ ელექტრონულ ნაწილაკებს ჰარალე ჰქვია, ეს სიტყვა ხშირად იბერიულ სიმღერებშიც გსმენიათ. წყალი, ასევე, დედამიწიდან აორთქლებული ორთქლის და დედამიწის ზედაპირზე ყინულისა



და თხევადი ნაერთის სახით გვხვდება, ცხოვრობს დედამიწის გულშიც, მდუღარე თხევადი ნაერთის სახით, რომელიც ვულკანის ამოფრქვევის დროს თავისუფლდება, ორთქლად იქცევა და მერე სითხედ. მაშასადამე წყალი ქმნის ჯვრის ოთხ მხარეს, რომლის ცენტრში დედამიწაა მოქცეული, წყალი ცოცხალი არსებაა და ამიტომაც ვამბობ მე მასზე, რომ ის ცოცხლობს. წყალი, ადამიანის ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და ამიტომაცაა შესაძლებელი ადამიანისა და სამყაროს თანაარსებობა მატერიალურ გარემოში. დაიმახსოვრეთ, ადამიანის სხეულის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი წყალისგან შედგება და თუ მასში წყლის პროპორცია დაირღვა, ანუ მნიშვნელოვნად შემცირდა ან გაიზარდა, ადამიანის სხეული, ჰაერში არსებული ნაწილაკებისა და მაგნიტური ველის ზემოქმედებით დაიშლება. ადამიანი წყალს გარედან ღებულობს, მაგრამ, თვითონაც წარმოშობს. ხშირად წყლის ზემოქმედება ადამიანზე იმდენად ძლიერია, რომ მის გენეტიკურ სტრუქტურასაც ცვლის და ამ ცვლილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტრონული ნაწილაკები - ჰარაღე. ჩემო კარგო ამირან, ადამიანი იმ შემთხვევაში იცოცხლებს განუსაზღვრელად დიდხანს, თუ ის შესძლებს თავისი ორგანიზმის წყლის, სრულ განახლებას.

- ცრემლი წყალია? - ჰკითხა ამირანმა ნათლიას.

- ცრემლი არა მარტო წყალია, ის ადამიანის გრძნობების გამომხატველია, - უპასუხა ნათლიამ, და ამირანს ჰკითხა: - გინდათ ცრემლზე მოგიყვებით? და, მერე გავაგრძელებ გუბის წყლის თავგადასავალს.

- კი, - ორივე დაეთანხმა.

- მაშასადამე, - და დაიწყო სოსომ მოყოლა: - როგორც გითხარით ცრემლი სხვადასხვა ბუნებისაა. ყველაზე სუფთა სინანულის ცრემლია, ის ადამიანს სდის მაშინ როდესაც ადამიანი ინანიებს და ხელახალ ნათლისდება იღებს, ამ დროს ის იწმინდება. პეტრე მოციქულმა სამჯერ უარყო ქრისტე, თუმცა ის „გულმხურვალედ ტიროდა“ და ამიტომაც დაცემის შენდობა მიიღო, ანუ სინანულმა განბანა პეტრე მოციქული. თუკი ადამიანი ცოდვას გააცნობიერებს, მაშინ იგი სინანულის ცრემლით განიბანება და



სადმართო მადლი კვლავ მივა მასთან. რა თქმა უნდა, ცრემლი ეს სინანულის აშკარა ნიშანია, თუმცა არაერთადერთი. მაგრამ, გახსოვდეთ ზოგიერთი ტირის და ჯერ კიდევ ცრემლიანი თვალებით შეუძლია ბოროტება ჩაიდინოს. გულის ტკივილი და შინაგანი სულთქმა თუ არ ახლავს ცრემლს მაშინ ეს დიდი ფარისევლობაა. ასევე, არსებობს პატივმოყვარეობის ცრემლი, როცა ადამიანი ტირის არა იმის გამო, რომ ღმერთი განაჩინსხა, არამედ იმის გამო, რომ გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და სხვა ადამიანების თვალწინ დაეცა. ყველაზე უცოდველი ცრემლი ბავშვისაა, რამეთუ მას არ აქვს გაცნობიერებული რა არის კარგი და ცუდი, და ტირის მაშინ როცა სტიკვა.

– სოსო ნათლია ფრინველები, ან ცხოველები ტირიან? – ჰკითხა ამირანმა ნათლიას.

– როგორ არა, აბა გაიხსენე ვაჟა ფშაველას მოთხრობა: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, განა ახლახანს არ წაგიკითხე ეს წიგნი, – შეახსენა სოსომ ამირანს.

– ჰო, მართალი ხარ, გამახსენდა, – უპასუხა ამირანმა, – წყლის ამბავს გააგრძელებ? – ჰკითხა ამირანმა სოსო ნათლიას.

– კი, აბა რა, მაშ მომისმინეთ, – და სოსომ გააგრძელა გუბის წყლის ამბის მოყოლა: – თქვენთვის ცნობილია, რომ ღმერთმა თავდაპირველად შექმნა ცა, მერე მიწა. შექმნა ზღვა და ყოველივე დანარჩენი, შემდეგ კი აიღო თიხა, მოზილა - რასაკვირველია წყალში, და გამოძერწა კაცი. თქვენ კარგად იცით, თავდაპირველად ადამიანი იბადება მოუნათლავე, შემდეგ კი წმინდა ნათლისღების საიდუმლოთი ხელახლა იშობა წყლისგან, რომელიც სადმართო მადლია. წყალს, ჩემო კარგებო, ადამიანის მსგავსად ლაპარაკი შეუძლია, როცა წვიმს მაშინ წყლის ენას კაკუნი ჰქვია, თუ ნაკადულის ან წყაროს სახით მოედინება, მაშინ მის ენას რაკ-რაკი ჰქვია, თუ წყალი ტბაში, ან ზღვაში დედას მას მის ენას შხუილი ჰქვია. წყალს დუმილიც შეუძლია, და მაშინ დუმს, როცა დიდ საიდუმლოებას ინახავს - ასეა, ჯადოსნური ტყის გუბის წყალიც, ის ოქროსფერი ვარსკვლავის გულისთქმას ინახავს საიდუმლოდ, რომელიც იმ ვარსკვლავის შვილიშვილია, რომელმაც მოგვებს ქრისტეს შობის ადგილი მიასწავლა. გუბის წყა-

ლი კიდევ ერთ საიდუმლოებას ინახავს, კავკასიის მთებში დაბადებულ ვარდისფერ ლოდის და ეს საიდუმლო კავკასიის მთებში მიჯაჭულ ამირანს ეხება.

– მიჯაჭული ამირანის შესახებ ფუტკარმა მომიყვა, თურმე ხალხს ცეცხლი აჩუქა, – ჩაერთო ამირანი.

– ძალიან კარგი, – შეაქო სოსომ და ამბის თხრობა განაგრძო: – ამირანი ჭეშმარიტი ღმერთის ნათლული იყო, რომელიც ცრუ ღმერთებს, დევებს და ბოროტ ძალებს ებრძოდა. და, შენ მართალი ხარ, – მიმართა სოსომ ამირანს, – ხალხს ცეცხლი აჩუქა, მაგრამ, ერთხელ გაკადნიერდა და თვით ჭეშმარიტ ღმერთსაც გაუგულიანდა, ამიტომაც როცა ცრუ ღმერთებმა ის შეიპყრეს და კავკასიის კლდეს მიაჯაჭვეს, ჭეშმარიტი ღმერთი აღარ დაეხმარა. ზუსტად ასევე მოგვივიდა ჩვენ, იბერიელებს. როგორც ჩანს, ჩვენ და კავკასიის მთებზე მიჯაჭულ ამირანს ერთი და იგივე ხვედრი გვაქვს და მაშინ განვთავისუფლდებით, მიჯაჭული ამირანისა არ იყოს, როცა მთელი ერი სიბრყვისგან და უზნეობისგან განიწმინდება, და ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიან ერად ჩამოვყალიბდებით. მართალია ეს ძალიან ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ. ჩემო კარგებო, განწმენდაში, – მიმართა ფუტკარს და ამირანს, ერთი თვალით კაქტუსსაც გახედა, რომელსაც კისერი დაეგრძელებინა, რომ უკეთ გაეგონა სოსო ნათლიას საუბარი, – წყლის გუბიდან აორთქლებული წყალი გვეხმარება, რომელიც წვიმის სახით გვევლინება და გვრეცხავს ყოველდღიური ჭუჭყისგან, ხოლო ნიშნად სიწმინდისა ზოგჯერ ცაზე ცისარტყელას ამოქარგავს. მაგრამ, ზოგიერთი ადამიანის სული იმდენად ჭუჭყიანია, გუბის წყალი კი არა, ჰაველას წმინდა წყალიც ვერ გარეცხავს. მართალია, ასეთი ადამიანები ეკლესიებშიც კი დადიან, მაგრამ მათი ეკლესიაში სიარული და ცოდვების მონაწილეობა არ არის გულწრფელი, ეს მათთვის უფრო გართობით ხასიათს ატარებს, თავისი ღაზღანდარობით არღვევენ იმ იდილიას, რომელიც ეკლესიაში სუფევს და ჭეშმარიტად სალოცავად მისულ ადამიანებს ხელს უშლიან. აწუხებენ ეკლესიის სარკმელზე შემომჯდარ ანგელოზებს, რომლებიც სალოცავად მისულებს, ზემოდან, ვერცხლისფერ, ადამიანის თვალისთვის უხილავ, სამოთხ-





ის ვარდის ფურცლებს აფრქვევენ. ის ადამიანი ვინც სულით წმინდაა და კეთილი გულითაა ეკლესიაში მისული, მის სხეულზე დაყრილი ვერცხლისფერი ფურცლები ნათებას იწყებენ, ხოლო ხაგს მოდებული, დამძიმებული სულის მქონე ადამიანის სხეულზე დაცემული ფურცლები შავდებიან. მაშინ ანგელოზები, ასეთ ადამიანს, რაც შეიძლება უფრო მეტ და მეტ ვერცხლისფერ ფურცელს აყრიან, რომ როგორმე მისი სული გაანათონ. ასეა ჩემო კარგებო, – გულდაწყვეტით მიმართა სოსო ნათლიამ თავის მსმენელებს და მშვიდი ხმით განაგრძო: – სამაგიეროდ, ვერცხლის ფურცლებით განათებულ, ეკლესიიდან გამოსულ ადამიანს, თუ კიდევ გუბის წყლიდან წარმოქმნილი წვიმაც აბკურებს თავის მადლს, მაშინ ფურცლები ოქროსფრად იწყებენ ნათებას და ამ ადამიანის თავზე შარავადენდი წარმოიქმნება, შარავადენდის ნათება ჯადოსნურ ტყეში გაზრდილ ვარსკვლავს ახარებს. იცოდეთ, ჩემო პატარებო, ამ ნათების შემჩნევა - შარავადენდის, მხოლოდ სულით წმინდა ადამიანს შეუძლია და ოქროსფერ ვარსკვლავს.

– ნათლია, მე ვხედავ შენ შარავანდედს, – მიახარა ამირანმა.

– მეც ვხედავ შენსას, – უპასუხა სოსომ, – ჩვენ ყოველთვის ვხედავთ ერთმანეთის ნათებას და ამით ვგებულობთ თუ, ვინ არის ჭეშმარიტი ერისშვილი.

– მგონი ჩვენთან ვიღაც მოვიდა სტუმრად, კარის გაღების ხმა გავიგონე. თქვენ რა ვერ გაიგეთ? – ფუტკარმა, საუბარი შეაწყვეტინა სოსო ნათლიას.

– ჰო, მართალი ხარ, მეც გავიგე კარის გაღების ხმა, – დაეთანხმა სოსო, – თქვენ აქ დარჩით მე ვნახავ, თუ ვინ არის, – და სოსო ოთახიდან გავიდა.

ცოტახანში, საძინებელ ოთახში დედა შემოვიდა, ამირანს მოეალერსა და თხოვნით მიმართა:

– ჩვენ ერთ აუცილებელ საქმეზე მივდივართ და თუ დაგვაგვიანდა დაწევი, ოღონდ იცოდეთ მშვიდი არ დაწევი! – მერე ხის კასრს მიმართა: – ძალიან ნუ გადაღლი შენი სწავლებით, თორემ ბავშვმა უკვე ჩვენზე მეტი იცის, – თამარს გაეღიმა და ოთახიდან გავიდა.



მშობლები და სტუმრები ჯერ სახლიდან არც კი იყვნენ გასულ-  
ლები, რომ ამირანი კასრსში შექერა - თავისი წარსული და მომავალი  
ამბების მოსასმენლად.

ჩემი, შენი და მისი ვარდისფერი დილა



კაქტუსს თავზე ყვავილის პატარა კვირტი ამოსვლოდა, გარ-  
ეთ გაღწეულმა ეკალმა ეს რომ შეიტყო, წვერით უკან მოტრ-  
იალდა, რის გამოც მოღუნულ მავთულს დაემსგავსა და ძალიან  
სასაცილოდ გამოიყურებოდა. კაქტუსის ეკლის გუშინდელი მიზა-  
ნი, პარალელურ სამყაროში შეღწევა, დროებით გადაიღო - მას  
ახლა მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა თუ როდის გაიშლებოდა  
კვირტი. ყვავილის კვირტის გამოჩენის ამბავი ფუტკარსაც შეეჭ-  
ყო, რომელიც კაქტუსის თავზე შემომჯდარიყო და იმ ადგილს  
მიშტერებოდა საიდანაც ყვავილის კვირტს თავი ამოეყო. კაქტუს-  
ის ყვავილის კვირტის დაბადების ამბავი არ იცოდა ამირანმა, და  
მისმა მშობლებმა, მათ ჯერ კიდევ ეძინათ, არც ქუჩის მენაგვემ  
არ იცოდა კვირტის დაბადების ამბავი, ის ჩვეულებისამებრ ქუჩას  
ხვეტავდა, ცელივით იქნევდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მე-  
რე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც წამდერებით ლექს ამ-  
ბობდა, სტრიქონს რომ დაამთავრებდა, მიხედ-მოიხედავდა და ის-  
ევ თავიდან იწყებდა:

თბილისი „სინათლის“ ქალაქი,  
სადაც ბრძენი გახდა დალაქი,  
ხოლო დალაქი, მმართველი ქალაქის,  
სადაც ფული მართავს პროცესებს,  
გონიერი კაცი კი,  
ჩაეფლო ტალახში.



მენაგვის ლექსი, ქუჩაში გამგლეღ უცნობ მამაკაცს არ მოეწონა, გამომწვევად გაჩერდა ზაქარიას წინ და უკმეხი ხმით, სიტყვების კორიანტელი მიაყარა:

– თუ იცი მაინც რას ამბობ, შენისთანა უმადურებმა დააქციეს ეს ქალაქი. ნეტა რას გაყვირი: „დალაქი, დალაქი“, რას მიედებ-მოედები. აბა ვინ გააღამაზა ეს ქუჩა და, საერთოდ, ქალაქი?

მენაგემ მის ლაპარაკს ყურადღება არ მიაქცია, არც კი შეუხედავს მისთვის. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა უცნობი გამგლეღი, პროტესტის ნიშნად მკვეთრად აქცია ზურგი მენაგვეს და გაბრაზებული ნაბიჯით იქაურობას მოსცილდა.

ქალაქი ჩვეულებისამებრ იღვიძებდა, ისევ გაისმა მაღაზიის მეპატრონის ბუზღუნი, ცოლ-ქმრის ჩხუბი, ძაღლის წკმუტუნი. და, როგორც დიდ ქალაქს ჩვევია, დილა ნელ-ნელა ივლინებოდა მანქანების გამონაბოლქვით და ადამიანების უგუნურებით.

ამირანმაც გამოიღვიძა, თვალები მოიფშენიჭა, ოთახის ფლოსტებში ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა ფეხი გაჰყო და ბარბაცით მშობლებთან გავიდა.

– ამას შეხედე, ვინ მოსულა, დიდი აურზაურის ამტეხი, – რბილი და დამთბარი ხმით შეეგება მამა.

– მოდი ჩემთან, – და დედამ, როგორც ყოველთვის, გვერდით მიიწვინა.

– ერთი ორი დღე სახლში მოგიწევს ყოფნა და მერე ეკლესიაში მიგიყვანთ სტიქაროსნად, თან სემინარიაშიც ივლი; გუშინ მოველაპარაკე ჩვენს მოძღვარს. ხომ გინდა? – ჰკითხა დავითმა ამირანს.

– ძალიან, – განარებულმა უპასუხა მამას ამირანმა.

– ნეტა, ფუტკარი რატომ დაბზუის კაქტუსს? – გაიკვირვა თამარმა, და სამივე წამოიწია ლოგინიდან.

– კაქტუსმა ყვავილის კვირტი გაიკეთა, – ახარა ფუტკარმა.

სამივეს სახეზე სათნოება გამოეხატა. კაქტუსთან მივიდნენ.

დავითმა და თამარმა, როცა ყვავილის კვირტი დაინახეს, სურვილში ჩადნენ, ერთმანეთს სიყვარულით შეხედეს, მათ თვალებში კიდევ რაღაც მესამე იღუმალი გრძნობა იმალებოდა – და ეს მოგონება იყო.



– ამირან, ეს კაქტუსი ჩვენ გავზარდეთ, მისი დედაც ჩვენი გაზრდილია – მიმართა დედამ ამირანს, მერე ფუტკარს მიუბრუნდა და სთხოვა: – ჩვენ, რომ წავალთ მოუყევი ჯადოსნური ტყის ამბავი. მოუყევი?!

– დიას, მოუყევი, – დაეთანხმა ფუტკარი.

– დედა, ფუტკარმა უკვე მომიყვა ჯადოსნური ტყის მკვიდრი ჩიტი ჩინარის ამბავი.

– მართლა? მიხარია. ახლა, ამ სამ დღეში ფუტკარი კიდევ ბევრ საინტერესო ამბებს მოგიყვება.

– ჰო მართლა, ამირან, კარი არავის არ გაუღო, – ლაპარაკში ჩაერთო მამა.

– კარგი... და ყველაფერი ვიცი, – ორაზროვნად უპასუხა ამირანმა და ისევ დედასთან განაგრძო საუბარი: – დედა, შენი თმის სამაგრი კაქტუსის ეკალზე სულ უნდა ეკიდოს?

– კი. და, არ მოაძრო. წადი ახლა ჩაიცვი, ხელ-პირი დაიბანე და ვჭამოთ, თორემ ჩვენ, სამსახურში დაგვაგვიანდება.

აბაზანიდან გამოსულ ამირანს, მშობლები, უკვე მაგიდასთან მიმსხდარნი დახედნენ, ისიც მიუჯდა, იქ სადაც მისთვის განკუთვნილი ჭიქა რძე და კარაქიანი პური იდო, ამირანმა პირჯვარი გადაიწერა და ჭამას შეუდგა. მშობლებმა, როგორც კი დაამთავრეს საუზმე, წამოდგნენ, თავისი ნივთები აკრიფეს, ამირანს კოცნით დაემშვიდობნენ და წავიდნენ, თავის სამსახურში სხვისთვის. სახლში დარჩნენ: ამირანი, ფუტკარი, ხის კასრი, კაქტუსი და სხვის ბურთი. ამირანი როცა ჭამას მორჩა, ხის ფიალიდან სხვის ბურთი ამოიყვანა, ორივე ხელის გულში მოაქცია და მშობლების საძინებელ ოთახში გავიდა, სავარძელში მოკალათდა, სხვის ბურთი მუხლზე დაისვა და უსიტყვოდ დააცქერდა ფუტკარს, რომელიც ისევ კაქტუსის თავზე შემომჯდარიყო და ყვავილის კვირტს დასცქეროდა.

– ხომ გახსოვს დანაპირები? ტყის ამბავი უნდა მომიყევი, – ცოტახნის შემდეგ მიმართა ამირანმა ფუტკარს.

– მახსოვს, – უპასუხა ფუტკარმა, ამირანისკენ შემოტრიალდა ფრთები გაისწორა, კაქტუსის ეკლებს შორის მოხერხებულად მოკალათდა, იდუმალი გამომეტყველება მიიღო და ჯადოსნური



ტყის ამბის მოყოლა დაიწყო: – საოცრებების ტყე, ტყე სადაც  
ოქროსფერი ვარსკვლავი გაიზარდა, სადაც საოცრებების გუბის  
წყალი ცხოვრობს და სადაც სიყვარულით მოინათლნენ შენი  
მშობლები...

– ჩემი დედიკო და მამიკო? – გაიკვირვა ამირანმა.

– ჰო, შენი დედიკო და მამიკო. ამირან, ჯადოსნური ტყის მახ-  
ლობლად, პატარა სოფელია, ამ სოფელში ღვთივმიმადლებული  
ხალხი ცხოვრობს, ეს ხალხი ადამისა და ევას მესამე ძის – შეთ-  
ის, უშუალო შთამომავლები არიან, რომლებსაც წარდგნა არ შეხ-  
ვებიათ. სოფელი, მეოთხე განზომილებაშია გაშენებული და შიგ  
მოსხვედრა მხოლოდ სივრცეთაშორისი კარით შეიძლება, ამ სოფ-  
ლის ადგილსამყოფელი ცოტა ვინმემ თუ იცოდა.

– ხომ ახლაც არსებობს ეს სოფელი? – ჰკითხა ამირანმა თხრ-  
ობის საიდუმლოებაში ჩაძირულ ფუტკარს.

– რასაკვირველია. მხოლოდ ახლა ეს ადგილი უფრო დაცულ-  
ია, ვინაიდან ბევრმა იქაურმა მკვიდრმა დატოვა სოფელი და მისი  
არსებობის შესახებ ხმა გაერცვლდა. ამ სოფლიდან წამოსული  
მაცხოვრებლების დიდი ნაწილი მთელ იბერიის ტერიტორიაზე მი-  
მოიფანტნენ, ხალხში სიკეთეს, ქვეყნის და ღმერთის სიყვარულს  
ქადაგებენ, და როცა აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ისევ  
სოფელში დაბრუნდებიან.

– ეს ხალხი და მათ შორის ჩემი მშობლებიც, კავკასიონის  
კლდეზე მიჯაჭულ ამირანს რატომ არ ეხმარებიან თავის დახსნა-  
ში? განა ერთად უფრო არ გაუადვილდებათ იბერიის განთავისუ-  
ფლება? – ხმადაბლა იკითხა ამირანმა, თითქოს არ უნდოდა ვი-  
დაცას გაეგო.

– ამირან, – საუბარში ხის კასრი ჩაერთო, რომელიც გორაობ-  
გორაობით ამირანის მშობლების ოთახში შემოგორებულიყო, –  
მიჯაჭული ამირანი მხოლოდ მაშინ შეძლებს ჯაჭვის გაწყვეტას  
როცა მთელი იბერია ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიან-  
ი ქვეყანა გახდება, ამისათვის ხალხში საჭიროა ჭეშმარიტი სარ-  
წმუნეობის განმტკიცება.

– როგორც ამას ჩემი მშობლები აკეთებენ, ნათლია და მამა  
ზაქარია?



– მართალი ხარ ამირან, როგორც შენი ნათლია, შენი მშობლები, მამა ზაქარია და ჩვენი მენაგვე - რატომ გამოგრჩა მენაგვე?  
– დამრიგებლური ტონით შეეკითხა ფუტკარი.

– ისიც იბერიელია? – იკითხა ამირანმა.

– იბერიელია! და შენი მშობლების ბავშვობის მეგობარი. მას დიდი და რთული საქმე დაევალა, თქვენი ოჯახის დაცვა. ასევე, ხალხისათვის სიმართლის თქმა, ოღონდ ისე, რომ ნათქვამი ინტერუს-უზუმეს მოდგმისთვის ძნელად გასაგები იყოს, ანუ შეფარვით ამბობს სათქმელს.

– ააა, მივხვდი, იმიტომაა რომ სათქმელს ლექსად, რომ ამბობს. მართლა, ჩვენს სოფელს რა ჰქვია? – იკითხა ამირანმა.

– ღვთაება, – უპასუხა ფუტკარმა.

– მერე, მერე, გააგრძელე რა, – მოუსვენრობა დაეტყო ამირანს.

– ჰო-და, შენს მშობლებს, ძალიან უყვარდათ ჯადოსნურ ტყეში სიარული, ხშირად დედაშობილი ბანაობდნენ გუბის წყალში და არ რცხვენოდანთ თავისი სიშიშვლისა. გასაკვირი კი, ის იყო, რომ როცა, შენი მშობლები ჯადოსნურ ტყეში შედიოდნენ საოცრებები იწყებოდა ბალახი უფრო ხასხასა მწვანე და ხავერდოვანი ხდებოდა, ტყის ნიაგი ტკბილი და დედის ნანასავით ალერსიანი, ჩიტები უფრო ხალისიანად იწყებდნენ სხვადასხვა ხმაზე გალობას. ციყვები, კურდღლები, მელიები, ირმები კუნტრუმ-კუნტრუმით ეგებებოდნენ, ხეები სიყვარულის ნიშნად ტოტებს ხრიდნენ და ტანზე ეალერსებოდნენ, ხოლო ჰაერი რძისფერი და თბილი ხდებოდა ანუ იქმნებოდა ერთიანი სიყვარულის ჰარმონია. იცი ამირან, საოცრებების ტყეში სხვადასხვა ჯიშის ხეები ცხოვრობენ - ზოგი ერთად, ზოგიც ცალ-ცალკე. მაგრამ, ფესვებით ყველა ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთ მთლიან სისტემას ქმნიან, ასეთი ერთიანობა მათ ესმარებათ დაუძღურებული ხის ან ახლად ამოყრილი ნერგების გამოკვებაში. ჯადოსნური ტყე წელიწადის ოთხივე დროს ლამაზია, მაგრამ, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა ხეები ახალი ფოთლებით იმოსებიან. გაზაფხულზე მინდორიც უფრო ხასხასაა, ყვავილებიც მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ლამაზია ალუბლების ბორცვი, რომელიც ტყის შუა გულშია განლაგებული, მის აყვავებას ტყის ყველა სულდგ-



მული ელოდება. კიდევ - გაზაფხულზე, ჩიტები, ახალი ბუდეების გაკეთებას იწყებენ, რაც ძალიან ახარებს ხეებს, ისინი სულმოუთქმელი ელოდებიან თუ როდის აახმაურებენ ჟივილ-ხივილით ბარტყები მათ გარემოს, ეს ხმა მათ სხეულს სითბოთი ავსებს. და, კიდევ რა იცი? – ზოგადად იკითხა ფუტკარმა და განაგრძო: – ტყეს, სხვა მწერებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ პატივში ჰყავთ ფუტკრები, ხოლო მათ შორის ყველაზე გამორჩეულ პატივში – დედაჩემი. მე კი, მოგესხენებათ მისი ფუმფული გახლავართ. – ბოლო სიტყვები ფუტკარმა ამაყად წარმოთქვა.

– ესე იგი შენც ჯადოსნური ტყის მობინადრე ხარ? – ჰკითხა ამირანმა ფუტკარს.

– შენც, ჩემო ამირან, – უპასუხა ფუტკარმა. გაეღიმა, და ორაზროვნად ჰკითხა. – დავიჯერო, არ იცოდი?

– როგორ, მეც ჯადოსნურ ტყეში დავიბადე? – ვითომ გაიკვირვა ამირანმა.

– დიახ, ასეთი იყო უზენაესის სურვილი. შენი დაბადების ადგილი დედაშენს ოქროს ვარსკვლავმა დაუთქვა.

– კარგი, მერე, გააგრძელე მოყოლა, – სთხოვა ამირანმა.

– ჰო-და, ჩემო ამირან ჩემს მოდგმას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა შენს მშობლებთან და როგორც კი შემოვიდოდნენ ტყეში, ფუტკრების მთელი ჯარი, რასაკვირველია – დედაჩემის მეთაურობით, გაქანდებოდა მათ შესახვედრად, ჯერ თავზე ყვავილის მტვერს დააფრქვევდნენ, მერე ფეხებით ტანსაცმელში ჩააფრინდებოდნენ, მაღლა აიტაცებდნენ და ხეებს შორის დააქროლებდნენ. დედაჩემისაგან ვიცი, რომ ეს ძალიან მოსწონდათ შენს მშობლებს, ამ დროს მათ, თავი ფრთიან ანგელოზებად წარმოედგინათ.

– მეც ვიფრინე გუშინ, ოღონდ სხივის ბურთის დახმარებით... იცი, ახლა შენ რაც მოყვევი თითქოს ადრეც მსმენია. არ ვხუმრობ, მართლა. ჰო, კიდევ რას მოგვიყვები? – სხვების მაგივრადაც ჰკითხა ამირანმა.

– მოდი ახლა კასრმა მოგვიყვეს რამე საინტერესო ამბავი, – შესთავაზა ფუტკარმა ამირანს.

– არა ვარ წინააღმდეგი, – დაეთანხმა მეგობრებს კასრი.



– კარგია. რას მოგვიყვები? – შეეკითხა კასრს ამირანი.  
– მე, მოგიყვებით სიმბოლოებზე. გაინტერესებთ? – და ხის კასრი კედელს მოხერხებულად მიეყრდნო.  
– კი გვაინტერესებს, – ერთდროულად უპასუხეს ამირანმა და ფუტკარმა.  
– მაშ კარგი. – და ხის კასრმა საუბარი დაიწყო: – იცოდეთ, რომ ძალიან დიდი დატვირთვა აქვს სიმბოლოებს, რომლებშიც დამალულია ერის, ან რაიმე მოვლენის საიდუმლოება. ჩემი მოსაზრებით სიმბოლოები შეიძლება დაგვოთ მარტივ და რთულ სიმბოლოებად. მარტივია იეროგლიფი, ასო, სიტყვა და სასვენი ნიშანი ანუ ეს ის სიმბოლოებია, რომლებიც ქმნიან ადვილად აღსაქმელ ინფორმაციას. ხოლო რთულია: ხატი, ზოდიაქო, პიკტოგრამა, სიტყვათა წყობა ანუ წინადადება, ცეკვა, პანტომიმა, მიმიკა, სიმღერა, ჰიმნი, რელიგიური საგალობლები, ღერბი, ერის წესჩვეულება, რელიგიური რიტუალები, სიმბოლური ქცევა. ანუ, ეს ის სიმბოლოებია რომლის დახმარებითაც შეიძლება ინფორმაციის შექმნა და წაკითხვა. რაც მე ჩამოვითვალეთ, მათ შორის, ხატი, ყველაზე რთული სიმბოლოა, მასში განთავსებულია დიდი ენერგონფორმაცია, იბერიულ სინამდვილეში მას სამაგი დატვირთვა აქვს: სულიერი, სიტყვიერი და გამოსახულებითი. თუ განვიხილავთ სულიერების პოზიციიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ღმერთის, ან წმინდანის გამოხატულებაა. რაც შეეხება სიტყვიერს, აი რას გეტყვით, და ჩაუფიქრდით ამ სიტყვებს: „თქვა ღმერთმა გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად...“. როგორი სიბრძნეა ამ სიტყვებში ჩადებული, ხომ გრძნობთ. დაბოლოს, გამოსახულებითი დატვირთვა, რაც იესო ქრისტეს ორ ბუნებიანობას ადასტურებს. მაშასადამე იბერიულ სინამდვილეში სამივე ნიშანი ერთ მთლიან სიმბოლოშია მოქცეული, სახელდობრ, სიტყვა „ხატი“ მოისხენიება – „თქვა ღმერთმა გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად...“. და, იგივე სიტყვა აღნიშნავს ხატს, როგორც რელიგიურ სიმბოლოს, მისი მატერიალური გაგებითაც ხორცშესხმული. სხვა ერის მეტყველებაში მსგავსი თანხვედრა არ არსებობს. ჩემო კარგებო, ხშირად, მარტივი და რთული სიმბოლოები ერთმანეთში გადადიან, მაგალითად: გამოთქმული ასო ეს არის ბგერა, ასოთა ნაკრები სიტყვაა, სიტყვათა ნაკრები წინადადება. გარდა ამისა მათ აქვთ შინაარსობრივი დატვირთვა და





ისინი სამბუნებოვანნი არიან, რაც დასტურდება შემდეგნაირად, აი მაგალითად: წინადადება, სიტყვა ან რომელიმე სიმბოლო შეიძლება დაეწეროს, ან გამოვსატოს, შეიძლება გამოვთქვათ და გავიფიქროთ. მათ ამ სამბუნებოვნებაში, ფიქრი, ყველგან ღებულობს მონაწილეობას როგორც სამების შემაკავშირებელი, რამეთუ, თუ არ გავიფიქრეთ, ვერ დაეწერ და ვერც გამოვთქვამ, ხოლო გავიფიქრება თავისთავად ფიქრია. როგორც ხედავთ სიმბოლოებისათვის სამბუნებოვნებაა დამახასიათებელი, ესე იგი ის ზეციური ნააზრევის ნაყოფია, გააჩნია აზრი. ამასთან, სხვა მოაზროვნე მყარი და არამყარი ნაერთებისგან, თუნდაც ფოტონებისგან, იმით განსხვავდება, რომ ეს არის „ნაფიქრალის აზრი“, მას გადაადგილება შეუძლია პირველადი და დამატებითი ენერგონფორმაციის ფორმით, რომელშიც ადამიანი შემსრულებლის როლს ასრულებს, ამდენად გვაქვს უფლება, რომ სიმბოლოებს დავარქვათ „ნაფიქრალის აზრი“, ანუ თუ არ ვიფიქრებთ ერთიდაიგივე სიტყვას ან წინადადებასა სასვენი ნიშნების არასწორი გამოყენებით შეიძლება სხვა აზრი მივანიჭოთ. ხშირია, როცა ადამიანი, ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს ამ დროს მისი სული წვალობს, იმიტომ რომ, მისი მსახური ცრუობს. სიცრუე კი ცოდვაა და ამ მოსაზრებას ვეთანხმები, იმედია თქვენც, – მიმართა კასრმა თავის მეგობრებს და გააგრძელა საუბარი: – თევდორე მღვდლის საქციელი... იცით თქვენ ეს ამბავი, როცა ჩვენს დედაქალაქს მტერი მოადგა, მღვდელმა იცრუა და სხვა გზაზე ატარა დამპყრობლები, ამ საქციელის გამო დამპყრობლებმა - ის აწამეს, სამაგიეროდ, ჩვენი ქალაქი აოხრებას გადაურჩა და მადლიერმა ხალხმა თევდორე წმინდანად აკურთხა - მაშასადამე, სიცრუე იზომება და გააჩნია მისია, და მაშინ ითვლება დიდი ცოდვად, როცა სხვას აყენებ ზიანს. გახსოვდეთ ჩემო კეთილო მსმენელებო, და ეს ყველაზე კარგად იცის კაქტუსმა, რომელიც ახლა ჩუმათ გვისმენს, წარმოთქმულ სიტყვას დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვს. სიტყვა კურნავს ადამიანს და იგივე სიტყვამ შეიძლება გაანადგუროს ადამიანი. ჩვენ შეიძლება ვუთხრათ ჩვენს ურწმუნო მეგობარს, რომ სიყვარული ყველაზე უფრო ნეტარი გრძნობაა და გიყვარდეს ღმერთი, მაგრამ მას შეუძლია გითხრას: „განა შეიძლება ადამიანი სიტყვით დაარწმუნო, რომ თაფლი ტკბილია თუ მას ის არ გაუსინჯავს“. აქ უკვე მნიშვნელობა აქვს თუ შენ ვინ ხარ, როგორ

ცხოვრობ, რა მიზანი გაქვს, აი მაშინ ექნება შენს სიტყვებს ძალა. გახსოვდეთ! სიტყვა, მეტყველება, ენა, აზრის უშუალო სინამდვილეა. ჩემი მოსაზრებით „სიტყვა“ არის პირველადი და დამატებითი ენერგონფორმაციის უშუალო გამომხატველი ფორმა და ენერგონფორმაციის გადამცემი საშუალება. და, თუ ეს ასე არ არის, მაშინ რა არის ლოცვა? ყველა ადამიანი თავის ენაზე ლოცულობს და ჩნდება კითხვა: სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული ლოცვა ესმის ღმერთს? რასაკვირველია ესმის, რამეთუ სიტყვა აზრის უშუალო სინამდვილეა, აქ მნიშვნელობა აქვს გონების მიერ გამოწვეულ ვიბრაციას ანუ ენერგონფორმაციას, რომელიც გადაეცემა სამყაროს. ეს თქვენ, ადამიანებს, არ გეხმობთ ერთმანეთის და ამიტომ დაინგრა ბაბილონის გოდოლი, თორემ ღმერთს ძალიან კარგად ესმის ყველა სულიერის ნათქვამიც და ნაფიქრიც. ამდენად, ჩემო კარგებო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმბოლოებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ სამყაროში, მისი პრინციპია გადმოგვცეს ინფორმაცია სამყაროში არსებული წესების შესახებ, მაშასადამე გამოდის, რომ წესი საშუალებაა პრინციპის აღსრულების.

– არა წესი წესია, ხოლო პრინციპი შეიძლება წესს ეწინააღმდეგებოდეს, – შეეწინააღმდეგა ხის კასრს ამირანი.

– არა, როცა ყველაფერი მოწესრიგებულია, მაშინ წესი პრინციპის აღსრულებელია, – არ დაეთახმა კასრი.

– თუ, მოყოლა დაამთავრე მეც მაქვს ჩემი მოსაზრება სიმბოლოების შესახებ, – საუბარში ფუტკარი ჩაერია.

– დიახ დავამთავრე, ბრძანეთ, – და ხის კასრი დაელოდა ფუტკრის მოსაზრებას.

– მე მგონია, რომ სიმბოლოები, არა მარტო ინფორმაციის, არამედ გამაფრთხილებელ ნიშნებსაც მოიცავს, – იღუმალი ხმით თქვა ფუტკარმა.

– გეთანხმები, – უპასუხა კასრმა, – და ამის ნათელი მაგალითია იბერიაში ქრისტეს კვართის ჩამობრძანება, ეს იმის სიმბოლოა, რომ მეორედ მოსვლა იბერიიდან დაიწყება და უფალი პირველად იბერიელებს გამოეცხადება. ჰო, აქ ყურადღება იმას მიიღწეოთ, რომ კვართის გადმობრძანება არ არის სიმბოლო, რა-



მეთუ თავად პროცესია სიმბოლო, ვინაიდან ეს პროცესი კოსმიურია, დაიმახსოვრეთ! - კვართი ცოცხალი მატერიაა.

ამ საუბარში იყვნენ გართულები, როცა ამირანის მობილური ტელეფონის ხმა გაისმა - დედა ურეკავდა.

- ბატონო, გისმენ! - უპასუხა ამირანმა.

- ამირან! შესვენებაზე ვერ გამომდივარ, შენ თვითონ გაიცხელე საჭმელი, ფუტკარს ლამბაქზე თაფლი დაუსხი, და არ დაგაფიწყდეს კარი არავის არ გაუღო, ქუჩაში ისევ ხალხია გამოსული, გუშინდელი დღის გამოსვლების გააგრძელებაა. ხომ გაიგე რაც გითხარი?! შევეცდები დღეს ადრე მოვიდე, - აღელვებული საუბრობდა თამარი.

- გაგიგე დედა, ნუ ნერვიულობ, - მშვიდად უპასუხა ამირანმა.

ამირანის მშვიდმა ხმამ თამარი დააწყნარა და დაიმედებული დაემშვიდობა:

- კარგი, აბა სადამომდე.

დღემ, ამბების მოყოლაში, თამაშში, კამათში მალე გაირბინა, სადამოც მოახლოვდა და კარებზე ნაცნობი ზარის ხმა გაისმა.

ამირანმა, სხივის ბურთი ხის ფიალაში დააბრუნა, ბინაში შემოსასვლელ კარებს მიუახლოვდა და იკითხა:

- ვინ არის? - მაგრამ, პასუხს არ დაელოდა და კარი გააღო.

- რატომ არ დაელოდე პასუხს? - შეეკითხა დედა.

- ვიცოდი შენ, რომ იყავი, - მშვიდად უპასუხა ამირანმა.

- გასაგებია, მაგრამ, მაინც ფრთხილად უნდა იყო. ხომ შეიძლება ვიღაცა ამდევნებოდა. - თამარმა ფეხზე გაიხადა, ფეხები ოთახის სანდლებში გააყყო და სამზარეულოში გავიდა. ამირანი უკან გააყვა.

- დედა, შენ ვინმე, რომ აგდევნებოდა მაშინ სახლში არ ამოხვიდოდი, - ამაყად უპასუხა ამირანმა, - და ჰკითხა: - მაინც რა ხდება გარეთ?

- როგორც ყოველთვის, უაზრობა... ხალხის მართვის სადავეები ისევ უგუნურმა პოლიტიკოსებმა ჩაიგდეს ხელში, - თამარი თან ამირანს ესაუბრებოდა და თან სამზარეულოში საქმიანობდა.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა - დავითი ხან ზარს რეკავდა, ხან აკაკუნებდა.



– ეს მამაა, წადი გაუღე კარი!  
– აა, შენც იცანი კაკუნი ხომ, – ნიშნის მოგებით უთხრა ამირანმა.

თამარს შვილის ნათქვამზე გაეღიმა.

ამირანმა კარი გააღო, სახლში დავითი შემოვიდა, თავიდან ბოლომდე დასველებული.

– დედა, გამოიხედე! ნახე მამა რა სველია, – ამირანს მამაზე გაეცინა, რადგანაც დასველებული ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა.

თამარმა სამზარეულოდან გამოხედა ქმარს და შეეკითხა:

– ძალიან დასველდი ტკბილო? – თამარსაც გაეცინა, და დავითს ალერსიანი ხმით მიმართა, – მეც ძლივს შემოვასწარი წვიმას. მიდი გამოიცვალე, ამასობაში საჭმელიც მზად იქნება.

– კარგია წვიმა რომ დაიწყო, იქნებ დაიშალოს მიტინგი და ხალხი სახლში წავიდეს. ძალიან მეშინია უდანაშაულო ხალხი, ამ ნაძირალა პოლიტიკოსების ინტერესებს არ შეეწირონ... თამარ, თამარ! – დაუძახა დავითმა, რომელსაც უკვე სველი ტანისამოსი გამოეცვალა.

– ბატონო, – გამოეხმაურა მეუღლე.

– თამარ, იცი დღეს ვის შევხვდი?!

– ვის? – იკითხა თამარმა.

– თორნიკეს.

– მართლა, როგორ გამიხარდა. ხომ დაპატიჟე ჩვენთან? – გახარებულმა იკითხა თამარმა.

დედის ასეთმა კეთილმა განწყობამ, ამირანი დააინტერესა და მამას ჰკითხა:

– ვინ არის თორნიკე?

– სალამოს, ერთ პატარა მოთხრობას წავიკითხავ და გაიგებთ თუ ვინ არის თორნიკე. შევთანხმდით?

– კარგი, – დაეთანხმა ამირანი.

სალამო მოახლოვდა დანაპირები არც ამირანს და არც დავითს არ დავიწყებიათ. დავითმა წიგნების კარადაში თხელყდიანი, დაახლოებით ოცდახუთგვერდიანი წიგნი მოძებნა, მოიხმო ამირანი, გვერდზე მოისვა და მოთხრობის კითხვა დაიწყო. მიუხედავად იმ-



ისა, რომ დავითი, მოთხრობას, მშვიდი ხმით და აუჩქარებელად კითხულობდა, ამირანი შინაგანად გრძნობდა, რომ მამა ღელავდა, ხოლო როცა იბერიელების მტერთან შეტაკების ეპიზოდის აღწერის კითხვას შეუდგა, ხმაზეც შეეცყო - ხმა მკაცრი და ძლიერი გაუხდა:

– ... ბრძოლა ხელჩართულ შეტაკებაში გადაიზარდა. სატევარს შეზრდილი იბერიელები აშკარად ჯაბნიდნენ რუსებს, მაგრამ რიცხობრივად რუსები ჭარბობდნენ, და ხშირად იბერიელებს ერთმანეთთან ზურგშექცევით უწევდათ დგომა, მტერი უკნიდან, რომ არ მიპარვოდათ. ერთ-ერთი მოწინააღმდეგე რომელსაც წითელხოლიანი ბოხოხი ეხურა, აშკარად ეტყობოდა რომ რუსი არ იყო, ხიშტმომარჯვებული დემეტრესკენ გაქანდა. დემეტრემ თავდამსხმელს ოსტატურად დაუხვედრა სატევარი, სარმა გამოსდო და ძირს დაანარცხა, სატევარი გულთან მოუღერა, უნდა ჩაერტყა და, უნებლიედ თვალებში ჩახედა... თვალები ისეთი სევდიანი ჰქონდა როგორც მხოლოდ კავკასიელს თუ შეიძლება ჰქონოდა: – დაგწყევლოს ღმერთმა, – მიაძახა, და მეორეს მიუტრიალდა, რომელიც ზურგიდან მიპარვოდა, მაგრამ ფეხი ძირს დავარდნილ კავკასიელს გამოსდო და პირქვე დაეცა, წაქცევისას სატევარი მიწაში ჩაესო, ხელის წატანება მოასწრო, შემოტრიალდა, მაგრამ რუსს უკვე ხიშტიანი თოფი მის თავზე აღემართა, წამიც და გაგმირავდა, მაგრამ, დემეტრეს მიერ წაქცეულმა კავკასიელმა, რუსს ფეხი ჰკრა - წვივში, რუსი უკან წატორტმანდა წონასწორობა დაკარგა და მოქნეული ხიშტი დემეტრეს ააცილა, ხიშტი მიწაში ღრმად ჩაესო, ამით დემეტრემ ისარგებლა და რუსს სატევარი ქვემოდან ამოჰკრა, დაჭრილი რუსი ძირს დაეცა. დემეტრე წამოხტა და მის მშველელს გახედა, ახლა იმან მიაძახა ჩეჩნურად: – აღარ შემხვდე სადმე, თურემ ღორივით დაგკლავ, – და სატევარის წვერზე უფრო წვეტიანი მზერა ესროლა.

საშინელ ღრიალში და ოხვრაში ცამდე ატყორცნილი ყვირილის ხმა გაისმა:

– ძაღლის შვილები, ალყაში გვაქცევენ! – დემეტრემ იცნო ჯუანშერ დადემეკელიანის ხმა, – უკან ხევისკენ დავიხიოთ, დროზე!

– ყვიროდა ჯუანშერი.

დემეტრემ, ახლა შეამჩნია თურმე სატევარი გადატეხოდა, გული ეტკინა - მამა-პაპისეული იყო, ბარძაყზე გადაისვა, სისხლი მოწმინა, ბუდეში ჩარგო და ხევისკენ დაეშვა... უცებ ყვირილმა გააქვავა, ხმა ეცნო, მოიხედა, არ შემცდარა, გიორგი ეძახდა: – დემეტრე ძია! დემეტრე! – მათი მზერა ერთმანეთს შეეჯახა, ვერცერთმა ვერ გაბედა მზერის გადაწონვა, თითქოს ირგვლივ ყველაფერი დადუმდა და მათი გონების მიღმა დარჩა: ყვირილი, ოხვრა, გინება - მხოლოდ ერთმანეთს ხედავდნენ და ერთმანეთის ესმოდათ. გიორგიმ კიდევ ერთხელ დაუძახა: – დემეტრე ძია! ჩემს სახელზე სანთელი დაანთე, ნათიას გადაეცი ბიჭი ვაჟკაცად გამიზარდოს! – და ხელში ჩაბლუჯული რევოლვერი ერთ-ერთ რუს მიუშვირა, არ გავარდა, ეტყობა ტყვიები გათავებოდა.

– დემეტრემ დაინახა, რომ მის თანასოფელს სამი რუსი, ხიშტმომართული თოფებით შემორტყმოდნენ. გიორგი სუნთქვა შეკრული იდგა, ისე როგორც დემეტრე მას ეკლესიაში ხედავდა, ლოცვის დროს. – მერე გიორგიმ ხელები ცისკენ აიშვირა და მთელი ხმით დაიყვირა: – დიდება შენ ღმერთო ჩემო! გმადლობ თავისუფლება, რომ მაჩუქე! – ყვირილზე დამფრთხალმა რუსებმა ერთდროულად გაურტყეს ხიშტები, ზევით აიტაცეს და, შემდეგ, დაუნდობლად ძირს დაანარცხეს. ეს იმდენად საზარელი სანახავი იყო, რომ მიწაც კი იძრა, ცა მოიქუფრა და იმისთანა წვიმამ დასცხო, რომ იქაურობა სულ წაღეკა. ნიაღვარმა არც რუსი და არც იბერიელი არ დაინდო, სულ შემთხვევით დემეტრე და მისი გადამრჩენელი ჩეჩენი გადარჩნენ. ალბათ, ამბის მომყოლებად დატოვა უფალმა.

დავითმა ცოტახნით კითხვა შეწყვიტა. ამირანისკენ მიტრიალდა და დამაჯერებელი ხმით მიმართა:

– ყველა ადამიანი, ღმერთის შვილია და თუ ერთი ჩაიდენს ცუდ საქციელს ყველა ისჯება. დაიმახსოვრე ეს! და დავითმა კითხვა განაგრძო:

– ... ხანში შესულ დემეტრეს ხშირად ახსენდებოდა დარიალის ხეობის ბრძოლის ეპიზოდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის შვილებს გადახედავდა, უფროსი მისი ღვიძლი იყო, ხოლო უმცრ-



ოსი, თორნიკე - გიორგის შვილი, რომელიც შვილივით გაზარდა და უყვარდა.

- თორნიკე, იმ გიორგის შვილია ბრძოლაში, რომ დაიღუპა? - გაკვირვებულმა იკითხა ამირანმა.

- ჰო მამა, და დღეს შემხვდა.

- მამა, ამ წიგნში თორნიკეს იმ ჩეჩენზე, დემეტრე, რომ გადაარჩინა, რატომ მეტი არაფერი არ უწერია?

- არ ვიცი. მაგრამ... მგონი ახლა, მისი შვილი ჩეჩნეთის განმთავისუფლებელ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას, ჰო ეს დღეს მითხრა თორნიკემ, როცა შემხვდა. ახლახანს, როგორც თვითონ მითხრა, ერთი კვირის წინ, მოიძია მისი კვალი.

- ამირან, შენი ძილის დრო მოვიდა, - თამარმა დავითს წიგნი ჩამოართვა, მაგიდაზე დადო, ამირანს ხელი მოკიდა და საძინებელი ოთახისკენ წაიყვანა.

ძილი მშვიდობისა... და ჩემი, შენი და მისი ვარდისფერი დილა გარდაისახა, ამირანის გულის ფეთქვაში, მერე სიზმრების წინასწარმეტყველ ზმანებაში, სადაც უკვე ხანში შესულ თორნიკესთან ერთად იბრძოდა... დავითის სული კი, თავს დასტრიალებდა და ძალას მატებდა.

ვისია ეს მწვანე დილა?



კაქტუსის ყვავილი გაშლილიყო, შიგნით ფუტკარი შემძვრალი-ვიწყებით ბზუოდა. წინა დილას კაუჭად მოტრიალებული კაქტუსის ეკალი ადრინდელივით გასწორებულიყო და ისევ პარალელურ სამყაროში შეღწევას ღამობდა. მენაგვე ჩვეულებისამებრ ხვეტავდა ქუჩას, ცელივით იქნევდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

ქალაქი ქურდებით აივსო,  
დალაქმა ჯიბე ფულით გაივსო,



ობუცმენტს საჯდომში ეკალი ჩაესო,  
ქუჩები ტრაკში გაჩხერილი ცოცხიანი კაცებით გაივსო,  
მონაზონს თვალები ცრემლებით აევსო,  
გაეგო, თურმე ეკლესიაში იუდას სანთელი აენტო.  
ბერი სასოწარკვეთილი გაჰყვირის:  
„თქვენს გამო სამოთხის კარები, დიდი ხნით დაიხშო“.  
ზნეობა, სირცხვილისაგან პირქვე დაემხო,  
მოთქვამს: „ეს რა დაგვემართა, სიბრიყვეს უზნეობაც დაერთო“.  
იბერიელები გვიან მიმხვდარან, რომ ეკლესიის გზა,  
პოლიტიკოსებს ხელში ჩაეგდოთ.  
თავისუფლებამ შიშისგან, პირზე ურდული დაიდო,  
ინჩ-რუს-უზუმემ კი, იბერთა ქვეყანა ფეხქვეშ გაიგდო.  
ამ ყველაფერით პუტინი ძალიან გაერთო.  
ვაი, ჩვენს თავს უბედურს, ქვეყანას ზეცა თავზე დაემხო.

დილის ნიავი მენაგვის ლექსის სტრიქონებს მუშტად ჰკრავდა, ჰაერში დაატრიალებდა და ქუჩაში გამგლელებს ყურში ისე ძლიერად მიათხლიშავდა, რომ ყველას ეგონა თითქოს-და ვიღაცა მიეპარა და სილა გააწნაო, შეშინებულები უკან იხედებოდნენ - რა მოხდა, რა ამბავიაო. მათი საქციელი იმდენად აუხსნელი და სასაცილო იყო, რომ ფანჯარაში გადმოყუდებულ ქალს, რომელიც ყოველ დილას თავის ღოთ ქმარს ელოდებოდა, გაეცინა. ქალის სიცილმა, მაღაზიის მეპატრონე განაცვიფრა, ის, ამ ქალს დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ არამცთუ სიცილი, არამედ მის სახეზე ღიმილიც კი არ შეუმჩნევია, და დააპირა თუ არა ქალისთვის ეკითხა: რა გაცინებსო? თვითონაც ყურის ძირში ისეთი სილა იგრძნო, რომ კინაღამ წაიქცა, შეშინებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ სხვებივით, ვერავინ ვერ დაინახა. იგივე დაემართა ძაღლის მეპატრონესაც. ღოთის ცოლი კი სიცილს ვერ იკაგებდა, უმატებდა და უმატებდა, და ეს ისტერიული სიცილი ახლომახლო სახლების ისედაც დაბზარულ კედლებს სულ მთლად არღვევდა, ბინაში აღწევდა და იქ არსებულ გარემოს სასაცილოს ხდიდა...

ჰოო, დილა თავის უფლებებში ნელ-ნელა შედიოდა - სილა გაწვნილი ხალხს უკან აღევნებოდა, თან ახალ მსხვერპლს ეძებდა.





თამარი და დავითი ერთად გავიდნენ ქუჩაში. თამარი ჩვეულებრივად მხარეს გადავიდა, ხოლო დავითი მენაგვეს მიუახლოვდა და გამოელაპარაკა:

– რაო, ზაქარია გამოაფხიზლე ხალხი.

– არა მგონია სადამომდე გაჰყვეთ სადი აზრი. აი სილა არ ვიცი?.. – უპასუხა მენაგვემ, – ჰო, მართლა, წუხელ ვარსკვლავს ვაკვირდებოდი... მგონი ჯობდეს ჯადოსნურ ტყეში დაბრუნდეთ და ხუთი წელი აღარ გამოჩნდეთ. იქნებ მანამდე ხალხიც მოვიდეს გონს, ამირანიც გაიზრდება და ჩვენც გავძლიერდებით.

– მართალი გითხრა, არ ვიცი როგორ მოვიქცე... ილიას გამოჩენას ველოდები... კარგი, ზაქარია ამაზე სადამოს ვისაუბროთ, ახლა სამსახურში უნდა წავიდე. – დავითი თბილად დაემშვიდობა ბავშვობის მეგობარს და ჩქარი ნაბიჯით მეტრო „მარჯანიშვილისაკენ“ წავიდა. მზერა იგრძნო - თავისი ბინის ფანჯრებს გახედა, დაინახა: მინას მიკრული ამირანი და ფუტკარი, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ცნობისმოყვარე თვალებით აკვირდებოდნენ მას.

მართალია მანძილი დავითსა და ფანჯრის მინას აკრულ ცნობისმოყვარეებს შორის იზრდებოდა, მაგრამ მათი მზერა კეფაზე მიბჯენოდა დავითს და მის გულს სასიამოვნოდ ათბობდა. როცა დავითი თვალს მიეფარა, ამირანი ფანჯარას მოსცილდა და ფუტკარს მიმართა თხოვნით:

– მომიყევი ჩვენი კაქტუსის წინაპრების ამბავი, ალბათ ეს ჩვენს კაქტუსსაც დააინტერესებს... ძალიან გთხოვ, – და მუდარის ნიშნად თითები ყელისკენ წაიღო.

– მაგრამ, მეც მონაყოლით ვიცი. – უპასუხა ფუტკარმა, და სახეზე გაურკვეველობა გამოეხატა: – კარგი, რაც ვიცი მოგიყვები. ან, და წიგნების კარადაში, მამაშენი დედაჩემის ჩანაწერს ინახავს, რომელიც ერთად გააკეთეს, ხომ არ სჯობს ის წაგიკითხო. იცი?! წიგნად სურდათ გამოეცათ და მოთხრობის ფორმა მისცეს, მაგრამ ბოლოს, რატომღაც, გადაიფიქრეს მისი გამოცემა. – და



– კარგი, – დაეთანხმა ამირანი, – იქნებ ასე ჯობდეს კიდევ. სად დევს? – ჰკითხა ამირანმა. ფუტკარმა მიასწავლა. ამირანმა წიგნების კარადიდან ფრთხილად ამოიღო თხელი რვეული, ფუტკარს გადასცა და თან დააყოლა: – მიყვარს სხვა, რომ მიკითხავს, თან შენ კარგად, მხატრულად კითხულობ.

მეგობრები ისევ საძინებელ ოთახში მოკალათდნენ.

ფუტკარმა კითხვა დაიწყო:

– ლურჯი კაქტუსი. – სათაური, რომ წაიკითხა მსმენელებს გადახედა და, როცა დარწმუნდა ყურადღებით უსმენდნენ, განაგრძო: – ლურჯი კაქტუსი, ჯადოსნური ტყის მკვიდრი მოსახლე არ გახლდათ, – რვეულში რაღაცეები წაშლილი იყო, ფუტკარმა ვერ გაარჩია, მაგრამ აზრი გადააბა და კითხვა განაგრძო: – მისი წინაპარი სახელად ფირუზი იმ უდაბნოს მაცხოვრებელი იყო სადაც იესო ქრისტემ ორმოცი დღე იმარხულა, და უშუალო მოწმე იყო ქრისტეს გამარჯვებების ეშმაკზე, თავისი თვალით იხილა ქრისტეს გაცისკროვნება. მომხდარი ამბავი თავის სხეულში ჩამარხა და როცა ყვავილი გამოიღო მას გადასცა, ყვავილმა კი თავის თესლებს, როცა თესლები მომწიფდა და კაქტუსს მოწყდნენ, ქარმა ისინი აიტაცა და მთელ მსოფლიოში მიმოფანტა. თესლის ერთი მარცვალი, ქარმა, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, თამარის სახლის მინას მიახეთქა. ხმაურზე თამარს გამოედვიძა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და იქვე, ფანჯრის თაროზე, ლურჯად მოელვარე კაქტუსის თესლი დაინახა, თითოთ შეეხო თუ არა, თესლი სასიამოვნო ხმით აწკრიალდა. მაშინ თამარმა თესლი აიღო, ხელის გულზე დაიდო და, აი საოცრება! მის ირგვლივ ყველაფერი გაქრა, უეცრად სხვა გარემოში აღმოჩნდა: გარს ერტყა რძისფერი უკიდვგანო სივრცე, ირგვლივ ისეთი სიმშვიდე სუფევდა, რომ თამარს მთელი სხეული დაუტკბა, ცოტახნის შემდეგ ჩიტების გალობა შემოესმა, მერე, ფეხებთან მორაკრაკე ნაკადულიც შეამჩნია, რძისფერი სივრცე თანდათანობით გამჭვირვალე გახდა და სხვადასხვა ცხოველების, ხეების, მთების კონტურები გამოიკვეთა. შორს, თვალის სატყორცნ მანძილზე მანათობელი წერტილი შეამჩნია, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა, ადამიანის სხეულის მსგავსი კონტურები გამოიკვეთა, თამარი მიხვდა - ეს იესო-ქრისტე



ტე იყო, სულ მთლად ოქროსფრად გაბრწყინებული. თამარი მუხლებზე დაეცა და გულმხურვალე ლოცვა აღავლინა. ქრისტე ნელა მიუახლოვდა თამარს, ხელი თავზე დაადო და უთხრა: „წადი ნახე შენი მეგობარი დავითი და ორივემ ეს თესლი იმ ჯადოსნურ ტყეში ჩათესეთ, რომელიც ადრე ჰაველას მიწის ნაწილი იყო, ამ თესლიდან კაქტუსი ამოვა, ერთ წელიწადში ყვავილს გაიკეთებს, ყვავილი კი თესლს, შეაგროვეთ თესლი და სხვაგან დათესეთ. ასე აკეთეთ მანამ სანამ შენ შემცვლელს არ ნახავ. არ დაგავიწყდეს ეს თესლი სიკეთის თესლია და სანამ მისი მთესველი იარსებებს, ადამიანისათვის სამოთხის კარი ღია იქნება“. როცა იესო ქრისტემ დაამთავრა ქადაგება, ხელი აიღო თამარის თავიდან და გაქრა, გაქრა ის მშვენიერი გარემოც გარს, რომ ერცვა თამარს.

თამარი, კარგახანს მუხლმოდრეკილი, მღუმარედ, მომლოდინე მზერით სივრცეს გაჰყურებდა... და უკვე მონატრებული - ქრისტეს ხელმეორე გამოჩენას ელოდა. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ეს მშვენიერი წამები აღარ განმეორდებოდა, მძიმედ წამოდგა, ჩაიცვა და დავითის სახლისკენ გაემართა. დავითის სახლამდე ჯერ არ მისულს, იქ სადაც სოფლის წყარო იყო, დავითი შეხვდა. თამარს, მისი დანახვა გაუკვირდა და ჰკითხა:

- მე მიზეზი მაქვს, მაგრამ შენ ასე ადრე რამ აგაყენა?
- დილას ჩემს ფანჯარაში, ჩვენი მეგობარი ფუმფლი-უფროსი შემოფრინდა, არ მომასვენა, მაიძულა ავმდგარიყავი და შენსკენ წამოვსულიყავი. ახლაც აგერ მხარზე მაზის. შეხედე შენ! ჩასძინებია თურმე.
- მოიცა, მოიცა, ეს ფუმფლი შენ ხარ. ააა, შენზე წერია ამ რვეულში, ხომ ასეა, - კითხვა შეაწყვეტინა ამირანმა.
- არა, მაგრამ ის ჩემი უფროსი ძმაა, - ამაყად უპასუხა ფუტკარმა და კითხვა განაგრძო: - მხარზე ჩაძინებულ ფუტკარს თამარი ცერა თითით შეეხო, ფრთხილად მოეაღერსა, - ჰო, მართლაც ჩასძინებია, - ხმადაბლა თქვა - იმის შიშით, ფუმფლი არ გავადვიძო. მერე, თამარმა ხელის გული დავითის ლოყას დაადო, ოდნავ თავისკენ მოსწია, ლოყაზე ეამბორა და მთელი სხეულით მიეკრა. სხვა დროსაც ჩახუტებია თამარი დავითს, მაგრამ, ამჟამად

დავითმა სხვა, რაღაც არამიწიერი გრძნობა იგრძნო და ეს ღვთაებრივი გრძნობა მასაც გადაედო. ორივე უკიდევანო თბილ სამყაროში ჩაიძირა, მათ სიმყუდროვეს მხოლოდ წყაროს წყლის სასიამოვნო რაკრაკი და შორიდან მომავალი სიმღერა არღვევდა. სიმღერის ხმა, ნელ-ნელა უახლოვდებოდათ და როცა თამარმა ურმის ჭრიალის ხმაც გაიგო დავითს წასწურჩულა: – ეს ალბათ ჩვენი ზაქარიაა.

და, მართლაც ურემზე ჯარჯი და მისი შვილი ზაქარია ისხდნენ. ზაქარია ხალხურ სიმღერას მღეროდა:

მზე შინა და მზე შინაო, მზე შინ შემოდო,  
მზევეში მამა შინ არ იყო, მზევე შინ შემოდო,  
სანადიროდ წასულა და ირემს მოსჭრის თავსო...

– ეს სიმღერა მეც ვიცი, – ისევ შეაწყვეტინა კითხვა ამირანმა ფუტკარს, – მას წარმართობის დროს იბერიელები მზეს უმღეროდნენ და მამა ღმერთს აღიდებდნენ, რომელიც ირმის ნახტომის თანავარსკვლავედს დაედევნა ჭკუის სასწავლებლად... იცი, რომ ფარნავაზ მეფის დროს იბერიელები მზეს, მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს სცემდენ თავყვანს ანუ მიუხედავად იმისა, რომ წარმართები იყვნენ ქვეცნობიერად სამებას მაინც აღიარებდნენ და მამა ღმერთს ყოველთვის ცნობდნენ. – და ამირანმა, ფუტკარის მიერ წაკითხული მოთხრობიდან ხალხური ლექსის სტრიქონები წაიმღერა.

– მართალი ხარ ამირან, – მიმართა ფუტკარმა, – მაგრამ თუ არ მაცლი სადამომდე ვერ მოვრჩები ამ მოთხრობას.

– ჰო, კარგი აღარ შეგაწყვეტინებ, – დამნაშავის ტონით თქვა ამირანმა.

ფუტკარმა კითხვა გააგრძელა: – როცა ურემი ორივეს გაუსწორდა, თამარი და დავითი თავის დახრით მიესალმნენ ჯარჯის, ხოლო ზაქარიას მეგობრულად გაუღიმეს. ზაქარიამ კი, გამარჯობის ნაცვლად გალაქტიონ ტაბიძის ლექსიდან ერთი სტრიქონი მიახალა:



## უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე...

ზაქარიას ხუმრობაზე ყველას გაეღიმა და ამ ღიმილში იგრძნობოდა გრძობათა თანხმობა და ის იღუმალემა, რომელსაც რადაცის წინასწარმეტყველება ჰქვია. როცა ურემი გასცილდა, თამარმა დავითს ყველაფერი უამბო და ორივენი კაქტუსის თესლის დასათესად ტყისკენ გაეშურა.

ტყე თითქოს ელოდა თავის პატარა მეგობრებს, ბავშვების გამოჩენისთანავე მხიარულად აშრიალდა. ფუტკრებიც ჩვეულებრივზე უფრო ადრე მიეგებნენ, თავისი პატარა ფეხებით ჰაერში აიტაცეს და ჯადოსნური გუბის წყლისკენ გააქანეს, გუბის წყალთან ახლოს დასვეს. შემდეგ, თავისი პატარა ფეხებით მიწა მოჩიჩქნეს, თამარმა კაბის ჯიბიდან ლურჯი კაქტუსის თესლი ამოიღო და ფუტკრების მიერ ამოთხრილ პატარა ორმოში ჩააგდო, მიწა ფრთხილად მიაყარა, დავითმა გუბიდან პეშვით ამოიღო წყალი და დაასხა.

თესლმა, მიწის მაღლი იგრძნო და წყლის მაცოცხლებელი ძალა, გაფუვდა, გაღვივდა, თვალი გაახილა, დაყრილი მიწის ზემოდან შემოჭრილმა მზის სხივმა თვალი მოჭრა - ცოტა არ იყოს ეხამუშა, მერე, უცნაური ხმები მოესმა, ცნობისმოყვარეობამ სძლია, ყლორტი მოიდერა და მიწიდან გამოძვრა, გაიხედ-გამოიხედა, გაიზმორა და როცა უამრავი მომღიმარე სახე დაინახა, შერცხვა, თავი ჩაქინდრა და მორიდებით ყველას მიესალმა: - გამარჯობათ, გამარჯობათ, - მერე კიდევ ერთხელ გაიზმორა და მის თავზე მოაღერსე ნიავს, რომ არ წაექცია ფესვები გაიდგა-გამოიდგა, მყარად დადგა და როცა გუბის წყალში თავისი თავის ანარეკლი დაინახა ესიამოვნა და კიდევ ერთხელ მიესალმა მის ირგვლივ მყოფ ცნობისმოყვარე საზოგადოებას.

კაქტუსის ასე სწრაფად აღმოცენებას არავინ ელოდა. ამ სასწაულმა ყველა გაახარა, ერთმანეთს ულოცავდნენ და გაიძახოდნენ: „დაილოცოს, დაილოცოს ღვთის მაღლი!“. გარემო ერთხმად ამღერდა და სიმღერამ სოფლამდეც ჩააღწია. ხარობდა ერი და ბერი - სოფელში დიდი იმედი გაჩნდა.



– ამით დასრულდა ეს დაუსრულებელი მოთხრობა, – თქვა ფუტკარმა და რვეული დახურა.

– რა მოკლე მოთხრობაა. და, თანაც, რა უცნაურად დამთავრდა, იმედის გაჩენით, – თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა ამირანმა.

– ეს იმიტომ, რომ იმედი უსასრულოა. და, ამ მოთხრობას არ შეიძლება ჰქონოდა სხვა დასასრული, როგორც კაცობრიობის არსებობას არ შეიძლება ჰქონდეს დასასრული, – თავდაჯერებით უპასუხა ფუტკარმა.

– მაინც რა არის იმედი?... როგორ ფიქრობ შენ? – ამირანმა კითხვით მიმართა ფუტკარს და თვითონაც ჩაფიქრდა თავისივე კითხვაზე.

– შეიძლება მე ავხსნა, – საუბარში ჩაერთო ხის კასრი. მეგობრების თანხმობას არ დაელოდა ისე დაიწყო: – ჩემი მოსაზრებით, იმედი, კარგის მოლოდინს ნიშნავს. მისი საფუძველია სიკეთის წადილი და რწმენა, ის ოცნების რეალური ნაწილია. ყველაზე დიდი იმედის წყაროა ღმერთი. ბიბლიურ დროში და ახლაც იბერიელთა იმედს ღმერთი წარმოადგენს. ბიბლიაში ხშირად ვხვდებით ღვთის საოცარ აღთქმებს. ბიბლია, ასევე, სავსეა მათი შესრულების ზუსტი ისტორიული ჩანაწერებით. ღვთის წინასწარმეტყველური აღთქმები იმდენად სანდოა, რომ ზოგჯერ ისინი ისეა გადმოცემული, თითქოს წინასწარმეტყველების წარმოთქმის დროს უკვე შესრულებული ყოფილიყოს. ამიტომ ბიბლიას შეიძლება იმედის წიგნი ვუწოდოთ. არ მეთანხმებით?.. ეს ხომ ასეა! ჩემო მეგობრებო, – მკაცრი ხმით მიმართა კასრმა თავის მსმენელებს, – იცით, რას წერდა პავლე მოციქული, აი მომისმინეთ: „ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენს სასწავლებლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გქონდეს იმედი“.

– სიკვდილის მომლოდინე ადამიანს გააჩნია იმედი? – ჰკითხა ხის კასრს ფუტკარმა.

– ჩემო კარგო, ამ მატერიალურ სამყაროში სიკვდილი, ადამიანის უკანასკნელი მტერია, შეიძლება მოყვარეც?! ეს ერთი, და მეორე! მოკვდაო შერცხვენილებზე ამბობენ ანუ ვისაც სწორად არ



უცხოვრია, ღირსეულ ადამიანებზე გარდაიცვალაო იტყვიან ანუ გარდაისახა. ასე წერია იბერიელების ბიბლიაში, ეფუთი რომ ჰქვია, – კასრმა თვალები მაღლა აღმართა და ღმერთის სადიდებელი ლოცვა აღავლინა.

– და მაინც, როგორ შეგვიძლია იმედის პოვნა, სიკვდილის პირისპირ ყოფნისას? – გაურკვეველობა შეეტყო ამირანს.


– ჩემო ამირან, იესომ თქვა: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“. და მართლაც, ყველასათვის, ვისაც სამარეში სძინავს, არსებობს აღდგომის იმედი სამოთხედ ქცეულ დედამიწაზე. იცი, წინასწარმეტყველმა ესაიამ აღდგომის ამალგებულ სურათი როგორ აღწერა, აი მომისმინე: „გაცოცხლდებიან შენი მკვდრები, აღდგებიან გვამები! გამოიღვიძეთ და ილხინეთ, მტვრის ბინადარნო, რადგან ცისკრის ცვარი შენი ცვარია, და მიწა აჩრდილებს დაბადებს“. იცოდეთ, ეს ორაზროვნადაა ნათქვამი ანუ ვინ როგორ გაიგებს. ჰმ, ხომ კარგი ნათქვამია... ჰო-და, გახსოვდეთ იმედი იცავს გონებას და თქვენს სხეულში გამომწყვედულ სულს და თუ ღვთის დანაპირების შესრულების მტკიცე იმედი გაქვთ, გაჭირვების უამს, შიში, თქვენი სულის სიმშვიდეს ვერ დაარღვევს.

– მაგრამ, ხომ არის როცა იმედი არ სრულდება? – ისევ შეაწყვეტინა საუბარი ამირანმა.

– მართალი ხარ, თუ ის მიწიერ ზრახვებთან არის დაკავშირებული. აი მაგალითად, იმედი გაქვს, რომ საღამოთი დედა შენს საყვარელ ნამცხვარს მოგართმევს?! მაგრამ, შეიძლება ეს არ აგიხდეს. და რა ხდება მაშინ? – ხის კასრმა კითხვა დაუბრუნა ამირანს.

– ვნახოთ აბა თუ არ მომიტანს, – ნიშნის მოგებით უპასუხა ამირანმა.

– ვნახოთ, ვნახოთ, დიდი დრო აღარ დარჩენილა, – და კასრმა კედელზე ჩამოკიდებულ საათს გახედა, – ჰმ, შვიდის ნახევარია, – დააყოლა მხიარული ხმით, გაიღიმა და თავისივე სივრცეში ღიმილი ჩაათბუნა.

და, მართლაც, საღამოს შვიდი საათი მოახლოვებულიყო და კარებზე ზარის ხმაც გაისმა. ამირანი მოინუსხა, გაიფიქრა: „გაი თუ არ მოიტანა ნამცხვარი“, შეფარვით ყველას თვალი გადაავ-

ლო და ნელი, ფრთხილი ნაბიჯით, კარის გასაღებად წავიდა. საძინებელ ოთახში დარჩენილები შედეგის მოლოდინში გაყურდნენ და როცა ამირანის მხიარული შეძახილი გაიგონეს... ყველა მიხვდა, რომ დედამ ამირანს ნამცხვარი მოუტანა - შვებით ამოისუნთქეს...

თბილმა სადამომ, მწვანე დილა დაატკბო, და ასე მშვიდად მიიღია კიდევ ერთი დღე, რომელიც სხვაგან დაიწყო და ამ ქალაქში დასრულდა ხვალინდელის იმედით.

### ნახევრად რუხი დილა



აკტუსმა ისე გაიზმორა, რომ ქოთანს შეეშინდა არ გამხლიჩოს შუაშიო, და რაც ძალ-ღონე ჰქონა შეიკუმშა.

ქუჩაში, ვიღაცა ნაგავში იქექებოდა და თან გულნატკენი, თავის გაჩენის დღეს, წყევლიდა.

მაწანწალამ თავისი ნივთები აკრიფა, ნაგავში მქექავ მათხოვარს მიეპარა პანჩური ამოჰკრა და გაიქცა.

მათხოვარმა გაქცეულ მაწანწალას მხიარული მზერა დაადევნა და მენაგვეს ანიშნა: ნახე რა შეშინებული გარბისო.

მენაგვე ჩვეულებისამებრ ხვეტავდა ქუჩას, ცოცხს ცელივით იქნევდა და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

დეპუტატებმა იყიდეს ჯიპები,  
ხედავთ, გამხდარან მაგარი ტიპები,  
წელს ზევით მოირგეს ტიკები,  
უკან კი, წითელი ხვლიკები.

უცნობმა, რომელმაც ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა, ლექსის შინაარსზე ირონიულად გაიცინა და ორი სტრიქონიც წაამატა:

საშოვარს დამდგარან, თვალებში დაურბით ჭინკები,





უნდა მოასწრონ, თორემ რიგში ჩამდგარან ახალი ტიპები.

დავითს, რომელიც ჩვეულებაზე უფრო ადრე ამდგარიყო და აიგანზე გამოსულიყო, უცნობის სტრიქონებზე გაეცინა, ხელის ქნევით ზაქარიას ყურადღება მიიქცია და როცა ზაქარიამ ამოხედა, გამვლელზე, ხელის მოძრაობით ჰკითხა:

– ის ვინ იყო?

მენაგემ მხრების აჩეჩვით უპასუხა:

– არ ვიციო.

დავითმა, ცერა თითის მაღლა აშვერით ანიშნა: „კარგი იყო“. და, ოთახში შებრუნდა. აივნის კარის დახურვის ხმაზე თამარს გაეღვიბა, მეუღლე გვერდით, რომ ვერ დაინახა ხალათი მოიხურა და მისაღებ ოთახში გავიდა. მეუღლე ჩაფიქრებული სავარძელში იჯდა და კედელზე ჩამოკიდებულ ჯადოსნური ტყის სურათს აჟინებით უყურებდა.

– მოგენატრა იქაურობა? – ჰკითხა თამარმა.

– კი, ძალიან, – უპასუხა დავითმა და უმისამართოდ თქვა: – იქნებ, როგორმე ერთხელ, თუნდაც გვიან შემოდგომაზე, მოვახერხოთ იქ წასვლა.

– ხომ იცი ტყის გზა დაიკარგა, უფრო სწორად წაიშალა, ინჩრუს-უზუმეს მოდგამ, რომ ვერ მიაგნოს, ამიტომ. ჩვენ, მხოლოდ სურათიდან შეგვიძლია იქ მოხვედრა და ეს შესაძლებლობა მხოლოდ სამჯერ გვაქვს, – მშვიდი ხმით უპასუხა თამარმა.

– მე მონიშნული მქონდა გზა და თუ გუმანმა არ მიღალატა, მივაგნებ... თამარ იქ დაბრუნება სამივეს გვჭირდება თორემ ვერ გავეუძლებთ ამ სიბინძურეს, – გულდამძიმებული საუბრობდა დავითი.

– მართალი ხარ, მაგრამ მოდი ეს მომავალი წლისთვის გადავდოთ. კარგი?

– კარგი, ასე იყოს, – დაეთანხმა დავითი.

– ჰო, დავით ბავშვი როდის მიგყავს სასულიერო სემინარიაში?

– სხვათაშორის იკითხა თამარმა.

– ხვალ, – სწრაფად უპასუხა დავითმა, თითქოს ამ კითხვას ელოდა.



– ხვალ?! რა კარგია, – საძინებელი ოთახიდან გაისმა ამირანის ხმა.

– უყურე შენ, თურმე ღვიძავს, – და თამარი ამირანის საძინებელი ოთახისკენ გაემართა. ცოტახანში დედა-შვილი მისაღებ ოთახში გამოვიდნენ. ამირანს ყურზე ფუტკარი დასკუპებოდა.

– მარტო, რომ რჩებით სახლში რას აკეთებთ? რითი ირთობთ თავს? – ჰკითხა ფუტკარს დავითმა.

– გუშინ დედაჩემის ჩანაწერი წავუკითხე, – უპასუხა ფუტკარმა.

– ძალიან კარგი, – შეაქო დავითმა, – დღეს რას აპირებთ?

– ჯერ არ მოგვიფიქრებია, – უპასუხა ამირანმა, – აი ყველა ერთად, რომ შევიკრიბებით მაშინ გადავწყვიტავთ. ისე მამა შენ გუშინწინ დამპირდი ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ წიგნს მოგცემ წასაკითხად. დაგავიწყდა?

– მართალია დაგპირდი, და არ დამვიწყებია. თუმცა, ხატის შესახებ კასრმა უფრო კარგად იცის, რომელსაც უტყუარი ინფორმაცია გააჩნია.

– დავით, ამირანს მოდით სუფრა გაშლილია. დავით დროზე! თორემ დაგვაგვიანდება, – სამზარეულოდან უხმობდა თამარი.

– ახლავე დედა, პირს დავიბან და მოვალ, – შეეხმიანა ამირანი.

– მეც მოვდივარ, – გასძახა თამარს დავითმა.

საუზმემ ჩუმად ჩაიარა, მხოლოდ ფუტკარი არ ისვენებდა, რომელიც ისევ ამირანის ყურზე იყო დასკუპებული და ხმადაბლა უცნობ მელოდიას ბზუოდა, მერეც - მშობლებთან დამშვიდობებისას ისევ ყურზე ეჯდა, ერთი ის იყო რომ, კარში გასულ დავითსა და თამარს აედევნა, მაგრამ, იმის შიშით ამირანმა კარი არ მოხუროს და გარეთ არ დაგრჩეო, სასწრაფოდ შემობრუნდა ბინაში და, უკვე, ხის კასრზე დასკუპდა.

მშობლების საძინებელ ოთახში, მეგობრები ისევ ერთად შეიკრიბნენ და ხის კასრს მიაშტერდნენ.

– ბატონო კასრო, – ირონიული ღიმილით მიმართა ფუტკარმა, – განა ვერ გაიგე რა თქვა დავითმა, მოგვიყვი ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ, – და საინტერესო ამბის მოლოდინით,



კასრის კიდის, მარცხენა გვერდზე წამოგორდა და მარჯვენა ფრთა წამოიფარა.

კასრს თბილად გაეღიმა, ოდნავ გადაქან-გადმოქანდა, ისე რომ ფუტკარი არ დაეფრთხო, და დაიწყო:

– მეცხრე საუკუნეში მსოფლიოში გავრცელდა ხატებთან დაკავშირებული არასწორი სწავლება, რომლის მიხედვითაც ხატის თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობად ითვლებოდა, ამიტომ სხვადასხვა ქრისტიანული სახემწიფოების მეფეების ბრძანებით ხატებს ანადგურებდნენ. მართლმადიდებლური სწავლებით კი, ხატი არის გამოსახულება ღვთის ნების, ღვთისმშობლისა და იმ წმინდანებისა რომლებმაც მიწიერი ცხოვრება ღირსეულად, ღვთის სამსახურში გალიეს. გახსოვდეთ, როცა ადამიანი ქრისტიანი ხატის მიმართ ლოცულობს იგი ხის ან ლითონის ნაჭერს ან სადებავს კი არ ეთაყვანება, არამედ იმ წმინდანს, რომელიც გამოსახულია სიწმინდის სახით ანუ ხატად, თხოვს მას მფარველობას... ხატი არის „სარკმელი“, რომელიც აკავშირებს ამ ცოდვით დაცემულ ქვეყანას ღმერთთან და მის წმინდანებთან. ჩემო პატარა მეგობრებო! იმ პერიოდში მცირე აზიის ქალაქ ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ძალიან მორწმუნე, ქვრივი ქალი თავის ვაჟთან ერთად, ეს ქალი წარმოშობით იბერიელი იყო. მას სახლში ჰქონდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სამშობლოდან ჰქონდა წამოღებული. ქალი, მეზობლად მცხოვრებმა ფარისევლებმა დაასმინეს: „მწვალებელია და სახლში ხატი აქვსო“. და, ერთხელაც მასთან სახლში მეფის მსახურნი შეიჭრნენ. ერთ-ერთმა მსახურმა ხატს მახვილი დაჰკრა, და იცით რა მოხდა? ღვთისმშობლის ხატიდან, როგორც ცოცხალი სხეულიდან, სისხლი წამოვიდა, ოთახში კი, ისეთი ჭექა-ქუხილი გაისმა, რომ ჯალათები შეშინდნენ და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. იბერიელმა ქალმა, ხატი შემდგომი შეურაცხყოფისაგან დაცვის მიზნით ჯერ სხვენზე გადამალა, ხოლო მერე - ღვთის ნებით, ზღვაში ჩაუშვა ანუ ხატი ღვთის ნებას მიანდო და სასწაული მოხდა, ხატი წყალზე არ დაწვა, არამედ დადგა სწორად სახით ნაპირისკენ და გაცურა დასავლეთის მიმართულებით. ამის შემხედვარი ქალი და მისი ვაჟი მუხლებზე დაეცნენ და



ფეხზე-დაუდგომელი ლოცვები, სამი დღე იკითხეს, ამის შემდეგ, გაუმა ათონის მთას მიაშურა და იქ ბერად აღიკვეცა.

– ხატის ამბავი ამით არ სრულდება, მე მახსოვს, თუ გინდათ გეტყვი - ვიცი, რომ ის დაუბრუნდა ხალხს, – საუბარში ამირანი ჩაერთო.

– მართალი ხარ ამირან და მიხარია, რომ შენ, წინა ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები გახსოვს, – იღუმალი ხმით თქვა კასრმა.

– ამ ბოლო დროს ეს ხშირად მემართება. ჰო მართლა, იცი, რომ ცნობილი მევიოლინე ვიცანი, მას ეს არ გაკვირვებია. – ამირანი ჩაფიქრდა: „იქნებ არ უნდა მეთქვა...“.

– როდის მოხდა ეს? – ჰკითხა ფუტკარმა.

– აი, ღამურების სკოლაში, რომ დავდიოდი, მაშინ. ხომ იცით მამას სკვერში ველოდებოდი... და ის, ჩემს გვერდით სკამზე ჩამოჯდა, დაუკრა და მერე, წვიმის ფარდაში გაუჩინარდა. მე იმ იბერიელი ქალის ვაჟსაც ვიცნობდი, რომელიც ათონის მთაზე აღიკვეცა ბერად. ის ბერი ბოლოს იერუსალიმში ჩადის, საიდანაც იბერიაში ბრუნდება, – უკვე შეუფარავად თქვა ამირანმა.

– კარგი, ამირან შენ გააგრძელებ მოყოლას?... თუ მე მაცლი?  
– საუბარი შეაწყვეტინა კასრმა.

– არა, შენ გააგრძელე მე ყველაფერი არ მახსოვს, უფრო სწორედ ფრაგმენტებად მახსოვს, – დარცხვენილმა უპასუხა ამირანმა.

– კარგი, – და კასრმა მოყოლა გააგრძელა: – ერთი წლის შემდეგ ბერებმა ზღვაზე იხილეს ცეცხლოვანი სვეტი. ეს სვეტი ადგა წყალში მყოფ ღვთისმშობლის ხატს. ამ საოცრების სანახავად ყველა ახლომდებარე მონასტრებიდან თავი მოიყარეს ბერებმა, და შეეცადნენ ხატის ზღვიდან გამობრძანებას, მაგრამ ხატი არ იკარებდა მათ და ბერების ყოველი მცდელობის დროს შორდებოდა ნაპირს. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში. ბერები ცრემლებით ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მიეცა მათთვის უფლება წმინდა ხატთან მიახლებისა. იმ დროს ივერიის მონასტერში მოღვაწეობდა იბერიელი ბერი გაბრიელი. მას გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „...გამოდი ზღვაზე, რწმენით



იარე ტალღებზე და მაშინ ყველა გაიგებს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანის მიმართ“. მეორე დღეს, ბერების თანხლებით, გაბრიელი ზღვის ნაპირთან მივიდა, შემდეგ რწმენით აღსავსემ წყალზე ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე, მიეახლა ხატს და ნაპირზე გამოაბრძანა. ამ ხატს ეწოდა „ივერიის ღვთისმშობელი“, და იგი დღემდე ივერიონის მონასტერშია დაბრძანებული. ხატს, ასევე უწოდებენ „პორტაიტისა“ - ბერძნულად, რასაც იბერიულად „კარიბჭისა“ ანუ „მეკარეს“ ნიშნავს, რადგან იგი მონასტრის შესასვლელშია მოთავსებული. ათონის მთაზე სწამთ წინასწარმეტყველებისა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ ხატი დატოვებს ათონს და იბერიაში წაბრძანდება. როდესაც ივერიის ხატი სასწაულებრივად გაქრება, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ ბერებმა უნდა დატოვონ ათონი. გადმოცემის მიხედვით, მიწა შეირყევა და წმინდა მთა წყალში ჩაიძირება.

– მართალი ხარ, ხატი დაუბრუნდება თავის პირვანდელ ადგილს და დაიცავს მას. იბერთა მიწა ხელშეუხებელია და ყველა დაისჯება ვინც მისი შეურაცხოვა გაბედა... მე ვიცი, რომ მისი ასლი არსებობს სიონის ტაძარში. ხომ მართალი ვარ?! – მტკიცე ხმით განაცხადა ამირანმა.

– მართალი ხარ, ჩემო ამირან. ჩვენთან რამდენიმე სასწაულთმოქმედი ასლი არსებობს ივერიის ღვთისმშობლის ხატისა. მათ შორის ბოლო ჩამობრძანდა პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევითა და ლოცვა-კურთხევით, ის სიონის ტაძარში დააბრძანეს, სიონის ტაძარში ამ ხატმა მორიგი სასწაული მოახდინა: ხატის პირისაგან ასლი აღიბეჭდა მინაზე, რომელშიც ის იყო ჩასმული. ამჟამად მინაზე აღბეჭდილი ასლიც სიონშია დაბრძანებული.

– იცი მე ხვალ ან ზეგ სემინარიში მიმიყვანენ და შეიძლება სიონის ტაძრის სტიქაროსანიც გავხდე, – ამაყად თქვა ამირანმა.

– გიხარია? – ჰკითხა ფუტკარმა.

– ძალიან, – უპასუხა ამირანმა, და მერე ხის კასრს მიმართა: – ხატის გადმობრძანების მინიშნება, როდის აღსრულდება?

– როცა იბერთა მიწაზე, იქ სადაც ქრისტეს კვართია დაფლული, ცეცხლოვანი სვეტი აღიმართება, – ხმადაბლა უპასუხა ხის კასრმა, თითქოს-და ეშინოდა - უცხო ხომ არ მისმენს ვინმეო.



– შენ იცი სადაა დაფლული კვართი? – ჰკითხა ამირანმა.  
– მე არა, შენ კი იცი, – უპასუხა კასრმა.  
– მე არ ვიცი, – გაკვირვებით უპასუხა ამირანმა და მხრები აიჩეჩა.

– იცი, იცი და როცა დრო მოვა იტყვი, ეს მაშინ მოხდება როცა გულზე საიდუმლო ნიშანი, ჯვარი და ჯვრის ცენტრისკენ ოთხი მოძრავი წერტილი გამოგესახება... ამის შემდეგ შენ დიდ ომს გამართავ ზვარაკად შეწირულ ეშმაკის მოციქულებთან, და გაიმარჯვებ.

– მართლა, – გაიკვირვა ამირანმა, მერე ცოტა დაფიქრდა და კასრს მიმართა, – კარგი იქნება, თუ აგვიხსნი საიდუმლო ნიშნების, პიკტოგრამების და გეომეტრიული გამოსახულებების მნიშვნელობას.

– ყველას გინდათ?... ავხსნა ფარული ნიშნების არსი? – და კასრმა სხივის ბურთს გახედა, ბურთმა თანხმობის ნიშნად ფეთქვას მოუხშირა. – კეთილი, მაშინ მისმინეთ: – პიკტოგრამები, გეომეტრიული გამოსახულებები, დამწერლობა და საერთოდ სალაპარაკო ენა მოიცავს იმ ხალხის საიდუმლოებას ვინც ის შექმა და ფლობს ამ საგანძურს. იბერიის მთებში ნაპოვნი ფარული ნიშნების მსგავსება ძველი აღმოსავლეთის და კრეტა-მიკენის კულტურის მატარებელი ხალხების მსგავს ნიშნებთან დიდია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იბერიელები იყვნენ სამყაროს საიდუმლოების მფლობელები და გამავრცელებლები, და მიუხედავად იმისა, რომ მტრების მიერ მრავალჯერ იყო აოხრებული და განადგურებული, ინფორმაცია სამყაროს შესახებ ფარული ნიშნების ფორმით, იბერიის მთიანეთის მიდამოებში, დღემდეა შემორჩენილი, ესენია: სტატიურად მღვარი ჯვარი, რომელსაც მხრებს შორის ოთხი წერტილი აქვს, ასევე გვხვდება ჯვრები ორი ან ხუთი ამოკვეთილი წერტილებით, კუთხეებიანი ჯვარი, რომელიც შუმერული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგად ნაპოვნი ფარული ნიშნების მსგავსია და, რომელიც, ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ასაკის ინდენტურია. ჩვენი დამწერლობის ასომთავრულში დაცულია უძველესი მოხაზულობის ასოები, რომელიც არც ბერძნულში და არც სხვა უძველეს დამწერლობაში არ შეიმჩნევა, და



ყურადღებას იქცევს ფარულ ნიშნებთან მსგავსებით. ჩვენთან ნაპოვნი ყველა ნიშანი დიდ შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს, აი მაგალითად: სვასტიკა წერტილებით და თავზე შუმერული „ზეციური ნაგის“ მსგავი გამოსახულებით, იმაზე მეტყველებს, რომ იბერიელებს ნათესაური კავშირი ჰქონდათ შუა მდინარეთში მაცხოვრებელ ხალხთან, რამეთუ მსგავსი ნიშანი შუმერული არქეოლოგიური გათხრებისასაა ნაპოვნი, ხოლო რაც შეეხება წერტილებს, ის იკითხება ინდურ ენაზე, როგორც: „სამყოფელი განთავისუფლებული სულის“, „მართალი ცოდნა“, „არსებული ზეცა“, „დადებითი ადამიანური“, „არსებული ცხოველური“, „არსებული ქვესკნელური“. ჩვენთან, აღმოჩენილია ჯვარი შუაგულიდან ნაპირებისკენ მიმართული წერტილებით, რომელიც მოძრაობის ანუ სიცოცხლის მაჩვენებელია, ანალოგიური ჯვარი გამოსახულია ტროას გვიანდელ არქეოლოგიურ ნივთებზე, რომელიც ტროას არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს. ჩემო კეთილო მეგობრებო, გახსოვდეთ, რომ ტროას მცხოვრებნი იბერიული ტომისანი იყვნენ და როცა ბერძნებმა გაიძვერობით დაამარცხეს ტროა, მისმა მაცხოვრებლებმა იბერიას შეაფარეს თავი. ჰო, ამირან, მაგიწყდებოდა, და დაიმახსოვრე: სვასტიკა სანკრიტულად „კეთილად მყოფად“ ნიშნავს, ამას იმიტომ გეუბნები, და როგორც უკვე გითხარი, ეს ფარული ნიშანი შეიძლება შენს სხეულზე გამოგესახოს და ეს მოხდება მაშინ, როცა გაგახსენდება ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელი ან პირიქით - გახსენების შემდეგ გამოგესახოს. – კასრი ცოტახანი ჩაფიქრდა, და გააგრძელა: – ჩემო კარგებო, იბერიელებს კოსმოსური რუკაც გააჩნდათ, მაგალითად, ხევსურეთში ნაპოვნი თიხის ფირფიტა, რომელზედაც გამოსახულია ხომალდის თანავარსკვლავედი, რომელიც მსოფლიოს ყველა ძველ ნახატებზე აფრიანი ხომალდის გამოსახულებით არის მოცემული, ასევე ძალიან საინტერესოა, რომ მის წინ კენტავრის თანავარსკვლავედი გამოსახული, რომელიც წინ მიუძღვის ხომალდს და ორივე ეს თანავარსკვლავედი სამხრეთ ნახევარსფეროს პოლუსთან არის განთავსებული და პოლუსის მიმართულებით მოძრაობს, ანუ ეს არის იმ კოსმიური რუკის ნაწილი, რომელიც იბერიასში ინახებოდა. ხოლო, რაც შეეხება დამწერლობას, გეტყვი,

რომ არამეულის და ფინიკიურის ძირი დამწერლობების საფუძველი მოიძიება შუამდინარეთის და იბერიულ ხაზოვან ნიშნებში. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი დამწერლობა ყველაზე ძველია, ხოლო ენა იაფეტურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, რომელიც მოიცავს პელასგურ, ბასკურ და ეტრუსკულ განშტოებას.

– კენტავრზე, შეგიძლია რამე გვითხრა? – შეეკითხა კასრს ამირანი.

– კი... გაინტერესებთ? – შეეკითხა კასრი იქ მყოფთ.

– გვაინტერესებს, – ყველამ, თითქმის ეთდროულად უპასუხა.

– მაშ კარგი, – და ამჟამად, კასრმა მოყოლა რაღაც იღუმელი ხმით დაიწყო: – ჩემო კარგებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ბერძნები მდინარე დუნაის სანაპიროზე მცხოვრები ხალხი იყო და როცა ისინი სლავეების მონათესავე ტომებმა შეავიწროვეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მცხოვრებ იბერიელთა მონათესავე ტომს პელასგებს სთხოვეს თავშესაფარი. სტუმართმოყვარე პელასგებმა მიიღეს ბერძნები და ხელიც გაუმართეს. ბერძნებმა ნელ-ნელა შეითვისეს პელასგების კულტურა და როცა მოძლიერდნენ პელასგებს ომი გამოუცხადეს, ეს ამბავი შეიტყო კოლხეთის უფლისწულმა, შეკრიბა ჯარი, რომელიც მხოლოდ მხედრებისაგან შედგებოდა და ბერძნების დასალაშქრად გაეშურა. როგორც გითხარით ჯარი მხოლოდ მხედრებისაგან შედგებოდა, და თან დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა, და ამის გამო ბერძნებმა მათ კენტავრები შეარქვეს.

– მეც ვიცი კენტავრების შესახებ სანტერესო ამბავი, – თავის გამოჩენა მოინდომა ფუტკარმა, მაგრამ მისი მცდელობა, კარზე ზარის წკარუნმა ჩაშალა, ყველა გაყუჩნდა, მშობლების მოსვლის დრო ჯერ არ დამდგარიყო და არც მათთვის დამახასიათებელი ზარის ხმის მელოდია იყო, არ იცოდნენ რა ექნათ. ფუტკარმა პირზე თათის მიდებით ყველას ანიშნა: „ჩუმად იყავითო“... თან, სხივის ბურთს გახედა, სხივის ბურთი მიხვდა რაც უნდა მოემოქმედა, გაიშალა და სადარბაზოს მომიჯნავე კედელს აეკრო. კედელი ოთახში მყოფთათვის გამჭვირვალე გახადა, ამიტომ, ყველამ კარგად დაინახა შემოსასვლელ კართან მდგარი ორი კაცი და ერთი ქალი. ამირანმა იცნო მაჩ-ხო ფთუ-კარაძე, აჩ-





ხო კუკუ-იძე - ერთხელ მამამ დაანახა ისინი. ხოლო, ზურგით მდგომი ქალი მათი მეზობელი ალი-დალიდა აღმოჩნდა. ამირანმა, მამასგან იცოდა, რომ ეს სამი ადამიანი ხალხზე ინფორმაციას აგროვებდა და ინჩ-უზუმეს გადასცემდა, ინჩ-უზუმე კი, ინჩ-რუს-უზუმეს, რომელსაც ადამიანის განადგურების ან არ განადგურების შესახებ განაჩენი გამოჰქონდა. კარზე კიდევ ერთხელ გაისმა ზარის ხმა, ალი-დალიდა რეკავდა, სამივეს გაღიზიანება შეეცყოთ სახეზე, განსაკუთრებით მაჩ-ხოს, რომელიც ხელში მანქანის გასაღებს ნერვიულად ატრიალებდა.

- ვიცი, დარწმუნებული ვარ, შვილი სახლშია, უბრალოდ კარებს არ გვიღებს, - ქაქანებდა ალი-დალიდა.

- არაუშავს, სადამოს მოვაკითხოთ, რას მიხვდებიან თუ რა გვანტერესებს, - წაისისინა აჩ-ხომ.

- ჰო, ასე ჯობია... წავიდეთ! - თქვა მაჩ-ხომ, გაბრუნდა და კიბეებზე დაეშვა. სხვებიც მას გაჰყვნენ, ოღონდ მანამდე, კარების ღრეჩოში რაღაც ქაღალდები გაჩხირეს.

- რა ვქნათ? ვნახოთ, თუ რა გაჩხირეს კარში? - ჩუმად იკითხა ამირანმა.

- არა, შეიძლება ქვედა სართულზე იყვნენ ჩასაფრებულები, - შეშინებულმა თქვა ფუტკარმა.

- ჰო, ასე ჯობია, რაღა დარჩა, ერთ საათში ჩვენებიც მოვლენ, - დაეთანხმა ხის კასრი, მერე სხივის ბურთს გადახედა და შეაქო: - შენ რა საოცრებების გაკეთება გცოდნია.

სხივს შექება ესიამოვნა და უფრო დათბა.

- ჰმ, ერთი წარდგნაა საჭირო, თორემ არ იქნება ჩვენი საშველი. ეს უნიფხვოები შეგვჭამენ, - ხმა ამოიღო სიჩუმის მოყვარულმა კაქტუსმა.

კაქტუსის ნათქვამზე ყველას გაეცინა, თანაც ხელის გულს პირზე იფარებდნენ, შიში ჰქონდათ, სიცილი ხმამაღალი არ გამოსვლოდათ, ხომ შეიძლება დაუპატიჟებელი სტუმრები, მართლაც ჩასაფრებული ყოფილიყვნენ სადარბაზოში.

- თუ წარდგნა დაიწყო, ჩვენ ასე თუ ისე შანსი გვაქვს თავის შევლის, მე გავიქცევი, ფუტკარი გაფრინდება, აი შენ რა უნდა ქნა?... - სიცილით მიმართა ამირანმა კაქტუსს.

– კარგი რა ამირან, ჩვენ ყველამ ვიცით ჩვენი შესაძლებლობა, ვიცით საიდან მოვედით, მთავარია არ მოვექცეთ მატერიალურ აზროვნებაში, – ნაწყენი ხმით უპასუხა კაქტუსმა.

– ნაწყენმა კილომ კიდევ უფრო გაამხიარულა მეგობრები, ისინი სიცილს უკვე ვეღარ იკავენდნენ. მათ ასეთ მდგომარეობას უყურა კაქტუსმა, უყურა და, თვითონაც ისეთი სიცილი აუვარდა, რომ ეკლები სულ ზევით-ქვევით უხტოდა.

ხის კასრი, დამფრთხალი აქეთ-იქით იყურებოდა, ეშინოდა სიცილის ხმა გარეთ არ გასულიყო და მეგობრების დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო... მაშინ წარღვნის შესახებ ამბის მოყოლა შესთავაზა, ამ ხერხმა გაჭრა, და ყველა დაღუბდა საინტერესო ამბის მოლოდინში.

– მაშ ასე, – დაიწყო ხის კასრმა, – როგორც იცით ადამიანებს თავისი ცოდვებისათვის ღმერთმა წარღვნა მოუვლინა, სიცოცხლე მხოლოდ ნოეს და მის ოჯახს შეუნარჩუნა. სწორედ ნოემ ააგო კილობანი, აიყვანა ზედ ცხოველები, ფრინველები და ქვეწარმავლები, ამით მან გადაარჩინა მათი მოდგმა, ნოემ ასევე გადაარჩინა ატლანტიდის „ბრძენთა წიგნი“ - ეფუთი, რომელიც ინახება წმინდანთა სულთა განსასვენებელ მღვიმეში და თეთრწვერა მოხუცი ენქის ბაისი დარაჯობს.

– მართალია, რომ ნოე იბერიელი იყო? – ჰკითხა ფუტკარმა.

– ჰო, ეს კარგად იცის ამირანმა, ვინაიდან მისი უშუალო შთამომავალია. ხომ ასეა ამირან? – ჰკითხა კასრმა.

– ასეა, ის იბერიელი იყო, ჩემსავით, მე მისი შთამომავალი ვარ, შეთის შტოდან – ამყად უპასუხა ამირანმა.

– ამირანი მართალია, – საუბარი გააგრძელა ხის კასრმა, – სიტყვა ნოე მოდის იბერიული სიტყვიდან „ნოელა“ რაც რტოს ნიშნავს და ეს დასტურდება იმითაც, რომ მტრედმა წარღვნის დასასრული, ნოეს, ხის ტოტის მოტანით აუწყა. ასევე, საგულისხმოა ისიც, რომ ნოე მიწათმოქმედსაც გულისხმობს ანუ გიორგიანს, რაც იბერიელების ძირითადი საქმიანობის და არსის ამსახველია.

– თუ იბერია სიცოცხლის ჭიპია, მაშინ რატომ გვემტერება ინჩ-რუს-უზუმეს მოდგმა? – გაკვირვებულმა აღნიშნა ფუტკარმა.



– იმედი აქვთ თუ ჩვენს მიწას დაისაკუთრებენ და ფესვებს გაიდგამენ, განკითხვის ჟამს გადარჩებიან, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ის ერი დაისჯება ყველაზე მეტად, ვინც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა იბერიას და იბერიელთა სისხლს ღვრიდა. მაგრამ, გახსოვდეთ! – და მკაცრი ტონით გააგრძელა საუბარი კასრმა, – ის იბერიელი ვინც განუდგა თავის ერს და სარწმუნოებას, ის ყველაზე უფრო მკაცრად დაისჯება, რამეთუ სულით დაეცა.


მეგობრებს შორის კამათი გაცხარდა, თუ რას ნიშნავდა სულით დაცემა და საიდან დაიწყო ეს...

გაცხოველებულ კამათში ისევ კაქტუსი ჩაერთო: – სანამ სულის დაცემაზე ვიმსჯელებთ, მინდა გითხრათ, რომ გარდა ხილული სამყაროსი, რომელსაც თვალთ ვხედავთ, ღმერთმა ასევე შექმნა უხილავი სამყაროც, სადაც ბინადრობენ ანგელოზები. ანგელოზებს დიდი სისწრაფით შეუძლიათ გადაადგილება სივრცეში, მათზე არ მოქმედებს დედამიწის მიზიდულობის ძალა. ღვთის მადლით მათ შეუძლიათ სასწაულები აღასრულონ და გამოეცხადონ ადამიანებს.

– ეს გასაგებია, ჩემო კაქტუსო. მაგრამ, საიდან გაჩნდა სამყაროში ბოროტება, შური, ფარისევლობა? აი ეს გვაინტერესებს – დაზუსტების მიზნით იკითხა ამირანმა.

– ამის მიზეზი შემდეგია, – საუბარი გააგრძელა კაქტუსმა, – ერთ-ერთმა, ყველაზე უფრო ძლიერმა ანგელოზმა, ლუციფერმა, აივსო რა შურით ღვთის მიმართ, თავი იმის ღირსად ჩათვალა, რომ თავად დაეკავებინა ღვთის ადგილი და გამხდარიყო ღმერთი. მან დაიწყო ცილისწამება და სიცრუე ღვთის მიმართ და ანგელოზთა სამი დასიც აიყოლია და ეს გახდა საფუძველი უმსგავსობის წარმოშობისა.

– კი მაგრამ ადამიანებში მანკიერი მხარეები როგორ გავრცელდა? – ახლა ფუტკარმა ჰკითხა.

– როგორ და, – გააგრძელა კაქტუსმა: – როცა დაცემული ანგელოზები ზეციური სამოთხიდან გამოაძევეს საშინელ არსებებად იქცნენ ანუ ეშმაკებად, შურით აღძრულნი ღმერთის ყველაზე 

უფრო საყვარელ ქმნილებას - ადამიანს, გადაეკიდნენ. მათ ცდუნებას ცდილობდნენ. სახელი ეშმაკიც მაცდუნებელს ნიშნავს.

მეგობრებს კამათი, კარებზე ზარის ხმამ შეაწყვეტინა, ყველა მიხვდა, რომ ეს დავითი იყო, მხოლოდ მას ჩვეოდა მხიარული მელოდით ზარის დარეკვა, ყველა შემოსასვლელი კარის გასაღებად გაქანდა, რომ დღევანდელი სტუმრების ამბავი პირველს ეცნო - და, როცა დავითი ბინაში შემოვიდა გარს შემოეხვივნენ, ერთდროულად ალაპარაკდნენ, ყოველი მათგანი დღევანდელი ამბის მოყოლას თავისებური ინტერპრეტაციით ცდილობდა. დავითმა ყურადღებით მოუსმინა მათ, მერე იმ ქაღალდს დახედა, რომელიც კარებში გაჩხერილი დახვდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მაშასადამე ეს გამოკითხვის ფურცელი მხოლოდ მიზეზია...  
– ჩაფიქრდა, კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შეხედა და ამირანს სთხოვა: – ეს სურათი დროებით კარადაში შეინახე... ჰმ, ეტყობა, მათ ამ სურათის არსებობის ამბავი შეიტყვეს...

ცოტახანში კარებზე ისევ გაისმა ზარის ხმა.

– ეს დედაა, – და ამირანი კარების გასაღებად წავიდა.

თამარი, ჩვეულებისამებრ, გაღიმებული სახით შევიდა ოთახში, ამირანს თავზე მოეაღერსა, დავითი სახლში რომ დახვდა გაუხარდა, მაგრამ როცა მეუღლის დაფიქრებულ სახეს შეხედა, შეეშინდა, უნდოდა ეკითხა თუ რა მოხდაო, მაგრამ დავითმა დაასწრო და ყოველივე უამბო.

– მართალი ხარ, მათ სურათის ხელში ჩაგდება სურთ, – დაეთანხმა თამარი მეუღლის მოსაზრებას, – კი მაგრამ დავით, მაჩ-ხო ფთუ-კარაძე და აჩ-ხო კუკუ-იძე შენთან ერთად არ მუშაობდნენ პრეკონომიკის განვითარების სამსახურში? რატომ გვიკეთებენ ამას? – გაკვირვებას ვერ მალავდა თამარი.

– კარგი რა თამარ, როცა სამსახურიდან გამანთავისუფლეს, ჩემი სამუშაო ოთახიდან, განა მათ არ გამომიყარეს: წიგნები, მაგიდა, სკამი... არც კი დამაცადეს წესიერად გამომეტანა ჩემი პირადი ნივთები. – დავითი ცოტახანი დაფიქრდა და ისევ თამარს მიმართა: – ეს ის ხალხია, რომელიც თავისი კეთილდღეობის გამო მზად არიან ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინონ, – ამ ამბის გახსენებამ დავითი აანერვიულა.



– კარგი, დავით, დაივიწყე ეს ამბავი. შენ ხომ ისედაც აპირებდი მაგ სამსახურიდან წამოსვლას. ხომ გახსოვს, სულ ჩიოდი: „ჩემს ძირითად სამსახურს მოვწყვდიო“ – მეუღლის დამშვიდებას შეეცადა თამარი, – ჯობია ის მითხრა რატომ მოხვედი დღეს ასე ადრე?

– ჩვენს პატრიარქს შევხვდი... ხვალ დილით ამირანი მიმყავს სემინარიაში, – აშკარად გამოუსწორდა გუნება-განწყობილება დავითს.

– პატრიარქს შეხვდი?! ხვალ მივდივარ! – სიხარულით წამოიყვირა ამირანმა, რომელიც იქვე იდგა და ყურადღებით უსმენდა მშობლების საუბარს.

ამირანის სემინარიაში წასვლის ამბავმა ყველა გაახარა და მთელი საღამო მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ თუ რა კარგია და რა ბედნიერებაა, რომ პატრიარქის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იქნება ამირანი.

ვასშამაც ამადღევებელ საუბრში ჩაიარა.

დაახლოებით საღამოს ათი საათი იქნებოდა როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. თამარმა კარი გააღო. კარში ისევ ის დაუპატიჟებელი სტუმრები, მაჩ-ხო ფთუ-კარაძე, აჩ-ხო კუკუ-იძე და ალი-დალიდა, გამოჩნდნენ.

– შეიძლება შემოვიდეთ? – ზრდილობიანად იკითხა მაჩ-ხომ.

– მობრძანდით, – შემოიპატიჟა თამარმა.

სამივე ოთახში შევიდა. მაჩ-ხომ და აჩ-ხომ, დავითი რომ დაინახეს ტკბილად მოიკითხეს, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, აშკარა იყო სურათს ეძებდნენ და, რომ ვერ დაინახეს, სახეზე შეწუსება შეეტყობ.

მაჩ-ხომ იკითხა:

– ჩვენ კარში გამოკითხვის ფურცელი დაგიტოვეთ, ნახავდით ალბათ. შეავსეთ?

– ვნახეთ, მაგრამ აზრი ვერ გავიგეთ, აი მაგალითად, რა შუაშია ერთმანეთთან ეს კითხვები: „რუსეთთან გვსურს გაერთიანება თუ არა? და, გვაქვს თუ არა ანაბარი ბანკში“? ან თუნდაც ეს: „გაქვთ თუ არა ძვირად ღირებული სურათი“? – მკაცრი ტონით ჰკითხა დავითმა სამივეს.

– ბატონო დავით, იცით რა, ჩვენ, სოციალური მდგომარეობის მიხედვით ვადგენთ თუ რამდენად გულწრფელები არიან აბონენტები. თუნდაც, იმის შესახებ სურთ თუ არა რუსეთთან შეერთება, – ახსნა დაიწყო აჩ-ხომ.

– თქვენ გინდათ, რომ ჩემი გულწრფელობა დაადგინოთ? – ჰკითხა დავითმა.

– დიას ბატონო, – ზრდილობიანად უპასუხა ალი-დალიდამ.

– ძალიან კარგი, მე გულწრფელი ვიქნები, – და დავითი წამოდგა შემოსასვლელი კარი გააღო და სამივეს მიმართა: – გულწრფელად გთხოვთ დატოვოთ ჩემი ბინა.

ამ საქციელმა სამივე გააოგნა, თვალების ქუთუთოები ჩამოეშალათ, ყბები ჩამოუვარდათ და ისეთი სასაცილოები გახდნენ, რომ თამარმა სიცილი ვერ შეიკავა. სიცილზე კი, სამივე გამწარდა და უკან მოუხედავად სადარბაზოში გაეარდნენ. დავითმა კარი მიუჯახუნა და ჩარაზა. ერთხანს კართან იდგა და თვის ცოლს უყურებდა, რომელიც გულიანად იცინოდა, მერე თვითონაც სიცილი აუვარდა და თამარს მოეხვია, ამირანიც დედისკენ გაიქცა და ისიც ჩაეხუტა, თანაც მამის გვერდზე გაწევას ცდილობდა, იმ მოსაზრებით რომ, დედა მე უფრო მეკუთვინისო. სიყვარულის გრძნობა ფუტკარსაც მოეძალა და ისიც თამარისკენ გაქანდა, კისერზე შემოაჯდა და თავისი პატარა ფეხებით შემოეჭდო. ჩასახუტებელი ადგილი სხივის ბურთს აღარ დარჩა, ამიტომ ოთხივეს თავზე დასტრიალებდა და ზემოდან აცისკროვნებდა მათ ანთებულ სახეებს. როცა ერთმანეთის ფერებით გული იჯერეს; ფრთხილად დაცილდნენ, იმ გრძნობით, რომ ეს კიდევ ხშირად განმეორდება... ეს მათი და ჩვენი სურვილიცაა. ხომ ასეა მკითხველო? არა?... რატომ?

როგორია რძისფერი დილა?... ალბათ გონიერი



წახანდელი ნაწვიმარი ჯერ კიდევ ეტყობოდა ქუჩას. საწვიმარის აშვერილი ტუჩებიდან ისევ წვეთდა წვიმის წვეთები. ქუ-



ჩაში აქა-იქ, წინა დღის, მომიტინგეთა პლაკატები ეყარა, დაფლეთილი, სველი, ასფალტზე დატყეპბულები, დამნაშავე იერით მენაგვის ცოცხს ელოდებოდნენ. მენაგვე ჩვეულებაზე უფრო მძიმედ იქნევდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

ნაწლავებში მაქვს პური,  
მიტომ გავდივარ კუჭში  
და ვაქანდაკებ ელოს,  
რომ ქანდაკება იგი  
მის შთამომავალს ერგოს.  
აგერ გამოჩნდა მიშა  
მას სომხები ჰყავს „კრიშად“,  
სადღაც წკმუტუნებს ნინო -  
რუსების პიანინო.  
ქუჩაში ბღავის ოპოზიცია,  
ინჩ-რუს-უზუმეს კომპოზიცია.  
უცხო აქცენტით გვპირდება „მამა“:  
„დღეს თუ არა - ზეგ,  
ოცნების კოშკებს აგიგებთ მე“.  
სიცრუე ხარობს,  
ყვავი, ბუღბულის ხმაზე გალობს.  
რა გვწამს?  
ვაი ჩვენს თავს უბედურს,  
რა გველის, სულთ და სისხლით იბერიელებს?!

ამ დილით, კაქტუსის მობინადრეებს შორის, ყველაზე ადრე ამირანს გაეღვიძა. უკვე სასულიერო სემინარიის მოწაფე, კასრიდან გამომძვრალიყო და ტანსაცმელს იცვამდა. ამირანის ხმაურზე თამარსაც გაეღვიძა, და როცა მათთან გამოსული ამირანი დაინახა, გაუხარდა, მერე დავითი ხელით შეანჯღრია, გამოაღვიძა.

გაღვიძებულმა დავითმა ჩაცმული ამირანი, რომ დაინახა, რომელიც ჯიუტად ელოდებოდა მშობლების გამოღვიძებას, თავშეუკავებელი სიცილი აუვარდა. სიცილი ოჯახის ყველა წევრს გადა-



ედო და ფანჯარაში გაეარდა, ქუჩაში მიმავალ ხალხს დაეწია, გუნებაში შეუძერა და გაამხიარულა, მოჯაჯღანე ლოთის ცოლიც კი, რომელსაც მენაგვე ზაქარიას ლექსის ერთი სტრიქონი აეტაცა და აღტყინებული მთელ ხმაზე გაჰყვიროდა:

დღეს თუ არა ზეგ,  
ოცნების კოშკებს აგიგებთ მე.

ლოთის ცოლის ყვირილი თანდათან აუტანელი ხდებოდა, შეწუხებულმა მეზობლებმა ფანჯრები დახურეს. მხიარულმა დიღამ თანდათან მოიწყინა. მხოლოდ ამირანს არ გაფუჭებია გუნება, რომელიც დამაჯერებელი ნაბიჯით გვერდით მიჰყვებოდა მამას და ერთი სული ჰქონდა თუ როდის მივიდოდა სემინარიაში.

სემინარია, ამირანის სახლიდან სულ რაღაც თხუტმეტი წუთის ფეხით სავალზე, მტკერის მარჯვენა სანაპიროზე იყო და როცა ამირანი მამასთან ერთად ხიდზე გადავიდა, ამოისუნთქა, იცოდა, რომ უკვე რამდენიმე წუთში, სემინარიის შენობა გამოჩნდებოდა და, მართლაც, გამოჩნდა ჯვრით დამშვენებული თეთრგუმბათიანი შენობა.

სემინარიის შესასვლელ კართან მონაზონები იდგნენ, რომლებსაც სემინარიის შენობაში ახლად გადმოსული ბავშვები შეჰყავდათ. ამირანს მეგზურად ახალგაზრდა მონაზონი წილად ხვდა - მერე როგორც გაიგო, მას, დედა ქრისტინე ერქვა. ამირანის პირველი შთაბეჭდილება, შენობაში შესვლისთანავე, ის იყო რომ, კიბეები თანაბარი ზომის და თეთრი მარმარილოსი იყო, ხოლო კიბის სახელურები ხის, ყოველგვარი რკინის შევრილების გარეშე, კედლებზე კი, სანთლიანი შანდლები ეკიდა. დედა ქრისტინემ ამირანი საკლასო ოთახში შეიყვანა, სადაც მას პირველი გაკვეთილი უნდა ჩატარებოდა. ამირანს კლასში რამდენიმე ბავშვი და მამაო დახვდა. მამაო ამირანის დანახვისთანავე წამოდგა, მიეგება და მერხი მიუჩინა.

საკლასო ოთახი ნელ-ნელა ბავშვებით გაივსო. მხიარულობა მატულობდა.... ბავშვები შემოსვლისთანავე მამაოს ესალმებოდნენ, მერე თანაკლასელებს, და: გუშინდელ და იმის წინანდელ ამბებს





იგონებდნენ... ზარი დაირეკა... ყველა ბავშვი თავის ადგილისკენ გაეშურა... თითოეულმა მერხის უჯრიდან თითო სანთელი ამოიღო და კედელზე ჩამოკიდებული კანდელიდან დაანთეს... მამამ დილის ლოცვის კითხვა დაიწყო... როცა დაასრულა, ბავშვებს დასხდომა სთხოვა, თვითონ თავის მაგიდას მიუჯდა და შეთის შთამომავალ ნოეზე დაიწყო ამბის მოყოლა. საუბრობდა დაბალ ხმაზე, მაგრამ ყველასათვის გასაგონად, მნიშვნელოვან საკითხებს ცოტა ამაღლებული ტონით ამბობდა, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა ნოეს თავგადასავალს, ხოლო როცა დაასრულა, ბავშვებს თხოვნით მიმართა, მოსმენილი დაეწერათ. ბავშვებმა, მაგიდაზე წინასწარ დალაგებულ ფურცლებზე დაიწყეს წერა. ამ ფურცლებს უცნაური უნარი გააჩნდათ, თუ ბავშვი სიტყვაში ან ტერმინში შეცდომას დაუშვებდა, ის სტრიქონი სადაც შეცდომა იყო დაშვებული, მთლიანად გაყვითლდებოდა. ბავშვს შეცდომა უნდა ეპოვნა, სპეციალური საშლელით წაეშალა, რომელიც წერის დროს ყოველთვის მაგიდაზე ხედებოდათ, და მხოლოდ შეცდომის გასწორების შემდეგ შეეძლო წერის გაგრძელება, სხვა შემთხვევაში ნაწერი ფურცელს არ აჩნდებოდა. ეს ძალიან მოსწონდათ ბავშვებს. ასეთ წერას შემოქმედებითი ხასიათი ჰქონდა. პირველმა წერა ამირანმა დაამთავრა, და ნაწერი მამაოს მიუტანა, მამამ ნაწერს თვალი გადაავლო, სახეზე აღფრთოვანება გამოეხატა, ამირანს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ამირან შვილო, შეიძლება ნაწერი ბავშვებს ხმამაღლა წაეუკითხო? ან უმჯობესია, თუ სურვილი გაქვს? შენ თვითონ წაუკითხე ბავშვებს! ოღონდ როცა ყველა მორჩება წერას. მანამდე აქ იყავი, ჩემს გვერდით.

ამირანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მამაოს გვერდით დადგა. როცა ბავშვები წერას მორჩნენ, მამამ ამირანს ნაწერი დაუბრუნა და თხოვნა გაუმეორა.

ამირანმა კითხვა დაიწყო:

ღრუბელი წყლისაგან გაილეშა, დათვრა,  
ვეღარ აიტანა წყალის სიმძიმე და გასკდა.  
წყალი დედამიწას ნიაღვრად დაასკდა



და უწმინდურები ჯოჯოხეთში წაასხა.  
იბერიელმა ნოემ კიდობანი შეკრა  
და ცურვით არარატის მთას მიაღდა.  
მერე, ნოემ, მტრედი აფრინა  
და მტრედი ნოეს, ნოელით ეახლა.  
სიხარულისგან შესძახა ნოემ: „აჰა რა, გამოჩნდა მიწა!“  
და ეს ამბავი ცაში ღმერთს ახარა.  
ღმერთს გაეცინა და ნოეს ჩამოსძახა:  
„მაგარი კაცი ყოფილხარ, მე კი მეგონე მასხარა“.  
ნოემ უპასუხა: „არ ვიცი, ვინ რა მასხა რა,  
მაგრამ იბერთა მოდგმა გადარჩა“.  
ღმერთს ეამა, ზეცაც განათდა  
და ეგვიპტეში რამ, იბერიაში კი მზემ გამოანათა.

როცა ამირანმა კითხვა დაასრულა, ორი მოწაფე ფეხზე წამოდგა და ტაში დაუკრეს, სხვა ბავშვებიც აყვნენ. ამირანმა იცნო ძმები, გული შეეკუმშა, იცოდა მათი ბედისწერა, იცოდა, რომ სივრცითი თავისუფლების მოყვარულ ძმებს სხვა ჭაბუკებთან ერთად, ედო შედო-ვაი-ძე გადაასახლებდა ოთხკუთხა წითელ უდაბნოში. როცა ბავშვებმა ტაშის დაკვრა დაასრულეს, მამამ მთელ კლასს მიმართა:

– როცა თქვენ გიყურებთ, არ მეშინია, მჯერა, რომ იბერთა მოდგმა გადარჩება.

მამამ ყველა დალოცა და „მამო ჩვენოს“ ლოცვა აღავლინა. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილის გამოსასვლელი ზარი დარეკილი იყო, ბავშვები მამა ზაქარიასთან ერთად ლოცვას განაგრძობდნენ. ლოცვის დასრულების შემდეგ მამო ბავშვებს დაემშვიდობა და საკლასო ოთახიდან გავიდა. მამოს გასვლისთანავე ბავშვებმა, ხმაურით, დატოვეს საკლასო ოთახი და სემინარიის ბაღში გავიდნენ, ამირანიც მათ გაჰყვა და როცა ბაღი იხილა, აღფრთოვანება ვერ დაფარა: ბაღის შუაგულში ციდან უზარმაზარი ჩანჩქერი გადმოდიოდა, ჩანჩქერის თავზე მზის სხივებს ცისარტყელა მოექსოვათ, სხვადასხვა ფერის ფრინველები ცისარტყელას ძაფებს აცილებდნენ და ბავშვებს თავზე აყრიდნენ, ძაფები ბავ-



შეგებს ზედ აღნებოდა, ისე რომ სისველეს არ ტოვებდნენ. ბაღის მარცხენა მხარეს ჰაერში წყლის გუბე დაკიდებულიყო, რომელშიც სხვადასხვა სახეობის თევზები დაცურავდნენ და, თუ შემთხვევით წყლის გუბის საზღვრებს გასცდებოდნენ შეშინებულები ჰაერში ხტუნვას იწყებდნენ და ხტუნვა-ხტუნვით უკან ბრუნდებოდნენ, ეს იმდენად სასაცილო იყო, რომ ბავშვები სიცილისგან თავს ვერ იკავებდნენ, და მათი მხიარული ჰანგები მთელ ბაღს ამხიარულებდა. ეზოს მარჯვენა მხარეს ჰაერში მიწის ბელტები დაცურავდნენ, რომელზედაც სხვადასხვა სახეობის მცენარეები ამოსულიყო. ამირანს ყოველივე ნანახი არ ეჯერა. მას, ეს, თითქოს-და ადრეც ენახა, ოღონდ არამიწიერ სამყაროში, ახლა კი გაოგნებული და თვალებგაფართოებული ათვალიერებდა ყოველივეს, ამიტომ ვერც კი გაიგო, თუ როგორ დაირეკა გაკვეთილზე შესასვლელი ზარი, მხოლოდ დედა ქრისტინეს ხელის შესებამ გამოაფხიზლა, მიმოიხედა, ეზოში მარტო იყო. დედამ ამირანი საკლასო ოთახამდე მიაცილა. ამირანი საკლასო ოთახში შევიდა, დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და თავის მერხს მიუჯდა.

ფილოსოფიის გაკვეთილი მიმდინარეობდა, რომელსაც პატარა ტანის, სანდომიანი სახის და მხიარული თვალების მქონე მამაკაცი ატარებდა, ფილოსოფიის მასწავლებელი დამაჯერებლად საუბრობდა, ყველა სიტყვას გასაგებად ამბობდა და, თუ უცხო ტერმინს იხმარდა, ხსნიდა, მერე კი ახსნილს ბავშვებს რვეულში აწერინებდა. გაკვეთილის დასასრულს ბავშვებს დავალება ჩააწერინა და სთხოვა, რომ დავალება დამოუკიდებლად გაეკეთებინათ – მშობლების დახმარების გარეშე.

ბოლო ორი გაკვეთილი, ამირანს ხატვის ფილოსოფია ჰქონდა. ამ გაკვეთილზე ორი ახალგაზრდა გოგონა შემოვიდა მარიამი და ანა, მათ თან სხვადასხვა მხატვრის რამდენიმე ნახატის ასლი შემოიტანეს, რომელთა შინაარსსაც რიგრიგობით ხსნიდნენ, ოღონდ სხვადასხვა ინტერპრეტაციით, ხოლო, ბავშვებს უნდა განესაზღვრათ, თუ რომელი იყო სწორი ან მათვის მისაღები. ეს შემეცნებითი გაკვეთილი გართობით ხასიათს ატარებდა, მაგრამ ბევრ ცოდნას აძლევდა ბავშვებს ხელოვნების, კერძოდ კი მხატვრობის შესახებ.



მესამე გაკვეთილის დასრულების შემდეგ, და ეს დრო სხვადასხვა კლასის ბავშვებისათვის ზუსტად იყო განსაზღვრული, ბავშვები სემინარიის ბაღში იკრიბებოდნენ. უფროს კლასელებს ბაღი უნდა დაესუფთავებინათ, ხოლო უმცროს კლასელებს კი თევზებისათვის და ჩიტებისათვის ეჭმიათ. ამირანს სემინარიაში ჯერ მეგობარი არ ჰყავდა, ამიტომაც მარტო დასეირნობდა ყვავილებსა და ჰაერში დაკიდულ პატარა ჩანჩქერებს შორის, რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო აოცებდა ბაღის სიმშვენიერე, უცებ უკან, კეფასთან, ბზუილი გაიგონა, მოიხედა და, რას ხედავს - მისი მეგობარი ფუტკარი. ამირანს სიხარულისაგან თვალები ვარსკვლავებივით გაუბრწყინდა.

– ეი, აქ საიდან გაჩნდი? სახლიდან როგორ გამოხვედი? საიდან? – კითხვა-კითხვაზე დააყარა ამირანმა მეგობარს.

– როგორ და ფანჯრიდან გამოფფრინდი... მოვიწყინე უშენოდ, ეს დღეები სახლში, რომ იყავი ძალიან შეგეჩვიე, – და მხარზე დაასკუპტა.

– როგორ მომაგენი? – გაოცებას ვერ ფარავდა ამირანი.

– ძალიან მაღლა აფფრინდი და იქიდან გადმოვხედე გარემოს, თეთრი შენობა და ზღაპრული ბაღი, რომ დავინახე მივხვდი - აქ, რომ იქნებოდი, – ფუტკარი ვერ მაღავდა თავის კმაყოფილებას, ამირანს ადვილად რომ მიაგნო.

– წამოდი ერთად შევიდეთ ბაღის სიღრმეში, – შესთავაზა ამირანმა ფუტკარს.

– ხომ არ დავიკარგებით? – იკითხა ფუტკარმა.

– არა აქ ყველგან ისრებია და წარწერები. აი შეხედე! ეს იმიტომ გააკეთეს ბავშვები, რომ არ დაიკარგონ, – და ამირანმა, წითელი ფერის ისრები დაანახა.

– კარგი, – დაეთანხმა ფუტკარი.

ამირანმა, ახლა უფრო ხალისიანად განაგრძო გზა. მის მხარზე შემოსკუპებული ფუტკარი ხანდახან მაღლა აფრინდებოდა, ზემოდან ყვავილებს დაათვალიერებდა, ტუჩებს აილოკავდა და ისევ მხარზე დააჯდებოდა.

– რა გჭირს? რატომ ვერ ისვენებ? – ჰკითხა ამირანმა ფუტკარს.



– ჰმ, ტა ტა ტაა, აბა როგორ მოვისვენო რა ტკბილი ნექტარი ექნებათ ამ ყვავილებს, – და თვალები ისე მინაბა, თითქოს თაფლის თბილ აბაზანას ღებულობდა.

– მერე მიდი, გაუშინჯე გემო, არა მგონია ამის გამო საყვედური მივიღოთ, – წააქეზა ამირანმა.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაიმედებული ხმით უპასუხა ფუტკარმა. ამ საუბარში იყვნენ, როცა იქვე ახლოს, გვერდითი ბილიკიდან სასიამოვნო ხმა გაისმა:

– უკაცრავად, თქვენი ფუტკარი აღამიანის ენაზე საუბრობს?

ამირანმა გვერდზე გაიხედა და გოგონა დაინახა, რომელიც მასზე ერთი წლით უმცროსი თუ იქნებოდა. გოგონას უკან გადავარცხნილი ღია წაბლისფერი თმა, ნათელი შუბლი და მწვანე ფერის თვალები ჰქონდა.

– კი საუბრობს. – დინჯად უპასუხა ამირანმა, და: – რა ლამაზი ხარ? რა სასიამოვნო ხმა გაქვს? რა გქვია? – სხაპასხუპით მიაყარა ამირანმა პირველი შთაბეჭდილებები გოგონას.

– ნინო, – ღიმილით უპასუხა გოგონამ.

და, გაცნობის დასტურის ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. როგორც კი მათი ხელები ერთმანეთს შეეხო, ორივეს გონებაში, მაგრამ წარმოსახვით, ერთი და იგივე სურათები გადაიშალა, სადაც ისინი უკვე დიდები იყვნენ.

– ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი! – ხმადაბლა წარმოთქვა ნინომ.

– ჩვენ არასოდეს დაგვიკარგავს ერთმანეთი! – იგივე ტონალობაში გაიმეორა ამირანმა.

– მე გული მიგრძნობდა, რომ დღეს საოცრება მოხდებოდა, – აღერსიანი ხმით თქვა ფუტკარმა.

ძველმა და ხელახლად ნაპოვნა მეგობრებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ერთად გააგრძელეს ბაღში სეირნობა. ფუტკარი ხან ერთს შემოსასკუპდებოდა მხარზე, ხან მეორეს. მათ საუბარს უსმენდა და მათთან ერთად ხალისობდა. მეგობრები ისე გაერთნენ, რომ სულ დაავიწყდათ გარეთ მომლოდინე ახლობლები: ნინოს - ბებია, ამირანს კი, მამა ელოდებოდა.



## ნინოს წინაპრები



ნინო, სვანების უძველესი გვარის დადგენილიანების ერთადერთი შთამომავალი იყო. დადგენილიანები წარმოშობით იბერიელები იყვნენ, მაგრამ, შუა მდინარეთის მიწაზე ცხოვრობდნენ და მისი დაცვა ევალებოდათ. მზის ამაღლების წელს, როცა უდაბნოში ქვიშა ისე გაცხელდა, რომ ქვაც კი დადნა - შუა მდინარეთის ქვეყანაში, ფარაონ პოტოსის შვილობილი ჰამურაბი გამეფდა. ჰამურაბმა დადგენილიანების შევიწროება დაიწყო. აუჯაყდნენ დადგენილიანები მეფეს და სძლიეს. ჰამურაბი იძულებული გახდა დადგენილიანებთან ზავი დაედო. მიიღეს ზავი, დადგენილიანებმა და ხმლები ქარქასში დააბინეს, ამით ისარგებლა ჰამურაბმა და მოულოდნელად დაესხა... სულ ერთიანად ამოწყვიტა დადგენილიანების საგვარეულო, შემთხვევით მხოლოდ ერთი, თორმეტი წლის ბავშვი გადარჩა, რომელიც სტუმრად ჩამოსულ იბერიელ მეომარს, გულბაათ კაბულთიანს სათევზაოთ გაჰყოლოდა მდინარე ეფრატზე. უკან მობრუნებულებს საშინელი სურათი დახვდათ, მიხვდნენ ვისი ნამოქმედარიც იყო ყოველივე ეს, მაგრამ რა ექნათ, გულში ჩაიკლეს შურისძიების სურვილი და სასწრაფოდ იბერიისკენ გაეშურნენ, თან მხოლოდ ლილეოს ოქროს ფირფიტა წაიღეს, რომელიც სასახლის მახლობლად საიდუმლო მიწისქვეშა საყდარში ინახებოდა. ამ ფირფიტაზე ვარსკვლავების განლაგების და მათი გადაადგილების სქემა იყო გამოსახული, ფირფიტაზე ასევე მაცხოვრის განკაცების და მისი მეორედ მოსვლის თარიღი ეწერა, ეს ფირფიტა დადგენილიანების წინაპარს ღმერთის მთავარანგელოზმა უბოძა შესანახად და მემკვიდრეობით ყველაზე უმცროსზე გადადიოდა.

ბავშვის გადარჩენის ამბავი ჰამურაბმა გვიან შეიტყო, განრისხებულმა ჯარი დაადევნა, მაგრამ გულბაათი და პატარა თერახი უკვე კაბადოკიაში იბერიის ძირძველ მიწაზე იყვნენ გადასულები. ჰამურაბის მხედართმთავარმა მორქოსძემ, მაინც გაბედა კაბადოკიის საზღვრის გადალახვა, მაშინ იბერიელთა ჯარმა ირუბაქიდის



მთავარსარდლობით გზა გადაუჭრა. გაშლილ მინდორზე ერთმანეთის პირისპირ, მამაცი მხედრებისაგან შემდგარი, ორი, დაახლოებით ათას კაციანი, ჯარი იდგა, ბრძოლის დაწყებას ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა, რამეთუ ორივე მხარეს სისხლით ნათესავეები იდგნენ. დიდი ყოყმანის შემდეგ, ირუბაქიძემ ცხენის სადავე მოჭიმა და ნელი სვლით მიუახლოვდა მორქოსძეს, თავი დაუკრა და ურთიერთნათესაეობა შეახსენა, მორქოსძემ გაშიშვლებული ხმალი ცაში აღმართა და ყველას დასანახად ქარქაშში ჩარგო. დაპირისპირებულთა ორივე მხარემ კეთილგანწყობის ნიშნად ფარები აღმართეს და ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ, აერივნენ ერთმანეთში, კეთილი განწყობის ნიშნად ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, ეხვეოდნენ და მხოლოდ მაშინ გაეყარნენ, როცა მთავარსარდლები დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ყოველივე ამას, შორიდან, ამადლებული ადგილიდან, გულბათი და თერახი ადევნებდა თვალყურს და თუ ადრე მათ თვალეში შურუსძიების წყურვილი ბუდობდა, ახლა სევდამ დაიბუდა და იმ გრძობამ რომელსაც წარსულთან სამუდამო დამშვიდობება ჰქვია.

მეფე ჰამურაბი გონიერი მეფე გამოდგა, შექმნა სამართლის კანონები, გააშენა ახალი ქალაქები და ხალხის სიყვარული დაიმსახურა, მაგრამ, დადემშვიდობების წინაშე ჩადენილი ცოდვა აწვალებდა, რომელიც მწვალებელ შიშში გადაეზარდა, ეს შიში მის შთამომავლებსაც გადაეცაო, და აუხდათ კიდევ: უკვე ორმოცდაათ წელს მიღწეულმა თერახმა შეკრიბა სამხრეთით მაცხოვრებელი იბერთა ტომები - ხეთები, ჩაუდგა სათავეში და ქალაქ ბაბილონს მიაღება. როცა ბაბილონის მოსახლეობამ კარგად აღჭურვილი ჯარი იხილა, შეშინდა და მორჩილების ნიშნად ქალაქის გასაღები თერახს მიართვეს, მაშინ გაახსენდა თერახს მამა აბრამის თარრას სიტყვები: „თუ გინდა მტერზე სრულ გამარჯვებას მიაღწიო დაინდე, მაგრამ მეგობრად არ მიიღო“. და, თერახმა დაინდო ქალაქი. გამარჯვების ნიშნად ჰამურაბის სასახლეზე მინუანის ნიშნის დროშა აღმართა, ჯარი ქალაქის ქუჩებში შემოატარა, სანთელი დაანთო თავის ნასახლკარზე, ერთი ბლუჯა მიწა აიღო და მშვიდობიანად დატოვა იქაურობა. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო, სიმშვიდემ დაისადგურა აზიაში... ამ კეთილშობი-



ლების სანაცვლოდ, და ნაბუქოდონოსორის მიერ გამოდევნილი იბერიული სისხლის ებრაელების შეფარების ნიშნად, იბერიელებს ერგოთ ზეცით ქსოვილი კვართი უფლისა, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი, ნიშნად იმისა რომ საზეპური ერი მის წიაღში შენახული კვართის მსგავსად სამარადჟამოდ, მის მეორედ მოსვლამდე, ერთიანი, მთლიანი და დაუნაწევრებელი უნდა დარჩენილიყო, თუკი ქრისტიანობას დაიცავდა... მაგრამ ეშმაკმა, იბერიაში წარგზავნა: ჰაიკი, რიურიკი, პოლოვიცი, საგო, არმენი, ალანი და ფუა-ქართველი, მათ იბერიელების გადაგვარება დაევა-ლათ.

ნინოს უახლოესი წინაპრი - ბაბუა, სვანეთის მთებში დაკარგული მონადირეების ძებნისას დაიღუპა. იმ ადგილას, სადაც ნინოს ბაბუა, ყინულის ნაპრალში ჩაიჩეხა - ხე ამოვიდა. ამ ხეს თეთრი ტანი და ლურჯი ფერის ფოთლები ჰქონდა, ხის ფოთლები ღამე ანათებდნენ და თუ ვინმე მთაში დაიკარგებოდა, რამდენიმე ფოთოლი მოწყდებოდა ტოტს, მიფრინდებოდნენ დაკარგულთან და გზას უნათებდა. ხოლო, სავსე მთვარის დროს, ამ ხის ირგვლივ, მთაში დაღუპული ადამიანების სულები იკრიბებოდნენ და ღმერთის სადიდებელ სიმღერებს მღეროდნენ. სიმღერის ჰანგები სოფლამდე აღწევდა, ამ დროს დაღუპულთა ოჯახებში განსაკუთრებული სუფრა იშლებოდა და მონადირეთა მფარველის, დალის, სადღეგრძელოს სვამდნენ.

რაც შეეხება ნინოს მშობლებს ისინი აფხაზეთის ომის დროს, ბედიას მონასტრის ეზოში სომხებმა დახვრიტეს. რამდენიმე თვეში, დახვრეტის ადგილას, ამოვიდა ზუსტად ისეთივე ხე როგორც ნინოს ბაბუას დაღუპვის ადგილას იყო ამოსული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ხის ფოთლები უფრო მუქი ლურჯი ფერისა იყო. ხის ფოთლები ნინოს მშობლების დახვრეტის დღეს წითლდებოდნენ და აფხაზეთის ომში დაღუპული ყველა ადამიანის ხმაზე იწყებდნენ გოდებას. თითოეული დაღუპულის ხმა რუსი დამპყრობელის ყურში მიძვრებოდა, ტვინამდე აღწევდა და გაგიჟებამდე მიჰყავდა. ამ დღეს: ცაზე თეთრცხენზე ამხედრებული კოლხეთის მეფე აიეტიც ჩნდებოდა, თავზე ოქროს გვირგვინით და, ხელში, ცეცხლოვანი მათრახით და, თუ ვინმე უწმინდური ბედიას მონას-





ტერში იმყოფებოდა ან მის ეზოში - ცეცხლოვანი მათრახით შუაში ხლიჩავდა და მის სულს ჯოჯოხეთის ნაგაზებს მიუგდებდა. სხვა დღეებში ხე მშვიდად იყო და თავისი სილამაზით მოყვარესაც და მტერსაც ერთნაირად გულს უნათებდა.

ბედიას მონასტერი, იბერთა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა იმ ადგილას ააგო სადაც მეფე აიეტს სპილენძის ხეზე ოქროს ვერძი ჰქონდა ჩამოკიდებული. ეკლესიის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბაგრატ III-ს მეუღლემ - ელენემ, ბიზანტიიდან ღვთისმშობლის კვართი წამოიღო და ბედიის მონასტერში დაასვენა, მაგრამ როცა ჩრდილოელი უცხო ტომი მოეძალა აფხაზეთს, ბერებმა ის იბერთა წარჩინებულ თავადთა დადიანების სასახლეში გადაასვენეს - ზუგდიდში.

იბერიაში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, დადიანების სასახლე მუზეუმად გადააკეთეს სადაც დამლაგებლად მუშაობდა ნინოს ბებია, წითელმა ვირთხებმა, როცა ნინოს ბებიას წარმომავლობა შეიტყვეს სამსახურიდან გაანთავისუფლეს, მაშინ ბებია და შვილიშვილი იძულებულები გახდნენ საცხოვრებლად თბილისში გადასულიყვნენ და თავი მარტოხელა, ხანში შესულ, შორეულ ნათესავს, გვარად ავშანდაძეს, შეაფარეს, რომელმაც გარდაცვალების შემდეგ ბინა მათ დაუტოვა. ნინოს ბებიაც გვარად ავშანდაძე იყო, ეს გვარი ცნობილი იყო იბერიაში, ამ გვარმა, ქრისტეს შობამდე, საფუძველი ჩაუყარა სასისხლო სიგელების შემოდებას, რითაც სისხლის სიწმინდის დაცვის აუცილებლობას დაუდეს სათავე... ამ გარემოებამ დიდი ხნით აღკვეთა იბერიელთა აღრევა მეზობელ ტომებთან, ისევ დაიწმინდა იაფეტის შთამომავალთა სისხლი, მაგრამ მთვარის გაწითლების პერიოდში, რომელიც მეექვსე საუკუნეში მოხდა იძალა ჰაიკმა და არმენმა, დოლების ბრახუნით დააყრუეს იბერთა მონათესავე ტომი ალბანელები და მოაქციეს თავის რჯულზე, ამას კიდევ ქვიშის ბრძანებელთა ტომების შემოსევა დაემატა, დასუსტდა იბერია, შეირყა რწმენა, გულს მხოლოდ აბიბო ნეკრესელის წინასწარმეტყველება და ღოცვა უმაგრებდათ. დაინახა დმერთმა იბერთა გაჭირვება და მოუგლინა მხსნელად ბავშვი, რომელიც დაჩი ავშანდაძეს ოჯახში დაიბადა, მას ტიმოთე დაარქვეს. ტიმოთე ცოტახანს იბერთა მე-

ფის გუბაზ II კარზე იზრდებოდა, მერე ბამბერს მიაბარეს გასაზრდელად, რომელსაც ადრე რომელი ჰყავდა გაზრდილი. ბამბერს ჯერ არ სურდა ტიმოთეს გასაზრდელად აყვანა, მაგრამ ტყის ბატონის ოჩოპინტრეს აუინებულმა თხოვნამ გაჭრა. ბამბერმა ტიმოთე ყველაზე საშინელი მგლების ხროვაში გააგზავნა გასაწრთენელად, მაგრამ როცა შეიტყო, რომ ტიმოთემ ყველა სიძნელე გადალახა, თავისთან მოიხმო და თვითონ განაგრძო მისი წვრთნა. ტიმოთე, ბამბერის ყველა დავალებას ასრულებდა და კარგი მებრძოლი დადგა. შეუყვარდა ბამბერს ტიმოთე და როცა მათი განშორების დღე მოახლოვდა, მიხვდა ვერ გაძლებდა მის გარეშე და თან გაჰყვა... ამ დროისთვის მტერს იბერიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰქონდა დაკავებული. იბერთა მეფეები წათე და გუბაზი სასოწარკვეთილები ზეციდან შევლას ელოდნენ და როცა გაიგეს მათ დასახმარებლად ტიმოთე მოდისო - ძალა მიეცათ, თავი მოუყარეს გაფანტულ ჯარს. ისევ აელვარდა იბერთა ხმლები, მაგრამ მტერი ურიცხვი იყო, თან მათ ცეცხლოვანი გველეშაპი ხოსრო ჩადგომოდა სათავეში. ამან ცოტა არ იყოს შეაშინა იბერიელები, ტიმოთეც აგვიანებდა, მაგრამ ხმლების ქარქაშში ჩაბრუნება აღარ შეიძლებოდა. იბერიელები გოგჩას ტბასთან შეიკრიბნენ, მტერიც აქ უნდა გამოჩენილიყო. გათენებისას როცა მთვარე დედამიწის მეორე მხრეს გადაგორდა და მზის სხივები იბერიელთა ფარებზე ათამაშდა, ტბის მეორე მხარეს, სადაც სვავებს ისე დაეფარათ ცა, რომ ღამე გეგონებოდათ - მტერი გამოჩნდა: ჩაშავებული, თავზე ღორის თავები დაემხოთ, ცხენების ნაცვლად უზარმაზარ ვირთხებზე შემომჯდარიყვნენ, წინ ცეცხლოვანი გველეშაპი მოუძლოდათ - საზარელი სანახავეები იყვნენ. იბერიელებმა ერთი კი მოიხედეს უკან, ხომ არ გამოჩნდა ჩვენი მხსნელი და როცა ვერავინ ვერ დაინახეს, ერთმანეთს მხრებით მიებჯინენ, ფარებით მკერდი დაიფარეს, ხმლები იშიშვლეს და სასიკვდილო ბრძოლისთვის მოემზადნენ. უეცრად, იბერიელებს, თავზე რაღაც დიდმა გადაუფრინა, მერე მიწა შეტორტმანდა, თითქოს ციდან ლოდი ჩამოვარდაო და როცა მტვერი გაიფანტა, დაინახეს: ბამბერზე ამხედრებული ტიმოთე. ტიმოთემ თავის ხალხს გახედა, მათ დასანახად ხმალი იშიშვლა



და მტრისკენ გაიშვირა: „მოწყევით!“ - დაიყვირა, და მტრების ურიცხვი ჯარისკენ გაქანდა. იბერიელები ასე ამაყნი და უშიშარნი დიდი ხანია არ ყოფილან, ტიმოთეს მოწოდებაზე დაიძრნენ და მტერს ეკვეთნენ, ბრძოლა სამი დღე და ღამე გრძელდებოდა; ბოლოს იბერიელებმა იმარჯვეს ალყაში მოაქციეს ცეცხლოვანი გველეშაპი და ექვსივე თავი წააგდებინეს, მერე გული ამოაგლიჯეს და მტრების დასანახად შუბით მაღლა აღმართეს. მტერმა, როცა თავისი ბატონის განგმირული გული იხილა, იარაღი დაყარა, მორჩილების ნიშნად დაიხოქეს, თავები ძირს დაუშვეს და განაჩენის მოლოდინში, იბერიის მიწას, ცხვირით ზერვნა დაუწყეს. ისევ დაინდეს იბერიელებმა მტერი და ორჯერ ოფრო ამაყებმა დატოვეს ბრძოლის ველი. მაგრამ, ცოცხლად დარჩენილმა მტერმა, როცა დაინახა, რომ რიცხოვრივად ისევ მეტნი იყვნენ, ჩუმად უკან დაედევნენ და, როცა იბერიელები მოსასვენებლად მიწაზე დაეყარნენ, განიზრახეს მძინარე იბერიელების დახოცვა. მაგრამ, მტრის დადევნება ბამბერმა შეამჩნია და ჩასაფრებულ მტერს მგლები მიუსია. მგლებმა ყველა ამოწყვიტეს. ამ საშინელ ამბავს მხოლოდ მთვარე აღევნებდა თვალს. ამ დღის შემდეგ, როცა მგლები სავსე მთვარეს დაინახავენ, ყმუილს იწყებენ, მთვარე კი ზემოდან მდუმარედ დასცქერის მათ – თითქოს-და ეთანხმებაო.

ტიმოთე და ბამბერი გოგჩას ტბაზე მომხდარი ომის შემდეგ აღარავის უნახავს. დიდი ხნის შემდეგ, ხალხში ხმა გავრცელდა თითქოს ბამბერი სოკოსმჭამელმა კაცმა მოწამლაო. ხოლო, ტიმოთეზე ამბობდნენ, რომ მან ლამაზი იბერიელი ქალი შეირთოო, აი ის გოგო, რომელიც მასთან ერთად მეფე გუბაზის სასახლეში რომ იზრდებოდა. ბამბერის ამბავი სიმართლე იყო თუ არა არავინ არ იცოდა, მაგრამ ტიმოთეს დაოჯახების ამბავი სიმართლე აღმოჩნდა, ერთხელ კიდევაც იხილა ხალხმა ტიმოთე გოგჩას ტბაზე, იქ სადაც ომი გადახდა, უკვე თმაშევერცხლილ ტიმოთეს მისი მეუღლე და ცხენზე ამხედრებული შვიდი ვაჟიშვილი მოჰყვებოდა, სწორედ, ერთ-ერთი ვაჟის შთამომავალია ნინოს ბებია.

გენი, სისხლი ეს უწყვეტი მდინარე ავალდებულებდა მართას გაეზარდა შვილი იბერიისათვის.



იბერია თავისთავად გენია!

სახლისკენ მიმავალ გზაზე მორბენალი ფიქრები ჩაფიქრდნენ



ნინოს ბებია და ამირანის მამა - ბავშვებს, სემინარიის მოპირდაპირე მხარეს ელოდებოდნენ და როცა ბავშვები სემინარიიდან ერთად გამოსულები დაინახეს ორივეს ეამა... სამუდამო თანხმობის ნიშნად ერთმანეთს თავები დაუკრეს და ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ. ბებია - ნინო, ხოლო დავითმა ამირანი ხელჩაკიდებული სახლისკენ წაიყვანა. ბავშვებმა რამდენიმეჯერ გახედეს ერთმანეთს. მათ თვალებში განშორების სევდა და ხვალისდელი დღის მოლოდინი თინათინობდა. მართამ და დავითმა შეამჩნიეს, ბავშვების ლტოლვა ერთმანეთის მიმართ, ესიამოვნათ, თავისი ბავშვობა გაახსენდათ და მათ თვალებშიც აინთო წარსულიდან მომავალი ბავშვური გრძნობა.

გზაზე მიმავალ დავითს და ამირანს, მშრალ ხიდამდე არ მისულეს, იქ სადაც პატარა შადრევანი იდგა, სივრციდან ახალგაზრდა ჭაბუკი გამოეცხადათ, თითქოს-და რაღაც ვიწროდან გამოძვრო, მოხრილი მიუახლოვდათ და მერე გასწორდა. ახალგაზრდა ჭაბუკმა მათ ორღანის ბრჭყვიალა მილის ყიდვა შესთავაზა, დავითმა უარი უთხრა, მაშინ ჭაბუკმა სიგარეტი სთხოვა, დავითმა ამაზედაც უარი უთხრა - მაგრამ, სანაცვლოდ, ჯიბიდან ათ ლარიანი ამოიღო და აჩუქა, ყმაწვილს გაუხარდა და დავითს მიმართა:

– თქვენ დღეს ჩემი ბედი გადაწყვიტეთ, მე ახლა ვერდის კონცერტის ბილეთს შევიძენ და თავადაც კარგი კომპოზიტორი გავხდები, – და როცა საუბარი დაასრულა, მისი სხეული მთლიანად გათეთრდა, თანდათანობით გამჭვირველე გახდა და, გაქრა.

– იცანი? – შეეკითხა დავითი ამირანს.

– კი, მანონ ლესკოს ოპერის ავტორია.

– რამდენად რეალურია ასეთი მოვლენები? პუჩინი ხომ დიდი ხნის გარდაცვლილია, – გაიკვირვა დავითმა, და ამ მოვლენის ახ-



სნას შეუდგა: – რეალობა რაღაც გარკვეული სახისა და გამომეტყველების მქონეა. ხომ მეთანხმები ამირან? – და დავითმა ამირანს მარჯვენა მხარზე ხელი რამდენიმეჯერ მოუთათუნა, და ისევ განაგრძო საუბარი: – და მეორეს მხრივ, გარკვეული არსებობის თუ მოვლენების მატარებელია. მაგრამ ის, უპირველეს ყოვლისა მოვლენაა, იმ მხრივ, რა მხრივაც ვხედავთ და აღვიქვამთ ჩვენ მას, გრძნობის ორგანოების დახმარებით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ტვინის უჯრედები ასრულებენ, მაგრამ გაურკვეველი რჩება ნეირონებს რა ამოძრავებს, საიდან იღებენ დავალებას. ადამიანს ასევე მოგონების და მოვლენების თვალნათლივ წარმოდგენის უნარი აქვს, ესეც ღმერთის დამსახურებაა, მაგრამ ღმერთი უშუალოდ თვალნათლივ არ გვეძლევა, მისი არსებობა მოვლენებში მუდავდება და შეიგრძნობა როგორც მოვლენის განმაპირობებელი და გამგებელი. სინამდვილის კიდევ სხვა განზომილებებიც არსებობს რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენს გვერდითაა და ისიც ღმერთის განგებას ემორჩილება, – დავითმა როცა ახსნა დაასრულა ამირანს გადახედა, ამირანს ეღიმებოდა, – ჰო ჩემო ბიჭუნავ, ეს შენთვის ცნობილია, ვიცი, ვიცი... ჰო, ცხოვრება რთულია... ამირან, გახედე იმ ბიჭს ბოთლებს, რომ აგროვებს, ის ქალი გვერდით რომ მისდევს, აშკარად დედამისია. ხედავ? ხელში მაწვნით საგსე ქილები უჭირავს, ალბათ გასაყიდათ აქვს გამზადებული. ეტყობა უჭირთ, ასე არ უნდა ხდებოდეს... ასეთ სურათს, რომ ვხედავ ტკივილისაგან გული მეკუმშება.

– მამა, ეს ბიჭი რომელიც ახლა ბოთლებს აგროვებს, მომავალი მილიონერია, რომ გამდიდრდება თავისი გაჭირვება დაავიწყდება და სხვის გაჭირვებასაც არაფრად ჩააგდებს, ამპარტავანი მილიონერი გახდება, ქველმოქმედებას სახელის მოხვეჭის მიზნით გააკეთებს, ახლობლებს არ დაეხმარება.

– რატომ? – გაკვირვებით იკითხა დავითმა.

– იმიტომ რომ, იცის ამის გამო მადლობას არავინ არ ეტყვის, ეს ხომ ისედაც უნდა გაეკეთა, ის მხოლოდ უცხოებს დაეხმარება, რის გამოც შექებას დაიმსახურებს, საზოგადოებაში პატივცემული ადამიანის სახელს მოიხვეჭს, ყვეარებათ. შეხედე უკან, რომ



მიყვება აბზუებული, ეს მისი უფროსი ძმაა, ტადო-ბადოები არიან ორივენი. მაგრამ, ასაკში რომ შევლენ და თმები გაუთეთრდებათ, აი მაშინ კი - დატკბებიან, მაგრამ რა, დაკარგულს ვეღარ დაიბრუნებენ და სევდა შეჭამთ... ჰო, მამა, რა უნდა მეკითხა, ამ ხიდს რატომ ჰქვია მშრალი ხიდი? – და ამირანმა ცნობის მოყვარე თვალები შეანათა მამას.

– მშრალი ხიდი, ჰოო, ამ სახელთან სევდიანი ისტორიაა დაკავშირებული. მაინც გინდა მოგიყვე? – ორჭოფობა შეეტყო დავითს.

– კი მამა, – ბავშვური, აბეზარი თხოვნის ტონით უპასუხა ამირანმა.

– მაშინ წავიდეთ და, აი, იმ ბაღში სკამზე ჩამოვსხდეთ, – შესთავაზა შვილს დავითმა.

მამა-შვილმა პატარა ბაღისკენ ჩაუსვია და ნაძვის მახლობლად მდგარ სკამზე ჩამოსხდნენ. დავითმა დაპირებული ამბის მოყოლა დაიწყო:

– ეს ხიდი იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერიმ დააპროექტა. ადრე ამ ხიდის ქვეშ მტკვრის ერთ-ერთი შენაკადი მოედინებოდა, ახლა ეს შენაკადი დამშრალია, მაგრამ ამის გამო არ ჰქვია ამ ხიდს მშრალი ხიდი.

– იმიტომ, რომ არასოდეს არ სველდება წვიმით. ხომ გამოვიცანი? – იკითხა ამირანმა.

– კი, გარკვეულწილად მართალი ხარ. მაგრამ, თუ იცი რატომ არ სველდება? – ჰკითხა დავითმა ამირანს.

– არა, – უპასუხა ამირანმა.

– ჰოო, იცი მამა, რომ ამ ხიდს წვიმის დროს ზემოდან უჩინარი ფარდა გადაეფარება, რომლის ბოლოები ტყუპი და-ძმის სულებს უჭირავთ.

– და, ვინ იყვნენ ეს და-ძმა? – შეეკითხა ამირანი მამას.

– ახლავე ყველაფერს მოგიყვები, – და დავითმა თხრობა განაგრძო: – ეს და-ძმა, როგორც უკვე გითხარი, ტყუპები იყვნენ, ათი წლის თუ იქნებოდნენ, როცა მშობლები ავტოკატასტროფაში დაედუპათ, უსახსროდ დარჩენილები მშრალ ხიდზე დადგნენ სამათხოვროდ. ზაფხულში მათხოვრობა არ უჭირდათ, მაგრამ შემოდგომაზე და განსაკუთრებით ზამთარში, ძალიან ციოდათ. შემოდგო-



მის ერთ წვიმიან დღეს ორივე დასველდა და გოგონა ავად გახდა, წამლის ფული არ აღმოაჩნდა... მაშინ სამათხოვროდ მარტოძმა გავიდა, მთელი დღე ხელგაწვდენილი იდგა, მაგრამ, ფული არაფერი არ გაიმეტა, ხელგაწვდენილს შემოაღამდა, თუმცა სახლში წასვლა არც უფიქრია, ან როგორ უნდა წასულიყო, რა ეთქვა დისტვის, მთელი ღამე ხიდზე გაატრა, დილას კი წვიმამ დასცხო, გაიღუმპა, შესცივდა, მაინც არ ტოვებდა ადგილს, ელოდა დახმარებას, დაიღალა, ფეხის ტერფებში ტკივილს გრძობდა და მონაცვლეობით ხან ერთ ფეხზე გადაიტანდა სხეულის სიმძიმეს, ხან მეორეზე, მუხლები ეკეცებოდა. დაღლილობას, რომ გაქცეოდა ყურადღება წვიმის წვეთებზე გადაიტანა, აკვირდებოდა მათ, რომლებსაც მის გაცვეთილ ფეხსაცმელებზე სკუპ-სკუპი აეტეხათ. ბიჭმა, ჩურჩულით მიმართა წვიმის წვეთებს: „დამეხმარეთ, თქვენ ხომ ჯადოსნური წვეთები ხართ“. და, მართლაც წვიმის წვეთებმა ფერი იცვალეს, ოქროსფერი გახდნენ. ცოტახანში კი, მის ფეხებთან, მისი ფეხსაცმელების მსგავსად გაცვეთილი, სხვა - უფრო დიდი ზომის, ფეხსაცმელები გაჩნდა. ბიჭმა ზევით აიხედა, მის წინ სახელადვრემილი მამაკაცი იდგა, რომელმაც ჯიბიდან ასი ლარი ამოიღო და მიაწოდა. ბიჭუნას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ფული გამოართვა და სახლისკენ გაიქცა. სახლში მისულს კარი ღია დახვდა, კარის ზღურბლთან კი - გარდაცვლილი და. გარდაცვლილი დის დანახვაზე ბიჭუნას პატარა გული დაუსევდიანდა, დაუპატარავდა და გაქრა. სულმა, რომელმაც გულის გაქრობა ვერ აიტანა, დატოვა ბიჭუნას სხეული - სხეულის გარეშე ყოფნამ შეაშინა, და დაბნეულმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება და როცა დის სული დაინახა, რომელიც იქვე დაფრინავდა - გაიხარა, მისკენ გაქანდა, ჩაეხუტა და ერთად დაიწყეს ჰაერში ნარნარი. სულელებად ქცეულ ბავშვებს, დაკარგული ხალისი დაუბრუნდათ, გარეთ გაფრინდნენ, სიცილით გადაუფრინეს სკოლაში მიმავალ თავის ყოფილ კლასელებს, მერე გაკვეთილზე შეიპარნენ და ბავშვების ცელქობაზე იცინოდნენ. გაკვეთილების შემდეგ ქუჩის მაწანწალა ძაღლებთან გამართეს თამაში, ეს ძაღლიან მოეწონათ, რადგანაც ადამიანებისგან განსხვავებით, ძაღლები მათ ხელავდნენ, ეს კი ორივეს ძაღლიან ახალისებდა და თითქმის ყოველდღე, გვიანობამ-



დე მათთან ერთობოდნენ. ერთხელ სახლში დაბრუნებულებს, ბინაში უცხო ადამიანები დახვდათ, მიხვდნენ რომ მათ ბინას სხვები დაეპატრონენ, შიშით ოთახის კუთხეში მიიყუვნენ, ხოლო, როცა უცხოებმა მშობლების სურათები ჩამოხსნეს კედლიდან და ნაგავში გადაყარეს, სული ეტკინათ და ორივე ძალიან დასევდიანდა... მაგრამ, დროთაგანმავლობაში შეეჩვივნენ ახალ მობინადრეებს, ყველაზე უფრო კი, სამი წლის ბავშვი შეუყვარდათ და მასზე დაიწყეს ზრუნვა - ბოროტ სულებს არ აკარებდნენ. ხოლო, როცა მშობლები ეფერებოდნენ პატარას, თვითონაც ახლოს მიუცუცქდებოდნენ, თავისი მშობლები ახსენდებოდათ... ტყუპ სულებს წვიმაც ძალიან უყვარდათ, მაგრამ არ მოსწონდათ ხიდს, რომ აწვიმდა, ამიტომაც ცისარტყელას თეთრი ძაფიდან გამჭვირვალე ფარდა მოქსოვეს და როცა წვიმა წამოვიდოდა ხიდს გადააფარებდნენ, ხიდიც არ სველდებოდა, ხალხმა ეს შეამჩნია და ხიდს „მშრალი ხიდი“ შეარქვა.

– ჰო მამა, სევდიანი ამბავია, მაგრამ კარგია, რომ დაძმის სულები ერთად არიან. მამა, ამ ამბავში ყველაზე სევდიანი ის არის რომ, როცა დაობდნენ, დამხმარე არავინ არ გამოუჩნდათ, – სევდიანად თქვა ამირანმა.

– გეთანხმები ამირან, ადამიანები თვითგაუცხოებამდე მივიდნენ. საერთოდ დაიმახსოვრე, გაუცხოება ადამიანის ისეთი მდგომარეობაა, როცა ის თვითონ ეწინააღმდეგება საკუთარ ბედნიერებას. გახსოვდეს, ადამიანის სიცოცხლე მოქმედებაა, რომელიც ყოველთვის გარესამყაროსკენაა მიმართული და წარმოადგენს გარკვეულ სხეულებრივ თუ სულიერ მდგომარეობას... ადამიანი აკეთებს არჩევანს მატერიალურ კეთილდღეობასა და მარადისობას შორის და ამით ირჩევს თავის მოქმედების მუდმივ ცვალებადობას, – ამაღლებული ტონით დაასრულა დავითმა.

– მამა, ნახე ბოთლების შემგროვებელი ბიჭი და მისი ძმა ჩვენსკენ მოდინ, – და ამირანმა, მამა, მათკენ მომავალი ძმებისკენ გაახედა.

მოახლოვებულმა უფროსმა ძმამ, რომელსაც შეგროვილი ბოთლები ზურგზე აეკიდა, ვითომ შემთხვევით გვერდზე ნაბიჯი გადადგა, აშკარა იყო დავითისათვის ფეხზე დაბიჯება სურდა, მაგრამ





დავითმა დროზე შეუცვალა ფეხს ადგილი, გამოაცალა და გაწბილებული დატოვა ტადო-ბადო. გაწბილებული უფროსი ტადო-ბადო კიდევ უფრო აიბუზა, სულ მთლად ჩაძვრა მხრებში და აქეთ-იქით ქანაობით განაგრძო გზა.

– რატომ მოიქცა ასე? – ჰკითხა მამას ამირანმა.

– ამ ჭაბუკს საკუთარი ყოფნის კანონის დარღვევა არ შეუძლია. წავიდეთ ამირან, წავიდეთ, თორემ ძალიან დგვაგვიანდება. გესმის! დედას შეეშინდება, – დავითი სკამიდან წამოდგა და ამირანიც წამოაყენა.

– არ შეეშინდება დღეს ჩემთან ფუტკარი იყო სტუმრად და უკვე სახლში იქნება, ის დაამშვიდებს დედას თუ დაგვაგვიანდა, ეტყვის, რომ ჩვენ კარგად ვართ, – და ამირანმა მხიარული გამომეტყველება მიიღო.

– ჰო, მაგრამ უმჯობესია ვიჩქაროთ. შენ ალბათ გაკვეთილებიც გაქვს მოსამზადბელი. ხომ ასეა? – ცოტა მკაცრი ტონით ჰკითხა დავითმა ამირანს.

– კრგი ვიჩქაროთ, – დაეთანხმა ამირანი, – ჰო, მართლა, ძალიან საინტერესო დავალება მომცა ფილოსოფიის მასწავლებელმა.

– რას ეხება? – დაინტერესდა დავითი.

ამირანმა, მოყოლა დაიწყო დავალების შესახებ. დავითი ყურადღებით უსმენდა აღტაცებით მოსაუბრე ამირანს, ამასთან ცდილობდა ჩქარ სიარულში აეყოლებინა შვილი, რომელიც საუბრის დროს ჩერდებოდა, რათა მამის სრული ყურადღება მოეპოვა.

– მამა, – და, ისევ წინ გადაუდგა ამირანი, – მართალია, მე, ვეთანხმები შენს მოსაზრებას ადამიანის გაუცხოების შესახებ, – ამირანი მამის მიერ წამოჭრილ თემას დაუბრუნდა, – მაგრამ, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ბუნებაში მიმდინარე პროცესების ღრმა ანალიზსაც მიჰყავს ადამიანი თვითგაუცხოებამდე, და ჩემი მოსაზრებით: ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი, რამეთუ ამ დროს ადამიანის წინაშე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა ჩნდება.

– შეიძლება? მაგრამ, ამირან, რაში გამოიხატება გამაუცხოებელი ბუნება და არის, თუ არა მისი საფუძველი ადამიანის საქციელი? – ჰკითხა დავითმა ამირანს.



– ამ კითხვას პასუხი, რომ გავცე კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რა არის ადამიანის სიცოცხლე. და, ალბათ დამეთანხმები მამა, რომ სიცოცხლე ეს სიცხადის შეგრძნების უნარია, ეს ნიშნავს იმას, რომ ბუნება არის მისი სხეული, რომელთანაც ის მუდმივი ურთიერთობის პროცესშია და ღმერთის დახმარებით თავის ცნობიერების საგნად აქცევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის სიცოცხლე, როგორც სურვილთან და ცნობიერებასთან დაკავშირებული თავისუფალი მოქმედებაა, რასაკვირველია ღმერთის მიერ მინიჭებულ ფარგლებში.

– მაშინ რაში გამოიხატება ადამიანის თავისუფლება? – ისევე დაუსვა კითხვა დავითმა.

– მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ შეუძლია დაუპირისპირდეს თავის თავს და ეს იწვევს გაუცხოებას. ასეა ხომ მამა? – და ამირანი აჟინებით დააშტერდა მამას.

– მართალი ხარ, მაგრამ ახლა თუ არ ვიჩქარეთ, ისე მომშივდა, რომ შენ გადაგსანსლავ და ეს იქნება პასუხი ყველა შენს კითხვაზე, – გაესუმრა დავითი შვილს.

ამირანს, მამის ხუმრობაზე გაეცინა და მამის აჩქარებულ ნაბიჯს აჰყვა. როცა სახლს მიუახლოვდნენ, აივანზე, გადმომდგარი დედა დაინახეს. ამირანმა და დავითმა ხელი დაუქნიეს. როცა სადარბაზოში შევიდნენ, და კბეები აიარეს, დაინახეს, ღია კართან დედა, ფუტკარი და სხივის ბურთი, მართალია სიტყვით არცერთმა არ უსაყვედურა მამა-შვილს დაგვიანება, მაგრამ ორივემ იგრძნო ოჯახის წევრების განწყობა. ამირანი და დავითი უსიტყვოდ შევიდნენ ბინაში და ასევე უსიტყვოდ მიუსხდნენ მაგიდას საჭმელად, და როცა თამარის ტუჩებზე ღიმილი შენიშნეს, მხოლოდ მაშინ ალაპარაკდნენ, ამ გარემოებამ სუყველა გააცინა, ყველა გამხიარულდა, ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მერე ყველამ თავის საქმეს მიხედა, ამირანმაც თავის ოთახს მიაშურა... მაგიდას მიუჯდა და დავალების წერას შეუდგა.

დაღამდა, მთვარეც გამოჩნდა, გორავ-გორაობით თავის ადგილზე მიგორდა, ღრუბლებს შორის გემრიელად მოკალათდა და სიმრების გადალაგება დაიწყო, თან იმაზე ფიქრობდა გუშინდელივით სუსხიანი იქნებოდა თუ არა დილა, ცალი თვალით ღამეს



გახედა, რომელიც წინა ღამეს გადარჩეულ სიზმრებს არიგებდა, გაეღიმა მის მონდომებაზე, ღრუბლებში კიდევ უფრო ღრმად ჩაჯდა და სიზმრების გადალაგება განაგრძო.

დამწვიდდა დაჭიმული დღის მზერა.

შენთვის ჩვეულებრივი დილა, მაგრამ სხვისთვის?



მზემ დილა გაადვილა, დილამ სუსხი, სუსხი შეიშმუშნა, გაიზმორა, ზანტად გაიხედ-გამოიხედა და მზის სხივები რომ დაინახა, დატკბა... მერე, ცნობისმოყვარე კაქტაჭივით შეძვრა ყველა კუთხე-კუნჭულში, შეიხედა შენობის ფანჯრებში და ახლად გამოღვიძებულებს ლოგინში კოტრიალი დაუტკბო, მერე ხის ფოთლებს მოეაღერსა, გამოაცოცხლა მიძინებული მწერები და ფრინველები, გამოაღვიძა კაქტუსიც, რომელიც დაცვარული ფანჯრის მინას მიკვროდა და მიძიმედ სუნთქავდა. მზის სხივების ნათების სიძლიერესთან ერთად, სუსხი, კიდევ უფრო და უფრო დატკბა, წყლის წვეთებად გადაიქცა, და ხან სად, და ხან რას, დაეკიდა, ერთი წვეთი კაქტუსის ეკალს ჩამოეკიდა, ცოტახანი იქანავა, იქანავა და ძირს ჩამოვარდა, წკარუნით აივნის ზედაპირს დაეტუჩა, იმ იმედით, რომ მზის სხივები ორთქლად აქცევდა და ისევ ცას დაუბრუნდებოდა, ხოლო ხვალ ან ზეგ, წყლის წვეთად ისევ კაქტუსს დაეკიდებოდა ან სულაც ნამად დაედებოდა ბაღახს.

გამოღვიძებულმა კაქტუსმა მის ეკალზე შემომჯდარი მუქთახორა ბუზი რომ დაინახა, განაწყენდა, ეკალის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო, მის მოცილებას ცდილობდა. აბეზარი ბუზი კი, კაქტუსის მცდელობას არაფრად აგდებდა, დროდადრო ბზუილით აფრინდებოდა და ისევ დააჯდებოდა ფანჯრის მინის გარეთ გამოსულ კაქტუსის ეკალს, უფრო უარესი, თავისი ნაგვიანი ფეხების შეწმენდა დაიწყო ეკალზე. ამან ძალიან გააბრაზა ფუტკარი, რომელიც ფანჯრის შიდა მხრიდან ბუზის საქციელს აკვირდებოდა, ჯერ დაუბღვირა, მერე მუშტები მოუღერა, ძალიან გამწარდა...

მაგრამ, რა... ბუზი რისი ბუზია სულ არ ანადგვლებდა ფუტკრის და კაქტუსის დამოკიდებულება მისი საქციელის მიმართ, ხანდა-ხან ირონიულადაც გახედავდა მათ და, ისევ, როგორც უსვინდისო კაცს ჩვევია, თავისას განაგრძობდა. ფუტკრის გამწარებულ ბზუილზე ამირანს გაეღვიძა, წამოდგა, ყური მიაყურა და, მერე იქითკენ გაიხედა საიდანაც ფუტკრის ბზუილი მოდიოდა და როცა დაინახა, თუ რაც ხდებოდა, ფანჯარას მიუახლოვდა, ოდნავ გამოაღო და ფუტკარი გარეთ გაუშვა. ახლა კი იცოცხლე - ბუზმა, რომ დაინახა ფუტკარი გამოფრინდაო, შეშინებული ისეთი სისწრფით გაფრინდა, ზებგერითი თვითმფრინავი გეგონებოდათ. ბუზის საქციელზე ამირანს გაეცინა. ამირანის სიცილზე დავითსა და თამარს გაეღვიძა. გაეღვიძა სხივის ბურთსაც, და ამბის გასაგებათ, ისიც, ფანჯარასთან მიფრინდა, სადაც ყველა შეკრებულყო და სიცილით თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ დასდევდა ფუტკარი შეშინებულ ბუზს.

მენაგემ, როცა დაინახა ფანჯარას მომდგარი დავითის ოჯახი, ხელი დაუქნია, და ცოცხის ცელივით აქეთ-იქით ქნევა განაგრძო, შესაბამისად ნაგავსაც ხან აქეთ, ხან იქით ყრიდა და, მერე, მესამე განზომილებაში გააქანებდა, თანაც ლექს ამბობდა:

ყოველ დილით ვხვეტავ ქუჩას  
ქალაქს ვაცლი ნაგავს,  
მაგრამ თაგვი გამებუტა, მსაყვედურობს:  
„რად არ მაცდი ჭამას“.  
ამ თაგვს კაცი კი აიტანს  
დავუტოვებ ნაგავს,  
მაგრამ დიდ თაგვს რა გააძღობს  
ყველაფერს, რომ სანსლაავს,  
თანაც, მიყუჟულა პარლამენტში  
და ოცნებებს ქარგავს.  
კერძოდ: უნდა, გახდეს პრეზიდენტი,  
შეისყიდოს მიწა,  
სურს, რომ ზღვაზე გემი ჰყავდეს  
დაემსგავსოს სიმბადს,



## უნდა იყოს ღონიერი და იცოცხლოს

დიდხანს.

მაგრამ, თაგვს ის ავიწყდება,  
რომ არსებობს ვირთხაც.

მოპირდაპირე სახლში, სადაც ღოთი და მისი ცოლი ცხოვრობდა, ვიღაცამ ფანჯარა გამოაღო: ჯერ, კაცის მოტველილმა თაგმა გამოანათა; მერე, გაზეთილმა, მოლიპლიპე სახემ; მერე, პატარა თვალებმა და ყველაფერ ამას ღრიალი მოჰყვა:

– ეი შენ, ვინ გდინხარ მანდ?... რა ლექსებს გაჰყვირი? – და, პოსლიკამ თვალები ველოსიპედის ბორბალივით დაატრიალა.

ყვირილი იმდენად შემზარავი იყო, რომ მაწანწალა ძაღლებმა წკმუტუნ ატყეს, დამფრთხალი კატები ნაგვის ყუთებში ჩახტნენ, ქუჩაში მიმავალი შეყვარებული წყვილი შიშისგან შეხტა. ყველამ, ვინც გარეთ იყო ან ბინაში, აქეთ-იქით დაიწყო ყურება და, შემდეგ, იმ მხარეს გაიხედეს, საიდანაც ღრიალი მოდიოდა და თითოეულის მზერა შეასკდა პატარა მრგვალ ჩაწითლებულ თვალებს, რომელიც არავის არ უყურებდა, მაგრამ ყველას ხედავდა. მეზობლებმა იცნეს ღოთის შვილი, რომელიც დიდი ხანი არ ჩანდა, ამბობდნენ: საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ.

ღოთის შვილის ყვირილმა, შეშინებული ბუზი კიდევ უფრო დააფრთხო, კოორდინაცია დაკარგა და პოსლიკას ზედ შუბლზე შეასკდა, ამაზე მეეზოვეს ხმამაღალი სიცილი აუვარდა... ყველას გაეცინა... სიცილმა ქუჩის ჰაერი მხიარული განწყობით გაჟღინთა, გამხიარულდა დილა, ქუჩას ჩვეული გარემო დაუბრუნდა და დაიტვირთა: მხიარული, უძილარი, სერიოზული გამომეტყველების მქონე ადამიანებით... ცოტახანში ეზოს გამოსასვლელ თაღიდან თამარი, დავითი და ჩანთა აკიდებული ამირანი გამოვიდნენ... თამარი ჰაერში მოძრავ ქუჩის გადასასვლელზე შეხტა და მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა. დავითმა და ამირანმა ფეხით განაგრძეს გზა.

– მამა ნახე, კენგურუზე ამხედრებული მგზავრები, ჩვენს ქუჩაზეც გამოჩნდნენ, – გაკვირვება ვერ დამალა ამირანმა.



– ჰო მართლაც, – გაიკვირვა დავითმაც, – ეტყობა, არ-სეი-რგოს შემოყვანილია. ჰო, ჰო გუშინ შენ, რომ დავალებას წერდი, მაშინ გამოაცხადეს ტელევიზიით.

– როგორ მეცოდებიან ღამურას სკოლის ბავშვები. ნეტავ, კიდევ არ-სეი-რგოა მათი მტანჯველი? – ჰკითხა ამირანმა მამას.

– კი ისევ, და მეც ძალიან მეცოდებიან იქაური ბავშვები... ცუდია, ცუდი... ჰმ, დასმენასაც აჩვენე, – გაბრაზება შეეცყო დავითს.

– იცი მამა, ტაშის დამკრავი კაცი მომენატრა, ის ძალიან კეთილია. ვინახულოდ ერთხელ რაა, – თხოვნით მიმართა ამირანმა მამას.

– გუშინ, ჩემი თანამშრომელი, იქითკენ მიდიოდა და მისთვის ტკბილეული გავატანე. – უპასუხა დავითმა.

ამის გაგონებაზე, ამირანი ამაყად გაიჭიმა, თითქოს ეს მას გაეკეთებინოს, და თან უსაყვედურა:

– რატომ არ მითხარი გუშინ.

– ჰო, რა ვიცი, გადამავიწყდა. მინდოდა შენთვის მეხარებინა და... ჰო, დამავიწყდა, – თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოს ისე იმართლებდა თავს დავითი.

– არა უშავს, – გაამხნევა ამირანმა, – მთავარია სურვილი ხომ ჰქონდა. – გინდა გითხრა რა არის სურვილი? – ჰკითხა ამირანმა მამას.

– მინდა, – უკვე ხალისით უპასუხა დავითმა.

– სურვილი კონსტრუირებულია ფანტაზიის მიერ, – ამირანი დინჯად საუბრობდა, – ფანტაზია კი წარმოსახავს პარამეტრებს, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება ადამიანისა და სურვილის ობიექტური ურთიერთობის საფუძვლები. თუმცა ფანტაზიის სივრცე არ წარმოგვიდგება, როგორც სურვილების ასრულების ასპარეზი, მაგრამ, ამასთან, ეს ის გარემოა, სადაც აშკარავდება ჩვენი ზრახვები, რომელიც შესაძლოა რეალური გახდეს.

ამ საუბარში იყვნენ მშრალ ხიდს რომ მიუახლოვდნენ, ერთმანეთს შეხედეს... და, ხიდი ჩუმად გაიარეს. სემინარიას, რომ მიუახლოვდნენ ამირანმა კართან ნინო დაინახა, მამას ხელი გაუშვა და ჩქარი ნაბიჯით ნინოსკენ გაეშურა. ბავშვები ერთმა-



ნეთს სიხარულით გადაეხვივნენ და სემინარიაში ერთად შევიდნენ. ნინოს ბებია დავითს დაელოდა... ერთმანეთს ძველი ნაცნობე-ბივით მიესალმნენ.

– ხვალ გვინდა ჩვენთან დაგპატიჟოთ? – კითხვითი თხოვნით მიმართა მართამ დავითს.

– სიამოვნებით მოვალთ, – ღიმილით უპასუხა დავითმა.

– მაშინ გელოდებით ხუთი საათისთვის, – გაუღიმა და დამ-შვიდობების ნიშნად ხელი გაუწოდა.

დავითი, ნინოს ბებიას გამოწვედილ ხელს ეამბორა, შემდეგ – ორივე ხელში მოაქცია მართას დანაოჭებული პატარა ხელი, ფრთხილად, კეთილი განწყობის ნიშნად, ხელები მოუჭირა: – შეხვე-დრამდე, – დაემშვიდობა, და ჩქარი ნაბიჯით თავისი სამსახურის-კენ წავიდა.

ამირანმა და ნინომ მხიარულად გაიარეს სემინარიის დერეფანი და ერთმანეთს მაშინ დაემშვიდობნენ, როცა ამირანის საკლასო ოთახს მიუახლოვდნენ. ამირანი თავის საკლასო ოთახში შევიდა, ნინო დერეფანს გაუყვა თავის საკლასო ოთახისკენ, რომელიც დერეფნის ბოლოში იყო.

ამირანს, პირველი გაკვეთილი, ფილოსოფიის ჰქონდა. ფილო-სოფიის მასწავლებელი საკლასო ოთახში დახვდა, ბავშვები კი თავის მერხებთან. ამირანი, მისალმების შემდეგ, თავის მერხისკენ გაემშურა. ზარიც დაირეკა.

– აბა, ვინ მოამზადა დავალება? ვინ გამოვა პირველი? – ორ-ჯერ იკითხა ფილოსოფიის მასწავლებელმა.

ამირანმა, ხელის აწევა, ყველას დაასწრო.

– კარგით, აბა მოვუსმინოთ ახლად შექმნილ მეგობარს, – დაბალი ხმით წარმოთქვა მასწავლებელმა, და ამირანს კათედრა-სთან გამოსვლა სთხოვა.

– ბატონო ჩემო! რა ჰქვია თქვენ თხზულებას? – ოფიციალური ტონით მიმართა ფილოსოფიის მასწავლებელმა ამირანს.

– „ფიქრი ფიქრისათვის“, – უპასუხა ამირანმა. – და, პატივცემულო, იქ სადაც სიტყვას „ჩვენს“ ვხმარობ, „მე“-ს ნაცვლად, ჩემს თავს და ჩემნაირად მოაზროვნეებს ვგულისხმობ, – მოკრძალებით აღნიშნა და მასწავლებელს შეხედა.



– კარგი დაიწყე. თქვენ კი ბავშვებო ფურცელზე ჩაინიშნეთ კითხვები, ყურადღებით მოუსმინეთ, რაც არ მოგეწონებათ აღნიშნეთ, არც ის არ დამალთ თუ რამე ვერ გაიგეთ, – მერე ისევ ამირანს მიუბრუნდა, – ჰო გისმენთ, დაიწყე!

ამირანმა კითხვა დაიწყო:

– ფილოსოფოს კირკეგორის მიხედვით, – ამირანი შეყოვნდა და ცალი თვალით გახედა ფილოსოფიის მასწავლებელს, რომელიც ოდნავ მის წინ იდგა, და ისევ განაგრძო კითხვა, – ადამიანი, არის სულისა და სხეულის სინთეზი, რომლის ერთიანობა, ხორციელდება გონში, რაც ადამიანის არსობრივი განმასხვავებელი ნიშანია ყველა სხვა არსებულთაგან. ჩვენი მოსაზრებით, სული შედგება ოთხი განუყოფელი ველისაგან და ამ ველების ურთიერთდამოკიდებულება რიგობითია ანუ სამიდან თითოეულის დამოკიდებულება მეოთხეს მიმართ საჭიროების მიხედვით განისაზღვრება. ეს ველები წარმოადგენენ ერთიანი ველის, სულის შემადგენელ ნაწილს, შეკავშირებული არიან ჯვრის ფორმით, სპირალური განლაგებით, ანუ ჯვრისებრ-სპირალური სტრუქტურა გააჩნია. ადამიანის სულის სტრუქტურა, რომ ჯვრისებრ-სპირალურია მტკიცდება თვით ადამიანის აგებულებით. ეს ისეთივე რეალობაა, როგორც ის, რომ ყველა კრისტალის გარეგნული ფორმა მისი შინაგანი აგებულებითაა განპირობებული. ჰაერიც კრისტალური აგებულებისაა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ კრისტალებს ვერ ვხედავთ, ეს გარემოება დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ ჭექა-ქუხილის დროს ელვის გარდატეხის კუთხე ყოველთვის ერთმანეთის ტოლია, ასევე, იმ გარემოებითაც, რომ წვიმის შემდეგ ცაზე ჩნდება ცისარტყელა. ჰაერი, რომ კრისტალური აგებულებისაა იმ მინიშნებითაც დასტურდება, რომ მინაც გამჭვირვალეა, მაგრამ კრისტალური აგებულებისაა. ჰაერის კრისტალები ინფორმაციის გადამცემი და, ამასთანავე, შემნახველებიც არიან, ამ კრისტალების შეღწევა ადამიანის ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა ეფექტს - სასურველ ან არასასურველ შედეგებით, სახელდობრ: ორგანიზმს მუხტავს დადებითად ან უარყოფითად. ამ კრისტალებს ძალიან მაღალი ენერგია გააჩნიათ და მისი აფეთქების შემთხვევაში შეიძლება ახალი მიკროსამყარო წარმოიშვას, აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა კანტის ფილოსოფიური თეორია „საგანი ჩვენში“. კანტის ფილოსოფიური შეხე-





დუღება „საგანი ჩვენში“, აღაშფოთებს თეოლოგებს. კანტი მართალია ათეისტი არ იყო, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ბუნებრივი მოვლენების ასახსნელად არ არის საჭირო ღმერთი, ღმერთი და მასთან დაკავშირებული რელიგიური მრწამსი მხოლოდ მორალური სამყაროს ასახსნელადაა საჭირო, იგი მორალს და ღმერთს თითქმის აიგივებს, მაგრამ ამასთან აღნიშნავდა, რომ არის ისეთი სფეროები სადაც მეცნიერება უძლურია. ჩვენი მოსაზრებით, ვერც კანტი, და ვერც თანამედროვე ფილოსოფოსები ვერ ხსნიან ადამიანის სულის რაობას, ეს ფენომენი მეცნიერული შესწავლის საგანი არასოდეს იქნება, მასზე მხოლოდ ინდივიდუალური გონებრივი ხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, გავიზიაროთ სხვისი შეხედულება, ან არ გავიზიაროთ, ეს არის ადამიანის უმაღლესი აზროვნების შესაძლებლობის უნარი. – ამირანმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო: – როცა ჩვენ ვასაბუთებთ სულის ჯვრისებრ-სპირალურ აგებულების შესაძლებლობას, ვითვალისწინებთ იმ გარემოებასაც და შეხედულებებს, რომელიც არსებობდა იესოს შობამდე არსებული ცივილიზაციის ყველა საფეხურზე და რელიგიის ყველა მიმდინარეობებში, ეს არის სულთან გაიგივებული მისტიკური ნიშნები ბორჯღალი, ჯვარი, სვასტიკა. ბორჯღალი ჯვარის მოძრაობაში გამოხატული სიმბოლოა ანუ სიცოცხლის და სულის ჯვრისებრ-სპირალური აგებულების მიმანიშნებელი სიმბოლო. ამ ნიშნებს ვხვდებით წინა აზიის, კრეტას, ინდოეთის, ირანის ტერიტორიებზე, ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში. ამ სიმბოლოების ბევრ გამოხატულებას არქეოლოგები ნახულობენ ტროას, ეგვიპტის და იბერიის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს.

– შეკითხვა მაქვს! – ხელი აიწია ერთ-ერთმა მოწაფემ, მაგრამ ფილოსოფიის მასწავლებელმა გააჩერა და ამირანს თემის წაკითხვის გაგრძელება სთხოვა.

ამირანმა კითხვა გააგრძელა:

– ჩვენს მიერ, ზემოთ აღწერილი, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ სამყარო დაყოფილია მრავალ პარალელურ სამყაროებად, მაგრამ ჩვენი გონება, მხოლოდ ორ სამყაროს წვდება... დიახ, მინდა ავლნიშნო, რომ პირველად ფილოსოფიურ ცნებაში პლატონმა განახორციელა სამყაროს დაყოფა ორ ნაწილად ზებუნებრივ, მიღმურ სამყაროდ და



თვალხილულ მოვლენათა სამყაროდ, და უპირატესობა მიანიჭა პირველს. პლატონის მიხედვით, ამ თვალხილულ სამყაროში ადამიანის დაბადებამდე ადამიანის სული იღვათა ზეგრძნობად სამყაროში არსებობს და ამ ზეგრძნობად ძალებთან ჰარმონიულ კავშირში იმყოფება. ამ ჰარმონიული კავშირის გაწყვეტა, პლატონის გაგებით, მაშინ ხდება, როცა ადამიანის მოვლინება ანუ დაბადება ხდება. პლატონი არ განიხილავს ადამიანს როგორც მისიის შემსრულებელს, ჩვენი მოსაზრებით კი, ადამიანს ზეციური და მიწიერი სამყაროების ჰარმონიზაციის მისია აკისრია. – ამირანმა თვალები დაძაბა, შეეშინდა სტრიქონები ერთმანეთში არ არეოდა... – პლატონის მსგავსად, მისი მოსწავლე არისტოტელეც, ადამიანს არ ანიჭებს მიწიერი და ზეციური სამყაროს ჰარმონიზაციის ფუნქციას. არისტოტელე სამყაროს რამდენიმე დონეებად ყოფს: პირველ დონედ, ყველაზე დაბალ საფეხურად მატერიას მიიჩნევს, იგი უფორმო, განუსაზღვრელი არსებულია; მეორე დონედ, მან მიიჩნია მაღალ ფორმად, ფორმის ფორმა ანუ აზროვნების აზროვნება, იგივე ღმერთი, სამყაროს უძრავი მამოძრავებელი. ჰეგელი აკრიტიკებს პლატონის კვლევას და პლატონისებურ სამყაროს აღმატებულ საფეხურებით დაყოფის მეთოდს, ეს მის ირონიული გამონათქვამიდანაც ჩანს: „არსებობენ მეცნიერები, ცხოველები, ადამიანები, აგრეთვე ღმერთიც - ბევრად აღმატებული“. – ამირანმა, ციტირება, შედარებით ნელა წაიკითხა, ხოლო დანარჩენი ტექსტი ჩვეულ რიტმში განაგრძო: – ხოლო, თავისი დროის გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და მათემატიკოსი ბლეზ პასკალი მიიჩნევდა, რომ ადამიანი „ატომივითაა ჩაკარგული“ სამყაროში, გადაგდებულია დროსა და სივრცეში უსასრულო, „მუნჯ სამყაროში“. ის ამბობს, რომ: „ადამიანმა არ იცის, ვინ მოიყვანა აქ, რისთვის მოვიდა და რა ელის სიკვდილის შემდეგ“. – ამირანმა, ციტირება ისევ ნელა წაიკითხა, რამდენიმე წამი შეისვენა და ისევ განაგრძო კითხვა: – დაუბრუნდეთ კანტს, კანტის ფილოსოფიაში სული უკვდავია და პრაქტიკული გონების აუცილებელი პოსტულატია. სულის უკვდავება კანტთან აქტიური მსოფლმხედველობრივი ფუნქციის მატარებელია. სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი კანტთან სასრული არსებაა, რადგან ადამიანი თავისი სასრულობის გამო ვერ ახორციელებს ამქვეყნად თავის დანიშნულებას, თავისი უმაღლესი მიზნის განხორციელებას. კანტი უშვებს ინდივიდუალური სულის უკვდ-



ავებას, რათა ყოველ ადამიანს ჰქონდეს საშუალება აღასრულოს თავისი დანიშნულება. თუ, ძალიან ჩავეუღრმავდებით ეს მიდგომა შეიძლება ფორმალური მოგვეჩვენოს. – ბოლო სიტყვები, ამირანმა ოდნავ დანანებით თქვა და კითხვის გარეშე განაგრძო თემაზე საუბარი: – საინტერესოა თანამედროვე მეცნიერების შეხედულებებიც, მაგალითად: ფილოსოფოსი არნოლდ გოილიქსი მიიჩნევდა, რომ არსებობს ორი ქვეყანა, იმატერიალური სულისა და მატერიალური სხეულისა, რომლებიც ერთმანეთის გვერდით, მაგრამ, დამოუკიდებლად არსებობენ. ამის დასამტკიცებლად გოლინქსს მოჰყას ცნობილი შედარება ორი საათის შესახებ, რომლებიც სწორად მუშაობენ, მაგრამ რომელია შორის არაფერი საერთო არ არის გარდა იმისა, რომ ორივე სწორად აუწყვია ოსტატს. ასე მიაჩნდა გოლინქსს ცალკე მატერიალური და ცალკე იმატერიალური ქვეყანა ღმერთის კეთილი სურვილის გამო ამოქმედებულად. მისი აზრით ერთადერთი მომქმედი სუბსტანცია არის ღმერთი, ყოველივე დანარჩენი მისგან ღებულობს თავის მოქმედებას და არსებობას, ჩვენი მოსაზრებით, – ამირანმა საუბარი დროებით შეწყვიტა, კლასში მყოფ ბავშვებს თვალი გადაავლო, მოკრძალებულად გაუღიმა, და ისევ კითხვა გააგრძელა: – ზემოთ აღნიშნული შეხედულებები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ არც ანტიკური და არც ანტიკურის შემდგომი ფილოსოფოსები ვერ ხედავენ ადამიანის ჭეშმარიტ მოვალეობას, თუმცა კანტი გარკვეულწილად უახლოვდება ადამიანის მთავარი ჭეშმარიტი მისიის განსაზღვრებას. მაგრამ, ჩემი მოსაზრებით, ადამიანის მისიის ნახევრად განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე არ ხარ დარწმუნებული შენს შეხედულებაში. გასული საუკუნის ფილოსოფოსებზე კარგი შეხედულება არც ფილოსოფოს მოტროშილოვას გააჩნია, აი რას წერს იგი: „არსებობდა ნეგატიური ფილოსოფია და მხოლოდ ახლა დადგა იმის ჟამი, რომ შეიქმნას პოზიტიური ფილოსოფია“. თუმცა, აქვე გვსურს ავღნიშნოთ, რომ ჩვენი და მოტროშილოვას კრიტიკის საფუძველი სხვადასხვაა. მოტროშილოვა უფრო ყოფიერებიდან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, ჩვენ კი, წინა საუკუნის ფილოსოფოსებს იმაში ვადანაშაულებთ, რომ მათ ბოლომდე არ აღიარეს ღმერთის არსებობა და ვერ განსაზღვრეს ადამიანის ძირითადი მისია. მაგალითად, მაკიაველი ადამიანს განიხილავს როგორც ინდივიდუალურ

ფენომენს, რომელსაც შეუძლია ან არ შეუძლია მართოს საკუთარი თავი, საზოგადოება, სახელმწიფო. ამასთან, მას მიაჩნია, რომ ადამიანის ცხოვრების გარკვეული ნაწილი უმართავია ანუ ადამიანი გარკვეულწილად ბედისწერაზეა დამოკიდებული. ასევე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მაკიაველი ბედისწერას, ღმერთის სურვილს და ღმერთს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს, პირიქით აქცევს ერთ მთლიან გაგებაში, რომელსაც „განგება“ ღაარქვა. ამ პოზიციიდან მაკიაველი ნამდვილად იმსახურებს კრიტიკას. აქვე აუცილებელია აღვნიშნოს ფილოსოფოს გროფის შეხედულება, რომელიც აღვნიშნავს, რომ: „დასავლეთის თანამედროვე ფილოსოფიამ მაშინ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როცა ფიზიკოსების და, მათ შორის, ნიუტონის შეხედულებები შეიცვალა თანამედროვე ქვანტურ-რელისტიური შეხედულებებით, ამან კი დაგვბრუნა აღმოსავლეთის სულიერ ფილოსოფიასთან და რელიგიურ შეხედულებებთან“. გროფის პოზიცია გარკვეულწილად ემთხვევა ჩვენს შეხედულებებს. – ამირანმა ისევ შეწყვიტა კითხვა, გახედა თავის თანატოლებს და მათ მიმართა: – ჩემი მოსაზრებით საინტერესო იქნება კასტანედას შეხედულება, – და ისევ გააგრძელა კითხვა: – საყურადღებოა კარლოს კასტანედას შეხედულება, რომელიც თავის წიგნში „სიზმრის ხელოვნება“ აღვნიშნავს, რომ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სული დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას. ამით კასტანადა აღიარებს სხვა სამყაროს არსებობას. მისი მოსაზრებით, სული ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სხეულს ტოვებს და, მართლაც, ეს იმ გარემოებით დასტურდება, რომ ადამიანის გვამი რამდენიმე გრამით უფრო მსუბუქი ხდება, მაგრამ, ამავე დროს, იზრდება ადამიანის სხეულის, უფრო სწორედ გვამის, დამოკიდებულება დედამიწისადმი, რასაც მეცნიერები მიზიდულობას უწოდებენ - ყველა ჩვენთაგანს შეუძინევია, რომ ცოცხალი ადამიანის ხელში აყვანა უფრო ადვილია, ვიდრე გვამის აწევა. ანუ: თუ ადამიანის სული ძლიერია მას მიწიერ სიცოცხლეში ადვილად შეუძლია დასძლიოს დედამიწის მიზიდულობა და შეაძლებინოს სხეულს თავისუფალი გადაადგილების უნარი ანუ ფრენა, ეს თვისება ალბეჭდილია ეკლესიის ფრესკებზე მფრინავი ანგელოზების სახით. – და ამირანმა, ფორმალური ტონი შესძინა თავის ხმას: – მოგეხსენებათ, რომ ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფოსები სულს სხვადასხვა ცნე-



ბებთან და მოველენებთან აიგივებდნენ. ფილოსოფოსის ანტონ პირველის მოსაზრებით სულის მთავარი თვისებაა არამატერიალურობა, და მიაჩნდა, რომ მატერიალურ სხეულს აქვს სიდიდე, რომელიც შედგენილია ნაწილებისგან და შეგრძნებაში გვევლინება. ხოლო, სულს კი არც ერთი ეს ნიშანი არა აქვს. მისი აზრით, სხეული მოძრაობს გარეგანი ძალების ზემოქმედებით, სული კი თვითმოძრაია. ასევე მას მიაჩნდა, რომ სულის მოძრაობა და მოქმედება სხეულებრივ ქცევებში ვლინდება. ამასთან, ანტონ პირველი იმოწმებს იბერიელ პეტრიწის მოსაზრებას, რომელიც ამბობს: „სული გონიერი არს“. პეტრიწის ამ მოსაზრებას ვეთანხმებით და, როგორც ჩანს, ანტონ პირველიც. მაგრამ, ჩვენს თანამემამულეს, ანტონ პირველს, არ ვეთანხმებით იმაში, რომ თითქოს-და სულს შეგრძნების უნარი არ გააჩნია, პირიქით ადამიანის სხეულს შეგრძნების უნარს სული ანიჭებს და, ის მოსაზრება, რომ ის მხოლოდ სხეულის მამოძრავებელია, არ არის სწორი. – ამირანმა ოდნავ ხმას აუწია, – ანტონ პირველის მოსაზრებით,

– ანტონ პირველი იბერიელი იყო? – ხმამაღლა წამოიყვირა უკანა მერხიდან წაბლისფერთმიანმა ბიჭმა.

ამირანმა გახედა თავის კლასელს, ისე რომ კითხვა არ შეუწყვეტია: – სული იზრდება: სწავლით, აზრით. ასეთი შეხედულება კანტის ფილოსოფიას უახლოვდება და სცილდება სულის ჭეშმარიტ მნიშვნელობას და მისიას. ანტონ პირველი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანის სხეული გარეგანი ძალების მეშვეობით იმართება. აქაც ცდება ფილოსოფოსი, ჩვენი მოსაზრებით ადამიანის სხეული სულის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება და გარეგანი ფაქტორები, განსაკუთრებით ცრუ, ადამიანის სხეულის მართვაში მოჩვენებითია. ამდენად ჩვენ ვუშვებთ ცრუ და რეალურ ფაქტორებს ანუ ადამიანში გამოიყოფა მოჩვენებითი და რეალური მართვის ფაქტორები. ასე რომ, სულის სიძლიერე სწორედ იმაში ვლინდება, რომ სხეული დაიხსნას მოჩვენებითი მართვის ფაქტორებიდან და ადამიანის მიზანი რეალობაში მოაქციოს ანუ შეასრულებინოს ჭეშმარიტი მისია, ზეციური და მიწიერი სამყაროების დამაკავშირებელი როლი. საერთოდ სულის გაზრდაზე ან განსწავლულობაზე ლაპარაკი არასწორია, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სულის სინჯანსაღეობაზე და მის ისეთ თვისებებზე საუბარი როგორცაა სმენა, ემოცია, მახსოვრობა, დანახვა რაც მან უკვე ერთხელ ღმე

რთისგან შეიძინა. ეს პირველადი ენერგონფორმაცია - სული, ერთხელ მოცემული, მარადიული და დადგენილი ფენომენია, მის შემეცნებას, ადამიანს, ღმერთი ანიჭებს და მხოლოდ შემეცნების შემდეგ შეუძლია ადამიანს მისი გაანალიზება, ხოლო გამდიდრება შესაძლებელია დამატებითი ენერგონფორმაციით - ესაა ის ინფორმაცია რომელსაც ადამიანები იღებენ მატერიალურ და სხვა სულიერ სხეულებიდან. ამასთან, ანტონ პირველმა, სულის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად ცნობიერება გამოაცხადა, და ამით მან სულის ფსიქიკური სინამდვილის არსებითობა დაამტკიცა. სულის ამ თვისებაზე მიუთითებს ცნობილი იბერიელი მოაზროვნე ფრანგიშვილიც. მაგრამ, არც ანტონ პირველს, არც ფრანგიშვილს და არც სხვა თანამედრო ფილოსოფოსებს სწორად არ აქვთ გაცნობიერებული ცნობიერების ფენომენი. ისინი ცნობიერებას და ცოდნას აიგივებენ, იმ დროს, როცა ცოდნა ეს ემპირიულ გამოცდილებაზე დამყარებული ფენომენია, ხოლო ცნობიერება ეს სულის თვისებაა გამოხატული - ცოდნის, სმენის, ემოციური, თვალის მახსოვრობით უნარში. და, უფრო მეტიც, თუ ცოდნა რელიგიას ეწინააღმდეგება მაშინ ის პირობითი ცნება ხდება ანუ მოჩვენებითი ფაქტორია. – ამირანმა, ბავშვების მხრიდან გამჭოლი მხერა იგრძნო, მაგრამ კითხვა არ შეუწყვეტია: – ანტონ პირველი თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში ხაზს უსვამს სულის არამატერიალურობას და სიმარტივეს, აი რას ამბობს იგი: „მარტივ არს სული, ვინაიტგან უსხეულო არს იგი“. და, აღნიშნავს, რომ რთული და სტრუქტურული არის მხოლოდ მატერიალური, ხოლო სულს არ შეიძლება ჰქონდეს სტრუქტურა. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ჩვენს მოსაზრებას, რომ სულს ჯვრისებ-სპირალური სტრუქტურა ახასიათებს. და, სული თავისი სტრუქტურული ფორმით წარმოუდგა ადამიანებს ქრისტეს სახით, მისი წამების მესამე დღეს და ეს ქრისტეს მოწაფეებმა იხილეს. შეგახსენებთ: ჰაერი გამჭვირვალეა მაგრამ შედგება კრისტალებისგან, ისევე როგორც მინა და წყალი. – ამირანმა თავი ასწია და პირდაპირ მიმართა თანაკლასელებს: – გახსოვდეთ! სული, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ინარჩუნებს ყველა თვისებას რაც მიწიერი ცხოვრების დროს გააჩნდა და ხელსაყრელი პირობების შექმნის და ღმერთის სურვილის შემთხვევაში, მას შეუძლია ისევ მატერიალურ სხეულში განთავსდეს,



მაგალითად, ღვთისმშობელი მარიამი მიძინების მესამე დღეს აღსდგა.  
– ამირანმა, ყველას გაუღიმა და თბილი ხმით მიმართა: – გმადლობ  
თ ყურადღებისათვის.

– კარგია, მე მაქვს კითხვა, – და ფილოსოფიის მასწავლებელმა  
ამირანს ჰკითხა: – ამირან, მაინც რატომ დაარქვი შენს თხზ-  
ულებას ფიქრი ფიქრისათვის?

ფიქრი ფიქრისათვის?... დიახ, პატივცემულო, ამიტომ: – და ამ-  
ირანმა თავისი ლექსი წაიკითხა.

სამოთხის კართან ჩამოჯდა ფიქრი,  
ფიქრი დაღლილი ცხოვრების ჭვრეტით,  
ბევრის მნახველი და უნახავი,  
უკმაყოფილო თავისი ხვედრით.

წარსულს გახედა, მომავლის თვალით,  
ვერ გადაწყვიტა გაღება კარის,  
სევდა აღჩობდა, სტანჯავდა ეჭვი:  
„იქნებ სამოთხე სულ სხვა რამ არის“.

დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ,  
ობლად დარჩენილს სტანჯავდა დარდი:  
„მე, თუ შევადე სამოთხის კარი,  
ხომ შეიძლება დაგკარგო აზრი?“

ამ ფიქრში იყო, და:

გაღმა სოფლიდან გამოჩნდა მგზავრი,  
დაუფიქრებლად შეაღო კარი,  
როგორც გამოჩნდა, ისევე გაქრა,  
გაიჯახუნა სამოთხის კარი.

დამძიმებული ფიქრებით ფიქრი,  
სამოთხის კართან კვლავ მარტო დარჩა,  
ფიქრობდა რატომ ცხოვრობდა სხვისთვის,  
რატომ ტანჯავდა გაუცხოება?

და მიხვდა:

„არის წუთები გასაოცარი,  
როცა სურვილებს,  
სურვილით ჩაკლავ“.



და, გადაწყვიტა:  
შეაღოს კარი!  
გარეთ დატოვოს ზმანება ავი.

– კარგია, აბა ახლა, ვის აქვს შეკითხვა? – ჰკითხა ფილოსოფიის მასწავლებელმა ბავშვებს.

პირველმა ხელი თეთრკაბიანმა გოგონამ აიწია და ნებართვის აღების შემდეგ, ამირანს კითხვა დაუსვა:

– ჯვარს, როგორც მისტიკურ ნიშანს, რა დროიდან აცნობიერებს კაცობრიობა?

ამირანმა გოგონას შეხედა და როცა დაინახა მისი მშვიდი და ნათელი სახე, ჩაფიქრდა... ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს მთელი საკლასო ოთახის ჰაერის შესუნთქვა სურდა... და როცა სიმშვიდე იგრძნო, დაბალი ხმით დაიწყო ახსნა:

– თუ ცის სიმაღლიდან გადმოვიხედავთ, იბერიის ზღვის ფსკერზე, რომელსაც ადრე პონტოს და ახლა შავ ზღვას უწოდებენ, ჯვრის გამოსახულებას დავინახავთ, ამ ტერიტორიაზე ადრე, სანამ წარღვნა მოხდებოდა ხმელეთი არსებობდა, ეს იყო ჰაველას დიდი ნაწილი, ქუჩები და შენობები ჯვრისებრი განლაგებით იყო განთავსებული, აქ ცხოვრობდნენ შეთის შთამომავლები და ჰაველას მაცხოვრებლები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ სულიერ სამყაროსთან. ღმერთის მიერ ცათა სასუფეველიდან გამოძევებულმა ანგელოზმა, გადაწყვიტა შური ეძია ღმერთზე, იცოდა, რა რომ ღმერთს ვერაფერს დააკლებდა, მის საყვარელ ხალხზე იძია შური, და იმ ალაგს სადაც იბერთა სამყოფელი იყო, მიწას საყრდენი გამოაცალა. ჩაიქცა იბერთა ქვეყანა, დაინგრა შენობები, ნანგრევებში მოყვა ღმერთის რჩეული ხალხი, მხოლოდ ერთი ნაწილი გადარჩა, რომელიც უფრო განაპირა ნაწილში ცხოვრობდა, ამ გადარჩენილი ხალხის წიაღიდან წამოვიდა ნოე. საერთოდ მინდა გითხრათ, – და მტკიცე ხმით მიმართა თანაკლასელებს: – რომ ჯვარი ასევე ნანახია ეგვიპტეში, ინდოეთში, ტიბეტში, მაიას ტომის კულტურაში, იქ ჯვრის ნიშანი იბერიელებმა შეიტანეს, ეს გამოსახულება აღნიშნავს სიცოცხლეს, კეთილმყოფელს.





– თუ იბერიელებს, ანუ ჩვენ! ასეთი დიდი დამსახურება გვაქვს, კაცობრიობის მიმართ, რატომ გვებრძოდნენ და ახლაც რატომ გვემტყვებიან, სხვადასხვა ტომის ხალხი? – კითხვა დაუსვა, უკანა მერხიდან, ისევ იმ წაბლისფერთმიანმა ბიჭმა.

ამირანს ჯერ ირონიულად გაეცინა, მერე დამტკბარი ხმით უპასუხა:

– განა ვიცით თუ, რატომ ვპარავთ ბებიას მურაბას, როცა მშენიერად ვიცით, რომ ის ჩვენთვისაა გაკეთებული.

ამ პასუხზე მთელ კლასს გაეცინა, მხოლოდ ფილოსოფიის მასწავლებელს არ ეცინებოდა, რამეთუ მიუხვდა ამირანს, თუ რა აზრი ჰქონდა ამ ნათქვამში ჩადებული.

– კარგით ბავშვებო, დაწყნარდით, უმჯობესია შევაფასოთ ამირანის ნაშრომი, თუ მოგწონთ ხელი აწიეთ, თუ არა და... დაჭმუჭნული ქაღალდები ვესროლოთ, – მიმართა ბავშვებს ფილოსოფიის მასწავლებელმა.

ყველა ბავშვმა მოწონების ნიშნად ხელი აწია, თან იმ მხიარულ განწყობას ინარჩუნებდნენ, რომელიც ამირანის ბოლო პასუხმა მოიტანა.

– ძალიან მოგვეწონა პატივცემულო მასწავლებელო, მაგრამ დაჭმუჭნული ქაღალდები მაინც ვესროლოთ. – სიცილს ვერ იკავებდნენ ბავშვები.

ეს მხიარული განწყობა, ფილოსოფიის მასწავლებელსაც გადაედო და ბავშვებისათვის იხტიბარი, რომ არ გაეტეხა, თავის მაგიდიდან აიღო თაბახის ფურცელი, დაჭმუჭნა, და ყველაზე უფრო ხმამაღლა მოხითხითე ბავშვს ესროლა. ეს, რომ ბავშვებმა დაინახეს, ასე არ უნდაო და ერთმანეთს დაჭმუჭნული ქაღალდები დაუშინეს. ფილოსოფიის მასწავლებელი ღიმილით აკვირდებოდა გამხიარებულ ბავშვებს და ახარებდა ის, რომ არც ერთმა ბავშვმა ერთმანეთს დაჭმუჭნული ქაღალდი გამეტებით არ ესროდა.

გაკვეთილის გამოსასვლელი ზარი დაირეკა, მაგრამ, ბავშვების ერთი ნაწილი მაინც არ ტოვებდა საკლასო ოთახს და დაჭმუჭნული ქაღალდების სროლით ერთობოდნენ, მათი მხიარული შეძახილები დერეფანში გავარდა, იქ მყოფები თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია - გაახალისა. მხიარულებამ მთელი სემინარია მოიცვა,



სემინარიის კედლებიც კი. ახითხითდნენ კედელზე დამაგრებული შანდლებიც, მაგრამ თან ფრთხილობდნენ, ეშინოდათ ზედ დამაგრებული სანთლები არ ჩამოცვენოდათ.

ნინომ, რომელიც ამირანს საკლასო ოთახის კართან ელოდებოდა, ამირანს ჰკითხა:

– რა ხდება თქვენს კლასში?

ამირანმა მოკლედ მოუყვა კლასში მომხდარი ამბავი.

– ვაა, რა კარგი მასწავლებელი ყოფილა, – აღტაცება ვერ დამალა ნინომ.

– მართლაც! ყველას უყვარს კლასში, – დაუდასტურა ამირანმა.

– ამირან, წამოდი ბაღში, შენთვის ჩიტი შევარჩიოთ. იცი, ყველა ბავშვს ჰყავს შერჩეული მეგობარი ჩიტი, რომელზედაც ზრუნავს, შენ ახალი გადმოსული ხარ და, ალბათ ჯერ, შერჩეულიც არ გყავს, – შესთავაზა ნინომ.

– შენ გყავს? – ჰკითხა ამირანმა.

– კი, – დაუდასტურა ნინომ.

– კარგი წავიდეთ, – დაეთანხმა ამირანი, და ორივე სემინარიის ბაღში გავიდა.

ნინოს, ამირანისათვის ერთი ჩიტი ეგულებოდა, ეს ჩიტი ვერაგინ ვერ დაიმეგობრა, ჩიტი ძალიან ურჩი და უცნაური იყო, ბაღში მას ერთი ხე ჰქონდა არჩეული, მხოლოდ მის ტოტზე უყვარდა ჩამოჯდომა და გალობა, ამ ხეს „ირმის რქა“ ერქვა, ახლაც ამ ხის ტოტზე იჯდა და როცა დაინახა მისი მიმართულებით მომავალი ამირანი და ნინო, გუმანით იგრძნო, თუ რაშიც იყო საქმე და უფრო მაღალ ტოტზე გადაფრინდა.

ხესთან მიახლოებულმა ბავშვებმა ხელი დაუქნიეს ჩიტს, და ქვევით ჩამოფრენა სთხოვეს, მაგრამ ჩიტმა მიაჭიკჭიკა:

– მე ჩემი ხედვა მაქვს და ჩემი ზნეობაც... ბავშვები არასწორად მაფასებენ.

ამირანს გაეცინა ჩიტის ნათქვამზე და ასძახა:

– ზნეობა, ეს ღმერთის მიერ მონიჭებული მადლია, რომელიც აყალიბებს და სრულყოფს „მე“-ს, საერთოდ „მე“ უფრო მაღლა დგას ვიდრე ადამიანების მიერ დაწერილი რაიმე კანონი, რამეთუ



ყველა სულიერი ინდივიდია, და „მე“-ს ყველაზე უფრო ობიექტური მსაჯულია - საკუთარი თავი.

ამირანის ნათქვამი ჩიტს მოეწონა და ქვედა ტოტზე ჩამოსკუპდა.

– სულიერის მოქმედების თავისუფლება გამოიხატება იმაში, რომ ეს მოქმედება არ არის შეზღუდული რაიმე ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ და მნიშვნელობის მქონე გარკვეული ვითარებით. მეთანხმები? – შეეკითხა ჩიტი ამირანს.

– მაგრამ, ყოველი მოქმედება ზნეობრიობის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მე“ მოქმედებს ცნობიერების დასტურით. სწორედ ესაა „მე“-ს თავისუფალი მოქმედების არსი. მოქმედება საკუთარი ნებისა და საკუთარი ცნობიერების დასტურით - სწორედ ეს ორი გარემოება განსაზღვრავს განსხვავებას მოქმედებასა და უმოქმედობას შორის არჩევანს, და სწორედ ეს განსაზღვრავს სიცოცხლეს. შენც ხომ მეთანხმები? – ახლა ამირანმა ჰკითხა ჩიტს.

– კი, – მოკლედ უპასუხა ჩიტმა და ამირანს მხარზე ჩამოსკუპდა, – მე მინდა, რომ შენ ჩემზე იზრუნო! – თითქმის უბრძანა ჩიტმა ამირანს.

– ჩვენც გვინდა, – თითქმის ერთდროულად უპასუხეს ამირანმა და ნინომ.

– მე ჩემს მეგობარ ჩიტსაც გაგაცნობ, – შესთავაზა ახლად დამეგობრებულ ჩიტს ნინომ.

– მე ვიცნობ მას, – უპასუხა ჩიტმა ნინოს.

– ძალიან კარგი, დღეიდან ოთხნი ვისეირნებთ ბაღში, – აღნიშნა ნინომ.

მეგობრების საუბარი ზარმა შეწყვიტა, რომელიც ბავშვებს გაკვეთილზე უხმობდა.

ამირანს მეორე გაკვეთილი მამა ზაქარიასთან ჰქონდა. მამაო ჩვეული სიმშვიდით შემოვიდა კლასში, ბავშვებს მიესალმა და მცხეთელ სიდონიაზე დაუწყო საუბარი. მამაო საინტერესოდ ყვებოდა, თითქოს თვითონ იყო ყოველივეს მომსწრე, ბავშვებიც გატაცებით უსმენდნენ, რაც მამაოს აღტკინებდა, და ყოველი ამბის სურათს გრძნობებით მუხტავდა. როცა მამაო მორჩა სიდონიას



თავგადასავალის მოყოლას, ბავშვებს სთხოვა მოსმენილი დაეწერათ. ბავშვებმა მოიმარჯვეს საწერი კალმები და ჯადოსნურ ფურცლებზე წერას შეუდგნენ.

მამაომ მერხებს შორის დაიწყო სიარული, აკვირდებოდა თუ რას წერდნენ ბავშვები, როცა ამირანთან მივიდა გაჩერდა და ჰკითხა:

– რა, უკვე მორჩი წერას?

– დიახ, – თავმდაბლად უპასუხა ამირანმა.

მამაომ, ამირანის მერხიდან ფურცელი აიღო და ნაწერი წაიკითხა, მერე ბავშვებს სთხოვა, რათა მათ დროებით წერა შეეწყვიტათ და ამირანის ლექსი წაუკითხა:

სიწმინდე ჩამობრძანდა  
კვართად წოდებული,  
სიღონიას ჩაუკრავს  
გულით მორთმეული,  
ცათ ამაღლებულა  
გრძნობა მორეული,  
ღმერთმა მიიღო  
მგზავრი შორეული,  
მცხეთამ დაიტირა  
ქართლის შვილობილი,  
სამჯერ კურთხეული  
სული ცხონებული.

ბავშვებმა, აღფრთოვანება ვერ დამალეს და ტაში დაუკრეს. ამირანმა, ტაშის გამო თავი უხერხულად იგრძნო.

– კარგით, კარგით გეყოფათ, – გააჩერა ბავშვები მამაომ, – მეც ძალიან მომეწონა, – და ამირანს მიმართა, – რახან ადრე დაამთავრე, შეგიძლია გარეთ გახვიდე, ბაღში გაისეირნო, რასაკვირველია, თუ ამის სურვილი გაქვს, თუ არა და დარჩი. თქვენ კი ბავშვებო გააგრძელეთ წერა. ჯერ გაკვეთილის გამოსასვლელი ზარი არ დარეკილა, საწერად დრო საკმარისად გაქვთ.



– გავალ თუ შეიძლება? – უფლების მიღების მიუხედავად მაინც, იკითხა ამირანმა.

– კი, რასაკვირველია, – თანხმობა გაუმეორა მამამ.

ამირანი საკლასო ოთახიდან გავიდა და თავის ახლად შეძენილი მეგობრისკენ გაეშურა. ჩიტიც ისევ იმ ხეზე დახვდა.

– გავაგრძელოთ საუბარი? – გამომწვევი ტონით მიმართა ჩიტს ამირანმა.

– გავაგრძელოთ, – დაეთანხმა ჩიტი.

– მაგრამ რაზე? – ჰკითხა ამირანმა.

– თქვენზე. ადამიანის სიცოცხლეზე... – ორაზროვნად უპასუხა ჩიტმა და ლექსი უთხრა:

წიგნის სარჩევით - სოცოცხლე თავშია,  
ხოლო, სიკვდილი ბოლო გვერდია.

აჰაიდა გავიარე შარაგზა,

ოცნებები დაიღია, გათავდა.

წიგნის შუაგული ფათერაკებით სავსეა,  
მერე რა, თუ ფურცლები აკლია.

აჰაიდა აჰაილო განათდა,

მოლოდინში სიყვარულმა სილამაზე დაკარგა.

სარჩევმა შენი ცხოვრება განსაზღვრა,  
გახსოვდეს! სიკვდილი, შენი წიგნის ბოლო გვერდია

და თუ წიგნის სტრიქონში სიტყვები აკლია,

შეავსე სიყვარულით, სიყვარული უფლის მადლია.

აჰაიდა აჰაილო აჰაიდა,

მოლოდინში, წიგნი აუქციონს ჩაბარდა.

სარჩევმა შენი ცხოვრება განსაზღვრა?

არ მოგწონს, ცხოვრების ქარაგმა?

გაგთელა?

შეცვალე სარჩევი! გამოცვალე გოგორა!

აჰაიდა დაიყვილა მამალმა,

გადაწერე შენი წიგნი ხელახლა,

თორემ, ნაჯახი მოიმარჯვა ჯალათმა.

წიგნის სარჩევით - სოცოცხლე თავშია,



ხოლო სიკვდილი - ბოლო გვერდია,  
ამოხიე ბოლო გვერდი!  
და ის, რაც, არვარგა!  
აჰაიდა დაიწერა ბაღადა,  
ეს ცხოვრება გაიარე ლამაზად!

– კი ბატონო კარგია. მაგრამ, გეტყვი რომ, ადამიანის სიცოცხლე ეს არის მოქმედება გარე სამყაროზე, – დამაჯერებელი ტონით აღნიშნა ამირანმა.

– შენ, რა?... მარტო მატერიალური პოზიციიდან ხსნი ადამიანის სიცოცხლეს? – გაიკვირვა ჩიტმა.

– რასაკვირველია არა, და აგიხსნი კიდევ რატომ. მომისმინე! მართალია ადამიანი მოქმედებს და მატერიალურ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, მაგრამ, ამგვარ ზემოქმედებას საზღვარი აქვს, ეს მოქმედება როდესაც ჩერდება... მაგრამ, როგორც ვიცით, ადამიანი სხვა ადამიანებთან ერთად დასახლებულ სამყაროში ცხოვრობს, ქმნის ახალ თაობებს, რაც მათ საშუალებას აძლევს გააგრძელოს მოქმედება უკვე სხვა ადამიანების საშუალებით. მაგრამ, ასეთი შესაძლებლობა ადამიანს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ სიცოცხლეში შექმნილი მატერია თანხმობაშია სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში ადამიანი უკვდავყოფს თავის თავს, როგორც მატერიალურ სიცოცხლეში, ასევე ზეციურ სამყაროშიც.

– ზეციურ სამყაროში ადამიანის საქციელს ვინ აფასებს? – ჰკითხა ჩიტმა.

– რასაკვირველია ღმერთი, – გაკვირვებულმა უპასუხა ამირანმა.

– შენი, ამბავი ვიცი... მაგრამ, ადამიანს, თუ უნახავს ოდესმე ღმერთი? – შეეკითხა და თვალებში ჩახედა ამირანს.

– ამის შესახებ რას გეტყვი იცი, ერთხელ ერთი წინდა მამა ზღვის პირას სეირნობდა და თან ღმერთზე ფიქრობდა. უცებ თვალი მოკრა ბავშვს, რომელსაც სანაპიროზე ქვიშაში პატარა ორმო ამოეთხარა და მის გავსებას ზღვის წყლით ცდილობდა, მაგრამ რამდენჯერაც ჩაასხამდა წყალს ორმოში იმდენჯერ ქრებოდა წყალი ქვიშაში. მაშინ წმინდა მამამ გაიფიქრა: „როგორც ეს



ბავშვი ვერასოდეს ვერ შეიძლება ამ ორმოს ზღვის წყალით ამოვსებას, ასევე ადამიანის გონებაც ვერასოდეს დაიტევს ღმერთის შესახებ სრულ ცოდნას". ღმერთი რომ არსებობს ეს ფაქტია, ამას დამტკიცება ისევე არ სჭირდება, როგორც იმას, რომ ორ წერტილზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი წრფის გაგლება შეიძლება, ეს მათემატიკური აქსიომაა. მსგავსი აქსიომების საფუძველზე მტკიცდება რთული თეორემები. ამ თეორემების დახმარებით, ინჟინრები აგებენ ურთულეს კონსტრუქციებსა და აპარატებს, რომელთა გამართული მუშაობაც დასტურია აქსიომის სიზუსტისა. ასევეა ღმერთიც, მიმოიხედეთ ირგვლივ, ნუთუ მთელი ეს სამყარო შემთხვევითობაა, ნუთუ დედამიწა შემთხვევით მოძრაობს ზუსტი ტრაექტორიით. და მეორეც, მეც ვიცი, შენ ვინც ხარ, – ბოლო სიტყვები ამირანმა იღუმალი ხმით წარმოთქვა, რამეთუ მხოლოდ ეჭვის დონეზე ხვდებოდა...

ჩიტს ესიაშოვნა, რომ ამირანმა იგრძნო მისი ზებუნებრივი ენერგია. ახლოს მიფრინდა და ნისკარტით ცხვირზე მოეაღერსა. ამირანმა, ხელის გული მიუშვირა და ჩიტიც ზედ დაასკუპდა.

– ხვლები ვინც ვარ, მაგრამ ბოლომდე არ ხარ დარწმუნებული... ჰო მართლა, რისი გაკვეთილი გაქვს ახლა? – ჰკითხა ჩიტმა.

– ფიზიკის, – უპასუხა ამირანმა.

– იცი, რომ ბუნებაში ყოველი მოვლენის დროს ენერგია არასოდეს არ ქრება უკვალოდ და არც არაფრისგან ჩნდება, არამედ იგი გარდაიქმნება ერთი სახეობიდან მეორეში ან უცვლელი რაოდენობით გადაეცემა ერთი სხეულიდან მეორეს. ჰო, ესაა ბუნების მთავარი არსი, – და ჩიტმა ამირანს ხელის გულზე ნისკარტი ჩაუკაკუნა, მიანიშნა: „ყურადღებით ხომ მისმენო".

– სხვაგვარად არ შეიძლება, რამეთუ ღმერთს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება. იგი არავის არ შეუქმნია, ვინაიდან თავადაა ყოველივეს შემოქმედი, – უპასუხა ამირანმა.

– გეთანხმები, და ერთს რამეს გეტყვი კიდევ, რაც ყოველთვის დაგეხმარება მონოფიზიტებთან საუბრისას, მომისმინე: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სინათლეს ახასიათებს ორმაგი ბუნება – დუალიზმი, და დუალიზმი დამახასიათებელია არა მარტო სინათლის-



თვის, არამედ მატერიის და ნებისმიერი სხვა ფორმისათვისაც... წარმოსახვასაც დუალიზმი ახასიათებს.

ამირანმა არ დაამთავრებინა ჩიტს სათქმელი და ჩიტის აზრი გააგრძელა:

– იესო ქრისტეს „ღმერთკაცს“ უწოდებენ რადგან მას ორი ბუნება აქვს, იგი ღმერთიცაა და ადამიანიც – ძე ღმერთი განკაცდა, რათა ადამიანთა ცოდვები თავის თავზე აეღო. მან სრულად მიიღო ადამიანური ბუნება. სულის და სხეულის თანაარსებობა ეს დუალიზმის ერთგვარი გამოხატულებაა. ასე, რომ მართლმადიდებლობა ეს ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, – ბოლო სიტყვები ამირანმა ხმამაღლა წარმოთქვა.

– ამირან, შენ საკმარისად დიდი ცოდნა გაქვს, – შეაქო ჩიტმა.

გაკვეთილის გამოსვლის ზარის ხმა გაისმა. სემინარიის ბაღი ბავშვებით აივსო. ამირანმა რამდენიმეჯერ გახედა ბილიკს საიდანაც ნინოს ელოდებოდა - ნინოც გამოჩნდა.

– მივხვდი აქ რომ იქნებოდი! – შორიდანვე მიაძახა ამირანს ნინომ.

ამირანმა შეამჩნია, რომ ნინოს მხარზე მისი მეგობარი ჩიტი ეჯდა.

– აი ჩვენ უკვე ოთხნი ვართ, – თქვა მოახლოებისთანავე ნინომ.

– მოდით ბაღის ბოლომდე გავიდეთ, – შესთავაზა ამირანს ნინომ.

– ვერ გახვალთ, ამ ბაღს დასასრული არ აქვს, – გააფრთხილა ამირანის მეგობარმა ჩიტმა.

– ჰო, ასე იქნება, – დაეთანხმა ნინო ჩიტს, და მერე ამირანს ჰკითხა: – რა დაარქვი შენ ჩიტს?

– ამაზე არ მიფიქრია. მოდით ერთად გადავწყვიტოთ, – და ამირანი ჩაფიქრდა.

– მე უკვე მქვია სახელი, – ყველას გასაგონად თქვა ჩიტმა.

– მაინც რა? – ჰკითხა ნინომ.

– სულმნათი, – უპასუხა ჩიტმა.

– ლამაზი სახელია, – აღნიშნა ნინოს მეგობარმა ჩიტმა, – მე კი მზეწვია მქვია, – თავისმხრივ გაეცნო ნინოს მეგობარი ჩიტი.





ისევ გაისმა ზარის ხმა, მაგრამ ამჯამად გაკვეთილზე შესასვლელი, ბავშვები გაკვეთილზე დასასწრებად წავიდნენ, ჩიტები კი ერთად დარჩნენ და ერთმანეთში გააგრძელეს საუბარი.

ამირანს ფიზიკის გაკვეთილი ჰქონდა. ფიზიკის მასწავლებელი მართალია ნანახი არ ჰყავდა, ან როდის უნდა ენახა როცა სულ რამდენიმე დღეა რაც სემინარიაში გადმოვიდა, მაგრამ, თანაკლასელებმა გააფრთხილეს: ფიზიკის მასწავლებელი ძალიან უცნაურად გამოიყურება და როცა ნახავ არ გაგეცინოს. მაგრამ, ამირანმა დაინახა თუ არა წითურთმიანი, გაბურძენული, აჩაჩულ-დაჩაჩული, მაღალი წვრილი კაცი, სიცილი ვერ შეიკავა.

ფიზიკის მასწავლებელმა, ცხვირზე ჩამოცურებული სათვალის ზემოდან გადმოხედა ამირანს და მიმართა:

– რახან იცინი, ესე იგი ბევრი იცი. მიპასუხე რა არის სინათლე? – და ისევ სათვალის ზემოდან გადმოხედა.

– სინათლე სწორხაზოვანი ელექტრომაგნიტური გამოსხივებაა. სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში სინათლეს საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. სინათლე არის ინფორმაციის მატარებელი, სინათლის გავრცელების ხასიათი განპირობებულია იმით, თუ როგორ აღიქმება სინათლის მიმღების მიერ სინათლის წყარო. საერთოდ სინათლის სიჩქარე ზღვრული არაა. სინათლის ბუნების გამოკვლევა დაიწყო ჰაველას ანუ აიას ქვეყანაში. ამ ქვეყანას, შემდგომში, მეცნიერები ატლანტიდის დაკარგულ ცივილიზაციად მოიხსენიებენ. აქ მოღვაწე ბერებმა შეძლეს სინათლის, მინერალის კრისტალში მოქცევა ანუ დაბუდება და სურვილისამებრ მისი გამოყენება, მათ ასევე შეძლეს სინათლის ენერგიაზე მუდმივი ენერჯის მწარმოებელი დანადგარის შექმნა.

– ყოჩაღ შენ, – შეაწყვეტინა საუბარი ფიზიკის მასწავლებელმა, – ეტყობა ამის შესახებ ბევრი წაგიკითხავს. აბა გამოდი დაფასთან და უფრო დაწვრილებით მოუყევი ბავშვებს ყველაფერი რაც იცი სინათლის შესახებ, – და მოფერებით მოიხმო დაფასთან.

ამირანი დაფასთან გავიდა და მოყოლა განაგრძო:

– როგორც უკვე გითხარით, სინათლე, როგორც მეცნიერული გამოკვლევის ობიექტი პირველად შეისწავლეს აიას ქვეყანაში. ბე-



რებმა შეისწავლეს მისი ენა და შეძლეს სინათლესთან ურთიერთობის დამყარება. სინათლის დახმარებით ისინი იღებდნენ ინფორმაციას სამყაროში მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესების შესახებ, სინათლის დახმარებით იღებდნენ დავალებებს ღმერთიგან. სინათლე უყვარდათ და ყველას ჰყავდა სახლში კრისტალში - ჩაბუდებული, რომელსაც თავისუფლად შეეძლო დაეტოვებინა კრისტალი და ისევ დაბრუნებულიყო მასში - ანუ მისი ყოფნა კრისტალში არ იყო იძულებითი ხასიათის. ბავშვები სინათლის სხივებთან თამაშობდნენ და მისგან სწავლობდნენ: წერას, ხატვას, სიმღერას. ამ ქვეყნის მოსახლეობა, თხევად სინათლის სხივში ბავშვებს აბანავებდა, ბავშვებიც ჯანმრთელები და ლამაზები იზრდებოდნენ. ღმერთს უყვარდა ეს ხალხი, განსაკუთრებით კი ერთი მშვენიერი ქალწული, რომელსაც სახელად პირიმზე ერქვა. პირიმზე ბუნებით ძალიან სათნო იყო, მას შეეძლო თევზებთან ურთიერთობის დამყარება, ჩიტებთან საუბარი, შეეძლო დამჭკნარი ყვავილის გამოცოცხლება, ის აიას ქვეყანაში ცნობილი მკურნალი იყო. ღმერთი ხშირად გადმოხედავდა ზემოდან პირიმზეს და ტკებოდა მისი მშვენიერებით - ხარობდა თავისი ქმნილებით. ეს ძალიან აღიზიანებდა დაცემულ ანგელოზს და ღმერთზე შურისძიების მიზნით აიას მიწას, როგორც უკვე აღვნიშნე მას ჰაველასაც უწოდებდნენ, საყრდენი გამოაცალა და დაღუპა იქ მყოფი... იბერიის ამ ნაწილის დაღუპვაზე მე უკვე მოუყევი ბავშვებს. - მორიდებით აღნიშნა ამირანმა - და დავამატებდი ჰაველა და ჰავილა სხვადასხვა ადგილებია, - ისევ მორიდებით აღნიშნა ამირანმა.

- ეს ამბავი მსმენია, - ჩაერთო ფიზიკის მასწავლებელი, - კარგი, კარგი არ შეწყვიტო მოყოლა, გააგრძელე, - თითქმის ბოდიშის მოხდით მიმართა ამირანს, ფიზიკის მასწავლებელმა.

ამირანმა განაგრძო:

- სინათლის შესახებ ინფორმაცია შემორჩა აიას ქვეყნის განაპირას მაცხოვრებელ ხალხს. ამ ხალხში, ცოდნა, სინათლის გამოყენების შესახებ, ზეპირგადმოცემით გადადიოდა თაობიდან თაობაზე, და ამ ინფორმაციამ ფილოსოფოს ემპიდოკლემდეც მიაღწია, რომელმაც ხელმეორედ დაიწყო სინათლის შესწავლა. პილო-



კლეს მოსაზრებით ადამიანი იმიტომ ხედავს საგნებს, რომ მისი თვალებიდან ხდება სინათლის გამოსხივება, რომელიც აღწევს საგნებამდე და აღიქვამს მათ. შემდგომში ერთ-ერთმა მუსლიმმა მეცნიერმა ალ-ჰაზენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანი ხედავს არა მარტო იმიტომ, რომ სინათლე მიემართება ადამიანის თვალებიდან და ეცემა საგნებს, არამედ იმიტომაც, რომ სინათლე საგნებიდანაც მოემართება ადამიანის თვალეში. ცოტახნის შემდეგ, ალ-ჰაზენმა, სხვა მოსაზრება გამოთქვა: „სინათლე სინათლის წყაროდან ეცემა საგნებს აირეკლება და არეკლილი სინათლე მიდის ადამიანის თვალეებამდე“. ხოლო, ისააკ ნიუტონი თვლიდა, რომ სინათლე შედგება პატარა ნაწილაკებისაგან, ქრისტიან ჰიუგეს კი მიაჩნდა რომ, სინათლე არის ტალღა, რომელიც გარს უვლის რაიმე ობიექტს და მის შესახებ გადასცემს ინფორმაციას დამკვირვებელს. ალბერტ აინშტეინის აზრით სინათლე არის წყვეტილი ტალღა და შედგება ფოტონებისაგან. საერთოდ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სინათლე არის ნაწილაკებისაგან შემდგარი ელექტრომაგნიტური ტალღა. სინათლის ტალღა შეიძლება გაიბნეს გარემოში, თუ მას შეხვდა წინააღმდეგობა, მაგალითად: ატმოსფეროში შემოსული სინათლე გაიბნევა ჰაერში არსებულ კრისტალებზე, ყველაზე ადვილად გაიბნევა ცისფერი ფერის შესაბამისი ელექტრომაგნიტური ტალღა-სინათლე, ნაკლებად გაიბნევა წითელი ფერის სინათლე, ამიტომაც არის, რომ ცა ცისფერია, რამეთუ ვხედავთ გაბნეულ ტალღებს, ხოლო როდესაც ვუყურებთ დაისს, ვხედავთ არაგაბნეულ წითელ ფერს. ჩვენამდე მოდის არა მარტო ხილული, არამედ სხვა სახეობის სინათლაც, მაგალითად: ინფრაწითელი ან ულტრაიისფერი.

– კარგია! აბა, ამირან მითხარი რას ნიშნავს სინათლის წყარო? – საუბარი არ ჰქონდა ამირანს დასრულებული, ისე დაუსვა კითხვა ფიზიკის მასწავლებელმა.

ამირანი არც კი შეყოყმანებულა, სხაპასხუპით უპასუხა: – სინათლის გამოსხივების ერთ-ერთი წყაროა სითბო. სხეული გაცხელებისას იწყებს ელექტრომაგნიტურ, მათ შორის, ხილული სინათლის გამოსხივებას. მაგრამ, ძირითადი სინათლის წყაროა დმერთის სამყოფელი. ამ წყაროდან დაცილებისას სინათლე იძენს სხვ-



ადასხვა თვისებებს და აღწევს ნებისმიერ სხეულში. მას, ასევე, შეუძლია სამყაროს ერთი ნაწილი, ადამიანებისათვის, უხილავი გახადოს.

– კარგია, შენ ნამდვილად დაიმსახურე შექება და კამფეტებიც, – და ფიზიკის მასწავლებელმა, ამირანს, მერხზე ერთი ბლუჯა კამფეტი დაყარა. ფიზიკის მასწავლებელს ყოველთვის დაჰქონდა უმცროს კლასელებისათვის კამფეტები და ასაჩუქრებდა მათ - თუ კითხვაზე სასურველ პასუხს მიიღებდა.

ამირანმა მადლობა გადაუხადა, კამფეტები მერხიდან აკრიფა და მასწავლებლისაგან ნებართვის აღების შემდეგ, მის მარჯვენა მხარეზე, მეზობელ მერხზე, თანაკლასელ გოგონას დაუყარა. მართალია, გოგონას მადლობა არ უთქვამს, მაგრამ მის გამოხედვაში ამირანმა უსაზღვრო მადლიერების გრძნობა ამოიკითხა. ამირანმა, პირველივე დღესვე იცნო მწვანეთვალება გოგონა, მას ის წინა ცხოვრებაში იცნობდა - ჰო ეს მედია იყო, რომელიც იაზონმა კოლხეთიდან მოტყუებით გაიტაცა, მერე კი მიატოვა, უმუხთლა, რის გამოც იაზონი ჯოჯოხეთში მოხვდა. ამ ფაქტს, მოგვიანებით, ვირგილიუსიც ადასტურებს თავის ნაწარმოებში - „ენეიდა“. მედია ძალიან წუხდა, და ეს იცოდა ამირანმა, იმ გარემოებას, რომ ბერძენმა ისტორიკოსებმა, მას, შვილების დახოცვა დააბრალებს, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. რეალურად მედიამ თავი დაიხსნა გაიძვერა იაზონისაგან და ეგეოსის მეუღლე გახდა, მისგან მას ორი ვაჟი ეყოლა, უფროსმა ვაჟიშვილმა, რომელსაც სახელად მედოსი ერქვა, პართიის, სპარსეთის და კასპიის ზღვის მოსაზღვრე, ერთ ულამაზეს ალაგს, სამეფო მედია დაარსა. ხოლო, მეორე ვაჟმა არმენოსმა, არმენთა ტომს დაუდო სათავე. დღეს კი, ეს პატარა გოგო შეშინებული თავისი წარსულით, ელოდება იმ ასაკს საიდანაც აირია მისი ცხოვრება, მას აღარ სურდა ხელმეორედ დაეშვა იგივე შეცდომა, მას სურდა დაბრუნებოდა წარსულს, თავის მამას და იმ ბავშვობის მეგობარს, რომელიც ასე უსაზღვროდ უყვარდა. დიახ, ყველაფერი ეს ამირანმა იცოდა და მედიამაც იცოდა, რომ ამირანმა ეს ყველაფერი იცოდა, და მათ შორის ჩუმი თანაგრძნობა სუფევდა.



ფიზიკის მასწავლებელმა მოუწონა ამირანს საქციელი, და კეთილი განწყობის ნიშნად ხელი ჩამოართვა, შემდეგ - თავის ადგილს დაუბრუნდა და ახალი გაკვეთილის ახსნას შეუდგა:

- ჩემო კარგებო, მზე ქმნის დამუხტული ნაწილაკების განუწყვეტელ ნაკადს, - მშვიდად საუბრობდა ფიზიკის მასწავლებელი, - რომლისთვისაც დამახასიათებელია პერიოდული შეკუმშვა და გაფართოება. მზის ნაკადებს მზიური ქარი ეწოდება, რომელიც ძალიან მაღალი სიჩქარით მოძრაობს, რის შედეგადაც წარმოშობს გათხელებულ ატმოსფეროს, ეს ატმოსფერო ავსებს პლანეტათა შორისო ანუ კოსმოსის სივრცეს. მეცნიერებმა, მზის ზედაპირზე კორონალური მასის გამოტყორცნა შეამჩნიეს, რის შედეგადაც კოსმოსური ამინდი წარმოიქმნება, ეს უკანასკნელი კი გეომაგნიტურ ქარიშხლებს იწვევს, ეს ქარიშხლები დედამიწასაც აწუხებენ, მაგრამ დედამიწის მაგნიტური ველი და მთვარე, თავის ატმოსფეროს, მზიური ქარებისაგან იცავს. მზიური ქარების ურთიერთქმედება დედამიწის მაგნიტურ ველთან ქმნიან დამუხტულ ნაწილაკებს, ხოლო ამ ნაწილაკების დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრა, წარმოქმნის ნათებას, რასაც მეცნიერები ჩრდილოეთის და სამხრეთის ციალს უწოდებენ - ამ საკითხზე კიდევ გვექნება საუბარი. არის კიდევ სხვა სხივებიც, რომელიც მზის სისტემის გარეთ წარმოიქმნებიან მათ უფრო მაღალი მოძრაობის სიჩქარე გააჩნიათ, ისენი გონიერი სხივები არიან, რომლებიც ადამიანის და ყველა ცოცხალი ორგანიზმის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ფიზიკის მასწავლებელმა, გაკვეთილის ახსნის დამთავრების შემდეგ, ისე როგორც სჩვევია, სათვალეების ზემოდან ბავშვებს გადახედა და ჰკითხა:

- გაქვთ შეკითხვები?
- დიახ, - და ხელი შავგრემანმა ბიჭმა აიწია.
- გისმენ, - და ფიზიკის მასწავლებელმა ყურადღება მოიკრიბა.
- რა არის კორონალური მასა? - შეეკითხა შავგრემანმა ბიჭმა.
- კორონალური მასა არის მაღალი ძაბვის ნაწილაკებისაგან შემდგარი პლაზმა, - მოკლედ უპასუხა ფიზიკის მასწავლებელმა

და კიდევ ერთხელ მიმართა ბავშვებს: – კიდევ ვინმეს თუ აქვს შეკითხვა?

– მე მაქვს შეკითხვა, – მოკრძალებულად ითხოვა ნებართვა მწითურმა ბიჭუნამ.

– გისმენ, გისმენ, – შეეხმიანა ფიზიკის მასწავლებელი.

– რა არის კოსმოსი?

– კოსმოსი არის აზროვნების უდიდესი მექანიზმი, კოსმოსში აზროვნება მოწესრიგებულია, წესრიგი რთულისკენ აღმასვლას ასახავს. – ისევ მოკლედ უპასუხა და ისევ მიმართა ბავშვებს: – აბა, კიდევ ვის აქვს შეკითხვა? – მაგრამ, გაკვეთილის გამოსვლის ზარი დაირეკა.

ფიზიკის მასწავლებელი გასასვლელი კარისკენ გაემართა, კართან შეყვინდა, შემოტრიალდა და ამირანს კიდევ მიაწოდა რამდენიმე კამფეტი. ამირანი მიუახლოვდა, კამფეტები გამოართვა, მადლობა გადაუხადა და ჯიბეში ჩაიყარა. კართან ნინო შეამჩნია, ამირანს გაეღიმა და ჰკითხა:

– როგორ ყოველთვის მასწრებ გაკვეთილიდან გამოსვლას?

– მინდა, რომ კართან დაგხვდე და ამიტომაც გასწრებ, სურვილი დროზე უფრო სწრაფია, – უპასუხა ნინომ.

მეგობრებმა ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და იმ ადგილისკენ გაეშურნენ სადაც მათი მეგობარი ჩიტები ეგულებოდათ. ჩიტებს მათი დანახვა ისე გაუხარდათ თითქოს საუკუნე არ ენახათ, ატეხეს ჭიკჭიკი და ჟღურტული. ქვედა ტოტზე შემომჯდარმა სულმნათმა მოახლოებულ მეგობრებს ჰკითხა:

– ეი, ახლა რაზე ვისაუბროთ?

– არაფერზე, ისე ვიყოთ. მოდით იცით რა, ერთმანეთს სასაცილო ამბები მოგუყვით, – ამირანს, თავისი შეთავაზება თვითონაც მოეწონა.

– კარგია. ვინ დაიწყებს? – სიხარულით აიტაცა ამირანის წინადადება ნინომ.

– მე, – პირველობა არავის არ დაუთმო მზეწვიამ. და, დაიწყო:

– ერთხელ შევესწარი პირიქითა ხევისურეთში ასეთ ამბავს: ორი გეოლოგი მდინარე ასას ხეობას მიუჰყვებოდა, გზაში შემოაღამდათ და ღამე მონადირეებთან გაათენეს - კოცონთან, როცა ჩაეძინათ ეტყობა შესცივდათ და უნებლიედ კოცონს მიუჩოჩდნენ. დილით ორივეს, საჯდომის ადგილას, შარვალი ჰქონდათ გამომწვარი. მართალია ეს



ერთმანეთს შეამჩნიეს, მაგრამ ერთმანეთს არ გაუმხილეს, რამეთუ აზრი არ ჰქონდა - არცერთს არ ჰქონდა წამოღებული გამოსაცვლელი შარვალი. და ასე გაუყვნენ გზას... სოფელს როცა მიუახლოვდნენ, ერთმანეთს ზურგიდან ეფარებოდნენ, ანუ უფროსილდებოდნენ ერთმანეთს და, არცერთმა არ იცოდა, რომ თვითონაც იგივე დღეში იყო, მაგრამ, როცა სოფლის ახალგაზრდა გოგოებმა ორივეს სიცილი დააყარეს, და თითო მათ გამომწვარ შარვლებისკენ გაიშვირეს... აი მაშინ კი მიხვდნენ რაშიც იყო საქმე - იხტიბარი არ გაიტყვეს, ხელები ერთმანეთს მხარზე გადახვიეს და სიცილ-სიცილით გაიარეს სოფელი.

- მეც ვიცი სასაცილო ამბავი, - თქვა ამირანმა და მეგობრებს ჰკითხა: - გინდათ მოგიყვებო?

- გვინდა, გვინდა, - ერთხმად უპასუხეს მეგობრებმა.

- ერთხელ - დაიწყო ამირანმა, - მამაჩემის მეგობარი გვესტუმრა თავისი მეუღლით და პატარა ბიჭუნათი - მას ნიკოლოზი ერქვა, ჯერ ლაპარაკი არ იცოდა, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას თუ ამბობდა, და იმასაც გაუგებრად, როცა თამაშით დაიღალა, ძილი მოერია, დედამხემა, ჩემს ხის კასრსში დააძინა. გამოღვიძებულმა ყველასათვის მოულოდნელად ენა ამოიღვა და იცით პირველად რა თქვა!

- რა? - ყველამ ერთხმად წამოიყვირა.

- რა და, როცა ბებია სახლში არ არისო, მამა მურაბებს იპარავსო.

- ამ ნათქვამზე ყველას გაგვეცინა. ხომ სასაცილოა? ეეე, რა გჭირთ? თქვენ რატომ არ იცინით? - გულნატკენმა აღნიშნა ამირანმა.

- ვიცინით, ვიცინით, ხა, ხა, ხააა, - და თავის ოხუნჯობაზე, სულმნათს მართლა აუვარდა სიცილი.

- უჭურე შენ, ამ უფროსებს, ჩვენ გვაბრალებენ მურაბების მსუნაგობას, ხოლო თვითონ ჩვენზე უარესები ყოფილან, - აღნიშნა ნინომ.

- რაო, რაო... ჩვენზე უარესებიო... სად გამოტყდა, - ირიბ აღიარებაზე დაიჭირა სულმნათმა ნინო.

- არა, არა მე მხოლოდ ერთხელ მივეპარე მურაბის ქილას, მაგრამ ცარიელი დამხვდა მარტო კოვზი იყო შიგ ჩარჩენილი, - დაიწყო თავის მართლება ნინომ.

- აბა კი, კოვზი ქილაში საიდან აღმოჩნდა? - შეეკითხა ამირანი, თან სიცილს ველარ იკავებდა.



– მე ეჭვი მაქვს, – შეყოვნდა ნინო, და სერიოზული ტონით გააგრძელა: – ჩვენ ერთი ძალიან კეთილი ახლობელი გვყავს, სახელად მელბარი ჰქვია. ახლა ამ სახელზეც არ დაიწყეთ სიცილი, – მკაცრად გააფრთხილა ნინომ, – რომელსაც ძალიან უყვარს მურაბები, შეიძლება მას ჩაუვარდა... ალბათ, ბებიას მოახლოება იგრძნო, და შეშინდა: ამხელა კაცს მურაბის ქურდობაზე არ წამასწრონო - შიშისგან კი კოვზი ჩაუვარდა.

თავის მართლებამ კიდევ უფრო გაამხიარულა ამირანი და ჩიტები; ნინოც დაჰყვა, თავის მართლებას მოეშვა და საერთო მხიარულ განწყობას შეურთდა.

შესვლის ზარი დაირეკა და ბავშვები გაკვეთილზე დასასწრებად წავიდნენ, ჩიტებმა კი, მოსიყვარულე მზერით გააცილეს ის ორი განუყრელი მეგობარი, რომლებსაც წინ დიდი და ძნელი ცხოვრების გამოცდა ელოდა.

სემინარიაში თითო გაკვეთილი ერთ საათს მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ერთი საათი სემინარიის კედლებს გარეთ არსებულ დროს წინ ორჯერ უსწრებდა, ამიტომაც ბავშვები სემინარიის კედლებში უფრო სწრაფად იზრდებოდნენ. ამას გრძნობდნენ ბავშვებიც - მშობლებიც. ასევე ამ მიზეზის გამო, ბავშვებს, ყოველთვის გვიან, თითქმის შვიდ საათზე უწევდათ გაკვეთილების დამთავრება - ეს გარეთა დროით.

ამირანს და ნინოს გარეთ, ჩვეულებისამებრ, ამირანს მამა, ნინოს კი ბებია ელოდებოდა, ცოტახანი ერთმანეთთან ისაუბრეს, მერე ერთმანეთს დაემშვიდობენ, კეთილი საღამო უსურვეს და თავ-თავიანთ სახლისკენ მიმავალ გზას შეუდგნენ. რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, როცა ამირანმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაიგონა, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდათ, გუმანით მიხვდა, რომ ეს ნინო იქნებოდა, უკან მიიხედა, მართალი აღმოჩნდა, გაჩერდა და მამაც გააჩერა. ნინომ პირდაპირ დავითთან მიიბრინა და ჰკითხა:

– ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ხვალ კვირაა და ჩვენთან მოდიხართ სტუმრად?

– რასაკვირველია არა, – ღიმილით უპასუხა დავითმა და ნინოს ალერსით თავზე ხელი გადაუსვა.

ნინო ამირანისკენ გაიწია, ლოყაზე აკოცა, გახარებული თვალები დავითს შეანათა და ბებიასკენ გაიქცა.





ქვაფენილს უხაროდა ნინოს ფეხების შეხება და ყოველ შეხებას ეხმიანებოდა: კაკ კუკ კაკ კუკ და, ეს მხიარული ხმა ექოსავით ისმოდა ცხოვრებით დაღლილ აკაციის ხის ფულურში, რომელიც ვიღაცას ქუჩის პირზე დაერგო. უნდოდა და დარგო, მერე რა გინდათ? მთავარი ისაა, რომ კარგი საქმე გააკეთა.

– მე ვიცი, ვიცი ვინ დარგო, და რატომ... – ჩაიწურჩულა ნიაგმა, – შეყვარებულს დაურგო, აი იმ ფანჯარაში ცხოვრობდა...

მხიარულმა დილამ კიბეები ჩაირბინა და ჩაიხითხითა



ღღმაშენებლის ქუჩაზე კვირა დილა მხიარულად დაიწყო, კარგად გამოძინებულ მეზობლებს დავიწყებოდათ და აღარ აწუხებდა თუ ვინ რომელი პარტიის მხარდამჭერი იყო და ერთმანეთს გულთბილად ესაუბრებოდნენ. ლოთის შვილიც კი, ალერსიანი გამომეტყველებით იყურებოდა ფანჯრიდან და როცა მენაგვე დაინახა, მხიარულად შეეხმიანა:

– ეი, შენ მენაგვე პოეტო, კიდევ რამე ხომ არ დაგიწერია?

– კი, ამ დილით გამოცანები შევთხზე, – ეტყობოდა მენაგვეც კარგ გუნებაზე იყო.

– აბა გვითხარი, მიდი, მიდი! ხა, ხა, ხა, – ახარხარდა ლოთის შვილი და თან აქეთ-იქით დაიწყო ყურება, აინტერესებდა, თუ აჰყვებოდა ვინმე სიცილში, მაგრამ მხარდამჭერი რომ ვერ აღმოაჩინა, სიცილი სახეზე მომღიმარ ნიღბად აეკრო.

მენაგვეს, გაწბილებული ლოთის შვილი შეეცოდა, და ქვემოდან ასძახა:

– ეი, პოსლიკა! რამდენიმე გამოცანას გეტყვი და თუ გამოიცნობ მაგარი ბიჭი იქნები, – და ღიმილის ჰაეროვანი ნაკადით, პირველი გამოცანა აუგზავნა:

თავის კარში ბურთი გააქვს

განა ერთი სამი,

დაუფასდა მონდომება და მიაართვეს -

≈161≈



მინისტრობის სკამი.

– გაუგებარი გამოცანაა, უნიჭო ხარ! – დამცინავად მიახალა ლოთის შვილმა.

– არაფერიც, – შეეწინააღმდეგნენ მეზობლები პოსლიკას, – ჩვენ გამოვიცანით, – და თითქმის ერთხმად მიაძახეს მენაგვეს:

– ეს ხომ ჩვენი ლამპოჩკაა,

– კი, ნამდველად ისაა... ხომ.

– ლამპოჩკა! ლამპოჩკა!

– ლამპოჩკა, ლამპოჩკა! – უფროსებს აჰყვა სამათხოვროდ გამოსული, პატარა ბიჭიც.

– აი, თუ უნიჭო გამოცანაა, ხომ ნახე ყველამ გამოიცნო. გინდა გითხრა კიდევ? – უკვე ირონიულად მიმართა მენაგვემ პოსლიკას.

– კარგი თქვი, – ნაწყენი ტონით თქვა ლოთის შვილმა.

მენაგვემ არ დააყოვნა:

არ აქვს იერი ქართული,  
მინისტრი, სხვისგან მართული,  
არის ბრიყვების ბატონი  
და ფინანსების პატრონი.

– ხა, ხაა, უუუ, – უცნაურად გაეცინა, – კარგი რა, ეს ხომ ძალიან ადვილია, – ვითომ გამოიცნო პოსლიკამ.

ზაქარია მიუხვდა ფანდს, მაგრამ არ გააწბილა:

– კარგია, გითხრა სხვა? – თავშეკავებული ღიმილით ჰკითხა მენაგვემ.

– მიდი! – გაგულისებულმა ჩამოსძახა პოსლიკამ.

– მაშინ მისმინე, – და მენაგვემ ახალი გამოცანა აუგზავნა:

სახე, ყოყლოჩინა მამალს უგავს.  
საუბარი, ფილოსოფოს პლატონს.  
მალე ხალხი მას შეარქმევს,  
ოცნებების განდონს.



– ეს რა უზრდელობაა! ეი შენ, ოჯახში თუ ხარ გაზრდილი? –  
ახლა უკვე გაბრაზებულმა დაუყვირა ლოთის შვილმა მენაგვეს.

ქუჩის მეზობლებმა კი ისევ თითქმის ერთხმად მიაძახეს მენა-  
გვეს:

– ეს ხომ ჩვენი ვერმიცანაა,

– ვერმიცანა! ვერმიცანა!

– მივხვდით, მივხვდით ჩვენი პარლამენტარია, ენას ხმალივით,  
რომ იქნევს, – მორიდებით მიმართეს ზაქარიას, სადარბაზოდან  
რამდენიმე წუთის წინ გამოსულმა, ახლახანს შეუღლებულმა ახა-  
ლგაზრდა წყვილმა.

– ეი, ბოლო შესაძლებლობა გაქვს, გამოცანის გამოცნობის  
იმედია, ახლა მაინც გამოიცნობ. მისმენ? – ამჯერად გამომცდეელი  
მასწავლებლის მზერით შეხედა მენაგვემ, ლოთის შვილს.

– კი, – და ლოთის შვილს შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა.

დიღამ, როცა პოსლიკას შუბლზე ნაოჭები შეამჩნია, გააკვირვე-  
ბულმა ჩაილაპარაკა: „პროგრესია, პროგრესი“... და მენაგვის მიერ  
აგზავნილი ლექსი ფრთხილად მიაართვა:

აიშენა მინის სახლი,  
იცის ფულის ყადრი,  
ხალხს ზემოდან გადმოჰყურებს,  
თითის ხელა კაცი.

ამჟამად, ლოთის შვილს ხმა არ ამოუდია და დაელოდა ქუჩის  
მეზობლებს, რომლებიც ასევე დუმდნენ... მაშინ მეეზოვემ მინიშნე-  
ბა გააკეთა:

– ეი, ხალხო ოცნების კოშკებს, რომ გვიშენებს ის არის, –  
მაგრამ, მის მინიშნებასაც, არაავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

– ეჰ, არ იქნება თქვენი საშველი, – თავისთვის ჩაილაპარაკა  
მეეზოვემ და კიდევ ერთი გამოცანა თქვა:

ჯერ:  
ჩამოაგდო პრეზიდენტი.



შემდეგ:  
ააშენა შადრევნები,  
გაიყვანა გზები,  
მერე:  
როცა საქმე შემოაკლდა  
მოგვისია, დამშეული მგლები.  
კიდევ სურდა,  
შეეცვალა ჩვენი გენოფონდი.

- ამ გამოცანაზე მაწანწალა ძაღლებმა ყმუილი დაიწყეს.
- ვაი, ვაი, ვაი, სირცხვილო, ძაღლებმა გამოიცნეს, – სასოწარკვეთით აყვირდა ლოთის შვილი.
  - ძაღლების ყმუილმა და პოსლიკას სასოწარკვეთილმა ყვირილმა მთელი ქუჩა გაამხიარულა, ყველა იცინოდა, ერთმანეთს სასაცილო სიტყვებს გადასძახებდნენ:
    - ნახე ბიჭო, ძაღლები ჩვენზე გონიერები აღმოჩნდნენ...
    - გვაჯობეს, გვაჯობეს! გონიერები კი არა, უფრო თამამები ყოფილან.
    - ის მაწანწალა ძაღლი, უშიშროების სამსახურის უფროსის ეზოდანაა და გამოიცნობდა აბა, რა.
    - შეხედეთ იმ ძაღლს, მგონი, კიდევ რაღაცის თქმა უნდა...
    - ეი, ხალხო ძაღლებს თავი დაანებეთ, იქით გაიხედეთ, მგონი ჩვენი ბედოვლათები მოდიან, – თითს იშვერდა მესაათე, რომელსაც თავისი ჯიხური ლოთის შვილის სადარბაზოში გაეხსნა. ყველამ მოედნისკენ გაიხედა საიდანაც დროშების ფრიალით გაურკვეველი პარტიის წარმომადგენლები მოდიოდნენ.
    - რა ხდება, ამ დილაადრიანად რამ შეკრიბა ეს უპატრონოები,
    - გაბრაზებულმა მიაკურთხა ლოთის შვილმა და ფანჯარა მიხურა.
    - ფუი, არ შეგეჭამეს ამ პოლიტიკოსებმა, – მიაფურთხა სახატაპურეს თავზე მაცხოვრებელმა, დაირა ექიმმა და ფანჯარა გაბრაზებულად მიაჯახუნა.
  - დავითმაც მიხურა ფანჯარა, თან მეეზოვეს ხელით ანიშნა: იჭაურობას მოცილდიო.



ამირანს გაღვიძებოდა... მშობლების ზამზარებიან ლოგინზე ასულიყო და ხტუნაობდა. სამზარეულოდან შემობრუნებულმა თამარმა, როცა დაინახა, საწოლზე მოხტუნავე ამირანი, დავითს უსაყვედურა:

– დავით, ჩანგრევეს ეს ბავშვი ამ საწოლს. რატომ არ აქცევ ყურადღებას? რატომ არაფერს არ ეუბნები?

– აბა რა გითხრა, მაგხელა, რომ ვიყავი მეც მიყვარდა ხტუნაობა მშობლების საწოლზე, – დავითი ცოტახნით შეყოვნდა, მერე თითო დაუქნია თამარს და ნიშნის მოგებით უთხრა: – მოიცა, მოიცა, არ გახსოვს ერთხელ ერთად, რომ დავხტოდით ჩემი მშობლების საწოლზე, თუ გახსოვს? დედაჩემმა შემოგვისწრო. აბა კარგად გაიხსენე, კარგად... გახსოვს? მაშინ დედა, არცერთს არ გაგვიჯავრდა, მხოლოდ მოგვიახლოვდა და მაგრად ჩაგვიკრა ორივენი გულში.

– კი მახსოვს, კარგი დრო იყო, – სევდიანად თქვა თამარმა. – მახსოვს... მერე ერთად საოცრებების ტყეში წავედით, გუბის წყალთან, ჩვენს მიერ დათესილი, ახლად ამოსული კაქტუსის სანახავად, – და თამარმა კაქტუსს გახედა.

– დედაჩემის სანახავად, – ჩაერთო საუბარში კაქტუსი, რომელსაც უკვე მეორე ეკალით გაეხვრიტა ფანჯრის მინა.


მშობლების საუბარში, ამირანს ჩარევის სურვილი არც კი გასჩენია, რამეთუ მისი ფიქრი სულ სხვაგან დაფრინავდა, ის საწოლზე ხტუნაობას განაგრძობდა და თავისთვის გაიძახოდა:

– დღეს ნინოსთან მივდივართ სტუმრად, დღეს ნინოსთან სტუმრად წავალ.

– ჰო მართლა, რომელზე მივდივართ? – სხვათაშორის იკითხა თამარმა, თან საწოლზე მოხტუნავე ამირანს გახედა, ხელი ჩაიქნია, მიხვდა, რომ ამირანს მათთვის არ ცხელოდა.

– ხუთისთვის, – უპასუხა დავითმა.

– გასაგებია, მაგრამ მანამდე ამირანმა გაკვეთილები უნდა მოამზადოს, მე კი ხვალინდელი სადილი მაქვს მოსამზადებელი, სარეცხი დასარეცხი და...

– მე, კი, – შეაწყვეტინა სათქმელი თამარს დავითმა, – თქვენ გაგიწევთ ზედამხედველობას. 

– რა მოურავი ხარ? გაგიწევთ ზედამხედველობას, ჰო, ჰო, ჰო,  
– გამოაჯავრა თამარმა.

– მამა მოურავია, მამა მოურავია, – ახლა ეს აიჟინა ამირანმა,  
რომელიც საწოლზე ხტუნვას ისევ განაგრძობდა.

– აჰყვა ესეც, შენ განახებ სეირს, – და დავითმა ამირნი ხელ-  
ში აიტაცა, შემდეგ კი, ლოგინზე გადააკოტრიალა.

– მიშველეთ! მიშველეთ თავს დამესხნენ! – ატეხა დიდი ვიშ-  
ვიში ამირანმა, – პატარებს ჩაგრავენ, დამეხმარეთ! – და, უფრო  
ხმამაღლა აყვირდა.

ასე არ უნდაო პატარების დაჩაგვრაო და: თამარი, ფუტკარი,  
სხივის ბურთი ერთად ეტაკნენ დავითს... შეიქმნა ერთი მხიარული  
აურზაური.

– ყველა ერთზე მოდიხართ, კარგი მე თქვენ განახებთ სეირს,  
– და დავითმა ჯერ თამარი წააქცია საწოლზე და ზედ ამირან-  
იც წამოაგორა.

– მე გავიმარჯვე, ვაშა! ვაშა! – მხიარული და გამარჯვებული  
შეძახილებით დაიწყო ბოლთის ცემა ოთახში, მაგრამ ეს გამარჯ-  
ვება დიდხანს არ დასცაღდა, ლოგინიდან წამოხტა ამირანი და  
ფეხებში ეცა, ხოლო თამარმა ხელების გადაგრეხა დაუწყო, სხი-  
ვი კი მუცელში ისე ეტაკა, დავითს გაუკვირდა ესენი მართლა  
ხომ არ მებრძვიანო და შეშინებულმა, დამარცხების ნიშნად ხელ-  
ები ზევით ასწია.

– გნებდებით, გნებდებით! დაგმარცხდი, – ყვიროდა დავითი და  
თან აქეთ-იქით იყურებოდა შემთხვევით არ წავიქცე და ქვეშ ვინ-  
მე არ მოვიყოლო.

– აღიარებ? კარგია! და, თუ დამარცხდი, შენ დავალება! წადით  
ორივე მამა-შვილმა და პური ამოიტანეთ, – გამარჯვებული იერი  
მიიღო და მკაცრი ტონით მიმართა თამარმა დავითს.

– არის უფროსო! კარგი წავალთ, – მიიღო ხუმრობით გაცემუ-  
ლი ბრძანება დავითმა და ამირანს ანიშნა: ჩაიცვიო.

– მეც წამოგყვებით პურზე, – ითხოვა ფუტკარმა.

– წამოდი, – ერთხმად დაეთხმა მამა-შვილი.

სანამ ამირანი იცვამდა, დავითმა დრო იხელთა და თამარს  
შეესუმრა:



– უი, თამარ როგორი მოხერხებული ყოფილხარ ჭიდაობაში. დამარცხებულს კოცნა არ ეკუთვნის? თუ მაკოცებ ნამცხვარს გიყიდი. მაკოცე რა, ერთხელ მხოლოდ ერთხელ - მხოლოდ ერთი კოცნა მინდა არ გეგონოს შენთვის ვკვდები... – წაიმღერა და ვითმა და თამარს ლოყა მიუშვირა.

– კარგი ჰო, ნუ მომაბეზრე თავი, კარგი, კარგი! – და თამარმა აკოცა.

დავითმა ამით ისარგებლა და თამარი თავისკენ მაგრად მოიზიდა, თამარიც დაჰყვა. ერთმანეთს ტკბილად ჩაეხუტნენ საუკუნედ შეყვარებული ცოლ-ქმარი. ეს, რომ ამირანმა დაინახა, გახარებული მშობლებს მოეხვია.

– აა, პატარა ყაჩაღო მზად ხარ. წავიდეთ პურზე? – ჰკითხა დავითმა.

– კი, წავიდეთ, – დაეთანხმა ამირანი.

გარეთ თბილი და სასიამოვნო დილა იდგა. ფუტკარი ხან ამირანს, ხან კი დავითს შემოაჯდებოდა მხარზე. უსმენდა მათ ზოგად, უსაგნო საუბარს და იმაზე ფიქრობდა, თუ რა მშვენიერი ყოფილა ცხოვრება.

– დავით, დავით! – ვიღაცამ დავითს დაუძახა.

დავითმა იქითკენ მიიხედა საიდანაც ხმა შემოესმა და თავისი სკოლის მეგობარი დაინახა, რომელიც ჰაერში დაკიდებული გადასასვლელის გარეშე, ქუჩაზე გადმოსვლას ცდილობდა, მაგრამ მანქანები და მოხტუნავე კენჭურები ამის საშუალებას არ აძლევდნენ, ბოლოს, როგორც იქნა გადმოსვლა მოახერხა.

დავითმა და ფრიდონმა ერთმანეთს ჯერ ხელი ჩამოართვეს, მერე გადაეხვივნენ.

– ეს შენი ვაჟკაცია? – ჰკითხა ფრიდონმა.

– დიახ, – მამის მაგივრად უპასუხა ამირანმა.

– შენთან მოვდიოდი, – უთხრა ფრიდონმა.

– მერე წამოდი. ხომ იცი თამარს ძალიან გაუხარდება. ისე, შენც, თუ აქ იყავი არ ვიცოდი, – გაკვირვებულმა და ოდნავ ჩაფიქრებულმა თქვა დავითმა.

– ჰოო, შენი ნახვა დამავალეს და ამიტომ ვარ აქ, – ცოტა სევდიანი ხმით უპასუხა ფრიდონმა.



- მაინც რა ხდება? - ჩაფიქრდა დავითი.
- ჯადოსნურ ტყეში, გუბის წყალთან, რომ მუხის ხეა, რამდენიმე ფოთოლი ნაადრევად გაუყვითლდა, ეს ამბავი ფუტკრებმა გამაგებინეს, ცუდათ ენიშნად... სოფელმაც მთხოვა მომეძებნე და ეს ამბავი შენთვის მეცნობებია, - ფრიდონმა ხელი ჩამოადო დავითს მხარზე და თვალებში ჩახედა.
- დავითმა იგრძნო მძიმე ხელი, ხელი რომელიც მზად იყო დაეცვა სიკეთე, კეთილი ადამიანები და ამ სოფლის სამართალი.
- კარგი, ავიდეთ ჩვენთან, - ისევ შესთავაზა დავითმა.
- არა დავით, რახან გნახე აღარაა საჭირო. იცი შენ... თუ დროზე არ დაგბრუნდი დაიკეტება ჩვენს სოფელში შესასვლელი სივრცე. - ფრიდონს შეეტყო, რომ ძალიან ჩქარობდა.
- სივრცე! ის ისევ გაიხსნა? - გაკვირვებულმა იკითხა დავითმა.
- არა, მხოლოდ ერთი საათით. ჰო, მართლა ის ხომ ჩვენი ზაქარიაა, - და ფრიდონმა ხელი გაიშვირა მენაგვისკენ.
- ჰო ჩვენია, უნდა ნახო რა გულმოდგინედ გვდარაჯობს და როგორ უშლის ნერვებს ინჩ-რუს-უზუმეებს. ისინი მას არაფერს არ ეუბნებიან, აგდებულნი ჰყავთ - მართლა ქუჩის მენაგვე ჰგონიათ, და... - და, დავითმა თვითონაც გაიხედა ზაქარიასკენ.
- კარგი მენაგვეს ვნახავ და წავალ, - გაიხუმრა ფრიდონმა.
- ბავშვობის მეგობრები ერთმანეთს თბილად დაემშვიდობნენ.
- მამა ეს ის კაცია, შენ რომ ახსენებ ხოლმე? ჩვენს სოფელს დარაჯობსო?! - ჰკითხა ამირანმა.
- ის ფრიდონია კი. ჰო, რომ იცოდე კარგ ლექსებსაც წერს. იცი, მას, ერთხელ მეც დავუწერე ლექსი, გინდა წაგიკითხო? - საუბრობდა დავითი, მაგრამ, აშკარად ეტყობოდა სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.
- მინდა, - უპასუხა ამირანმა და დავითს ხელზე მაგრად ჩამოქაჩა. ამირანმა შეამჩნია, რომ მამა მართალია მას ესაუბრებოდა, მაგრამ ფიქრებით სხვაგან, სადღაც შორს იყო წასული. ამირანმა იცოდა რაც ხდებოდა, ისიც იცოდა რა შეიძლებოდა მომხდარიყო და ელოდა იმ დროს როცა ვაჟკაცობა უნდა გამოეჩინა და ყველა-





ფერი შეეცვალა... რასაკვირველია თუ ამის საშუალება მიეცემო-  
და.

– ეი მამა, მითხარი, – და კიდევ ერთხელ ჩამოქაჩა მამას ხელ-  
ზე.

– ჰო მართლა, – გამოფხიზლდა დაგითი, – მისმინე:

პოეტი იწვის როგორც სანთელი

და ამიტომაც ჩქარობს,

რომ სხვამ არა სთქვას

მისი სათქმელი.

და შენც იჩქარე! თორემ ჩაქრები.

გახსოვდეს!

პოეტი იწვის როგორც სანთელი.

– კარგია. მამა, მე, შენი ნიჭი გამოძევა. მაგრები ვართ, – ამაყ-  
ად თქვა ამირანმა.

მამა-შვილი ერთად მიუყვებოდნენ ქუჩას - მამა იმაზე ფიქრობდა,  
შვილს რაიმე საშიშროება ხომ არ ემუქრებოდა? - ფრიდონის გა-  
ფრთხილება ცუდათ ენიშნა... შვილი კი, იმაზე ფიქრობდა, თუ  
მამისათვის როგორ შეემსუბუქებინა ვალდებულებების ტვირთი...  
მაგრამ, არცერთი არ ამჟღავნებდა თავის სადარდელს. მიაბიჯებ-  
დნენ გულარხინად და ერთმანეთის გასამხიარულებელ სასაცი-  
ლო ამბებს იგონებდნენ.

პურის საცხობთან დიდი რიგი იდგა. რიგში, იმ ადამიანებს ვი-  
საც მოსაუბრე არ ჰყავდათ, თავჩაქინდრულები იდგნენ ან სად-  
ღაც შორს სივრცეში იყურებოდნენ, ცდილობდნენ სხვებისათვის  
თვალებში არ შეეხედათ ან სხვის მზერას გაქცეოდნენ. ნაცნო-  
ბები კი, ერთმანეთში საუბრობდნენ, თავმომწონედ ეჭირად თავი,  
ვითომდაც იმ ადგილის, სადაც იდგნენ, მეპატრონეები იყვნენ და  
არსებულ ვითარებას სრულად აკონტროლებდნენ. ბავშვები, რომ-  
ლებიც უფროსებს ახლდნენ მოუსვენრად წრიალებდნენ და ერთი  
სული ჰქონდათ, თუ როდის მოსცილდებოდნენ ამ უაზრო ადგი-  
ლს. ცოტა მოშორებით მათხოვარი მამაკაცი იდგა და რიგში  
მდგარ ადამიანებს თვალებით წონიდა, ალბათ საზღვრავდა, თუ

ვისთან შეიძლება მისვლა ფულის სათხოვნელად, ბოლოს გადაწყვიტა, რიგს ფრთხილად მიუახლოვდა და ყველაზე კარგად ჩაცმულ, ქერათმიან, ქაღალტონს ხელი გაუწოდა და ჩუმად მიმართა:

– დამეხმარეთ, თუ შეიძლება, გთხოვთ.

სანაცვლოდ, ქალმა ჯერ გამგმირავი მზერა ესროლა, მერე კი ზიზღით მიმართა:

– ამხელა კაცი ხარ, წადი იშრომე ან მოიპარე. სხვის შემყურედ რატომ დახეტილობ? არ გრცხვენია?

მათხოვარი გაწბილებული ძაღლივით უკან გაბრუნდა და, ისევე ადრინდელ ადგილზე დადგა.

ამირანმა ჯერ ქერათმიან ქალს გახედა, მერე მამას ახედა, დავითს გაეღიმა და ამირანს თავზე ხელი გადაუსვა. ამირანი დამშვიდდა, ფუტკარიც - რომელსაც ერთი სული ჰქონდა ქერათმიან ქალს დატაკებოდა. როგორც იქნა მამა-შვილს რიგმა მოუწია, დავითმა ოთხი შოთის პური იყიდა, ერთი ამირანს მიაწოდა. ამირანმა იცოდა რაც უნდა ექნა, მამას პური გამოართვა და მათხოვარს მიუტანა, რომელიც, სასოწარკვეთილი ელოდებოდა, თუ როდის წავიდოდა ის ანჩხლი ქალი, რომ კიდევ ერთხელ ეცადა ბედი.

– პურის მადლი არ მოგიშალოს ღმერთმა, – დალოცა მათხოვარმა ამირანი და პური ორივე ხელით გამოართვა.

ამირანს ესიამოვნა მათხოვრის დალოცვა, მამას წამოეწია და ჰკითხა:

– მამა, მამა, გაიგონე როგორ დამლოცა?

– კი შეილო. ამ ლოცვას დიდი მადლი აქვს.

– მაინც? – ჩაეძია ამირანი.

– მოდი გინდა სადმე ჩამოვჯდეთ, აი თუნდაც იქ, იმ ეკლესიის ეზოში, – და დავითმა რუსულ ეკლესიაზე მიუთითა.

– კი ჩამოვჯდეთ, – დაეთანხმა ამირანი.

მამა-შვილი ეკლესიის ეზოში შევიდა და თავისუფალ სკამზე ჩამოსხდნენ.

– გისმენ მამა, – მიმართა ამირანმა დავითს.

– ჯერ, ცოტა შორიდან დავიწყებ. წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

– და დავითმა მშვიდი ხმით დაიწყო საუბარი: – იბერია ხორბლ-



ის სამშობლოდ ითვლება, ჩვენთან უმეტესად შავთავთავიან ხორბალს თესდნენ, რომელიც სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეა, ამ ხორბლის პური გემრიელია და მას ძალიან ცოტა საფუარი სჭირდება პურის ცომის ამოსაყვანად. ეს ზოგადად პურზე, ხოლო რაც შეეხება პურის მადლს, ამირან, გახსოვდეს პურის სიტყვა მაცხოვარია, აი მომისმინე რას ამბობს მათე: „არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, არამედ სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმერთისა“. ხოლო, ლუკა ამბობს, და კარგად ჩაწვდი ამ ნათქვამსაც: „ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმერთისასა“. და, ამ ნათქვამით პურის მოზიარეობა იგულისხმება, ანუ სულის პურისმტეობა, რაც საიდუმლო სერობის ღერძია.

– მამა, ჩვენთან პური და ღვინო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ხომ ასეა? ჰო-და ამაზე რას მეტყვი? – ამირანმა ცნობისმოყვარე თვალები მიანათა მამას.

– გეთანხმები ამირან, არც ერთ ქვეყანაში და ერში არ არის ისეთი მჭიდრო შინაარსობრივი კავშირი ღვინოსა და პურს შორის როგორც იბერიაში. იცი შენ, რომ პურ-ღვინო მაცხოვრის სისხლი და ხორცია. პურის და ღვინოს მიღებით მორწმუნე, ქრისტეს სიწმინდეს ეზიარება და ცოდვებისაგან იწმინდება, რათა საიქიოში ცხონდეს. ასევე აუცილებლად უნდა იცოდე, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის წესით ზიარება ყველა მორწმუნეს შეუძლია, კათოლიკურით კი, მხოლოდ სამღვდელოებას. და კიდევ, აი რას ამბობს ქრისტე საიდუმლო სერობაზე პურის შესახებ: „ესე არს ხორცი ჩემი“. ხოლო, ღვინოზე: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისაი, მრავალთათვის დათხეული მისატევლებლად ცოდვათა“.

– მამა, ესე იგი ქრისტემ აკურთხა და წმინდაჰყო პური და ღვინო?!

– თაფლი? თაფლისგან ხომ სანთელს აკეთებენ, – ხუმრობით იკითხა ფუტკარმა, მაგრამ მის ხუმრობას არავინ არ მიაქცია ყურადღება.

– და, კედევ რა მამა, – გააგრძელა საუბარი დავითმა, – იცოდე, რომ ის, ვინც სხეულს გვაძლევს, სულსაც გვაძლევს ანუ პური თავისი არსით უფრო სულიერი საზრდოა და როცა შენ მათ-

ოვარმა დაგლოცა, იცოდე, ღმერთი გლოცავდა მათხოვრის პირით. ხოლო, რაც შეეხება სანთელს, – და დავითი ფუტკრისკენ გადაიხარა, რომელც ამირანის მხარზე მოკალათებულიყო, – ისიც კურთხეულია.

დავითის პასუხმა ფუტკარი დააწყენარა, რომელიც უხერხულად გრძნობდა თავს.

– მამა! – უნებლიედ წამოიძახა ამირანმა.

– ვიცი რაც უნდა მითხრა ამირან. ისიც ვიცი, რომ შენ ეს ყველაფერი გაველილი გაქვს წინა ცხოვრებაში, მაგრამ, არის ისეთი რამე რაც ამ დრომ სხვანაირად წარმოაჩინა... და ესეც უნდა იცოდე!

– არა, მე ის უნდა მეთქვა, რომ იმ მათხოვარს თავზე ანგელოზი ჰყავდა, მე ის დავინახე, – ამირანმა გონებით შთანთქა მამის ნათქვამი... და გონების თვალთ ნანახი გაუმხილა.

– კარგია, მაგრამ გახსოვდეს, მსგავსი ხედვები დროთა განმავლობაში უფრო გაგიძაფრდება და ამას შეეჩვიე. კარგი... ახლა წავიდეთ სახლში, თორემ დედას შეეშინდება.

მამა-შვილი წამოდგა და სახლისკენ გაეშურა, ფუტკარიც უკან გაჰყვა - ფრენა-ფრენით.

– მამა შეხედე კაცი ბუს წიგნები უკვე გამოუტანია გასაყიდათ, – და ამირანმა, მამა, წიგნებთან მოფუსფუსე კაცისკენ მიახედა.

– ჰოო, სულ ასე ფუსფუსებს. ოხ ახლა აქ გავლა არ გინდა... ამ ადრიანად რამ მოიყვანა ეს ხალხი, – გაბრაზებულმა თქვა დავითმა.

და, მართლაც, მოედანი გავსებული იყო ხალხით, რომლებიც ჭიანჭველებივით ირეოდნენ. გამლელების უმეტესობა ციგნების მიერ გასაყიდათ გამოტანილ იაფიან საქონელს ეტანებოდა, ზოგი კი, უსაქმურად იდგა, ზოგიც იქვე ნაყიდ ხაჭაპურს ჭამდა. ჯიბის ქურდებიც საკმაოდ ბევრი ირეოდა, ისინი უყურადღებო ადამიანებს არჩევდნენ, ფული, რომ ამოეცანცლათ; მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იდგა კაცი ბუს მიერ გამოტანილ წიგნებთან. ამირანს, ადრეც შეუმჩნევია, რომ წიგნებთან ძირითადად ღარიბულად ჩაცმული ადამიანები ტრიალებდნენ... ის ვინც ვერ ყიდულობდა წიგნს, იქვე კითხულობდა... კაცი ბუ, ასეთებს, რომ შეამჩნევდა, შეე-



კითხებოდა, თუ რამდენად სურდათ წიგნის ყიდვა, და დასახელებულ ფასზე უფრო ნაკლებ ფასში აძლევდა - მათ მიერ მოწონებულ წიგნს. ახლაც, ერთ პატარა ბიჭუნას სულ ორმოცდაათ თეთრად მიყიდა ხალხური ზღაპრების წიგნი. სიხარულისაგან დაბნეულმა ბავშვმა ვერც კი შეამჩნია მომავალი მამა-შვილი... სწრაფად შემოტრიალდა, ჯერ ამირანს დაეჯახა, შემდეგ კი, დავითს პირდაპირ მუცელზე შეასკდა. დავითს გაეცინა, დავითის სიცილზე ბავშვსაც სიცილი აუფარდა, მუგუზალივით შავი თვალები მიანათა, ბოდიში მოუხადა და გაქუსლა... სად? - ალბათ სახლში, წიგნის წასაკითხად.

- მამა, სულ მაინტერესებდა, რატომ შეარქვეს ამ კაცს ბუ? - ჰკითხა ამირანმა მამას.

- სახლში მოგიყვები, - შეპირდა დავითი.

მამა-შვილს და ფუტკარს სახლში შესვლისთანავე ისეთი გემრიელი საჭმლის სუნი ეცათ, რომ სამივემ, სიამოვნების ნიშნად, ერთდროულად - უმ, უმ, უმის, ძახილი დაიწყეს.

- თამარ საჭმელი უკვე მზადაა? - იკითხა დავითმა.

- არა, მაგრამ, ნახევარ საათში მზად იქნება, - უპასუხა თამარმა.

- მამა, მანამდე შენ კაც ბუზე მომიყევი. ძალიან გთხოვ რა, - არ ეშვებოდა ამირანი მამას.

- რა გაეწყობა, ასე ჯობს, თორემ ამ სუნისგან კუჭი ამიღრუტუნდა, - ხუმრობით, მაგრამ ამასთან შეწუხებული ხმით თქვა დავითმა, და წაიმღერა:

ღრუტ, ღრუტ, აღრუტუნდა კუჭი,  
ქოთ, ქოთ, აქოთქოთდა მუცელი.  
ეს ცხოვრება არ გეგონოთ ფუჭი,  
თუ სავსე გაქვთ კუჭი.

- აქეთ გამოდით, აქეთ, აქ იმღერეთ, და აქ მოყევით, - საძინებელი ოთახიდან გაისმა კაქტუსის მუდარიანი ხმა.

- უყურე შენ ამას, თითქოს-და ყურები არა აქვსო, ამ დროს კი, ჩვენზე კარგად ესმის, - აღნიშნა დავითმა.



– სხვათაშორის ჩემს ფესვებს წყლის დასხმა სჭირდება, – საძინებელი ოთახიდან ისევ გაისმა კაქტუსის ხმა.

– მეც მაინტერესებს, – კაქტუსის თხოვნას ხის კასრიც შეუერთდა.

მამა-შვილი დაემორჩილა მეგობრების თხოვნას და საძინებელ ოთახში გავიდნენ. ყველა თავის ჩვეულ ადგილზე მოკალათდა და გაყუჩდნენ საინტერესო ამბის მოლოდინში.

დავითმა დაიწყო:

– კაც ბუს ბავშვობაში ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, მაგრამ, წიგნის ყიდვის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ღამე, ჩუმად შეიპარებოდა ბიბლიოთეკაში, თაროდან აიღებდა ნებისმიერ წიგნს, შეძვრებოდა მაგიდის ქვეშ და სანთლის შუქზე კითხულობდა. მართალია, ბიჭის ეს საქციელი, ბიბლიოთეკის დარაჯმა შეამჩნია, მაგრამ, არ აცნობა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, პირიქით, ხელს უწყობდა შეპარვაში - ფანჯარას უტოვებდა ღიას, უფრო მეტიც იმ მაგიდის ქვეშ სადაც სანთლის ნადვენთი შეამჩნია, ძეხვიან პურის ნაჭერს ახვედრებდა. ბიჭუნა, დაახლოებით ხვდებოდა, რომ მას დარაჯი ეხმარებოდა და საჭმელს, ის ახვედრებდა, მაგრამ, ამ ამბავს არ ამხელდა, რადგანაც ამის გამო, შესაძლოა, დარაჯი სამსახურიდან დაეთხოვათ.

ერთხელ, როცა ბიჭუნა, ისევ შეიპარა ბიბლიოთეკაში... მაგიდის ქვეშ პურთან ერთად წერილი დახვდა, რომელშიც მიპატიუბის თხოვნა ეწერა.

– ბიჭუნა ობოლი იყო? – იკითხა ამირანმა.

– ჰო, ობოლი იყო და უსახლკარო, – უპასუხა დავითმა და თხრობა განაგრძო: – ბიბლიოთეკის დარაჯი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა. ბიჭუნას ჯერ ყვითელი ავტობუსით მოუწია მგზავრობა, შემდეგ კი ფეხით სიარული. დარაჯის სახლს კითხვა-კითხვით მიაგნო და როცა უზარმაზარ სახლს მიადგა გაუკვირდა. მორიდებით, ჭიშკარზე დამაგრებული ზარი დარეკა. ზარიც მორიდებით აწკარუნდა, ზარის ხმამ, ეზოში, ხანშიშესული, თეთრთმიანი მამაკაცის ყურადღება მიიქცია. თეთრთმიანმა მამაკაცმა ეზოს ჭისკართან ბიჭი, რომ დაინახა მიეგება - აქამდე უცნობმა მეგობრებმა როგორც იქნა ერთმანეთი გაიცნეს. თეთრთმიან კაცს თომა



ერქვა. თომამ ბიჭს ჯერ ეზო დაათვალიერებინა, მერე სახლში შეიპატიჟა. ბიჭი გაოცდა, როცა ყველა ოთახში წიგნებით გავსებული თაროები დაინახა. თომამ, ბოლოს სამზარეულოში შეიყვანა, სადაც სუფრა დახვდათ გაშლილი. სამზარეულოში ბიჭს სასიამოვნო გარეგნობის ქაღალტონი მიეგება. ქაღალტონმა თავისი სახელი გაცნო, მერე მხრებზე აღერსიანად მოხვია ხელი, სკამთან მიიყვანა და სუფრასთან დასვა.

ბიჭს ასეთი მრავალფეროვანი სუფრა არასოდეს არ ენახა. არ იცოდა რითი დაეწყო ჭამა. ქაღალტონი მიუხვდა, წამოდგა და თვითონ გადმოუღო ქათმის ხორცი, პური და ჭიქაში ლიმონათი დაუსხა. ბიჭი ლიმონათს მიეწაფა, ლიმონათი არასოდეს დაეღია, თუმცა მის შესახებ სმენოდა და როცა მთელი ჭიქა დაცალა, ასე ეგონა რომ სამოთხეში მოხვდა, შუშხუნა წყალმა ენა სასიამოვნოთ დაუბუჟა, ხოლო მოძალებულმა ლიმონათის აირმა თვალები აუცრემლა, ბოყინი წამოცდა, შერცხვა ბოყინის, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ამაზე ცოლქმარს გაეცინა, თვითონაც გამხიარულდა, გათამამდა, და საჭმელს მიეძალა. ყოველი ახალი კერძის გადაღების შემდეგ ქაღალტონს შეხედავდა და როცა მომღიმარე სახეს დაინახავდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა. ჭამას მაშინ მორჩა, როცა იგრძნო, რომ მუცელში მცირედი ცარიელი ადგილიც კი აღარ ჰქონდა დარჩენილი. სკამზე მოეშვა. ორივეს შეხედა და გაუმხილა, რომ: მას ასე ბევრი მთელი თავისი თორმეტი წლის განმავლობაში არ ეჭამა.

სადილის შემდეგ ცოლ-ქმარმა ბიჭი მისაღებ ოთახში გაიყვანა. დაწვრილებით გამოკითხეს თუ სად ცხოვრობდა, წარმოშობით საიდან იყო, ახსოვდა თუ არა თავისი მშობლები და როცა შეიტყვეს, რომ ბავშვმა მხოლოდ თავისი სახელი და ასაკი იცოდა – ძალიან შეწუხდნენ. ბოლოს, სახლში მოპატიჟების მიზანიც გაუმხილეს... და, როცა ბიჭმა გაიგო, რომ მისი შვილად აყვანა სურდათ, გახარებული ჯერ თომას და მერე ქაღალტონს ჩაეხუტა. ამ საქციელმა მუხუცებულები ძალიან აადელება და ორივე ატირდა. ამ დროიდან ბიჭი მათთან ცხოვრობდა, მას არ აკლდა არც საჭმელ-სასმელი და არც ჩასაცმელი, ხოლო როცა სრულწლოვანი გახდა, პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩააბარებინეს, დიდი მეცნიერი

გახდა, მაგრამ, წიგნის მოყვარულებთან არჩია ურთიერთობა, მათ ეხმარებოდა და მათზე ზრუნავდა, სწორედ ამიტომ დაიწყო წიგნების ყიდვა-გაყიდვა. ახლა მასაც ჰყავს აყვანილი ორი ბიჭი, რომლებსაც თავის გოგონასთან ერთად ზრდის.

– მამა, „კაცი ბუ“ იმიტომ შეარქვეს ბიბლიოთეკაში ღამე, რომ კითხულობდა წიგნებს? – ჰკითხა ამირანმა მამას.

– ჰო, და იმიტომაც, რომ ძალიან ჭკვიანია, – და დავითმა დამაჯერებლობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ყველა წიგნის მოყვარულს ეხმარება? – შეეკითხა კაქტუსი.

– ყველას, დარაჯმა მას დიდი სიმდიდრე დაუტოვა. ჰო, კიდევ რა, მათ სახლში ცოცხალი წიგნებიც ბინადრობენ, – ყველას საყურადღებოდ თქვა დავითმა.

– რას ნიშნავს ცოცხალი წიგნები? – დაინტერესდა ფუტკარი.

– რაას, და როცა გადაშლი წიგნს მისი კითხვა არ გჭირდება, წიგნი ადამიანის ენაზე იწყებს საუბარს და ჰყვება მასში დაწერილ ამბავს, – განუმარტა მეგობრებს დავითმა, და თამარს შეესმინა:

– თამარ, რას გვიპირებ? კუჭები ხერხემალს მიგვეკრო, გეშია, – ბოლო სიტყვა - „გეშია“, განწირული ადამიანის ნათქვამს ჰგავდა.

– მოდით, მოდით, უკვე მზადაა, სუფრაც გაშლილია – მოიხმო თამარმა.

თამარს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დავითი წამოხტა და: ვაშა! ვაშა! ძახილით სამზარეულოსაკენ წააცუნცულდა, ამირანიც უკან მიჰყვა და თან გაიძახოდა:

– მე უფრო მშია, მე უფრო მშია, – თან დაწინაურებას ცდილობდა, მაგრამ დავითი წინ არ უშვებდა.

ფუტკარი და სხივის ბურთიც თან გაჰყვნენ. ორივეს დავითის საქციელზე ეცინებოდათ.

სადილმა მხიარულად ჩაიარა. მერე, ტელევიზორს მიუსხდნენ და პოლიტიკური გადაცემის ტელეწამყვანის გაუმართავ საუბარზე იცინოდნენ. მაგრამ, როცა ღია ეთერში, გადაცემის მონაწილეებმა დავითაშვილმა და ვიდაც უცნობმა პოლიტიკოსმა მუშტიკრივი გამართეს, თამარი აღშფოთდა და ტელევიზორი სხვა არხზე





გადართო, უარესი - ბრაზილიური ფილმის სერიალი გადიოდა. ისევ გადართო სხვა არხზე, სადაც თურქული ფილმის სერიალი გადიოდა, კიდევ და კიდევ... და იმაზე უარესი და უარესი - ვამპირებზე გადიოდა ფილმი. მერე, ისევ ადრინდელ არხზე დააბრუნა, სადაც უკვე პოლიტიკოსების ჩხუბის მიზეზებს არჩევდნენ. ამ ტანჯვა-წამებში სტუმრად წასვლის დროც მოახლოვდა. ამირანი აწვრიალდა:

- მამა, არ დაგვაგვიანდეს, უხერხულია.

- არ დაგვაგვიანდება, - დაამშვიდა თამარმა აწვრილებული შვილი, - ზუსტად მივალთ.

და, მართლაც, სტუმრად ზუსტად დათქმულ დროს მივიდნენ. კარი ნინომ გააღო, ბებიაც იქვე იდგა, და სტუმრები მისაღებოთახში მიიპატიჟა, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო. სუფრას ორი მამაკაცი და ქალბატონი მისხდომოდა. ბებიამ, თავის ახლობლებს, დავითის ოჯახი წარუდგინა... მამაკაცები მაშინვე წამოდგნენ ფეხზე და ახლად შემოსულ სტუმრებს თავის დახრით მიესალმნენ, მხოლოდ ქალბატონი არ წამომდგარა, მას დავითი თავად ეახლა, გაეცნო და ქალის მიერ გამოწვევნილ ხელს ეამბორა. დავითის საქციელზე ამირანს და ნინოს ეშმაკურად გაეცინათ. მართამ, ბავშვები მაგიდასთან მიიწვია და ერთად დასვა, უფროსები კი თავისი შეხედულებებისამებრ განაწილდნენ. მართამ, სუფრის თამალობა მის ახლობელს სთხოვა. თამადამ, ჭიქების ღვინით შევსება ითხოვა და პირველი სადღეგრძელო უფლის სადიდებელი შესვა:

- დიდება იყოს შენი! ღმერთო ჩვენო. უფალმან მმწყესოს მე და ყოველი ჩვენთაგანი. ნათელმა შუქმა გაანათოს სული ჩვენი და გვიძლოდეს ჩვენ წინ, რათა არ ჩავიდინოთ ბოროტება, - თამადამ, ჭიქა ბოლომდე შესვა და დასძინა: - არაჩვეულებრივი ღვინოა, პირდაპირ ვაზის ნაჟურია.

სადღეგრძელო ყველამ აიტაცა, ქალბატონებმაც კი, ფეხზე ამდგარი შესვეს უფლის სადიდებელი სადღეგრძელო.

მეორე სადღეგრძელო, თამადამ, იბერიისა შესვა:

- ჩვენს დედა იბერიას გაუმარჯოს, მამების სისხლით მურწყულს და დედების ცრემლით ნაკურთხს. იმ იბერიას გაუმარჯოს



სადაც შეთი, ნოე, წათე, დავითი, თამარი, შოთა, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგი, ერეკლე, ილია, ვაჟა-ფშაველა იშვა და სადაც ჩვენი შვილები იზრდებიან. იბერიას გაუმარჯოს! ჩვენს იბერიას, რომელმაც ჭეშმარიტი სარწმუნოება შემოუნახა მსოფლიოს.

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – ერთხმად შეაგებეს სადღეგრძელოს სიტყვა სუფრის დანარჩენმა წევრებმა, და ეს ჭიქაც ბოლომდე დაიცალა.

მესამე ჭიქა თამადამ წარსულისა და მომავლის გაერთიანებულ სადღეგრძელო შესვა:

– ჩვენს დიად წარსულს გაუმარჯოს, რომელიც ჩვენი ფესვებია, გვასაზრდოვებს და ძალას გვმატებს, და ჩვენს მომავალს გაუმარჯოს, რომელიც იმედს გვაძლევს და გვაცისკროვნებს. თქვენი სახით გაუმარჯოს მომავალს, – სადღეგრძელო თამადამ ამირანისა და ნინოს დღეგრძელობით დაასრულა.

ბავშვებმა დღეგრძელობისთვის მადლობა მოუხადეს თამადას.

მესამე სადღეგრძელოს, მეოთხე და მეხუთე მოყვა. სუფრა გამხიარულდა. ხან რას ყვებოდნენ, ხან რას. ბავშვებმა სუფრის დატოვება და სხვა ოთახში გასვლა ითხოვეს, უფროსებმა ნება დართეს.

– ახლა ბავშვები გავიდნენ და უფრო დაწვრილებით მოყვეი, ერთი რა ხდება ქათამას სასწავლებელში, – თხოვნით მიმართა თამადამ ქალბატონს, რომელიც ფორტეპიანოზე მთვარის სონატას უკრავდა.

ქალბატონი ელისო შემოტრიალდა, და გრიგოლს უპასუხა:

– აბა რა უნდა გითხრა? ისეთი, რაც ყველა სასწავლებელში არ ხდება. ბოდიში გამოთქმისათვის და ბავშვებს პირდაპირ ფულს აღლუტავენ, ცოდნას კი არ აძლევენ. ამ ჯიბე გასქელებულებს თავიანთი შვილები საზღვარგარეთ ჰყავთ გაგზავნილი, ცნობილ უნივერსიტეტებში. და მერე ვის ხარჯზე? ისევ ამ საწყალი ბავშვების ხარჯზე. ეს კიდევ რა, სასწავლებლებში ბავშვებისაგან შექმნეს თვითმართველობის ჯგუფი და სასწავლებლის შემოსავლის სამ პროცენტს მათ ურიცხავენ, ვითომ სხვადასხვა საბავშვო გასართობი ღონისძიებების განსახორციელებლად, სინამდვილეში კი, ამ თვითმართველობაში თავისი დამქაშები ჰყავთ შეყრილები,



რომლებიც ჩარიცხულ თანხას, ისევ სასწავლებლის უფროსს უბრუნებენ, ხოლო ქაღალდზე აფორმებენ ვითომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს ან კიდევ სხვა რამ... ანუ, პირდაპირ, რომ ვთქვათ შავი ფულის გათეთრებას აქვს ადგილი.

– ეს საშინელებაა, საშინელება! – აღშფოთდა გრიგოლი, – ასე ხომ ბავშვებს აფუჭებენ.

– ჰო, ნამდვილად საშინელებები ხდება სასწავლებლებში. მე მგონი, ამას განგებ ჩადიან, მომავალი თაობა, რომ არ გვყავდეს, – საუბარში ჩაერთო დავითი.

– ეს კიდევ რაა, თქვენ ის უნდა ნახოთ, როგორ წნეხის ქვეშ ჰყავთ ის პედაგოგი, ვინც ცდილობს ბავშვებს რამე მაინც, რომ ასწავლოს. და, თუ პედაგოგმა პატრიოტული გრძნობაც გამოავლინა, ხომ საერთოდ ცუდ დღეში ჰყავთ ის, – გულის ტკივილით აღნიშნა თამარმა.

– მართალი ბრძანდებით, მე ვიცნობ ერთ კარგ პატიოსან პედაგოგს, რომელმაც ბავშვს ნიშანი არ დაუწერა ფილოსოფიაში იმიტომ, რომ არ იცოდა თამარი რომელ საუკუნეში მეფობდა. ამის გამო სასწავლებლიდან გააგდეს - ბავშვმა უჩივლა და... – საუბარში ჩაერთო გიორგი, რომელიც როგორც შემდეგ აღმოჩნდა ქალბატონ ელისოს ბიძაშვილი იყო და თან მისი პროდიუსერი.

– ჰო ეს საშინელი წესი შემოიღეს, თუ ბავშვი მასწავლებლის წინააღმდეგ წავიდა, მორჩა, მასწავლებელს გააგდებენ, ძალიან ბევრი უფლებები მიანიჭეს ბავშვებს, – აღნიშნა ელისომ.

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ არა, არც ასეა, თუ არ უნდათ არ ითვალისწინებენ ბავშვების მოთხოვნებს. აი, თევზის-ძეს სასწავლებელში ბავშვებმა სალოცავი ოთახის გამოყოფა მოითხოვეს, ამაზე გაცხარებულმა თევზის-ძემ, ოთახი ხომ არ გამოუყო და არ გამოუყო, მეტიც, ვინც ამ მოთხოვნის ინიციატორი იყო, სასწავლებლიდან გააგდო, – აღელვებულმა აღნიშნა მართამ.

– ნინო რომელ სასწავლებელში იყო ადრე? – ჰკითხა დავითმა ქალბატონ მართას.

– ნინო თავიდანვე სასულიერო სემინარიაშია, – უკვე დამშვიდებულმა უპასუხა მართამ დავითს.



– ჰო, გაუმართლა. ჩემმა უკვე სამი სასწავლებელი გამოიცვალა. შეეცდი თავიდანვე სასულიერო სემინარიაში უნდა მიმეყვანა. მართალია, ამ ჩემს გადაწყვეტილებას სხვა განზრახვა ჰქონდა საფუძვლად, მინდოდა ენახა, თუ როგორია რეალური ცხოვრება და თანაც ვფიქრობდი ამირანის მოთვალთვალე ვირთხებისათვის ყურადღება მომედუნებინა, მაგრამ არა... მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, – ორაზროვნად დაასრულა სათქმელი დავითმა.

– მესმის თქვენი. ნინოსაც მიუჩინეს თვალი, ეს ვირთხაზე უარესია, რობოტია, – და მიიმედ ამოისანთქა მართამ.

– ჩვენც შევაძინიეთ, როცა თქვენს სადარბაზოს მოვუახლოვდით, ის მოშორებით იდგა, ვითომ ვიღაცას ელოდებოდა, – დანანებით აღნიშნა თამარმა.

– ისე, ეს რა საშინელი რაღაცეები შექმნეს, გარეგნულად თითქოს ადამიანს ჰგავს, ამ დროს სული არ გააჩნია, საშინელება, საშინელება, – აღშფოთება ვერ დამალა ქალბატონმა ელისომ.

გვერდითა ოთახიდან, ამირანის და ნინოს სიცილის ხმა გაისმა. ბავშვების სიცილი იმდენად ხალისიანი იყო, რომ მათი მხიარული განწყობა უფროსებსაც გადაედოთ, თავი დაანებეს ცხოვრებისეულ პრობლემებზე საუბარს და თავისი ბავშვობის დროინდელი ოინების მოგონებაზე გადაერთვნენ. ამასობაში დრო ისე შეუმჩნეველად ჩაიკუჭა თავისივე განზომილებაში, რომ სტუმარმასპინძელმა ვერც კი იგრძნო, თუ როგორ მოეპარათ თერთმეტი საათი.

– დავით, უკვე თერთმეტი საათი დაიწყო, ამირანს კიდევ აქვს ერთი გაკვეთილი მოსამზადებელი, გთხოვ წავიდეთ, – სხვების შეუმჩნეველად ჩასჩურჩულა დავითს თამარმა.

– ჰო, მართალი ხარ, – დაეთანხმა დავითი.

დავითი და თამარი, ბოდიშის მოხდით სუფრიდან წამოდგნენ, და ოდნავ მაღალი ხმით - დავითმა, ამირანს გასძახა:

– ამირან, სახლში მივდივართ!

მეზობელი ოთხიდან ჯერ ნინო და მერე ამირანიც გამოვიდა.

– დავით ძია, კიდევ ცოტახანი დარჩით, – სთხოვა ნინომ. ბავშვის თხოვნა მართამაც გაიმეორა.



– ძალიან გვინდა, მაგრამ, ამირანს ერთი გაკვეთილი დარჩა მოსამზადებელი.... სხვა დროს უფრო დიდხანს დავრჩებით, – დავითის მაგივრად უპასუხა თამარმა.

სუფრიდან ყველა წამოიშალა და დავითის ოჯახი კეთილი სურვილებით გასასვლელ კარებამდე მიაცილეს.

თამარს ღამის სიგრილე ესიამოვნა... ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა.

ამირანი დედას წინ გადაუდგა და ჰკითხა:

– დედა, რომელი გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელი?

– ფიზიკა, – გაკვირვებით უპასუხა თამარმა.

– დედა ფიზიკა სამშაბათს მაქვს, – გაწბილებულმა, და ოდნავ გაბრაზებულმა თქვა ამირანმა.

– ჰო-და, ძალიან კარგი, რახან ასეა მოდით ცოტა ხანს ქუჩაში გავისეირნოთ. თანახმა ხართ? – შესთავაზა დავითმა დედა-შვილს.

– ძალიან მინდა, რამდენი ხანია არ გავისეირნია ერთად, – გახალისდა თამარი.

– თამარ, მოდი ამირანს თეთრი ღობე ვანახოთ, – და დავითმა თამარს შეხედა, – ხომ კარგი აზრია?

– რა თეთრი ღობე? – იკითხა ამირანმა.

– იცი, მოუყვე სჯობს, უფრო დაინტერესდება, თორემ რა, ღობე ღობეა და მეტი არაფერი, – სთხოვა თამარმა დავითს.

– არა თამარ, სჯობს შენ მოუყვე, ეს ამბავი შენ უკეთ იცი.

– კარგი, – დათანხმდა თამარი და ამირანს მიმართა: – ამირან, სადაც ახლა თეთრი ღობე დგას, ცოტათი ქვემოთ ცხოვრობდა მეწისქვილე, რომელსაც მშვენიერი გარეგნობის, ახოვანი ტანის ვაჟი ჰყავდა, მას თორნიკე ერქვა. სამწუხაროდ, თორნიკე თვითდაჯერებული, ყოყორი და უხეში იყო, ყველას ეჭიშპებოდა. ამ ხასიათის გამო ხალხმა შეიძულა ის, და სამეგობროდ აღარავინ ეკარებოდა. ერთხელ თორნიკემ მამას ჰკითხა: „მამა რატომ მომიძულა სუყველამ?“ მამამ უპასუხა: „ძალიან, ძალიან ბევრ ადამიანს აწყენინე, თანაც უმიზეზოდ“. თორნიკემ არ დაიჯერა მამის ნათქვამი. მაშინ მამამ ლურსმებით სავსე ზურგჩანთა მისცა და სთხოვა: „წადი შვილო, მამა-დავითის ეკლესიას გარს ღობე რომ არტყია, იქ სადმე ჩამოჯექი, ლოცვა წაიკითხე და თან დაფიქრდი, გაიხსე-

ნე თუ გიწყენინებია უმიზეზოდ ვინმესათვის და, თუ გიწყენინებია, ადექი და იმდენი ლურსმანი ჩააჭედე ღობეში რამდენსაც აწყენინე". თორნიკეც ასე მოიქცა და როცა დაინახა, რომ ღობე ლურსმებით დაიფარა, შერცხვა. ისევ, მამას ეახლა და ჰკითხა - თუ როგორ გამოესწორებინა ჩადენილი საქციელი. მაშინ მამამ ურჩია: „წადი დააძვრე ის ლურსმნები და შენს ზურგჩანთაში თითო ლურსმნის წილად, თითო ქვა ჩადევი და მე რე ჩემთან მოდი". თორნიკე, მთელი ერთი დღე და ღამე აძრობდა ლურსმნებს და ზურგჩანთაში ქვებს აწყობდა. დილით კი მამას ეახლა. მამამ როცა შეამჩნია ზურგჩანთის სიმძიმისაგან მოხრილი და დამწუხრებული შვილი, ჰკითხა: „ლურსმნებს, რომ აძრობდი ღობეზე რა შეამჩნიე"? შვილმა უპასუხა: „ხვრელებიო". მაშინ მამამ უთხრა: „ეს ის ტკივილია რაც შენ ხალხს მიაყენე, შენი უგვანო საქციელით, რომელიც არასოდეს არ მოუშუშდებათ". თორნიკე შეწუხდა და ჰკითხა: „მამა ახლა რაღა ვქნა"? მამამ უპასუხა: „რა და, წადი აი იმ მთაზე, ბავშვობაში შენ და დედა იების საკრეფად, რომ დადიოდით, იპოვე მაყვლის ბუჩქი და მის ძირას მუხლმოდრეკილი ილოცე, ოღონდ ზურგჩანთა არ მოიხსნა, თითო დღეს თითო ქვა ამოიღე ჩანთიდან და როცა დაცარიელდება მაშინ ჩამოდი ჩემთან". ორმოცი დღე მოუწია თორნიკეს მშვიდმწყურვალს მთაზე ყოფნა, ისე დაუძღურდა, რომ ლამის სული განუტევა, მაგრამ როცა ბოლო ქვა ამოიღო ჩანთიდან ძალის მოზღვავება იგრძნო, წამოდგა, მხრებში გაიმართა, მიმოიხედა და რას ხედავს მის ირგვლივ გარემო უცნაური შუქით განათებულიყო. ეს შუქი ქალაქის მცხოვრებლებმაც შეამჩნიეს, და ამის შემდეგ ამ მთას, სადაც ჩვენ ახლა ავდივართ, მთაწმინდა შეარქვეს.

– აი, ასე დასრულდა ეს ამბავი, – თამარმა მთიდან დაბერილ გრილ ნიავს სახე შეუშვირა და ბედნიერმა ახედა ცას.

– კი მაგრამ, თორნიკეს მერე რა მოუვიდა, ამით მთავრდება დედა? – იკითხა ამირანმა.

– თორნიკე მამას დაუბრუნდა, ოჯახი შექმნა, ყველას ეხმარებოდა და ყველამ შეიყვარა. მერე, მგონი... მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახთან ერთად სოფელ კუხში გადასახლდა და ბაბუის



მეორე აშენებულ ეკლესიაში მღვდლად დაიწყო მსახური. მორჩა ეს არის. მოგეწონა ამბავი? – ჰკითხა თამარმა ამირანს.

– კი, ძალიან, – მადლიერების ნიშნად ამირანმა დედის ხელს ფრთხილად მოუჭირა.

ამასობაში თეთრ ღობესთან მივიდნენ. ხვრელები ღობეს ჯერ კიდევ აჩნდა. ამირანი ხელით შეეხო ღობეს, ოდნავ მიაწვა, და საოცრება - ყველა ხვრელი გაქრა, ამოივსო. ღობე კი ჩვეულებრივი გახდა, პირვანდელი ფერი დაუბრუნდა.

– ეს რა ქენი ამირან? – შეშინებულმა იკითხა დავითმა.

– გავაქრე ყველა გულის ტკივილი და, მეორეც, ჩვეულებრივი ღობე უფრო ლამაზია, – ეს სთქვა ამირანმა და თითოთ ცაზე მიანიშნა: – შეხედე, როგორ აციმციმდნენ ვარსკვლავები.

– ჯობია წავიდეთ აქედან. სხვები შენი საქციელის არსს ვერ ჩაწვდებიან... იცი ამირან, ეს ღობე, მთავრობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო, ამ ღობის სანახავად საზღვარგარეთიდან ტურისტები ჩამოდიოდნენ, – სთქვა დავითმა და ხელი მოკიდა თავის ცოლ-შვილს და იქაურობას სწრაფად გააცალა.

ცოტა მანძილი, რომ გაიარეს და თავი სამშვიდობოს იგრძნეს სამივეს სიცილი აუვარდა.

– ეს რა ვქენით აა, არ დავაზარალეთ ქვეყნის ბიუჯეტი, – ასე სიცილ-სიცილით სახლს მიუახლოვდნენ. სახლში კი მათი მეგობრები და ოჯახური სიმყუდროვე დახვდათ.

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, მაგრამ ზამბახისფერი  
დილა არ გაწითლდება



თამარის მიერ, კაქტუსის ეკალზე, ჩამოკიდებული თმის სამაგრიდან ნამის წვეთი ჩამოვარდა და აივანზე დაცემისას ისეთი წკრიალა ხმა გამოსცა, რომ თამარს გამოეღვიძა, წამოდგა, ოდნავ

გაღებული ფანჯარა, ბოლომდე გამოადო. დილის სუსხი გიჟივით შემოვარდა ოთახში, ამირანს ცხვირში შეუძვრა, - დააცემინა.

– თამარ დახურე ფანჯარა, თორემ გაცივდება ბავშვი, – თხოვნით მიმართა დავითმა თამარს, რომელიც უკვე ლოგინზე წამომჯდარიყო და ტანსაცმელს იცვამდა.

– არაფერი არ მოუვა, დიდი ხანია უკვე პატარა აღარ არის, – უპასუხა თამარმა, – დავით, ერთი უნდა ნახო ზაქარია რა გულმოდგინედ იქნევს ცოცხს, – და სალამის ნიშნად, ფანჯრიდან ზაქარიას ხელი დაუქნია.

მეუბოვემ საპასუხო სალამი გაუგზავნა თამარს და თავისი საქმიანობა გააგრძელა - ცელივით იქნევდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

ნათქვამია: „წინა კაცი უკანას ხიღია“.

მაგრამ, თუ კი, პირველი და მეორეც ფლიღია.

მაშინ, ეს ხიდიც ტყუილად კიღია

და მასზე გამგელეს, სიმართლე ფეხებზე ჰკიღია.

დავითის სახლის მოპირდაპირე ეზოს თალიდან დათო გამოვიდა, იქვე მდგარ უმუშევარ მეგობრებს მიესალმა და თავის ძაღლს გასძახა:

– მოდი აქ, ჩქარა მოდი, მოდი თორემ მოგხვდება.

– რა გინდა ბიჭო ამ ძაღლისგან, აცალე გააკეთოს თავისი საქმე, – სიცილით უთხრა დათოს, მისმა ბავშვობის მეგობარმა ალექომ.

– არ მიჯერებს, – ნაწყენი ტონით უპასუხა დათომ.

– ძაღლი კი არა, შვილები აღარ გვიჯერებენ, – საუბარში ჩაერთო ვაჟა, რომელიც ასევე მათი ბავშვობის მეგობარი იყო.

ფანჯრიდან ლოთის შვილმა გამოყო თავი და მენაგვეს დაუყვირა:

– როდემდე ვითმინოთ ყოველ დილას შენი პოეტური გამონახტომები?! – და წარბები კუშტად შეკრა.





– სანამ ყველა მის ლექს არ ისწავლი ზეპირად, – ქვემოდან ასძახა ალექომ.

– ეი, შენ პოსლიკ, გირჩევნია სველი პირსახოცი გადაისვა თავზე, და... ეს ჩვენი ქუჩაა, – მიაძხა ნუგზარიმ. ნუგზარიც ამ ქუჩაზე გაიზარდა.

– თქვენ უსაქმურებო, გირჩევნიათ სამსახური იშოვოთ, მთელი დღე გარეთ, რომ ყრისხართ, – გამწარებულმა უპასუხა ლოთის შვილმა და ფანჯარას მოსცილდა. ცოტახანში ფანჯრიდან ლოთის ცოლმა გამოყო თავი, მაგრამ როცა ბიჭები ვეღარ ნახა, მეგობრებს დაუყვირა:

– მიეცი ერთი ცოცხი მაგათაც. ტყუილად დგომას არ სჯობს ქუჩა დახვეტონ, – მაგრამ, როცა პასუხი ვერ მიიღო ისიც მოცილდა ფანჯარას.

დილის აყალმაყალს მანქანების ხმაურიც შეუერთდა, ქუჩა შეიშმუშნა და ნელ-ნელა დაიწყო გამოღვიძება, ახმაურდა გარემო, აყალყდა ობლად დარჩენილი წუხანდელი ღამის მობინადრეთა ზრახვები... ღამის სიჩუმე, მხოლოდ ზოგიერთი შენობის ნახევრად მიხურული ფანჯრების მიღმა მიყუჟულიყო და თავისივე სიჩუმეს უფრთხოდდა.

ზუსტად ცხრა საათზე, ქუჩა ჩქარი ნაბიჯით მოსიარულე ხალხით გაივსო, მათ შორის იყვნენ დავითი და ამირანი, რომლებიც ხელჩაკიდებულები სასულიერო სემინარიისკენ მიიჩქაროდნენ. სემინარიის კართან ჩვეულებისამებრ დედაოები იდგნენ და ბავშვები შენობაში შეჰყავდათ. ამირანმა ნინო, რომ ვერ დაინახა გაუკვირდა, და თავისთვის გაიფიქრა: „ალბათ ჯერ არ მოსულა“. და მამას მიმართა:

– მამა, ცოტახანს გავჩერდეთ, ნინოს დაველოდოთ, – და მოლოდინის რეჟიმში ჩადგა.

– აბა რა, უნდა დაველოდოთ, – დაეთანხმა დავითი.

– აგერ მოდიან! – ქუჩის გადმოსახვევში შეამჩნია ამირანმა ნინო და მართა ბებია. მერე მამას გახედა და როცა თვალებში თანხმობა წაიკითხა, ნინოსაკენ წავიდა. დავითიც დინჯი ნაბიჯით გაჰყვა.



– გამარჯობათ, ქალბატონო მართა, – მიესალმა დავითი მართას და საპასუხო მისალმების შემდეგ, ნინოს მიმართა:

– აბა შენი იმედი მაქვს, ყურადღება მიაქციე ამ ვაჟკაცს, – ამ სიტყვების შემდეგ დაიხარა და ნინოს ლოყაზე აკოცა.

– დიახ, ჩვენ დასვენებაზე სულ ერთად ვართ. დავით ძია, ეს სასწავლებელი კარგია, – მშვიდი ხმით უპასუხა ნინომ.

– ჰო, მართალი ხარ. ეს ისე გითხარი უბრალოდ. წადით ახლა, შედით სასწავლებელში თორემ გაკვეთილზე დაგაგვიანდებათ, – და დავითმა ორივეს ანიშნა წადითო, მერე ისევ ქალბატონ მართას მიმართა:

– ძალიან კარგი იყო თქვენთან.

– აწი, ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე შეგიძლიათ მოხვიდეთ, – ღიმილით უპასუხა მართამ.

– გმადლობთ, მაგრამ, შემდეგ კვირას უკვე, თქვენ გელოდებით. ხომ მოხვალთ ჩვენთან? – დაპატიჟა დავითმა.

– აუცილებლად მოვალთ, – მართამ დაპატიჟება მიიღო.

– ქალბატონო მართა, ბოდიში, ახლა თუ არ ვიჩქარე დამაგვიანდება სამსახურში, – ბოდიშის მოხდით დაემშვიდობა დავითი და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა სამსახურისკენ მიმავალ გზას.

ნინოს ბებია ცოტახანი გაჩერდა სემინარიის კარებთან, ზარის დარეკვას დაელოდა, მერე კი, ეკლესიისკენ წავიდა - დილის ლოცვაზე.

ამირანს პირველი გაკვეთილი მამა ზაქარიასთან ჰქონდა. მამა-ომ ლოცვის დასრულების შემდეგ პირჯვარი გადაიწერა, ბავშვები დალოცა და სამყაროს შექმნის შესახებ დაიწყო საუბარი:

– ბავშვებო, მე ჯერ, ზოგადად, აგისხნით თერმოდინამიკის პირველ და მეორე კანონებს, – და მამაომ ძალიან მარტივად ახსნა თერმოდინამიკის კანონები. მერე, ყურადღებით გადაათვალიერა ბავშვები, და მიმართა: – ამ კანონებს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, ოღონდ სხვა პოზიციიდან, ახლა კი, შევეცადოთ ერთად გავცეთ პასუხი ისეთ კითხვებს როგორცაა: ცდებიან თუ არა სამყაროს წარმოშობასთან დაკავშირებით მეცნიერები? ეს ერთი კითხვაა, მეორე: როგორ წარმოიშვა სამყარო? და, მესამე: შექმნა თუ არა ის ღმერთმა? – მამაო ისევ ჩაფიქრდა, შუბლზე ხელი მოისვა და მშვიდი ხმით განაგრძო საუბა-



რი: – რაც შეეხება პირველ კითხვას მოგახსენებთ: ვინმე რომ არ ცდებოდეს, ძნელი იქნებოდა სიმართლის დადგენა - ეს რაც შეეხება მეცნიერებს. ხოლო, შემდეგ კითხვასთან დაკავშირებით, აღვნიშნავ, რომ შეიძლება არსებობდეს შემდეგი პასუხები: ჩვენი სამყარო წარმოიშვა პირველადი მატერიის ევოლუციის საფუძველზე, რომელიც შემდეგანირად ვითარდებოდა, ანუ იყო ქაოსი... მოხდა დიდი აფეთქება... და, მერე ევოლუცია... ეს დებულება მეცნიერებაში ცნობილია „დიდი აფეთქების თეორიის“ სახელწოდებით. არსებობს მეორე ვარაუდი, რომ მატერიალური სამყარო ყოველთვის არსებობდა ამჟამად არსებული ფორმით. და, კიდევ, არის ზოგადი ვარაუდი, რომელიც აგებულია „იყო და არა იყო რას“ გაგებაზე ანუ მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ არაფრისგან წარმოიშვა სამყარო. ხოლო, რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ მესამე კითხვას, მეცნიერებში არსებობს მოსაზრება, რომ სამყარო ღმერთმა შექმნა. ამ შეხედულებაში გამოიყოფა თეოლოგიური და წმინდა რელიგიური მრწამსის შეხედულებები, რომელიც საბოლოო ჯამში ერთ მიზანს ემსახურება ანუ იმ მტკიცებულებას, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა, განსხვავება კი, შემდეგშია: თეოლოგიური შეხედულება გულისხმობს, რომ ღმერთმა ქაოსიდან შექმნა სამყარო და მოახდინა მისი განვითარება, ხოლო, წმინდა რელიგიური შეხედულება გულისხმობს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა არაფრისგან. – მამა ზაქარიას სახეზე კეთილმა ღიმილმა გადაურბინა, – მოდით ბავშვებო ყველა ვარაუდი ავხსნათ ჩვენთვის უკვე ცნობილი თერმოდინამიკის კანონების დახმარებით. და, თუ ჩაუვლრმავდებით თერმოდინამიკის არსს აღმოვაჩენთ, რომ პირველი კანონი ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს, ვინაიდან პირველი კანონი დასაშვებად მიიჩნევს პროცესს: ქაოსი, აფეთქება და ევოლუცია. მაგრამ, მეორე კანონი ამტკიცებს, რომ ქაოსიდან დამოუკიდებლად ანუ თავისთავად არ შეიძლება ჩამოყალიბდეს წესრიგი, ხოლო ევოლუცია კანონზომიერების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს. მაშასადამე პირველი ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს. – მამა ზაქარიამ, ისევ მოავლო მზერა კლასში მსხდომ ბავშვებს და როცა შეამჩნია, რომ ყველა ყურადღებით უსმენდა - ესიამოვნა, და უფრო დამაჯერებელი ტონით გააგრძელა საუბარი: – რაც შეეხება სამყაროს მარად არსებობის საკითხს ანუ იმას, რომ არ გააჩნდა



საწყისი... მაშინ სავსებით აშკარაა, რომ თერმოდინამიკის კანონის შესაბამისად ის მოცემული დროისთვის დეგრადირებული უნდა ყოფილიყო ანუ სრული ქაოსი გვექნებოდა, მაგრამ როგორც ვხედავთ სიმართლეს ეს არ შეესაბამება, თუ რასაკვირველია ზოგიერთ დეგრადირებულ ადამიანს არ ვიგულისხმებთ, ისეთებს როგორც ჩვენი პოლიტიკოსები არიან. – მამაოს თავის ბოლო ნათქვამზე ირონიულად გაეღიმა. ღიმილმა ბავშვების სახეებზედაც გადაიბინა. – ჰო, რამინდა გითხრათ კიდევ, ენერჯია არ შეიძლება წარმოიშვას თავისთავად არაფრისაგან. დაბოლოს, მოცემული ანალიზის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ბუნებრივი და მარტივი დასკვნა, იმის შესახებ, რომ სამყაროსეულ შემეცნებიდან ამოვარდება ისეთი კითხვა როგორცაა, თუ როგორ და საიდან წარმოიშვა სამყარო? რომელიც თავიდანვე მცდარი იყო და რჩება ერთი კითხვა: ვინ შექმნა ჩვენი სამყარო? ამაზე ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი გაგცემთ პასუხს, და პასუხი ასეთია: – ღმერთმა შექმნა სამყარო!

საკლასო ოთახში, ჭეშმარიტების გამარჯვების ჰაერი დატრიალდა. ბავშვებს, სახეზე, ამაღლებული გამომეტყველება აღბეჭედოდათ, მამაოს კი სიმშვიდე.

– ბავშვებო, ზარი დაირეკა. წადით, ახლა დაისვენეთ. – მიმართა ბავშვებს მამა ზაქარიამ.

ბავშვები მორიდებულად წამოიშალნენ მერხებიდან, მაგრამ სანამ მამაო არ გავიდა, არც ერთმა არ დატოვა საკლასო ოთახი.

როგორც ყოველთვის ნინო, ამირანს საკლასო ოთახის კართან ელოდებოდა.

– საინტერესო გაკეთილი იყო? – ჰკითხა ნინომ ამირანს.

– კი, ძალიან. წავიდეთ, ჩიტები ალბათ სულმოუთქმელი გველოდებიან. კვირას ხომ არ გვინახია ისინი. არ მოგენატრა? – ამირანმა ხელი ჩასჭიდა ნინოს და ორივენი სემინარიის ბაღისკენ გაეშურნენ.

ჩიტებმა შორიდან შეამჩნიეს მათკენ მომავალი ბავშვები და გახალისდნენ.

– ეი, არ მოგენატრეთ?! – ჟღურტუნით შეეკითხა მზეწვია, მოახლოვებულ მეგობრებს.

– კი, მოგენატრეთ, – უპასუხა ნინომ.

– ძალიან მოგენატრეთ, – დაამატა ამირანმა.



– ჩვენც, ძალიან, – უპასუხა სულმნათმა და ამირანს მხარზე დააჯდა.

– ამირან, დღეს რაზე ვისაუბროთ? – ჰკითხა მზეწვიამ.

– ჩვენ გაკვეთილი გვქონდა მამა აბროსი ხელაიას მოღვაწეობის შესახებ, მოდით მასზე ვისაუბროთ, – შესთავაზა ნინომ მეგობრებს.

– მე მასზე ლექსი მაქვს დაწერილი, გინდათ გითხრათ? – მორიდებით შესთავაზა ამირანმა.

– კი, გვინდა, – არცერთმა არ დამალა სურვილი.

– კარგი, მაშინ მომისმინეთ, – და ამირანმა დაიწყო:

მე წავალ, მაგრამ, ჩემს გულს გიტოვებთ!

და იმედია ამ ჩემს გრძნობას არ მიატოვებთ,

მაგრამ, თუ ჩემი გული გასათბობათ გეცოტავად,

თქვენი ბრალია, დიდი მცირედად მოგჩვენებიათ.

მე წავალ, მაგრამ, ლოცვად დაგიბრუნდებით!

და ყოველ ანთებულ სანთლის ალში წარმოგიდგებით,

მაგრამ, თუ ჩემი სუნთქვა ვერ შეიგრძენით,

თქვენი ბრალია, სიცოცხლის გრძნობა დაგიკარგიათ.

– ამირან, შენი ლექსი ზუსტად ასახავს ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის გულგრილ განწყობას ჩვენი წინაპრების მიმართ, – აღელვებულმა აღნიშნა სულმნათმა, და შემდეგ ნინოს მიმართა: – მაინც, რა მოგიყვებს გაკვეთილზე?

– ახლავე მოგიყვებით, – და ნინომ სევდიანი ხმით დაიწყო მოყოლა: – ამბროსი ხელაია ებრძოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას აფხაზეთში, რომელიც კოლხეთის ერთ-ერთი უუძველესი ნაწილია. მამა ამბროსი გამოდიოდა პრესაში შოვინისტ ეპისკოპოს იზოტოვის წინააღმდეგ, რომელიც აფხაზებს იბერიელების სიძულვილს უნერგავდა. ეპისკოპოსი იზოტოვი, გოღობცევისთან ერთად დევნიდა იბერიულ ენას. როცა კოლხეთში ძალიან შეავიწროვეს იბერიელები, ამბროსი ხელაია სათავეში ჩაუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას - დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს, რომ ინჩ-რუს-უზუმეს მეფემ გაიგო, მისი შეპყრობის ბრძანება გასცა, მაგრამ, ეპისკოპოსი ამბროსი ერთ-ერთ გულ იბერიელ გლეხებთან იმალებოდა და ჯაშუშებმა მას ვერაფრით

ვერ მიაგნეს, ბოლოს თეთრმა ვირთხებმა დიდი ფულადი ჯილდო დააწესეს - ვინც ამბროსის ადგილსამყოფელს შეატყობინებდათ. მაშინ, გამოჩნდა ერთი ხარბი და უზნეო აფსუა, რომელმაც ინჩ-რუს-უზუმეს ჯაშუშებს მიაწავლა ამბროსი ხელაიას სამყოფელი. შეიპყრეს ჩვენი მფარველი და წამებით მოკლეს, სიკვდილის წინ მან ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვაში კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!”

– მისი წამება არ შერჩება რუს-ინჩ-უზუმეს, – გამწარებულმა თქვა სულმნათმა.

– ჩვენს განზომილებაში პროცესები ნელა მიმდინარეობს და ეს ამბავი ჯერ არ მისულა ღმერთამდე და როცა მივა ინჩ-რუს-უზუმეს ქვეყანას ქვების სეტყვას დაატყავს, – გაბრაზებულმა თქვა ამირანმა.

– ჰო, კიდევ რა გვითხრა თეოლოგიის მასწავლებელმა იცით, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი პატრიარქის წამებაში თურმე ყველა გაგიჟებულა, – ცოტა შიშნარევი ხმით თქვა ნინომ.

– ისინი თავიდანვე გიჟები იყვნენ, თორემ ამ სისულელეს არ ჩაიდენდნენ, – გულის ტკივილით აღნიშნა ამირანმა.

– ჩვენი ბრალიცაა, ბევრი შეცდომები დაეუშვიოთ და მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა. ხშირად სიბრიყვე გვბაღავს, ხოლო სიბრძნეს კარს ვუხშობთ, – სინანულით თქვა ნინომ.

– ხალხმა არ იცის რა არის სიბრძნე და ამის ბრალია, – საუბარში ჩაერთო მზეწვია.

– ამირან, როგორ აგვიხსნი სიბრძნეს? – კითხვით მიმართა სულმნათმა.

– სიბრძნე?... ჩემი მოსაზრებით ღვთის მომადლებული მადლია, მაგალითად: სიბრძნე შუამდინარეული, კერძოდ, შუმერული წარმოდგენით, ყურთან არის დაკავშირებული და მას ათრა-ხასის უწოდებენ, ანუ იბერიულად მისი ზუსტი თარგმანია „ფართო-ყურიანი”, ეს გამონათქვამი შინაარსობრივად ახლოსაა სიტყვასთან ფართოგრძობიანი, რაც მომდინარეობს შუმერული კომპოზიტური სიტყვიდან გეშთუ-დაგ-აღ. შუამდინარეთის მოაზროვნეებს მიაჩნდათ, რომ ბრძენი ის არის, ვისაც ფართო ყური აქვს, ანუ ფართო აღქმის სასმენელნი გარე სამყაროს და ღმერთის იდუმალი სიტყვის. ეს პოზიცია თითქოს-და ქმნის ისეთ შეხედულებას რომლის მიხედვითაც სიბრძნე არ არის ცალკეუ-



ლი ადამიანის საკუთრება და არ მუშავდება მის თავში. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ანტონ პირველის მოსაზრება, ის ამბობს: „ბრძენი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი. ადამიანი კი, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს სიბრძნის მოყვარე, ანუ ფილოსოფოსი“. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ანტონი იმოწმებს პლატონის გამოწვევას, რაც შემდეგში მდგომარეობს: „ფილოსოფია არის მეცნიერება საღრმთოთა და კაცობრივთა საქმეთა“. ჩემი მოსაზრებით ანტონ პირველი გარკვეულწილად მართალია, მაგრამ, მე, დაეუმატებ იმას, რომ სიბრძნე ღვთისაგან გადმოდის ერზე და ამ ერში გაზრდილ კაცს ეძლევა, რომელსაც ის იყენებს სიკეთის გასაკეთებლად და ასეთ კაცს ფილოსოფოსს უწოდებენ. აი რას ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებით ბაუმისტერი: „ფილოსოფია არის ცნობა საღრმთოთა და კაცობრივთა საქმეთა და მიზეზთა მათთა“.

– კარგი ამირან, ესე იგი შენ ამბობ, რომ სიბრძნე ერის დამახასიათებელი თვისებაა და მასში გაზრდილი გონიერი ადამიანები ფილოსოფოსები არიან მხოლოდ და მხოლოდ და მეტი არაფერი. ერთი მაინტერესებს მხატვარი შეიძლება იყოს ფილოსოფოსი? – შეეკითხა სულმნათი.

– ფიროსმანი ფილოსოფოსია, იმიტომ რომ ის კეთილი იყო, მართალია შეიძლება სხვა მასზე უკეთესად ხატავდა, მაგრამ არ იყო სიკეთის მქმნელი, მხოლოდ ხატვის ფლობა არ ნიშნავს, რომ მხატვარი ხარ, ბუნების შეგრძნება უნდა შეგეძლოს და მისი ტილოზე გადატანა, ხოლო, ბუნებას მაშინ შეიგრძნობ როცა კეთილი ხარ. აი სტალინი ცნობილი პიროვნება იყო, მაგრამ არ იყო ფილოსოფოსი. ფილოსოფოსი, რომ ყოფილიყო ბოროტებას არ ჩაიდენდა, მან ძალიან ბევრი კეთილშობილი იბერიელი დახვრიტა, რის გამოც, მომავალმა თაობამ ის შეიჯავრა. თუ იცით, რატომ არ უყვართ ინჩ-რუს-უზუმეს ერი? მათ ხომ ბევრი „ფილოსოფოსი“ ჰყავთ, – კითხვა დასვა ამირანმა და თვითონვე უპასუხა: – მართალია ძალიან ბევრი ფილოსოფოსი, ხელოვანი, მეცნიერი ჰყავთ, მაგრამ რა, რად გინდა ბოროტები არიან... და არ უყვართ ეს ერი... ფილოსოფია და ბოროტება შეუთავსებელია, მათ ფილოსოფოსებზე შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ისინი სიტყვის ფილოსოფიის მოყვარულები არიან და მეტი არაფერი – გაღიზიანება შეეცყო ამირანს.

– ამირან ზარია, წავიდეთ, – და ნინომ ხელი ჩაავლო ამირანს მკლავში.

ბავშვები ნელი მშვიდი ნაბიჯით გაემართნენ გაკვეთილზე. ხეზე კი ორი ჩიტი დარჩა, რომლებმაც მეგობრებს თბილი მზერა გააყოლეს.

ამირანს ცხრილით, მეორე გაკვეთილი სიკეთის წარმოშობის საგანში ჰქონდა. ამ საგანს ასწავლიდა უკვე მისთვის ნაცნობი და მისი უშუალო ზედამხედველი დედა ქრისტინე.

როცა დედაო კლასში შევიდა ბავშვებმა სიხარული ვერ დაფარეს. მას ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა. დედაო ბავშვებს ეზოში სხვადასხვა საქმიანობაში ეხმარებოდა, მაგალითად: ჰაერში მოცურავე მიწის ბელტებზე ყვავილების ჩარგვაში ან ზეციდან გადმოსული ჩანჩქერის წყლის წვეთებიდან ფერადი მძივების გაკეთებაში. ხშირად ბავშვებს ლექსებსა და სიმღერებს ასწავლიდა, ხოლო, გაკვეთილებზე მითოლოგიურ ამბებს ან იგაგებს უყვებოდა, დღესაც ბავშვებს რამდენიმე იგავი მოუყვა, თან გაურჩია... ბოლოს ბავშვებს სთხოვა, რომ თვითონაც შეეთხზათ იგავი ისე, რომ ყველასათვის გასაგები ყოფილიყო.

ბავშვებს დავალეა მოეწონათ, მოამზადეს თავისი ჯადოსნური ფურცლები, მოიმარჯვეს საწერი კალმები და გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა. წერას, თითქმის ყველა ერთდროულად მორჩა, მაგრამ როცა დედაომ იკითხა თუ ვინ გამოვიდოდა პირველი, ბავშვებმა ერთხმად უპასუხეს:

– ჩვენთან ყოველთვის ამირანი გამოდის პირველი. ამირანი, ამირანი გამოვიდეს!

– ამირანი, ამირანი გამოვიდეს, – დედაომ გამოაჯაგრა ბავშვები და დაფასთან ღიმილით მოიხმო ამირანი.

დედაოს გამოჯაგრებაზე მთელ კლასს სიცილი აუვარდა, გათამამებულმა ბავშვებმა უფრო თამამად დაიწყეს მოთხოვნა:

– გამოვიდეს! გამოვიდეს!

ამირანი მორიდებით გამოვიდა, დედაოს გვერდზე დადგა და დაბალი ხმით მიმართა დედაოს:

– მე ჩემი იგავი გავლექსე.

– ძალიან კარგი, თქვი, – თბილად უპასუხა დედაო ქრისტინემ.

ამირანმა დინჯი ხმით დაიწყო:





ღმერთმა მიაღწია ძღვენი მდიდარს და ღარიბს,  
იძალა მდიდარმა და ერგო მსუყე ნამცხვარი,  
საწყალ ღარიბს კი, შეხვდა, პური გამხმარი.  
დადგა ჟამი და მზე ჩაიწურა ორივეს თვალში,  
ორივეს ერგო სხვადასხვა საში -  
ხარბის სული ჩაკვდა, ჩაეფლო ლაფში,  
ღარიბს კი შეხვდა ადგილი ცაში.  
ღმერთმა მეორედ ძღვენი, მეცნიერს და მღვდელს მიაღწია,  
მეცნიერმა იფიქრა, აწონ-დაწონა და აიღო ის, რაც სწორად  
მიაჩნდა.

მღვდელმა ილოცა და თავისი წილი საჭმელი გლახაკს  
მიაღწია.

დადგა ჟამი და მზე ჩაიწურა ორივეს თვალში,  
ორივეს ერგო სხვადასხვა საში -  
მეცნიერის სული მოუსვენრად დაქროდა ცაში,  
მღვდელმა კი საშვით, ადგილი ჰპოვა სამოთხის ბაღში.  
ღმერთმა მესამედ ძღვენი მიაღწია მოხუცს და ბავშვს,  
მოხუცმა, პური აჭამა თავის ერთგულ ძაღლს,  
ბავშვმა კი, გაუყო იქვე მყოფ მგალობელ შაშვს.

ღმერთს გაეცინა და თქვა:

„ნუთუ უნდა იყო ბავშვი ან განვლო ცხოვრება,  
რომ დაინახო ამ ქვეყნის ამოება“.

და, ეს იგავი, გახსოვდეთ ყველას!

„თუ გინდათ მოხვდეთ სამოთხის ბაღში  
არ ჩადგათ ფეხი, სიხარბის ლაფში“.

დედაო ქრისტინე მიუახლოვდა ამირანს და გულში ჩაიკრა.  
ამირანს ასეთი სიყვარული მხოლოდ დედისგან თუ უგერძნია, და  
თვითონაც მოეხვია დედაოს. ამ სურათის მნახველი ბავშვები წამ-  
ოიშაღნენ და ყველა დედაოს შემოეხვია. ბავშვების მხრიდან ასე-  
თი სიყვარულის გამომჟღავნებამ დედაო ძალიან ააღელვა, ცოტაც  
და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდოდა, ძლივს შეიკავა თავი.  
სახე ფანჯრისკენ მიატრიალა.



– ოჰ დაცხა, ძალიან დაცხა, ფანჯარას გავადებ – მოიმიზეზა დედამ და ფანჯრისკენ წავიდა.

ბავშვები მიუხვდნენ დედოს და ყველა თავის მერხს დაუბრუნდა. დედამ სძლია მოზღვავებულ გრძნობას, ბავშვებს მიუტრიალდა და აღიარა:

– რომ, მომეხვეით სიხარულისგან ისე ავლელდი... კინაღამ აგტირდი.

ამ აღიარებამ ბავშვები ძალიან გაახარა.

– კარგი, ახლა ვინ გამოვა, – იკითხა დედამ.

– მე, – ხელი აიწია მედეამ.

– კარგი, გამოდი, – მოიხმო დედამ.

მედეამ ზუსტად ის ადგილი დაიკავა სადაც ამირანი იდგა და კითხვა დაიწყო:

– ახალგაზრდა მწყემსის ფარას უკურნებელი სენი შეეყარა, რა არ იღონა მწყემსმა, მაგრამ ვერაფერს გახდა - მხოლოდ შვიდი ცხვარი შეჩრა, იმდენი რამდენიც ძაღლი ჰყავდა. ეს ამბავი ბებერმა მგელმა შეიტყო და ძალიან შეწუხდა. დადიოდა მთელი დღე და მოთქვამდა:

– ვაი, ვაი რა მეშველება, როცა მეცხვარეს ბევრი ცხვარი ჰყავდა მაშინ მიჭირდა ცხვრის გატაცება და, ახლა კი, როცა ერთ ცხვარზე ერთი ძაღლია დარაჯად, ნამდვილად ვერ შევძლებ ცხვრის მონადირებას, და მშიერი მოვკვდები. – მგელმა თავისი მოთქმა-გოდებით შეაწუხა თავისი სამეზობლო. და, შეწუხებულმა პარლამენტა-მელიამ ურჩია:

– წადი შე საწყალო, მიუსამძიმრე მწყემსს, იქნება გული გაუღღვეს და ერთი ცხვარი გაჩუქოსო, – იგავის ამ ადგილზე მედეას გაელიმა, – კარგად იცოდა პარლამენტა-მელამ, რომ მეცხვარე მგელს ცხვარს არ აჩუქებდა, მეტიც - ერთი კარგადაც მიბეგავდა, მაგრამ რა, თვითონ ხომ გაერთობოდა, სეირის ცქერით, თანაც შარშანდელი წყენაც ახსოვდა, ცხვირწინ გლეხის ოჯახიდან მოპარული ყველი რომ ააცადა. მგლის ცემა, მართლაც რომ, მალამოდ მოედებოდა გულზე.

მგელმა დაუჯერა პარლამენტა-მელას, და მწყემსთან სამძიმრის სათქმელად მივიდა:



– კეთილ მწყემსო, გავიგე, რომ დიდი უბედურება გეწვია და მთელი ფარა დაგეხოცა. მე იმდენად მეცოდები, რომ მზად ვარ ცხარე ცრემლები ვღვარო და სამსახურში დაგიდგე, თუ საჭმელს მაჭმევ.

მგლის საქციელმა მწყემსი გააკვირვა და უთხრა:

– მადლობელი ვარ შენი. არ ვიცოდი თუ ასეთი კეთილი გული გქონდა. კარგი დარჩი ჩვენთან.

მგელმა, ეს რომ გაიგონა, გააკვირვებისაგან თვალები ყურებზე აუვიდა. ძაღლებსაც გაუკვირდათ პატრონის გადაწყვეტილება და ურჩიეს:

– მგელი ტყუის, მოშივდა, საჭმელი ვერსად ვერ იშოვა და ამიტომაც გეახლათო.

– ვიცო, – უპასუხა ძაღლებს მწყემსმა და დაამატა, – მე, ის უფრო მაინტერესებს, კეთილად რომ მოვექცევი, მოიშლის მგელი თავისავე ზნე-ჩვეულებას, თუ არა.

მგელი დარჩა და იმ დღეს კარგად გამოძღა მწყემსთან, მერე წამოწვა - ძაღლების გვერდზე, და თავისი ცხოვრების მოგონება დაიწყო, თან ჩუმად თავის თავს ესაუბრებოდა:

– რა თქმა უნდა, ბევრი შემიცოდავს, მაგრამ იმედია ყველაზე დიდი ცოდვილი არა ვარ. მართალია, ბევრი ბოროტება ჩამიდენია, მაგრამ სიკეთეც ხომ მიკეთებია. ჰო, გამიკეთებია! მახსოვს ერთხელ ჩემს წინ შვლის ნუკრი იდგა, დედას დაკარგვოდა. სულ ადვილად შემეძლო მისი შესანსვლა, მაგრამ დავინდე, ძალიან ლამაზი იყო... და იმ დღეს ისეთი ამაღლებული ვიყავი, ასე მეგონა, ფრთები გამომესხაო. ჰოოო, აი მაშინ მივხვდი, რომ მგლურმა ცხოვრებამ გამხადა მგელი, თორემ მეც შემეძლო ძაღლი ვყოფილიყავი, ჩემშიც ყოფილა სიკეთე... ჩაფიქრდა და გუნებაში თქვა: – სილამაზეს დიდი ძალა აქვს, თორემ ისე მშობდა და ისე კარგად მივირთმევდი იმ შვლის ხორცს, რომ იფ, იფ.

ასე საკუთარ თავთან საუბარში და ოცნებაში ჩაეძინა, დილით კი ვიღაცის ჩურჩულმა გაადვიდა.

– ადგე შე მართლა მგელო, ძინავთ ძაღლებს დაავლე პირი ერთ ცხვარს და გავიქცეთ. – ეს პარლამენტა-მელა იყო, რომელიც ჩუ-

მად დადევნებოდა მგელს სეირის საყურებლად, მაგრამ როცა ნახა მწყემსმა მიიღო, შეშურდა და მისი შეცდენა მოინდომა.

– არაო, – უპასუხა მგელმა, – მართალია მგელი ვარ, მაგრამ არა ცბიერი და ორგული, – და მგელმა პარლამენტა-მელიას პირი დაავლო, და მწყემსს მიუყვანა.

მწყემსმა დაიჯერა მგლის ერთგულება და ბოლომდე უპატრონა, ხოლო როცა სიბერისგან გარდაიცვალა პატივით დაასაფლავა.

მწყემსისა და მგლის ამბავი სოფელში გაიგეს, ჩაფიქრდნენ ავის ქმნელი ადამიანები, შერცხვათ და მოტრიალდნენ სიკეთისკენ, გაიხარა ამის მნახველმა ღმერთმა და მიუჩენა მათ მწყემსი კეთილი.

– მორჩა, დავასრულე იგავი, – თქვა მედეამ. ნაწერი თაბახები გულზე მიიკრა და განაჩენს დაელოდა.

კლასში ისევ მხიურული შეძახილები გაისმა:

- კარგია!
- ძალიან მაგარია!
- მოგვეწონა!
- დავასაჩუქროთ!

დედომ ბავშვები ძლივს დაწყნარა და შემდეგ თავისი აზრი გამოთქვა:

– ბავშვებო, მედეამ არაჩვეულებრივად ახსნა სიკეთის ძალა და მისი მნიშვნელობა. ხომ მეთანხმებით?

– დიახ, დიახ, გეთანხმებით! – ისევ ახმაურდა კლასი.

– კარგით, გმადლობთ, ახლა ორ წუთში ზარი იქნება, მე ბავშვებს ეზოში უნდა დაეხვედეთ, ამიტომაც ადრე გიშვებთ დასვენებაზე, – და დედამ აჩქარებული ნაბიჯით დატოვა საკლასო ოთახი.

ამირანი ნინოს საკლასო ოთახისაკენ წავიდა - საშუალება მიეცა ნინო გაეკვირებინა, კართან გაჩერდა, ზარიც დაირეკა... ნინომ როცა კართან ამირანი დაინახა აღფრთოვანება ვერ დამალა:

– როგორ მომასწარი?

– დედაოს გაკვეთილი გვქონდა და ადრე გამოგვიშვა, – გამარჯვებული იერი აღბეჭვდოდა ამირანს სახეზე.



– წამოდი ჩიტებთან, – მოუსვენრობა გამოამჟღავნა ნინომ, –  
წამოდი დროზე!

– წავიდეთ, – დაეთანხმა ამირანი და ბავშვები ხელჩაკიდებულ-  
ები სემინარიის ბალისკენ გაეშურნენ.

მოახლოვებულ ამირანს და ნინოს მზეწვიამ მიახალა:

– კინაღამ დაგვავიწყდა გვეთქვა. თქვენ რომ წახვედით მერე  
გაგვახსენდა. იცით!.. კვირას რა მოხდა აქ?

– არა, აბა საიდან გვეცოდინება, ჩვენ ხომ კვირას არ ვიყავით  
აქ, – უპასუხა ნინომ.

– მაინც რა მოხდა? – ჩაეძია ამირანი.

– რა და საოცრება! – საუბარში ჩართო სულმნათი, რომელიც  
ნინოს თავზე გადმოხრილ ტოტზე შემომჯდარიყო.

– მაინც, მაინც? – ძალიან დაინტერესდა ნინო.

– ორი მსგავსი მოვლენა ერთ წერტილში განვითარდა და ახა-  
ლი სამყარო წარმოიშვა, – იღუმალნი ხმით უპასუხა სულმნათმა.

– მერე, სადაა ეს სამყარო? – გაკვირვებულმა იკითხა ამირან-  
მა.

– ის ძალიან ცოტახნით იყო ხილული, სულ რამდენიმე წამი,  
და მერე გაქრა. ხომ იცი ასეთი სამყაროები ხშირად წარმოიქმნე-  
ბა, რომლებიც ჩვენს სისტემაში სხვადასხვა განზომილებების წა-  
რმოშობის საფუძველი ხდება, მაგრამ, ჩვენს ბაღში, ეს მოვლენა  
პირველად მოხდა, – და, სულმნათმა, კიპარისის კენწეროსკენ გა-  
იხედა... ბავშვები მიხვდნენ რომ სწორედ იქ უნდა მომხდარიყო ის  
საოცრება რაზედაც სულმნათი ასე აღელვებული საუბრობდა.

– მიხარია, რომ ამ ბაღში მოხდა, – აღნიშნა ამირანმა და გაა-  
გრძელა: – საერთოდ მოვლენები უნდა წარმოვიდგინოთ როგორც  
გრძნობადი აღქმის მონაცემები. მე ვფიქრობთ, რომ შესაძლებელ-  
ია არსებობდეს თვალისაგან დამალული სამყარო და მითუმეტეს  
მოვლენები და ეს ასეა. მაგრამ, ამგვარ დაშვებას მაშინ აქვს შემ-  
ეცნებითი მნიშვნელობა, როცა ეს პროცესები, მისი გამომწვევი  
მიზეზები და შედეგები წარმოდგენილია ვინმეს მიერ, გრძნობადი  
აღქმის ზოგიერთი მონაცემის სახით. „ვინმე“, რომ ვთქვი, მე  
ვიგულისხმებ ნათელმხილველები და წმინდანები. და, კიდევ დავა-



მატებელი: თუ მოვლენა მოკლებულია აღქმას, მაშინ ის გარდაიქმნება ვარაუდად, ხოლო ვარაუდები მოკლებულია სინამდვილეს.

– ამირან, შენ ხომ ხედავ პარალელურ სამყაროებს, – შეაწყვეტინა საუბარი ამირანს სულმნათმა.

– კი ვხედავ, ისევე როგორც ნინო, უბრალოდ მე ეს გრძნობა უფრო გააქტიურებული მაქვს, ამ მადლით ჩემი მშობლებიც არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ, ამას ერთმანეთს არ ვუმჯღავნებთ – ვცდილობთ ვიცხოვროთ ისე როგორც სხვები.

– წავიდეთ, ხარი დაირეკება საცაა, ხომ იცი ეს მოკლე დასვენებაა, – საუბარი შეაწყვეტინა ნინომ.

მესამე გაკვეთილი, ამირანს, მათემატიკური ფილოსოფიის ჰქონდა. ამ საგნის მასწავლებელს ამირანი არ იცნობდა, ეს საგანი, მას, პირველად უტარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკლასო ოთახის კარი ღია იყო, კარზე დაკაკუნებით კლასში შემოვიდა შუა ხნის, მაღალი, გამხდარი, მაგრამ ძლიერი აღნაგობის მამაკაცი, რომელსაც ძალიან გამჭოლი მზერა ჰქონდა. ბავშვები გადაათვალიერა, მიესალმა, რამდენჯერმე ჩაახველა და გაკვეთილის ახსნას შეუდგა:

– მოგეხსენებათ, ადამიანებს გარდა განზომილებიანი აზროვნებისა ახასიათებს თანაფარდობის და არათანაფარდობის აზროვნების ფორმები. არათანაფარდობის ფორმას მიეკუთვნება, ისეთი ფორმა როგორიცაა, მაგალითად სამის კვადრატს არ უდრის ხუთის კვადრატს, ან სიყვარული არ არის სიძულვილი. ამ ორ შემთხვევაში უარყოფა მოქცეულია ორ ურთიერთგამომრიცხავ მაჩვენებელს შორის. რიცხობრივ მაჩვენებლების შემთხვევაში, უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ასევე ორმაგი დატვირთვა აქვთ, რამეთუ პითაგორა რიცხვებს სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებდა, აი მაგალითად, ციფრი „ერთი“ მის სიმბოლურ მონაცემთა სისტემაში ნიშნავს წერტილს, ხოლო: „ორი“ – ხაზს, „სამი“ - სამკუთხედს, „ოთხი“ - კვადრატს, „ხუთი“ – ქორწინებას, „ექვსი“ - სულს, „შვიდი“ - გონებას, „რვა“ – სიყვარულს, „ათი“ - ღვთაებას. ეს რაც შეეხებოდა ადამიანის აზროვნების არათანაფარდობის ფორმებს, ხოლო აზროვნების თანაფარდობის ფორმას მიეკუთვნება, ისეთი თანხმობა როგორიცაა: აზროვნება არის სიცოცხლე, ან სამის კვადრატს დამატებული ოთხის კვადრატს უდ-



რის ხუთის კვადრატს. მაგრამ, გვიჩნდება კითხვა: რას ნიშნავს უდრის ანუ ტოლობა? ჩვენ ვამბობთ, რომ ხუთი ვაშლი უდრის ხუთ ვაშლს. და, ერთი შეხედვით, ამაში არ შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, მაგრამ, რაოდენობრივი ტოლობა არ ნიშნავს ვაშლების ხარისხობრივ ტოლობას ან ტოლობას მათი წონის მიხედვით და თუნდაც მოცულობის მიხედვით. ესე იგი, თანაფარდობის აზროვნების ფორმა თავის თავში მოიცავს არათანაფარდობის ფორმასაც. – გაქვთ რამე შეკითხვა? – უეცრად მიმართა ბავშვებს მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელმა და როცა შეაძინა, რომ შეკითხვა არ ჰქონდათ გააგრძელა გაკვეთილის ახსნა: – რიცხვების თანაფარდობაზე საუბრისას, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია მხოლოდ რიცხობრივ თანაფარდობაზე და სხვა არაფერზე, და ეს ცნებაც პირობითია, პირობითია მათი სიერცობრივი ცნებაც. მაგალითად, თუ ხუთი ვაშლიდან ერთი შუაში გავეჭერთ მაშინ გამოგვივა რაოდენობრივად მეტი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ რაოდენობის მხრივ მატერიალური სხეული რიცხობრივად გაიზარდა, მაგრამ მისი ადგილი სიერცეში უცვლელი დარჩა, მხოლოდ შეხების წერტილები გაეზარდა – სიერცესთან, ესე იგი შესაძლოა ვაშლის ერთ-ერთი ჩამონაჭერი აღმოჩნდეს პარალელურ სამყაროში, რამეთუ სიერცესთან შეხების ახალი წერტილები გაჩნდა, რომლებიც თვისობრივად განსხვავდება ადრე არსებულ შეხების წერტილებისაგან. დაახლოებით, იგივე შეიძლება ითქვას სამყაროში ვარსკვლავების გაჩენის თაობაზე... ანუ, იცვლება მათი რაოდენობა და იცვლება პარალელურ სამყაროთა რაოდენობა. ბავშვებო! – კატეგორიული ტონით მიმართა ბავშვებს და გაკვეთილის ახსნა დამრიგებლურ ტონში გააგრძელა: – ადამიანისათვის ასევე დამახასიათებელია ცნებებზე დამყარებული აზროვნება, ეს აზროვნება გულისხმობს რაიმე ნიშნის მომატებით, მიმატებით ან გამოკლებით ახალი ფორმის, საქციელის, შემეცნების ჩამოყალიბებას. აზროვნების ეს ფორმა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მესმის, არ - არმესმის; კუთხე, სამი - სამკუთხედი; კუთხე, ოთხი - ოთხკუთხედი ან სამი - კვადრატული ახარისხება – ცხრა. ასეთი აზროვნებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ არსებით რა რაოდენობის მთლიანობა ქმნის ცნების შინაარს ოთხი, სამი, თუ კვადრატში ახარისხება, მთავარია იმის განსაზღვრა, თუ შემეცნების მოცემულ პერიოდში რა ნიშნებია აუცი-

ლებელი ცნების შინაარსის განსაზღვრებისათვის და რა ადგილი უჭირავს მოცემულ ცნებას ცნებათა სისტემაში.

როცა დაასრულა გაკვეთილის ახსნა, პიჯაკის გულის ჯიბიდან სათვალე ამოიღო გაიკეთა, ბავშვები არწივის მზერით გადაათვალიერა, დაფასთან მივიდა და დაწერა:

– „მათემატიკა და ბიოლოგია“, – ეს არის თქვენი საშინაო დავალება, იმედია კარგად დამიწერთ, ახლა კი დაისვენეთ, – დამთავრებული არ ქონდა სიტყვა და ზარიც დაირეკა, ოღონდ არა დასვენების არამედ სახლში წასვლის.

ბავშვები ნელ-ნელა აიკრიფნენ... ემზადებოდნენ სახლში წასასვლელად, თან ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ სხვადასხვა დაპირებებით:

- ამ საღამოს ხომ დამირეკავ?
- იცოდე „ფეისბუკზე“ შემოდი!
- ხვალ დილით გამომიარე და ერთად წამოვიდეთ სემინარიაში.
- დაპირება არ დაგავიწყდება?!

ბავშვების უმეტესობას, გარეთ, მშობლები ელოდებოდნენ, რომლებიც დათქმულ ადგილას იდგნენ და თვალგაფაციცებით ეძებდნენ ბავშვების მდინარეში თავიანთ ვაჟს ან გოგონას.

– გამოჩნდნენ, – და მართას სახეზე ღიმილი გამოესახა.

– რა კარგები არიან, ღმერთმა სულ ასე ერთად ამყოფოთ, მათ რომ ვუყურებ გული მინათდება და ადარაფრის არ მეშინია. ჰო, მართლა, ქალბატონო მართა, ეს თმის სამაგრი თამარმა თქვენთან გამომატანა, ამის ტყუპისცალი კაქტუსის ეკალზე ჩამოკიდა, ეს კი, გთხოვთ, ნინოს გაუკეთეთო... აგერ ჩვენი კუდრაჭაც, – და დავითმა თმის სამაგრი მიაწოდა.

მართამ, გამოართვა თმის სამაგრი დავითს და ნინოს თმაზე გაუკეთა.

– ეს, თამარი დეიდამ გამოგიგზავნა საჩუქრად და გთხოვა: „არასოდეს მოიხსნასო“, – აღერსიანი ხმით უთხრა მართამ შვილიშვილს.

– მადლობა, – მორიდებულად თქვა ნინომ და ამირანს გაეპრანჭა: ვითომდაც აი, შეხედე როგორ მიხდებაო.

ნინოს საქციელზე ამირანს გაეცინა და მართა ბებიას მიმართა:

- მართა ბებია ნინო ცოტა მეტიჩარა ხომ არ არის?





– ყველა გოგო მეტიჩარაა, მათ შორის ნინოც, – უპასუხა ქალბატონმა მართამ, და ნინოს გაკვირვებაზე გაეღიმა.

თმის სამაგრმა ნელ-ნელა ფერი იცვალა, მერე უცებ, ერთიანად განათდა და ისევ ჩვეულებრივი გახდა.

– ეს რა მოხდა? – იკითხა ნინომ, როცა ნათება შეამჩნია.

– ალბათ, ნიშანი გაუგზავნა ოქროსფერ ვარსკვლავს, – ღიმილით უპასუხა ბებიამ.

– ეს თმის სამაგრი დაგიცავს, და როცა რაიმე საფრთხე შენ, ან ამირანს დაემუქრება, ორივენი იგრძნობთ. არასოდეს მოიხსნა, – გააფრთხილა და სთხოვა დავითმა.

– ხედავ ამირან თუ ჭკუით არ მოიქცევი იმწუთშივე ყველაფერს შევიტყობ, – ნიშნის მოგებით უთხრა ნინომ და მერე დავითს თხოვნით მიმართა: – დავით ძია, შეიძლება ამირანი ჩვენთან წამოვიდეს და დამე დარჩეს, ხვალ ერთად წამოვალთ სემინარიაში, – ნინომ იმედის მზერა მიაბჯინა შუბლზე დავითს.

– საერთოდ, როგორ არ შეიძლება, მაგრამ დღეს არა, აი არდადეგები რომ დაგეწყებათ მაშინ, ახლა შენც სამეცადინო გაქვს და ამირანსაც, ერთად, რომ იქნებით იცელქებთ და ერთმანეთს ხელს შეუშლით, – ღიმილით უპასუხა დავითმა.

დავითის პასუხით განაწყენებულმა ნინომ თავი ჩაქინდრა, მაგრამ სძლია წყენას, დავითს ახედა, გაუღიმა, და ჰკითხა:

– მპირდებით, რომ არდადეგებზე ჩვენთან იქნება?

– რასაკვირველია, ნინო თქვენ სულ ერთად უნდა იყოთ. როგორც მე და თამარი, და როგორც შენი მშობლები იყვნენ, – დამაჯერებელი ტონით წარმოთქვა დავითმა.

მშობლების ხსენებაზე ნინოს სევდიანად გაეღიმა, უაზროდ დაიწყო აქეთ-იქით ყურება, მერე მზერა ერთ ადგილზე გაყინა, ამოიხვნეშა, თითქოს გული ამოუვარდაო და ამირანს ჩაეხუტა. ამირანმაც ხელები მოხვია და მთელი არსებით მიეკრა. მართა და დავითი ზემოდან მდუმარედ დაჰყურებდნენ ორ დიდ სიყვარულს, რომელსაც შეეძლო ქვეყანაზე ყველაზე უფრო დიდი ბოროტებაც კი განეცვიფრებინა. მაგრამ, ბოროტება უგნური იყო და არ სურდა ყოველივეს დანახვა.

სიჩუმე ისევ ნინომ დაარღვია:



– ეს რა ვქენი, ყველა დაგასევდიანეთ, – ისევ ჩაეხუტა ამირანს და მერე, ბებიასკენ მიტრიალდა: – ბება, არ წავიდეთ სახლში?

– კი ბებო გენაცვალოს, – უპასუხა მართამ. ნინოს ჩანთა გამოართვა და დამშვიდობების ნიშნად მამა-შვილს გაუღიმა.

ამირანმა, რომ დაინახა ნინოს ჩანთა ბებიამ გამოართვა, თვითონაც შეაჩეჩა მამას და ეშმაკურად გაუცინა ნინოს, ნიშნად იმისა, რომ: აი მეც მამას ვატარებინებ ჩანთასო.

კიდევ ერთხელ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და დაცილდნენ: ნინო და ბებია თავის ქუჩის აღმართს აუყვებენ, დავითი და ამირანი ვიწრო ტროტუარს გაუყვებენ.

– ნინოს გულში ჩავიხედე, იცი ძალიან ენატრება მშობლები, სევდა ახრჩობს, – გულდაწყვეტილი საუბრობდა ამირანი.

– სევდა ნელ-ნელა გაუვლის, – მაგრამ, თვითონ დავითსაც სევდა მოეძალა.

– მამა იცი რა არის სევდა და მონატრება? – ნიშნის მოგებით ჰკითხა ამირანმა.

დავითს გაეღიმა და კითხვა უკან დაუბრუნა:

– მაინც რა არის?

– აი, მომისმინე:

მონატრება წარსულია,

სიყვარული აწმყო,

მომავალი ღოდინია

ჩვენი გულის სარჩო.

მომავალი გვევაჭრება,

წარსული კი, ვალს გეთხოვს,

აწმყოს ჩვენი გული უნდა,

ტკივილებით გვახრჩობს.

მაგრამ:

წარსულიდან მომავალი მონატრება

იმელებით გვათბობს.

– გეთანხმები ჩემო ამირან, მაგრამ შენ, გრძნობები სამ განზომილებაში მოაქციე და დაგავიწყდა, რომ გრძნობას განზომილება



არ გააჩნია, ის ნებისმიერ განზომილებაშია და ნებისმიერ სამყაროში აღწევს.

– მეც გეთანხმები ამაში, მამა. მაგრამ, ამ სამყაროში მონატრება სამ განზომილებიანია და ტკივილები ახლავს. აი მომისმინე, ჩვენი ხის კასრის მიერ დაწერილ ლექს გეტყვი:

პულსი ნელდება... მაგრამ მაინც ცემს,  
ფიქრი მძაფრდება, და საფეთქლები ძალუმად ფეთქავს,  
მაწანწალა ფიქრები დაბრუნდნენ,  
და გამოედვიდა სულს მარტო შთენილს.

შენი ნახვა მიხარია,  
განშორება არა.  
მონატრება გულსა მტკენდა,  
დავიწყება არა.  
მოფერება სურვილს შობდა,  
გაჯაგრება არა.

თერძი - ბედისწერას ქარგავს,  
დალაქი - ოცნებებს პარსავს.

მოსახვევს იქით,  
გამექცა თვალი.  
მოსახვევს აქეთ,  
ჩამომრჩა აზრი.

გეძებედი თვალებით,  
სურვილი მკლავდა.

უნდა მოგეტანა ჩემთვის იმედი,  
მაგრამ დაგავიწყდა, დაგრჩა.

ასკილი ჩამწიფდა,  
შინდი გაწითლდა,  
თუთა მოიღია,  
ღვინო დაიღია.

იმედის გარეშე სულმა მოიწყინა,  
სევდის სასმელი შესვა და, უგონოდ დათვრა.

ფოთლები გაყვითლდა,  
ბალახი გაფითრდა,



მთაში ბარდნიდა,  
ბარში აცივდა.  
სევდისაგან გალემილი სურვილი,  
თვალეში ნისლად ჩაიღვარა.  
მეცხვარე მწყემსავდა,  
მთიბავი თიბავდა,  
მჭედელი ჭედავდა  
საკუთარ ბედს.  
ვარსკვლავები გაიპარნენ,  
მთვარე მარტო დარჩა.  
შენი ნახვა მახარებდა,  
განშორება არა.  
მონატრება ზმანებაა,  
დავიწყება არა.  
მოფერება ჩემში დარჩა,  
გაჯავრება არა.  
სევდა თვალის გუგას აეკრო, ცრემლად დაიღვარა,  
ცრემლები მიწას დაეცა, მიწის ფორებში დაიკარგა.  
ლოდინი იმედია,  
სურვილი ზმანება,  
ნატვრა ოცნებაა  
სულის სიმღერა.  
ის რაც დაგავიწყდა, თავისით მოვიდა,  
გონებაში შეძვრა, ჩემში ჩასახლდა,  
გონებაში იმედმა სურვილი დაბადა  
სურვილმა დროის შეგრძნება დაკარგა.  
მანძილი შეიკუმშა,  
დრო დაილია,  
დარდმა კიბეები აირბინა  
და სივრცეში გაქრა.

– კარგი, კარგი, მეც გეთანხმები. ჰო, რაც შეეხება კასრს ის ახალგაზრდობაში ძალიან შეყვარებული იყო. ამირან შეხედე! დედა გადმომდგარა აივანზე, ჩვენ გველოდება!



– მამა, მოდი სადარბაზოში ეზოს მხრიდან შევიდეთ და კარზე ზარს, რომ დავრეკვთ გაუკვირდება. ეს ჩვენი სიურპრიზი იქნება,  
– სთხოვა ამირანმა.

– არ გამოგვივა, უკვე დაგვინახა. აი შეხედე ხელს გვიქნევს. წამოდი დროზე ალბათ სახლში გემრიელი რამე-რუმეები აქვს ჩვენთვის, – და დავითმა ნაბიჯს მოუჩქარა. ამირანიც აჰყვა.

კიბებზე ასულებს თამარი გაღებულ კარებში დახვდათ. ფუტკარი კი იქვე შესასვლელში ბზუოდა.

– ამირან, იცი კაქტუსმა მეორე ყვავილი გაშალა, იცი რა ლამაზია, – ახარა ფუტკარმა ამირანს.

– მართლა დედა? – ჰკითხა დედას ამირანმა, და დედასა და კარს შორის გაძვრა, საძინებელ ოთახში სირბილით შევიდა სადაც ბედნიერებისაგან სულ მთლად გამწვანებული კაქტუსი ამაყად აქეთ-იქით იყურებოდა.

– რა მაგარია, როგორ მიხარია. შენ ალბათ ჩქარა, ამ ყვავილის თესლებსაც გაიკეთებ, ხომ? – შეეკითხა კაქტუსს ამირანი.

თანხმობის ნიშნად კაქტუსმა თავი დაუკრა.

– ეი, სხივის ბურთო! შენ ნახე კაქტუსის ყვავილი?

– სხივის ბურთი, დღეს, მაგ ყვავილს, მთელი დღე თავზე დასტრიალებდა, – სხივის ბურთის ნაცვლად ხის კასრმა უპასუხა.

– მამა, მამა მოდი ნახე რა ლამაზი ყვავილია, – ახლა მამას დაუძახა ამირანმა.

საძინებელ ოთახში დავითი შემოვიდა, კაქტუსს მიუახლოვდა, მიულოცა ყვავილის გაშლა, მერე ამირანს მიმართა:

– წადი ახლა ხელები დაიბანე საჭმელი ჭამე და გაკვეთილების მომზადებას შეუდექი.

ამირანი ისე მოიქცა როგორც მამამ უთხრა: ხელები დაიბანა, საჭმელი ჭამა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა.

ამირანი გაკვეთილების მომზადებას გვიან მორჩა, მაგრამ, აშკარად ემჩნეოდა, რომ კმაყოფილი იყო საკუთარი გარჯით.

– მოვრჩი, – მოახსენა სამზარეულოში მყოფ მშობლებს, რომლებიც ტელევიზორში „ვანოს შოუს“ უყურებდნენ.

მშობლებმა, ამირანს გაუღიმეს და სავარძელში ჩაისვეს.

– სასაცილოა? – ჰკითხა ამირანმა მშობლებს.



– სასაცილოცაა და სატირალიც, – უპასუხა დედამ.  
– ჩვენს უბედურებას სიცილით გვეუბნება, – დაამატა მამამ.  
– ეს სამყარო, ასეთი, თქვენ შექმენით, – ლაპარაკში ჩაერთო ფუტკარი.

სამივემ განცვიფრებით ფუტკარს შეხედეს და სიცილი აუვარდათ.

– რა გაცინებთ, რა ფუტკარი სწორი არაა, – დაამატა სინათლის ბურთმა.

ამაზე კი, უფრო ხმამაღალი სიცილი აუვარდათ.

საძინებელი ოთახიდან კაქტუსის ხმა გაისმა:

– რატომბა, რომ როცა ტელევიზორში სასაცილო პროგრამაა ყოველთვის გავიწყდებათ ჩემი გაყვანა.

კაქტუსის საყვედურზე ყველა დადუმდა.

– სწორია, – ცოტახანი დუმილის შემდეგ, აღნიშნა დავითმა, და ამირანს სთხოვა: – წადი გამოიყვანე კაქტუსი, თორემ არ გაჩერდება.

– რას ამბობ დავით კიდევ ერთი კრიტიკოსი შემოგვემატება, – სიცილს ვერ იკავებდა თამარი.

– ისე რა, სწორს არ გვეუბნებიან, – დავითმაც სიცილით უპასუხა თამარს და ისევ ამირანს მიმართა: – წადი, წადი მოიყვანე, თორემ ხომ ხედავ არ ჩერდება, ოღონდ ფრთხილად გარეთ გაყოფილი ეკლები არ გადაუტეხო, იმასაც შეხედე, რომ თმის სამაგრი არ ჩამოცურდეს ეკლიდან - ძირს არ დავარდეს.

ამირანი კაქტუსის გამოსაყვანად წამოდგა.

– მეც მოვდივარ, – და სხივის ბურთიც გაჰყვა.

როცა კაქტუსმა ამირანი და სხივის ბურთი დაინახა მიხვდა, რომ მის წასაყვანდ მოვიდნენ და გარეთ გაყოფილი ორივე ეკალი სხეულიდან ფრთხილად მოიძრო, ერთმანეთზე გადააბა, ისე რომ არ დაქანებულიყო, და ზედ სიმყარისათვის გახვრეტილი ქვა ჩამოკიდა, რომელიც ამირანს მცხეთის დედათა მონასტერიდან ჩამოეტანა, შარშან ზაფხულს.

ცოტახანში სამზარეულოში მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი. ყველაზე უფრო საპატიო ადგილი, სამზარეულოს შუაგული, კასრს დაეკავებინა, რომელიც ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ მეზობლებ-



ის წყრომაც კი, გამოიწვია. მომიჯნავე კედელზე ჯერ კაკუნის ხმა გაისმა და მერე ხმამაღალი ხმა - თხოვნა:

– სამსახურიდან მოსულები ვართ, დასვენება გვინდა, ძალიან ხმაურობთ!

დავითმა ყველას ხელით ანიშნა დაწყნარდითო, და სთხოვა:

– მართალნი არიან, ძალიან ვხმაურობთ, ხმას დავუწიოთ.

– ჰო, ჰო უხერხულია, – დაეთანხმა თამარიც და დაამატა: – და, მგონი ვიღაცის დაძინების დროც მოვიდა.

ამირანი მიხვდა, რომ მასზე იყო საუბარი, კასრს გახედა და ამოიოხრა:

– წავიდეთ!

კასრიც გორაობ-გორაობით გაჰყვა ამირანს, მათთვის განკუთვნილ ოთახისკენ.

ძიღმა, ყველა სულიერი დაიმორჩილა და სიზმრების მოლოდინში მშვიდად დაიწყეს ფშვინვა.

### ყვავილის დიღამ დაამარცხა ურჩხული



მთვარე მოიქანცა ქალაქის ქუჩებში ხეტიალით, თანაც გულს ტკენდა ის, რომ ქუჩაში მოხეტიალე ხალხის უმრავლესობა მას ვერ ამჩნევდა. თუმცა, ერთი კაცი, რომელიც დუქანის წინ იდგა და ეტყობოდა კარგა შეზარხოშებული იყო, ხელს იშვერდა მისკენ, თან აქეთ-იქით სიტყვებს სტყორცნიდა, მერე ისევ აგროვებდა და მათ რითმაში მოქცევას ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ორმა შეყვარებულმა წყვილმაც მიქცია ყურადღება მთვარეს... - „მთვარე გვიყვარხარო“, კოცნა გაუზზაგნეს და დაემალნენ. მხატვარმაც შეამჩნია, რომელიც გულმოდგინედ ურევდა ერთმანეთში ზეთის საღებავებს - ოქროსფერის მიეღება სურდა.

– ღმერთმა გაახაროს მათი გული. კარგია! ჯერ კიდევ ერთი-ორი მეოცნებე მაინც, რომ შემორჩენია ამ ქალაქს, – თავისთვის ჩაილაპარაკა მთვარემ, მერე, ამირანის ფანჯარაში შეიხედა, ეამა



- ყველაფერი კარგად იყო. და, გორაობ-გორაობით დედამიწის მეორე მხარეზე გადაგორდა. მთვარის გაქრობასთან ერთად, ცაზე ვარსკვლავების შუქმაც იკლო და მათი ბრწყინვალება, თანდათანობით მზის სხივებმა შეავსეს, რომლებიც თავდავიწყებით დედამიწისაკენ მიექანებოდნენ თავისი მოვალეობების შესასრულებლად.

ახლახანს გამოღვიძებულმა კაქტუსმა, როცა ციდან დაშვებულნი მზის სხივების ნაკადი დაინახა, გაიხარა. ზმორებით, ფესვებზე წამოიწია და ქუჩაში გადაიხედა, იმ იმედით, რომ ქვაფენილზე ასხლექტილ სხივს თვალებით დაიჭერდა, მაგრამ, ქუჩა იმდენად დამტვერილი იყო, რომ სხივს ვერ ირეკლავდა, პირიქით შთანთქავდა, რის გამოც დილა უღიმღამოდ გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, კაქტუსმა ნაგვის ყუთზე შემომჯდარი კატა შეამჩნია, რომელიც სახით მზის სხივებს ესალმუნებოდა, მერე ზაქარია მენაგვესაც მოჰკრა თვალი, რომელიც ქუჩის სახვეტი ცოცხის ტარს დაყრდნობოდა და სადღაც შორს სივრცეში იყურებოდა. მიხვდა კაქტუსი, ზაქარია თავისი ფიქრით მესამე განზომილებაში იყო წასული.

ციდან წამოსული სხივები გარს შემოერტყნენ ზაქარია მენაგვეს, შეატორტმანეს, ზაქარია გამოფხიზლდა, დაუბრუნდა მიწიერ სამყაროს, გაიზმორა, მერე ცოცხი მოიმარჯვა და ქუჩის ხვეტას შეუდგა. ცოცხს ცელივით იქნევდა და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

მინდა მზერით შემოვფარგლო,  
წარსული და აწმყო.  
ოცნება მაქვს - ორი ერთში გაგახვიო,  
მესამეში, ჩემი სული ჩავდო!  
შემდეგ, სივრცე გადავლახო,  
მომავალიდან გადმოვხედო წარსულსა და აწმყოს.  
მსურს - ერთში სამი მოვაქციო  
და იმ ერთში, სულთან ერთად,  
ჩემი თესლიც ჩავრგო!  
კიდევ მინდა, ერთ სივრცეში ჩავაქსოვო  
წარსული, მომავალი და აწმყო.





სურვილი მაქვს, დრო გავაქრო  
და ერთ არსში ამოვიცნო  
ღმერთის საიდუმლო.  
ამის შემდეგ დაგწუნარდები და სიცოცხლეს,  
უფლის ნებას ვანდობ.

მენაგვის ხმაზე, ლოთის შვილმა ფანჯარა გამოაღო, და ზაქა-  
რიას ჩამოსძახა:

- რაო გამოცანები შემოგაკლდა?
- არა. განა ესეც გამოცანა არ იყო? ააა, გასაგებია... შენთვის  
სხვა მაქვს. გინდა გითხრა? - დიდი ჭოჭმანის შემდეგ შეეკითხა  
მენაგვე.
- მიდი, აბა თქვი, - ნიშნის მოგებით უთხრა ლოთის შვილმა.
- კარგი, მომისმინე:

ჯერ საქმე ჰქნა „კულინარის“,  
მერე - დაერია ჩეჩნებს,  
ფეხსაცმელებს აღარ იცვამს  
და პატივსაცემს აშშ-ს,  
თუ? რუსულ ჩექმებს.

მენაგვემ გამოცანის თქმა დაასრულა თუ არა, ლოთის შვილმა  
ისეთი ღრიალი ატეხა, რომ ყველა მეზობელმა ფანჯარაში გამოი-  
ხედა.

ლოთის შვილი კი, არ ჩერდებოდა - ყვიროდა და ყვიროდა:  
- ეი შე, პროვოკატორო, შე გაუნათლებელო, უგვანო, კრეტინო  
ჩემს ყოფილ უფროსზე როგორ ბედავ ამისთანა რამეების წერას.  
გიჩივლებ, დაგიჭერ, ციხეში ჩაგვსვამ.

მენაგვეს ლოთის ყვირილზე გაეცინა და ფანჯარაში გადმომ-  
დგარ მეზობლებს მიმართა:

- ხალხნო გამოცანა გამოიცნო, ეს პროგრესია!
- მართლაც რომ, - აღნიშნა დარია ექიმმა.
- მივესალმებით პროგრეს! - გამოეხმაურა კიდევ ერთი მეზობ-  
ელი.



– ვაშა ვითარდებით! – სხვამაც აღნიშნა.

– ყოჩად პოსლიკ! – შეაქო კიდევ ერთმა მეზობელმა.

ამ შექებას ღლოთის შვილი დაამშვიდა, მეტიც სიამაყით აივსო და მეზობლებს მადლობის ნიშნად, უკვე თავს უქნევდა. პოსლიკას სიბრყივე მთელ ქუჩას მოედო, დილის მოუსვენარ ჰაერს შეერია, ახლომახლო ბინებში შეაღწია და ყველა სულიერს გროტესკული ღიმილით აუწყა, რომ კიდევ ერთი გადარეული დღე დაიწყო.

ცოტახანში ქუჩა მანქანებით გაივსო, ტროტუარზე კი აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალი, და შედარებით ცოტა - ფრთხილი ნაბიჯებით მომავალი ხალხი გამოჩნდა. ეს ორი კატეგორია ადამიანების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ზოგი სად, და ზოგი კიდევ იქ მიდიოდა, და მიდიოდა იმ მიზნით, რომ ვიღაცას ეთქვა: „აი მოვიდნენო“. ამ მოუსვენარი ხალხის ნაკადში ადვილად გამოარჩევდით მოკრძალებული იერის მქონე დავითს და მის შვილს ამირანს, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ გვერდი აექციათ ტროტუარზე ქაოტურად მოსიარულე ხალხისთვის.

– მამა, მამა! შეხედე სოსო ნათლია! – ამირანმა ხელი გაიშვირა აშკარად მათი მიმართულებით მომავალი ნათლისკენ, და როცა დარწმუნდა, რომ მამამაც დაინახა, ხელი გააშვებინა და ნათლისკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა, სოსომ ამირანი ხელში აიტაცა, შემდეგ თითქოს მიწაში ჩარჭობას უპირებსო, ისე მძლავრად დააყენა ტროტუარზე, რომ იქაურობა შეიძრა.

– აი, ჩემო ვაჟკაცო, რამდენიხანია არ მინახიხარ, – და გულში ჩაიკრა.

– სოსოს გაუმარჯოს! ასე ადრინად აქეთ რა ქარმა გადმოგადო? – მიესალმა დავითი.

– აი, ეს ბროლის ლარნაკი მინდა გავიტანო ბაზარზე გასაყიდათ, – და სოსომ ხელში ჩაბღუჯული ლარნაკი უჩვენა.

– წაიღე ეს ლარნაკი სახლში, მე მოგცემ ფულს, რამდენი გინდა, რატომ არ მითხარი ფული თუ გჭირდებოდა, – გაბრაზებულმა მიახალა დავითმა.

– კარგი რა, რამდენჯერ უნდა გთხოვო, მერიდება, – მორიდებულად უპასუხა სოსომ.



– შენი წუწურაქი დიშვილები არ გეხმარებიან?.. ჰმ, მართალი ვარ ხომ? – მაგრამ, დავითს არ ესია მოვინა თავისივე ნათქვამი.

– იმათიც მერიდება, რაღაცა მინიშნებებით კი ვაგრძნობინებ ხოლმე, მაგრამ, ვერ ხვდებიან, თუ არ ხვდებიან, არ ვიცი... ჩემი და კი ცდილობს დამეხმაროს, მაგრამ რა ქნას... ჰო მართლა, ამასწინებზე, ჩემს დას ლექსად მივმართე ჩემს გასაჭირზე, ეტყობა უთხრა შვილს... ამ ოინმა გაჭრა და ნახმარი ფეხსაცმელი მაჩუქა. აი შეხედე რა კარგია, – და სოსომ დავითს ფეხსაცმელზე დაახედდა.

– რაო ბიჭო ლექსების წერა დაიწყე? აბა მითხარი ერთი, რა ლექსით მიმართე შენს დას, – და დავითი თვალებში მიაშტერდა სოსოს.

– კი ბატონო, – სოსო ცოტახანი შეყოვნდა, და სევდანარევი ღიმილით, ერთი კვირის წინანდელი, ლექსი წაუკითხა:

გამარჯობა ჩემო ლალი,  
გამახსენდა შენი თავი,  
თუ გაქვს ძველი ფეხსაცმელი მიწილადე,  
თავად არ მაქვს ყიდვის თავი.

ეს რაა, კიდევ დავწერე. როცა ჩემი დიშვილი საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა, ვესტუმრე, და თხოვნა ლექსად მოვახსენე, აი მომისმინე – და უკვე მხიარული განწყობით წაიკითხა:

შენ გეტყვი და, სხვას კი, არა:  
თუ ჯიბეში დაგრჩა ფული,  
გაახარე ბიძას გული,  
არ ინანო საქციელი,  
თორემ წაგიწყდება სული.

დავითს ხმამაღლა გაეცინა და ჩუმად ჯიბიდან ამოღებული ფული სოსოს პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაუჭმუჭნა.

– კარგი რა დავით, – იუარა სოსომ და ჯიბიდან ფულის ამოღება დააპირა, მაგრამ ამირანი, რომელიც სოსოს გვერდით იდგა,



ხელის ჯიბეში ჩაყოფის საშუალებას არ აძლევდა... თან გულამომჯდარი ეხვეწებოდა:

– მე მოგიკვდე თუ უკან დაგვიბრუნო, ნათლია არა...

– მოკლედ ასე... მე მაინც გავყიდი ამ ლარნაკს, – თქვა სოსომ, ამირანს თავზე ხელი გადაუსვა, დავითს მხარზე ხელი დაჰკრა და გზა განაგრძო.

მამა-შვილმა გზა სასწავლებლისკენ გააგრძელა, და რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი სემინარიამდე მით უფრო ხალისდებოდა ამირანი და როცა შესასვლელ კართან ნინო და მართა ბებია დაინახა, მამას ახედა, დავითმა გაუღიმა და ხელი კეფაზე მსუბუქად ჰკრა, ანიშნა - წადიო. ამირანი ნინოსკენ აჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაემართა... და ორივე სემინარიაში ხელჩაკიდებულები შევიდა.

– ჩქარა შენი ვაჟი საერთოდ წამართმევს შვილიშვილს, – ღიმილით მიმართა მართამ მოახლოვებულ დავითს.

– თქვენ უნდა ნახოთ დილით რა სიხარულით მოდის სემინარიაში, – და დავითი მოწიწებით მიესალმა ქალბატონ მართას.

– ჩემიც, – უპასუხა მართამ. შემდეგ, ხელის ფრთხილი მოძრაობით დავითის ხელი გამოითხოვა და თავის ხელებში მოაქცია... დავითის ხელის სითბო იგრძნო, ეამა, და ეს გრძნობა თავის სხეულში გაატარა, დატკბა: – დღეს, მრევლის მოსვლამდე, ეკლესიის კანდელები უნდა გავწმინდო... დიდი ბოდიში ძალიან მეჩქარება, – და ბოდიშის მოხდით დაემშვიდობა. თან გაიყოლა ის სითბო, რომელიც ძალიან აგონებდა შვილისას...

დავითიც თავის სამსახურისკენ წავიდა.

ამირანს, პირველი გაკვეთილი ფიზიკის ჰქონდა. მასწავლებელი შემოვიდა თუ არა საკლასო ოთახში, ამირანს გაახსენდა პირველი გაკვეთილი, გაახსენდა ის თუ რა მოჰყვა მის თავშეუკავებელ სიცილს, და ისევ გაეცინა.

– აა, შენ ისევ ოხუნჯობ, ესე იგი მზად ხარ გაკვეთილისთვის. მაშ კარგი, მიპასუხე: დრო რისი მაჩვენებელია?

ამირანი წამოდგა საპასუხოდ, მაგრამ ღიმილს პირიდან ვერ იცილებდა, – დრო პატივცემული... – ამირანი შეყოვნდა... ფიქრით



სივრცეში ჩაიძირა და როცა გამოფხიზლდა, პასუხი ლექსად უთხრა:

ზოგი ბნელშია...

ზოგთან ნათელი მიდის!

ფიქრი ზმანებაა, მაგრამ, მაინც მოდის და მიდის.

ბერი, გულის ტკივილით კითხულობს:

„სადაა საათი?“

„ახლა რა დროა?“

ღმერთი, მოკრძალებით პასუხობს:

„სისუფელეა, დრო არ არსებობს, იგი ნულის ტოლია“.

პასუხით შემცბარი ბერი, ისევ კითხულობს:

„კი მაგრამ, მაშინ დღე და ღამე რისი სწორია?“

ღმერთი, ღიმილით პასუხობს:

„ბრიყთათვის მუდამ ღამეა, შენტვის კი,  
ორივე ერთმანეთის ტოლია“.

როცა ამირანმა ლექსი დაასრულა, საკლასო ოთახში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ფიზიკის მასწავლებლის ისედაც აბურძგნული თმა, სულ მთლად აირ-დაირია და გადაირია.

– სწორია, დრო არ არსებობს ის ადამიანებმა შემოიღეს პროცესების აღნუსხვისათვის, მაგრამ ფიზიკაში დროს თავისი განმარტება აქვს, – ფიზიკის მასწავლებელი მიუახლოვდა ამირანს, თავზე აკოცა და დაჯდომა სთხოვა, შემდეგ ბავშვებს მიმართა:

– დღეს თავისუფალი თემა გექნებათ დასაწერი, რომლის სათაურია: „რა ვიცი ფიზიკის შესახებ“.

ბავშვებმა საწერი კალმები მოიმარჯვეს და წერას შეუდგნენ. ფიზიკის მასწავლებელმა მერხებს შორის დაიწყო სიარული და როცა ბავშვის რვეულში მისთვის საინტერესო საკითხს ამოიკითხავდა აღფრთოვანებას ვერ ფარავდა.

ბავშვებს ჯერ ბოლომდე არ ჰქონდათ დასრულებული წერა როცა დასვენების ხარი დაირეკა.



– კარგით ბავშვებო გეყოფათ, წადით დაისვენეთ, ვინც ვერ მოასწრო თემის დასრულება, ამაში ნიშანს არ დაგაკლებ, – და ფიზიკის მასწავლებელმა რვეულების შეგროვება დაიწყო.

საკლასო ოთახში ნინომ შემოიხედა, ამირანმა ანიშნა ახლავე გამოვალო. ფიზიკის მასწავლებელს მიუახლოვდა და ბოდიშის მოხდით კლასიდან გასვლა სთხოვა.

– რასაკვირველია პატარა გენიოსო, ახლა ხომ დასვენებაა, – ღიმილით მიმართა ფიზიკის მასწავლებელმა ამირანს.

საკლასო ოთახიდან გამოსულ ამირანს, ნინომ ქაღალდში გახვეული ნამცხვარი მიაწოდა.

– ნამცხვარია, ბებიამ გამოგვიცხო - დილით დამავიწყდა მეტქვა.

– მადლობა. მოდი ჩიტებსაც ვაჭამოთ, – შესთავაზა ნინოს ამირანმა.

– კარგი, – დაეთანხმა ნინო და ორივე ჩიტებისკენ წავიდნენ.

ჩიტებმა მათკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი ბავშვები, რომ შეამჩნიეს, ჯერ შეცბნენ, მაგრამ, როცა მათი მხიარული სახეები დაინახეს დამშვიდნენ.

– რაო, რა მოხდა? – პირველმა სულმნათმა ჰკითხა მოახლოებულ მეგობრებს.

– ნამცხვარი მოგიტანეთ, – მიახარა ნინომ.

– აბა, სად არის? – იკითხა მზეწვიამ.

– აგერ, – და ამირანმა ქაღალდში გახვეული ნამცხვარი დაანახა. ერთი ნაჭერი ქვაფენილზე დადო, ჩიტებს მოხერხებულად, რომ აეკენკათ. მეორე კი, შუაში გადატეხა და ნინოს მიაწოდა.

ოროვე ჩიტი, ხის ტოტიდან ქვაფენილზე ჩამოფრინდა და ნამცხვრის კენკვას შეუდგნენ. ბოლობდე რომ ჩაათავეს, მზეწვია ნინოს, სულმნათი კი ამირანს დაუსკუპდა მუხლზე.

– რაო მოგეწონათ ნამცხვარი? – ჰკითხა ამირანმა ორივეს.

ჩიტებმა კითხვაზე პასუხი არ გასცეს... სულმნათმა ამირანის მუხლებზე, ხოლო მზეწვია, ნინოს კალთაზე დაყრილ ნამცხვებს დაუწყეს კენკვა.

– მოეწონათ, მოეწონათ. ხომ ხედავ ლამისაა ჩვენც აგვეკენონ, – დამცინავი ღიმილით აღნიშნა ნინომ.



– კვირას, ახალი პარალელური სამყარო რომ შეიქმნა, ამის შესახებ ხომ ვითხარით?! წუხელ დამე კი ჩვენი ოქროსფერი ვარსკვლავი ცაზე ისე წრიალებდა თითქოს დედამიწაზე აპირებდაო დაშვებას, – აღნიშნა სულმნათმა და ამირანის მუხლიდან ნამცეცების კენკვა განაგრძო.

– მისი დედამიწაზე დაშვება ცოტა არ იყოს საშიშია, უკვე ისე გაიზარდა რომ - უუუ, თითქმის დედამიწის ხელა გახდა. მოიცა... ნეტა რამეს ხომ არ გვანიშნებდა? – და ამირანი ნინოს თმის სამაგრს დააკვირდა.

– ნინო შენი თმის სამაგრი ციმციმებს... ამ შენობაში, საფრთხე მართალია არ გვემუქრება, მაგრამ გარეთ?.. ფრთხილად უნდა ვიყოთ...

ამირანს საუბარი არ ქონდა დასრულებული, როცა ყურთან ფუტკრის ბზუილი გაიგონა.

– ჩვენთან მოფრინდი, – გახარებულმა აღნიშნა ამირანმა.

– ჰო, თქვენთან მოფრინდი, დილით, თქვენ რომ გამოსვედით სახლიდან, კაქტუსის ეკალზე დამაგრებულმა თმის სამაგრმა ციმციმი დაიწყო, ვიფიქრე ბავშვები საფრთხეში ხომ არ არიანო. ჰო მართლა, სხივის ბურთიც მოფრინდება, – სერიოზული ხმით და ოდნავ შეშინებული საუბრობდა ფუტკარი.

– იცი, თურმე წუხელ ოქროსფერი ვარსკვლავიც უცნაურად წრიალებდა ცაზე, – ამირანმა სულმნათის ნათქვამი გაუმეორა ფუტკარს.

– ბავშვებო, გინდათ ჩვენი ოქროსფერი ვარსკვლავის მშობლებზე მოგიყვებო, – შესთავაზა ამირანმა მეგობრებს.

– გვინდა, – მეგობრები ერთხმად დაეთანხმნენ.

– ჩვენი ოქროსფერი ვარსკვლავის მამა ნეიტრონ კვარკებია, ის წყლიან გალაქტიკიდან მოფრინდა, მისი გულის ირგვლივ ძლიერი გრავიტაციაა შექმნილი, რომელიც ვარსკვლავის სხეულის გარშემო შეუღწევად ელექტრონულ ველს ქმნის, ამიტომაც ის უძლეველ ვარსკვლავად ითვლება. ერთხელ როცა ვარსკვლავური ომი დაიწყო, და მის საზღვრებს უდანაშაულო ლტოლვილი ვარსკვლავების დიდი ჯგუფი მოადგა - მან ისინი შეიფარა. ლტოლვილ ვარსკვლავებს შორის იყო დედოფალი თეთრი ვარსკვლავი, რომე-

ლიც მხოლოდ კვარცისაგან შედგება. თეთრ ვარსკვლავს და ნეიტრონ კვარკებს ერთმანეთი შეუყვარდათ. ომის დამთავრების შემდეგ იქორწინეს, და ჩვენი ოქროსფერი ვარსკვლავიც გაჩნდა, რომელიც ათ წლამდე ჩვენთან იზრდებოდა... ახლა კი ციდან დაგვცქერის, და როცა საფრთხე გვემუქრება გვატყობინებს. ლბათ, წუხელ ამიტომაც წრიალებდა ცაზე, – ბოლო ნათქვამზე ამირანი ჩაფიქრდა, თითქოს წინა ცხოვრებიდან რაღაც გაახსენდა. მაგრამ, უცბად გამოფხიზლდა, მეგობრებს გაუღიმა და უთხრა: – ჩვენ ბევრი გამოცდილება შევიძინეთ, თანაც ახლა ყველა ერთად ვართ, ასე მხოლოდ ახლა მოხდა, სხვა დროს ჩვენი თანაარსებობა ერთმნეთს არ ემთხვეოდა და ეშმაკი ადვილად გვამარცხებდა, ახლა კი, ჩვენ მას საბოლოოდ დავამარცხებთ.

ამირანმა დაასრულა თუ არა საუბარი, გაკვეთილზე შესასვლელი ზარიც დაირეკა. ამირანს მეორე გაკვეთილი მათემატიკური ფილოსოფია ჰქონდა. კლასში, რომ შევიდა უკლებლივ ყველა ბავშვი ადგილზე დახვდა, მის დანახვაზე ბავშვებმა სიცილი ატეხეს.

– რა მოხდა? – იკითხა ამირანმა.

– ჩვენ მოვილაპარაკეთ, ვინც ყველაზე ბოლო შემოვიდოდა კლასში ის პირველი გამოვიდოდა დავალების წასაკითხად, – მიახარა რუსუდანმა, რომელიც პირველ მერხზე იჯდა, საკლასო ოთახის კართან.

– არა, ვაპროტესტებ! იმიტომ რომ ჩემს შემდეგ ჩვენი მასწავლებელი შემოვა, და ის იქნება ბოლო, და თქვენი ლოგიკით მან უნდა მოყვეს გაკვეთილი, – უდარდელად უპასუხა ამირანმა მეგობრებს.

– არა შენ მოყვები, – სიცილით უთხრა მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელმა, რომელიც უკნიდან თავზე წამოდგომოდა ამირანს.

ამ გარემოებამ ბავშვები კიდევ უფრო გაამხიარულა და ისეთი სიცილი ატეხეს, რომ დერეფანში მიმავალმა დედა ქრისტინემ კლასში შემოიხედა:

– რა ხდება? – იკითხა დედაომ.





– ამირანი გაება მახეში, – უპასუხა მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელმა.

დედაოს გაელიმა და გზა განაგრძო.

მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელმა კარი მიხურა და გაწბილებულ ამირანს მიმართა:

– მიდი აიდე შენი დავალების რვეული და გამოდი, დავალების წასაკითხად.

სხვა რა გზა ჰქონდა ამირანს, აიღო რვეული, დადგა მასწავლებლის გვერდით და კითხვა დაიწყო:

– გარემოზე დაკვირვება ახალ-ახალ საფუძველს იძლევა იმის დასადასტურებლად, რომ მცენარეები აზროვნებენ ანუ გააჩნიათ ენერგოინფორმაციის მიღების, გაცემის და შენახვის უნარი, ეს უკანასკნელი თვისება კი, მათ ეხმარება გამრავლების უნარის გადაცემაში და დაკონსერვებაში, რომელიც კარგად მჟღავნდება უდაბნოს მცენარეებში. მცენარეებს, ასევე, ახასიათებს გამრავლებისათვის და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს არჩევის უნარი. ამასთან მცენარე, ისევე როგორც ადამიანი, ორბუნებოვანია, რომელიც მის ბიოლოგიურ აგებულებაში მჟღავნდება, სახელდობრ ფესვებით დაკავშირებულია მიწასთან, ხოლო ღეროთი მიილტვის ზეცისკენ და მზისგან იღებს ენერჯიას. სამგანზომილებიან სამყაროში ორბუნებოვნება ეს რეალური და ერთადერთი სწორი მდგომარეობაა. ამის ასახსნელად საკმარისია ორკუთხა გეომეტრიული სხეულის არსი - მის გვერდებს არ შეუძლია დახურული სივრცის შექმნა, ის გახსნილია. ადამიანი და მცენარე ორკუთხა გეომეტრიული სხეულის ბუნების მატარებელია, სხვა მხრივ ადამიანი თავისივე თავში დაიკარგებოდა და ვერ გამრავლდებოდა, ასევე მცენარეც, და რახან მრავლდებიან და ვითარდებიან, ესე იგი ორბუნებიანობა ახასიათებთ.

ამირანმა დროებით კითხვა შეწყვიტა, მასწავლებლის ნებართვით, მაგიდიდან ორი ცალი მარკერი აიღო და დაფასთან მივიდა: – გააკეთოთ დაშვება და დავუშვათ მცენარეების „A“ ჯგუფს გააჩნია „kb“ დამახასიათებელი ნიშნები, – ამირანმა ამ ჯგუფის მცენარეების ამღნიშნეელი ასოები ლურჯი მარკერით დაწერა და განაგრძო ახსნა: – სადაც: „k“ არის მცენარეში თვითგარდაქმნის კოდი, „b“ არის გარდაქმნის უნარი. ხოლო, მცენარეების მეორე ჯგუფს „B“-ს გააჩნია



„k“ ნიშნები, – და ამ ჯგუფის მცენარეების ამდნიშვნელი ასოები, ამირანმა მწვანე მარკერით დაწერა: – სადაც „k“ არის თვითგარდაქმნის კოდი, ხოლო „c“ არის „A“ ჯგუფის მცენარეებისგან, განსხვავებული გარდაქმნის უნარი. დაუშვათ: „A“ და „B“ მცენარეების ჯგუფს საერთო აქვთ მხოლოდ თვითგარდაქმნის კოდი, მაგრამ გარდაქმნის სიჩქარის უნარი განსხვავებული. და, თუ გარემო პირობები სწრაფად შეიცვალა და მცენარემ ცვლილებები ვერ იგრძნო ანუ ვერ აღიქვა, ის დაიღუპება. ანუ, მისთვის თვითგადარჩენის კოდის ეფექტი ნულის ტოლი იქნება, ესე იგი მცენარეების საერთო ნიშანი „k“ არსებით როლს ასრულებს ფლორის განვითარებაში. თვითგარდაქმნის კოდი, შეიძლება იყოს ნულის ტოლი, ნაკლები ან მეტი. ნაკლებობა ეს არის დროის ის განმსაზღვრელი პერიოდი, როცა მცენარის გარდაქმნის უნარის სისწრაფე დაბალია ანუ ნულზე ნაკლებია და ის გადაშენების კანდიდატია. მაგრამ, თუ გარდაქმნის სიჩქარე ნულის ტოლია, მაშინ 24 საათიანი გარდაქმნის პერიოდში, მისი გარდაქმნის პერიოდი შეიძლება გამოვხატოთ ასე: – და ამირანმა დაფაზე დაწერა: – 24+h, სადაც „h“ ნულის ტოლია, – და ახსნა გააგრძელა: – მაგრამ, თუ გარდაქმნის უნარი მეტია ნულზე და ერთის ტოლია, მაშინ მცენარის გარდაქმნის სიჩქარე მაღალია ანუ ახალ გარემოსთან შეგუების დონე აქტიურია. – ამირანი ცოტახნით ჩაფიქრდა და ისევ გააგრძელა: – მცენარეების „A“ და „B“ ჯგუფების ნიშნებს მივანიჭოთ ციფრული განსაზღვრებები და შეწონილი საშუალო არითმეტიკული გაანგარიშების მეთოდით, განვსაზღვროთ პირობითად აღებული „A“ და „B“ ჯგუფი მცენარეების სასიცოცხლო ციკლი კვირის პერიოდზე, რომელიც ასევე განსაზღვრავს მის დროით მდგომარეობას, დროის სამგანზომილებიან სისტემაში. დაუშვათ „Akb“ მცენარეების ჯგუფისათვის გარდაქმნის უნარი დადებითია და იცვლება ციფრობივი გათვლის თანმიმდევრობით 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, რომელიც განსაზღვრავს მისი გარდაქმნის სიჩქარის უნარსაც, ერთ კვირაზე. მაშინ შეწონილი საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით პირველი ჯგუფის მცენარისათვის გარდაქმნის სიჩქარე ტოლი იქნება ოთხის, ესე იგი, თუ ერთი კვირის, შეიდი დღე, ჩვენს შემთხვევაში: 0-დან 6-მდე, და ამ პერიოდში, გარემოში, მიმდინარე პროცესების მიმდინარეობის სიჩქარე 1 საათში 24 გარდაქმნის სიჩქარით ხორციელდება, მცენარის გარდა-



ქმნის უნარიდან გამომდინარე ის გადაშენების საშიშროების წინაშე დგას. ახლა დაეუშვათ, რომ მეორე ჯგუფის მცენარეებისათვის გარდაქმნის უნარი სწრაფია, მაშინ მცენარის შეგუების ანუ გარდაქმნის სიჩქარე ტოლი იქნება ხუთის, რაც კარგი მაჩვენებელია. ამასთან, პითაგორას მიხედვით ოთხი ნიშნავს კვადრატს, ხუთი კი ქორწინებას.

როცა ამირანმა დაასრულა დავალების წარმოდგენა, მასწავლებელს გახედა, და პასუხს დაელოდა.

მასწავლებელმა ამირანს კმაყოფილების ნიშნად თავი დაუკრა და ბავშვებს მიმართა:

– გთხოვთ შეაფასოთ.

ხელი რუსუდანმა აიწია.

– რუსუდანს სურს, გთხოვთ რუსუდან... არ არის საჭირო გამოსვლა, ადგილიდან შეგიძლია გააკეთო შეფასება, – მოფერებით მიმართა მასწავლებელმა რუსუდანს.

– პატივცემულო, ამირანმა არაჩვეულებრივად დააკავშირა ერთმანეთთან გეომეტრიული ფორმები, ორბუნებიანობის არსი, სივრცითი ცნებები და მცენარის თვითგარდაქმნის კოდი. ეს ჩემი შეხედულებაა, – და რუსუდანი დაელოდა მასწავლებლის აზრს, მისი შეფასების შესახებ.

– სწორი შეფასებაა, კიდევ ვის სურს გააკეთოს შეფასება, – ისევ მიმართა კლასს, მაგრამ შეამჩნია, რომ ბავშვები ფანჯრის მინას მიშტერებოდნენ, რომელსაც ქუჩის მხრიდან თავგანწირვით დიდი შავი ბუზი ეხეთქებოდა.

ეს, რომ ამირანმა დაინახა, მიხვდა რაშიც იყო საქმე, და იყვირა:

– ჩქარა მამაოს დაუძახეთ, ჩქარა! ეს ურჩხულია!

ამირანის მოწოდებაზე, მედეა წამოხტა და ყვირილით დერეფანში გავარდა:

– მამაო გვიშველე! მამაო გვიშველე! ჩქარა მამაო!

მეოთხე დაჯახებაზე ბუზმა მინა ჩაამსხვრია, ოთახში შეფრინდა, კედელს მიასკდა და შავ ლაქად იატაკამდე ჩამოიღვენთა, უეცრად ნაღვენთი ბურთად შეიკრა, ბურთი გაიბერა და საშინელ ფრთოსან ურჩხულად გადაიქცა რომლის სახე ყოველწამს იცვლებოდა: ხან შახაბაზისა ხდებოდა, ხან პუტინის, ხან სტალინის, ბოლოს გველის თავად



გადაიქცა. ფრთებიდან კლანჭები წამოეზარდა, ხოლო მუცლის ქვედა ნაწილიდან ჩლიქებიანი ფეხები.

– ჯვრები ამოიღეთ და დაანახეთ, ამით შევაჩერებთ, – ძლიერი ხმით და დამაჯერებლად მიმართა ბავშვებს ამირანმა და თვითონაც გულზე დაკიდებული ჯვარი ამოიღო. ბავშვებმა დაუჯერეს, მხოლოდ მასწავლებელი იდგა გაოგნებული, გაურკვევლობის მორევში ჩაძირული, მერე უცებ ადგილს მოწყდა და საშინელი ყვირილით ურჩხულს ეძგერა.

ამირანმა დაუყვირა:

– არ ჰქნა, – მაგრამ, უკვე გვიანი იყო. ურჩხულმა მასწავლებელი კედელს ისე ძლიერად მიანარცხა, რომ მასწავლებელი სულთმობრძავი დაეცა.

ურჩხულმა, ბავშვებში ამირანი გამოარჩია და წაუსისინა:

– ხომ გიპოვე, ახლა კი საბოლოოდ გაგანადგურებ, – და ამირანისკენ გაიწია... ამ დროს ოთახში ტყვიის სისწრაფით ჩიტი სულმნათი შემოფრინდა, ურჩხულის წინ დაჯდა, ფრთები ძლიერად შემოჰკრა, და აბჯარ ასხმულ მეომრად გადაიქცა.

– წმინდა გიორგი! – სიხარულით შესძახა ამირანმა.

ურჩხული და წმინდა გიორგი ერთმანეთს შეებნენ... ამ საშინელ შერკინებაში, მონაწილეობდნენ საშველად მოსული მამაო, სემინარიის ბავშვები და მრევლი... თითოეული მათგანი ცდილობდა ჯვარით შეხებოდა ურჩხულს... პირველად ეს მამაომ შესძლო და იქ სადაც ჯვარით შეეხო ურჩხულს რკინის ქერცლი ამოეწვა, წმინდა გიორგიმ სწორად იმ ადგილას აძგერა მახვილი, მეორედ ეს უფროს კლასელმა ცოტნემ შესძლო, და მეორედ აძგერა მახვილი წმინდა გიორგიმ, მაგრამ, ურჩხულს მიყენებული ჭრილობები არაფერს აკლებდა. მხოლოდ, ამირანმა იცოდა ურჩხულის სუსტი ადგილი, მაგრამ ვერაფრით ვერ მიუღდა, თანაც წმინდა გიორგი არ აძლევდა ამის უფლებას, როგორც კი გაქანდებოდა ურჩხულისკენ, წმინდა გიორგი აჩერებდა და ხელის კვრით უკან აგდებდა.

ურჩხული, მიყენებული ჭრილობების მიუხედავად, თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა: ფრთები გაეზარდა, კლანჭები დაუგრძელდა, ზურგზე კუზი იმდენად ამოებურცა, რომ სემინარიის ჭერი გაანგრია. ფრთებს ისე ძლიერად იქნევდა, რომ ყველას და ყვე-



ლაფერს აქეთ-იქით ისროდა, მხოლოდ წმინდა გიორგის ვერ მოუხერხა ვერაფერი, რომელიც წინ ელობებოდა და ამირანთან მიხსლოების საშუალებას არ აძლევდა.

დედაოები ცდილობდნენ დაბალი კლასის ბავშვები იქაურობას გაერიდებინათ, მაგრამ, ბავშვები არ ემორჩილებოდნენ, ყველა ცდილობდა ურჩხულისათვის რაიმე ზიანი მიეყენებინათ, თუნდაც მცირედი მაინც.

ნინო ამირანის ახლოს იდგა, ჯვარი თავის მაღლა აღემატა და გულმხურვალედ ლოცულობდა. ფუტკარი ნინოს მხარზე იჯდა და დაგეშილი ნაგაზივით უყურებდა ურჩხულს - თითქოს აჰა-და ახლა უნდა ეცეს და დაგლიჯოსო. მზეწვია ამირანის თავზე ფარფატებდა და როცა ურჩხული ამირანისკენ ცეცხლს გამოუშვებდა, ფრთების სწრაფი ქნევით ჰაერის მძლავრ ნაკადს ქმნიდა და ცეცხლის ალს აქრობდა.

- სხივის ბურთი! - გახარებულმა დაიყვირა ფუტკარმა.

და მართლაც, ცაზე სხივის ბურთი გამოჩნდა, რომელიც მთას მოწვევითი კლდესავით დაეშვა ძირს, სემინარიის დამსხვრეულ ჭერთან მოახლოებისთანავე ჰაერში გაიშალა და ისე ძლიერად გაანათა იქაურობა, რომ ურჩხულს თვალები მოეჭრა, ამით ამირანმა დრო იხელთა, ნგრევას გადაარჩენილ მერხზე ახტა, მერე ნანგრევების გროვაზე, და გველეშაპს მუცლის ზედა ნაწილში, იქ სადაც ყვითელი ლაქა ჰქონდა - ჯვარი ატაკა. ჯვრის სიმხურვალემ ურჩხულის რკინის ქერცლი ამოუწვა, წმინდა გიორგიმაც იმარჯვა და მახვილი სწორედ იმ ადგილას აძგერა. ურჩხულმა დაიბლაგლა და განგმირული ძირს დაეცა. ურჩხულის განგმირული სხეული ისევ შავ ლაქად გადაიქცა, მერე ააღდა და გაქრა.

გარშემო სიჩუმე ჩამოვარდა. მსხვრევის ხმაც თანდათან მიწყნარდა. მტვერი დაჯდა. ნელ-ნელა გამოიკვეთა დანგრეული შენობის კედლები. გამოჩნდა სემინარიის ბაღი, რომელიც უვნებლად გადარჩენილიყო, სემინარიის სამრეკლოც უვნებლად იდგა, ნელ-ნელა ჰაერი მთლიანად დაიწმინდა, ბავშვებმა და სემინარიის მრევლმა ერთმანეთი ნათლად დაინახეს, ჯერ შიშ ნარევი მზერით დაათვალიერეს ერთმანეთი, მერე ერთმანეთს გაუღიმეს და თითქოს მოლაპარაკებულები იყვნენ ერთხმად დასჭექეს:

- ჩვენ გავიმარჯვეთ!



– ვაშაა!

– გაემარჯვეთ!

ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და გამარჯვებას ულოცავდა.

სემინარიის მოძღვარმა, შედარებით მაღალი ადგილი შეარჩია და თავის სულიერ ძმებს მიმართა:

– ჩემო საყვარელო ბავშვებო და სემინარიის მრევლო, ჩვენ დავამარცხეთ ბოროტება, რომელიც უკვე რამდენი საუკუნეა გვებრძვის, მაგრამ ეს არ არის ჩვენი საბოლოო გამარჯვება, რამეთუ ამ ურჩხულმა უამრავი ადამიანის სულის მოწამელა მოასწრო, ხოლო სულმდაბალი ადამიანი არანაკლებ საშიშია, ვიდრე ჩვენს მიერ დამარცხებული ურჩხული, რომლის დამარცხებაში წმინდა გიორგი დაგვეხმარა, – და სემინარიის მოძღვარმა იქით გაიხედა სადაც წმინდა გიორგი ეგულებოდა, მაგრამ ამირანის, ნინოს, ფუტკრის და ერთი ჩიტის მეტი ვერაფერს ვერ დაინახა, გოცნებულმა პირჯვარი გადაიწერა და ისევ გააგრძელა საუბარი: – ჩემო კარგებო, ეს ამბავი რაც აქ მოხდა, არავინ არ უნდა გაიგოს, ჩვენ ჩუმად უნდა აღვადგინოთ სემინარიის დანგრეული კედლები და ჭერიც. არავისთან არ უნდა ვთქვათ რომ, დაიღუპა ჩვენი საყვარელი მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელი, რამეთუ ეს გარემოება ჩვენი სემინარიის გამოძიების და შესწავლის მიზეზი გახდება და ბევრი საიდუმლო, რაც აქაა დამალული – გამჟღავნდება. იცოდეთ, ამას ჩვენ თუ არ ვიტყვით ვერც ვერაფერს გაიგებს, რადგანაც ის ცხონებული ამ სემინარიაში ცხოვრობდა და გარეთ ახლობელი არავინ არ ჰყავდა. ახლა წავიდეთ და ნანგრევებიდან დავიხსნათ მისი ნეშტი, რათა პატივით მივაბაროთ ჩვენი ბაღის მიწას.

მოძღვარმა პირჯვარი გადაიწერა და იმ ადგილისკენ გაეშურა სადაც მასწავლებლის ნეშტი ეგულებოდა. უეცრად ზარი დაირეკა ყველა შეკრთა, მერე კი გაეცინათ.

– ხედავთ ბავშვებო ზარი არ მოშლილა, ესე იგი სწავლა გრძელდება! – სიხარულით აღნიშნა მოძღვარმა.

ნანგრევებიდან განთავისუფლებული მასწავლებლის ნეშტი სემინარიის ბაღის შესასვლელთან დაასვენეს, ყველა გულისტკივილით დასცქეროდა, ჰაერში დაკიდებული წყლის გუბებიდან თევზები კუდიოთ წყალს აპკურებდნენ, თითქოს-და ნეშტის განბანა სურდათ, ჩიტები ჰა-



ერში დაკიდებული ჩანჩქერის წვეთებიდან მძივებს კრავდნენ და მასწავლებლის ტანსაცმელში აქსოვდნენ, ცისარტყელამ თავის სხეულიდან ფერების მთელი კონა ამოიღო და შარავანდედად დაადო თავზე. ჰაერში მოცურავე ბელტებმა, მათ ზედაპირზე ამოსული მცენარეების ფოთლები დააყარეს. ფოთლები ნეშტს გარს ნაბადივით შემოერთებენ. ბაღის ყველა სულიერი არსება ცდილობდა თავისებური პატივი მიეგო გმირი მასწავლებლისათვის... როცა ყველაფერი დასრულდა, სემინარიის მოძღვარმა ლოცვა აღავლინა და ყველამ დაინახა თუ როგორ დატოვა სულმა მასწავლებლის სხეული. მერე, უფროს კლასელებმა ნიბით საფლავი ამოთხარეს და ფრთხილად ჩაასვენეს. ცხონებულს, მიწა თავისით დაეყარა.

საერთო მდუმარება, ისევ სემინარიის მოძღვარმა დაარღვია:

– ჩემო უმცროსო ძმებო! ახლა, დაახლოებით ორ წუთში, თქვენ, სახლში წასვლის დრო მოვა, და თხოვნას გიმეორებთ: ეს ამბავი არავინ არ უნდა გაიგოს! რადგანაც, ჩემს მიერ უკვე აღნიშნული მიზეზის გარდა, შესაძლებელია სხვა უფრო საშიში რამე მოხდეს, კერძოდ: როცა ბოროტი ძალები შეიტყობენ ურჩხულის განადგურებას, გამწვარლებიან და გაერთიანების სურვილი გაუჩნდებათ, რაც ჩვენთვის ცუდია. და, კიდევ, ამიერიდან გაკეთილები ეზოში ჩაგიტარდებით. ახლა წადით, მხოლოდ ამირანი დარჩეს, ცოტახნით. – ამირან, მოდი ჩემთან.

– ამირანი, – მოძღვარს მიუახლოვდა.

– ჰო... ამირან, შენი მშობლები ამას აუცილებლად შეიტყობენ, და ჩემგან გადაეცი არ ინერვიულონ, შენ აქ დაცული ხარ და შენს მისიას შეასრულებ, როცა ამის ჟამი დადგება... ხომ გაიგე რაც გითხარი? – და მოძღვარი ამირანის სახეს დააკვირდა.

– დიახ მამაო, – მშვიდად უპასუხა ამირანმა.

– მაშ კარგი, ახლა წადი.

ბავშვებს გარეთ მშობლები ელოდებოდნენ, რომლებმაც მომხდარის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. მხოლოდ დავითი ნერვიულობდა... და როცა ერთად დაინახა ამირანი, ფუტკარი და ნინო - დამშვიდდა.

– გამარჯობა მამა, გამარჯობათ მართა ბებია, – ამირანი მიესალმა ჯერ მამას და მერე ნინოს ბებიას.

– გამარჯობათ, – ორივეს ერთდროულად მიესალმა ნინო.



– გამარჯობათ, გამარჯობათ, – ზედიზედ მიაყარა სალაში ფუტკარმა.

– ეჰ თქვენ ეშმაკუნებო, – ორ აზროვნად გაეღიმა დავითს.

– რამდენი ხანია მოსული ხარ? – ჰკითხა ამირანმა მამას.

– როგორც კი ხილვა მქონდა იმწუთასვე გამოვქანდი, – უპასუხა დავითმა.

– ბატონო დავით, რა ხილვა? – დაეჭვდა ქალბატონი მართა.

– არაფერი, ეს ისე ვთქვი, – უპასუხა დავითმა.

– არა? მე დღეს მოუსვენრად ვიყავი, ორჯერ ვცადე სანთლის ანთება და მხოლოდ მესამედ შევებელი... რაღაცაშია საქმე და მიმალავთ... ჰმ, ნინო, რატომ გაქვს კაბა მტვრიანი? – შემცბარმა ჰკითხა შვილიშვილს.

– ბაღში ვსაქმიანობდი. რატომ აღელდი? კარგი რა... წავიდეთ სახლში, – ნინომ ხელი ბებიას მკლავში ჩააგლო, ფრთხილად გაქაჩა, ნიშნად იმისა რომ: სახლში წავიდეთო.

დავითმა ამირანს თმებიდან მტვერი ჩამოაბერტყა, მხარზე ვაჟკაცურად შემოჰკრა ხელი და ჰკითხა:

– ხომ არ შეგეშინდა?

– ჯერ კი, მერე დავებლიე შიში. იცი! სულმნათი თურმე წმინდა გიორგის სული ყოფილა, არ ვიცოდი და, იცი რას გეტყვი მამა,

– რაო შვილო?

– ჩვენი მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელი ნამდვილი გმირი ყოფილა. როცა ვასაფლავებდით მასზე ლექსი დავწერე, – და ამირანმა ლექსი ამაყად წარმოთქვა:

მზემ სხივებისგან მოქსოვა თაღხი

და სინანული იქცა ზეიმად!

ქარმა გაფანტა ურჩხულის ლანდი,

სიკვდილი იქცა გარდაცვალებად!

– შენი მასწავლებელი მართლაც რომ ღირსეული კაცი იყო. კარგი წავიდეთ სახლში, თორემ ხომ იცი დედაც შეიტყობდა ამ ამბავს. და ახლა, ალბათ, ძალიან ნერვიულობს, ერთისული აქვს თუ როდის მივაღთ სახლში, – დავითს მოუთმენლობა შეეტყო.





– სხივის ბურთი უკვე სახლში იქნება, – დაამშვიდა ამირანმა მამა.

– კი, მაგრამ, სჯობს ვინჩაროთ.

და, მამა-შვილი, ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. შუა გზაც არ ჰქონდათ გავლილი, როცა მათკენ, თითქმის სირბილით, მომავალი თამარი შეამჩნიეს.

– წადი შეხვდი, თორემ ხომ ხედავ ადელელებულია, – და დავითმა ხელი გაუშვა ამირანს.

ამირანი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა დედისკენ, ფუტკარიც ბზულით დაედევნა, დავითმაც აუჩქარა ნაბიჯს.

თამარმა ამირანი, რომ დაინახა გაჩერდა. ხელები გადაჯვარედინებული შემოიწყო გულზე, ამოიოხრა და ერთიანად მოეშვა – თითქოს-და მთელი სხეული ჩამოეშალაო. მერე ისევ აიკრიფა სხეული და მიახლოებული ამირანი ისე ძლიერად ჩაიკრა მკერდში, რომ ამირანმა ძლივს ამოისუნთქა.

– შენ რამე, რომ მოგსვლოდა, ჩვენ რა გვეშეველებოდა, – ადელელებული ხმით მიმართა შვილს თამარმა.

– დედა, შენ ჩემი დარდი არ უნდა გქონდეს, მე უკვე დიდი ვარ, შემძლია საკუთარი თავის დაცვა და თქვენიც, აი თუ არ გჯერა ფუტკარს კითხე, და თანაც ხომ იცი განსაცდელის დროს ღმერთი ძალას მიორკეცებს, – ვაჟკაცური ხმით მიმართა ამირანმა დედას და ფუტკარს გახედა, რომელიც თავზე დაბზუოდა.

ამირანის ნათქვამმა, თამარს გული აუჩუყა და ცრემლები მოეძალა, მაგრამ მოახლოებულმა დავითმა, გაფრთხილების ნიშნად, თითი დაუქნია: „ეგეთები არ იყოს“. და თამარს თვითონაც მოეხვია... ქუჩაში მიმავალი ხალხი გაკვირვებული უყურებდა მათ, დავითმა იგრძნო ხალხის მზერა, უხერხულად დაცილდა თამარს და დაბალი ხმით სთხოვა:

– კარგი, გვეყო. სჯობს სახლში წავიდეთ, თორემ ყველა ჩვენ გვიყურებს, დიდხნის უნახავები ვგონივართ.

და, ოჯახი სახლისკენ გაეშურა - ფრთხილად ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდნენ უკან, მათ წინ მიმავალ სიყვარულს... ხოლო, გონების თვალი ადვილად შეამჩნევდა იმ დიდ მადლს, რომელიც მათ სხეულს ძალუმად ათბობდა და აერთიანებდა.



## ერთ ფერში გადაწყვეტილი ფერადი დილა



წადი, წადი! ჩემი დრო მოვიდა, ვერ უნდა მიხვდე? წადი! – ეჩხუბებოდა დილა ღამეს.

ღამე ზღაზენა-ზღაზენით კრიფავდა თავის ჩრდილებს და გულნატკენი ტოვებდა ქალაქის ქუჩებს. არ დასცალდა ბოლომდე ეცქირა: პოეტისათვის, რომელიც მგზნებარე გრძნობით თავის სატრფოზე ლექს თხზავდა. ისიც აინტერესებდა ჩოლოყაშვილების ოჯახში ვაჟი დაიბადა, თუ ქალი. აინტერესებდა შერიგდებოდნენ თუ არა ახალგაზრდა წყვილები, რომლებიც წუხელ, ზურგშექცევით იწვნენ და... მაგრამ, უზუმოდ უყვარდათ ერთმანეთი და ერთმანეთს ელოდებოდნენ - გამოლაპარაკებას. აინტერესებდა: მივიდოდა თუ არა განაწყენებული ძმა, ლოგინად ჩავარდნილი ლოთი ძმის სანახავად. აინტერესებდა, ის ოხრად დარჩენილი მორფინისტი გამოვიდოდა თუ არა კაეფიდან, და კიდევ აინტერესებდა თუ სად მალავდა ზაქარია მენაგვე თავის ცოცხს... მაგრამ, რა, ყველა წუხანდელი ამბები დილამ გადაიბარა, ახლა ის განაგებს ყოველივეს, რაც არის და რაც იქმნება...

დილამ, სასიამოვნო სუსხი მოაფრქვია გარემოს და ფუსფუსით შეუდგა თავის საქმიანობას.

პირველმა გულყვითელა ჩიტმა გაიღვიძა და იქაურობა ჭიკჭიკით აავსო, მერე მაწანწალა ძაღლმა, და ყეფით დააყრუა გარემო. ყეფამ, ზაქარია მენაგვე გააღვიძა, წამოდგა, პირზე წყალი შეისხა, მერე სამზარეულოში გავიდა, ჩაი დალია, ჩაიცვა, საკუჭნაოდან ცოცხი გამოიღო და ქუჩაში გავიდა, მზერა შემოავლო ქუჩას, ცოცხი მოიმარჯვა და ხვეტას შეუდგა. ცოცხს ცელივით იქნევდა და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

როცა ბევრი ჰყავთ ფარისეველი და მოქილიკე ბრძენი,  
ისმის კითხვა:



საზღვარს რატომ გადმოუშვეს, ცხვირპაჭუა მღვდელი?  
როცა ბევრი ჰყავთ ორგული, ქვემძრომი და მღრნელი:  
ნეტავი რაში დასჭირდათ, ჩრდილოელი გველი?  
როცა თავზე აქვთ საყრელად ვერცხლი, ოქრო და ფული:  
გასაკვირია, რატომ დასჭირდათ, დაგირაგება სულის?  
ამ კითხვებზე პასუხია ერთი:  
კვართს ეძებენ მცხეთაში, სურთ რომ მოსპონ უკვდავების გენი.

მენაგვის ხმაზე ლოთის შვილმა ფანჯარა გამოაღო, ხელი თავის  
პოსლიკა თავზე ჩამოისვა და ზაქარია მენაგვეს ჩამოსძახა:

– რა არის რა?! ყოველ დილას, ტოროლასავით, შენ უნდა გვა-  
ღვიძებდე?

მენაგვემ ყურადღება არ მიაქცია და თავისი საქმე განაგრძო.  
მაგრამ, პოსლიკა არ ეშვებოდა.

– ჰო, კარგი, აბა გამოცანა მითხარი, – მჩხავანა ხმით მიმართა  
ლოთის შვილმა ზაქარიას.

– კარგი, – დაეთანხმა ზაქარია.

ცოტახნით ჩაფიქრდა, აშკარად ახლა თხზავდა გამოცანას, შე-  
მდეგ პოსლიკას ახედა და გროტესკული ღიმილით გამოცანა  
აუბზავნა:

იქვე ყური,  
იქვე ტრაკი,  
იქვე მკერდი,  
იქვე თვალი,  
პარლამენტის ეტალონი  
იქვე, იქვე ქალი.

– ბე, ბე, ბეე, – უცნურად აუერდა სიცილი ლოთის შვილს. ეტ-  
ყობოდა გვარის გამოთქმა სურდა, მაგრამ მოძალებული სიცილის  
გამო ვერ მოახერხა.

სიცილი სხვა ფანჯრებიდანაც გაისმა. აშკარა იყო, რომ ყველ-  
ამ გამოიცნო. საკუთარ გამოცანაზე ზაქარიასაც გაეცინა. დილაც  
გამხიარულდა. ქუჩაში გამოსული მეზობლები ზაქარიას გამოცან-

ას უწონებდნენ და მხიარული განწყობით სამსახურისკენ მიიჩქაროდნენ. თამარი, დავითი და ამირანიც გამოჩნდნენ, ზაქარიამ ვერ შეშინია, თუ როდის გამოვიდნენ ქუჩაში, მაგრამ, მათი დანახვა, განსაკუთრებით კი დღეს, ძალიან ესიამოვნა და ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან დაუძახა:

– დავით, შენ შეიღს პირველ გამარჯვებას ეულოცავ!

დავითმა გამოხედა ზაქარიას, გაუღიმა, ხელიც დაუქნია. არც გააკვირვებია თუ საიდან უნდა ცოდნოდა ზაქარიას გუშინდელი ამბავი, ისიც ხომ იბერიელი იყო.

მოხტუნავე გადასასვლელთან მამა-შვილი თამარს დაემშვიდობა და სემინარიისკენ მიმავალ გზას გაუყვნენ.

– რა გამარჯვება მოულოცე? – ჰკითხა ზაქარიას მეზობლის ქალმა - დაირა ექიმმა.

– რაო, – თითქოს ახლახანს გამოფხიზლდა ზაქარია, – აააა, ჰოო, გუშინ საკონტროლო წერა ჰქონდა სემინარიაში და მისი თემა ყველაზე კარგ თემად აღიარეს, – იცრუა ზაქარიამ, რამეთუ იცოდა, რომ გუშინდელი ამბის მოყოლა, რაც სემინარიაში მოხდა, არ შეიძლებოდა.

– მართლაც ეტყობა, რომ ნიჭიერი ბავშვია, – გულწრფელად აღნიშნა დაირა ექიმმა და ქუჩაში მიმავალ მამა-შვილს გახედა.

მამა-შვილი სწრაფი ნაბიჯით მიიჩქაროდა, იქ სადაც ამირანს - ნინო ელოდა, ხოლო დავითი დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი უსაფრთხოდ იქნებოდა.

დავითს დღეს, სამსახურში, მძიმე დღე ელოდა, ამიტომ, ნინოს ბებიას სთხოვა, რომ თუ დააგვიანებდა, ამირანი თავისთან წაეყვანა - სახლში, ამ ამბავმა ნინო ძალიან გაახარა.

სემინარიაში ბავშვებს, მერხები, ეზოში გაწყობილი დახვდათ, მართალია ზოგი დამტვრეული იყო, ზოგიც მტვრიანი, ვერ მოასწრეს დედოფებმა გაწმენდა, მაგრამ ამ გარემოებამ, ბავშვები არ დააფრთხო და ყველა მიუსხდა მერხებს, ზოგი ორ-ორი, ზოგიც მერხის საზურგეზე ჩამოჯდა, ეს უკანასკნელნი უფროს კლასელები იყვნენ. სემინარიის მოძღვარმა ბავშვებს ბოდიში მოუხადა და დაჰპირდა, რომ ხვალიდან ყველას ექნებოდა მერხი ან სკამი, მერე შეახსენა, რომ დღეის შემდეგ გაერთიანებული გაკვეთილი



ექნებოდით, მათი განსხვავებული ასაკის მიუხედავად, და დღეს მთელი დღე ხელოვნების ისტორიაში ჩაუტარდებოდათ გაკვეთილი, და იქვე მყოფ მარიამს და ანას სთხოვა გაკვეთილის ჩატარება, თვითონ კი სემინარიის მრევლს და სამღვდლოებს შეუერთდა, რომლებიც ნანგრევებისგან ასუფთავებდნენ სემინარიის შენობას.

ნანგრევებს შორის, ყველაზე საცოდავად, კედლის შანდლები გამოიყურებოდნენ, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ თავი ისე დაეღწიათ ნანგრევებისგან, სანთლები რომ არ დასცვენოდათ.

### ვიდაცისათვის საიდუმლო, ვიდაცისათვის არა. დავითის სამსახური



დავითი გარდა იმისა, რომ პრეეკონომიკის განვითარების სა-  
მსახურში მუშაობდა, საიდანაც გაანთავისუფლეს მისი შე-  
ხედულებების გამო, ის ასევე ცნობილი საკვლევი ინსტიტუტის  
ხელმძღვანელიც იყო, სადაც, თითქოს-და ახალი ჯიშის იბერიელ-  
ები გამოჰყავდათ, რომელსაც პატარა აპრეხილი ცხვირი, დიდი  
ყვრიმალეები, თეთრი ფითქინა კანი და ლურჯი ტუჩები უნდა ჰქო-  
ნოდა - ეს ამბავი ძალიან ახარებდა ინჩ-რუს-უზუმეს. სინამდვი-  
ლეში კი, ვითომ ჰიბრიდულ საკვლევ ინსტიტუტში, ყველა თანამ-  
შრომელი, საიდუმლოდ, უძველეს იბერიულ ხელნაწერებზე მუშა-  
ობდა. განსაკუთრებულად საპატიო საქმე დავითს ევალებოდა, მას  
პერგამენტის ფურცლებიდან ამოფრენილი ასოები უკან უნდა  
დაებრუნებინა. ამისათვის ის პეპლის საჭერ ჯოხს იყენებდა, ამ  
ბადიანი ჯოხით ჰაერში გაფანტულ ასოებს იჭერდა და უკან, თა-  
ვის ადგილზე სვამდა.

დავითმა და მისმა თანამშრომლებმა, თვალის ახვევის მიზნით  
ინსტიტუტში ერთი ოთახი გამოყვეს, რომელიც თანამედროვე ქიმ-  
იის და ფიზიკის სხვადასხვა მოწყობილობებით აღჭურვეს და ინჩ-  
რუს-უზუმეს მიერ დროდადრო შემოწმებაზე გამოგზავნილი ცნობ-

ილი ექპერტები, ამ ოთახში შეჰყავდათ, სადაც მათ უჩვენებენ აზოვის ზღვის სანაპიროდან ჩამოყვანილი გაურკვეველი რჯულის მამაკაცს, რომელსაც მოძალებული არყის სმისგან ტუჩები დაღურჯებული ჰქონდა, ხოლო თავი რუმბივით დასიებული. ამ კაცის მნახველი ექსპერტები, დადებით დასკვნას წერდნენ ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ, რამეთუ აზოველი ლოთი, ინსტიტუტის ცდების შედეგად გამოყვანილი ჰიბრიდული ჯიშის ადამიანი ეგონათ.

დავითის სამუშაო ოთახში, წიგნების თაროების უკან საიდუმლო კარი იყო, რომლის მიღმა დავითს კიდევ ერთი სამუშაო ოთახი ჰქონდა, ამ ოთახის არსებობის შესახებ არავინ არ იცოდა, ერთმა-ორმა თუ, და მათაც აღარ ახსოვდათ საიდუმლო ოთახის არსებობის შესახებ. ამ ოთახში დავითი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელნაწერებს მალავდა. დავითი, განა არ ენდობოდა თავის თანამშრომლებს, პირიქით - ენდობოდა, ის უბრალოდ უფროთხილდებოდა მათ, რამეთუ საფრთხის შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობა იზრდებოდა.

დავითმა, თითქმის ყველა თავისი დიდი აღმოჩენა ამ საიდუმლო ოთახში განახორციელა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ თარიღებს ემთხვეოდა, მაგალითად: შვიდ იანვარს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ლურჯი ხის ქერქზე, ძველი იბერიული ნაწერის რესტავრაციის შედეგად ამოიკითხა, სიტყვა „მერხეთის“ მნიშვნელობა, რომელიც იმერეთს ნიშნავს. დავითმა სხვა ნაწერებიდანაც დაადგინა, რომ ძველად იმერეთი და მდინარე რიონის მთელი ხეობა აიეტის სამეფოში შედიოდა. ამავე ხის ქერქზე გაკეთებულ ნაწერებიდან გაარკვია, რომ სიტყვიდან „მერხეთი“ წარმოიშვა სიტყვა-წოდება „ღმერთი“, რომელიც ამავე ხის ქერქზე ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც უფალი, და სიტყვა „ფალი“ - ძველ იბერიულ ენაზე ნიშნავს აყვავებას; ცხრამეტ იანვარს, დავითმა, მცხეთაში ნაპოვნი თიხის ფირფიტაზე ამოიკითხა შემდეგი რამ, რომ ეფფრატის სანაპიროზე დგომა ენქის ტაძარს თავდაპირველად ენგური ერქვა, რომელიც წარღვნის შემდეგ პირველი სამლოცველო ტაძარი იყო დედამიწაზე, ხოლო წარღვნამდე ასეთი ტაძარი აგებული იყო იბერიაში, მდინარე ენგურის სათავეებში; თხუთმეტ თებერვალს, დავითმა, ვერცხლისფერი თიხის ფირფიტაზე



ამოიკითხა სიტყვა „ეგიპტახი“, რაც იბერიულ ენაზე ნიშნავს „მიწისგან შობილს“ ანუ „მიწისგან გამოძერწილ ადამიანს“, ამავე ფირფიტაზე ეწერა, რომ როცა მზე იძალებს და ზღვაში თევზები სიცხისგან მოიხარშებიან, იბერიელები წავლენ ეგიპტახში, რომელიც ერთ დროს მათი მადლით აყვავდა და ქვიშის ეშმაკმა შეჭამა, ეს მაშინ როცა ბოლო იბერიელმა მიატოვა მისი მიწა. დავითს გაახსენდა ბაგრატიონების გვარის ისტორია და მიხვდა, რომ ლაპარაკი იყო დღევანდელ ეგვიპტეზე. დავითმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამჟამინდელ საბერძნეთის ტერიტორიაზეც, იბერიელები სახლობდნენ, კერძოდ პელაზგები, რაც ძველ იბერიულ ენაზე „შემკრავ ადამიანს“ ნიშნავს, და ამ ადგილის მიტოვება ჩრდილოელი გველეშაპის თავდასხმის გამო მოუწიათ. გველეშაპის შემოტევას მხოლოდ სპარტანელებმა და სამხრეთ პელაზგებმა გაუძლეს. ჩრდილოელი პელაზგები კი, კოლხეთში გადავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან, სამაგიეროდ მათ მიწაზე ბერძნები დასახლდნენ და იქაური კულტურა შეითვისეს; შვიდ აპრილს, დავითმა, ოქროს ფირფიტაზე ამოიკითხა სიტყვა „მისარონი“, რაც იბერიულ ენაზე ნიშნავს „მესიას“ ანუ „იესოს“. ამ ფირფიტის მარცხენა კუთხეში ეწერა „ნახე სიტყვა ჩემი ეფუთში“, ხოლო მარჯვენა მხარეს კი: „მე მოვალ როცა დიდი ყინული გალღვება და ხმელეთის დიდი ნაწილი წყლით დაიფარება“.

დღეს ოცდახუთი სექტემბერი იყო და დავითი ჩქარობდა, გული უგრძნობდა, რომ ახალ აღმოჩენას გააკეთებდა, ჰო იცოდა რადგანაც სულ შემთხვევით ხელში ჩაუვარდა დადეშკელიანების მიერ ბაბილონიდან წამოღებული ფირფიტა, ისიც იცოდა, რომ ეს ფირფიტა ნინოს წინაპრებს ეკუთვნოდა, მაგრამ სანამ არ ამოიკითხავდა თუ რა ეწერა ფირფიტაზე, არ სურდა ეს საიდუმლოება ქალბატონ მართასათვის და ნინოსათვის გაემჟღავნებინა.

დავითმა სწრაფად აირბინა სამსახურის კიბე, თანამშრომლებს ზერეღედ მიესალმა, თავის სამუშაო ოთახში შევიდა, კარი საგულდაგულოდ ჩაკეტა და საიდუმლო ოთახში გავიდა, ამ ოთახის კარიც საგულდაგულოდ ჩარახა, მხოლოდ ამის შემდეგ გახსნა ხის სკივრი და ტილოში გახვეული ოქროს ფირფიტა ამოიღო, როგორც კი ფირფიტას ტილო შემოაცალა, ფირფიტიდან უცნაუ-



რი პატარა ბურთები ამოფრინდნენ, ოთახში მიმოიფანტნენ და ისეთი თავბრუდამხვევი სიჩქარით დაიწყეს ტრიალი, რომ დავითი წაიქცა. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ბურთებმა ტრიალი შეწყვიტეს და ჰაერში გაიშალნენ, იქაურობა კაშკაშა შუქით განათდა. ოთახში ყველა ნივთი გაქრა, ცოტა მოგვიანებით კედლებიც, და დავითი სულ სხვა სივრცეში აღმოჩნდა. კაშკაშა შუქი თანდათანობით რძისფერ გაუმჭვირვალე სივრცედ გადაიქცა, რომელიც ნისლივით ძირს დაეშვა, დაიღვქა, და დავითმა გორაკი დაინახა, რომელზეც მამაკაცი იდგა. დავითის მხერა ნელ-ნელა მიუახლოვდა ამ მამაკაცს და იცნო: ის, მისი შვილი ამირანი იყო, უკვე გაზრდილი, დამშვენებული. ამირანს ხელში წიგნი ეჭირა და ხმამაღლა კითხულობდა, დავითმა წიგნიც იცნო, ეს ეფუთი იყო. გაუკვირდა ნეტავ ვის უკითხავსო. მხერა გვერდზე გადაიტანა და გორაკის ფერდობზე უამრავი ხალხი დაინახა, რომელიც სულგანაბულნი უსმენდნენ ამირანს. ხალხს კარგად დააკვირდა და მათში ნინო ამოიცნო, ნინოს გვერდზე ორი ტყუპი ყმაწვილი ედგა, დაახლოებით თხუთმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ, ჰო ეს მისი შვილიშვილები იყვნენ, იქვე ახლოს ხანში შესული თამარიც დაინახა, გული ეტკინა როცა თამარის დანაოჭებულ სახეს შეხედა. ცოტა მოშორებით ყველა მის მეგობარს თავი მოეყარა, მართალია ხანში შესულები იყვნენ, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდნენ. ხალხის უკან კი ჯარისკაცები იდგნენ, მათ ხელში ხუთჯვრიანი დროშები ეჭირათ, ეტყობოდათ ბრძოლისთვის მომზადებულიყვნენ, ჯარის შეიარაღებამ დავითი გააკვირვა, უმეტესობა ხმლებით, შუბებით ან უბრალოდ წაწვეტებული ჯოხებით იყვნენ შეიარაღებული, აქა-იქ ზოგიერთს თუ ეჭირა ავტომატური იარაღი. მიხვდა დავითი, რომ მრავალი კატასტროფები გამოიარა კაცობრიობამ... დავითი, ხალხის განწყობამ შეაშინა და აქით-იქით დაიწყო ყურება, მიზეზს ეძებდა... მერე, ყვითელი გორის უკან გადაიხედა და დაინახა უცნაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ჯარი. ამ ცხოველებს ადამიანის თავები ჰქონდათ, ტანი ხვლიკის, ხელები მაიმუნის, ფეხები კენგურუს. მიხვდა დავითი, რომ ის, მომავლის გადაწყვეტი ომის მომსწრე ხდებოდა. ყიჟინის ხმამ უკან მოახედა და რას ხედავს მისი ვაჟი წინ მოუძღვის იბერიელებს, თამარსაც





კი ხმალი ეჭირა, ნინოს გვერდზე მისი ვაჟები მიჰყვებოდნენ. ახლა სისინის ხმა მოესმა, გაიხედა ყვითელი გორაკისკენ და ხვლიკის ტანიანი ცხოველების ჯარი დაინახა, რომელიც მღვრიე მდინარესაგით მოედინებოდა იბერიელებისაკენ. მანძილი თანდა-თანობით მცირდებოდა და, აი, შეეტაკდნენ ერთმანეთს, გაისმა: გასროლის ხმა, ხმლის შხუილი, ისრის წუილი, კენესა, გამხნე-ვების შეძახილი, გულის წამსვლელი სისინი. ვერ გაუძლო ყველა-ფერ ამას დავითმა და ისე ხმამახლა დაიღრიალა: მიდით, შეუ-ტიეთ! - რომ ცა იძრა. ამ ყვირილმა, თითქოს ყველა იბერიელის გულამდე შეაღწია და ისეთი ძალით შეუტიეს ცხოველებს, რომ შეშინდა ბოროტების ჯარი და უკუიქცა, გაქცეულ მტერს იბერიელები დაედევნენ და უმოწყალოდ დაუწყეს ხოცვა; აშკარა გახდა, გამარჯვება იბერიელების მხარეზე იყო. მოულოდნელად, გარემო რომელშიც დავითი იყო გაქრა, დავითი გაოცდა სურათის უეცარი გაქრობით, მაგრამ როცა ბრახუნის ხმა გაიგონა, მიხედა, რომ მის სამუშაო ოთახის კარზე ვიღაცა გამწარებით აბრახუ-ნებდა, და ეს იყო მიზეზი სურათის გაქრობისა. ოქროს დისკი ისევ ხის სკივრში შეინახა, საიდუმლო ოთახიდან სასწრა-ფოდ გამოვიდა, კარი გარედან კარგად ჩაკეტა, წიგნების თაროც მიადგა და სამუშაო ოთახის კარი გააღო. კართან მისი თანამ-შრომლების მთელი ჯარი იდგა, მათ შორის მისი გაზრდილი, ახალგაზრდა მეცნიერი პავლეც იყო.

– ბატონო დავით, ისეთი საშინელი ღრიალის ხმა გამოვიდა თქვენი სამუშაო ოთახიდან, წიგნის თაროებიდან წიგნები ჩამოცვი-ვიდა, ხოლო ფანჯრის მინები დაიბზარა, – გაკვირვებული და ამ-ასთან შეშინებული საუბრობდა პავლე.

– პავლე, შვილო, შენ აქ რა გინდა ახლა არ გნახე ხმლით ხე-ლში ბრძოლის ველზე, მაგრად ჩეხავდი ხვლიკის ტანიან ცხოვე-ლებს, – გაოცებული უმზერდა დავითი პავლეს, თითქოს სიზმრი-დან გამოეცხადაო.

– ბატონო?... რა ხმალი ბატონო დავით? – გაიკვირვა პავლემ.

დავითი უცებ გამოფხიზლდა და ყველა იქ მყოფს გაუღიმა, მო-უბოდიშა - გაგეხუმრეთო უთხრა, მერე ჩაფიქრდა და დამაჯერე-ბელი ტონით მიმართა თანამშრომლებს: – მეც გავიგონე, ღრია-



ლის ხმა, მაგრამ, ეს მე არ ვიყავი, ალბათ სხვა სახლიდან გა-  
ისმა. დაწყნარდით ყველაფერი კარგადაა, დაბრუნდით თქვენს  
სამუშაო ადგილებზე, – დაამშვიდა დავითმა თანამშრომლები.

თანამშრომლები ნელ-ნელა დაიშალნენ. დავითიც უკან შებრუ-  
ნდა და თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა... საათს დახედა უკვე  
ექვსი ხდებოდა: „ესე იგი სემინარიის დროით ბოლო გაკვეთ-  
ილია“, – გაიფიქრა დავითმა, და თავისთვის ჩაილაპარაკა: –  
ამირანი ახლა უკვე ნინოსთანაა. ჰმ, ნეტა რას აკეთებენ ჩემი  
ანგელოზები. ალბათ ჭადრაკს, თუ თამაშობენ ან იქნებ კომპიუ-  
ტერის თამაშებით ირთობენ თავს, – გაიფიქრა, და წასასვლელად  
დაიწყო მზადება.

### სიყვარულისგან დამდნარი საღამო ბუჩქებში დაიმალა



დავითმა მოკრძალებით დარეკა ზარი, კარი ნინოს ბებიამ –  
მართამ გააღო და დავითი სახლში მიიპატიჟა.

– არა ქალბატონო მართა, ძალიან თუ დაგვაგვიანდება თამარი  
ინერვიულებს, – დავითმა, მიპატიჟებაზე მორიდებით თქვა უარი  
და კარიდან ამირანს გასძახა: – ამირან! გამოდი, სახლში წასვლ-  
ის დროა.

ამირანი მამის დაძახებაზე გამოვიდა, ნინოც გამოჰყვა.

– რაო ბავშვებო იმეცადინეთ, თუ მთელი დრო თამაშში გაატა-  
რეთ? – ღიმილით შეეკითხა ბავშვებს დავითი.

– ყველაფერი მოვასწარით, – მხიარულად უპასუხა ნინომ.

– ძალიან კარგი, – მოუწონა დავითმა. კიდევ ერთხელ მოუხა-  
და ბოდიში ქალბატონ მართას, ამირანს სასკოლო ჩანთა გამოარ-  
თვა, ნინოს გაუღიმა და ასე თბილად დროებით ანუ ხვალამდე  
დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მამა-შვილი მიუყვებოდა სახლისკენ მიმავალ გზას, დავითი  
დღევანდელ ხილვებზე ფიქრობდა, ხოლო ამირანი ნინოზე. როცა  
მშრალ ხიდს მიუახლოვდნენ დავითი შედგა, თითქოს რაღაც გაა-



ცნობიერა... უცებ უკან მოიხედა და შეწუხებულმა ხმამაღლა თქვა:

- მომიკედეს თავი, ეს ხომ ჩემი პროფესორია.
- ვინ მამა? - იკითხა ამირანმა.
- აი იქ რომ ზის, - და დავითმა ტროტუარის ბორდიურზე ჩამომჯდარი მათხოვრისკენ გაიშვირა ხელი.
- ამირან აგერ შენ ოცი ლარი და ჩაუდე ქუდში. ფრთხილად გადადი ქუჩას! - დავითმა სევდით გახედა თავის ყოფილ პროფესორს, რომელიც ძალიან უყვარდა.
- ამირანმა ყოფილ ლექტორს და ამჟამად მათხოვარს, ქუდში ფული ჩაუდო, მათხოვარმა გაწყლიანებული თვალებით ჯერ ფულს დახედა და, მერე, ამირანს ახედა:
  - ოცი ლარი, დღეს გულუხვი დღეა... შენ, ალბათ ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა ან ახლობელმა გამოგაგზავნა და ახლა გულნატკენი შორიდან გვითვალთვალებს, ასეა ხომ?... ააა, ერიდება ჩემთან მოსვლა... ხომ მართალი ვარ? - თქვა ეს მათხოვარმა და თეთრ გაბურძენულ წვერზე ხელი გადაისვა: - გინდა კარგი რჩევა მოგცე, რაც მთელი ცხოვრება გამოგადგება? - ჰკითხა მათხოვარმა ამირანს.
  - დიახ ბატონო, - მორიდებით უპასუხა ამირანმა.
  - არასოდეს არ თქვა, რომ ვიცი ის რაც სხვამ იცის ის, რომ არაფერი არ იცის სამყაროს შესახებ, - თავისივე ნათქვამზე, მათხოვარს ეშმაკურად გაეღიმა, ქუდიდან ამირანის მიერ ჩადებული ოცლარიანი ამოიღო, და ჯიბეში ჩაიჭმუჭნა: - მაინც ვისი შვილი ხარ? - ჩაეძია მათხოვარი.
- კითხვაზე ამირანმა პასუხი არ გასცა, მაგრამ რჩევაზე ლექსით უპასუხა:

ჯერ იყო სიტყვა, ღმერთისგან თქმული,  
რომელსაც მოჰყვა საქმე, დიდად საშური -  
შეიქმნა მიწა, ზეცა და წყალი  
და, მერე - გამოიძერწა ვაჟი და ქალი.  
არ გაამართლა ქმნილებამ მიწის  
და ღმერთმა, ისევ ჰქნა საქმე საშური,



წალეკა მიწაზე ცოდვა და ბრალი  
და ხალხს მიუძღვნა სულის მაცხოვარი.  
არ დაიჯერა ხალხმა ცხონება სულის  
და ისევ გაჩნდა სიხარბე, შური;  
ჯვარზე გააკრეს კეთილი მწყემსი  
და განარისხეს ზეცაში ღმერთი.  
ახლა კი: გვიახლოვდება განკითხვის ჟამი  
და მაცხოვარმა შემოჰკრა ზარი.  
გვაფრთხილებს: „ეს არის თქვენი სულ ბოლო შანსი,  
და, თუ შემოგრჩათ სინათლე გულში?!  
ჩამოიბერტყეთ ცოდვა და შური,  
გადაარჩინეთ უკვდავი სული,  
ჩამოიბანეთ თუთქი და ფურთხი,  
გულში შეუშვით ღვთიური შუქი“.

– გაიხარე შვილო, დაა... ჩემთვის უკვე გასაგებია ვისი შვილი-  
იც ხარ, დავითის შვილი იქნები, ნამდვილად ასე იქნება, მოკითხ-  
ვა ჩემგან, – და მათხოვარი ამირანს ხელზე ეამბორა.

საპასუხოდ, ამირანი მოხუცს ჩაეხუტა და ლოყაზე აკოცა, იგ-  
რძნო როგორ აუთრთოლდა მოხუცს სხეული, იგრძნო მისი უმწყე-  
ობა და უფრო ძლიერად ჩაეკრო. ამის შემყურე დავითი დაითრგუ-  
ნა, მიხვდა, რომ მათხოვარმა გამოიცნო, თუ ვისი შვილი იდგა  
მის წინ.

ამირანმა ფრთხილად გადმოირბინა ქუჩა, მიუახლოვდა მამას  
და ჰკითხა:

– მამა, შენს პროფესორს ახლობლები არ ჰყავს?

– როგორ არა, მაგრამ არ ახსოვთ, სიხარბის ლაფში არიან ჩა-  
ფლულეები, მის დიშვილებს იმდენი ფული აქვთ, იმდენი რომ, ნუ  
იტყვი... თითქმის ყოველ წელს ახალ მანქანებს ყიდულობენ, თან-  
აც ძვირად ღირებულ ჯიპებს. კარგი, კარგი აღარ გვინდა ამაზე  
საუბარი, წავიდეთ სახლში, დედა გველოდება, – და მამა-შვილმა  
სახლისკენ გააგრძელეს გზა.

ამირანს კითხვები არ ასვენებდა:



– მამა ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ! ჰო-და, მაშინ რატომ ვართ ასეთი უგულოები, რატომ? – სწრაფი სიარულისგან ამირანს ლამის გული ამოუფარდა საგულედან, მაგრამ, მაინც არ ჩერდებოდა, სურდა პროფესორის შესახებ ყველაფერი გაეგო: – მამა ჩვენთან ქრისტიანობა ხომ ანდრია-პირველწოდებულმა შემოიტანა, მაცხოვრის ყველაზე ერთგულმა მოწაფემ, – ქოშინით საუბრობდა ამირანი.

დავითი გაჩერდა, სხვა გზა არ ჰქონდა, აშკარად ხედავდა, რომ მისი ვაჟი კითხვებზე სანამ პასუხს არ მიიღებდა არ მოეშვებოდა.

– კი მამა, სწორი ხარ, მაცხოვრის ამალღების შემდეგ, მეათე დღეს, ანდრია-პირველწოდებულმა გამოემართა იბერიაში, სადაც, ამ დროს, მეფობდა ადერკი, მეფე ადერკიმ, რომ შეიტყო უცხო სარწმუნეობის კაცმა მისი სამფლობელოს საზღვრები გადმოკვეთა, განრისხდა და თავისი ქვეშევრდომები გააგზავნა წერილით, ანდრია მოციქულთან, სადაც ეწერა: „ჩვენ იბერიელები სამების თაყვანისმცემელები ვართ და სხვა რჯულს არ მივიღებთო, დატოვე ჩვენი მიწა“. ანდრია მოციქულს უპასუხია: „მეც სამებას ვაღიარებ და ამიტომ შემოვდგი ფეხი იბერიის მიწაზე“. მეფე ადერკი გააკვირვებულა პასუხით და აღარ დაუშლია ქადაგება ანდრია-პირველწოდებულისათვის. გასაგებია?.. ჰო-და წავიდეთ სახლისკენ!

– მაშინ რატომ ვართ ასეთი უგულოები? – მაინც არ ეშვებოდა ამირანი.

დავითს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგანაც ქუჩაში მიმავალმა მანქანამ წყლით სავსე ორმოში ბორბალი ისე მძლავრად ჩაჰკრა, რომ მამა-შვილი თავიან-ფეხებიანად გაწუწა. მძლოლმა ეს არ იკმარა მოშორებით გააჩერა მანქანა გადმოვიდა და უხამსი სიტყვებით ორივე გალანძღა:

– ეი, თქვე უპატრონოებო, რას დამდგარხართ მანდ, ვიცი განგებ შეარჩიეთ ეს ადგილი, მიზეზს ეძებთ ჰო... საჩივარს დამიწერთ ახლა? გონიათ ფულს ამახევთ! მაგრამ, ჩემთან არაფერი გაგივით! – გამწარებული ჩხაოდა და თან მამა-შვილს თითს უქნევდა.



ამირანი გაუცებთ უყურებდა მანქანის მძღოლს, ჯერ იმიტომ, რომ ქალი იყო და, მერე იმიტომ, რომ ვერ გაეგო თუ რატომ ეჩხუბებოდათ.

– მამა რა უნდა ჩვენგან, რატომ არაფერს ეუბნები?

დავითმა ამირანს ხელი მკლავში ჩააგლო და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადაიყვანა.

ამირანი არ ეშვებოდა მამას:

– მამა რატომ არაფერი არ უთხარი?

– ეს ქალი, ჩემი პროფესორის დიშვილია, აი იმ მათხოვრის, მე ვიცანი ის, გვარიც კი მახსოვს მისი: მანჯუ-მანგუჯაძე, – სევდიანად თქვა დავითმა.

ამირანს ხმა აღარ ამოუღია, რამეთუ პასუხი ყველაფერს გაეცა... ჩუმად მიჰყვებოდა გვერდზე მამას და გული სტკიოდა მოხუცებული პროფესორის, ამჟამად მათხოვრის გამო, და იმის გამოც, რომ ადამიანები ასეთი დაუნდობლები იყვნენ. ტანსაცმლიდან ჩამოწურული წყალი ღვეღვად იღვრებოდა და სევდიან ნაცრისფერ ლაქებს ტოვებდა ქვაფენილზე. დასევდიანებული ქვაფენილის ფილებმა ჩურჩულით ლექსი აადვენეს ამირანს:

იესოს სახე, იუდას ლანდი  
და ღამეების შავი ნათება,  
მოდის ზმანება და მოლანდება,  
როგორც ოცნება წარმოსახვაში.

მოჩვენებების ფერთა თამაში,  
ჩაყინულია ცრემლი ქარვაში,  
რომ ვერ იპოვა გამოსავალი,  
თვითონ წავიდა ზარაფხანაში.

მოლანდებები წარმოსახვაში,  
წარმოსახვაა ფერთა თამასში,  
ფერთა თამაში მოჩანს ქარვაში,  
სინანულია აღსარებაში.

სამჯერ იყივლა ცაში მამალმა,  
შეება იპოვა სულის მჭედელმა,  
ჩაქუჩი დაჰკრა ლურსმანს ჯალათმა



## და ამოიხსნა ყველა ქარაგმა.

როგორც წესი, კარი, თამარმა გააღო და როცა მამა-შვილი თავიან-ფეხებიანად დასვალებული დაინახა, ლოყაზე ორივე ხელი შემოიღო და იკითხა:

– ვაი, ეს რა მოგსვლიათ?

– მაგას მერე მოგიყვებით... ბავშვი არ გაცივდეს... სჯობს მშრალი ტანსაცმელი მოგეცე, – უპასუხა დავითმა, შემოსასვლელი კარი მიხურა და ოთახში შევიდა. მისაღებ ოთახში სოსო ნათლია დახვდა.

– სტუმარს ვახლავარ, – მიესალმა დავითი სოსო ნათლიას, მერე ამირანს მიუტრიალდა, რომელიც მისაღები ოთახის კარის ზღურბლთან იდგა დედასთან ერთად, თვალი ჩაუკრა და წააქეზა:

– ხომ გიყვარს სოსო ნათლია, მიდი ჩაესუტე!

ამირანი მიუხვდა მამას, გაქანდა და სოსო ნათლიას ჩაესუტა.

– უხ თქვენ ყაჩაღებო, ჩემი დასველება განიზრახეთ, შენ კი რა ეშმაკუნა ვინმე ყოფილხარ, – და სოსომ ბავშვი კი არ მოიცილა პირიქით უფრო მიიკრა და მაგრად გადაკოცნა.

ამირანის საქციელზე თამარი გაჯავრდა:

– აბა რას აკეთებ ამირან, ასე ხომ დაასველებ ნათლიას, მოსცილდი ეხლავე. წამოდი ოთახში მშრალი ტანისამოსი მოგეცე, – და თამარმა ამირანი საძინებელ ოთახში გაიყვანა.

დავითმა, როცა სოსოს ტანსაცმელზე ამირანის ნამოქმედარის კვალი შეამჩნია გაეცინა, მეგობარს ხელი გადახვია, წამოაყენა და სამზარეულოში გაიყვანა.

– მოდი სოსო, ისეთი კარგი არაყი მაქვს, რომ ორივენი ერთ წუთში გავშრებით, დავთვრებით და ჩავთბებით კიდევაც; ნახე რა თბილი საღამოა, – და დავითმა ფანჯარა გამოაღო.

ცოტახანში, სამზარეულოს მაგიდას ზემოდან არყის თბილი ნაბადი გადმოეფარა, რომელშიც მოსიყვარულე ადამიანები გახვეულიყვნენ.

– ერთი სადღეგრძელო მინდა ვთქვა, დავით! – სიტყვა ითხოვა სოსო ნათლიამ.

– გისმენ ჩემო სოსო.



– ააა, ასე ნუ მიყურებთ, არ გეგონოს, რომ დავთვერი.  
– არა სოსო ნათლია, თქვი, – ამირანმა შეაგულიანა ნათლია.  
– კარგი. იცით რას გაუმარჯოს?! იმ უცნაურ მიზეზს, ჩვენი გონების განუკითხავად სულში რომ ჩაიბუდებს, აგვაწრიალებს და უპატრონო ძაღლივით ქუჩაში გვახეტიალებს, დაგვდღის და მერე სადღაც მყუდრო ადგილას მიგვაგდებს, ხვალინდელი დღის მოლოდინით... ან მოგონებების უდაბნოში, რომ მოგვისვრის. ჰო... ამ გრძნობასაც გაუმარჯოს! – სოსო უცნაურად დადუმდა, მერე, არყით სავსე ჭიქა მადლა აღმართა და თითქოს ვიდაცას, სადღაც ზევით სივრცეში, მიმართა: – ჩემი ლექსი უნდა გითხრა: – და მთელი გრძნობით დაიწყო:

უდაბნოს მტვერში გორაობს ზღარბი,  
მზე ჭყუმპალაობს ალუბლის ზღვაში,  
სიცილი ჩახტა სევდის მორევში,  
ხმაური შეძვრა სიმყუდროვეში.  
ოცნება გაძვრა ჭუჭრუტანაში,  
ქალის სურნელი ჩაღნა საბანში,  
ქვევრში იხრჩობა კაცის სურვილი,  
სიმარტოვეა ხარამხანაში.  
მთვრალი ლავაში დაიხრჩო წყალში,  
ბედნიერება გაება შარში,  
შარი ფუსფუსებს მეფის თავლაში,  
კაცი გაება აბლაბუდაში.  
შალახოს ცეკვავს მთვარე დუქანში,  
მთვრალი კალმახი მღერის ქუჩაში,  
ფანჯრიდან გაძვრა მთელი ქალაქი  
და მარტო დავრჩი  
ჩემს უდაბნოში.

– გაუმარჯოს ტკბილ ზმანებას და სიყვარულს! – ხმამადლა წარმოთქვა თამარმა, არ დაელოდა სოსო ნათლიას სადღეგრძელოს დასრულებას და ჭიქა არაყი ბოლომდე გადაკრა.  
– ყოჩაღ თამარ, – შეაქო სოსომ და თვითონაც გადაკრა არაყი.





– მამა, მამა! ნახე დედამ მთელი ჭიქა დაცალა! – ერთი ამბავი ატეხა ამირანმა.

– ნუ ხმაურობ! მერე რა, რომ დაცალა. სხვათაშორის, მგონი შენი ძილის დროა, – და დავითმა საათს დახედა.

– კარგი, – დაეთანხმა ამირანი და სკამიდან წამოდგა.

– მოიცა ერთი წუთით, – შეაჩერა სოსომ, – გახსოვს ამასწინათ, შენ და მამაშენი რომ შემხვდით, აი მე რომ ლარნაკი მიმქონდა და გასაყიდად, ხომ გახსოვს... ჰო-და გაეყიდე, და შენ ჯაყვა გიყიდე, – და სოსომ ამირანს ხელში ჯაყვა ჩაუდო.


– მადლობთ, – მადლობა მოუხადა ამირანმა ნათლიას, ყველას დაემშვიდობა და დასაძინებლად წავიდა.

ტკბილი ძილი კარგია, მითუმეტეს დილით, თუ სასიამოვნო გრძნობა გეუფლება.

### უცნაური დილა



სანამ ღამე აკრიფავდა აქეთ-იქით მიმოფანტულ დაუმთავრებელ სიზმრებს, ერთი ანცი მზის სხივი, უაეცრად, დროზე ადრე, შეძვრა ღამის სუდარაში და იქაურობა ელვასავით გაანათა. მკვეთრმა შუქმა თვალი მოსჭრა ქალაქში შემთხვევით შემოფრენილ ბუს, რომელმაც ისე დაიჩხავლა, რომ მთელი ქუჩის მაცხოვრებლები გაადვიძა: აყეფდა ძაღლი, აკნაენდა კატა, ახმაურდა სოროში შემძვარი თაგვი, ნაგვის ყუთზე მძინარე ბუზიც კი აბზუილდა, ჩიტებმაც გადმოიხედეს თავის ბუდეებიდან, და როცა ბუ დაინახეს, გაუკვირდათ. ბუ, სინათლისაგან დაბრმავებული, თავგზააბნეული არ იცოდა სად გაფრენილიყო, ხან ერთ ხეზე შემოჯდა, ხან მეორეზე, ბოლოს გამოქვაბულივით შავი ადგილი დაინახა და იქით გაქანდა.

– უხ შენი!.. – იყვირა მენაგემ, რომელიც სადარბაზოდან გამოდიოდა და სახეზე ბუ შეაფრინდა. 

შეჯახებისგან ბუ სულ დაიბნა, და მენაგვის ფეხებთან გაფარჩხული პირქვე დაეცა. მენაგვემ ბუს, ფრთაბში წაავლო ხელი და სადარბაზოს ამონგრეულ კედელში ჩასვა.

– აქ კარგად მოიქეცი. არ იხმაურო! ცოტა მაცალე და მერე ტყეში წაგიყვან, – და თითი დაუქნია, იმის ნიშნად, რომ: „თუ, კარგად არ მოიქცევი შავ დღეს დაგაყრი“.

ბუმ, თითქოს, ზაქარია მენაგვის ნათქვამი გაიგო, მიჩენილ ადგილას მოკალათდა, ფრთები შემოიკეცა და გაყურდა.

ზაქარია ქუჩაში გავიდა, დილა ეხამუშა, ცაც რაღაც უნაური მოეჩვენა, რომელიც მთლიანად ოქროსფრად იყო განათებული.

– ეჰ, რა უცნაურია ჩვენი ცხოვრება, – ჩაილაპარაკა თავისთვის მენაგვემ და უხალისოდ შეუდგა ქუჩის ხვეტას, ცელივით იქნევიდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:

დავიღალე, აღარ მინდა  
დილით ქუჩის ხვეტა,  
ვის სჭირდება სისუფთავე,  
ფულს დახარბდა ყველა.  
საღაც ჭამენ, იქვე ჯვამენ  
და სხვის ნაშრომს ხრავენ,  
მიზანი აქეთ მხოლოდ ერთი:  
სხვას აჯობონ ჭამაში და სმაში,  
ის კი, სულ არ ენადვლებათ,  
ცოდნა, თუ აქეთ თავში.

როგორც ყოველთვის, მენაგვის ლექსზე, ფანჯარაში ლოთის შვილმა გამოიხედა.

– ეი, გიჟპოეტა, იცი რა უცნაური სიზმარი ვნახე, – ხალისიანი ხმით მიმართა პოსლიკამ მენაგვეს.

– მაინც რა ნახე ასეთი, ასე რომ გახალისდი, – ქუჩის ხვეტა არ შეუწყვეტია მენაგვეს ისე შეეხმიანა.



– რა და, ჩემო კარგო, თითქოს შენ ცოცხის ნაცვლად გიტარა გეჭირა და უკრავდი, მე კი ვმღეროდი, ხოლო დაირა ექიმი ცეკვავდა, – და პოსლიკამ ჩაიხითხითა.

– სიზმარში თმებიც ხომ არ ამოგსვლოდა თავზე? – სიცილით ჰკითხა მენაგვემ ლოთის შვილს და ცალი თვალით ახედა.

– უა, როგორ მიხვდი, რა შენც იგივე სიზმარი ხომ არ ნახე? – შეეკითხა პოსლიკა.

– არა, მაგრამ შენი სანუკვარი ოცნება ვიცი, – ისევ ღიმილით უპასუხა მენაგვემ.

– სულაც არა, მე ასეც მომწონს, ჩემი ბუმბერაზა! – ფანჯარაში, პოსლიკას გვერდით ახალგაზრდა ქალმა გამოყო თავი.

– უკაცრავად ქალბატონო... მე... კი არ დავცინი, უბრალოდ ვესუმრები, – გააკვირვებულმა უპასუხა მენაგვემ უცნობ ქალბატონს.

– ეს ჩემი საცოლეა! ნათელა, – სიამაყით წარუდგინა ლოთის შვილმა მენაგვეს თავისი საცოლე.

ზაქარიამ პატივის ნიშნად თავი დაუკრა ქალბატონ ნათელას და ქუჩის ხვეტა განაგრძო. შეყვარებულები კი ფარდის მიღმა გაუჩინარდნენ.

ქუჩა, დილის ჩვეულ რეჟიმში შედიოდა: კანტიკუნტად მანქანები გამოჩნდა, გამოჩნდნენ ფეხით მოსიარულეებიც, ზოგი სად-და ზოგიც სად მიიჩქაროდა, ყველა მათგანს რაღაც უცნაური შეგრძნება გასჩენოდა, თითქოს პირველად ხედავდა მისთვის უკვე ნაცნობ ადგილებს, შენობებს, საგაზეთო ჯიხურებს, ნაგვის ყუთებს... და დილის ხმაურიც უცნაურად ეჩვენებოდათ.

ქუჩაში, ამირანი და დავითიც გამოჩნდნენ.

– მამა ნახე, ამ ხის ძირას ბაბუაწვერაა, – მხიარულად მიმართა ამირანმა მამას.

– მართლაც რომ, – გაიკვირვა დავითმა.

– მამა, დედა რატომ არ მიდის დღეს სამსახურში? – იკითხა ამირანმა.

– შეგებულება აიღო, – უპასუხა დავითმა.

– ანუ ფასიანი არდადეგები? – და ამირანმა დედა სკოლის მოწაფედ წარმოიდგინა.

– ჰო, ასე რომ ვთქვათ... – გაეღიმა დავითს.



– იცი მამა, გუშინ სიზმარში ჩვენი ჯადოსნური ტყე ენახე. – და ამირანი ჩაფიქრდა: „მას ხომ მხოლოდ ზმანებაში აქვს ჯადოსნური ტყე ნანახი. თუ არა... ჰო მართლა, ოთხ წლამდე იქ იზრდებოდა“.

– ამირან შეილო, მომისმინე, ჩვენ გუშინ გადავწყვიტეთ, რომ ნინო და შენ გაგამგზავროთ ჯადოსნურ ტყეში - არდადეგებზე. თუმცა, ეს როგორ უნდა მოვახერხოთ ჯერ არ ვიცი, – და დავითს სახის ნაკეთები დაეძაბა...

– კარგია, მაგრამ იქ ვისთან გაჩერდებით, – გაიკვირვა ამირანმა.

– ჩვენს სახლში. რა შენ ის უკვე აღარ გახსოვს? – გაიკვირვა დავითმა.

– როგორ არა მახსოვს! ჰო, მახსოვს, – და ამირანს, თვალწინ მშობლიური სახლი წარმოუდგა.

– ჰო-და ძალიან კარგი... ამირან, შეხედე მშრალი ხიდის მოაჯირზე ორი მტრედი ზის, – და დავითმა ხელი გაიშვირა, ქათქათა თეთრი ფერის მტრედებისკენ, რომლებიც ერთმანეთს მიკვროდნენ.

– მამა ზუსტად იქ სხედან სადაც და-ძმა მათხოვრობდა... ჰო, როგორც მე წარმოვიდგინე... ნახე, ნახე ჩვენსკენ იყურებიან! – აღტაცებას ვერ მაღავდა ამირანი.

ამირანი ფრთხილად მიუახლოვდა მტრედებს, მტრედები არც კი შეფრთხილდნენ, თითქოს ელოდებოდნენ ამირანს, მხოლოდ ღულუნს მოუმატეს, და ერთი მარჯვენა მხარზე, მეორე კი, მარცხენაზე დააჯდა.

– მამა რა უნდათ? – გაიკვირვა ამირანმა.

– ალბათ სემინარიაში მოგვეყვებიან, – და გაურკვეველობის ნიშნად მხრები აიჩეჩა.

ამირანმა სემინარიისკენ გზა განაგრძო, მაგრამ ფრთხილად მიდიოდა, ცდილობდა მოძრაობები თანაბარი ჰქონოდა, მტრედებს წონასწორობა, რომ არ დაეკარგათ და მშვიდად მჯდარიყვნენ მის მხრებზე. როცა სემინარიას მიუახლოვდა და ნინო დაინახა, თითოთი მიანიშნა მტრედებზე.

როცა ნინომ, ამირანის მხრებზე მტრედები დაინახა, გაოცება ვერ დამალა:



– ამირან, ესენი საიდან? – მიახლოებისთანავე ჰკითხა ნინომ, ამირანს.

– მშრალი ხიდის მოაჯირზე ისხდნენ, – უპასუხა ამირანმა.

ერთ-ერთი მტრედი, რომელიც ამირანს მარჯვენა მხარზე ეჯდა ნინოს მხარზე გადაფრინდა, ნინოს გაუხარდა და ბებიას მიმართა:

– ბებია, ეს მტრედები მშრალი ხიდის მოაჯირზე ისხდნენ, ამირანს დაუმეგობრდნენ. ამას კი, მე, მოვეწონე, – და ნინომ მის მხარზე შემომჯდარ მტრედზე მიანიშნა.

ქალბატონი მართა დავითს მიესალმა, ამირანს თავზე ხელი გადაუსვა და თხოვნით მიმართა ორივეს:

– ახლა ჩქარა ზარი დაირეკება, წადით, თორემ უხერხულია, უხერხულია გაკვეთილზე დაგვიანება.

ქალბატონმა მართამ არ იცოდა, რომ სემინარიის კედლების დიდი ნაწილი დანგრეული იყო და ბავშვებს საერთო გაკვეთილი უტარდებოდათ, თანაც სემინარიის ბაღში.

ბაღში თავმოყრილმა ბავშვებმა, როცა ამირანი და ნინო მტრედებთან ერთად დაინახეს, გარს შემოერტყნენ და კითხვები დააყარეს:

– საიდან ასეთი ლამაზი მტრედები?

– რატომ აქვთ ოქროსფერი ფეხები?

– ნისკარტები, რატომ აქვთ ლურჯი?

ცნობისმოყვარე ბავშვები სემინარიის მოძღვარმა ძლივს დაამშვიდა, მოუწოდა, რომ მერხებს შემოსხდომოდნენ.

სემინარიის ბაღი ნანგრევებისაგან მთლიანად გაწმენდილი იყო, სემინარიაში მოღვაწე მრევლს შენობის კედლების ამოყვანაც დაეწყოთ. მხოლოდ, ერთ ადგილზე, სადაც განგმირული ურჩხულის სხეული ჯერ შავ ლაქად გადაიქცა და მერე ააღდა, ორმო გაჩენილიყო, საიდანაც საშინელი ოხშივარი ამოდოდა. ორმო დაბალი ღობით შემოედობათ.

საერთო გაკვეთილის წარმართვა სემინარიის მოძღვარმა, მამა პავლეს დაავალა. მამომ ცოდვების ჩადენის მიზეზ-შედეგობრივ არსზე დაიწყო საუბარი:

– ცოდვა, ეს უფლისაგან განდგომაა, – ეს ფრაზა მამომ რამდენჯერმე გაიმეორა და მერე მშვიდი ხმით გააგრძელა: – სასუ-



ფეველში ადამიანს ცოდვა არ ჰქონდა, ღმერთმა ის უცოდველად, თავის ხატად და მსგავსად შექმნა, მისცა მას საღვთო კანონების კრებული - ეფუთი, და დაუწესა მათ - ვაშინერცი ანუ უვარგისი ქმედებების აკრძალვა. მაგრამ, ადამიანი გაამპარტავნდა, უფლის პირველივე აკრძალვა დაარღვია და ცოდვით დაეცა. თუ სასუფეველში იგი იყო უკვდავი, უხრწნელი, ცოდვით დაცემის შემდეგ გახდა მოკვდავი, ვნებული. დაექვემდებარა ბოროტის ზემოქმედებას, სნეულებას, ყოველივე ამან დაახშო სასუფეველის კარი და ყველა ადამიანი, მართალი თუ ცოდვილი, ჯოჯოხეთში მიდიოდა. უფლის აღთქმის და სურვილის მიხედვით, როგორც ეს ეფუთში წერია, კაცობრიობას ქრისტე მოევლინა, რომელმაც იტვირთა ადამიანთა ცოდვა, ჯვარზე ამალდა და საკუთარი წმინდა სისხლით იხსნა კაცობრიობა. გახსოვდეთ! – და მამო პავლემ მზერა მოაგლო ბავშვებს, – ქრისტემ იბერიულ ენაზე წარმოთქვა თავისი ბოლო სიყვები, რაც იმას ადასტურებს, რომ მისი საზეპურო ერი იბერიელები არიან და ჩვენ ვალდებულები ვართ, ეს პატივი ღირსეულად ვატაროთ. – მამო პავლემ ცოტახნით შეწყვიტა ქადაგება, ბავშვებს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო: – როცა ქრისტემ ადამიანების ცოდვა იტვირთა, დადგა სანატრელი გამოსხნის უამი და ყველა ადამიანს მიეცა უფლება ცხოვნებისა, თუმცა ამის წინაპირობა არის წმინდა ნათლისღება, რომლის დროსაც პიროვნებას დაბადების თანმდევი პირველქმნილი ადამის ცოდვა მიეტყეება. მაგრამ, ნათქვამია ეფუთში: „ვინც არ მოინათლა წმინდა წყლით, ჯვრით და არ იცხო წმინდა ხის ნაყოფიდან მიღებული ზეთი, არ დაუხარა თავი სულიწმინდას, მან ვერ იხილოს ცათა სასუფეველი“. – მამომ ისევ გადახედა ბავშვებს და ხმამაღლა თქვა: – ადამიანი შეხებადია და ნათლობის შემდეგ ის მაინც ექვემდებარება ცოდვით დაცემას. ბნელი ძალები თავს ესხმიან ყველაზე უფრო წმინდა სულებს, ამის ნათელი მაგალითი იყო ამ რამდენიმე დღის წინ მომხდარი ამბავი. მართალია, ჩვენ ერთად დავამარცხეთ ბოროტი ძალა, მაგრამ, იქ სადაც ის დაეცა გაჩნდა დიდი ორმო, საიდანაც, როგორც თქვენ ხედავთ ოხშივარი ამოდის და საფრთხეს უქმნის თითოეულ ჩვენთაგანს. ჩვენმა ბერებმა ბევრი მიწა ჩაყარეს ამ



ორმოში, მაინც არ იქნა მისი ამოვსება, პირიქით მხურვალე ლაგა სულ უფრო და უფრო ზევით ამოდის - წამოდით! შეხედეთ.

მამაომ ბავშვები ორმოსთან მიიყვანა და, თან გააფრთხილა შემოღობილის იქით ფეხი არ გადაედგათ, რამეთუ შესაძლებელი იყო ორმოს ნაპირი ჩანგრეულიყო, ან იქიდან ამოსულ ოხშივარს მათი სხეული დაეთუთქა.

ბავშვებმა როცა ორმოში ჩაიხედეს, მის ძირში მოთუხთუხე ლაგა დაინახეს, რომელშიც ცოდვილთა სულები იწვოდა, ხოლო ჯერ კიდევ ცოცხალი ცოდვილი ადამიანების ლანდები ლაგას ზემოთ დაცურავდნენ, ზოგი უჩინარდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისმა პატრონმა ცოდვები მოინანია, ზოგი კი პირიქით – ლაგაში ვარდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მიუტევებელი მოკვდა.

ცოდვილთა სულებმა ორმოს თავზე ბავშვები, რომ დაინახეს ყვირილი ატეხეს:

- გვიშველეთ!
- ხელი გამოგვიწოდეთ!
- ამოგვიყვანეთ!

ერთ-ერთმა ბავშვმა ხელის გაწვდენა დააპირა – დახმარების მიზნით, მაგრამ, მამა პავლემ ხელი დაუჭირა.

– არ ჰქნა შვილო, ჩაგითრევენ, მათ ახლა შერნაირი წმინდა სულის ხელში ჩაგდება სურთ, ზეიმი რომ მოაწყონ ჯოჯოხეთში და შენი წვალებით დატკბნენ. – ამ სიტყვების შემდეგ მამაო შემინებულ ბავშვს მიეფერა, თავზე ხელი გადაუსვა, დაამშვიდა. და, ბავშვებს მიმართა: – ბავშვებო, ახლა მოდით ჩვენი სემინარიის მრევლს დავეხმაროთ, ორმოში, მიწის ჩაყრაში, იქნებ ეს ორმო როგორმე ამოვაგსოთ, აგერ იქ დევს ნიჩბები, ხოლო მიწა იქითაა, – და პირველი თვითონ გაეშურა ნიჩბის ასაღებად.

მამაოების, სემინარიის მრევლის და ბავშვების დიდი გარჯის მიუხედავად მაინც ვერ მოხერხდა ორმოს ამოვსება, არადა ცხრა საათი მოახლოვდა, ყველა დაიღალა, განსაკუთრებით ბავშვები და მონაზვნები.

– მოსალამოვდა. ეჰ, კიდევ მოგვიწევს მიწის შემოტანა, – სასოწარკვეთით თქვა სემინარიის მოძღვარმა მამა ანდრიამ და ცას ახელა საღაც უკვე ვარსკვლავები კიაფობდნენ.



ამირანმაც ახელა ცას და ერთ-ერთი ვარსკვლავი იცნო, რომელიც სხვებზე უფრო მკაფიოდ ანათებდა, პირველად გადაიწერა.

მტრედებმა, რომლებიც ამირანს გამოჰყვნენ სემინარიაში, და მთელი დღის განმავლობაში სემინარიის ეკლესიის სამრეკლოს სახურავზე ისხდნენ, ვარსკვლავების გამოჩენისთანავე ორმოს თავზე დაიწყეს მოუსვენრად ფრენა.

ამირანს თითქოს რაღაც გაახსენდა... ხილვასავით თვალის წინ რამდენიმე სურათმა გაურბინა... ხელის გულით სახე დაიფარა და როცა ჩამოიღო, სახეზე უდიდესი სინარული აღბეჭედოდა.

– ნინო, გთხოვ ადი სამრეკლოზე, ოღონდ სწრაფად და რაც შეიძლება ძლიერად შემოჰკარი ზარები, – და ამირანმა, ისევ ცას ახელა.

ნინო სირბილით გაემართა სამრეკლოსკენ, აირბინა სამრეკლოს კიბეები... ზარის ქანქარა გულზე დაკიდებული ყველა თოკი ერთიანად ორივე ხელში ჩაბლუჯა და მთელი ძალით მოქაჩა. გულები, ზარის ქულს შეეჯახნენ და გასაოცარი წკრიალა ხმები გაისმა - ზარები ამღერდნენ:

აი ია, კოლხა მქვია,  
ბოროტობას ღმერთმა სძლია.

მეორედ შემოჰკრა ნინომ ზარებს და ისევ გაისმა ზარების სიმღერა:

აი ია, კოლხა მქვია,  
ბოროტობას ღმერთმა სძლია.

მესამედ შემოჰკრა ზარები ნინომ,

აი ია, კოლხა მქვია,  
ბოროტობას ღმერთმა სძლია.

მესამე შემოკვრაზე, ოქროსფერმა ვარსკვლავმა ციდან თვალის მომჭრელი შუქი დაუშვა, და როგორც კი მტრედებს შეეხო, მტრე-





დები ანგელოზებად გადაიქცნენ. ანგელოზებმა თითო მუჭა მიწა იადეს და ორმოში ჩაყარეს. ორმო შეირყა, საშინელი ხმით აგუგუნდა და ერთიანად ჩაიქცა. ამის შემყურე მრევლი და ბავშვები მხურვალე ლოცვით მუხლებზე დაეცნენ და მხოლოდ მაშინ წამოდგნენ ფეხზე როცა ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მტრედები აღარსად ჩანდნენ, ვარსკვლავებიც ჩვეულებრივ ანათებდნენ, ხოლო, ორმოს ადგილზე მოსწორებული ადგილი იყო, სადაც მტრედის ორი თეთრი ბუმბული ეგდო. სემინარიის მოძღვარმა ფრთხილად აიღო ორივე ბუმბული, ერთი ამირანს ჩაუმაგრა თმაში, მეორე კი ნინოს. ბუმბულები როგორც კი შეეხნენ ბავშვების თმას განათნენ და თმებში გაუჩინარდნენ.

სემინარიის მოძღვარმა ყველა ბავშვი დალოცა, კეთილი ღამე უსურვა და სახლში ლოცვა-კურთხევით გაისტუმრა.

გარეთ, ჩვეულებისამებრ, ამირანს მამა, ნინოს კი ბებია ელოდებოდნენ. ქალბატონმა მართამ უცნაური ბზინვარება შეამჩნია ნინოს თმებს.

– თქვენ რა, სემინარიაში, თმებზე, რაიმე ხომ არ გადაისვით?  
– იკითხა ქალბატონმა მართამ და მერე დავითს მიუტრიალდა: – ბატონო დავით, სამწუხაროდ, შესაძლოა, ამ კვირას თქვენთან სტუმრად მოსვლა ვერ მოვახერხოთ, მე ეკლესიაში მთელი დღე დარჩენა მთხოვეს და ნინოც ჩემთან იქნება. ძალიან ვწუხვარ, დიდი ბოდიში, – მოკრძალებული ხმით მიმართა ქალბატონმა მართამ დავითს.

– არაუშავს, შემდეგ კვირას გვესტუმრეთ. ჰოო... თუ, ჩვენ შევძელით, ჩვენ მოგაკითხავთ ეკლესიაში, – გაამხნევა დავითმა ქალბატონი მართა.

– რა კარქი იქნება, – თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს ამირანმა და ნინომ.

– ოჰ, ესენი ოღონდ ერთად ამყოფე და მეტი არაფერი არ უნდათ, – გაეცინა მართას.

დავითსაც გაეცინა, მერე ბავშვებს მიუტრიალდა და სიცილ-სიცილით მიმართა:

– ჰე, დაემშვიდობეთ ახლა ერთმანეთს, ნიაღვრად წამოსული ცრემლებით.



ამ ნათქვამზე ბავშვებსაც გაეცინათ და უფროსების გამოსაჯავრებლად: აი შემოგვხედეთ, ასე ვტირივართო... და, ერთმანეთს ზღუქუნ-ზღუქუნით დაემშვიდობნენ.

დავითმა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დაიწყო ცქერა, ეტყობოდა ვიღაცას ეძებდა და დაინახა: სამათხოვროდ გამოსული პროფესორი, ოღონდ ამჟამად ბორდიურზე კი არ იჯდა, არამედ დასაკეც სკამზე, ეტყობა მაშინ გაღებულ - დავითის ფულით შეიძინა.

– ამირან მიდი, შენ, აი, იმ სკამზე ჩამოჯექი, მე კი პროფესორს გამოველაპარაკები, – და დავითმა სამხატრო გალერიის სკვერში ჩამდგარ სკამზე მიუთითა. თვითონ კი პროფესორისკენ გაემართა.

ამირანი სკამზე ჩამოჯდა და იქაურობის თვალიერება დაიწყო. ცოტახანში თმააბურძენული მამაკაცი მიუჯდა.

– არსებობს ღმერთი? – არც გაცნობია უცნობი ისე მიახალა კითხვა ამირანს.

– არსებობს, განა ღმერთმა არ შექმნა ყველაფერი, – ცოტა გაკვირვებულმა, მაგრამ დინჯად უპასუხა ამირანმა.

– თუ ღმერთმა შექმნა ყველაფერი, მაშინ გამოდის, რომ ბოროტებაც მან შექმნა, – ნიშნის მოგებით უთხრა უცნობმა.

– სიცივე არსებობს? – ახლა ამირანი შეეკითხა.

– ეს რა უცნაური კითხვაა, დიახაც არსებობს. – გაბრაზებული ტონით უპასუხა უცნობმა, და ჰკითხა: – რა არასოდეს შეგცინებია?

– არა, პატივცემულო, სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონების მიხედვით, ის რასაც სიცივედ ვთვლით, სითბოს ნაკლებობაა. სიცივე არ არსებობს! ეს სიტყვა იმისთვის გამოიგონეს ადამიანებმა, რომ აგვეწერა მდგომარეობა, რომელსაც სითბოს ნაკლებობა იწვევს. არც სიბნელე არ არსებობს, რამეთუ სიბნელე სინათლის ნაკლებობაა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე, გავზომოთ ის, მაგრამ არა სიბნელე. ჩვენ ვერ გავზომავთ სიბნელეს. სიბნელე ის ცნებაა, რომელიც სინათლის გარეშე ყოფნას აღნიშნავს. არც უცოდინარობა არ არსებობს, ესეც ცოდნით იზომება, უცოდინარი კაცი მოწყვეტილია ცოდნას, ისევე ის ვინც თვლის, რომ ბოროტება ღმერთმა შექმნა. ბოროტება, ეს ღმერთისგან განდგო-



მამა. ბოროტება ის მდგომარეობაა, რომელიც ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი კარგავს ღმერთის სიყვარულს, – მშვიდად და ღიმილით უპასუხა ამირანმა უცნობს.

– გეთანხმები ყველაფერში, მეც ასე ვფიქრობ, წაგიკითხავს ჩემზე! კარგია! – და თმბაბურძენულმა უცნობმა ენა გამოუყო, სწრაფად წამოდგა სკამიდან და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჰაერში გაუჩინარდა.

ამირანმა შვებით ამოისუნთქა, მადლიერი თვალებით გახედა ჰაერში გაუჩინარებულ აინშტეინს და მამას გახედა, რომელიც თავის პროფესორს ესაუბრებოდა.

პროფესორი წამოდგა, დავითს მხარზე ხელი დაადო, რაღაც უთხრა, თითი დაუქნია და ისევ სკამზე დაჯდა.

დავითმა შარვლის მარცხენა ჯიბიდან ქაღალდის კონვერტი ამოიღო და პროფესორს მუხლზე დაუდო, პროფესორმა კონვერტი აიღო გახსნა, შიგ ჩაეხიდა, მერე დავითს შეხედა, გაუღიმა და კონვერტი უკან მიაწოდა.

ამირანმა პირველად დაინახა მამა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში - პირველ კლასელი მოწაფესავით აწურული იდგა და პროფესორს რაღაცას ემუდარებოდა. პროფესორი ისევ წამოდგა, დავითმა უკან დაიხია, პროფესორი კონვერტგაწვდენილი ხელით მისკენ გაიწია, დავითმა ისევ უკან დაიხია და თან რაღაცას გაცხარებული უმტკიცებდა, ბოლოს ორივე ერთ ადგილას გაჩერდნენ. პროფესორმა გაწვდენილი კონვერტიანი ხელი მორჩილად დაუშვა ქვევით და კონვერტი გაცვეთილი შარვლის ჯიბეში ჩაიღო. ამირანმა დაინახა თუ როგორ გახადისდა მამა, პროფესორს მოეხვია, მერე რაღაც უთხრა და ამირანისკენ მოახედა, მერე თავი დაუხარა პატივისცემისა და გამომშვიდობების ნიშნად, და სწრაფი ნაბიჯით ამირანისკენ გამოეშურა.

– წავიდეთ სახლში! – შორიდანვე დაუძახა დავითმა ამირანს.

ამირანი წამოდგა სკამიდან და მამასკენ წავიდა.

– მამა, რა მიეცი პროფესორს, ფული? – მიახლოებისთანავე ჰკითხა ამირანმა მამას.

– ჰო მამა, ფული ვაჩუქე, – უპასუხა დავითმა.



– ამიტომ გრძნობდი თავს ასე უხერხულად? – ღიმილით ჰკითხა ამირანმა მამას.

– ჰო, აბა როგორია, იმ კაცს აჩუქო ფული, რომელიც ყოველთვის მაღალ ფასეულობებზე გესაუბრებოდა, რომლისთვისაც ფული ყოველთვის ხელის ჭუჭყი იყო, – გაბზარული ხმით საუბრობდა დავითი.

– კი მაგრამ საიდან? – ამირანმა იცოდა, რომ მის ოჯახს ფული უჭირდა.

– დედის შვებულების ფულია, – უპასუხა დავითმა.

– ააა, ამიტომ აიღო დედამ ასე სასწრაფოდ შვებულება? – იკითხა ამირანმა.

– არა უბრალოდ ფული გვჭირდებოდა, გვინდოდა ჩვენთვის საშემოდგომო ტანისამოსი გვეყიდა, მაგრამ პროფესორის ამბავი, რომ მოეუყევი შეწუხდა და გადავწყვიტეთ ფული მისთვის მიგვეცა. – და დავითმა, შვილს, გამომცდელი მზერა ესროლა.

– მე ძალიან კარგი მშობლები მყავს, – სიამაყე შეეტყო ამირანს. – მამა შეხედე, ისევ ის მტრედები, ამ ღილით, რომ გამომყენენ სემინარიაში. – და ახლა, უფრო მოკრძალებით მიუახლოვდა მტრედებს, მოფერებაც კი ვერ გაბედა.

მტრედები მოახლოებულ ამირანს ისევ ღულუნით მიეგებნენ, კეთილი განწყობის ნიშნად თავები დაუკრეს, აფრინდნენ, თავზე რამდენჯერმე შემოუფრინეს და, შემდეგ, ცის უკიდვანო სივრცისკენ გაქანდნენ.

ამირანმა გულდაწყვეტილმა გააყოლა თვალი ცაში გაუჩინარებულ მტრედებს, ამოიოხრა, მამას გახედა და ჰკითხა:

– სულიწმინდა, როგორ წარმოგიდგენია?

– ამირან, მოდი შენ კითხვას ცოტა სხვანაირად გავცემ პასუხს, – და როცა დავითმა შვილისგან თანხმობა მიიღო საუბარი განაგრძო: – როგორც შეამჩნევდი, თითოეული ჩვენთაგანი ხშირად აწარმოებს თავის თავთან შინაგან დიალოგს, ანუ ჩვენ აზრობრივად მუდმივად ვესაუბრებით ჩვენს მეორე მეს და ადამიანს ჰგონია, რომ ეს საუბარი დაფარულია, მხოლოდ მას ესმის, მხოლოდ საკუთარ თავშია გამხელილი, ამიტომ ეს შინაგანი დიალოგი უფრო გულახდილია და კეთილი, მაგრამ, ხშირად შეიცავს გამო-



უთქმელ აგრესიასაც, შურს, ბოროტებას, ამპარტავნობას, სხვისი განადგურების და დასჯის სურვილს. ადამიანების უმრავლესობას ჰგონია რომ ეს უბრალო აზრობრივი საუბარია საკუთარ თავთან და არავიზე, და არაფერზე არ მოქმედებს, ამიტომ ისინი მთელი სისასტიკით უსწორდებიან საკუთარი აზროვნების სამყაროში, თავის ვერტე ვოლდებულ მოწინააღმდეგეს.

– მაგრამ, მამა ეს ხომ თანდათანობით მათი სახის გამომეტყველებზე აისახება? – ჰკითხა ამირანმა.

– გეთანხმები შვილო და იმასაც დავამატებდი, რომ ხშირად მსგავსი უსასტიკესი შინაგანი დიალოგი გააჩნიათ იმ ადამიანებსაც ვინც ძალიან კეთილები ჰგონიათ. საზოგადოება მათ „წესიერ ადამიანებად“ მიიჩნევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ გააჩნიათ ფარული აგრესია და უფრო საშიშები არიან, რამეთუ როგორც უკვე გითხარი საზოგადოება მათ წესიერ ადამიანებად თვლის.

– ეს როგორც სოსო ნათლია ამბობს: „გეშინოდეთ მუდამ მომდიმარე ადამიანების, ღიმილის უკან შეიძლება დიდი ბოროტება იმალებოდეს“, – შეაწყვეტინე საუბარი ამირანმა.

– მართალია სოსო ნათლია... მაგრამ, არც ასეა მთლად, ვინაიდან არსებობენ ადამიანები ვინც იღებს გარე სამყაროს ისეთად როგორც ის არის, ამიტომაც ისინი სულ იღიმიან. ასეთი ადამიანები კეთილები არიან, აქვთ სწორი ურთიერთობები ადამიანებთან, მათი გადაწყვეტილება ან არჩევანი ყოველთვის პატიებასა და სიყვარულზეა დაფუძნებული, ასეთ ადამიანებს არ სჩვევიათ განკითხვა, მათ უბრალოდ უყვართ სიცოცხლე, ადამიანები და გარე სამყარო. ასეთ ადამიანებზე ამბობენ, რომ მათში სულიწმინდაა ჩასახლებული.

– მე, როგორც ვიცი მამა, სულიწმინდა ყველაშია, რამდენადაც იგი ყველას შემამტკიცებელია, მას განუსაზღვრელი აზრი გააჩნია, ოღონდ, იგი ძლიერია უფრო იმ ადამიანებში, რომლებსაც ღმერთი სწამთ, ის მოიცავს შვილმყოფელ ენერჯიას, ამასთან იგი გვევლინება როგორც სიბრძნის დამბადებელი.

– კი ბატონო გეთანხმები. მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა დავითი შვილს.



ლაპარაკში გართულმა მამა-შვილმა ვერც კი შეიტყო, თუ როგორ წამოეწიათ უკნიდან თამარი.

– ჰა თქვე ყაჩაღებო, ასე გვიან მოდიხართ სახლში, ხომ დაგიჭირეთ, – და თამარმა დავითს მხარზე მუშტით მიუკაკუნა.

თამარის ხმაზე ორივე მობრუნდა.

– დედა საიდან გაჩნდი? – გაუხარდა ამირანს.

– ვაა, თამარ! აქ საიდან? – გაოცდა დავითი.

– მეზობლის ქალმა მითხრა, რომ აბამელიქის მაღაზიაში იაფად შემოიტანეს კარტოფილი და მეც წამოვედი საყიდლად. ხომ გიყვართ შეპუწკუნებული კარტოფილი? ჰო-და თუ გიყვართ წამომყევით მაღაზიაში.

– გავეყვით ხომ ამირან? – ჰკითხა დავითმა შვილს.

– აბა რა, – სიხარულით დაეთანხმა ამირანი, და მერე დედას მიუბრუნდა: – დედა, აბამელიქი, მაღაზიის მეპატრონეა?... რა უცნაური გვარია, – და ისევ დედას ჰკითხა, – საიდან მოდის ეს გვარი?

– ჰო მეპატრონეა. აბამელიქის გვარის ისტორიის შესახებ თუ, მოითმენ, სახლში მოგიყვები, – უპასუხა თამარმა შვილს.

მაღაზიაში, კარტოფილის რიგში, მხოლოდ სამი კაცი იდგა. ეტყობა, ახლო მაცხოვრებელ მოსახლეებს იაფი კარტოფილის შემოტანის შესახებ ამბავი ჯერ არ შეეტყვოთ, ამიტომაც თამარმა ადვილად, ყოველგვარი ლოდინის გარეშე, შეიძინა კარტოფილი და მამა-შვილს შეუერთდა, რომლებიც გარეთ ელოდებოდნენ და რაღაც საკითხზე გაცხარებულნი კამათობდნენ.

– დედა, მე წამოვიღებ კარტოფილს, – და ამირანმა მაღაზიიდან გამოსულ დედას ჩანთა ჩამოართვა.

– არა ამირან, მძიმეა, მამა წამოიღებს, – იუარა თამარმა, მაგრამ არ გაუძალიანდა და კარტოფილიანი ჩანთა დაუთმო. აშკარად შეეტყო თამარს, რომ ესიამოვნა შვილის მზრუნველობა. დავითს გახედა და ამირანზე ანიშნა: – ჩვენი იმედი, – სიამაყით წარმოთქვა თამარმა.

დავითს გაეღიმა, თამარს ხელკავი გამოსდო და ორივე ამირანს უკან გაჰყვნენ, რომელსაც კარტოფილით სავსე ჩანთა ისე მსუბუქად მიჰქონდა თითქოს ხელში არაფერი უჭირავსო.



მშობლები შვილს უკან მიჰყვებოდნენ და მათზე ბედნიერი ამ ქვეყანაზე არავინ არ ეგულებოდათ. სიმშვიდეს მთელი მათი სხეული მოეცვა და, თუ სადმე საფრთხე არსებობდა არ წარმოედგინათ. ხოლო საფრთხე, რომელიც ჩუმად, უკან ადევნებოდათ, მათი განწყობა, რომ იგრძნო დანადგელიანდა, რამეთუ მნიშვნელობა დაკარგა, ამიტომ, შერცხვენილი, ფეხაკრეფით სადღაც გაიპარა, მაგრამ იმ იმედით, რომ უკან აუცილებლად დაბრუნდებოდა.

სიტკბოთი დამძიმებულ სამეულს, ბინის კართან, ფუტკარი და სხივის ბურთი შეეგებათ.

– სადა ხართ აქამდე?.. სად გაიკრიფეთ? – აბზუილდა ფუტკარი.

– ის არ გვეყოფა, ამირანს რიგიანად მხოლოდ შაბათ-კვირას თუ ვხედავთ, – აბზუნდა სხივის ბურთი.

– რაც სემინარიაში დაიწყო სიარული ჩვენთვის თითქმის აღარ სცალია, – საძინებელი ოთახიდან გაისმა კაქტუსის საყვედურიც.

მეგობრების საყვედურზე, სამივეს გულიანად გაეცინა – გაუხარდათ მათი დამოკიდებულება.

დავითმა ამირანს სთხოვა:

– სანამ დედა კარტოფილს შეწვავს, ესენი რაიმეთი გაართვ, მათი გული მოაღბე, თორემ საღამოთი ძალიან შემოგვიტევენ.

– კარგი მამა, – დაეთანხმა ამირანი და თავის მეგობრებს მიუტრიალდა: – გინდათ კარტოფილის შესახებ მოგიყვებ, საინტერესო ამბავი?

– გვინდა, – ერთხმად უპასუხეს მეგობრებმა და ჩვეულებისამებრ საძინებელ ოთახში გაიკრიფნენ, ამირანიც მათ გაჰყვა.

– დავიწყო? – ჰკითხა ამირანმა მეგობრებს. მშობლების საწოლზე გემრიელად მოკალათდა, არ დაელოდა მათ თანხმობას და დაიწყო: – მაშ ახე, ამერიკის კონტინენტზე, იქ სადაც ახლა არქეოლოგიური გათხრების შედეგად სოროკოტას ტომის ცივილიზაციის ნაკვალევი იპოვეს, თურმე, ერთხელ ძალიან ძლიერი ქარბორბალა დატრიალებულა, და როცა ქარი დაწყნარდა ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ქარბორბალას ადგილზე უცნაური, მრგვალი, ყავისფერი, მუჭის ხელა ნაყოფის გროვა შეამჩნიეს. ეს ნაყოფი ღვთის რისხვად მიიჩნიეს და მათი დაწვა გადაწყვიტეს,



როცა რამდენიმე ნაყოფი ცეცხლში ჩააგდეს, მადის აღმძვრელი სასიამოვნო სუნი ეცათ, მაშინ ტომის ბელადმა გადაწყვიტა, ეს უცნაური ნაყოფი, ქურდობაზე დასჯილი თანასოფლელებისათვის ეჭმიათ, ნაყოფის გამოცდის მიზნით, და მთელი ერთი კვირის განმავლობაში აჭმევდნენ. კვირის ბოლოს კი, საოცრება შეამჩნიეს: პატიმრები თავს იმაზე უფრო კარგად გრძობდნენ ვიდრე წინა დღეებში, თვითონაც გასინჯეს, ძალიან მოეწონათ შემწვარი ნაყოფი და ეს ამბავი ტომის ბელადს აცნობეს.

– მონტესომას? – იკითხა ფუტკარმა.

– არა, ეს ამბავი ბევრად უფრო ადრე მოხდა, – უპასუხა ამირანმა და ამბის თხრობა განაგრძო: – ტომის ბელადმა ქარბობა-ლას მიერ მოტანილი ნაყოფის გასინჯვა გადაწყვიტა და როცა მისმა მოახლეებმა შემწვარი კარტოფილი მიაღწიეს, მისმა გემომ აღაფრთოვანა და ნაყოფის დათესვა ბრძანა. იმ დღიდან შემწვარი კარტოფილი სოროკოტას ტომის მთავარ საკვებ პროდუქტად გადაიქცა, რომელიც თანდათანობით მთელს ამერიკის კონტინენტზე გავრცელდა, ხოლო ევროპაში, კარტოფილის ტუბერები, ესპანელებმა შემოიტანეს, საიდანაც იტალიაში გავრცელდა, იტალიიდან იბერიაში.

– იბერიაში ამ ნაყოფს კარტოფილი ვინ შეარქვა? – იკითხა კაქტუსმა.

ხის კასრს უდოდა ეპასუხა, მაგრამ, ამირანმა დაასწრო:

– პირველად, კარტოფილი გასინჯა აფხაზეთის მმართველმა თავადმა აფაქიძემ, მოეწონა და მისი ყოველდღიური საკვების ჩამონათვალში შეტანა ბრძანა, მაგრამ, მზარეულებმა მორიდებით შესწივლეს, რომ ამ ნაყოფის შეწვას კარგა დიდი ოფლის ღვრა სჭირდებაო... ჰო-და, თავადმა ამ სიტყვების ნაერთიდან, ამ უცხო ნაყოფს „კარგიოფლი“ შეარქვა, რომელმაც შემდეგ ტრანსფორმაცია განიცადა და მივიღეთ სახელწოდება - კარტოფილი.

– მეც მიყვარს კარტოფილი, – თქვა ფუტკარმა.

– არა! შენი საკვები მხოლოდ თაფლია, – გასაბრაზებლად უთხრა ამირანმა.

– ვა, რა კარგია, შენ ყველაფერი უნდა მიირთვა კარტოფილი, სხვადასხვა სუპები, მათ შორის თაფლიც, მე კი მხოლოდ თაფ-





ლი, – ვითომ განაწყენებულმა თქვა ფუტკარმა, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ მას, თავისი ბიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, თაფლისა და ყვავილის ნექტრის გარდა არაფერი არ ეჭმეოდა.

– კარგი, ახლა რომ გავაღოთ სამზარეულოში თეფშზე დაგიდებ ზეთში შემწვარ კართოფილს და ერთი არ გიჭამია, – დაემუქრა ამირანი.

– ასე ძალდატანებით მე არაფერს არ ვაკეთებ, – უპასუხა ფუტკარმა.

მეგობრების უსაგნო დავაზე კაქტუსს ისეთი სიცილი აუვარდა, რომ ლამის ეკლები დასცვივდა, კასრი კი აქოთქოთდა, თან თვალი ჩაუკრა სხივის ბურთს, რომელსაც მეგობრების დავა ნამდვილი ეგონა.

სამზარეულოდან თამარის ხმა გაისმა:

– ამირან, მოდი! კარტოფილი შეიწვა.

– აბა წავედით, – ნიშნის მოგებით უთხრა ამირანმა ფუტკარს, და კაქტუსს თვალი ჩაუკრა, ამაზე კაქტუსს კიდევ უფრო ხმამაღალი სიცილი აუვარდა.

მართალია, ფუტკარი ამირანს სამზარეულოში გაჰყვა, მაგრამ, მხოლოდ მოწმის როლს ასრულებდა. თუმცა, ამირანის ყოველ ლუკმაზე ამოიოხრავდა, თითქოს-და აჰა-და: „აი შენ ჭამ კარტოფილს მე კი არ მაჭმევო“.

ამირანი ვახშამს რომ მორჩა, დედას დანაპირები შეახსენა.

– კი ამირან მოგიყვები, აი ავალაგებ მაგიდას და შენს განკარგულებაში ვიქნები, – აღერსით უპასუხა თამარმა შეილს.

– საძინებელ ოთახში მოგვიყვები, კაქტუსსაც ხომ უნდა მოსმენა, – ითხოვა ფუტკარმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველამ საძინებელ ოთახში მოიყარა თავი. თამარმა მოყოლა დაიწყო:

– აბამელიქის გვარის, ისევე როგორც სხვა მისი ტომის ნაშიერნი, იბერიის სამხრეთ ტერიტორიაზე - სომხეთში, ფრიგიიდან ჩამოსახლდნენ. პირველი მოსახლე იყო სევი აბამელიქი, რომელიც თავის ტომში, ვაჟკაცობითა და გონიერებით გამოირჩეოდა. სევის ოჯახი დასახლდა ალბანელი თავადის ქერაბლის მიწების მახლ-



ობლად. ერთხელ როცა სევი თავის ნახირს მიერეკებოდა, შემთხვევით ქერაბლის ასულს შეხვდა, რომელიც მინდორში სამკურნალო ბალახების შესაგროვებლად გამოსულიყო. მოიხიბლა ქერაბლის ასული – სუსანა სევის გარეგნობით. სევსაც მოეწონა პირმშენიერი სუსანა და გამიჯნურდნენ. ეს, რომ თავადმა შეიტყო განრისხდა და თავისი ქალიშვილზე კოშკში გამოკეტა, დარაჯად კი ფასკუნჯი მიუჩინა. სევმა, თავადის გადაწყვეტილება, რომ შეიტყო დაღონდა და გულის მოგების მიზნით თავადს იქაური სახელგანთქმული ვაჭარი სიქო მიუგზავნა. როგორ არ მიუდგა სიქო ქერაბლს რა არ იღონა, უამბო სემის სიმდიდრეზე, ვაჟკაცობაზე, მაგრამ მაინც ვერ მოუღებო გული თავადს. მაშინ სევიმ ნაირ-ნაირი ძღვენი გაუგზავნა: სხვადასხვანაირი ნოხები, ოქროს სამკაულები, სხვადასხვა სახეობის საბრძოლო იარაღი. მაგრამ, არაფერმა არ გაჭრა, თავადი წინააღმდეგი იყო ქალის უცხო ტომის ნაშიერზე მითხოვებისა. სევი მიხვდა, რომ თავადს მხოლოდ ეშმაკობით თუ დაითანხმებდა, სხვაგვარად არაფერი არ გამოუვიდოდა - და ეს მოხდა ნადირობის დროს. საერთოდ უნდა იცოდეთ, რომ მკათათვეში ნადირის მონადირება მეტად ძნელია, რამეთუ მოძლიერებული ნადირი გაშლილ ადგილებზე აღარ გამოდის და უფრო ტყიან ან კლდოვან ადგილებს აფარებს თავს. – თამარმა თხრობა დროებით შეწყვიტა, დააკვირდა სმენად გადაქცეულ ოჯახის წევრებს, შეატყო რა დაინტერესება, სიუჟეტის გამძაფრების მიზნით იღუმალა ხმით განაგრძო თხრობა: – სევის აბეზარი თხოვნით შეწუხებულმა თავადმა, და მისი ჩამოცილების მიზნით, ის სანადიროდ მოიხმო. იცოდა ქერაბლიმ, რომ სევი შერვეული არ იყო სამხრეთ იბერიის ქვიან ლანდშაპტს და ცხენზე ამხედრებული ნადირობა გაუჭირდებოდა და თავს შეირცხვენდა. ეს სევიმაც კარგად იცოდა, ამიტომაც ადგილობრივი ალბანელი მეცხვარისაგან ისეთი ცხენი შეიძინა, რომელიც კარგად იყო გაწაფული ქვიან ადგილებში ჯირითს, თანაც თავისი ტომის ხალხს შეუთახმდა იმაზე, რომ ადამიანის თვალისგან მოფარებულ რამდენიმე ადგილზე, წინასწარ დახოცილი ნადირი დაეყარათ.



– კი, მაგრამ, ცოდვა არ არის ნადირის უაზროდ დახოცვა? –  
თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად თქვა კაქტუსმა.

– ჰო, ადამიანები ხშირად გაუმარლებელ ნაბიჯებს დგამენ, –  
დაეთანხმა თამარი, და გააგრძელა: – დათქმულ ადგილზე სევდი  
განგებ დააგვიანა, იცოდა ეს თავადს განარისხებდა, ისიც იცოდა,  
რომ განარისხებული თავადი დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს  
იღებდა. ასეც მოხდა: სევმა, თავადის განარისხებით ისარგებლა  
და მას გარიგება შესთავაზა - გარიგების თანახმად, თუ მზის ჩა-  
სვლამდე სევი მასზე მეტ ნადირს დახოცავდა, თავადი მას თავის  
ქალიშვილს მიათხოვებდა. მრისხანებისგან გონებადაბინდული  
თავადი ამ გარიგებაზე დათანხმდა, ისე რომ, არ დაფიქრდა შესა-  
ძლო შედეგზე.

– თამარმა ამირანს გახედა და დამრიგებლური ტონით მიმარ-  
თა: – იცოდე! გაბრაზებულ გულზე არც ერთი გადაწყვეტილება  
არ მიიღო, – და თხრობა განაგრძო: – გაიყვნენ სევი და თავადი,  
სევდი თავისი მხებლებით სამხრეთისკენ გაქუსლა, სადაც წინას-  
წარ დახოცილი ნანადირევი ელოდებოდა, ხოლო ქერაბლიმ  
აღმოსავლეთისკენ. მზის ჩასვლისას, გოგჩის ტბასთან, ერთმანეთს  
უნდა შეხვედროდნენ.

– სევი დაიღუპება. ხომ გამოვიცანი? – კაქტუსმა ისევ შეაწყვე-  
ტინა თხრობა თამარს.

– მოთმინება იქონიე, – შენიშვნა მისცა თამარმა და განაგრძო:  
– გოგჩას ტბასთან პირველი ქერაბლი მივიდა, და იქ სადაც ასწ-  
ლოვანი მუხა იდგა მისმა მხლებლებმა ნანადირევი დაყარეს. თავ-  
მომწონედ გადახედა ქერაბლიმ ნანადირევს და დაიმედებული, იქ-  
ვე, გრანიტის ლოდზე ჩამოჯდა. ცოტახანში ცხენების ფლოქვების  
ხმა შემოესმა, გაიხედა სამხრეთისკენ, სევი და მისი მხლებლები  
დაინახა, რომლებიც თამამად მოაჭენებდნენ ცხენებს, ცუდად ენი-  
შნა ეს თავადს და როცა სევი მიუახლოვდა და ნანადირევი მიწა-  
ზე დაყარა, თავადი შეცბა - დაინახა, რომ სევს მეტი ნადირი და-  
ეხოცა. ნირი წაუხტა თავადს, მაგრამ რა უნდა ექნა სიტყვას ხომ  
არ გატეხდა, წამოდგა ხელი ჩამოართვა სევს და ქალის დანიშნე-  
ის დღეც დაუთქვა. მაგრამ, ჩემო მეგობრებო, სევის თავგადასავა-  
ლი ამით არ დასრულებულა, – და თამარმა თხრობა განაგრძო: –



სევს და სუსანას სამი ვაჟი ეყოლათ და ბედნიერად ცხოვრობდნენ. მაგრამ, ერთხელ სიმთვრალეში, სევს, წამოცდა თავისი მზაკვრობა: იმის შესახებ თუ როგორ მოატყუა თავადი და ხელში ჩაიგდო მისი ქალიშვილი. ეს არც სუსანას მოეწონა და არც ფასკუნჯს, რომელიც შემთხვევით შეესწრო სევს ტრაბახს. ვერ აიტანა ფასკუნჯმა თავისი პატრონის დაცინვა და ყველაფერი უამბო თავადს. თავადმა ეს ამბავი, რომ შეიტყო გული ეტკინა, ბევრი იღარდა... და, სევს, კიდევ ერთი გამოცდის ჩატარება განუზრახა. და, ერთ დილას, ქერაბლიმ იხმო სევი, და შესთავაზა: თუ ის გოგნის ტბის ჩრდილოეთით მიუვალი ნაპირიდან, მის მიერ ახალგაზრდობაში იქ ჩამარხულ განძს, ნავით გადმოიტანდა, იქ სადაც ასწლოვანი მუხა იდგა, მთელ მიწებს, საქონელს და ბროლის სასახლესაც ანდერძად დაუტოვებდა. სევი დათანხმდა. მაგრამ, ერთი რამე მინდა გითხრათ, რომ მკათათვეს გოგნას ტბაზე უეცრად იცის ქარის ამოვარდნა, ეს მეთევზეებმა იცოდნენ და ამ თვეს ტბაში შესვლას ერიდებოდნენ. ეს ამბავი სევმაც იცოდა, მაგრამ სიხარბემ სძლია და ამიტომაც დათანხმდა ამ საშიშ გარიგებას.

– სიხარბე დიდი ცოდვაა, – აღნიშნა ამირანმა და მერე დედას მიმართა, – დედა, მეტს აღარ შეგაწყვეტინებ, ბოდიში.

– არა მჯერა, – გაუღიმა თამარმა და მშვიდი ხმით განაგრძო თხრობა: – ასწლოვან მუხასთან ისევ მოიყარეს თავი არმენთა ტომის შვილებმა და იბერიელებმა. გაშალეს მინდორში სუფრა, მთელი დღედაღამე ღვინის სმაში, ერთმანეთის სიყვარულში და ტკბილ მოგონებებში გაატარეს. გარიჟრაჟზე ყველაზე ადრე სევმა გაიღვიძა, გადახედა ქეიფისგან დაღლილ თავის თანამესუფრეებს, ჩაეცინა... მერე, ფრთხილად ისე, რომ არავის გაღვიძებოდა, ნავი ტბის სანაპიროზე ჩაათრია, და უშიშრად შეაცურა წყალში. ადვილად მიაღწია ტბის ჩრდილო ნაპირს. ბევრი ეძება ქერაბლის მიერ აღწერილი ადგილი და ბოლოს მიაგნო იმ ლოდს რომლის ძირშიც განძით სავსე სკივრი უნდა ყოფილიყო. არ გაუჭირდა ლოდის გადაგორება, მაგრამ როცა სკივრი გახსნა, მაშინ კი იგრძნო სისუსტე მუხლებში, აუწერელმა სიმდიდრემ სულ ერთიანად მოწყვიტა და მოადუნა, მას ასეთი ელვარე ლალის თვლები



ჯერ არ ენახა. სკივრი მძიმე იყო, თანაც ჯაჭვით იყო მიმაგრებული ლოდზე, ამიტომ სევდიმ პერანგი გაიხადა, სახელოები და საყელოს პირები შეკრა, შიგ ჩაყარა ლალის თვლები, პერანგი ტომარასავით მოიკიდა და ნავისკენ გასწია. ისევ უშიშრად შეაცურა ნავი ტბაში და გულარხეინად მოუსვა ნიჩბებს, მაგრამ, როცა ტბის შუაგულს მიაღწია ქარი ამოვარდა, ქარი ნელ-ნელა ძლიერდებოდა, ქარის სიძლიერესთან ერთად ტალღებიც იზრდებოდა, თუმცა ეს სევს არ აშინებდა, ძლიერად უსვამდა ნიჩბებს. ერთი ტალღა სევს თავზე გადაეველო, თითქოს-და ქაფჩა ყოფილიყოს ამოსმით ნავიდან აიტაცა განძი და ტბის ფსკერისკენ გააქანა, ეს იყო და, ქარი ჩადგა, ტბაც დაწყნარდა. სევი ცოტახანი გაოგნებული იჯდა ნავში ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა და ვერც ის გადაეწყვიტა ნაპირზე გასულიყო, თუ ჩაეყვინთა ტბის ფსკერზე სადაც განძი ჩაიძირა, და საიდანაც ლალის თვლები მიმზიდველად ირეკლავდნენ ფსკერზე ჩაღწეულ მზის სხივებს. ბოლოს ვერ მოითმინა და ტბაში გადაეშვა. ისევ ამოვარდა ქარი, ისევ დატრიალდნენ ტბაზე ტალღები და განძის მსგავსად ტალღამ სევიც შთანთქა, ხოლო ნავი ნაფოტებად აქცია. დიდხანს ელოდნენ სევს ნაპირზე, მაგრამ არ გამოჩნდა. მაშინ თქვა ქერაბლიმ და ასეც აღესრულა: გოგჩის ტბას სევანის ტბა დაერქვა.

– ხომ ვთქვი სევი დაიღუპებო, – ნიშნის მოგებით თქვა კაქტუსმა.

– დედა, სევის შვილებს რა ბედი ეწიათ? – იკითხა ამირანმა.

– უფროსი ვაჟი, სპარსელებთან ომში დაიღუპა, მომდევნო ბერად აღიკვეცა, ნაბოლარა რომელსაც ნაქი ერქვა, ქერაბლიმ გაზარდა და თავისი მიწა, სასახლე, საქონელი, ოქრო და ვერცხლი დაუტოვა. როგორც ჩემთვის ცნობილია ნაქიმმა ცოლად შეირთო წარმოშობით ლაზი, დიდგვაროვანი თავადის ქალიშვილი, მათ ბევრი შვილები ეყოლათ, რომლებიც სომხეთის სამხრეთ-დასავლეთით დასახლდნენ.

– ჩვენი მაღაზიის მეპატრონე ნაქიმის შთამომავალია, არა? თუ კი? – ჰკითხა დედას ამირანმა.

– ჰო, ალბათ, – უპასუხა თამარმა.

– დედა, კიდევ რაიმე მოგვიყვი, – სთხოვა ამირანმა.



– გინდათ თევდორე მღვდელის შესახებ მოგიყვებთ?  
– გვინდა, – ყველას დაასწრო სხივის ბურთმა.  
– კარგი, მომისმინეთ, – და თამარმა ახალი ამბის თხრობა დაიწყო: – იყო ასეთი იბერიელი წმინდა მოწამე თევდორე მღვდელი, ის ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნეში. ეს ის პერიოდია როდესაც ირანი და ოსმალეთი ერთმანეთზე სამკედრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებული ქალაქი ბაღდადის გამო. ამ დაპირისპირებაში ოსმალეთმა იძალა სპარსეთზე, წაართვა ბაღდადი, შემდგომ კი, იბერიის მიწები მიიტაცა - სამცხე-საათაბაგო. ამ დროს იბერიაში მეფობდა მეფე წმინდა ლუარსაბ II, რომელიც მცირე ამალით ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ გადაწყვიტეს ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყრათ ლუარსაბი და ამ გზით მთელი იბერია დაემორჩილებინათ. ოსმალებმა სწრაფად გადმოლახეს თრიალეთის ქედი, გზების მცველი იბერიელები, მიპარვით ამოხოცეს და მოულოდნელად მიაღწენ მანგლისს. მათ ჯერ მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიის დარბევა სურდათ, მაგრამ, სასწაული მოხდა ეკლესიას გარს სქელი ნისლი შემოერტყა, ხოლო ნისლის შიგნიდან თვალის მომჭრელი ნათება გამოდიოდა. ოსმალებმა ვერ გაბედეს ნისლთან მიახლოება და გზა ცხირეთის ციხისკენ განაგრძეს.

– კი მაგრამ, მეფე სად იყო! არაფერი არ იცოდა? – აღშფოთებულმა იკითხა ამირანმა.

– წმინდა ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, – მშვიდად უპასუხა თამარმა და განაგრძო: – მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა... მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიიდან ცხირეთის ციხემდე სამი გზა მიდიოდა. გზების გასაყარზე, ოსმალებმა მუხლმოდრეკილი, მხურვალედ მლოცველი მღვდელი შენიშნეს, შეიპყრეს იბერიელი მღვდელი და სასტიკად სცემეს, მერე კი, მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს, მღვდელი დათანხმდა და თათრებს წინ გაუძღვა.

– არა მაგას არ იზამდა! – სასოწარკვეთილმა წამოიყვირა კაქტუსმა.



– დღეს რა მოუსვენრობა გჭირთ? დამაცადეთ მოყოლა! – უსაყვედურა თამარმა კაქტუსს და ისევ განაგრძო თხრობა: – დაიმედებული ოსმალები მღვდელს უკან გაჰყვნენ, მაგრამ თევდორე მღვდელმა ოსმალთა ლაშქარი გზას ააცდინა... უგზოზე დიდი ხნის სიარულის მერე, ოსმალები მიხვდნენ, რომ მღვდელმა ისინი გზას ააცდინა, გამწარდნენ და წამებით მოკლეს, ეს არ აკმარეს, ცეცხლი დაანთეს და შიგ ჩააგდეს მისი ნეშტი. ცეცხლი ისე ააღდა, რომ ცას წვდებოდა. ცხირეთის ციხეში მყოფმა წმინდა მეფემ, როცა ცეცხლის ალი დაინახა შეშფოთდა, რამეთუ აღს თევდორე მღვდელის სახე ჰქონდა მიღებული. მიხვდა მეფე რაშიც იყო საქმე და თავისი მცირე ამალით, დაღლილ ოსმალთა ჯარს, დაასწრო... მოულოდნელად, თავს დაესხა, და ერთიანად გაანადგურა. ოსმალთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ნაწილი გადარჩა, რომლებიც თავიქუდმოგლეჯილი გაიქცნენ, მაგრამ, როცა ისევ იმ ადგილას აღმოჩნდნენ, სადაც თევდორე მღვდელი შეიპყრეს, გზის გასაყარზე კვლავ დაინახეს თევდორე მღვდელი, რომელიც ადრინდელივით მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა... ამ სურათმა შესძრა თათრები, ზოგს შიშისგან ენა ჩაუვარდა, ზოგს თავბრუ დაეხვა, ცხენიდან ჩამოვარდა და ცხენებმა ფლოქვებით გათელეს, ზოგს რა და ზოგს რა შეემთხვა... მხოლოდ ერთი თათარი გადარჩა, რომელიც ცხენიდან ჩამოხტა, მიწაზე დაეცა, ხოხვა-ხოხვით მივიდა მღვდელთან და პატიება სთხოვა.

– ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა? – ჰკითხა ამირანმა დედას.

– ჰო, ჩვენი ღმერთი აღიარა, მერე მოინათლა კიდევ, მისი შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ იბერიაში. გვარად თათრაშვილები არიან.

– იციან თავიანთი გვარის ისტორია? – ჰკითხა, თამარს, სხივის ბურთმა.

– კი, და ამით ამაყოფენ კიდევ, რომ მათმა წინაპარმა ჭეშმარიტება იპოვა. ახლა ჩემო კარგებო ყველამ თავის საქმეს მიხედოს. მე, მამას უნდა დავეხმარო, ფესტოსის დისკოდან აღებული ანაბეჭდის დამუშავებაში. თქვენ, თქვენს საქმეს მიხედეთ. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – ერთხმად დაეთანხმნენ თამარს.

ოჯახის წევრები თავის საქმეებში ჩაეფლენ: კაქტუსი ეკლების მოწესრიგებას შეუდგა, ხის კასრი ამირანისათვის ინფორმაციების გადაწყობას, ფუტკარი ფრთების დასუფთავებას, სხივის ბურთი კი თავის ხის ფიალაში ჩაფრინდა და იქაურობის გაპრიალებას შეუდგა, ამირანი გაკვეთილების მომზადებას, დავითი და თამარი ფესტოსის დისკოდან აღებული ანაბეჭდის დამუშავებას. სახლში საქმიანი სიჩუმე ჩამოვარდა და ეს სიჩუმე საღამოს თერთმეტ საათამდე გაგრძელდა, რომელიც თამარმა დაარღვია:

– აბა, ჩქარა ყველა სამზარეულოში, ჭამა და შემდეგ ძილი.

თამარის ბრძანებას ყველა უსიტყვოთ დაემორჩილა.

ღამეც დაემორჩილა მთვარის ბრძანებას და სიზმრების დარიგებას შეუდგა, თან თავისთვის ღიღინებდა:

სიძულვილი სიბრიყვეა,  
ეჭვი მასზე უარესი,  
მოთმინება ღირსებაა,  
ამ ცხოვრების საზომი.

ტყუპისცალი დილა სკუპ-სკუპით მინდორში მირბის




ღამემ, დილის მოტყუება გადაწყვიტა და ხრიკი გაითამაშა: თითქოს წავიდა, სინამდვილეში კი, ხის ფულუროში დაიმაღლა და როცა დილა ციდან დაეშვა ფეხაკრეფით უკან აედევნა. მაგრამ, რა იცოდა, რომ დილას ტყუპისცალი ჰყავდა სახელად აისი, რომელმაც როგორც კი შეამჩნია ონავარი ღამის ცელქობა, მიეპარა და ყურში ხელი წაავლო... ტკივილისაგან ღამემ ყვირილი მორთო:

– ვაი, ვაი! გამიშვი, მეტკინა! გამიშვი! – და თავისი მაყვლისფერი თვალები აისს მიაშტერა.

ყვირილზე დილამ მოიხედა და როცა დაინახა თუ, რა დღეში იყო ღამე, გაეცინა.





- რაო, გეგონა ოინი გაგივიდოდა?
- იცი რა, დღეს კრავი უნდა დაიბადოს, მინდა ვნახო. ცოტახანი მაცალეთ და წავეალ, - იხვეწებოდა ღამე.
- რა ვქნათ? - იკითხა აისმა.
- ის ჩემი კარგი მეგობარია! მოდი ვაცალოთ, თანაც მეც მაინტერესებს, - უთხრა დილამ, და სამივე მინდვრისკენ გაქანდა, იქ სადაც კრავი უნდა დაბადებულიყო.
- დროზე მიუსწრეს: მაღალ ბალახებში, მაკე ცხვარი მძიმედ სუნთქავდა, მერე მოეშვა და, ზარივით წკრიალა ხმა გაისმა - ეს კრავის ხმა იყო.
- სამივემ იხილა ვერცხლისფერი კრავი, რომელსაც შუბლზე დიდი ლალისფერი ლაქა ჰქონდა.
- რა ლამაზია! - აღრფთოვანებას ვერ მაღავედა ღამე.
- მართლაც რომ, ასეთი რამე ჯერ არ მინახავს, - აღნიშნა დილამ.
- მოდით ერთმანეთს პირობა მივცეთ, რომ ამ კრავს გუპატრონებთ, - შესთავაზა აისმა.
- თანახმა ვართ! - ერთხმად უპასუხეს: დილამ და ღამემ, ერთმანეთის მაგივრად.
- ეს კი არა, ჩემს ტყუპისცალ დაისსაც ვთხოვ, იმანაც რომ მიხედოს, როცა ჩვენ არ გვეცლება, - შეჰპირდა მეგობრებს ღამე.
- ეი გაგვიანდებათ, - შეწუხებულმა უთხრა ღამემ ტყუპებს, თვითონ კი მთვარისკენ გაქუსლა.
- ვაი მართლა, - შეიცხადა ორივემ, და თავის მოვალეობის შესასრულებლად გაიქცნენ.
- გულამოვარდნილი დილა ისე შეიჭრა ქალაქში, რომ უაეცრად გაანათა იქაურობა, ჯერ ყვავილის კვირტებს აუწვა ცხვირი, მერე ქუჩაში წამოწოლილ მაწანწალა ძაღლს - თვალის ქუთუთოები, და შეწუხებული ყეფას მოჰყვა. ძაღლის ყეფაზე, ქუჩამაც გაიღვიძა. გამორჩა მენაგვეც.
- ვა, რა უცნაურად გათენდა. ნეტა რა ხდება? - ჩაილაპარაკა თავისთვის და ქუჩის ხვეტას შეუდგა. ცელივით იქნევედა ცოცხს, ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც  ლექს ამბობდა:

ვინ არ იცნობს  
თავმოტლეპილ ტურას,  
ქვეშქვეშას და გაიძვერას,  
ხან გამწვანდა, ხან გაყვითლდა,  
ხან მფარველობს „შაგებს“,  
აბამს ქსელებს და შიგ ხლართავს  
პოლიტიკურ მძევლებს;  
გუშინ ვანო გაეხვია,  
დღეს, გულუბრყვილო მიშა,  
ხვალ კი, ეს დღე, ნინოს ელის,  
ზეგ, თავმომწონე გიას.  
თავის მომხრე პრეზიდენტებს:  
აჭმევს, აცმევს, ასმევს  
და ზამთარში გასათობობად, გაზსაც აძლევს.  
მაგრამ, პირშავ ამ ჩვენს ტურას  
ბოლო ელის, ის რაც ელის  
ბორცოსა და გაიძვერას.

– ააა, არ იშლი ლექსების წერას? – გამოელაპარაკა მენაგვეს ლოთის შვილი, რომელსაც თავზე თავშალი წაეკრა: – იცოდე, ინჩ-რუს-უზუმეს-პუტიკამ თუ გაიგო შენი ლექსების ამბავი, საქმე ცუდად წაგივა, მოეშვი ამ ლექსების წერას, მოეშვი! – დამრიგებული ტონით დაასრულა საუბარი ლოთის შვილმა.

– არ მოვიშლი, – ჯიქურ უპასუხა ზაქარიამ და ირონიულად გაიღიმა.

– მერე არ გეშინია, რომ ერთ დღეს ტყვიით გაგიხვრიტონ შუბლი? – ჰკითხა ლოთის შვილმა.

– მე ხელს არავინ არ მახლებს, მენაგვე ვარ, – ისევ ღიმილით უპასუხა ზაქარიამ, ოღონდ ირონიის გარეშე.

– ეგრე გეგონოს, – სევდა ნარევი ხმით უპასუხა ლოთის შვილმა.

– ეი შენ, თავზე თავშალი რატომ წაგიკრია? რა, დათვერი გუშინ? – ჰკითხა მენაგვემ.



– ჰო დავთვეერი და ახლა თავი მისკდება... ეტყობა ცუდი ღვინო იყო, – უპასუხა ლოთის შვილმა და თავშალი კიდევ უფრო მოიჭირა.

- გინდა გამოცანა გითხრა, – შესთავაზა ზაქარიამ.
- აბა მიდი, – დათანხმდა ლოთის შვილი.
- კარგი, – და ზაქარიამ გამოცანა უთხრა:

სამი ერთში არსებული,  
ერთ მცნებაში ჩაქსოვილი:  
მამა:

თოკის მსგავსად დაგრეხილი  
და მიწაში ფესვგადგმული.

ღეღა:

ოქრო მტევნად დახუნძლული  
და ღვთისაგან დალოცვილი.

შვილი:

ზიარების საიდუმლო  
და სიცოცხლის მადლი.

– ვაზი, ყურძნის მტევანი და ღვინო, – ლუღლუღით უპასუხა ლოთის შვილმა.

– ჰო-და თუ იცი მათი მნიშვნელობა, არ უნდა გამოთვრე ღორივით, – ასძახა მენაგვემ.

– ჰო სათქმელად ადვილია, მაგრამ მესამე ჭიქის შემდეგ ამაზე აღარ ფიქრობ. ეჰ, შენ რა გენადვლება – გაბუტული ტონით თქვა ლოთის შვილმა, და სთხოვა: – აბა, კიდევ მითხარი გამოცანა.

ზაქარიამ იხტიბარი არ გაუტეხა და უთხრა:

ბილწი სიტყვის მოყვარული,  
ლიპიანი, ჭკუა თხელი,  
სტუდენტების ფულის ხარჯზე  
დააგროვა ოქრო, ვერცხლი.



– ვიცი, ვიცი ვინც არის, და მაგ გამოცანაზე გამოცანითვე გი-  
პასუხებ:

მუცელს ისე მიაქანებს,  
გეგონებათ კაკალს ბერტყავს.  
საკუთარი „ცხვირის“ იქით,  
ველარავის ველარ ხელავს.

– ვა, ყოჩახ პოსლიკ, – შეაქო ზაქარიამ.  
– შენგან ვსწავლობ. აბა კიდევ მითხარი გამოცანა, – ისევ სთ-  
ხოვა პოსლიკამ.  
– კარგი. მისმენ? – თანხმობას არ დაელოდა ზაქარია და ახა-  
ლი გამოცანა შესთავაზა:

ვითომ მშვიდი, ვითომ წყნარი,  
რომ საუბრობს გეგონებათ მთვრალი.  
ქვეყნის საგარეო საქმეს მართავს, ვაიიი...  
შოკოლადის მოყვარული, მეტიჩარა ქალი.

– დავამატებ! – და გააგრძელა პოსლიკამ:

ტუტუცური საქციელით  
დააბრმავა ქმარი.  
ქმარს ვინ ჩივის, ჩქარა ალბათ,  
ჩვენც დაგხუჭოთ თვალი.

– ე, პოსლიკ, შენ რაღაც ნაბახუსევზე გონება გაგეხსნა, თუ ამ  
გამოცანასაც გამოიცნობ, ჩემს თანამდებობას გადმოგილოცავ, –  
და ზქარიამ ახალი გამოცანა უთხრა:

საუბრობს თუ, ბურტყუნებს  
ვერ გაიგებს კაცი,  
თავს ბერიას ადარებს  
ნაც-პარტიის ვაცი.



– ეს ცუდი გამოცანაა, – გაბრაზებით თქვა პოსლიკამ და ფანჯარაზე ჩამოკიდებული წითელი ფარდის უკან გაუჩინარდა.

ქუჩა ნელ-ნელა იღვიძებდა, კანტიკუნტად მანქანებიც გამოჩნდნენ, გამოჩნდნენ ფეხით მოსიარულეებიც, სადარბაზოდან მხატვარი ქალი ესმა ონიანი გამოვიდა, კედელს მიუახლოვდა, იქ სადაც დილის მზის სხივისაგან ვერცხლისფერი ლაქა გაჩენილიყო, ფუნჯით ფრთხილად აკრიფა და, ისევ, სახლში შებრუნდა.

– რათ უნდა? – გაკვირვებულმა იკითხა დაირა ექიმმა, რომელიც ქუჩაში ნაგავის გადასაყრელად ჩამოსულიყო.

– რას ამბობ, მხატვარია! და ფერების შესაზავებლად სჭირდება, – უპასუხა ზაქარია მენაგვემ.

– ჰოო, გასაგებია, ახლა კი მივხვდი თუ რატომ გამოსდის ასეთი არაჩვეულებრივი ფერწერული ტილოები, – თავისთვის ჩაილაპარაკა დაირა ექიმმა და სადარბაზოში შებრუნდა.

უეცარმა გათენებამ, ქალაქის მოსახლეობა ჯერ შეაშინა, მაგრამ როცა კედლებზე, ფანჯრის მინებზე და ჰაერში მხიარულად მოხტუნავე ვერცხლისფერი ლაქები შენიშნეს, გამხიარულდნენ. ხალისი კენგურუებსაც შეეცყოთ, რომლებიც მანქანების გასწრებას ცდილობდნენ. ცოტახანში, ქუჩაში, დავითი გამოჩნდა, რომელსაც გვერდით ამირანი მიჰყვებოდა, მამა-შვილი აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯით მიდიოდა - დღეს ჩვეულებაზე უფრო ადრე გამოვიდნენ.

– მამა ნახე რა უცნაურად ჩაცმული კაცია, – და ამირანმა დავითს ოდნავ წელში მოხრილი, გამოზომილი ნაბიჯით მიმავალი მოხუცებული მამაკაცი დაანახა.

– აბა სად მამა? – დავითმა უცბად ვერ აღიქვა გამლელეებში მოხუცი.

– ეგერ მამა, – და ამირანმა კიდევ ერთხელ დაანახა მოხუცებული, – მერე თავის ფიქრებში ჩაყვინთა: მე ეს კაცი საიდლანაც მეცნობა... ის ჩემს ხილვებში ხშირად ჩნდება... ჰო, აღვიდგინე, ის ეფუთის მფლობელია, მგონი ვიღაცას ეძებს, ალბათ ჩვენ?

დავითმა, როცა მოხუცი დაინახა, რომელზეც ამირანი საუბრობდა, აღფრთოვანება ვერ დამალა:



- გაარღვია სამყაროს ზღვარი! წამოდი მივიდეთ.
- მოსუცმა როცა მისკენ მომავალი მამა-შვილი შეამჩნია შევებით ამოისუნთქა და მოახლოვებულებს დაბნეულმა მიმართა:
- რამდენი გექებეთ... აი, გამომართვით ეს წიგნი, ახლავე ადით სახლში და თქვენს ჯადოსნურ ტყეში გააგზავნეთ. ხომ გაქვთ მისი ცოცხალი გამოსახულება? – ბოლოს, შეშინებულმა იკითხა მოსუცმა.
- გვაქვს, – მტკიცედ უპასუხა ამირანმა. მამას არ აცალა და თვითონ ჩამოართვა წიგნი.
- დავითმა დახედა თუ არა წიგნს მაშინვე იცნო, და ხელმეორედ წარმოუდგა ამასწინანდელი ხილვა: „ამირანი ეფუთით ხელში, თუ როგორ მიუძღვოდა იბერიელების ჯარს“.
- მამა რა გჭირს? – ჰკითხა ამირანმა.
- არაფერი შვილო, ისე ჩაფიქრდი, – ოდნავ სევდიანად უპასუხა დავითმა.
- წადით სახლში, დროზე! თორემ თუ, ინჩ-რუს-უზუმეს მსტოვრებმა ერთად შეგვამჩნიეს ცუდი დღე დაგვადგება, – აღელვებულმა წარმოთქვა მოსუცმა.
- მამა-შვილი სასწრაფოდ მოსცილდა იქაურობას და სახლისკენ გაიქცნენ. ზაქარიამ შეამჩნია ყოველივე ეს... და როცა მამა-შვილი სამშვიდობოს დაიგულა, მოსუცთან მივიდა.
- ააა, ზაქარია შენც აქ ხარ შვილო, გამარჯობა, – თბილად მიესალმა მოსუცი შეშინებულ ზაქარიას.
- მამაო ბაის, თუ შეგიძლია ისევ დაბრუნდი შენს სამყაროში, თორემ აქ ცუდი დღე გეგის, – თხოვნით მიმართა ზაქარიამ მოსუცს.
- არა შვილო, ეს აღარ შემიძლია, რამეთუ ჩემი უნარები ეფუთთან იყო დაკავშირებული, მე კი ის ამირანს გადავეცი.
- რატომ? – ჰკითხა ზაქარიამ.
- მოვიქეცი ისე როგორც ეფუთში წერია. წინასწარმეტყველება უნდა აღსრულდეს – აუღელვებლად უპასუხა მოსუცმა.
- ზაქარიამ, მოსუცის წინ დაიჩოქა, ხელზე ემთხვია და მოკრძალებით მიმართა:
- შენ ენქის ბაისი ხარ, და უკეთ იცი.



ქუჩაში მიმავალი ხალხი გაკვირვებით ათვალიერებდა უცნაურ მოხუცს და მის წინაშე მუხლმოდრეკილ მენაგვეს. ხალხის მზერა არ ესიამოვნა ბაისს, წამოაყენა ზაქარია დალოცა, გულთბილად დაემშვიდობა და იმ სამყაროს გზას გაუდგა, რომელსაც საწყისი ზეცაში ჰქონდა, ბოლო კი უსასრულოსასრულ გაუგებრობაში. გზადაგზა ჩერდებოდა და ცაში ხელეებაბყრობილი ქადაგებდა. ქადაგებას ლექსით ამთავრებდა:

თუთას სანთა სინთეთ თანაფდა,  
და იბერიის ზეცა განათდა.  
აია რე, ბაია რე, ბაიშ მის სწორი თანაფა რე,  
იბერიას დაუბრუნდა სული წმინდას ძე.  
თუთაშხა ბედნიერ ელ, ერჩქინა,  
და იბერიას დუდშულობა ელხინა.  
ლილეო, ჰარალე, ოგ-დილა დილა,  
ბოროტებას ღმერთმა სძლია.  
მუნ ბაისი ენქი,  
კვლავ იხილეთ ღმერთი.  
ცხა კამარი სანთი,  
იბერიელებს დაუბრუნდა თვალის ჩინი  
და ნათლულის მადლი.

მამა-შვილმა სწრაფად აირბინა სადარბაზოს კიბე და ზარის დარეკვის ნაცვლად კარზე ჩუმად დააკაკუნეს. თამარმა როცა კაკუნი გაიგონა ჯერ საჭვრიტინებელში გაიხედა და როცა დავითი დაინახა, შეშინდა, და კარები აღელვებულმა გაადლო:

– რა მოხდა? – იკითხა.

– ნუ გეშინია დედა, უბრალოდ ეფუთი უნდა გავამგზავროთ ჯადოსნურ ტყეში, – და ამირანმა წიგნი დაანახა დედას.

თამარმა წიგნი, რომ დაინახა დაწყნარდა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. ამირანს წიგნი გამოართვა, ეამბორა, პირველი გვერდი გადაშალა და წაიკითხა ზუსტად ის ლექსი რასაც ამჟამად ქუჩაში მოხუცი ბაისი ცაში ხელეებაბყრობილი ამბობდა. ამირანმა წაკითხული მაშინვე გაშიფრა: – „მთვარის სათავე სინათლით გაივსო



და იბერიის ზეცა განათდა. აიას ქვეყანას ბავშვები ჰყავს და მომავალში მისიას, ახალ სიცოცხლეს ელის და იბერიას დაუბრუნდება სული წმინდა ძე. მთვარე ბედნიერ დღეს ელის, დაბადებას. და, იბერიას თავისუფლება ელხინა. მზით განათებული, დილიდან დილამდე, ბოროტებას ღმერთი სძლევეს. იქ მეპატრონეა უფლის მიწისა. კვლავ იხილეთ ღმერთი. ცაში შეიკრა ნათელი, იბერიელებს დაუბრუნდა თვალის ჩინი და ნათლულის მადლი".

– უყურე შენ, როგორ უცბად აღიდგინა ძველი იბერიული ენა, – გახარებულმა თქვა დავითმა და თამარს წიგნი გამოართვა. სამივე, ჯადოსნური ტყის სურათს მიუახლოვდა და დავითმა წიგნი სურათს მიაღო. სურათი გაცოცხლდა და მის სიღრმიდან ქარმა დაუბერა, დავითს წიგნი გამოსტაცა და ტყისკენ ფრენა-ფრენით გააქანა. სამივემ დაინახა, თუ ქარმა როგორი მოკრძალებით დაუშვა გრანიტის ლოდზე - ეფუთი.

ამირანმა და დავითმა როცა წიგნი სამშვიდობოს იხილეს, დამშვიდნენ - ხელი ერთმანეთს მაგრად ჩასჭიდეს და გასასვლელი კარისკენ გაემართნენ.

კარში გასულებს თამარმა სიტყვა დააწია:

- ჩემო ძვირფასებო, იცოდეთ ფრთხილად იყავით!
- კი დედა, – აღერსიანად უპასუხა ამირანმა.
- არ დააგვიანოთ, თქვენებურად არ დაიწყეთ სადღაც-სადღაც ხეტიალი, – უკვე კიბეებზე ჩასულებს მიაძახა თამარმა.
- არ დავაგვიანებთ, – ამჟამად დავითმა უპასუხა.

მამა-შვილი სემინარიისკენ მიმავალ გზას უკვე სწრაფი ნაბიჯით გაუყვა, მაგრამ, მაინც დააგვიანდათ. სემინარიის შესასვლელ კართან, მხოლოდ დედაო ქრისტინე, ქალბატონი მართა და ნინო დახვდათ. ნინოს შეშინებული სახე ჰქონდა და თვალები ოდნავ აცრემლდებოდა. როცა ამირანი დაინახა მისკენ გაიქცა და ისე ძლიერად ჩაეხუტა, რომ ამირანმა ძლიერს ამოიღულღულა:

- რა გჭირს გოგო?
- სად ხართ, რატომ დაიგვიანეთ? – აღელვებული ეკითხებოდა ნინო.
- მერე მოგიყვები, სანერვიულო არაფერია, – მშვიდი ხმით უპასუხა ამირანმა.





– რატომ დაგაგვიანდათ? – თითქმის ერთდროულად ჰკითხეს ამირანს და დავითს, მართამ და დედამ, და როცა მამა-შვილისგან პასუხის ნაცვლად მხოლოდ გულთბილი ღიმილი მიიღეს, კითხვა აღარ გაუმიორეს.

დედა ქრისტიანებ ამირანი და ნინო სემინარიაში შეიყვანა... საერთო გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო. გაკვეთილს ისევ მამა პაველე ატარებდა. მამაო მშვიდად საუბრობდა:

– თვალის მახსოვრებას ზოგიერთმა მეცნიერმა წარმოსახვა შეარქვა. ხშირია როცა აღვიღი გვეცნობა, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ მოცემულ ცხოვრებაში, აქ არასოდეს არ ვყოფილვართ. იგივე შეიძლება ითქვას უცნობ ადამიანზე, მას არასოდეს შევხვედრივართ, მაგრამ გვეცნობა. ჩემი მოსაზრებით, ბავშვებო, ადამიანის თვალს, გარემოს აღქმის რამდენიმე უნარი გააჩნია, ესენია: რეალური ანუ სულის, მატერიალური და როგორც უკვე გითხარით, წარმოსახვითი. რეალური, ისეთი ხედვის უნარია, რომელიც ზეციურ სამყაროში ვლინდება და რაღაცით სიზმრის ეფექტებს წააგავს. მატერიალური კი, როგორც რეალური, ღმერთის მიერ მინიჭებული მიწიერი სამყაროს დანახვის უნარია. საერთოდ, ამ საკითხებზე არსებობს სხვადასხვა შეხედულებები, შეიძლება თქვენც გქონდეთ თქვენი მოსაზრება და, ეს კარგია, შეიძლება ის უფრო ახლოს იყოს სიმართლესთან, ვიდრე ჩემი, ან სხვისი, – მამაო დროებით შეწყვიტა საუბარი იმ მოსაზრებით, რომ იქნებ ვინმეს სურვილი ჰქონოდა თავისი მოსაზრების გამოთქმის, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ინიციატივას არავენ ამჟღავნებდა, საუბარი განაგრძო: – ადამიანის თვალი სივრცეს აღიქვამს სამგანზომილებაში, რომელიც ადამიანის მხედველობის ბინოკულარული ბუნებითაა განპირობებული. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მხატვრები თავის ნამუშევრებში სივრცობრივ ილუზიას ფერებისა და ხაზების სისტემით აღწევენ, შესაძლოა მსგავს ვითარებაში ვიყოთ, როცა ცის უკიდევანო სივრცეს შევსცქერით. აღნიშნულიდან გამომდინარე უნებლიედ შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა, რეალურია თუ არა ჩვენს ირგვლივ შექმნილი რელიეფური გარემო ან, ის მანძილი, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ რაიმე ობიექტის მიმართ, იქნებ ისინი სინამდვილეში ერთ სიბრტყეში არიან განლაგებული და, ამასთან, თანაბრად დაშორებული თვითოეული ჩვე-

ნთაგანისგან. ჰო, თქვენ იტყვი: აღმართს არა მარტო თვალით აღვიქვამთ, არამედ ფეხის კუნთებითაც. მაგრამ, დავუშვათ, რომ თვალი გვატყუებს და აღმართი მხოლოდ მცდარი აღქმაა, რაც იწვევს კუნთების დაღლას წარმოსახვითი ეფექტით.

– ეს შეუძლებელია, – საუბარში ჩაერთო შავტუხა ბიჭი.

– შენ ალბათ მართალი ხარ ეგგენი, მეც ამას ვარაუდობ, მაგრამ ასეთი კატეგორიულები ნუ ვიქნებით, თუნდაც ეს ვარაუდი იყოს, – მოსიყვარულო ტონით მიმართა შავტუხა ბიჭს მამამ და საუბარი განაგრძო, ოღონდ ახლა თითქოს მხოლოდ ეგგენის გასაგონად საუბრობდა: – ჩემს ეჭვს კიდევ უფრო ამაგრებს მეცხრამეტე საუკუნის გამოგონება, რომელიც სტერეოეფექტს უკავშირდება. სტერეოეფექტის მოცულობითი ხედვის ძირითადი ფაქტორი ბინოკულარული ხედვაა, ესე იგი როცა მარცხენა და მარჯვენა თვალში მათთვის განკუთვნილი მოცემული საგნის მცირედ განსხვავებული სურათები აღიბეჭდება, სწორედ ამ დროს განვიცდით რელიეფურ შეგრძნებას და, თქვენ იცით, ადამიანს მოცულობის შეგრძნების უნარი უჩნდება მაშინ როცა არჩეულ წერტილს ორივე თვალით აკვირდება, ამ დროს თვალებს შორის მანძილი აიძულებს თვალთა ოპტიკურ ღერძებს გარკვეული კუთხე შექმნან ერთმანეთთან და გადაიკვეთონ ჩვენთვის საინტერესო წერტილში და იქმნება რელიეფური შეგრძნება. მაგრამ, ამასთან თუ დავუშვებთ იმ გარემოებას, რომ თავად სიბრტყეს გააჩნია განზომილებები, მაშინ გამოდის, რომ განზომილება განზომილებაშია და, იგი ჩვენშია, ფერებისა და ხაზების სისტემის ფორმით.

– მამაო მაშინ გამოდის, რომ რელიეფის ორი ფორმა არსებობს, მოჩვენებითი, რომელიც სტერეოსკოპის მსგავსი მოვლენით იქმნება და რეალური, რომელსაც ჩრდილი გააჩნია და, ამ უკანასკნელს, მიმართულებების შეცვლის უნარი აქვს. და კიდევ - თუ ჩრდილს მიმართულებების შეცვლის უნარი გააჩნია, მაშასადამე დედამიწა ბრუნავს, ესე იგი სადღაც არსებობს უძრავი წერტილი, და, აი, კიდევ ერთი პარადოქსი... შეიძლება სამყაროში უძრავი წერტილი არსებობდეს? – საუბარში ისევ ეგგენი ჩაერთო.

– დედამიწის ბრუნვასთან დაკავშირებით, ჩემო ეგგენი, პირველ კლასში, შენ, საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა მიიღე, – დამაჯერებელი ტონით უპასუხა მამამ და განაგრძო: – ხოლო, რაც შეეხება ჩრდი-



ლს, ის მატერიალური სხეულის ანარეკლია და, მას, გააჩნია განზომილებები. გახსოვდეს! მატერიალური სხეული ერთი მთლიანი სამყაროს შემადგენელი ნაწილია და განლაგებულია სივრცეში ანუ განზომილება ჩვენშია და, ამასთან, ჩვენს დამოუკიდებლად არსებობს, ჩვენს გარეთაა და, იგი, სამზე მეტია. ხოლო, რაც შეეხება სამყაროში უძრავ წერტილს, ეს ის წერტილია, რომელსთვისაც მხოლოდ შეკუმშვა და გაფართოებაა დამახასიათებელი და სამყაროში ყოველივე მოჰყავს მოძრაობაში.

– სულს გააჩნია ჩრდილი? – შეეკითხა მედეა.

– ამას ჩვენ მაშინ შევიტყობთ, როცა ჩვენი სული განთავისუფლდება სხეულისაგან, – ღიმილით უპასუხა მამაომ, – და, აი, კიდევ რა უნდა გითხრათ ბავშვებო, – და მამაომ მიმართა ყველა ბავშვს: – მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ სული, როგორც ჰაერში არსებული კრისტალები, ან ჩვენი გონება, მაგრამ, სამივე არსებობს და მას ჩვენ ქვეცნობიერად შევიგრძნობთ; ზღვის ფსკერზე არსებული ცოცხალი ორგანიზმები ვერ გვხედავენ და ვერ აღგვიქვამენ, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვარსებობთ. ასევეა სული, ჩვენ ვერ ვხედავთ მას, მაგრამ, ის არსებობს და მას ცნობიერება გააჩნია. სულის არსებობას, ჩვენ ქვეცნობიერად ძალიან ხშირად ვაღიარებთ, აი მაგალითად, როცა ოთახში მომაკვდავი წვეს და ექიმი ვერაფრით შეველის, ხელებს შლის, თავის უძღურების დასამტკიცებლად და ამბობს: „ჩქარა მღვდელს დაუძახეთ“! რატომ ამბობს ამას ექიმი? იმიტომ, რომ მის მეცნიერებას უკვე აღარაფრის მოქმედება არ შეუძლია მომაკვდავი ადამიანის გადასარჩენად და დროა ახლობლებმა მისი სულის ცხონებაზე იზრუნონ.

– სამყარო როდის ხდება ცნობადი? – და ამირანმა დასმული კითხვა, დამატებით ახალი კითხვით გაამძაფრა: – როცა სული ტოვებს სხეულს?

– მოდი ჩემო ამირან, მეცნიერებს ვესტუმროთ, ხვდები ალბათ ამას პირობითად, რომ ვამბობ?

– დიახ მამაო, – დაეთანხმა ამირანი.

– ძალიან კარგი, სხვაგვარად, რომ ყოფილიყო ძალიან გამიკვირდებოდა, – და მამაომ, საუბარი განაგრძო: – „ნასას“ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ კოსმოსში არსებობს ისეთი ადგილი სადაც ზეგრაფიტაც

იული გარემოა შექმნილი და, სადაც, კვარკებს შორის მანძილი ბევრად უფრო მცირეა ვიდრე ეს ნეიტრონებშია, რაც ამ გარემოში წარმოშობს ახალი სახეობის მატერიალურ სუბსტანციას. მეცნიერების გამოთვლებით ამ ნაერთისგან შემდგარი ჩაის კოვზი დედამიწაზე მილიარდ ტონას აიწონის. ამ მატერიას, როგორც მეცნიერები თვლიან, ზესიმპერივე ახასიათებს და შესაძლოა ჩვენი გალაქტიკის ნახევარი შთანთქას. მაგრამ, არის კიდევ უფრო ძლიერი რამ და ეს არის სული. სული ქმნის ისეთ მატერიალურ სუბსტანციას, როგორცაა ცოცხალი არსების სხეული, რომელსაც შეუძლია მატერიალური განვითარება, ენერგონფორმაციის მიღება, გადაქმნა, გარდაქმნა და გადაცემა, სულს შეუძლია სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად მოძრაობა, ესე იგი მასში უფრო მეტი ენერჯიაა ჩადებული ვიდრე კვარკებში ანუ მას შეუძლია შეცვალოს კვარკების თვისება და თავის დაქვემდებარებაში მოაქციოს. სულს შეუძლია ენერჯიის გაცემაც და მიღებაც, ხოლო, კვარკს რაც ენერჯია გააჩნია, იმაზე მეტის მიღება იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მასში გრავიტაცია შემცირდა, მას შეუძლია მხოლოდ ენერჯიის გაცემა, მაგრამ ამასაც თავისთავად ვერ მოახდენს, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მასზე ზემოქმედებას მოახდენს სხვა ელემენტი ან, თუ სხვა გარემოში აღმოჩნდება. მისი მდგომარეობა განსაზღვრულია და ექვემდებარება კოსმოსში არსებულ კანონებს, კანონებს კი ღმერთი ქმნის. მაგალითად, ეგვიპტური კოსმოგენური მითით, ღმერთმა ატუმმა სანამ ქარს და სხვა სამყაროსეულ პროცესებს დაუდებდა სათავეს, შექმნა კანონების ღმერთი ტეფნუტი, ანუ ჩვენმა წინაპრებმა უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე იცოდნენ, რომ კოსმოსში კანონია დამყარებული და შემთხვევით არაფერი ხდება, რომლის მთავარი მონაწილეა სული.

– მამაო, სული თავს კარგად გრძნობს ადამიანის სხეულში? – იკითხა ნინომ.

– სული ადამიანის სხეულს განაგებს, ეს ერთი და, მეორე: ის ადამიანის გარშემო ქმნის ველს, რომელიც ადამიანს იცავს სხვა ველის ზემოქმედებისაგან. და, კიდევ: თუ ადამიანი კარგად მოიქცევა, მისი სული კარგად გრძნობს თავს.

– მამაო არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ: ქრისტე რამდენ ბუნებოვანია? – მოკრძალებით იკითხა ამირანმა.



– ამირან, ვიცი რომ ეს შენთვის ცნობილია, მაგრამ, მაინც აეხსნი, – და მამამ მრავლისმთქმელი ღიმილით დაიწყო საუბარი: – სული ორბუნებოვანია და სამსახოვანია, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა როგორც წყლის თვისება, რომლითაც ინათლებიან, განიბანებიან და რომელსაც შეუძლია იარსებოს ორთქლის, მყარი და თხევადი ნაერთის სახით, ამდენად დიოფიზიტური მოძღვრება ეს ჭეშმარიტი მოძღვრებაა, ქრისტე ორი ბუნებისაა ღვთიური და ადამიანური. ქრისტე ძელმერთია, ღმერთი სამსახოვანია. თქვენ წარმოიდგინეთ, კებრა ნაგასტის წიგნიც კი აღიარებს ღმერთის სამსახოვნებას, მოგახსენებთ ახლავე რა წერია ამ წიგნში, – და მამამ, თავისი ბლოკნოტი გადაშალა. – ხომ მისმენეთ? – იკითხა, და კითხვა დაიწყო: – „და მამამ თქვა: მე გავხდები ადამიანი და ყველგან და ყველაფერში ვიქნები, რაც კი მე შემიქმნია. მე ვიცოცხლებ ყოველივე ცოცხალში, და თესლში, და მცენარეებში, მე ვიცოცხლებ ჰაერში და წყალში, მე ვიცოცხლებ დედამიწაზე“. – მამამ კითხვა, რომ დაასრულა, ბლოკნოტი დახურა და დამაჯერებელი ხმით თქვა: – ასევე, ცნობილი მეცნიერი კემპლერი ამბობს: „ღმერთის სამსახოვნობა სფეროსებრ აგებულებაში ვლინდება, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მამაღმერთი სფეროს ცენტრშია, ძელმერთი სფეროს ზედაპირზე, სულიწმინდა მათ შორისაა განლაგებული“, – როცა მორჩა საუბარს, მამამ გადახედა ბავშვებს და დაბალი, მაგრამ, ყველასათვის გასაგონი ხმით მიმართა: – ვინმეს თუ აინტერესებს რაიმე საკითხი შეგიძლიათ მკითხოთ.

– მე მამაო, – ხელი აიწია მეშვიდე კლასელმა ბიჭმა. ამირანმა იცნო დემეტრე.

– კარგი გისმენ, – და ყურადღება მოიკრიბა მამამ.

– მამაო, რამდენად თავისუფალია ევოლუციური პროცესები სამყაროში?

– ჩემო კარგო, ღმერთმა შექმნა სამყარო, ცაზე ფრინველები, ზღვაში თევზები... მაგრამ, ევოლუციონისტები, რომლებიც ევოლუციას განიხილავენ როგორც წმინდა მატერიალისტურ პროცესს, სასაცილონი არიან. სასაცილოა იმაზეც დავა - ქათამი უფრო ადრე წარმოიშვა, თუ კვერცხი, მთავარია შედეგი. შედეგი კი, ის არის, რომ არსებობს ქათამი... რომლის არსებობა ღმერთის სურვილია. თვითგარდაქმნა ანუ ევოლუცია ეს მცენარეში, თევზში, ნებისმიერ ცხოველში, თუ ფრინველ-

ში, და ადამიანშიცაა!.. ეს ღმერთის მიერ ჩადებული კოდია, რომელიც გარემოს შეცვლის შესაბამისად, ცვლის ორგანიზმის ბიოქიმიურ-ასტროსულიერ ბუნებას, ეს არის გარემოსთან შეგუების შესაძლებლობის უნარი და ძირითადად მიწიერი და ზეციური სამყაროს ჰარმონიზაციის თანმდევი და ამასთან შემადგენელი ნაწილია, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს ახალი ორგანიზმის წარმოშობის მიზეზი. ბუნება მკაცრად იცავს ცოცხალი ორგანიზმების სახეობების სიწმინდეს, არ უშვებს ერთი სახეობის მეორეში გადასვლის შესაძლებლობას, შეუძლებელია ბელურა მერცხლად გარდაიქმნას ან ზვიგენი - კალმახად, მითუმეტეს მაიმუნი - ადამიანად. და, კიდევ რა არის საინტერესო: წყლის წვეთი ასევე შეიძლება წარმოიქმნას ცივი და ცხელი ჰაერის ურთიერთშეხების შედეგად, სრულიად ხილული და ადამიანისათვის ადვილად აღსაქმელი, ამასთან, ადამიანის არსებობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ნივთიერება. მაშასადამე საფუძველი მისი წარმოშობის არის ცივი და ცხელი ჰაერის არსებობა, ხოლო აუცილებლობა: ის, რომ საჭიროა ადამიანის არსებობისათვის, რამეთუ ამის საწყისია ღმერთის სურვილი - „თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. ხმელეთს ღმერთმა უწოდა მიწა და შეგროვილ წყალს უწოდა ზღვა“. და გადაწყვიტა: „გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსათ. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას...“. ადამიანის წარმოშობის მიზეზიც ასე უნდა ავსხნათ, ღმერთის ნებით მოხდა სულიერი და მატერიალური ანუ მიწიერი და ზეციური ძალების ერთმანეთთან შეხება, წარმოიშვა ემბრიონი - როგორც ჩვენ ვუწოდეთ, ბიბლიით კი: ღმერთმა გამოძერწა, და რომელიც ხელსაყრელ გარემოში განვითარდა, ასეთ გარემოდ მიჩნეულია ჰაველა, სადაც ემბრიონი ჩვილ ბავშვად ჩამოყალიბდა, რომელიც მასში ჩადებული ცოდნის საფუძველზე განვითარდა და ჩამოყალიბდა ადამიანად, რომლის არსებობის წინაპირობაა ზეციური და მიწიერი სამყაროების ჰარმონიზაცია, საფუძველია მიწიერი და ზეციური სამყაროების არსებობა, ხოლო წარმოშობის მიზეზია ღმერთის სურვილი. როგორც ვხედავთ ღმერთს სამი სურვილი ამოძრავებს და, ეს, მისი სამსახურობიდან გამომდინარეობს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ღმერთი სამსახურავანია მამაღმერთი, სულიწმინდა და ძეღმერთი.



საინტერესოა სხვა მიდგომაც, აი მაგალითად: შუმერულ მითოლოგიაში ქალღმერთი ა-რურუ, რომელიც ნიშნავს „თესლის შემწირველს“, არც ერთ მითოსში, სადაც კი იხსენიება მისი სახელი, კაცის გაჩენასთან დაკავშირებით არ ავლენს მშობიარეს ბუნებას. იგი არასოდეს შობს, არამედ ქმნის – კაცი კი არ იბადება მისი საშოდან, როგორც ჩვეულებრივ, არამედ იქმნება სპეციფიკური მოქმედების საშუალებით. ა-რურუს შემოქმედებითი საქციელი ანალოგიურია ძველი აღთქმის ღმერთის მოქმედებისა, როდესაც იგი ქმნის ადამს მიწისგან. ეს შეხედულება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანი ღმერთის მიერაა შექმნილი და არ წარმოადგენს ევოლუციის შედეგს. – გასაგებია დემეტრე? – ჰკითხა მამამ.

– დიახ, – უპასუხა დემეტრემ.

– აი, კიდევ, რას გეტყვით, და არ მეშინია განმეორების, – და მამამ ისევ განაგრძო საუბარი: ადამიანის გაჩენასთან და სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით საყურადღებოა ეგვიპტური კოსმოგენიური მითოლოგია. ეგვიპტური ჰელიოპოლისური კოსმოგენიური ლეგენდით სამყაროში სუფევდა ქაოსი და ღმერთმა ატუმმა, გადაწყვიტა თანდათანობით შეექმნა სამყარო, მაგრამ, ეს საშიშად მიიჩნია, რამეთუ სანამ სამყაროში არ დამყარდებოდა სტაბილური კანონზომიერება, მისი შრომა უშედეგო იქნებოდა. ამიტომ ღმერთმა სამყაროში უპირველესყოველისა შემოიღო კანონი, რომელსაც ყველა პროცესი დაექვემდებარა, ეგვიპტური მითოლოგიით, ამის შემდეგ ღმერთმა მოახდინა თვითგანაყოფიერება და თავის პირიდან გადმოუშვა ქარი და ჰაერი. ატუმმა გამოუშვა თავისი შვილი სახელად „კა“, მაგრამ, ვინაიდან ჯერ შუქი არ იყო შექმნილი, მისი შვილი წყვდიადში დაიკარგა და ატუმმა მათ საძებნელად ღმერთები შუ და ტეფნუ გაგზავნა, მათ იპოვეს ატუმის ძე. შვილის ხილვით გახარებული ატუმს ცრემლები წამოუვიდა, ცრემლის წვეთები ბენ-ბენის ბორცვზე დაეცა, საიდანაც ადამიანი აღმოცენდა - აი ისევ სამბუნებიაობა. ეგვიპტური მითოლოგიის სხვა ვერსიით, რომელიც უფრო გავრცელებულია ეგვიპტეში, ადამიანები და „კა“ ანუ მამაკაცის საწყისი, ცხვრის თავიანთა ღმერთმა ხნუმ თიხიდან გამოძერწა.



– კი მაგრამ, თქვენ თქვით, რომ ღმერთმა ცოცხალ ორგანიზმებში თვითგადარჩენის კოდი ჩადო, მაშინ რატომ გადაშენდნენ დინოზავრები? – დემეტრემ ისევ დასვა კითხვა.

მამამ ღრმად ჩაისუნთქა, დემეტრეს შუბლზე თავისი მზერა მიაბჯინა, აზრი მოიკრიბა და ახსნა განაგრძო:

– გარკვეულ ისტორიულ პერიოდს, ხანას და საუკუნეს ღმერთმა ცოცხალი ორგანიზმის გარკვეული კოდი შეუსაბამა. ცარცულ პერიოდში არსებობდნენ ცხოველების ისეთი ტიპები და სახეობები, რომლებიც ახლა აღარ არსებობენ, გადაშენდნენ, ესე იგი მათი გარემოსთან შეგუების უნარი დაბალი იყო, მათი კოდი განსაზღვრულ პერიოდზე იყო გათვალისწინებული, მათ თავისი მისია შეასრულეს. ადამიანს, გარემოსთან შეგუების კარგი უნარი გააჩნია, ეს იმის გამო, რომ სული უკვდავია, ეს იმის გამო, რომ ადამიანს მიწიერი და ზეციური სამყაროების ჰარმონიზაციის მისია აკისრია ანუ საკუთარი სულის უკვდავების შენარჩუნების მისია, ღმერთის სადიდებლად.

– დიახ მამო, გმადლობთ, – დემეტრეს კმაყოფილება შეეტყო.

– არაფრის, ჩემო დემეტრე, თქვენც დიდი მადლობა ბავშვებო. – მამამ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა ბავშვებს და ეკლესიის სამრეკლოსკენ წავიდა. ზარიც დაირეკა.

ამირანი, დემეტრეს მიუახლოვდა ხელი ჩამოართვა. ორივემ ერთმანეთს გაუღიმეს და მომავალი შეხვედრის იმედით დაცილდნენ. ამირანი ნინოსკენ გაეშურა, რომელიც ცაში დაკიდებულ ჩანჩქერთან ელოდებოდა და შორიდან აკვირდებოდა.

– ეს ის დემეტრეა? – ჰკითხა ნინომ მოახლოებულ ამირანს.

– კი, ის არის, – უპასუხა ამირანმა, და ჰკითხა: – შენი ხილვებიდან იცანი?

– კი, – უპასუხა ნინომ, – დროზე წავიდეთ ჩვენს ჩიტებთან, – და ნინომ, ამირანი ჩიტებისკენ ხელჩაკიდებული წაიყვანა.

ოთხი მეგობარი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

ამირანს ძალიან გაუხარდა სულმნათის დანახვა, რომლის ნახვის იმედი არ ჰქონდა.

– შენ დაბრუნდი? – გახარებულმა ჰკითხა ამირანმა.





– არც წავსულვარ და, არც ვაპირებ, სადმე წასვლას, – კატეგორიული ტონით უპასუხა სულმნათმა... ისე რომ, ნინოს მსგავსი კითხვის დასმის სურვილი გაუქრა.

– იცით, დღეს დემეტრე ისე დამაჯერებლად საუბრობდა გამიხარდა, – აღნიშნა ნინომ.

– ჩვენი დემეტრე? – იკითხა სულმნათმა.

– ჰო, – ნინოს მაგივრად უპასუხა ამირანმა.

– გინდათ დემეტრეზე, მოგიყვებო, – შესთავაზა მეგობრებს მზეწვიამ.

– გვინდა, – ნინომ ყველას დაასწრო.

– კარგი, – და მზეწვიამ ყველაზე მოსახერხებელი ტოტი შეარჩია, ზედ შემოსკუპდა და ნაღვლიანი ტონით მიმართა მეგობრებს: – იცოდეთ ცოტა სევდიანი ამბავია.

– კარგი, გისმენთ. – მიმართეს მეგობრებმა.

– დავიწყო? – ისევ შეეკითხა მეგობრებს მზეწვიამ.

– ჰო, ჰო, – მეგობრებმა, უკვე, ცოტა გაბრაზებულემა უპასუხეს.

მზეწვიამ იგრძნო მათი გაღიზიანება, ამიტომ, მორიდებით დაიწყო საუბარი:

– მეცამეტე საუკუნე იდგა, ყვითელმა ვირთხებმა მთლიანად გაანადგურეს იბერიის სამხრეთი ნაწილი კაბადოკია და, სულ, უფრო და უფრო იბერიის სიღრმეში შემოდინდნენ, მათ სურდათ ჩრდილოელთეთ ვირთხებს შეერთებოდნენ, რომლებსაც იგივე სურვილი ამოძრავებდათ - სურვილი იბერიის განადგურების. ამ დროს, იბერიაში თავად ორბელის სახლში იზრდებოდა იბერიის ტახტის მემკვიდრე დემეტრე, რომელიც დიდი სიმამაცითა და გონიერებით მთელ აღმოსავლეთ მეფეებს სჯობდა. ყვითელმა ვირთხებმა, როგორც ყვითელმა თხებმა, კარგად იცოდნენ, რომ შეუძლებელი იყო იბერთა გენის მოსპობა, მანამ სანამ, ერთი მაინც, მართლმადიდებელი ქრისტიანი იბერიელი იარსებებდა, ამიტომ მათი მიზანი იყო რჯული შეეცვალებათ იბერთა მეფეებისათვის, რაც შესაძლოა მთელი ერის რჯულის შეცვლის საფუძველი გამხდარიყო. ურჯულებს, ასევე, გაგონილი ჰქონდათ, რომ ეფუთში ანუ იბერიელთა ბიბლიაში ეწერა: „იბერიული გენი მაშინ გაქრება, როცა ყველა განუდგება ჭეშმარიტ სარწმუნოებას“.

– ეს ხომ არასოდეს მოხდება, – ამაყად თქვა სულმნათმა.  
– მაგრამ, მტერი რისი მტერია, რომ არ გიმტროს და თავისი არ ეცადოს, – გაბრაზებულმა თქვა ამირანმა.  
– ადრე თუ გვიან, იბერია, მაინც გაბრწყინდება, – და ნინომ პირჯვარი გადაიწერა.  
– საშიშროება მაინც არსებობს და თანაც დიდი, ვირთხებმა ხელში ეფუთი თუ ჩაიგდეს და დაწვეს, ჩვენ ყველანი გავქრებით, – იღუმბლი ხმით თქვა ამირანმა.  
– ვერ ჩაიგდებენ ხელში, თქვენ ხომ გადამალეთ, – დამაჯერებლად თქვა მზეწვიამ და ამბის თხრობა განაგრძო: – მეფე დემეტრე II-ის დროს იბერია მეტად დასუსტებული იყო, მომრავლდნენ მოღალატეები, მათხოვრები და ქვივრობლები. მეფეს თავისი ხალხის ტკივილი, რომ გაეზიარებინა, ხანდახან, გადაიცვამდა გლახაკის ტანსაცმელს და ეკლესიის კართან მათხოვრობდა, შეგროვილ ფულს კი, გლეხებს ურიგებდა. მეფე დემეტრემ ქვეყნის გაძლიერების მიზნით დაიმეგობრა ერთი უგვანო ვირთხა, სახელად ბუღა, რომელსაც დაჰპირდა: „თუ ქვეყნის განთავისუფლებაში დამეხმარები, ჯადოსნური გოგირდიანი წყლის ადგილსამყოფელს მიგასწავლი“. სმენოდა ბუღას ამ წყლის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ, ისიც იცოდა, რომ ვინც ამ წყალში იბანავებდა ლამაზ უფლისწულად გადაიქცეოდა და, დათანხმდა. მაგრამ, მათი საიდუმლო გარიგება დიდმა ვირთხამ ხუხუმ შეიტყო. ხუხუმ, თავისი ქვეშევრდომი ბუღა წამებით მოკლა, ხოლო დემეტრეს რჯულის შეცვლა მოსთხოვა. არ დათანხმდა დემეტრე რჯულის შეცვლას, მაშინ ხუხუმ უფლისწულის წამება ბრძანა. წამების რა საშუალებას არ მიმართეს ვირთხებმა მაგრამ, მაინც ვერ გატყვეს უფლისწული. უფლისწულის სულის სიმტკიცემ განარისხა დიდი ვირთხა და დემეტრესათვის თავის მოკვეთა ბრძანა. მაგრამ, ჯალათმა რამდენჯერაც მოიქნია ნაჯახი, იმდენჯერ ააცილა. ყველა გაოგნდა, ვერ ხვდებოდნენ, თუ რა ძალა აცილებდა ნაჯახს დემეტრეს. მაშინ ჯალათმა, დემეტრეს, ხელით დახრჩობა განიზრახა, ყელში სწვდა და როცა გულზე დაკიდებული ჯვარი დაინახა ყველაფერს მიხვდა... ბრჭყალებით ჩამოგლიჯა ჯვარი. ისევ მოუქნია ნაჯახი და, ამაყად, მიაღწია თავის საწადელს. დემეტრეს მოკვეთილი თავი და სხეული ერთდროულად დაეცა მიწაზე. ჯალათმა დემეტრეს კისრიდან ჩამოგლეჯილი ჯვარი



ზედ მიაგდო. ჯვარი, როგორც კი, შეეხო დემეტრეს გვამს, სხეული გამთლიანდა, ანთო ნათელი შუქით და ცად ამალღდა. შუქი იმდენად მწველი იყო, რომ იქ მყოფი ვირთხები დაბრმაუნენ. ხოლო, სხვებმა ეს ამბავი, რომ შეიტყვეს შეშიდნენ... ამ გარემოებამ გადაარჩინა იბერი-ია სრული განადგურებისაგან.

- სად დაასაფლავეს წმინდა მეფე? – იკითხა ნინომ.
- სვეტიცხოველში, – მზეწვიას დაასწრო ამირანმა.
- ააა, გამახსენდა, შენ რომ მითხარი უხილავი ასოებით ლექსი დავაწერე საფლავზეო, – გაიხსენა ნინომ.
- რა ლექსი? გვითხარი ჩვენც, – იკითხა, და სთხოვა სულმნათმა ამირანს.

ამირანს ბევრი თხოვნა არ დასჭირვებია და ლექსი თქვა:

შენ, როგორც მონა ტაძართან ურვად არ ჩაივლი!  
ცრემლიან ბილიკსაც ადვილად გაივლი,  
ვიცი, შენს სულში იწვის და იღვება სანთელი,  
ვიცი, ბევრი გაქვს სათქმელი,  
მაგრამ, ჩემად ხარ, რამეთუ:  
გალეწილ კალოსგან არაფერს არ ელი.  
ვიცი, შენ ტაძართან ურვად არ ჩაივლი!  
და ამიტომაც ზეცისკენ მიმავალ ბილიკსაც  
ადვილად გაივლი.

- კი მაგრამ უხილავი ასოებით რატომ დააწერე? – გაკვირვებულმა იკითხა მზეწვიამ.
- ვისაც სამშობლო უყვარს მათთვის ხილულია – უპასუხა ამირანმა.

მეგობრებს, საუბარი, სემინარიის ზარმა შეაწყვეტინა.

ამირანს და ნინოს შემდეგი გაკვეთილი სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ ჰქონდათ, რომელიც ისევ მამა პავლეს უნდა წაეკითხა. მამამ დალოცა ბავშვები და მისთვის ჩვეული სიღინჯით დაიწყო საუბარი:

- თქვენთვის, ბავშვებო ცნობილია მეცნიერი ლეონ ფუკო, ამ მეცნიერმა საოცარი ცდა ჩაატარა, მძიმე ქვა დაკიდა გრძელ თოკზე



და როცა ეს გიგანტური ქანქარა შეირხა, ამ მოვლენის მომსწრე მეცნიერებმა საოცარი რამ შეამჩნიეს, ქანქარას რხევის სიბრტვე ბრუნავდა ვერტიკალური ღერძის ირგვლივ. ქანქარა იწყებდა რა რხევას დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რამდენიმე საათის შემდეგ ირხეოდა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით. მაშინ, მეცნიერებს გაუჩნდათ კითხვა: რატომ ხდება ასე? და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მიაგნეს პასუხს ანუ ჩათვალეს, რომ სინამდვილეში ქანქარა უძრავი რჩებოდა დედამიწის ზედაპირზე, რომელიც მათ მხედველობის არეში ბრუნავდა. მაგრამ, მეცნიერებს გაუჩნდათ კიდევ ერთი კითხვა: როგორია და სადაა ის უძრავი ნიშნული, რასაც ქანქარა უსწორდებოდა? ეს მეტად რთული კითხვაა: მე, ვვარაუდობ, რომ ქანქარაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ციური სხეულების მასა, მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ციური სხეულები ჰარმონიზებულ სისტემას ქმნიან, რომელზედაც დეტერმინებულია ქანქარის ქცევა. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ადამიანმა დედამიწაზე ნებისმიერი სხეული თუ გადაადგილა, როგორი უმნიშვნელო ზომისაც არ უნდა იყოს ის, მოქმედებაში მოჰყავს ძალები, რომლებიც შეიცავენ სამყაროს ერთობლიობას ანუ ქმნიან სისტემას - გასაგებია ბავშვებო? – იკითხა მამამ და განაგრძო თხრობა ისე, რომ პასუხს არ დალოდებია: – მაშასადამე, ყველაფერი რაც ჩვენს პატარა პლანეტაზე ხდება, კავშირში იმყოფება კოსმოსის გიგანტურ სიდიდესთან, მისი ყოველი ნაწილი თითქოს-და თავის თავში ატარებს სამყაროს ერთობლიობას. აი, სწორედ, აქ ვპოულობთ იმ უჩვეულო მისიას ადამიანისას, რომელსაც გეკარნახობს ქვანტური ფიზიკა და იძულებულები ვართ ვაღიაროთ, რომ არსებობს იდუმალი ურთიერთქმედება სამყაროს ყველა ატომს შორის, ურთიერთქმედება, რომელიც ხდება ჩვენთვის უხილავი ძალის დახმარებით. – მამა პავლე ცოტახანი ჩაფიქრდა და საუბარი განაგრძო: – კიდევ ერთხელ მინდა დავსვა კითხვა: არსებობს უძრავი წერტილი, თუ არა? და, თუ არსებობს მაშინ, კოდაში ჩასხმული წყალი, კოდას ვერტიკალური ტრიალის შემთხვევაში არ უნდა გადმოიდვაროს, არ უნდა გადმოიდვაროს იმიტომაც, რომ მხოლოდ კოდა ბრუნავს, ხოლო წყალი კი, მასში უძრავად არის განთავსებული, მაგრამ, ნელი ტრიალის დროს ის გადმოიდვრება, რამეთუ დედამიწის მიზიდულობის ძალა უფრო ძლიერ ზეგავლენას



ახდენს წყალზე, ვიდრე სხვა ციური სხეულები. მაგრამ, სწრაფი ტრიალის დროს წყალი არ გადმოიღვრება, ეს მიუხედავად იმისა, რომ დროის რაღაც მონაკვეთში კოდა პირქვეა ანუ დაყირავებულია; ესე იგი მიზიდულობას გააჩნია არა მარტო მიზიდულობის თვისება, არამედ ჩანაცვლებადი, უკუმიზიდულების ძალაც, რომელიც ძლიერდება სხეულის სიჩქარის ზრდის შემთხვევაში, ეს ძალა ყველა სხეულისათვის მათი მასის მიუხედავად ერთნაირია და დამოკიდებულია მხოლოდ სიჩქარეზე. – მამაომ საუბარი შეწყვიტა და ბავშვებს მიმართა: – კითხვა, ხომ არ გაქეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, – და ბავშვებს თვალი გადაავლო.

– მე მაქვს, – ხელი აიწია ევგენიმ.

– აბა გისმენ, – აღერსიანად შეეხმიანა მამაო.

– თუ ყველაფერი სამყაროში ბრუნავს, მაშინ სად არის ის უძრავი წერტილი რომლის მიმართაც ეს ყოველივე ბრუნავს, – ფრთხილად საუბრობდა ევგენი, თითქოს ყველა სიტყვას წონიდა, ის ხომ მომავალი ასტრონომი იყო.

– კითხვა საინტერესოა. და, როგორც ვხედავ, ეს საკითხი შენ ძალიან გაწუხებს... და, აი, რას გეტყვი, თუ ეს უძრავი წერტილი არ არსებობს მაშინ ქანქარა უძრავია და ძალოსნის მიერ ნასროლი ბადრო ისევე იმ ადგილზე დაგარდება საიდანაც ბადროს მტყორცნელმა აიღო. და, ჩემო ევგენი, იმას რასაც მეცნიერები გალაქტიკათა სისტემაში უძრავ წერტილს უწოდებენ და მათ წარმოდგენაში აბსტრაქტული ფორმით არსებობს, არის სამყაროს გონის სამყოფელი ანუ ღმერთის განსასვენებელი, რომელსაც როგორც წინა გაკვეთილზე გითხარი, შეკუმშვა და გაფართოება ახასიათებს ანუ გულივით ფეთქავს. – და, მამაომ, ყველა ბავშვს მიმართა: – ჩემო კარგებო, კიდევ რა მინდა გითხრათ, მართალია ეს ჩვენი საუბრის თემას გარკვეულწილად სცილდება, მაგრამ, საინტერესოა, აი რისი თქმა მინდა: სიტყვების დამაკავშირებელი სიტყვა „ანუ“, რომელსაც ჩვენ საუბრის დროს ხშირად ვიყენებთ, შუმერულ ენაში აღნიშნავს როგორც საკუთრივ „ცას“, ისე ცის უზანაეს ღმერთს. „ანუ“ არის შუამდინარული პანთეონის ტრიალის პირველი წევრი, იგი შუამდინარეთში ითვლებოდა სამყაროსა და ღმერთების მამად. ჩემი მოსაზრებით, კავშირმა „ანუ“-მ ტრანსფორმაცია განიცადა მართლმადიდებლურ



ქრისტიანულ რელიგიაში; ეს არის შუმერების მიერ ქვეცნობიერად აღქმული მამა ღმერთი ანუ ძე ღმერთისა და სულიწმინდას შორის „ანუ“. ამასთან მსურს აღვნიშნო, რომ „ანუ“-ს სწორი შინაარსობრივი თანხვედრა შუმერულ გაგებასთან, მხოლოდ იბერიულ ენაში მოიპოვება.

იგრძნო რა მედემ, რომ მამაო უკვე ასრულებდა საუბარს, მოკრძალებით მიმართა:

– სხვა იბერიულ სიტყვებში ან შუმერულში, თუ ჩანს თქვენს მიერ აღნიშნული კავშირი ზეციურ სამყაროსთან?

– ჩანს, – მოკლედ უპასუხა მამა პავლემ და ახსნას შეუდგა: – სიცოცხლის პირველსაწყისობა და მისი გაგრძელება კარგად ჩანს როგორც სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში, ასევე ქრისტიანული რელიგიის რიტუალში. მაგალითად, შუმერულ მითოლოგიაში სიტყვა „მუდ“, და სანამ მის მნიშვნელობას აგისხნიდეთ გეტყვით, რომ „მუდ“ ახლოსაა იბერიულ სიტყვასთან „მუნ“, რომელიც ნიშნავს „იქ“, შინაარსობრივად ეს ნიშნავს: „იქ დამკვიდრდა“. ეს კიდევ ერთი მინიშნებაა ჩვენი და შუმერების სულიერ და ნათესაურ სიახლოვეზე. მაშასადამე „მუდ“, ნიშნავს - „შობას“, რომლის პიკტოგრამა წარმოადგენს „კვერცხზე დაბუდებულ ფრინველს“ ანუ „კრუხს“, ეს სიცოცხლის წარმოშობის დაშიფრული მინიშნებაა, ჩემი მოსაზრებით პიკტოგრამა გვეუბნება, რომ სიცოცხლე მოფრინდა ანუ არამიწიერი წარმოშობისაა. როგორც ჩანს ამ პიკტოგრამის შემქმნელს, რომელმაც მოხაზა ის, ანუ შუმერული სიტყვებით რომ ვთქვათ - გიშხური, სიცოცხლის დაბადების ეს კერძო შემთხვევა მიაჩნდა შობის საყოველთაო სახედ. შესაძლოა იგი ხელმძღვანელობდა იმ კოსმოგონური შეხედულებით, რომლის მიხედვიდაც პირველი დაბადებული არსი სამყაროული კვერცხიდან გამოიჩეკა. ჩემი მოსაზრებით ქრისტიანული რელიგია ნაწილობრივ იზიარებს ძველი შუმერების ამ ხედვას, რომელიც გარკვეულწილად ასახულია ქრისტიანული რელიგიის იმ წესში, რომელსაც ჩვენ აღვასრულებთ ქრისტეს აღდგომისას კვერცხის წითლად შეღებვისას, თუმცა ამ რელიგიურ რიტუალს სხვა უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს, სახელდობრ: ეს არის შეხსენება იმ ცოდვის, რომელიც ადამიანებმა ჩაიდინეს ღმერთის მიმართ, როცა ქრისტე ჯვარზე გააკრეს. – ეს სიტყვები, მამაო, გულის ტკივილით



წარმოთქვა, – ახლა ინდურ მითოლოგიას გადავავლოთ თვალი - მის მითოლოგიაში, შუმერული მითოლოგიის მსგავსად სიცოცხლის გაჩენას კოსმოგონურ კვერცხს უკავშირებენ, საიდანაც იჩეკება მამაკაცი „პრაჯაპატი“. მსგავსი სურათი გვაქვს ჩინურ თქმულებაშიც, სადაც სამყაროს დასაბამი კვერცხს უკავშირდება - კვერცხიდან გარდმოისახა „პან-გუ“. აი, რა, წერია ჩინური სიცოცხლის წიგნში: „პან-გუმ გააპო კვერცხი, რომლის მსუბუქი და სუფთა ნახევარი მაღლა წავიდა და ცად შეიქმნა, ხოლო მძიმე ქვედაიზიდა და მიწად გარდაიქმნა“. ასევე, საკმაოდ საინტერესოა სიტყვა „ბოსელის“ შინაარსობრივი დატვირთვა, სახელდობრ: შუმერულ მითოლოგიაში „ბოსელი“ მიჩნეულია საკრარულ ადგილად სადაც ჩნდება წმინდა სიცოცხლე. „ბოსელი“ სხვადასხვა ძველი ხალხის ენაში ტაძართან არის გაიგივებული. შუმერული ერთ-ერთი პიკტოგრამა, რომელიც იკითხება როგორც „აგარინ“ და ნიშნავს „ტაძარში ჩახატულ ჩვილს“, არის „დედის საშოს“ სიმბოლო, რომელიც შუმერულ მითოლოგიაში ბოსლის შიგნითაა აღნიშნული. ქრისტიანულ რელიგიაში იესოს შობა მსგავს საკრარულ ადგილთანაა დაკავშირებული. ასევე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ბოსელის“ შუმერულ ჩანახატში გამოყენებულია სწორი ჯვარი, ოდნავ მარჯვნივ დახრილი, მსგავსი ჯვრის ფორმა გვაქვს იბერიულ ასომთავრულში, ხოლო მისი თანამედროვე აღმნიშვნელია ასო – „ჯ“. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ სხვადასხვა ხალხის მითოლოგიის მიხედვით სიცოცხლე უკავშირდება რაღაც ზებუნებრივ ძალას, კოსმოგონურ ძალას, ქრისტიანულ სარწმუნეობაში ეს ღმერთია, რომელმაც შექმნა სამყარო, სიცოცხლე, გონი... დაგაკმაყოფილა პასუხმა? – ჰკითხა მამამ მედეას.

– დიახ მამაო. მაგრამ, კიდევ მაქვს ერთი კითხვა, – ისევ მოკრძალებით მიმართა მედეამ მამაოს.

– კარგი გისმენ, – და მამაო დაელოდა მედეას შეკითხვას.

– მამაო, ადამიანებს და განსაკუთრებით კი, მეცნიერებს აწვალეებს კითხვა, სიცოცხლე მხოლოდ დედამიწაზეა თუ სხვაგანაც, სხვა პლანეტაზე ან სხვა გალაქტიკაშიც არსებობს?

– რას გეტყვი იცი, – აზრი მოიკრიბა მამა პავლემ და ახსნას შეუდგა: – ადამიანის მსგავსი ან უფრო განვითარებული ფორმები თუ სხვაგანაც არსებობს ეს არ აკნინებს დედამიწის მაცხოვრებლების -



ადამიანების მნიშვნელობას სამყაროში, პირიქით ზრდის, რამეთუ მაშინ ადამიანი უფრო რთული სასიცოცხლო ციკლის შემადგენელი ნაწილი ხდება. თანამედრო მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს ადამიანებზე უფრო მაღალი ინტელექტის მქონე ფორმების არსებობას და მათ კავშირს დედამიწასთან. ეს მეცნიერები, მათ - უცხოპლანეტელებს უწოდებენ. მაგრამ, რამდენად უცხონი არიან ისინი და, შეიძლება თუ არა მათ სხვა ღმერთი ჰყავდეთ? – თავისივე დასმულ კითხვაზე მამამ თვითონვე უპასუხა. – ჩემი მოსაზრებით არა. სხვა ღმერთის არსებობა არსებული სამყაროს მოწესრიგებულობის პრინციპს ეწინააღმდეგება, ხოლო კანონზომიერების პრინციპის დარღვევა ჩვენი და საერთოდ დედამიწის არარეალურობის ანუ მოჩვენებითობის საფუძველს ქმნის. და, თუ ჩვენ არარეალური არსებები ვართ მაშინ ჩვენთვის არც არაფერი არსებობს და კომპიუტერის გასართობი თამაშის მსგავსად, ვიღაცის გონებაში და წარმოდგენაში არსებული ფორმები ვყოფილვართ. და, თუ ეს ვიღაცა ღმერთია, მაშინ ჩვენ უკვდავები გამოვდივართ და ეს თამაში უსასრულოა... უსასრულობის ცნება არაწარმოსახვითია რადგანაც მას გააჩნია მიზეზი და მიზანი, გამოსატოვებელი შედეგები. – კიდევ ვის აქვს შეკითხვა, – ისევ იკითხა მამამ და როცა დარწმუნდა, რომ ბავშვებს შეკითხვები აღარ ჰქონდათ, თხოვნით მიმართა: – ბავშვებო, როგორც ხედავთ, ჩვენ უკვე აღვადგინეთ დანგრეული სემინარია, ჩვენი თხოვნაა დაგვემარეთ მერხების და სკამების შეტანაში საკლასო ოთახებში. ოღონდ სკამები უმცროს კლასელებს შეაქვთ, მერხები კი, უფროს კლასელებს. ამ საქმეში გიხელმძღვანელებენ მამაოები: პეტრე, იაკინთე და სავლე.

ბავშვები ხალისით წამოიშალნენ და მამაოების დახმარებით, საკლასო ოთახებში მერხების და სკამების შეტანა დაიწყეს. სემინარიის მოძღვარი შორიდან აკვირდებოდა ბავშვების საქმიანობას და სიამოვნებისაგან გულში ბადაგი ეღვრებოდა, ხოლო როცა იგივე ბავშვების თავგანწირვა ახსენდებოდა, ურჩხულთან ბრძოლის დროს, გული სიამაყით ევსებოდა. და იდგა სემინარიის მოძღვარი აწმყოსა და მომავალს შორის, როგორც მოწმე დიდი სიკეთისა.

მუშაობაში დრომ ისე სწრაფად გაირბინა, რომ ბავშვებმა ვერც კი იგრძენეს სახლში წასვლის დრო თუ როგორ მოახლოვდა.





მშობლები, ბებიები, უფროსი დები, ძმები, რომლებიც გარეთ ელოდნენ ბავშვებს, გაკვირვებულები მიჩერებოდნენ სემინარიის კარს, რამეთუ, ამ დროს, სემინარიის კარი ყოველთვის ღია იყო და კართან დედაო იდგა, ახლა კი დახურული იყო, არადა ჩრდილი ყველა საგანს თუ სხეულს დაეკიდა და უსაშველოდ დაგრძელებულიყო. უცებ, ყველასაგან მოულოდნელად, სემინარიის კარი ერთიანად გაიღო და კარიდან, როგორც სკიდან ფუტკრები, ბავშვების მთელი გუნდი გამოცვივდა, სიცილით და მხიარული შეძახილებით მოედნენ იქაურობას, გარემო გამხიარულდა, ამ მხიარულებამ შემთხვევითი გამლევებიც გაახალისა, განსაკუთრებით მოხუცებული ქალი, რომელსაც ხელში ფინია ძაღლი ეჭირა.

– ნინო, ნინო შეხედე იმ ქალს. იცი ვინ არის ის? – ამირანმა შემოატრიალა ნინო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს და მწვანე კაბაში გამოწყობილი, თეთრთმიანი ქალი დაანახა.

– მგონი ვიცანი, ჰო, ის ჩვენი ქალაქის ყველაზე ლამაზი ქალბატონი იყო, მისი სურათები დღესაც იბეჭდება ფოტო ალბომებში, – უპასუხა ნინომ.

ნინოს ბებიაც დაინტერესდა და მიიხედა, მერე დავითს ჰკითხა:

– ეს შემთხვევით რუსუდანი ხომ არ არის?

– კი ის არის, – დაეთანხმა დავითი,

– მაგრამ ის ხომ დიდხნის გარდაცვლილია? – ისევ იკითხა მართამ.

– გეთანხმებით, ქალბატონო მართა, მაგრამ დროდადრო გამოჩნდება, თავის შვილებს დახედავს და ისევ ქრება. დღეს, აი იმ მათხოვარს დახედა, მისი უმცროსი შვილია, ყოფილი პროფესორი. და, რომ არა, ამ ბავშვების მხიარულება, ნამდვილად გულნატკენი წავიდოდა, – სევდიანად აღნიშნა დავითმა.

– ბებია მომიყვები რა, იმ ქალის შესახებ, – სთხოვა ნინომ.

– მეც მაინტერესებს, ბევრი რამე მეც არ ვიცი ამ ქალის შესახებ, – სურვილი გამოთქვა ამირანმაც.

– რა ვქნათ ქალბატონო მართა? – იკითხა დავითმა.

– სხვა რა ძალაა, ესენი არ მოგვეშვებიან, სანამ თავის სურვილს არ აისრულებენ, – ღიმილით უპასუხა მართამ დავითს.



– მართალი ბრძანდებით, კარგი, მაშინ, აი იმ ბაღში დაგსხდეთ, – შესთავაზა დავითმა.

ოთხივე ბაღისკენ გაეშურნენ და იმ სკამზე ჩამოსხდნენ, სადაც ამირანი რამდენიმე დღის წინ აინშტეინს ესაუბრა. სანამ მართა ამბის მოყოლას შეუდგებოდა, დავითმა დრო იხელთა, თამარს მობილურით გადაურეკა და გააფრთხილა, მათი შესაძლო დაგვიანების შესახებ.

მართა ამბის მოყოლას შეუდგა:

– რუსუდანის თავგადასავალი იწყება იმ პერიოდიდან, როცა ის ახლობლებმა ჯავახეთში გააპარეს. გაპარვის მიზეზი კი, უკაფშირდება, რუსუდანის კეთილ განწყობას გრიგოლ რობაქიძის და ლევან გოთუას განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს: რუსუდანმა უმადლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო, იქ სადაც მისი ოჯახის ახლობელი, ოლღა ბაგრატიონი, მუშაობდა. ეს ის პერიოდია როცა იბერიელებს არჩევანის შესაძლებლობა გაუჩნდათ: უნდა დარჩენილიყვნენ გაწითლებული თეთრი ვირთხების ბატონობის ქვეშ, ან გერმანელების თანამოაზრეები უნდა გამხდარიყვნენ და მათი დახმარებით თავი დაეღწიათ წითელ მონობისაგან. მწერალმა რობაქიძემ გერმანელების ტყვეთა ბანაკში იბერიელთა განმანთავისუფლებელი ბატალიონი შექმნა, ხოლო, იბერიაში ლევან გოთუას ხელმძღვანელობით პატრიოტთა ჯგუფები იქმნებოდა. ამ ჯგუფების მიზანი იყო დახმარებოდნენ განმანთავისუფლებელ ბატალიონს იბერიაში შეუფერხებლად შემოსვლაში. ერთხელ როცა, რუსუდანის თანამშრომლები, ამ საკითხს არჩევდნენ და კიცხავდნენ რობაქიძის საქციელს, რუსუდანმა ვერ მოითმინა და ხმამაღლა განაცხადა თავისი კეთილი დამოკიდებულება გრიგოლ რობაქიძის მიმართ.... ეს ამბავი, იმ დღესვე, ინჩ-რუს-უზუმეს მთავარ გამგებელთან მიიტანეს და რუსუდანი ინჩ-რუს-უზუმეს ბუნაგში ანუ „ჩეკაში“ დაიბარეს. რუსუდანს „ჩეკაში“ თან გაჰყვა ოლღა ბაგრატიონი და როცა რუსუდანს მისი ნათქვამის გამო, ბრალი წაუყენეს: ქვეყნის ღალატი. - ოლღამ რუსუდანის ნათქვამი დაი-



ბრალა. რუსუდანი გაანთავისუფლეს... და, როგორც უკვე გითხარით ჯავახეთში გააპარეს.

– ბება, ოღლა ბაგრატიონს რა ბედი ეწია? – გულდაწყვეტილმა იკითხა ნინომ.

– გაიგეს გაწითლებულმა თეთრმა ვირთხებმა, რომ ოღლამ რუსუდანის ნათქვამი დაიბრალა და რამდენიმე თვეში გაანთავისუფლეს.

– რუსუდანის წინაპრები ვინ იყვნენ? – იკითხა ამირანმა.

– რუსუდანის დედა უძველესი გვარის შთამომავალი იბერიელი-ბასკი იყო, რომელიც ბაქოში ცხოვრობდა, რუსუდანიც იქ გაჩნდა, მამაც იბერიელი იყო - აგუს შთამომავალი.

– აგუ ვინ იყო? – ისევ იკითხა ამირანმა.

– აგუ იბერიელთა მფარველი მეომარი იყო, რომელიც დალატით ქვესკნელის ურჩხულმა კრაკერმა შეიპყრო და ვეზუვის კრატერში გამოამწყვდია. იმ დროში კიდევ ერთი მამაცი იბერიელი ცხოვრობდა სახელად ქუჯი. როცა ქუჯიმ შეიტყო აგუს ამბავი შეწუხდა და მისი დახსნა გადაწყვიტა. ქუჯიმ შეკრიბა ათ კაციანი რაზმი და თავს დაესხა კრაკერს, რომელიც ვეზუვის კრატერში, აგუს წამებით ირთობდა თავს. არ ელოდებოდა კრაკერი თავდასხმას და, როცა გაიგო - უკვე გვიანი იყო, ვინაიდან ქუჯის, მისი მცველები დაეხოცა. მარტო დარჩენილმა კრაკერმა ვერ გაბედა ქუჯისთან და მის მებრძოლებთან მებრძოლება და იძულებული გახდა აგუ გაენტავისუფლებინა. აგუს განთავისუფლების საგმირო საქმე ყველამ შეიტყო და ვეროპის ერთ-ერთმა ტომმა თავის მდინარეს აგუ დაარქვა, ახლაც მოედინება საფრანგეთში ამ სახელის მდინარე.

– ქალბატონო მართა, ცოტა დაუჯერებელია, რომ კრაკერმა აპატია მეომრებს მისი დამარცხება, – ვარაუდი გამოთქვა დავითმა.

– რასაკვირველია არ აპატია, როგორც კი განშორდნენ მეომრები და ნახა, რომ ხიფათი აღარ ემუქრებოდა, თავისი სხეულიდან ბოროტების ცეცხლი ამოუშვა, რასაც ვეზუვის აფეთქება მოჰყვა და ახლო მდებარე სოფლების განადგურება, – სევდიანად აღნიშნა მართამ.



– ბეზა, რუსუდანის თავგადასავალი გავაგრძელოთ, გთხოვ! – სთხოვა ნინომ.

– ჰო-და, როცა რუსუდანი ჯავახეთში გააპარეს, იქ ახალგაზრდა ჭაბუკი გაიცნო, რომელთანაც ოჯახი შექმნა, მათ ბევრი შვილები ეყოლათ. ერთად მთელი იბერია მოიარეს და ბოლოს ზღვის პირას დასახლდნენ, იმ ალაგს - გუთა ერქვა. იმ ადგილს გუთა იმიტომ ერქვა, რომ პირველად გუთანი იქ შეიქმნა. გუთაში, მათი დასახლება უფლის ნება იყო.

– რატომ? – იკითხა ნინომ.

– იმიტომ, რომ იმ მიდამოს ურჩხული შეჩვეოდა სახელად ხრუშია-ხრუშიოვი, რომელიც დროდადრო ესტუმრებოდა ხალხს, აირჩევდა ყველაზე ლამაზ ათ გოგოს და სისხლს უწამლავდა, მერე კი ჭამდა. უფალმა იცოდა ვისი შთამომავალი იყო რუსუდანი და იმედი ჰქონდა, რომ დაამარცხებდა ურჩხულს.

– მერე, მერე, – არ ისვენებდა ნინო.

– ჰო-და ერთხელ ცა მოიქუფრა, მიწამ ზანზარი დაიწყო, ყველა მიხვდა, რომ ურჩხული მობრძანდებოდა. ამ დროს რუსუდანის შვილები ზღვის პირას ფერადი კენჭების შესაგროვებლად იყვნენ წასულები. შეშინდა ღედა, რა ექნა არ იცოდა, მაშინ, თითქოს ვიღაცამ უკარნახაო - ეს შინაგანი ხმა იყო: აიღო შთამომავლობით ნაანდერძევი ვერცხლის ლურსმანი, ნაჭერში გახვეული გეციმანის ბაღიდან ჩამოტანილი მიწა, მინის პატარა ბოთლი, რომელიც კავკასიის მთის მწვერვალიდან ჩამონადენი წმინდა წყალი ესხა და ბავშვების საშველად გაიქცა.

– ბებია მართა, იცოდა რუსუდანმა მათი დანიშნულება? – იკითხა ამირანმა.

– კი, მათი დანიშნულების შესახებ მისმა ბაბუამ მოუყვა, – უპასუხა ამირანს და ამბის თხრობა განაგრძო: – ურჩხულმა როცა დაინახა ზღვის პირას ლაღად მოთამაშე ბავშვები განრისხდა და მათკენ გაეშურა... თამაშში გართულმა ბავშვებმა მხოლოდ მაშინ იგრძნეს საშიშროება, როცა მათ თავზე სიბნელე ჩამოწვა, ზევით აიხედეს და უზარმაზარი ურჩხული დაინახეს, რომელიც ციდან ნელ-ნელა ეშვებოდა. ბავშვები ჯერ შეშინდნენ, მერე კი, ძალა მოიკრიბეს და ერთად დადგნენ, ბავშვების ერთადდგომამ ურჩხუ-



ლი კიდევ უფრო განარისხა და შხამი მიაფრქვია, მაგრამ ბავშვები ადგილიდან არ დაიძრნენ, არ შეშინდნენ. რუსუდანი ურჩხულის გადაადგილების მიხედვით მიხვდა, თუ სად იქნებოდნენ მისი შვილები... და, უკვე როცა ურჩხულს, მეორეჯერ უნდა მიეფრქვია შხამი ბავშვებისათვის, რუსუდანმა სწორედ მაშინ მიუსწრო და ესროლა მინიანი ბოთლი. ბოთლი ურჩხულის ტანზე დაიმსხვრა, გადმოღვრილი წყალი ააღდა, ურჩხულს ცეცხლი წაეკიდა, ცეცხლწაკიდებული ურჩხული საშინლად აბღავლდა და ძირს დაეცა, მაშინ რუსუდანმა, ურჩხულს, ვერცხლის ლურსმანი ჩაარჭო სხეულში, ურჩხული გასკდა და მის სხეულიდან მწვანე, წებოვანი სითხე გადმოიღვარა. ბოლოს, მიწა წააყარა, მიწა მთელ სხეულზე მოედო ურჩხულს და მთლიანად შთანთქა. ირგვლივ ყველაფერი დაწყნარდა, განათდა, ციდან თბილი ქუქუნა წვიმა წამოვიდა. რუსუდანი ბავშვებს მიუახლოვდა, ყველას სათითაოდ მოეფერა, და ყოველთვის ასე ერთად დგომა უსურვა.

– კი, მაგრამ, ეს მოხუცებული პროფესორი, მაშინ რატომ დამჯდარა მათხოვრად? რა დაავიწყდათ დედის ლოცვა? – იკითხა ნინომ.

– აი, რა, ჩემო კარგო, ურჩხულმა ერთხელ ხომ შეასხურა შხამი, იმ შხამმა ეტყობა დანარჩენ დედმამიშვილებზე იმოქმედა, პროფესორზე არა... – ჩაფიქრებულმა უპასუხა მართამ შვილიშვილს.

– ის რა ძაღლი ეკავა ხელში? – იკითხა ამირანმა.

– აა, ეს ცოტა სასაცილო და დაუჯერებელი ამბავია. რუსუდანმა, რომელმაც ურჩხული დაამარცხა, რატომღაც პატარა ძაღლების შიში ჰქონდა და სწორედ იმ ფინია ძაღლმა, რომელიც ხელში ეჭირა, ერთხელ ძაღიან შეაშინა. მოგიყვებ? – იკითხა მართამ და პასუხს არ დაელოდა ისე დაიწყო ამბის თხრობა: – მოსაღამოებული იყო, რუსუდანი, სიძის სასაფლაოდან ბრუნდებოდა თავის უმცროს ვაჟთან ერთად, სამშენებლო ობიექტთან, ფინია ძაღლი არხინად იყო წამოწოლილი, გზაზე მიმავალი რუსუდანი რომ დაინახა, ისე სხვათაშორის, თავისთვის დაიყუფა, ამას ყეფა არც კი შეიძლებოდა დარქმეოდა. მაგრამ, როგორც გითხარით რუსუდანს პატარა ძაღლების ეშინოდა, ამიტომაც დაფრთხა და ყეფაზე გაიქცა. ძაღლმა, როგორც კი დაინახა რუსუდანი გაიქცა



აო, არიქა, მგონი როგორც იქნა ვიღაცა შევაშინეო და, უკან დაედევნა - ყეფა-ყეფით. რუსუდანი ისე გამწარებული გარბოდა, რომ ძლივს დაეწია უმცროსი შვილი. ძაღლმა უკან დადევნებული ბიჭი, რომ შეამჩნია შეეშინდა: „ვაი წიხლი არ ამომცხოსო“, და კუდამოძევებული სხვა მხარეს გაიქცა. შვილმა ძლივს გააჩერა გაგცეული დედა. და, როცა ჰკითხა: „ამ პატარა ძაღლმა როგორ შეგაშინაო, როცა ურჩხული გყავს დამარცხებულიო?“ – დედამ უპასუხა: „ურჩხული თქვენს სიცოცხლეს ემუქრებოდა და აბა რას ვუზამდიო“. – მაშინ მიხვდა შვილი თუ რა იყო დედობრივი სიყვარული.

– მე ჩემს ბებიას ვუყვარვარ, – თქვა ნინომ და ბებიას ჩაეხუტა.

ამირანმა მამას გახელა.

– მეც მიყვარხარ, – წამოდგა დავითი და ნინოს თავზე აკოცა. მერე, სუყველას მიმართა: – ძალიან გაგვიგრძელდა საუბარი. ხომ არ დავიშალეთ? მართალია დავურეკე, მაგრამ დროზე თუ არ წავედით მაინც შეშინდება თამარი, დილით გაგვაფრთხილა კიდევც, რომ არ დაგვეგვიანა.

მართალია ნინომ დავითის ნათქვამი მიიღო, მაგრამ, მაინც შეეცადა ერთად ყოფნის დრო გაეხანგრძლივებინა და ამირანს დაპირება შეახსენა:

– ჰო მართლა შენ, რომ დამპირდი დღევანდელი დაგვიანების მიზეხსს მოგიყვებიო, არც სემინარში არ შემისრულე და, ახლაც აპირებ თავის დაძრომას.

– მამაო ბაისმა ეფუთი გადმოგეცა და ჯადოსნურ ტყეში გავაგზავნეთ, – მოკლედ უპასუხა ამირანმა.

– მაინც, მაინც? რა იყო მიზეხი? მხოლოდ ეს? – ჩააჟინდა ნინო.

– ხვალ უფრო დაწვრილებით მოგიყვები ყველაფერს, ახლა თუ არ წავედით დედას მართლა ძალიან შეეშინდება, – ცოტა აღელვებულმა უპასუხა ამირანმა.

– კარგით, – ფარ-ხმალი დაყარა ნინომ.

– ჰო ბებო, გაეუშვათ, – თხოვნით მიმართა მართამ შვილიშვილს.



– კეთილ საღამოს გისურვებთ, – დაემშვიდობა დავითი ორივეს.

– თქვენც ყოველივე კარგს გისურვებთ, – თავისმხრივ კეთილი განწყობა გამოხატა მართამ.

ბავშვებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და ასე თბილად, ხვალამდე, დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მამა-შვილი ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა და ისეთი მიზანმიმართულები, რომ გამგელები, უკან, გაკვირვებულ მხერვას აყოლებდნენ. ბინაში ორივე აქოშინებული შევიდა.

– რა გულამომჯღადარი... რატომ ქოშინებთ, მოგსდევდათ ვინმე? თუ რა?.. – თამარმა გაბრაზებული ხმით მიმართა დაგვიანებულ მამა-შვილს.

დავითმა შეატყო მოჩვენებითი გაბრაზება თამარს, ამირანს გახედა, თვალი ჩაუკრა და ორივეს სიცილი აუვარდა.

– რა ვქნათ დედი, მე და მამას გვიყვარს ხეტიალი, – სიცილით მიმართა ამირანმა დედას.

თამარსაც გაეცინა... მერე, ორივეს აღერსიანათ მიმართა:

– თქვენი საშველი მაინც არ იქნება, წადით ახლა გამოიცვალეთ ტანსაცმელი, ხელები დაიბანეთ და ვჭამოთ.

ოჯახური საღამო, როგორც ყველა საღამო მხიარულებაში ჩაიძირა, ამ განწყობამ გარეთაც გააღწია, ჰაერში გაიშალა და იქაურობა დაატკბო. ღამემ იგრძნო დავითის სახლიდან გამოსული სითბო და, ფანჯარაში შეიჭვრიტა, მაგრამ ზუსტად ამ დროს დავითმა ოთახში შუქი აანთო, თვალი მოეჭრა ღამეს, რაღაც უცნაურობა წაიღულღულდა, შემოტრიალდა და ახლა ყური მიაღო ფანჯარას. ღამის ეს საქციელი მთვარემ შეამჩნია, ჩუმად მიეპარა და ყურში ჩასტვინა. ღამე მოულოდნელობისგან ისე შეხტა, რომ ფანჯრის მინა კინაღამ შეამტვრია.

– რა გინდათ, რას მერჩით, გუშინ დიღამ შემაშინა, ახლა კი, შენ, კინაღამ გამიხეთქე გული, – გაბუტული ხმით ალაპარაკდა ღამე.

– ეი შენ, მაგ ბავშვის მოვლა და თვალყურის დევნა მე დამევა ალა, – მუქარით მიმართა მთვარემ.



– მერე, მე რას ვუშავებ... მე შენზე უფრო მიყვარს ეს ბავშვი,  
– უპასუხა ღამემ.

– ჰო, კარგი რა, არ გეწყინოს, გაგეხუმრე. წამოდი სჯობს სიზ-  
მრები შევარჩიოთ, – შესთავაზა მთვარემ, აღელვებულ ღამეს.

– აი ეს მესმის. ხომ იცი ძალიან მიყვარს ეს საქმიანობა, – გა-  
მხიარულდა ღამე. – და, იცი რა, ერთი უგვანო კაცი ვიცი ღრუტ-  
უნა-ხუტუნა, დავასიზმროთ თითქოს გამდიდრდა და როცა გამოი-  
ღვიძებს, რამდენიმე დღე გაოგნებული იქნება. კიდევ, მეორე კაცი  
ვიცი, ძალიან მდიდარია, ჩაქონიანებული ბენდუ-ბედი-ქინძე, ის იმ  
მწვანე სახურავიან სახლში ცხოვრობს, აი იქ, – და ღამემ  
თითით მიანიშნა მწვანე სახურავიან სახლზე, – მას პირიქით,  
დავასიზმროთ რომ თითქოს გაღარიბდა. ნახავ როგორ ბორგვას  
დაიწყებს სიზმარში. ხოლო, იმ უღმერთოს, ღამურების სკოლის  
დირექტორს არ-სეი-რგოს წურბელები დავასიზმროთ, რომლებსაც  
გუ-თლინკოს და ნო-დოს სახეები ექნებათ. მაგრამ, აი იმ პატარას  
– ნიკოლოზს, ბატკანი დავასიზმროთ, გუშინ ეფერებოდა ეკლეს-  
იის ეზოში. ხოლო, მოხუცებულ თინათინს, დაღუპული შვილი,  
როგორი ბედნიერი იქნება იცი?! – სულმოუთქმელად საუბრობდა  
ღამე.

– კარგი ასე ვქნათ, – დაეთანხმა მთვარე და ორივემ სიზმრებ-  
ის სკივრში დაიწყო ქექვა.

– მხატვარს... ჰო მართლა, მხატვარს რა დავასიზმროთ? – იკი-  
თხა მთვარემ.

– იცი წუხელ, შენ, რომ წახვედი ლექსი დაწერა, – უპასუხა  
ღამემ, ისე რომ სკივრში ქექვა არ შეუწყვეტია.

– მეტყვი? – თხოვნა ნარევი კითხვით მიმართა მთვარემ ღამეს.

– კი, – და ღამემ ლექსის კითხვა დაიწყო:

ღმერთო შემინდე ჩემი ცოდვები  
რაც კი, ოდესმე ჩამიდენია,  
მივხვდი შეცდომებს და მტკივა გული  
ოო, ღმერთო ჩემო ძაან მრცხვენია.  
ჭექა-ქუხილმა სივრცე დაკოდა,  
მზერა ჰორიზონტს დაჰკიდებია,





ჰორიზონტს მიღმა მტვერი ავარდა,  
მტვერმა, ცის კიდე შავად დაფარა.  
მიწაზე ყრია ვარდის ფურცლები,  
სიხარბეს სული დაუტკეპნია,  
სულმა ვერ ჰპოვა გეთსცამანია,  
სხეულს მოედო ცეცხლის გენია.  
სადღაც სივრცეში მიხმობს იმედი,  
სურვილი ღრუბლებს გაჰკიდებია,  
ღმერთო შემინდე ჩემი ცოდვები  
რაც კი, ოდესმე ჩამიდენია.

- ეს ადამიანი წესიერი კაცია და ასეთი რა ტკივა, ვერ გავიგე.
  - გაიკვირვა მთვარემ.
    - წესიერი, რომ არის ამიტომაც ტკივა, - უპასუხა ღამემ.
    - ვიპოვე, - სიხარულით წამოიძახა მთვარემ.
    - რა იპოვე? - იკითხა ღამემ და სკივრში ქექვა შეწყვიტა.
    - ფროიდის სიზმრები, - უპასუხა მთვარემ.
    - თუ ძმა ხარ! არ შეგეჭამა თავისი ფილოსოფიით, თავში მხოლოდ სექსი უტრიალებს, - ავღებულად თქვა ღამემ.
    - შენ თუ იცი, ერთმანეთთან რა საერთო აქვს სექსს და კექსს?
  - ჰკითხა მთვარემ.
    - არ ვიცი, - მოკლედ უპასუხა ღამემ.
    - ორივე შემთხვევაში სალი კვერცხებია საჭირო, - და მთვარეს სიცილი აუვარდა, ცოტა რომ დაწყენარდა, შესთავაზა: - გინდა ამ მხატვრის სხვა ლექსი წაგიკითხო? შენ, რომ წამიკითხე იმისგან რადიკალურად განსხვავდება, და ფროიდზე უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნება! სხვათაშორის ჩვენზედაც!
    - ჰო, მიდი, - დაეთანხმა ღამე.
- მთვარემ მთელი გრძნობით დაიწყო კითხვა:

ცამ აიწია ღრუბლების კაბა  
და უბიწობა სივრცეში გაქრა,  
ამის შემყურე მთვარე გაწითლდა,  
გაოცებისგან წყალი გაფითრდა.



სიზმარში - ქალის ლიბიდო გასკდა,  
დარდისგან - კაცი დუქანში დათვრა,  
მოსუცებული საბანში ჩაძვრა  
და სურვილები წარსულში დარჩა.  
ეს ყოველივე ბავშვს ეხამუშა,  
ფეხშეელამ წყალში გატოპა და...  
უმანკობა მის სურვილს აჰყვა!  
გაიყოლია ზმანება ტკბილი,  
და გარყვნილება პირდია დარჩა.  
ცას, ბავშვის შერცხვა!  
და ჩამოუშვა ღრუბლების კაბა,  
კვლავ დაიბრუნა სირცხვილის განცდა!..  
წუწკი სურვილი კი, სადღაც გაქრა.

ამ ლექსზე ღამეს გაეღიმა, და თავისთვის ჩაილაპარაკა: „გაიყოლია ზმანება ტკბილი. ეჰ...“ და ღამეს თავისი ბავშვობა გაახსენდა.

#### ციდან არეკლილი ჩალისფერი დილა



დილა, ისე ჩუმად მიეპარა, საქმეში გართულ ღამესა და მთვარეს, რომ მათ ვერც კი გაიგეს.

– ვაა, ამათი გამკვირვებია, სანამდი თავზე არ წაადგები ვერ ხვდებიან, რომ უნდა წავიდნენ, – აბუზღუნდა დილა, და გარემო ჩალისფრად გაანათა.

– რა უცნაური ფერებია, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა მენაგვემ, რომელსაც ცოცხი შუბივით მოემარჯვა, თან აქეთ-იქით იყურებოდა და როცა წუხანდელი ღამის ნამოქმედარი დაინახა – დეპუტატობის კანდიდატთა მხარდამჭერების მიერ კედელზე გაკრული პლაკატები, გამწარებულმა ერთი ლაზათიანად შეიკურთხა... და, ქუჩის ხვეტას შეუდგა. ცელივით იქნევდა ცოცხს და ნაგავს აქეთ-იქით და, მერე, მესამე განზომილებაში ყრიდა, თანაც ლექს ამბობდა:



ფულს დახარბებული ბატონის ხელში,  
მიწა გამოიფიტა, მატლმა შეჭამა თესლი.  
იბერიელებს სევდა ჩაუგუბდათ გულში,  
ღურგალმა ვედარ გამოთალა გრაალი  
და ინჩ-რუს-უზუმემ იბერთა მიწაში გაიდგა ფესვი.  
გულშეღონებული ბერი სენაკში მოთქვამს:  
„ნეტავ რა დავაშავეთ, რას გვერჩის ღმერთი?  
რატომ ჩაგვაგდო უგვანო ბატონის ხელში?  
სხვის გამო რატომ ვისჯებით?  
ნუთუ ვერ ხედავს სინათლეს ჩვენში?  
უფალო დაგვიბრუნდი, თორემ ბატონმა გაგვცვალა ფულში,  
მატლმა შეგეჭამა და შენს მიწაში უგვანომ გაიდგა ფესვი“.  
ჩაფიქრდა ღმერთი, აწონ-დაწონა საყვედური, და გასცა პასუხი:  
„ამ უგვანოების შედეგი ეძებთ თქვენში,  
მაშ რა გეგონათ, როცა ღვინო გაცვალეთ მთხლეში,  
პური მოსვარეთ ტალახში, ხოლო ყანაში შეუშვით ძეძვი,  
დაკარგეთ თოხუმი და სული გაცვალეთ ათ ვერცხელში,  
დიახ, თქვენი ბრალია და ამ უგვანოების შედეგი  
ეძებთ თქვენში“.

ლექის დასრულების შემდეგ, მენაგვემ დავითის აივნისკენ გა-  
იხედა.

– დილამშვიდობის ზაქარია, – დაასწრო მისალმება დავითმა,  
– რაო გაგვიხსნეს ფოტოგალერეა, – სიცილს ვერ იკაგებდა და-  
ვითი, რომელიც ყვავილების მოსარწყავად გამოსულიყო აივანზე.

– გაგიმარჯოს! – არ დააყოვნა პასუხი ზაქარიამ, – დავით, ჩვე-  
ნი ქვეყანა მსოფლიოში ერთადერთია, სადაც დეპუტატობა საკუ-  
თარი ბიზნესის წამოწყების საუკეთესო გარანტიაა. ვერ გაგიგე  
რამდენჯერ უნდა იყოს ეს არჩევნები?.. – მენაგვემ შეწყვიტა ქუჩ-  
ის ხვეტა და დავითის პასუხს დაელოდა.

– აბა რა გითხრა, ეტყობა გამოთავისუფლდა ადგილი პარლამ-  
ენტში და ახლების არჩევა მიმდინარეობს... ჰოო, ეს კიდევ დამატ-  
ებითი ხარჯებია, მოკლედ, ცუდ დღეში ვართ, ეგ უსინდისოები

საკუთარი ჯიბის გასასქელებლად ყველაფერზე მიდიან, – ირონიული ტონით საუბრობდა დავითი.

– ჰო, მართალი ხარ, – დაეთანხმა ზაქარია, ცოტახანი დაფიქრდა და დავითს მიმართა: – ხანში შესული მეფე ერეკლე ბოლოს ძალიან ავად გახდა, მაგრამ მაინც ინახავდა მარხვას. დაუძღურებულს, ძალის მოკრების მიზნით, ექიმის დავალებით, ვარიან ნახარში შესთავაზეს, არ შეჭამა მეფემ. და, რა თქვა თუ იცი: „მე ეს, რომ შევჭამო ხალხი გაიგებს და ერი გაირყვნებაო“. ესენი კი ერს არაფრად არ აგდებენ... ეს კიდევ რა, თავისი შვილების სულის ცხონებაზეც არ ზრუნავენ, – და, ზაქარიამ, უიმედობის ნიშნად, ხელი ჩაიქნია.

– კარგი ნუ აყვები ნერვებს... ჩვენ, ჩვენი გზა გვაქვს... კარგი, დროებით, თორემ აქ პოლემიკა გაიმართება, – დაემშვიდობა დავითი, კიდევ ერთხელ შეაფლო თვალი კაქტუსის ეკალზე ჩამოკიდებულ თამარის თმის სამაგრს, და ოთახში შევიდა.

ფანჯარაში ღოთის შვილმა გამოიხედა.

– ეი, მენაგვევ! გამოცანა თუ დაწერე? – მხიარულად შეეხმინა პოსლიკა ზაქარიას.

ღოთის შვილის დანახვაზე ზაქარიას გაეღიმა, ახედა და ჰკითხა:

– მოდი გინდა გარიგება დავდოთ, თუ ვერ გამოიცნობ გამოცანას, მაშინ ამ პლაკატებს შენ ჩამოხევე, თუ არადა მე. – და დავითმა სახლის კედელზე გაკრულ პოლიტიკოსების პლაკატებისკენ გაიშვირა ხელი.

– გამოვიცნობ, – შეურაცხოფილად იგრძნო თავი ღოთის შვილმა.

– კარგი მაშინ ყურადღებით მომისმინე, – და ზაქარიამ გამოცანა ჰაერის ნაკადის ლამბაქზე შემოდო და აუგზავნა:

ჭყვიტინებს და წიკვინებს  
ყველას დედას უტირებს,  
ერთი ციცქნა ქალია,  
მაგრამ, ძაან ავია.  
უყვარს - ნორმა, კანონი!



სძულს - პარატაქსისი.  
უკვირს - პარაფიმოზი  
და მეძავის პათოსი.

- ეს ძალიან ზოგადი გამოცანაა, - გააპროტესტა ლოთის შვილმა.

- არაფერი ზოგადი არაა, - არ დაეთანხმა დარია ექიმი, რომელიც დიდიდან ყურს უგდებდა ზაქარიას და დავითის საუბარს.

- არ არის ზოგადი, - დაეთანხმა ესმა ონიანი, რომელიც სახატავ ფუნჯებს დილის მზის სხივებს უშვერდა... ეტყობოდა ჩაღისფერი სჭირდებოდა.

- ეეე, ახლა ნუ წუნკლობ და ქვეშიდან არ გამოხვიდე, წააგე და შეასრულე. მიდი, მიდი დროზე, ჩამოდი და ჩამოხიე პლაკატები, - ასძახა დათომ, რომელსაც ძალღი გამოეყვანა სასეირნოდ და იქვე მყოფ ალეკოს ესაუბრებოდა.

- ესეა, ესე, - დაემოწმა ალეკოც.

სხვა რა ძალა ჰქონდა ლოთის შვილს დაემორჩილა ერთობლივ გადაწყვეტილებას და ბუზღუნით მიმართა დათოს:

- კარგით ჩამოვაღ და ჩამოვხევე. - და, მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი პოსლიკაც გამოჩნდა, და პირველივე საარჩევნო პლაკატი ჩამოგლიჯა, რომელიც მის სადარბაზოს შესასვლელ კარებთან იყო გაკრული, ასე ხევა-ხევით ჩაჰყვა მთელ ქუჩას, ხოლო, როცა ინჩ-რუს-უზუმეს მომხრეთა პარტიის წარმომადგენლების პლაკატებს მიაღმა - ყვირილი შემოესმა, აშკარად მისი მისამართით ყვიროდნენ:

- ეი შენ, მოლაღატე!

- აგენტო!

- მოგ ზაენილო!

- ნაგაგო!

- თავპირს დაგიმტვრევ!

პოსლიკამ იქითკენ მიიხედა საიდანაც ყვირილის ხმა მოდიოდა და შეცბა, მისკენ ხის კეტებით შეიარაღებული ახალგაზრდა გობიბიჭების დიდი ჯგუფი მოიმართებოდა.



– აბა დროზე თავს უშეველე! – დაუყვირა ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან ალექომ.

ალექოს დაძახებაზე, პოსლიკა ადგილიდან მოწყდა და თავქუდმოგლეჯილი სახლისკენ გაიქცა, ძლივს შეასწრო სადარბაზოში ხის კეტებით მომართულ ბრბოს.

– გიჟებო! გიჟებო! – ყვირილი ატეხა დაირა ექიმმა და შვეებით ამოისუნთქა, როცა პოსლიკა სამშვიდობოს დაიგულა.

ქალაქმა გაიღვიძა, ჩაღისფერი დილა ნელ-ნელა გაღიავდა და დაიწყო ჩვეულებრივი გადარეული დღე, დღე სხვადასხვა მოულოდნელობებით, სიხარულით, სინანულით და გულის ტკივილებით. მხოლოდ, სემინარიაში იღვა სიმშვიდე, სადაც ბავშვები მერხებს მისხდომოდნენ და გაკვეთილის დაწყების ზარის მოლოდინში ერთმანეთთან საუბრით თავს იქცევდნენ.

ამირანს, პირველი გაკვეთილი ფიზიკის ჰქონდა, ბავშვებს განსაკუთრებულად უყვარდათ ეს საგანი და მასწავლებელი, ამიტომაც ყოველთვის სულმოუთქმენლად ელოდებოდნენ მის გამოჩენას, და როცა კლასში თმა აბურძგნული, აჩაჩულ-დაჩაჩული ფიზიკის მასწავლებელი შემოვიდა ყველა გამხიარულდა. მასწავლებელმაც იგრძნო ბავშვების სიყვარული. გაეცინა, მოულოცა ურჩხულზე გამარჯვება, მერე ცოტახანით ჩაფიქრდა... და ბავშვებს სთხოვა:

– მოდით, წუთიერი დუმილით მოვიგონოთ მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელი, – და თვითონაც დადუმიდა.

ბავშვები, მოგონების პატივისცემის გამოსატვის ნიშნად ფეხზე წამოდგნენ და იმ ფანჯარას მიაშტერდნენ საიდანაც ბუხის სახით შენიღბული ურჩხული შემოფრინდა.

– ჩვენი მასწავლებელი ახლა ზეციდან გადმოგვყურებს და ამაყობს ჩვენით, – აღელვებულმა თქვა მედეამ.

– გეთანხმები, – დაეთანხმა ფიზიკის მასწავლებელი და ბავშვებს დასხდომა სთხოვა.

დუმილი ისევ ფიზიკის მასწავლებელმა დაარღვია:

– დღეს, ჩვენ, საუბარი გვექნება იმ ფიზიკურ მოვლენებზე, რომელიც უხილავია ადამიანის თვალისათვის, აი მაგალითად ადამიანი ვერ ხედავს იმ კრისტალებს, რომლებიც ავსებენ ჩვენს გარემოს. ჰაერის კრისტალური აგებულება დასტურდება: ჭექა-ქუხილი-



სას ელევის ზიგზაგისებური გავრცელებით და მისი თანაბარი კუთხით გარდატეხვით, ცისარტყელას წარმოშობით, თოვლის ფიფქის კრისტალური მოხაზულობით, კოსმოსური სხეულების ვარსკვლავისებური ნათებით. ჩემო კარგებო, ცაზე მანათობელი ვარსკვლავების შუქი იშლება ჰაერში არსებული კრისტალების წიბოების გასწვრივ და ჩვენ გვექმნება ვარსკვლავისებური ნათების ილუზია. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრონათურის სხივზე, თუ კი მას შორიდან დავაკვირდებით. – ფიზიკის მასწავლებელი მისთვის ჩვეული დამაჯერებელი ტონით ხსნიდა გაკვეთილს. – მაგრამ, ბავშვებო ჩნდება ასეთი კითხვა, როგორი გავრცელება აქვს მზის სხივს ჰაერის კრისტალურ გარემოში? – ფიზიკის მასწავლებელი წამიერად შეყოვნდა და ბავშვებს ჰკითხა: – გაქვთ ამ კითხვასთან დაკავშირებით პასუხი, არა, არც მეცნიერებს. ჩემი მოსაზრება კი, ასეთია, – და უფრო მეტად დამაჯერებელი ტონით განაგრძო საუბარი, – მზის სხივი გონიერი და ცოცხალი სუბსტანციაა, ის არა მარტო ვრცელდება ჰაერში არსებული კრისტალების წიბოების გასწვრივ, არამედ კრისტალის გარე გარსთან შედის რეაქციაში და მის გულს მუხტავს. ამ დროს წარმოიქმნება დადებითი და უარყოფითი ველი და, თუ ეს პროცესი ძალიან ინტენსიურია და ამასთან მიმდინარეობს დაბალი ტემპერატურის პირობებში, რის გამოც სივრცეში კრისტალების გადაადგილების სიჩქარე კლებულობს, მაგნიტური ველი ხილული ხდება, ეს მოვლენა ადამიანებმა დააფიქსირეს ჩრდილოეთ პოლუსზე და მას ჩრდილოეთის ციალი შეარქვეს - თუ გახსოვთ ამაზე მე თქვენთან უკვე მქონდა საუბარი, ოღონდ სხვა წარმოსახვიდან. კარგი... გარდა ამისა, კრისტალებს გარს აკრავს გაზისმაგვარი გარსი, რომელიც სხვადასხვა ბუნებისაა, ხოლო კრისტალის ბირთვის ახასიათებს პირდაპირი და უკუპიეზოეფექტი. მაღალი წნევის ზემოქმედების შემთხვევაში კრისტალის ბირთვი იკუმშება და წარმოქმნის ელექტრონულ ველს, რომელსაც კრისტალი, მექანიკურ რყევაში მოჰყავს. და, კიდევ რა მინდა გითხრათ, თქვენ ხშირად წვიმის შემდეგ ცაზე ცისარტყელა შეგიმჩნევიათ. ეს ფერადი ზოლები მაშინ წარმოიშვება როცა ჰაერში არსებული კრისტალების ზედაპირები სველია და ჩვენი მხედველობის არეალის მიმართ გაშლილი კუთხით არიან განლაგებული, ხოლო მზის სხივები მათ ზედაპირს მახვილი კუთხით ეცემა. გახსოვდეთ, ბრილიანტი მაშინ აირე-



კლავს სხივებს, როცა შუქი მის ზედაპირს მახვილი კუთხით ეცემა და თუ ბრილიანტების მწკრივს შეეკმნით, ხოლო სხივს მახვილი კუთხით მივანათებთ, ჰაერში მივიღებთ ცისარტყელას მსგავს ეფექტს. – ფიზიკის მასწავლებელმა ბავშვებს გადახედა და იდუმალი ხმით ჰკითხა: – როგორ ფიქრობთ თქვენ, ჰაერში გაფანტულ კრისტალებს როგორი სტრუქტურული აგებულება ექნებათ? – არ დაელოდა ბავშვებს და თავისივე დასმულ კითხვას თვითონვე გასცა პასუხი: – პირამიდის, – და ისევ იდუმალი ხმით ჰკითხა: – გინდათ პირამიდაზე მოგიყვეთ საინტერესო ამბები? – ისევ არ დაელოდა ბავშვების პასუხს და საუბარი განაგრძო: – ეგვიპტეში და სამხრეთ ამერიკაში აგებული პირამიდები ადამიანის ცნობიერების და წარმოსახვითი უნარის უდიდესი შესაძლებლობის დამადასტურებელი ფაქტია. პირამიდას მრავალმხრივი შინაარსობრივი დატვირთა აქვს, სახელდობრ: პირამიდის ფუძის ცენტრი და პირამიდის სამკუთხა გვერდების გამაერთიანებელი ცენტრი აღიქმება როგორც ცის სულიერი ცენტრი და ადამიანის საკრალურ ცენტრთან არის გაიგივებული, და ეს არის ყოფილიდან. როგორც თქვენთვის ცნობილია პირამიდა ეს არის ოთხი სამკუთხედის ნაერთი ზემოთ გაერთიანებული და წვერით ცისკენ აღმართული, ხოლო ოთხი გამრავლებული სამზე თორმეტის ტოლია, რაც ქრისტეს თორმეტი მოციქულის რაოდენობას შეესაბამება. ხოლო ორი ცენტრი კი ქრისტეს ორბუნებიანობას ასახავს. ცის სულიერ ცენტრსა და ადამიანის საკრალურ ცენტრს შორის კავშირში ჩართულია მზე. მზე, მზის გალაქტიკის მთავარი ენერგონინფორმაციის გენერატორია, ის შედგება გაიშვიათებული გარე გარსისაგან, რომელიც წარმოადგენს ენერგონინფორმაციის სფეროს და რომელიც კოსმოსის შესახებ მთელ ინფორმაციას შეიცავს. გარე გარსი, ასევე, წარმოადგენს მზის თვალს, რომელიც აწვდის ინფორმაციას გენერატორს. თავის მხრივ გენერატორი კოსმოსში ახორციელებს ენერგონინფორმაციის გაცვლით პროცესს, კოსმოსში გაიტყორცნის ინფორმაციით გაჯერებულ უმცირეს ნაწილაკებს და ამასთან შთანთქავს ყველა იმ მატერიალურ სხეულს, რომელიც კი, მას მიუახლოვდება – ამ საკითხზედაც გესაუბრეთ. იმედია გახსოვთ? და გეთანხმებით, რომ წინა ახსნა მოკლებული იყო თეოლოგიურ ხედვას – ცოტახანი, დაახლოებით ერთი წუთი, შეისვენა ფიზიკის მასწავლებ-





ელმა და განაგრძო: – მზეს ასევე გააჩნია აზროვნების ენერგოსაინფორმაციო სფერო. ეს სფერო ინფორმაციას ფლობს მატერიის მქონე ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, აკონტროლებს მათ სასიცოცხლო ციკლს და აწვდის საჭირო ენერგოინფორმაციას. მეცნიერებმა მას ფოტონები შეარქვეს. დაბოლოს, მზეს კიდევ გააჩნია ფიზიკური სფერო ანუ მზის ბირთვი, რომელიც კოსმოსში არსებული ფიზიკის კანონების კორექტირებას ახორციელებს. – გაქვთ შეკითხვები? – ამჯერად დაელოდა ბავშვებს.

– რამდენად აქტიურად არის ჩართული ადამიანი ბუნებაში მიმდინარე პროცესებში? – კითხვა ცოტნემ დაუსვა.

– იმდენად რამდენადაც მას ამის უფლება ღმერთმა მისცა, – უპასუხა ფიზიკის მასწავლებელმა და განაგრძო: – იცოდეთ, სანამ ადამიანი გაანალიზებს რაიმე პროცესს და გააკეთებს შესაბამის დასკვნას, სამყაროში უკვე ყველაფერი შეცვლილია და საუკუნეებია გასული. მაგალითად, ხშირია, როცა ადამიანი, რაიმე ხელსაწყოს დახმარებით - მოცემულ დროში, აკვირდება რომელიმე ნაწილაკს, ხდება საოცრება, ნაწილაკი ქრება, სინამდვილეში ნაწილაკი არ გამქრალა, მხოლოდ მისი ტრანსფორმაცია მოხდა, უბრალოდ ხელსაწყოს მგრძობიარობა უკვე არასაკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს ტრანსფორმირებული ნაწილაკის აღქმა, კიდევ ერთი მაგალითი: ასტრონომი აკვირდება და სწავლობს შორეულ ვარსკვლავს, რომელიც შესაძლოა დიდისნის ჩამქრალია და ასტრონომამდე მხოლოდ მისი საუკუნეების წინანდელი ნათება აღწევს. მანძილს ჩამქრალ ვარსკვლავსა და დამკვირვებელს შორის წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კოსმოსის ხაზი“ და არის ის მანძილი, რომელიც იზომება ობიექტის ტრანსფორმაციისა და დამკვირვებლის აღქმის დროით, მაგრამ თქვენ იცით, რომ დრო არ არსებობს, ამდენად დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ.

– პატივცემულო, – და ხელი მაიამ აიწია.

– გისმენ მაია, – მორიდებით მიმართა ფიზიკის მასწავლებელმა და აბურძღვულ თმაზე ხელი გადაისვა.

– თქვენს მიერ აღნიშნული კოსმოსური ხაზები ბევრია სამყაროში? – მორიდებულად იკითხა მაიამ.

– ასეთი „კოსმოსური ხაზები“ სამყაროში უამრავია და ტალღისებრ მოძრაობაში იმყოფებიან, ერთის ამოძრავება იწვევს მეორეს ამოძ-



რავებას. ამ ხაზების ურთიერთზემოქმედების ხარისხი მაღალია. და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი ხაზები უამრავია, რომლებიც ქმნიან კოსმოსურ ბაღეს და მუდამ ურთიერთზემოქმედების პროცესში არიან, მაშინ გასაგები ხდება, ის თუ რატომ იმყოფებიან ერთ სივრცეში წარსული, აწმყო და მომავალი. და, თუ კოსმოსში დრო ნულის ტოლია, ჩვენთვის პროცესები უსასრულო ხდება... – ფიზიკის მასწავლებელი ისევ ჩაფიქრდა... ფიქრებით სხვა სამყაროში წავიდა, და როცა დაბრუნდა განაგრძო: – და, აი, კიდევ რა მინდა გითხრათ ბავშვებო, სამყარო და მასში მიმდინარე პროცესები იმდენად ჰარმონიულია და კანონზომიერი, არ შეიძლება ყოველივე ეს შემთხვევითობას მივაწეროთ. მიზიდულობა, ელექტრომაგნიტიზმი და სამყაროში მოქმედი სხვა პროცესები სიცოცხლის არსებობისათვის იდეალურ გარემოს ქმნიან, სადაც ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თითქოს ეს ყველაფერი მისთვისაა შექმნილი, რომ მან თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულოს. და, კიდევ: მეცნიერების გარკვეული ნაწილი სამყაროში მიმდინარე პროცესებს წარმოსახავენ როგორც კაცობრიობისათვის საშიშ მოვლენას. მაგალითად, ინგლისელი ფიზიკოსის, დორტმუნდის კოლეჯის პროფესორის რობერტ კოლდველის მოსაზრებით სამყარო ან უსასრულოდ გაფართოვდება და თანდათანობით გაცივდება, ან შეიკუმშება ზემოკრივ წერტილში, რომელიც ახალი აფეთქების და სამყაროს ხელმეორედ წარმოშობის მიზეზი გახდება... ჰოო, მართალია მეცნიერებს დამაფიქრებელი არგუმენტები მოჰყავთ, – ისევ ჩაფიქრდა მაგრამ ამჯერად სწრაფად დაუბრუნდა საუბარს: – და, მაგრამ... თუ მაინცდამაინც არ იშლიან და ამტკიცებენ, რომ სამყარო ფართოვდება ან იკუმშება, მაშინ აღნიშნულთან დაკავშირებით, მე ჩემს მოსაზრებას, წარმოვადგენ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: – და ფიზიკის მასწავლებელმა დამაჯერებლად დაიწყო საუბარი: – ჩემი მოსაზრებით, ღმერთის ნებით, ამჟამადაც მიმდინარეობს სამყაროს და მასში შემავალი გალაქტიკების გაფართოების პროცესი და როცა იგი მიაღწევს გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს, მისი გაფართოება შეჩერდება. ამ პროცესს თანახლავს მზის და მზის მსგავსი გალაქტიკების დაახლოება, და როცა სამყარო გაფართოების ზღვარს მიაღწევს დიდი ხნით ჩამოყალიბდება უძრობის პერიოდი. უძრობის პერიოდი გაგრძელდება მანამ სანამ არ



დამთავრდება ენერჯის შთანთქმა, რომელსაც მოჰყვება უკუპროცესი ანუ შეკუმშვითი პროცესი, რომლის კვალობაზე დაიწყება მზის და მზის მსგავსი გალაქტიკების დაცილების პროცესი. როცა შეკუმშვა მიაღწევს გარკვეულ ზღვარს ანუ მზის გალაქტიკები იმდენად დაცილდებიან ერთმანეთს, რომ მათ შორის კავშირი გახლეჩვის პირამდე მივა, დაძაბულობის ძალა სამყაროს აიძულებს ისევ დაიწყოს გაფართოება და ეს პროცესი დროში და სივრცეში უსასრულოა. და, თუ სამყაროში პროცესები იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ იგი ჩვენთვის შეუგრძნობადია ანუ ნულის ტოლია, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მოვლენებს გვიან აღვიქვამთ და ჩვენი მტკიცება იმის შესახებ, რომ ამჟამად მიმდინარეობს სამყაროს გაფართოება ან შეკუმშვა არასწორია, რამეთუ იქნებ, შეკუმშვა ან გაფართოება გუშინ დასრულდა. ამდენად, არ ვიზიარებ სამყაროს აფეთქების ან სხვა მსგავს თეორიებს - და ეს წინა გაკვეთილზე აგისხენით. ბავშვებო, არსებობს მეცნიერების მიერ კიდევ სხვა შიშის მომგვრელი თეორიები, მაგალითად: პოლანდიელი ფიზიკოსი ევროპის კოსმოსური სააგენტოს ექსპერტი პირს ვან დერ მეერი ამტკიცებს, რომ მზე გადახურების ნიადაგზე აფეთქდება და გაანადგურებს დედამიწას, მას ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოჰყავს დიდი აფეთქება, რომელიც მოხდა მზეზე და დაფიქსირდა 2002 წლის პიველ ივლისს. ამ მეცნიერმა, აგრეთვე დაადგინა მზის ტემპერატურის მაღალი ზრდის ფაქტი: მზის ტემპერატურა გაიზარდა ერთნახევარ მილიონ ცელსიუსით. მაგრამ, ჩემი მოსაზრებით ეს სამყაროს გაფართოების თანმდევი ანუ ბუნებრივი პროცესია, რომელიც გამოიწვევს დედამიწის მაგნიტური პოლუსის გადახრას და მაგნიტური ველის გააქტიურებას, დაიწყება მყინვარების და აიზბერგების სწრაფი დადნობითი პროცესები. დედამიწაზე დათბობითი პროცესი გაზრდის წყლის აორთქლებას, ხოლო ორთქლით გაჯერებული ჰაერი დამცავი გარსის სახით გარს შემოერთდება დედამიწას, შეაკავებს მაგნიტურ ქარიშხლებს და დაიცავს მზის მწველი ენერჯისგან. როცა მზის გახურება მიაღწევს კრიტიკულ ზღვარს დაიწყება უკუპროცესი. აი, ზუსტად ისეთივე როგორიც აღწერე სამყაროს გაფართოების და შეკუმშვის შემთხვევაში. და, თუ გჯერათ სულის უკვდავების რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამ შიშის მომგვრელ თეორიებს.

– პატივცემულო, – ამჟამად ხელი ამირანმა აიწია.

– რა გაინტერესებს ამირან? – და სმენად გადაიქცა მასწავლებელი.

– მაინტერესებს, სამყაროს ვითომდაც გაფართოების პირველი წამიერი ბიძგი, რომ არ ყოფილიყო კოსმოსურ სისტემაში ჩამჯდარი? მაშინ მატერია ან თვითონ შთანთქავდა თავის თავს, ან გაიფანტებოდა, ხომ ასეა? ჩემი მოსაზრებით ეს რეალურია, რაც იმას ამტკიცებს, რომ მატერიის შემთხვევით წარმოშობის ალბათობა ნულის ტოლია, რაც ადასტურებს იმას, რომ ქაოსიც არ შეიძლება არსებობდეს და სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი წინასწარ არის გათვლილი, და ბიძგის ანუ სურვილის შექმნელია ღმერთი. ამ ჩემს მოსაზრებას მათემატიკური ფილოსოფიის მასწავლებელი დაეთანხმა. თქვენ?

– მე ვიცი, შენი პოზიცია, და გეტყვი, რომ მეც გეთანხმები, და დავამატებ: სამყაროს შემადგენელი ყველა ელემენტი წარმოიშვა და განლაგდა იმ გასაოცარ პროპორციებში, რომელიც იდეალურია სიცოცხლის არსებობისთვის და პროპორციების მცირედი ცვლილება სამყაროს რადიაციულ გარემოდ აქცევდა ან მასში წყალბადის ელემენტის გარდა სხვა ელემენტი არ იარსებებდა, ესე იგი არ იარსებებდა მზის სისტემა, პლანეტები, და მითუმეტეს დედამიწა. მზის განლაგება, სიდიდე და მისი სხივების ტალღების სიგრძე, წყლის განუმეორებელი ქიმიური და ფიზიკური შემადგენლობა, ჰაერში არსებული გაზების იდეალური პროპორციული თანაფარდობა, კლიმატური პირობები, ყველაფერი ეს შექმნილია სიცოცხლისათვის. ეს იდეალური თვისებები მათშია განლაგებული და მასთან შეხებაში მყოფ არსებულზე ზემოქმედებს, მაგალითად: წყალი სხვა თხევადი ნივთიერებებისგან განსხვავებით ზემოდან იყინება, რაც ხელს უშლის მის მთლიან ყინულოვან მასად გადაქცევას. ეს გარემოება ხელს უწყობს წყლის სიღრმეში სიცოცხლის შენარჩუნებას ანუ სიცოცხლე შეხებაშია წყლის თვისებებთან. და, კიდევ - წყალი ქრისტიანული რიტუალის, ნათლობის მთავარი შემადგენელი ნაწილია ანუ შეხებაშია ადამიანის სულიერ მოთხოვნასთან. გაიხსენეთ! იოანმა, იესო ნაზარეველი წყლით მონათლა.

შუა საუბარში იყვნენ, როცა კარი დედაომ შემოადლო:



– ბოდიში, მაგრამ ზარი სამი წუთია რაც დაირეკა, ბავშვების დასვენების დროა, – მორიდებით მიმართა მასწავლებელს დედაო ქრისტინემ.

– კარგით, დაისვენეთ ბავშვებო, მეორე გაკვეთილიც ჩემი გაქვთ. წყლის ფიზიკურ თვისებებზე ვისაუბრებთ, – გააფრთხილა გასასვლელ კარებთან შეჯგუფებული ბავშვები.

ამირანს ჩვეულებისამებრ საკლასო ოთახის კართან ნინო დახვდა.

– რატომ, დაგაგვიანდათ გამოსვლა? – გაკვირვებულმა იკითხა ნინომ.

– ზარის ხმა კი გავიგეთ, მაგრამ მასწავლებელი ისეთ საინტერესო თემაზე საუბრობდა, რომ ვერ მოვწყდით, – უპასუხა ამირანმა.

– იცი, თურმე წყალსაცავში ქვირითებიდან ლიპსიტები იჩეკებიან, ყველა იქ არის, წავიდეთ! – ნინომ ხელი ჩააგლო ამირანს, და ორივე წყალსაცავისკენ გაეშურა.

სემისარის ბაღში წყალსაცავის ირგვლივ ბავშვები შეკრებილიყვნენ, ისმოდა სიცილი და აღტაცებული შეძახილები:

- შეხედეთ ის ლიპსიტა ყვითელია!
- შეხედეთ, შეხედეთ! მწვანე თეთრი ზოლებით!
- ნახეთ, ვერცხლისფერი!

ახლად გამოჩეკილი ლიფსიტები დაბნეულები დაცურავდნენ წყალში, ზოგიერთი წყლის საზღვარს სცილდებოდა და ჰაერში აღმოჩნდებოდა, მაშინ შემინებულები აქეთ-იქით იწყებდნენ ყურებას, არ იცოდნენ რა უნდა ექნათ, როგორ დაბრუნებულიყვნენ წყალში... ვინ დაეხმარებოდა? მაგრამ, იქვე მყოფი, ჰაერში მოფარფატე ჩიტები, მათ ნისკარტით იჭერდნენ და უკან აბრუნებდნენ.

– ამირან ნახე, ჩვენებიც აქ არიან, – და ნინომ ამირანს სულმნათი და მზეწვია დაანახა, რომლებიც სხვა ჩიტების მსგავსად, ჰაერში გაჭრილ ლიფსიტებს იჭერდნენ და წყალში აბრუნებდნენ.

საერთო მხიარულებაში მონაწილეობდნენ: ჰაერში მოცურავე მიწის ბელტებზე ამოსული ყვავილები და ჯუჯა ხეები. მათ, ცნობისმოყვარეობისაგან კისერი დაეგრძელებინათ დაკიდებულ წყალსაცავისკენ და ყოველ ახლად გამოჩეკილ ლიფსიტას სიხარულით ეგებებოდნენ, რომელსაც ფოთლების შრიალით გამოხატავდნენ. ამ გასაოცარი



სანახაობით აღრფთოვანებული ცისარტყელა, ვნებას ვერ ფარავდა და ჰაერში სხვადასხვა ფერებად იშლებოდა.

გაკვეთილზე შესასვლელი ზარი დაირეკა, მაგრამ არავის არ სურდა ბაღის დატოვება, რის გამოც სემინარიის მოძღვარმა დასვენება იმ დრომდე გააგრძელა სანამ ყველა ლიფსიტა არ გამოიჩეკა. ბოლო ქვირითი კი, ისეთი გამჭვირვალე იყო, რომ შიგ მყოფი ლიფსიტა მთლიანად მოჩანდა, ის შიგნიდან თავგანწირვით ეხეთქებოდა ქვირითის აპკს.... ყოველ დაჯახებაზე ბავშვები შეძახილებით ამხნევებდნენ მას:

- მიდი! მიდი!
- კიდევ ერთხელ!
- მაგრად, უფრო ძლიერად!
- ერთიც სცადე!
- არ დანებდე!

ბოლოს და ბოლოს ლიფსიტამ გახეთქა ქვირითის აპკი და ისეთი სიჩქარით გამოვარდა, რომ ყველას ეგონა, სხვებივით, ჰაერში გავარდებოდა, მაგრამ, სულ ბოლო წამს წყალსაცავისა და ჰაერის ზღვარზე უაცრად შეჩერდა, და ისეთივე სიჩქარით უკან შემობრუნდა, და წყალსაცავის შუა გულში გაჩერდა, მერე წყალსაცავის ირგვლივ თავმოყრილ ადამიანებს თვალი გადაავლო და ეშმაკურად გაუღიმა.

ლიპსიტას ღიმილმა ბავშვები აღაფრთოვანა:

- ნახე რა საყვარელია!
- ვაიმე ძალიან შემაყვარა თავი!
- მოდით ღიმილა შევარქვათ!

არ ცხრებოდნენ ბავშვები, მაგრამ, სემინარიის მოძღვარმა დაპირება შეახსენა:

- აბა პირობა, პირობაა. ჩქარა კლასებისაკენ!

ბავშვებიც დამორჩილდნენ და ყველა თავთავიანთ კლასში გადნაწილდა. კლასში შესულ ბავშვებს მასწავლებლები მომღიმარე სახეებით დახვდნენ.

- დღეს კარგი დღეა, ხომ ასეა ბავშვებო, - მიმართა კლასს ფიზიკის მასწავლებელმა.

- დიახ მასწავლებელო, - ყველამ ერთდროულად უპასუხა, ამ კოლექტიურ თანხმობას ამირანი ჩამორჩა და მისი ხმა სასაცილოდ გაისმა:



– დიახ, დიახ დიაახ...!

ასეთ შეძახილზე ყველას გაეცინა, მათ შორის ამირანსაც.

– კარგით, დაწყნარდით, დავიწყით გაკვეთილი, – და ფიზიკის მასწავლებელმა წყლის უნიკალურ თვისებებზე დაიწყო საუბარი: – ბავშვებო წყალი გაშლილი წიგნივითაა და, თუ შექვლით მისი წაკითხვა, მაშინ სამყაროს მრავალ ამოცანას ამოხსნით. ჩემი დაკვირვებით, წყალი, მრავალმხრივ მიზიდულობას ამჟღავნებს, მაგალითად: ტბის, ზღვის და ოკეანის ღელვისას მთვარის მიზიდულობას; აორთქლებისას – კოსმოსის; წვიმისას - დედამიწის. გაყინულ წყალს შეუძლია შეინახოს ინფორმაცია, ხოლო გაღვლილობას გასცეს, ის ირეკლავს სხივს, და ასევე შთანთქმავს ყველა ფერს - გარდა თეთრისა. მაგიდაზე დადებულ წყლიან ჭიქას თუ მაგიდის ქვევიდან, ჭიქის ცენტრის მიმართულებით, დარტყმას განვახორციელებთ, წყლის ზედაპირზე წარმოიშვება ტალღები, რომლებიც მოძრაობას დაიწყებენ ცენტრიდან გარეთ და მერე ცენტრისკენ, ხოლო თუ ჭიქას შევანჯღრევთ წყლის ტალღები წრიულად, დედამიწის ბრუნვის მიმართულებით იწყებენ მოძრაობას, ტალღების მოძრაობის სიჩქარე დარტყმის ძალის ან შენჯღრევის პირდაპირ პროპორციულია. მაშასადამე: წყალს სამყაროში ყველა მიმდინარე პროცესების წაკითხვის და გადმოცემის უნარი აქვს და რაც ყველაზე უფრო მთავარია გამოსახულების არეკვლის უნარი გააჩნია. ამ თვისებას სხვა მატერიალური სხეული ადამიანის ჩარევის შემდეგ იძენს, მაგალითად: სარკე; წყალს კი, ეს ბუნებრივად გააჩნია. წყალი სიცოცხლისათვის აუცილებელი ელემენტია და სიცოცხლის დამცავი ფუნქცია ავადია. წყალი, მონაწილეობს რელიგიურ რიტუალებში, შეუძლია იარსებოს სამ მდგომარეობაში ანუ სამსახოვანია, გაცხელებისას ან გაყინვისას ფართოვდება ანუ ორივე შემთხვევაში იმეორებს სამყაროს განვითარების არსებულ პრინციპს ანუ ჩვენი სამყარო ამჟამად ფართოვდება. წყლის ეს თვისება იმას ადასტურებს, რომ სამყარო აზროვნების ერთიანი სისტემაა. ბავშვებო, დიდმა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტემ სამყაროს გარდაქმნის ანუ ქცევადობის პრინციპი შემდეგნაირად წარმოგვიდგინა: ცეცხლი, წყალი, მიწა. ამ ფილოსოფოსის გაგებით ცეცხლი ის რეალური არსებაა, რომელიც ვითარდება, გარდაიქმნება. მისი აზრით ყველაფერი რაც არსებობს, ცეცხლიდან არის წარმოშობილი და ცეცხლსავე უბრუნდება.

ჰერაკლიტეს მიაჩნდა, რომ ცეცხლი არ არის დროში წარმოშობილი და ის მარად არსებულია, რაშიც მე გარკვეულწილად ვეთანხმები, რამეთუ ამ მოსაზრებაში კარგად ჩანს ქრისტიანული რელიგიის რიტუალი, რომელიც გამოიხატება ეკლესიაში სანთლის დანთებით. და, ჩემი თხოვნაა თქვენ აზროვნებაში არ დააპირისპიროთ ერთმანეთთან წყალი და ცეცხლი, რამეთუ ორივეს არსებობაში მნიშვნელოვან როლს ჟანგბადი ასრულებს, ეს უკანასკნელი კი, სიცოხლის არსებობის აუცილებელი ელემენტია. – მე დავასრულე, ზარამდე დაგვრჩა შვიდი წუთი. ვის აქვს შეკითხვა? – ღიმილით მიმართა ფიზიკის მასწავლებელმა ბავშვებს.

– მე მაქვს, – და ხელი ამირანმა აიწია.

– გისმენ ამირან,

– პატივცემულო, ჰერაკლიტე მესამე ელემენტს, მიწას, რა დატვირთვას ანიჭებდა?

– ჰო, მართლა კინაღამ გამომრჩა... მიწას ფილოსოფოსი ჰერაკლიტე განიხილავდა როგორც მაცოცხლებელ ძალად.

– მადლობთ მასწავლებელო, – და ამირანს კიდევ სურდა კითხვის დასმა, მაგრამ გაკვეთილის გამოსასვლელი ზარი დაირეკა.

დასვენებაზე ბავშვების ერთი ნაწილი, ისევ ლიფსიტების უცნაური ქცევით ირთობდა თავს, სხვები კი, ჰაერში დაკიდებულ ბელტებზე ამოსულ ყვავილებს რწყავდნენ, ან ცისარტყელიდან ფერად ძაფებს აძრობდნენ, პატარა ბურთებად ახვევდნენ და ხეებზე კიდებდნენ, უმცროს კლასელების უმეტესობა ჩიტებს ხორბლით უმასპინძლდებოდა, ხოლო, ამირანი და ნინო თავის მეგობარ ჩიტებს სასაცილო ამბებს უყვებოდნენ.

– იცი, როცა მე, პატარა ვიყავი, ბებიამ კატის კნუტი მომიყვანა და როცა ახლობლები მეკითხებოდნენ, ეს ვინ არისო? ვეუბნებოდი, რომ ზღაპრიდან გამოპარული ფისო-თქო, – ამ ამბავს ნინო, ისე ყვებოდა თითქოს ყოველივე ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარიყოს.

– ახლა სად არის ის ფისო? – ნიშნის მოგებით შეეკითხა ამირანი.

– ისევ ზღაპარში გაიპარა, – უპასუხა ნინომ და გაეცინა.

– ააა, ამირან წამოეგე ხუმრობას, – გააჯავრა მზეწვიამ.





– ეს რა სასაცილო ამბავია, ეს უბრალოდ ხუმრობაა, აი მართლაც რომ სასაცილო ამბავი, მე გადამხდა. გინდათ მოგიყვეთ? – ჰკითხა მეგობრებს ამირანმა.

– მოყევი, ოღონდ ჩვენს გაცურებას არ შეეცადო, – გააფრთხილა სულმნათმა.

– არა, ეს სინამდვილეში გადამხდა. ერთხელ, მე და მამა ქუჩაში მივდიოდით, მამას მეგობარი შეხვდა, გაჩერდნენ და საუბარი გამართეს, მეც იქვე ვიდექი. ჩვენს გვერდით ერთი ქალი გაჩერდა, რომელსაც ჩემსებლა ბიჭი ახლდა, ოღონდ ქერათმიანი. ქალმა ხელჩანთაში ნივთების ქექვა დაიწყო და როცა წასვლა დააპირა, უყურადღებობით თავისი შვილის ნაცვლად მე წამავლო ხელი, ქერათმიანმა ბიჭმა თვალი ჩამიკრა და მანიშნა - გაჰყევიო, და როცა დაახლოებით ხუთი ნაბიჯით დაგცილდით, ბიჭმა დედას დაუყვირა: „დედა სხვაში რატომ გამცვალე“. შეშინებულმა ქალმა ჯერ მე შემომხედა და მერე თავის შვილს გახედა. კი მიხვდა, ეს ოინი ჩვენ, რომ გავითამაშეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო - ყველა გულიანად ვიცინოდით. ქალი ჯერ უხერხულობისაგან გაწითლდა და მერე თვითონაც გაეცინა.

– იმ ქალს, რომ წაეყვანე... მე რა მეშველებოდა? – გაიხუმრა ნინომ.

– მეც... აბა დღეს ვინ გამაცინებდა, – ხუმრობაში აჰყვა ნინოს მზეწვია.

– ისე, ის ქალი, ქერათმიანი ბავშვის მაგივრად სახლში შავტუხას, რომ მიიყვანდა, საინტერესოა რას ეტყოდა თავის ქმარს... შევლებო ჩვენი შვილი, თუ ბარტერული გაცვლა განგახორციელე, – შესაძლო სურათი წარმოიდგინა სულმნათმა და თავშეუკავებელი სიცილი აუფარდა, რომელიც ჭიკჭიკიან სლოკინში გადაეზარდა.

– მეც გადამხდა სასაცილო ამბავი, – და მზეწვია დაელოდა მეგობრების დაწყნარებას.

– მოგიყევი, მოგიყევი, – ჭიკჭიკიან სლოკინს ძლივს იკაგებდა სულმნათი.

– კარგით მოგიყევით. – ცოტა დამადლებული ტონით თქვა მზეწვიამ და ამბის თხრობა დაიწყო: – იცით თქვენ, გუგუღმა სხვის ბუდეში, რომ იცის კვერცხის დადება და ერთხელ ჩემს ბუდეშიც დადო, როცა ვნახე შევწუხდი, მაგრამ, ხომ არ გადავაგდებდი, რა მექნა ჩემს



ბარტყთან ერთად გამოფრეკე, გაგზარდე და როცა მისი გაფრენის დრო დადგა, დავარიგე: „იცოდე, როცა დედაშენი მოვა, შენს წასაყვანად, არ გაუმხილო, ფრენა რომ გასწავლე, შეაჯექი ზურგზე და ისე გაჰყევი“. და მართლაც როცა დედამისი მოვიდა მის წასაყვანად, ბარტყიც დანაბარებისამებრ მოიქცა. რა ექნა გუგულს აიკიდა ზურგზე გაშვილებული ბარტყი, მეც უკან გავეყევი მაღულად - ფრენა-ფრენით, ვხედავდი რა წვალებ-წვალებით მიიყვანა თავის ბუდედ და როცა ბუდეში უნდა ჩაესვა, ბარტყმა ფრთები შემოჰკრა, აფრინდა, შემოუფრინა ბუდეს და იქვე ხის ტოტზე შემოჯდა. მიხვდა გუგული თუ როგორ გავაცურეთ, მაგრამ რა უნდა ექნა, დარჩა ასე პირმერცხვენილი.

– ძალიან კარგი, ამიერიდან მას, შენს ბუდეში კვერცხის დადების სურვილი არასოდეს გაუნდება, – ამირანს ჯერ გაელიმა, მერე კი გაურკვეველობა გამოეხატა სახეზე და თავისთვის ჩაილაპარაკა: – ნეტავ, სხვის ბუდეში კვერცხის დადების სურვილი რატომ უნდა გაგიჩნდეს?

– შენი ბარტყი სად არის ახლა? – იკითხა ნინომ.

– გაიზარდა და კაბადოკიაში გაფრინდა, ჩვენ ხომ იქიდან ვართ, – უპასუხა მზეწვიამ.

– ზარია, დროებით... მომავალ შეხვედრამდე! – დაემშვიდობა ამირანი ჩიტებს და ნინოსთან ერთად სემინარიის შენობისკენ გაემართა.

ამირანს, ცხრილის მიხედვით, გაკვეთილი ჰქონდა საგანში - „მითოლოგია და რელიგი“. ამ საგანში, გაკვეთილი პირველად უტარდებოდათ და ყველა ცნობისმოყვარეობით ელოდებოდა ახალ, ჯერ კიდევ უცნობ მასწავლებელს. ბავშვებმა დედაოსაგან მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მასწავლებელს ზურაბი ერქვა, და ის რომ, ის ძალიან კეთილი იყო. და მართლაც, ოთახში პატარა ტანის მრგვალი პირი-სახის, მთლად გაჭაღარავებული გრუზა თმებიანი და სუფთად გაპარსული მამაკაცი შემოვიდა. კარის ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა - ბავშვებს მიუსალმა, ყველას გაუღიმა, ისე რომ, არცერთი არ გამორჩინია, და ყოველგვარი შესავლის გარეშე გაკვეთილის ახსნა დაიწყო:

– ბიბლიაში ადამიანთა შორის ურთიერთობა სიკეთეზე და მაღალზნეობრივ კავშირზეა აგებული. მაგალითად, ბიბლიის ოცდამეხუთე თავის მეთოთხმეტე ფსალმუნში ნათქვამია: „თუ გადაწყვიტე ახლობელზე რაიმეს გაყიდვა ან მისგან ყიდვა, ნუ აწყენინებთ ერთმანეთს“. ამ



ურთიერთობაში ჩანს ადამიანის ინტუიციის უმაღლესი მნიშვნელობა, რომელიც ხსნის ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის წესს, ყოველგვარი დოკუმენტური შეთანხმების გარეშე. შემდგომში ეს მცნება ასახვას პოულობს თანამედროვე ბიზნესის მორალში. ასევე, ბიბლიაში კარგადაა გადმოცემული გადასახადების და სამუშაოს საზღაურის წესი, მაგალითად, მეათე თავის, პირველ ფსალმუნში წერია: „დაადო ხარკი მეფე ახაშვეროშმა ქვეყანას და ზღვის კუნძულებს“. ეს კარგია?... თუ ცუდია?... მაგრამ, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ბიბლიური სწავლების მიხედვით ხანმოკლე მიწიერი ცხოვრება არის მზადება მომავალ საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელშიც ყიდვა-გაყიდვა და ფიქრი იმაზე თუ ფული როგორ ვიშოვო - აღარ იარსებებს. ამიტომ თეოლოგიური მოძღვრება სამეურნეო საქმიანობას განიხილავს როგორც დროებით პროცესს, რომლის მიზანს ამ ქვეყნიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს – რასაკვირველია, ნორმის ფარგლებში. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ნივთიერი და არანივთიერი დოვლათი, უნდა შეიქმნას იმ ზნეობრივი მოთხოვნილების ფარგლებში, რომელიც სულის წარწყმედას არ გამოიწვევს და ხელს შეუწყობს ადამიანის სულიერებასთან დაკავშირებულ ისეთი ღირებულებების განვითარებას როგორცაა მეცნიერება, ხელოვნება და ბუნებათსიყვარული. საერთოდ, ცოდნა, სულიერება, გულმოწყალება გამორჩეულად მაღლა დგას ბიბლიაში, ვიდრე სხვა მატერიალური ღირებულებები, და ამასვე ადასტურებს იესო ქრისტეს სიტყვებიც: „თუ გინდა იყო სრულყოფილი, წადი და გაყიდე შენი მამული და დაურიგე მათხოვრებს“. ბიბლიაში სრულყოფილების ცნება მარტო ცალკეული სუბიექტების არეალით არ შემოიფარგლება, იგი მოიცავს საზოგადოებას და უფრო ფართო მასშტაბებსაც კი, მაგალითად: სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას... მაგრამ, სახელმწიფოს სრულყოფილება მისი მოსახლეობის სოციალური, სულიერი, კულტურული და სხვა მოთხოვნების უზრუნველყოფაში ვლინდება, ამიტომაც ეუბნება იესო ქრისტე მასთან მისულ ფარისეველებს: „მიეცი თუ კეისრისა კეისარს და ღვთისა ღმერთს“. ასევე, ძალიან საინტერესოა ბიბლიის იგავები მისი ყოველმხრივი ახსნებით, მაგალითად, ბიბლიის არაერთ იგავშია ნახსენები ვენახი და ღვინო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდში მევენახეობა

კარგად იყო განვითარებული. მაგალითად: ლუკას სახარების, მეხუთე თავის, ოცდამეჩვიდმეტე და ოცდამეთვრამეტე ფსალმუნებში ნახსენებია ღვინო, აი როგორ კონტექსტში: „არავინ ჩაასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, თორემ ახალი ღვინო ტიკებს დახეთქავს, და ღვინოც დაიკარგება და ტიკიც, არამედ ახალი ღვინო ახალ ტიკებში უნდა ჩაისხას“. აქ გააზრებული მინიშნებასთან ერთად მინდა დაეუმატო, რომ ეს იგავი შეიძლება მოვარგოთ იმ ძველ ერს, რომელიც ცდილობს ახალი თვისებების სწრაფად შეთვისებას. – „მითოლოგიისა და რელიგიის“ საგნის მასწავლებელმა უცებ შეწყვიტა თხრობა და ბავშვებს მიმართა: – ვინმეს თუ მიგიღიათ მონაწილეობა ღვინის დაწურვაში?

– მე, პატივცემულო, – და ხელი წაბლისფერთმიანმა ბიჭმა ასწია.

– შენ რა გქვია? – ჰკითხა ზურაბმა.

– გარსევანი. მამაჩემს, აღმოსავლეთ იბერიაში, უფრო ზუსტად კახეთის მხარეში ვაზის დიდი ზოვები აქვს, – უპასუხა გარსევანმა.

– ძალიან კარგი. მოკითხვა გადაეცი მამაშენს ჩემგან, – და, ზურა მასწავლებელმა, ისევ, განაგრძო გაკვეთილის ახსნა: – ბიბლიიდან და მითოლოგიიდან კარგად ჩანს ადამიანთა ქცევის ისეთი ფორმები, რომელშიც კარგად იკვეთება ერის სულიერი სამყარო და ეკონომიკური საქმიანობის სახეობები, მაგალითად, ამირანის მითში მთავარი გმირი, ამირანი, გვევლინება ცეცხლის ღვთაებად, მჭედლების ღმერთად. ეს ჩანს ცნობილი ხალხური ლექსიდანაც. – და, სანამ ხალხურ ლექს იტყოდა: ამირანს გახედა, შემდეგ კი, რიხიანად წარმოთქვა:

როს ჩემი ხმალი წრთებოდა,

ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა,

სამჭედლო ექანებოდა;

მჭედლები, მემჭედლები ერთმანეთს ევარებოდა.

ხალხური ლექსის დამთავრების შემდეგ ისევ ამირანს გახედა და მოფერებით მიმართა:

– მე, გიცნობ შენ ამირან, ერთხელ თქვენთან სტუმრადაც ვიყავი, ჯადოსნურ ტყეში, მაშინ შენ ძალიან პატარა-დიდი იყავი, – გაუღიმა ამირანს და გააგრძელა გაკვეთილის ახსნა: – როგორც



ჩანს, იბერიაში წიაღისეულის მოპოვება პრივილეგიურებულ საქმიანობად ითვლებოდა, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ტიბარენები მოხსენიებულია მოსენიკებთან და ხალიბებთან ერთად როგორც სპილენძის მადნის მომპოვებლები. გერმანელმა მეცნიერმა რუდოლფ ფირხოვმა გამოკვლევების საფუძველზე დაამტკიცა, რომ სპილენძის და ფოლადის მეტალურგიის განვითარების საფუძველი ჩაუყარეს პონტოელთა იბერიულმა ტომებმა ანუ ის გულისხმობდა ხალიბებს და ტიბარენებს. ამასთან მიიწინააღმდეგებოდა, რომ ტიბარენები კოლხ-იბერთა ტომი იყო, ამას პროფესორი ლეონ მელიქსეთბეგიც ამტკიცებს და თავისთავად ძალზე ლოგიკურ, საყურადღებო მოსაზრებას აყენებს, მისი აზრით: „ტიბერნი“ თბილისის ეპონომიაა და ამას ასე ასაბუთებს: „ტიბერნი – ტიბარ – იბერ – ტუბილის – ტობელის – ტბილისი“. ხოლო იმას, რომ მეტალურგია მართლაც კარგად იყო განვითარებული იბერიაში ასევე დასტურდება სვანეთში არსებული მითით, სადაც მოხსენიებულია შავხანი, რომელიც ციური ჯაჭვის და უფსკრულზე გადადებული რკინის ხიდის გამჭვდავი იყო. საყურადღებოა ასევე ისიც, რომ ოქროს მოპოვებისა და წამლების დამზადების საიდუმლოც იბერიასთანაა დაკავშირებული. იასონი, არგონავტების ერთ-ერთი გმირი, სამეფო ტახტის დამკვიდრების მიზნით, ვალდებულია, კოლხეთში ჩავიდეს და შეისწავლოს ოქროს მოპოვების წესი; ამ მიზნის მიღწევას ის მზაკრული გზით ცდილობს, რომელსაც ოქროს საწმისის და მედეას გატაცება მოჰყვება. – ზურაბმა ამჯერად მედეას გახედა, დროებით შეწყვიტა საუბარი, მედეას მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა, მერე ისევ ადრინდელ ადგილს დაუბრუნდა და გაკვეთილის ახსნა განაგრძო: – ბავშვებო, ქრისტიანობის საფუძველები სხვადასხვა ერის მითოლოგიაში სხვადასხვანაირად ვლინდება, მაგალითად ინდოელთა მითოლოგიაში აგნი, მზის სითბოს განსახიერებაა. ამ ღვთაების მისტიკური სხეული შედგება პურისა და ღვინისაგან, ამიტომ მორწმუნენი დღესასწაულზე პურსა და ღვინოს ინაწილებენ ერთმანეთში, რაც ქრისტიანულ ზიარებას მოგვაგონებს. აგნის მსგავსი ღვთაება იბერიაში არის აგუნა, რომელიც ღვინის ღმერთია - ბაკქუსის ორეულია. ხოლო, რაც შეეხება ღვთაება სილენას ის ტყის კეთილი ღემონია, ყურძნის დამწურავი და ბაკქუსის აღმზრდელია. თქვენ იცით, რომ იბერიაში, გარდა ღვინისა ხდებოდა ლუდის წარმოება, კერძოდ ფშავში და ის ღმერთ-

ბის სასმელად ითვლებოდა. ფშავში ლუდს შვიდი მანდილოსანი ამზადებდა - სვიისაგან, მაგრამ, მათ ეკრძალებოდათ მისი დაღვევა, ლუდს მხოლოდ მამაკაცები სვამდნენ. ძველ ინდოეთშიც იგივე ტექნოლოგიით ამზადებდნენ ლუდს და ისინიც მხოლოდ სვიას იყენებდნენ, სწორედ ამ სიტყვისაგან არის შემორჩენილი იბერიულ სამეტყველო ენებში სიტყვა „სმა“. და კიდევ, ასევე საყურადღებოა, შუმერთა ღმერთის სახელწოდება ადაბნა, ანუ დაბა, სვანურად კი ყანა, რომელიც სახნაფსათესთა, დაბასოფელთა მფარველი ღმერთი იყო. ასევე, კოლხთა მიწის მფარველია ღვთაება ოდი, ამასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ ფილოსოფოს შტაინერის მიხედვით გერმანელუბის ღმერთი ოდინი, წარმომავლობით კოლხეთიდანაა. ხოლო, დასავლეთის მითოლოგიის ღმერთი - გა, რაც სვანურად არის გაიმ, ნიშნავს დედამიწას, რომელიც უძველეს იბერიულ სიმღერებში მოიხსენიება და დაკავშირებულია დედამიწის განაყოფიერებასთან. და, აი, კიდევ რა: ეგვიპტელების ნაყოფიერების ქალღმერთი ისიდა, იბერიელი პტახის ქალიშვილი იყო, ხოლო პტახიმ დაარსა ეგვიპტე. ხოლო, ეგვიპტელების ღვთაება ენქიდუ ანუ უფალი მიწა, არის ეფუთის სახელიდან ნაწარმოები. – ზურაბიმ მაჯის საათს დახედა და მიერ ბავშვებს მიმართა: – ხომ არ დაგლაღეთ ან კითხვა ხომ არ გაგვთვინმეს? მაგრამ, მანამდე მინდა ავლნიშნო, რომ ჩემს მიერ დასახელებული ღმერთები მხოლოდ მითოლოგიური ღმერთებია. – და ბავშვებს დაელოდა.

– მე მაქვს, – ხელი აიწია ნესტანმა. – მე ნესტანი მქვია, – თან თავიც წარუდგინა.

– გისმენ ნესტან! თუ, ნეფერტიტა, – გაეხუმრა ზურაბი. მაგრამ, იქნებ მართლაც ასეა? – თავისთვის გაიფიქრა.

– პატივცემულო, კი მაგრამ ღმერთი ხომ ერთია, და ეს თქვენს მიერ დასახელებული სხვადასხვა ღმერთები რაღაა? მართალი გითხრათ ეს კითხვა სხვასაც დაუუსვი, მაგრამ, თქვენი მოსაზრება მაინტერესებს, – ცოტა ირონიული ტონით დასვა კითხვა ნესტანმა.

– ხომ გითხარით, კარგი... სხვამ რა გიპასუხა არ ვიცი, მე კი მოგახსენებ, რომ ჩემს მიერ დასახელებული ღმერთები, ადამიანების მიერ არის გამოგონილი, ან ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისაც ხალხზე დიდი ზეგავლენა ჰქონდათ და ხალხმა ისინი ღმერთებად შერაცხეს, აი მაგ-



აღიბდა: ეგვიპტის ქალაქს ჰელიოპოლისს ადრე ერქვა „ონი“, მისი ამგები იბერიელი კაცი სახელად ონი იყო, მან ქალაქი ააგო მაგემილუმის პატივსაცემად. შემდეგში, ეგვიპტელები ონისს, ღმერთკაცად მოიხსენიებენ. საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ამ მშენებლის სახელი და გვარი იბერიულად ასე ითარგმნება: „სიზმარი მე ამისრულდა“.

– „ონი“, პატივცემულო ქალაქია რაჭაში, – ზურაბს საუბარში ჩაერთო ნესტანი.

– გეთანხმები, – და ზურაბმა საათზე დაიხედა, შემდეგ კი ბავშვებს მიმართა: – ბავშვებო ახლა ზარი იქნება. – და, მართლაც, რამდენიმე წამში ზარიც დაირეკა.

მასწავლებლის გასვლისთანავე, ამირანმა სასწრაფოდ აკრიფა თავისი ნივთები, მას სურდა, რომ ნინოსათვის დაესწრო და ამჟამად თვითონ დახვედროდა საკლასო ოთახის კართან, მაგრამ, კარის ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, პირდაპირ ნინოს შეეჯახა. მოულოდნელობისაგან შეცბა, მისი მცდელობა გამუდმდა, და მის დაბნეულობაზე თანაკლასელებს გაეცინათ. გაწბილებულმა ამირანმა უხერხულობა იგრძნო, ნინოს სასწრაფოდ ჩანთა ჩამოართვა და ქუჩაში გასასვლელი კარისკენ გაემართა. ნინო სიცილ-სიცილით უკან აედევნა. როცა მართამ ახითხითებული ნინო დაინახა ჰკითხა:

– რა მოხდა ბებო?

– არაფერი, – სიცილით უპასუხა ნინომ და მერე დავითს მიესალმა.

– მაინც, მაინც, – ახლა დავითი ჩააუნდა ნინოს.

– კარგი რა მამა, მე მოგიყვები, – ნინოს მაგივრად უპასუხა ამირანმა.

– კარგით, – დაეთანხმა დავითი და ამირანს ჩანთა გამოართვა, ხოლო ამირანმა ნინოს თავისი ჩანთა დაუბრუნა, თანაც შეახსენა: – კვირას გელოდებით.

– აუცილებლად მოვალთ, – თითქმის ერთდროულად უპასუხეს ქალბატონმა მართამ და ნინომ.

– კარგით ხვალამდე, – ერთმანეთს დაემშვიდობნენ, და როგორც ყოველთვის, ერთმანეთში მოლოდინი და სითბო დატოვეს.

– ამირან წავიდეთ, ჩქარა! – დააჩქარა დავითმა ამირანი.

– რა მოხდა მამა? – იკითხა ამირანმა.



– ბაღში ჩემი ლექტორის სკამი დავინახე, მაგრამ თვითონ არ ჩანს. სახლში მინდა ავაკითხო, – აღელვებულმა უპასუხა დავითმა შვილს.

– დედამ იცის, რომ დავაგვიანებთ? არ შეეშინდება? – იკითხა ამირანმა.

– კი, დაგურეკე, – მოკლედ უპასუხა დავითმა.

მამა-შვილი იმ ეზოში შევიდა სადაც პროფესორი ცხოვრობდა. ეზოში მათ ქერათმიანი ქალი მიეგებათ. ამ ქალის განწყობიდან აშკარად იგრძნობოდა, რომ დავითის გამოჩენას ელოდა.

დავითმა იცნო ქალბატონი ზინა, რომელიც ხშირად სტუმრობდა პროფესორს, ის სახლს ულაგებდა, სარეცხს ურეცხავდა, აჭმევდა და ყველაფერ ამას უანგაროდ აკეთებდა.

– დავით! ვიცოდი, რომ მოხვდი, – გამარჯობისა და ყოველგვარი შესავლის გარეშე მიმართმა ზინამ დავითს, და გასაღები გაუწოდა, – აი, შენ გასაღები, მე დამიტოვა შენთვის გადმოსაცემათ, თვითონ კი, წავიდა, გაქრა... – აღელვებული საუბრობდა ზინა.

– სად წავიდა? – იკითხა დავითმა.

– იცი რა მითხრა, მაღალ მთაზე უნდა ავიდეთ და, იქ, შევხვდეთ ჩემს ბოლო წუთებსო. მე მეგონა ხუმრობდა, გასაღები სიცილით გამოვართვი, მაგრამ, როცა, ამ დილით ვეღარ დავინახე, მივხვდი – თურმე არ ხუმრობდა. ჰო, კიდევ რა მთხოვა იცი? – „დავითისა და მისი შვილის გარდა ოთახში არავინ არ შეუშვა“. და, აი, კიდევ რა მითხრა: „ისინი აუცილებლად მომაკითხავენ, მათ წერილი და ნივთები დაუტოვე და აუცილებლად წაიღონ, მერე კი დაკეტე ოთახი, რომ იქ მოგონებებმა მშვიდად იცხოვრონ“. – და, ზინას, თვალებზე ცრემლი მოადგა.

დავითმა ზინას გასაღები გამოართვა, ამირანს ხელი მოხვია და ორივე მრგვალი ეზოს ბოლოში, კედელს აყოლებულ ხის კიბეს აუყვნენ. დავითმა, გასაღები კარს მოარგო გადაატრიალა, და კარი შეაღო. ოთახიდან სევდით გაჟღენთილი ჰაერი გამოვარდა. მამა-შვილი ოთახში შევიდა. დავითმა მრგვალ მაგიდაზე კონვერტი დაინახა, მიუახლოვდა, ფრთხილად იაღო, გახსნა, ამოიღო ოთხად დაკეცილი ფურცელი და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:





– „ჩემო დავით მაგიდაზე დევს შანდალი, ვერცხლის ლანგარი და ჩემი წიგნი. წიგნის უკანა ყდის შიდა გვერდზე ახალგაზრდობის დროინდელი ლექსი მიწერია. ნივთები, აუცილებლად სახლში წაიღე, გთხოვ გაუფრთხილდი. ხოლო, ბოლო ლექსი, ფურცელზე დაწერილი, - ხმამაღლა წაიკითხე, ამ კედლებმა და, შენმა შეიღმაც, რომ გაიგონონ. პატივისცემით“.

– რა ლექსია მამა? – იკითხა ამირანმა.

– აბა რა ვიცი, მომისმინე და გაგიგებთ, – დავითი ისე საუბრობდა თითქოს ყელში მშრალი ბურთი ჰქონდა გაჩხერილი.

სიღარიბისგან ეს ჩემი სახლი  
დამსგავსებია სოროს,  
მაგრამ, ამ სახლში ყველა ნივთი  
მოგონებებით ცხოვრობს.

აგერ, დედის ხელჩანთა და თმის სამაგრი.

იქ დევს - მამის სათვალე, პირის საპარსი.

კარადაშია - ბებიას ძველი ვერცხლის ლანგარი,

წიგნის თაროზე მოჩანს შანდალი,

ზედ აწერია: „რუსკა, გზას გაგინათებს ბნელში“.

კიდევ რა მახსოვს იცით?! ჩემს სახლში,

ბევრი ბავშვები და კედლებზე მათი ნაჩხაპნი.

მე, ისიც მახსოვს, თუ როგორ გაქრა:

დიდი ბებიას ვერცხლის კოვზები,

მერე ჭურჭელი,

ბოლოს წიგნები.


სიღარიბისგან ეს ჩემი სახლი

დამსგავსებია სოროს,

სამაგიეროდ აქ ყველა ნივთი

მოგონებებით ცხოვრობს!

დავითმა, როცა ლექსის კითხვა დაასრულა მძიმედ ამოისუნთქა, ფურცელი დაკეცა და შარვლის ჯიბეში ჩაიღო.

ამირანმა მამას ახედა, შეატყო, რომ უჭირდა ოთახში გაჩერება და თხოვნით მიმართა: 

– მამა, გთხოვ ავიღოთ ეს ნივთები და წავიდეთ სახლში.

– ჰო მამა, წავიდეთ, – დავითმა აიღო ნივთები და გასასვლელი კარისკენ გაემართა. ამირანიც უკან გაჰყვა, მაგრამ უცბად შემოტრიალდა ჯიბიდან სოსო ნათლიას მიერ ნაჩუქარი ჯაყვა ამოიღო გახსნა, მაგიდასთან მივიდა და შუაგულში დაარტო, მერე მამას მიმართა: – სოსო ნათლიას გაუხარდება, რომ მისი ნაჩუქარი ჯაყვა ტკბილი მოგონებების მონაწილე იქნება.

დავითი მიუხვდა ამირანს, თავზე ხელი გადაუსვა და ანუგეშა:

– ნუ გეშინია სოსო ნათლიას არ გაუჭირდება ჩვენ ვყავართ გვერდით.

მამა-შვილმა კედელზე არეკლილი ლანდებივით დატოვეს ოთახი. ეზოში მათ, ზინა ელოდებოდათ, რომელიც ჩამოღვენთილი სათელივით იდგა. დავითმა გასაღები გადასცა ზინას, და მამა-შვილი სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა, მიდიოდნენ ჩაფიქრებულები, მღუმარების შარავანდელი ედგათ თავზე, თავჩაქინდრული მიდიოდნენ იქ სადაც თამარი და ერთგული მეგობრები ელოდებოდნენ, მაგრამ რა ეთქვათ მათვის, რა?...

ამირანმა, ღამე თითქმის თეთრად გაათენა, ცდილობდა პროფესორის წიგნის ბოლოს დაწერილ ლექს ჩაწვდომოდა, მაგრამ ეკრძალებოდა, ბოლოს გადაწყვიტა კასრისთვის წაეკითხა:

მე მივდიოდი ქუჩაში მარტო,  
თან მომყვებოდა ფერმკრთალი ლანდი,  
აღბათ ფორტუნამ, თუ მიმატოვა  
და უიღბლობამ დამადო თვალი.

ქუჩის ბოლოში დამიცდა ფეხი,  
უცნობმა ბედმა ჩამავლო ხელი  
წამომაყენა, მტვრისგან გამწმინდა,  
გამამხნევა და უკან გამომყვა.

აღარ ვარ მარტო ამ სამყაროში  
და უიღბლობა მომცილდა, გაქრა,  
ისევ დავდნები ჩემს ოცნებაში  
და გამიტაცებს ფიქრების აფრა.



კასრმა მოისმინა, ამოიოხრა, და ამირანს სთხოვა:

– მოდი დავიძინოთ, თორემ დაგვათენდება.

– კარგი, – დათანხმდა ამირანი, და ძილს დაემორჩილა.

ძილმა კი, ღამის მიერ მოტანილი სიზმარი შეაპარა გონებაში; და, ხედავდა ამირანი: თეთრად მოელვარე ქუჩაში მიმავალ პროფესორს, რომელიც თეთრ გუნდათ შეკრულ სიკეთეს ურიგებდა ყველა იმ ადამიანს, ვინც კი ოდესმე დახმარებია.

### მხიარული დილა



ღამემ აქეთ-იქით მიმოიხედა, შიში ჰქონდა დილა ჩუმად არ მიპარვოდა და როცა ვერ დაინახა გაუკვირდა, შვებით ამოისუნთქა, წელში გასწორდა და, როცა თავი არხეინად იგრძნო, სწორედ მაშინ შემოესმა სტვენის ხმა, ზევით აიხედა და რას ხედავს, დილა ბროლისფერ ღრუბელზე ჩამომჯდარიყო და იქიდან დამცინავად გადმოჰყურებდა, ღამემ ერთი მძიმედ ამოიოხრა და დილას ასძახა:

– რა იყო რას დამსტვინე ზემოდან, და რომ შემომჯდარხარ მანდ ნარცისივით, ჩამოდი და მოხედე აქაურობას.

დილას ღამის გაბრაზებულ კილოზე გაეცინა და უპასუხა:

– კარგი რა... ნუ ბრაზობ, რას ბუზღუნებ. ჰო მართლა, გინდა გუშინდელი აღლუმის შესახებ მოგიყვე? – დილამ თვის კითხვას ცნობისმოყვარეობის ელფერი შემატა და ღამემაც არ დააყოვნა:

– მინდა, მინდა, მიდი რა მოყევი... რა მოხდა?

– გუშინ ჰეტეროგეი-მოტორიანებმა აღლუმი მოაწყვეს, ხალხმა მათი გამოსვლა ვერ აიტანა, და უნდა გენახა რა ტყაპა-ტყუპი აუტეხეს, იყო ბღავილი და კივილი.

– ამ ჰეტეროგეი-მოტორიანებს რაღა უნდათ? – გაკვირვება ვერ დამალა ღამემ.

– ჰერმესის პლანეტის დავალებით მოქმედებენ... ადამიანების ჯიშის გადაშენება სურთ, – ნაღვლიანად უპასუხა დილამ.



– მე მგონი ყვითელი თხების გეგმაც ეს იყო, – და ღამემ, ამირანის ფანჯრისკენ გაიხედა.

დილამ შეამჩნია ღამის მზერა და უკვე მხიარული ხმით მიმართა:

– ერთი წამოიზარდოს ამირანი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. კარგი, კარგი, ახლა წადი, უნდა მივხედო აქაურობას, – და დილა, ღრუბელიდან ჩამოხტა. ღამემ კი, ნელ-ნელა აკრიფა თავისი მუქი ფერები და დედამიწის მეორე მხარეზე გადაინაცვლა.

დილამ თავისი ფრთები გაშალა, სიცილ-სიცილით შეძვრა ყველა კუთხე-კუნჭულში, შეიხედა შენობის ფანჯრებში, ხის ფოთლებს და ტოტებზე ჩამოძინებულ ჩიტებს მოეაღერსა, გამოაცოცხლა მიძინებული მწერები, შეიხედა მენაგვის ფანჯარაში - მიძინარე ზაქარია, რომ დაინახა ეშმაკურად გაელიმა, მერე თავის გარშემო მზის სხივები მოხიკა, ბურთად შეკრა და პირდაპირ სახეში ესროლა. მენაგვეს ჯერ ესიამოვნა მზის სხივების სიმხურვალე, მაგრამ როცა თვალის ქუთუთოები აეწვა, შეწუხდა, თვალები გაახილა, ხელით სახე მოიწრდილა, ლოგინზე წამოჯდა, გემრიელად გაიზმორა, მერე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, პირი დაიბანა, ფინჯანი ჩაი დალია, საკუჭნაოდან ცოცხი გამოიღო, გარეთ გავიდა და ქუჩის ხვეტას შეუდგა. მენაგვე ჩვეულებისამებრ, ცოცხს, ცელივით აქეთ-იქით იქნევდა, ნაგავს ხან აქეთ, ხან იქით ყრიდა და, მერე, მესამე განზომილებაში გააქანებდა, თანაც ლექს ამბობდა:

არ გეზარება მენაგვევ,  
ყოველ დილას ლექსის წერა?  
შეხედე!  
ამ დანგრეულ ქვეყანაში,  
გამოშტერდა ყველა.  
ვის რად უნდა შენი ლექსი  
ეზარებათ ფიქრი,  
მხოლოდ ერთი მიზანი აქეთ  
სხვას მოაცხონ ჩირქი.



ლექსზე, ფანჯარაში გადმომდგარ პოსლიკას გაეცინა, ესიამოვნა, მენაგვე თავისთავს, რომ საყვედურობდა და ჩამოსძახა:

– კარგია თვითკრიტიკა, ეს მომწონს, – და ხელი მოლიპულ თავზე გადაისვა.

– დიდი მადლობა ჩემო კრიტიკოსო, – ცოტა ირონიულად უპასუხა ზაქარიამ ლოთის შვილს.

– ასე ნუ გაათამამებ, თორემ მართლა ჭკვიანი ეგონება თავისი თავი, – მიმართა ეზოს თაღიდან გამოსულმა ალექსომ.

– რას ჰქვია ნუ გაათამამებ, მე თქვენ ვინ გგონივართ, – აღრიაღდა პოსლიკა, – რა შეფასებაა ეს! – არ წყნარდებოდა ლოთის შვილი, ხოლო როცა ქვემოთ, ხეს ჩახუტებული, მთვრალი მამა დაინახა, კიდევ უფრო გამწარდა და სიბრაზისაგან სახე მთლიანად გაუწითლდა.

უეცრად ჰაერში, ფანჯრის მინიდან არეკლილი სხივის კურდღლები ათამაშდნენ და ფანჯარაში მხატვარმა ესმა ონიანმა გამოიხედა, ფუნჯი მზის სხივებს მიუშვირა და ისევ გაუჩინარდა.

– ვა, ეს ქალი გამაგიჟებს, – ჩაილაპარაკა ლოთმა, რომელიც ხეს უკვე მთელი სხეულით ჩახუტებოდა და თავს ასკილივით აქანავებდა.

– კარგი რა მამა, როდემდე შეიძლება? როდემდე! ღვინოს ხომ არ უნდა მოაკვლევინო თავი, – ფანჯარაში გადმოყუდებული პოსლიკა საყვედურობდა მამას და სახე სიბრაზისაგან სულ უფრო და უფრო უწითლდებოდა.

ლოთმა, ყურებში გაატარა შვილის საყვედურები და უდარდელად ასძახა:

– ეი, შე პოსლიკ! შენ თუ იცი ეს ქალი რას შეება ყოველ დილით, – და ხელი მხატვრის ფანჯრისაკენ გაიშვირა.

– სიცოცხლეს აგროვებს და ტილოზე გადააქვს, – გაღიზიანებულმა უპასუხა პოსლიკამ მამას.

– ხედავ ჩემო ზაქარია, შენმა ლექსებმა პოსლიკა რომანტიკოსი გახადა, ნახე როგორ ალაპარაკდა: „სიცოცხლეს აგროვებსო“!

– გასცინა პოსლიკას დაირა ექიმმა, რომელიც ფანჯარაში პირსახოცს ფერთხავდა.

– რომანტიკოსი შენ თვითონ ხარ, მე პროფესიით პოლიციელი ვარ, – აშკარა იყო პოსლიკამ არ იცოდა სიტყვა „რომანტიკოსის“ მნიშვნელობა.

პოსლიკას უკადრისობაზე მენაგვეს გაეცინა, გაეცინა პოსლიკას მამასაც, გაეცინა დავითსაც, რომელიც აივანზე ყვავილებს რწყავდა. და თქვენ წარმოიდგინეთ, ფანჯრის მინაში გამოსულ კაქტუსის ეკლებსაც გაეცინათ - და მათი გულიან სიცილზე, დილა კიდევ უფრო გამხიარულდა; ისინიც კი, ვისაც გუშინდელი ჰეტეროგემი-მოტორიანების აღლუმით გული ჰქონდათ დამძიმებული.

ქუჩაში თანდათანობით მანქანები მომრავლდნენ, გაისმა მათი საყვირის ხმა, გამოჩნდნენ კენგურუზე ამხედრებული მგზავრებიც, ფეხით მოსიარულეები, მათ შორის: ამირანი და დავითი.

– მამა, კვირას ნინო და მართა ბებია, რომ მოვლენ რითი უნდა გავეუმასპინძლდეთ? – ჰკითხა ამირანმა დავითს.

– ნუ გეშინია, ამაზე დედა იზრუნებს, – დაამშვიდა დავითმა.

– ჰო მართლა, მამა, დედას შევბუღებო როდის უმთავრდება? – ჰკითხა დავითს ამირანმა.

– სადღაც ამ თვის ოცდახუთში. რა, ხდება რამე? – დაინტერესდა დავითი.

– არა, უბრალოდ ვიკითხე. იცი, კარგია დედა სახლში რომ მხვდება, – ბუნარში დამთბარი ხმით უპასუხა ამირანმა.

– ჰო, ეს მეც მომწონს, მაგრამ, ფულიც რომ გეჭირდება. მარტო ჩემი ხელფასით ფონს ვერ გავალო, – ნაღვლიანი ხმით უპასუხა დავითმა შვილს.

– მამა, შეხედე, პროფესორის მიტოვებულ სკამზე მზესუმზირას გამყიდველი ქალი ზის, – და ამირანმა, მამა, სკვერისკენ მიახედა.

– რა უცნაური ქალია, წამოდი მივიდეთ, – შესთავაზა დავითმა შვილს.

– სემინარიაში არ დაგვაგვიანდება? – იკითხა ამირანმა.

– არა, დღეს ადრე გამოვედით და, თანაც, სწრაფად მოვდიოდით, – მშვიდად უპასუხა დავითმა.

– კარგი მივიდეთ, – დაეთანხმა ამირანი.



მამა-შვილი მზესუმზირის გამყიდველს მიუახლოვდა და მიესალმნენ:

- გამარჯობათ.
- გაგიმარჯოთ, - ალერსიანად უპასუხა მზესუმზირის გამყიდველმა.
- ქალბატონო რამდენად ყილით ერთ ჭიქა მზესუმზირას? - ჰკითხა დავითმა.
- ვერცხლისფერს ერთ ტკბილ სიტყვად, ოქროსფერს ორ ტკბილ სიტყვად, ხოლო იასამნისფერს სამ ტკბილ სიტყვად, - და მზესუმზირის გამყიდველმა ახედა მამა-შვილს, რომლებიც გაკვირვებული დაშტერებოდნენ სხვადასხვა ფერის მზესუმზირას.

ამირანმა არ დააყოვნა პასუხი:

- ერთი არსისაგან შემდგარი ტკბილი სიტყვაა - „დედა“, ორი არსისაგან შემდგარი ტკბილი სიტყვაა - „სიყვარულის მადლი“, ხოლო სამისგან შემდგარი კი, „მირონ ნათელი გული“. სწორია? - ცოტა შიშნარევი ხმით ჰკითხა ამირანმა.

მზესუმზირის ქალმა ქალაღდისაგან სამი კონუსისებური პარკი შეკრა პირველში ჩაყარა ვერცხლისფერი მზესუმზირა, მეორეში ოქროსფერი, მესამეში კი იასამნისფერი, სამივე ამირანს მიაწოდა და თანაც დაარიგა:

- ვერცხლის ფერი დედას წაუღე, ოქროსფერი შენს მეგობარ ნინოს, ხოლო, მესამე კი, მამაშენს მიაწოდე, - თქვა თუ არა ეს, მზესუმზირის ქალმა - გაქრა. მამა-შვილმა ერთმანეთს გაკვირვებულებმა შეხედეს. მერე დავითმა ამირანს გამოართვა იასამნისფერი მზესუმზირა, ერთი მარცვალი გაკვნიტა და როცა მზესუმზირას გული გადაყლაპა, სხეულში სიმსუბუქე იგრძნო, ამჩატდა, თითქოს სადღაც მიფრინავსო, ირგვლივ ყველაფერი რძისფერი გახდა და უცებ მთის მაღალ მწვერვალზე აღმოჩნდა, საიდანაც მთელი სამყარო ხელისგულივით მოჩანდა. და, როცა, ერთ ადგილს აჟინებით დააკვირდა, იქ სადაც მოძრავი ნათელი წერტილი დაინახა - ის ადგილი ამოიზნიქა, მიუახლოვდა და იქაურობა უფრო კარგად გამოჩნდა. უეცრად, მისი პროფესორის გადაწყვეტილება გაახსენდა და გონებაში ფიქრმა გაუელვა: „ნეტა ჩემი პროფესორი ახლა სად არის, იქნებ აქ სადმეა, და როგორც სჩვეოდა ნაღ-

ვლიანად გასცქერის სივრცეს". ამის გაფიქრება და, მის წინ ტყით დაფარული მთა აღიმართა, მთის ძირას მდინარე მიედინებოდა, დავითი ჭაღას დააკვირდა და მდინარის პირას პროფესორი დანახა, რომელიც ხის მორზე ჩამომჯდარიყო და წყალში მოთამაშე თევზებს აკვირდებოდა. ესიამოვნა დავითს, როცა საღსაღამათი და ბედნიერი პროფესორი იხილა. გადაწყვიტა მიახლოებოდა, და აუხსნელი ძალით, მათ შორის მანძილი ნელ-ნელა შემცირდა - მის გვერდით აღმოჩნდა, მხარზე ხელით შეესო... პროფესორს დავითის დანახვა გაუხარდა და, შესთავაზა, მის გვერდით ჩამომჯდარიყო... მაგრამ, ცოტახანში ყველაფერი გაქრა, და სადღაც შორიდან ამირანის ხმა შემოესმა:

– მამა გამოფხიზლდი, დაბრუნდი, მამაა!  
– აქა ვარ, – დაბნეულად უპასუხა დავითმა.  
– ჰო, ახლა კი... ახლა აქ ხარ, – არანაკლებ დაბნეული იყო ამირანი.

– იცი სად ვიყავი, – და დავითმა ყველაფერი უამბო.  
– ჰო-და გამოიზოგე ეს მზესუმზირა. უი, მამა სადაა შენი მზესუმზირა? – გაკვირვებულმა ჰკითხა ამირანმა, როცა მამას ხელში მზესუმზირები ვეღარ დაუნახა.

– პროფესორს მივეცი, მისთვის ეს დიდი მადლია, ახლა მას უკვე ადვილად შეეძლება მოგზაურობა მოგონებების სამყაროში, ის სამყარო მისია, – ბოლო სიტყვები დავითმა სევდიანად წარმოთქვა.

– სწორი გადაწყვეტილებაა. მამა, კარგია რომ გამოვცადეთ მზესუმზირის ძალა, ახლა, ნინოს წინასწარ გავაფრთხილებ მისი თვისებების შესახებ. მამა წავიდეთ რა, არ დამაგვიანდეს.

– ჰო წავიდეთ, – დაეთანხმა დავითი. და, მამა-შვილი სემინარიისკენ გაეშურა, იქ სადაც მათ უკვე ნინო და ქალბატონი მართა ელოდებოდნენ.

ამირანმა, მიახლოებისთანავე ნინოს, მზესუმზირებით საგსე პარკი გადასცა და სთხოვა მის გარეშე არ შეეჭამა.

– რა უცნაური ფერის მზესუმზირაა, – გაკვირვება ვერ დამალა ნინოს ბებიამ.





– ეს, მართა ბებია, სასწაულების მომხდენი მზესუმზირებია, – უპასუხა ამირანმა.

– ვიმედოვნებ კეთილი სასწაულების, ასეა ხომ, – დააზუსტა ქალბატონმა მართამ.

– დიახ, კეთილი სასწაულების, – ამირანის მაგივრად უპასუხა დავითმა.

– ბავშვებო! ყველა შევიდა, დედაო თქვენ გელოდებათ, – ქალბატონმა მართამ ორივე, სემინარიის კარისკენ მიატრიალა და ხელის მსუბუქი კვრით, მიანიშნა - დროზე წადითო. ბავშვები ხელჩაკიდებულები სემინარიის შესასვლელ კარისკენ წავიდნენ.

ქალბატონი მართა და დავითი ერთმანეთს თბილად დაემშვიდობნენ, დავითი თავის სამსახურისკენ წავიდა, ხოლო ქალბატონი მართა ეკლესიისკენ.

ამირანს პირველი გაკვეთილი ხელოვნების ისტორიის საგანში ჰქონდა. გაკვეთილზე, ბავშვების საყვარელი მასწავლებლები შემოვიდნენ: ანა და მარიამი, ისინი ბავშვებს მიესალმნენ და კეთილი დღე უსურვეს.

ანა კომპიუტერის და პროექტორის გამართვას შეუდგა, ხოლო მარიამი გაკვეთილის თემის ახსნას, ის მშვიდი დაბალი ხმით საუბრობდა:

– იბერიის ხელოვნების ისტორია უკავშირდება საკულტო მშენებლობებს, რომელიც მიბმულია ისეთი არქიტექტურული ნაგებობის შექმნასთან როგორცაა: ბაბილონის გოდოლი, ეგვიპტეს პირამიდები, არმაზის საკულტო ნაგებობა, დოლმენები, და ისეთ ქრისტიანული სატაძრო-სამონასტრო მშენებლობას როგორცაა: ოშკი, იშხანი, ბოლნისის სიონი, სამთავრისი, რომლებიც ხელოვნების ნამდვილი შედევრებია. ეს ძეგლები, ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმების პრინციპით საკმაოდ მრავალფეროვანია და ამა თუ იმ რეგიონისათვის დამახასიათებელი ნიშნით ხასიათდებიან. იგივე ითქმის ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ ნივთებზე, საღებავით ნახატ დოქებზე, ქვასა თუ ხეში ნაკვეთ ჯვრებზე, ხატებზე, კედლის მხატვრობაზე, საეკლესიო ავეჯზე და ჭურჭელზე, ღვთისმსახურთა შესამოსელზე, მდიდრულად მორთულ ხელნაწერ წიგნებზე, მინანქრულ ნაკეთობებზე. – და, მარია-



მმა ეკრანზე გამოტანილ ნაკეთობებს შეხედა. – ამასთან, ბავშვებო მინდა აღვნიშნო, რომ მეათე საუკუნიდან, მიუხედავად ბოროტი ძალების მოზღვავეებისა, იბერიის ხელოვნება მაინც ვითარდებოდა. დიახ მაინც ვითარდებოდა! სწორედ ამ საუკუნეში და მის შემდგომ პერიოდში შეიქმნა: იბერიის მეორე ბიბლია ვეფხის ტყაოსანი, აშენდა ტიმოთეს სამონასტრო კომპლექსი, სადაც იბერთა მეფის თამარის ფრესკაა, მოიხატა ვარძიის საცხოვრებელი და სალოცავი ადგილები. სწორედ მეათე საუკუნის შემდგომ ჩამოყალიბდა ხელოვნების ისეთი მიმართულებები, რომელიც მხოლოდ იბერიის ხელოვნებისთვის იყო დამახასიათებელი. ამ პერიოდიდან ყალიბდება იბერიული ფერწერული აზროვნება, რომელიც ნიკო ფიროსმანის ფერწერულ ტილოებში ჰპოვებს სრულ ასახვას. ასევე, ძალიან საინტერესოა იბერიული ხუროთმოძღვრების ძეგლები, – მარიამი ანასკენ მიტრიალდა და შემდგომ სლაიდზე გადასვლა სთხოვა, ეკრანზე ატენის სიონის ეკლესია გამოჩნდა. მარიამმა გაკვეთილის ახსნა განაგრძო, მაგრამ, ერთ-ერთმა ბავშვა საუბარი შეაწყვეტინა:

– პატივცემულო, თუ შეიძლება მოგვიყევით ნიკო ფიროსმანზე და მის ფერწერაზე, ყველას ძალიან გვინტერესებს, – და თანაკლასელებს გახედა.

– შემახსენე შენი სახელი, – თხოვნით მიმართა ანამ ბავშვს.

– ვარაზი, – უპასუხა ოქროსფერთმიანმა ბიჭმა.

ანა, მარიამისკენ მიტრიალდა და ჰკითხა:

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები მე, რომ მოვუყვე ბავშვებს ფიროსმანზე?

– რასაკვირველია არა, – უპასუხა მარიამმა და ბავშვებს მიმართა:

– ატენის სიონის ძეგლის ისტორიას გაძლევეთ დავალებად, ახლა ვარაზის თხოვნით, ანა მოგიყვებათ ფიროსმანზე.

– ფიროსმანი, – დაიწყო ანამ ახსნა: – დაიბადა იბერიის აღმოსავლეთ მხარეში კახეთში, სადაც მზის სხივები მდერიან, წყაროს წყალი იადონის ხმაზე რაკრაკებს, ადამიანები კი მხოლოდ სიყვარულზე საუბრობენ. ფიროსმანი, სწორედ ამ ბუნების ნაწილი იყო და ამიტომაც მის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირ-



ავს ბუნებას, ღვინის და რთველის სცენებს. სხვა მხატვრებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული პოეტური ძალით მის მხატვრულ ტილოებში აღბეჭდილია ღამის სცენები. იბერიელი მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ცხოველთა და ფრინველთა ჟანრს, ის ცხოველთა გამოსახულებაში ხშირად გარკვეულ სიმბოლურ-მორალურ აზრს აქსოვს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი მხატვრული ტილო „ირემი“, რომელშიც მას იბერია ჰყავს გაიგივებული. ბავშვებო, ფიროსმანის სურათების უპირველეს ძალას შეადგენს მათი შინაგანი სიმართლე, უშუალოება, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოკვეთა. ის მიზნად არ ისახავდა ბუნების ნატურალურ იმიტაციას, რამეთუ მას შესწევდა ყველაფერში არსებითის დანახვა. მისი სურათების კოლორიტი მკაცრია - ზოგჯერ თითქმის მონოქრომული. ფიგურების განლაგება უმეტესად ფრონტალურია, იერარქიული. სივრცის გადმოცემა კოსმოსური თვალთ ხდება და ეს არის მისი ყველაზე დიდი გენიალობა. და, კიდევ რა, ბავშვებო - არავინ არ იცის როდის, და საერთოდ თუ გარდაიცვალა ფიროსმანი.

- პატივცემულო, პატივცემულო, - მოუთმენლობა შეეტყო მედეას.

- გისმენ მედეა, - და ანა, მედეას მიუახლოვდა.

- ანა მასწავლებელო, გამიგია, ფიროსმანი ძალიან დიდ სიღარიბეში ცხოვრობდაო, მართალია? - გულდაწყვეტილად იკითხა მედეამ.

- კი, ოღონდ მატერიალურ და არა სულიერ სიღარიბეში, - საუბარში ჩაერთო მარიამი.

- ჰო, ვეთანხმები მარიამს ფიროსმანი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო, ყველაზე მამაცი და ყველაზე კეთილი, რამეთუ მან იცოდა სულიერების ღირებულება. აბა მითხარით თუ იცნობთ ისეთ ადამიანს ვინც სულიერება შეაფასა.... სულიერება ეს ღმერთის, მოყვასის და სიცოცხლის სიყვარულია. - ბოლო სიტყვები ანამ ამაღლებული ტონით დაასრულა.

- რამდენად შეაფასა სულიერება ფიროსმანმა? - იკითხა ამირანმა.

- მილიონი ვარდის ფურცელით, - უპასუხა ანამ.



საკლასო ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც რამდენიმე წუთში გაკვეთილის დასრულების ზარმა დაარღვია. ბავშვები ნელ-ნელა წამოიშალნენ და სემინარიის ბალისკენ გაეშურნენ, მიდიოდნენ ფიქრით დამძიმებულები და გაკვირვებულები – თურმე, რა ძნელი ყოფილა და ამასთან როგორი ადვილი სულიერების შეფასება.

– რა გჭირთ სუყველას, და შენც... რა ჩაფიქრებულები ხართ?  
– ჰკითხა ნინომ ამირანს.

ამირანმა არაფერი არ უპასუხა.

– მაშინ მზესუმზირის საიდუმლოება მაინც მომიყევი, – და ნინომ, კაბის ჯიბიდან მზესუმზირებით სავსე ქაღალდის პარკი ამოიღო.

ამირანმა დაწვრილებით მოუყვა მზესუმზირის გამყიდველი ქალის შესახებ, და ისიც თუ რა გადახდა მამას, როცა მზესუმზირა შეჭამა.

– კარგი, მეც მაინტერესებს, ოღონდ ჩვენს მეგობარ ჩიტებთან მივიდეთ, – ცოტა შიშნარევი ხმით თქვა ნინომ და მზესუმზირით სავსე ქაღალდის პარკი ხელში ჩაბღუჯა.

სულმნათი და მზეწვია, რომლებიც ხის კენწეროზე შემომჯდარიყვნენ, დაინახეს თუ არა ამირანი და ნინო, იმწუთასვე ქვედა ტოტზე ჩამოფრიდნენ და ცნობის მოყვარე თვალებით მიაშტერდნენ, მათკენ მომავალ ბავშვებს, თითქოს გუმანით გრძნობდნენ, რომ მათგან ახალი ამბავი უნდა შეეცყოთ, არც შემცდარან, ამირანმა მეგობრებს დილანდელი თავგადასავალი და მზესუმზირის უნარი გაუმხილა.

– ნინო ხომ არ გეშინია მზესუმზირის გაკენცა? – ჰკითხა მზეწვიამ.

– არა, მაგრამ, ამირანი... – სათქმელი აღარ დაასრულა ნინომ.

– ნუ გეშინია, ამირანი ყოველთვის შენთან იქნება, – მიუხვდა გულისთქმას სულმნათი.

– კარგი, – დაეთანხმა ნინო და მზესუმზირა გაკენცა, და როცა მარცვალი გადაყლაპა, სხეულში საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, მერე იგრძნო თუ როგორ მოსცილდა მიწას, ირგვლივ მიმოიხვდა



არაფერი არ ჩანდა, გარშემო მხოლოდ თეთრი რძისფერი ნისლი ეკრა, შეშინდა, და უნებლიედ წამოიძახა:

– ვაიმე დედა!

– აქავარ შეილო, – შემოესმა ქვემოდან.

ნინო, ხმის გაგონებაზე შეცბა, ქვევით დაიხედა და რას ხედავს გვირილებით გადაფენილ მინდორში დედაა, მის გვერდით კი, მამა დგას, რომელსაც ხელები ზევით აღუმართავს, თითქოსდა ელოდებოდა, თუ როდის დაეშვებოდა ციდან ნინო. ნინო ნელ-ნელა დაეშვა, მშობლებს ფრთხილად მიუახლოვდა, მათი გაუჩინარების ეშინოდა, მიახლოებისთანავე ორივეს გადაეხვია, იგრძნო მშობლების სითბო, თვალებზე ცრემლები მოეძალა, მაგრამ, თავი შეიკავა, არ ატირდა... როცა, ერთმანეთის ფერებით გული იჯერეს, იქვე ხის მორზე ჩამოსხდნენ და საუბარი გამართეს. ერთმანეთს გამოკითხეს აქაური და იქაური ამბები, ნინომ - ბებიასზე და ამირანზე მოუყვა, დედამ - თავის ოცნებაზე და მონატრებაზე, მამამ კი, იმაზე თუ როგორ აკეთებდა ყოველ წელს ახალ თოჯინას, რომელსაც მას ამსგავსებდა. მამის საქციელმა ნინო დაანადგვლიანა, სთხოვა მისთვის თოჯინა ეჩვენებინა და როცა ნახა, გაოცდა – თოჯინა გასაოცრად ჰგავდა მას. ახლა კი მიხვდა, თუ რა უსაზღვროდ ენატრებოდათ ის, მის მშობლებს. უცებ, გაუცნობიერებლად ქალადლის პარკიდან მზესუმზირები ამოყარა და თოჯინას მიაყარა, თვითონ კი, რაღაც ძალების ზეგავლენით ჰაერში გაუჩინარდა, მხოლოდ იმასდა მოჰკრა თვალი თუ, როგორ გადაიქცა თოჯინა ცოცხალ არსებად.

– ნინო, ნინო! აქა ხარ აქ, – ამირანის ხმამ გამოარკვია, მაგრამ, ჯერ კიდევ ფიქრით მშობლებთან იყო.

– ამირან, აქ ვარ აქ, – გაიმეორა ამირანის ნათქვამი ნინომ და მოეხვია.

– რა უყავი მზესუმზირა? – ჰკითხა ამირანმა ნინოს.

– ალბათ მშობლებს დაუტოვე, ხომ, – ვარაუდი გამოთქვა სულმნათმა.

– ჰო, ჰოო... ასე იქნება, – დაადასტურა მზეწვიამ.

– მაინც რა უყავი? – კითხვა გაუმეორა ამირანმა.

– მამიკოს და დედიკოს თოჯინას დაფუტოვე, – უპასუხა ნინომ.



– რაა, ვერ გავიგე, ვის? – უკვე გაკვირვებულმა იკითხა ამირანმა.

– რა, და, ჩემები, ყოველ წელს ჩემ მსგავს თოჯინას აკეთებდნენ, ჰო-და, მზესუმზირა იმ თოჯინას მივაყარე, ის გაცოცხლდა. ახლა ჩემებს ყოველ წელს თოჯინის გაკეთება აღარ დასჭირდებათ. თოჯინა, როგორც მე, ისიც იქ ჩემსავით გაიზრდება და მოიქცევა ზუსტად ისე როგორც მე აქ, – ნინოს ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ სემინარიის ბაღში ჩუმად შემოპარული შური, შურისაგან გაიბერა და გასკდა.

– კარგია, – საქციელი მოუწონა ამირანმა.

– კარგია, კარგი! – ერთხმად დაეთანხმნენ ჩიტები.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობ, – თავდაჯერებით თქვა ნინომ.

მეგობრები დიდ განსჯაში იყვნენ, როცა გაკვეთილზე შესასვლელი ზარი დაირეკა. ამირანი და ნინო თავის მეგობარ ჩიტებს მომავალ დასვენებამდე დაემშვიდობნენ და გაკვეთილზე დასასწრებად წავიდნენ.

ამირანს, მეორე საათი ღია გაკვეთილი ჰქონდა, რომელიც სამინისტროდან მოწვეულ მასწავლებელს უნდა ჩაეტარებინა. წინა დღეს, ამირანმა, სემინარიის ინტერნეტგვერდიდან შეიტყო, რომ მას სახელად დემოკრატა ერქვა. ამირანი და მისი კლასელები დიდი ცნობისმოყვარეობით ელოდებოდნენ მას.

– მგონი მოდის! – დაიყვირა ელგუჯამ, რომელიც საკლასო ოთახის კარის ზღურბლიდან აკვირდებოდა დერეფანში მოსიარულეებს. – ჰო, ეს იქნება, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა თავისთვის, როცა დაინახა უცნობი, რომელიც მიზანმიმართული, დამაჯერებელი ნაბიჯით მოდიოდა. ელგუჯამ იმის შიშით არ შემამჩნიოსო, კარის ზღურბლს მოეფარა, მერე, ბავშვებისკენ შეტრიალდა, დაეჭყანა და, იმ, უცნობის მსგავსად, დამაჯერებელი რონინით თავისი მერხისკენ წავიდა.

ბავშვებს ელგუჯას საქციელზე გაეცინათ, მაგრამ, როცა უცნობი საკლასო ოთახში შემოვიდა, ყველა მიხვდა თუ რატომ დაიჭყანა ელგუჯა.



უცნობს იღლიაში მწვანე ფერის პაპკა ჰქონდა ამოჩრილი, ის შავ პიჯაკში და თეთრ პერანგში იყო გამოწყობილი, წითელი ჰალსტუხი ეკეთა, თმაზე ბრიოლინი ესვა.

დემოკრატა ბავშვებს მიესალმა, შემდეგ ბავშვებს სახელის და გვარის გამოკითხვა დაუწყო. ამირანის გვარის გაგებისას სახის გამომეტყველება შეეცვალა, წამიერად შეყოვნდა, მაგრამ, ეს წამიერი შეყოვნება ყველა ბავშვმა იგრძნო, თვითონაც მიხვდა, რომ მისი განწყობა გამჟღავნდა, მაგრამ, არ შეიმჩნია, გააგრძელა გვარების გამოკითხვა და როცა დაასრულა, თავისი თავი წარუდგინა ბავშვებს. მხოლოდ, ამის შემდეგ დაიწყო საუბარი საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე, ვალდებულებებზე და იმ შემთხვევაზე რომელიც ჩვიდმეტ მაისს მოხდა... მან სასტკად დაგმო მღვდლების მიერ გამრუდებული სექსუალური თვისებების მქონე ადამიანების ცემა. ბავშვები, დემოკრატას საუბრიდან მიხვდნენ, რომ ის არა მარტო სამინისტროს წარმომადგენელი იყო, არამედ, ასევე მოგზავნილი იყო რუს-ინჩ-უზუმეს უწყებიდან და ყველას სახეზე ირონიული ღიმილი გამოესახა.

დემოკრატამ, როცა საუბარი დაამთავრა, თავის მწვანე პაპკიდან, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, თაბახის ფურცლები ამოიღო, ბავშვებს დაურიგა და ძალიან ზრდილობიანად სთხოვა მისი მონაცოლის მიხედვით მოკლე შინაარსი ან საკუთარი მოსაზრება დაეწერათ - ჩვიდმეტ მაისს მომხდარის შესახებ. ამირანის გარდა, არცერთმა ბავშვმა წერა არ დაიწყო. ამ გარემოებამ ძალიან გააბრაზა დემოკრატა, ლამის ყვირილი დაეწყო, ნერვიულობისაგან ყელი გაუშრა, მაგრამ თავს იკავებდა, ნელ-ნელა ძალა მოიკრიბა და ბავშვებს დაბალი, რბილი ხმით მიმართა:

– არ გრცხვენიათ, მარტო ამირანმა უნდა წეროს, სად არის თქვენი მოქალაქეობრივი შეგნება... კი მაგრამ, ხომ თქვენ უნდა ააშენოთ თანამედროვე დემოკრატიული იბერია, – დემოკრატა, მართალია დამტკბარი ხმით საუბრობდა, მაგრამ ბავშვები გრძნობდნენ მის განწყობას და ხედავდნენ, თუ როგორ თანდათანობით უსისხლიანდებოდა თვალები.



დემოკრატა, ბავშვების მზერას თავი მოარიდა, ფანჯარას მიუახლოვდა და გარეთ დაიწყო ყურება, ჩასისხლიანებული თვალები ცის კიდეს მიაბჯინა... ცა შეწუხდა და მოიდრუბლა - საკლასო ოთახში ჩამობნელდა.

– პატივცემულო, დავამთავრე წერა, – ხმამაღლა მიმართა ამირანმა დემოკრატას.

– ოო, ყოჩაღ, ყოჩაღ მიხარია, – ვერ დამალა სიხარული დემოკრატამ.

– მაინცდამაინც ნუ გაიხარებთ პატივცემულო, – სიცილით მიმართა მედეამ დემოკრატას.

– ვერ გავიგე თქვენი ნათქვამი. ეს ირონიაა? – უკვე გაბრაზება ვერ დამალა დემოკრატამ.

– არა პატივცემულო ირონია არ არის, უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ამირანი ყოველთვის სიმართლეს წერს, – მშვიდად უპასუხა მედეამ.

– მერე, მე, სიმართლის დიდი მომხრე ვარ. კარგით მოვრჩეთ საუბარს, წაიკითხე ამირან! ერთი საინტერესოა რა დაგვიწერე, – და დემოკრატა სმენად გადაიქცა.

ამირანმა საშუალოზე ოდნავ მაღალი ხმით დაიწყო თავისი ნაწერის კითხვა:

ირგვლივ შეიქმნა ჩოჩქოლი, ავარდა მტვერი,  
მღვდელი აღელდა და ჰაერში აღმართა ხელი,  
შეშინდა უგვანო, როცა დაინახა განრისხებული მღვდელი  
და მიაძახა: „ეი თეთრწვერაგ შეჩერდი, დაუშვი მუშტი,  
გაფრთხილებ გეი ვარ, არ შეგეშალო სხვაში,  
იცოდე არ ჩამცხო, თორემ არც მე დაგრჩები ვალში,  
გიჩივლებ და თავს ამოყოფ ციხის საკანში".  
მღვდელმა უპასუხა: „არა უნდა ჩაგარტყა მაგ გოგრა თავში,  
რადგანაც სიყვარული მოსვარე ლაფში".  
და მღვდელმა, მუშტი ჩასცხო უგვანოს თავში.  
აღუღღღღდა გეი: „რას მერჩი, რატომ ჩამარტყი,  
რა ჩემი ბრალია თუკი ღმერთმა შემქმნა ამგვარი".  
ჩაფიქრდა მღვდელი, და მერე გასცა პასუხი:





„დემერთმა შექმნა ევა და ადამი  
და არა შენისთანა მაცდური ნაგავი“.  
ამ შემთხვევიდან ჩამოიფარცხა მრავალი წელი,  
დრო დაიღვია და შუქი ჩაქრა ორივეს თვალში,  
ორივეს ერგო საერთო ადგილი - ილუზიების ბაღში,  
სადაც მღვდელი დასდევდა უგვანოს  
და მუშტს ურტყამდა ყოველდღე თავში.

დემოკრატამ, როცა მოისმინა ამირანის ლექსი, ცოტახანი ჩუმად იდგა, შემდეგ უცებ მოწყდა ადგილს, ჰაერში აღმართა მწვანე პაპკა და ამირანისაკენ გაქანდა, მაგრამ მედემამ ფეხი გამოსდო, დემოკრატას ფეხები ერთმანეთში აებლანდა და მერხებს შორის გაიშხლართა, ბავშვები წამოიშალნენ, მიცვივდნენ დემოკრატას და მუშტები დააყარეს. ყველას სურდა თითო მუშტი ჩაერთყა. დემოკრატამ ყვირილი მორთო. ყვირილზე სემინარიის მოძღვარი ანდრია შემოვიდა და როცა ძირს დაგდებული დემოკრატა დაინახა, რომელსაც ბავშვები ურტყამდნენ, შეცბა.

– რა ამბავია? აბა ყველა ადგილზე დაბრუნდით! – დაბალი ხმით, მაგრამ მკაცრად მიმართა მოძღვარმა ბავშვებს.

ბავშვები უსიტყვოდ დაემორჩილნენ მოძღვარს.

– რა მოხდა? – უკვე გაბრაზებულმა მიმართა ბავშვებს.

ყველამ ერთხმად დაიწყო ლაპარაკი:

– მამაო, დემოკრატას სურდა ამირანისთვის პაპკა ჩაერთყა, – ყველაზე ხმამაღლა მედემა ლაპარაკობდა.

– მამაო აი, ნახეთ რა ქაღალდები დაგვირიგა, ხელს რომ გკიდებთ, ზედ, ჩვენი თითის ანაბეჭდები რჩება. – და ელგუჯამ ქაღალდი მიუტანა მოძღვარს.

– მამაო, მამაო, ჩვენი ჩათრევა უნდა რაღაც უგვანო საქმეში, ვიღაცა ჰეტეროგეი-მოტორიანების დაცვაში, – საერთო ხმაურში, ხმის მიწვდენას ცდილობდა ცოტნე.

– მამაო, ჩვენ კიდევ დავინდეთ, თორემ ურჩხულს რა დღე ვაყარეთ, ხომ გახსოვთ, – და ვარაზმა, მუშტი მოუღერა დემოკრატას.

– დაწყნარდით, გასაგებია ყველაფერი, დაწყნარდით, სიჩუმე! – უკვე გაბრაზებულმა ხმით მიმართა ბავშვებს სემინარიის მოძღვარ-



მა და დემოკრატას მიუტრიალდა, რომელიც წამომდგარიყო და შარველიდან მტვერს იფერთხავდა.

– ხომ გაგაფრთხილეთ, რომ აქ განსხვავებული ბავშვები სწავლობენ და თქვენ აზრს არ გაიზიარებენ, – და მოძღვარმა დემოკრატას სახეში ჩახედა.

– გეთანხმებით, მითხარით, მაგრამ, თუ ასეთი გაუზრდელები იყვნენ არ მეგონა. ეს ტუტუცები ოჯახებში არ იზრდებიან? მე, თუ მკითხავთ მათი ადგილი ზოოპარკშია, – გაბზარული ხმით საუბრობდა, თან აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა - აშკარად ეტყობოდა შეშინება.

– გაუზრდელი თქვენ ბრძანდებით, და არა ჩემი ბავშვები, ახლავე დატოვეთ სემინარია, – მკაცრი ხმით მიმართა ანდრიამ დემოკრატას.

– მე კი დაეტოვებ აქაურობას, მაგრამ რა დღესაც დაგაყრით ამას მაღე ნახავთ... – და გაბრაზებული გავარდა დერეფანში.

ხმაურზე, სხვა კლასის ბავშვები დერეფანში გამოსულიყვნენ, ყველა ბრძოლისთვის იყო მომარული... მაგრამ, როცა გალახული დემოკრატა დაინახეს, სიცილი აუტყდათ და ასე, სიცილ-სიცილით ქუჩაში გასასვლელ კარამღე მიაცილეს.

მოძღვარი ბავშვების დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა - ყველას ეცინებოდა მომხდარზე.

– კარგით, შესვენებას ვაცხადებ, – და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მაინც საცაა ზარი დაირეკება“. მერე, ყველას გასაგონად თქვა: – ისე ყველა საცემები კი ხართ, – ბავშვებს გადახედა... და დაამატა: – მაგრამ, მეც დასასჯელი ვარ, ის უმგებანო დემოკრატა, რომ შემოვუშვი სემინარიაში. – და, მოძღვარი თავის ოთახისკენ წავიდა.

– მართლა შენთვის უნდა ჩაერთყა? – ჰკითხა ნინომ ამირანს, რომელიც სხვა ბავშვებით ასევე დერეფანში გამოსულიყო.

– შენ საიდან გაიგე? – გაიკვირვა ამირანმა.

– შენი კლასელებისაგან, – უპასუხა ნინომ.

– წამოდი, სჯობს წავიდეთ... არ წავიდეთ ჩვენს ჩიტებთან? – ჰკითხა ამირანმა ნინოს, ხელი გადახვია და სემინარიის ბაღისკენ წაიყვანა.



ამირანი და ნინო, ნაძვნარს არ იყვნენ გაცილებულები, როცა უკნიდან ჩიტების ხმა შემოესმათ:

- ეი, საით გაგიწევიათ?
- უი, თქვენ აქ ხართ, რა კარგია... ამირან, მოდი მაშინ ამ შინდის ხის ქვეშ ჩამოვსხდეთ, - სთხოვა ნინომ ამირანს.
- ჩვენსკენ გამოფრინდით?... მაინც როგორ გაიგეთ? - უკან დადევნებულ მეგობრებს ჰკითხა ამირანმა.
- ჩვენ თქვენს საფრთხეს გუმანით ვხდებით, - უპასუხა მზეწვიამ.

- ხომ იცით რომ ასეა, - დაადასტურა სულმნათმა.

მეგობრები, შინდის ხის ძირას მდგარ სკამზე ჩამოსხდნენ. ამირანი და ნინო ერთმანეთის გვერდით, ხოლო ჩიტები სკამის საზურგეზე, და ოთხივემ მეოცნებე მზერა მიაშტერა ცაში დაკიდებულ წყალსაცავს, სადაც თევზები სამეჯლისო ცეკვას ასრულებდნენ. თევზების ქერცლზე არეკლილი მზის სხივი, დროდადრო ნაძვის წიწვებს შორის გამოანათებდა, ამ ნათებას ისეთი იდუმალი სილამაზე ჰქონდა, რომ მეგობრები თვალს ვერ აცილებდნენ და, უფრო და უფრო, იძირებოდნენ ოცნებებში.

- რა არის სილამაზე, საიდან მოდის? - იკითხა სულმნათმა.

- სილამაზე, ჩემი მოსაზრებით სულიდან მოდის, რამდენჯერ მინახია ულამაზო გარეგნობის ადამიანი, ფიზიკურ გარეგნობას ვგულისხმობ, მაგრამ როცა კარგად საუბრობს, მღერის ან ცეკვავს, მისი ფიზიკური ნაკლი ქრება და ჩნდება სულიერი მშვენიერება ანუ მისი რეალური სიმდიდრე. განათლებულ და ნაკითხ კაცს ყოველთვის ღამაში გამომეტყველება აქვს. ხომ მეთანხმებით? - და ნინომ მეგობრებს გადახედა.

- გეთანხმებით, - ყველას მაგივრად უპასუხა სულმნათმა.

- შენ რას ფიქრობ ამირან? - ჰკითხა ნინომ ამირანს.

ამირანმა არ დააყოვნა და ლექსად გასცა პასუხი:

საიდან მოდის სილამაზე?

ფიქრობ კოსმოსის უკიდევანო ჰორიზონტიდან,

ან შეიძლება მზის ღიმილიდან,

ან სიბრძნედ ქცეული სიჭარმაგიდან,



იქნებ პირიქით, აფეთქებული გაზაფხულიდან.  
არ გამოფრინდებოდა ცისარტყელადან,  
ეგებ ვარსკვლავთა ათინათიდან,  
იქნებ დედის გულიდან,  
ან ყვავილების სითამამიდან.  
აღბათ დილის ცვარიდან  
ან ვაზის ცრემლიდან,  
იქნებ მთვარის დარდიდან  
ან სურნელოვანი იასამნიდან,  
ან კიდევ იქნებ ვარდის სუნთქვიდან.  
ოხ, როგორ შეეცდი, რამ დამავიწყა,  
ის აღბათ მოდის, ცეცხლ წაკიდებული გულის მადლიდან,  
გულს, რომელსაც ტრფობამ ცრემლი ადინა.  
ოხ, ისევ შეეცდი, აზრი გამექცა...  
ის მოდის ჩვენი თვალის აღქმიდან,  
ან შესაძლოა არაფრისაგან?  
მაგრამ, არაფერს სილამაზე არ გააჩნია  
და, თუ არაფერს სილამაზე არ გააჩნია,  
მაშასადამე, სილამაზე უფლის მადლია!

– და, მაინც, მე მგონია, რომ სილამაზე ინდივიდუალურია და დაკავშირებულია აღქმასთან ანუ მე აღვიქვამ „მის“ ან „იმ“ სილამაზეს, რადგანაც მიყვარს ის. – და, ნინომ ამირანს გახედა.

– მაგრამ, ნინო სიყვარულს ხშირად დიდი ტკივილი მოაქვს, გაიხსენე შენი დღევანდელი მოგზაურობა სხვა სამყაროში, როცა შენს მშობლებს შეხვდი... შეიძლება შენისთანა პატარა გოგომ ამას ვერ გაუძლოს. შენ კი ხარ ძლიერი, მაგრამ სხვა? – და ამირანი ორაზროვნად დაღუმდა, მის გონებაში უცნაური აზრი მოუსვენრად დარბოდა: „რა არის სიმართლე? ის რაც სიმართლეა, თუ ის რისიც გვჯერა“.

ნინომ ამირანის შენიშვნას ლექსით უპასუხა:

რა პატარა? რის პატარა,  
მეც, პატარა გახლავართ,




## მაგრამ ნახეთ ჩემმა გულმა რა სიმძიმე ატარა.

– ნინო, საოცარი ის არის, რომ თუ საიდან მოდის აღქმა ან რაიმე შეგრძნება, – ჩაერია საუბარში სულმნათი.

– შეგრძნება? ოო, ეს რთული საკითხია, – სულმნათის აზრი აიტაცა ამირანმა და განაგრძო: – ადამიანის ორგანიზმის შესწავლაში დაადასტურა, რომ ორგანიზმში მიმდინარეობს პროცესი რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მედიატორი. მედიატორი კონკრეტული მოლეკულაა. მეცნიერების მიერ აღმოჩენილ მედიატორთა შორის ყველაზე გასაოცარია ჰორმონები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ისინი ორგანიზმში ქმნიან სხვადასხვა ნივთიერებებს. ასევე, გასაოცარი თვისება გააჩნია ენკეფალინებს, მათ შეუძლიათ ადამიანის ფიზიკური ტკივილის სრული გაყუჩება, და ეს უნარი ყველაზე უფრო კარგად ვლინდება ღვთის მოშიშ ადამიანებში, სწორედ ამ უნარმა შეაძლებინა წმინდა გიორგის, იოვანათლისმცემელს და დემეტრეს აეტანა ის ტანჯვა რაც მათ ჯალათებმა მიაყენეს, და ლამაზად გარდაცვლილიყვნენ. – წმინდა გიორგის ხსენებისას, ამირანმა, სულმნათს გახედა და როცა ვერაფერი შეატყო საუბარი განაგრძო, მაგრამ მზეწვიამ შეაწყვეტინა:

– კი მაგრამ, რა კავშირშია ეს ყველაფერი გარეგნულ სილამაზესთან?

– მაცალე და გეტყვი. – და, ამირანმა საუბარი განაგრძო: – რწმენა, თუ ის ჭეშმარიტია, და რომელიც, გონებას მეტ შესაძლებლობას ანიჭებს, ზრდის სულის აქტივობას. სული, ნეირონების დახმარებით დავალებას აძლევს სხეულის მედიატორებს, რომლებსაც მოქმედებაში ენკეფალინები მოჰყავს, ენკეფალინები გამოყოფენ ამინომჟავებს, ადამიანი ბრუვდება და ტკივილი გასაძლისი ხდება - ეს ღვთიური ძალაა, და ყოველივე ღვთიური ლამაზია. და, სხავასაც მოგახსენებ...

– კი ბატონო, სილამაზე ღმერთიდან მოდის და ამას არავინ არ უარყოფს, – ისევ შეაწყვეტინა საუბარი მზეწვიამ, – მაგრამ, მე, ასეთი კითხვა მაქვს: თუ ეს ასეა - ვგულისხმობ ამინომჟავების გამოყოფას, მაშინ რატომ განაცდევინა ღმერთმა ქრისტეს, ჯვარცმისას, ძლიერი 

ტკივილები? ტკივილი ხომ საშინელებაა და სილამაზის საწინააღმდეგო განცდაა, – და მზეწვია თვითონაც ჩაფიქრდა.

– აქ პასუხი ცალსახაა: იმიტომ, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვენახა თუ რაოდენ უზომოა ქრისტეს სიყვარული ადამიანების მიმართ, სიყვარული კი სილამაზის აღქმის ყველაზე უფრო სწორი განცდაა. დიას სილამაზე შეგრძნებაა! სილამაზის შეგრძნებაში ჩვენ ღმერთმა თავისუფლება მოგვანიჭა.

– მაგრამ, შენ ლექს ასე ასრულებ: „სილამაზე უფლის მადლია“, ანუ გამოდის, რომ შეგრძნების თავისუფლება პირობითია – ნიშნის მოგებით აღნიშნა მზეწვიამ.

– პირობითობა ღმერთისგანაა, და სწორედ ეს პირობითობა განსაზღვრავს სილამაზის შეგრძნების მრავალფეროვნებას, – ამირანის მაგივრად უპასუხა ნინომ.

– ჰო, მართლები ხართ, – დაეთანხმა მზეწვია, და ჩაიჭიკჭიკა:

ცა იყო ისეთი წმინდა  
და სუფთა,  
რომ სიყვარულის გარდა,  
სხვა არაფერი მსურდა.

– სწორედ, ეს არის შეგრძნების თავისუფლება ანუ სილამაზის აღქმის უნარი, – პათოსით აღნიშნა სულმნათმა.

– ახლა ჩვენი თავისუფლება აღიკვეთა და თავის განვითარებას გაკვეთილზე გააგრძელებს, რამეთუ ზარი დაირეკა, – გაიხუმრა ამირანმა, თან ნინოს ანიშნა - წავიდეთო, და ორივე სემინარიის შენობისკენ ბადის განაპირა, მოკლე ბილიკით წავიდნენ.

ამირანი, როცა საკლასო ოთახში შევიდა იქ არავინ არ დახვდა, რამდენიმე წუთში მედეაც შემოვიდა, მასაც გაუკვირდა, რომ ამირანის გარდა ოთახში არავინ არ იყო, და ჰკითხა:

– რა ხდება ამირან, სად არიან ბავშვები?

– არ ვიცი, – გაკვირვებით უპასუხა ამირანმა.

ცოტახანში საკლასო ოთახში ცოტნემ შემოიხედა:

– ბავშვებო ბაღში! დამავალეს ყველა გავაფრთხილო... ბაღში სართო გაკვეთილი ჩავგიტარდება... ალბათ.



სემინარიის ბაღში, ბავშვები შეკრებილიყვნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, ისმოდა სიცილი, ხმამაღალი შეძახილები. ნელ-ნელა დაჯგუფდნენ ასაკის, კლასის მეგობრების ან უბრალოდ მეგობრების მიხედვით. ამირანი და მისი კლასი როგორც მეგობრობის ერთიანობის ეტალონი ერთად იდგა, მათ მხოლოდ ნინო შემატებოდათ... ყველას აინტერესებდა თუ რა მიზნით შეკრიბეს ბაღში. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, მაგრამ, მიზეზი არავინ არ იცოდა. ცოტახანში, ბაღში სემინარიის მოძღვარიც გამოჩნდა, მან ბავშვებს შენობის კედლის მხრიდან შემოუარა და სამრეკლოსთან არსებულ ამალღებულ ადგილას ავიდა, ასხლეტილი მზერით ახედა სამრეკლოს, პირჯვარი გადაიწერა და ბავშვებისკენ მოტრიალდა. ცოტახანი ჩუმად იდგა, ბავშვებს შეჰყურებდა, შემდეგ დრმად ამოისუნთქა და ბავშვებს ქვევრიდან ამოხეთქილი ხმით დაჰგუგუნა:

– ბავშვებო, დღეს თქვენ შეხვდებით ჩვენს პატრიარქს. გთხოვთ! როცა გამოვა თქვენთან შესახვედრად, მისი საგალობელი იმდეროთ. ახლა თქვენი ნებართვით დაგტოვებთ, პატრიარქს უნდა დაგხვდე - შემოსასვლელში, – მოძღვარმა ბავშვებს პირჯვარი გადაწერა და სემინარიის შესასვლელი კარისკენ გაემართა.

ბავშვებს სახეზე უზომო სათნოება გამოესახათ, პატრიარქის მოლოდინში ყველა დადუმდა და სემინარიის ბაღში გამოსასვლელ კარს მიაშტერდნენ... კარი გაიღო, საიდანაც დედა ქრისტინე გამოვიდა. დედაომ სემინარიის კარი ფართოდ გამოაღო და კარში, „მამაო ჩვენოს“ გალობით, გამოჩნდნენ სემინარიის სამღვდლოება, რომლებსაც ჯვრები მაღლა აღემართად. მღვდლებმა ბავშვებს შორის გაკეთებულ მწკრივში გაიარეს და სამრეკლოსთან ამალღებულ ადგილის მარცხენა მხარეს გაჩერდნენ, როცა მათ გალობა დაასრულეს, კარში სემინარიის მოძღვარი გამოჩნდა, რომელსაც ხელში იბერიის დროშა ეჭირა. მოძღვარი, ისევ სამრეკლოსთან არსებულ ამალღებულ ადგილზე ავიდა. ბავშვებს გადახედა... თვალებით ამირანი და ნინო იპოვა, ანიშნა: მასთან, რომ მისულიყვნენ. როცა ბავშვები მიუახლოვდნენ, მოძღვარმა თხოვნით მიმართა:



– ჩემო პატარა და დიდო იბერიელებო, ადით სამრეკლოზე და შემოკარით ზარს, ისე ძლიერად, რომ წარსული, აწმყო და მომავალი გაერთიანდნენ, სამჯერ რომ შემოჰკრავთ ჩამოდით და ჩემს გვერდით დადექით.

ამირანმა და ნინომ, მორჩილების ნიშნად თავი დაუკრეს და სამრეკლოსკენ გაეშურნენ, ხელჩაკიდებულებმა აიარეს სამრეკლოს ქვის კიბე, ერთად შეადგეს ხის კარი, აკრიფეს იატაკზე ზარიდან ჩამოშვებული თოკები, ხელებზე დაიხვიეს და ძლიერად მოქაჩეს - ზარები ამღერდნენ:

აი ია კოლხა მჭქვია,  
გაბრწყინდება იბერია!

კიდევ მოქაჩეს თოკებს, ისევ ამღერდნენ ზარები:

აი ია კოლხა მჭქვია,  
სულს ნათელი მოეფინა,  
ბოროტებას ღმერთმა სძლია!

მესამედ მოქაჩეს და ისევ ამღერდნენ ზარები:

აი ია კოლხა მჭქვია,  
მიწას მხსნელი მოეფლინა,  
გაბრწყინდება იბერია!

მესამედ, რომ შემოკრეს ზარებს, ბავშვებმა, თოკები, ფრთხილად სამრეკლოს ქვის იატაკზე დაუშვეს, ისევ ერთმანეთს ჩაჭიდეს ხელი, სამრეკლოდან გამოვიდნენ, კიბის საფეხურებზე ფრთხილად დაეშვნენ, მოძღვართან მივიდნენ და დანაბარებისამებრ მის გვერდით დადგნენ. გარშემო სიჩუმე ჩამოვარდა. თითოეულის მზერა ისევ სემინარიის ბაღში გამოსასვლელი კარისკენ იყო მიმართული, კარში შუქმა იმატა - პატრიარქი გამოჩნა, რომელსაც გვერდით პატარა სტიქაროსნები მოჰყვებოდნენ. პატრიარქის გამოჩენისთანავე სემინარიის ბავშვებმა გალობა დაიწყეს. იქაურობა





კიდევ უფრო განათდა, ჰაერში დაკიდებულ ბელტებზე ამოსულმა გვირილებმა ბავშვების გალობას თავისი წკრიალა ხმა ააყოლეს, სულმნათი და მზეწვია, სხვა ბაღის ჩიტებთან ერთად, ჰაერში გაფანტულ საგალობელ ჰანგებს ნისკარტით აგროვებდნენ და ტირიფის ხის ფოთლებზე ამაგრებდნენ; ხე თანდათანობით ერთ მთლიან მუსიკალურ კაღვიდოფონს დაემსგავსა, რომელიც თითოეული ბავშვის ნამდერ ბგერას ექოსავით ირეკლავდა. თევზებს წყალსაცავიდან თავები ამოეყოთ და პირიდან წყალს შადრეგნების მსგავსად ჰაერში აფრქვევდნენ, წყალი ჰაერში სხვადასხვა ფერის პატარა წვეთებად იშლებოდა და მიწაზე წკრიალა ხმით ეცემოდნენ. ყოველივე ეს ჰქმნიდა ერთიან მუსიკალურ ჰარმონიას.

პატრიარქმა ლოცვა-კურთხევით გაიარა ბავშვების მწკრივი, მიუახლოვდა სემინარიის მოძღვარს, დალოცა ის, და მის გვერდით დადგა, ხოლო, ამირანი და ნინო წინ დაიყენა, ორივეს თავზე ხელი დაადო და დაელოდა თუ როდის მორჩებოდნენ გალობას, შემდეგ კი, ხმადაბლა დაიწყო საუბარი:

– ჩემო შვილებო, იბერია მრავალი განსაცდელის წინაშე დამდგარა, მაგრამ ასე თუ ისე, როგორც ხედავთ, გადავრჩით. რამდენიმე დღის წინ შევიტყე, რომ ბოროტი ძალები ისევ მოძლიერდნენ, მათ ჩვენი საბოლოო განადგურება სურთ. როდის დაიწყება ეს ბრძოლა არ ვიცი, მაგრამ, ეს იქნება ბოლო შერკინება, ჩვენსა და ბოროტ ძალებს შორის, ეს განსაცდელი გაგრძელდება თორმეტი წელი, ბევრი ჩვენთაგანი ვერ გაუძლებს ამ განსაცდელს, მაგრამ ის ვინც გადარჩება ან თავს შესწირავს უფლის ჭეშმარიტ მცნებებს, იხილავს ჭეშმარიტებას, ის იხილავს იბერიის გაბრწყინებას. ამ ბრძოლაში, ყველა ჩვენთაგანს დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ გაარჩიოს ჭეშმარიტი სიყვარული - ყალბისაგან, ჭეშმარიტი მოციქული - ცრუ მოციქულისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი – მოჩვენებით ღმერთისაგან. ჩემო შვილებო ანტიქრისტე მოვა დიდი ცდუნებებით და მისი ამოცნობა ძნელი იქნება. ვინმე თუ გეტყვით: „თქვენი ღმერთი ვარ“ - მაშინვე არ ენდოთ, დააკვირდეთ მის შუბლს, მარჯვენა ხელის გულს და გულს და, თუ ამ ადგილებზე შავი ფერის რაიმე ნიშანს აღმოაჩენთ, იცოდეთ ის ანტიქრისტეა.

– პატრიარქი ცოტახნით დადუმდა, პირჯვარი გადაიწერა და ისევ

განაგრძო ქადაგება: – ჩემს წინ დგანან თქვენი მეგობრები, რომლებსაც შეგიძლიათ ყოველთვის ენდოთ და რომლებსაც უნდა გაჰყვეთ იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც თორმეტი წლის შემდეგ მოხდება. მე მოვხუცდი როდის დადგება ჩემი წასვლის ჟამი არ ვიცი, მაგრამ ერთი კი უნდა იცოდეთ ჩემი სული... და, ყველა იბერიელი ლოცვით, ხმლით, ავტომატით თუ თოფით, სიტყვით, ცოდნით და ყოველი კეთილი საქმით - თქვენთან ვიქნებით. არ შეგაშინოთ მტრის სიმრავლემ, რამეთუ სიკეთე ათას ბოროტებაზე უფრო ძლიერია. გახსოვდეთ, თქვენ იბერიელები ხართ! – პატრიარქმა ისევ შეწყვიტა საუბარი, თვალი მოავლო ბავშვებს და როცა მათ თვალებში მხოლოდ მამაცობა წაიკითხა, ხმამაღლა დაიყვირა: – გაუმარჯოს იბერიას!

პატრიარქის მოწოდებას ბავშვებიც აყვნენ, და გაისმა:

– გაუმარჯოოს!

– გაუმარჯოს იბერიას!

ბავშვების გულიდან ამოხეთქილმა ხმამ სივრცე გააპო და ყოველივე, არასულიერიც კი, გააცოცხლა; ზარებმა თავისით დაიწყეს სიმღერა:

აი ია, აი ია კოლხა მჭქვია,  
მიწას მხსნელი მოველინა,  
ბოროტებას ღმერთმა სძლია!

აი ია, აი ია კოლხა მჭქვია,  
სულს ნათელი მოეფინა,  
ჯვარს მირონი დაედინა!

აი ია, აი ია კოლხა მჭქვია  
ბერმა ლოცვა აღაველინა,  
გაბრწყინდება იბერია!

პატრიარქმა ხელი ზემოთ აღმართა რაც იმას ნიშნავდა, რომ ყურადღებას მოითხოვდა. სიჩუმე ჩამოვარდა. პატრიარქმა საუბარი განაგრძო:

– სემინარია ერთ კვირაში შეწყვიტავს საქმიანობას, ბერები გადანაწილდებიან სხვადასხვა მონასტრებში, სემინარიის მრევლი



სახლებში დაბრუნდებიან, სემინარიის ბაღი თავისი სასწაულებით, მცენარეებით, ფრინველებით, ცხოველებით და მწერებით მოექცევა აი ამ წიგნში, რომელიც გამრავლდება და ყველას დაგირიგდებათ, – და პატრიარქმა მხარზე ჩამოკიდებული ტყავის ჩანთიდან შინდისფერყდიანი წიგნი ამოიღო, წიგნი გადაშალა, ცარიელმა თეთრმა ფურცლებმა თვალისმომჭრელად გამოანათეს. პატრიარქმა წიგნი დახურა და სემინარიის მოძღვარს გადასცა და, ისევ, ბავშვებს მიმართა: – ორშაბათს როცა მოხვალთ, მხოლოდ შენობა დაგხვდებათ, სემინარიის ბაღი და მისი სასწაულები წიგნებში იქნება გადასული. კიდევ ერთხელ გეუბნებით, წიგნები ყველას დაგირიგდებათ. დაიმახსოვრეთ! თუ რომელიმე თქვენგანს განსაცდელი დაემუქრა, წიგნი გადამალეთ ისე, რომ ვერაფერ ვერ მიაგნოს. გთხოვთ, არ იღარდოთ! როცა დრო მოვა წიგნი თავისით დაუბრუნდება სემინარიას. ეს ვინც განსაცდელში ჩავარდება... დანარჩენები, დაახლოებით თორმეტი წლის შემდეგ, თავისი წიგნებით მოხვალთ. წიგნებს, აი იმ მუხის ძირას დააწყობთ და თქვენი თვალთ იხილავთ თუ როგორ აღდგება ყველაფერი რასაც ამჟამად ხედავთ და არსებობს, – პატრიარქმა მუხის ხისკენ გაშვერილი ხელი დაუშვა, პირჯვარი გადაიწერა და ისევ განაგრძო საუბარი: – ახლა ყველამ ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეთ და მაგრად მოუჭირეთ ერთმანეთს, ისე, რომ თითოეულმა თითოეულის გულის სითბო იგრძნოს. არ შეგეშინდეთ როცა ელვას სახით, ციდან გადმოვა უფლის მადლი, ის თქვენს სხეულებში გაივლის და ყველას ერთმანეთთან დაგაკავშირებთ. და, თუ ვინმე განსაცდელში ჩავარდება ამას თითოეული თქვენგანი იგრძნობს, ასე შეიტყობთ ერთმანეთის განსაცდელს და ეს დაგეხმარებათ, რომ დროზე მიხვიდეთ მეგობრის საშველად. ახლა ყურადღებით იყავით და როგორც გითხარით, ხელები მაგრად ჩასჭიდეთ ერთმანეთს, – და პატრიარქმა კისერზე დაკიდებული ჯვარი მოიხსნა, მარცხენა ხელით ზევით აღმართა, მარჯვენათი პირჯვარი გადაიწერა და ღოცვა აღაწვლინა: – მამაო ჩვენო, გააერთიანე წმინდა ადამიანების გულები, აავსე ისინი ერთმანეთის უკიდევანო სიყვარულით და თანადგომით, მიანიჭე მათ ყოველივე კეთილი, დიდსულოვნება, მხნეობა – სიმართლის დაცვაში. მამაო ჩვენო ჩაიბარე ჩვენი სულები და იმ-

სახურე, როგორც გემსახურება ყოველი წმინდანი, – პატრიარქმა იგრძნო თუ როგორ დამძიმდა ჯვარი, მეორე ხელი შეაშველა, მაგრამ, ჯვარი სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, ხანში შესულ პატრიარქს ხელები აუკანკალდა, მიუხედავად ამისა ლოცვა არ შეუწყვეტია, – ღვთისმშობელს ქალწულო მარიამ, შეიყვარე ეს წმინდა ადამიანები, როგორც გიყვარდა შენი შვილი იესო, დაიფარე ისინი ყოველგვარი ბოროტებისგან, – კიდევ უფრო დაუძიმდა ჯვარი პატრიარქს, ხელები ნელ-ნელა ძირს ჩამოეშვა, მაშინ, ამირანმა და ნინომ გამოართვეს ჯვარი და ორივემ ერთად ზევით აღმართა. – ოი, დიდება შენ ღმერთო, ასე მსუბუქათ ატარებინე ეს ჯვარი ამ წრფელ გულებს, როგორც მსუბუქათ აღმართეს ის შენს წინაშე, გადმოგვხედე და დაგვლოცე. – ეს სიტყვები პატრიარქმა შეშინებულმა და, ამასთან, დიდი სიყვარულით წარმოთქვა.

სემინარიის თავზე, ცა უცებ გაიხსნა და იქიდან კაშკაშა შუქი გამოვარდა, ელვასავით დაიკლაკნა და ყველა ბავშვს შუბლში ეძგერა. ბავშვებს არც წვა და არც ტკივილი არ უგრძნიათ, მხოლოდ სხეულში თბილი სასიამოვნო სითბო, ხოლო თვალებში სიტკბოს ალიცლიცება იგრძნეს. ყველას უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს ახლახანს გამოეღვიძათ. ცა ისევ დაიხურა, მაგრამ იმ ადგილიდან საიდანაც რამდენიმე წუთის წინ კაშკაშა შუქი გადმოვიდა, წვიმა წამოვიდა, წყლის წვეთები ისეთი მსუბუქი იყო, რომ თოვლის ფიფქებივით ფარფატებდნენ ჰაერში.

– ეს ღვთის მეორე მადლია, – თქვა პატრიარქმა. და, როცა ციდან ვერცხლისფერი ხორბლის მარცვლები ჩამოცვივდა, რომლებიც მიწაზე დაცემისთანავე გაღვივდნენ, და ჯერ ჯეჯილად, და მერე, პურის ყანად გადაიქცა, პატრიარქმა ბავშვებს მიმართა: – ეს ღვთის მესამე მადლია, მუშტში მობლუჯეთ პურის თავთავები, დაფშვენით, მერე სული შეუბერეთ და ხელის გულზე დარჩენილი ხორბლის მარცვლები შეჭამეთ.

ბავშვებმა ზუსტად შეასრულეს პატრიარქის ნათქვამი.

– ახლა სახლებში წადით, რომ მიხვალთ მაგიდაზე დაგხვდებათ წითელი ღვინო, არ გაიკვირვოთ, არც იკითხოთ საიდანაა, დალიეთ და თქვენს ახლობლებსაც დააღვინეთ. წადით! წადით, და ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.



ბავშვებმა ნელ-ნელა დაიწყეს დაშლა, მხოლოდ ამირანი და ნინო იდგნენ პატრიარქთან.

პატრიარქმა, ჯვარი გამოართვა ბავშვებს და ორივე დალოცა:

– დამილოცინხართ. თქვენ როგორც რჩეულებს, ყველაზე მეტი განსაცდელი გეღიო, თქვენზეა დამოკიდებული გადარჩება თუ არა იბერია, ახლა კი წადით სახლში და იყოს თქვენი გზა ნათელი.

პატრიარქმა ორივეს პირჯვარი გადაწერა, მათ წინაშე თავი მოიხარა და კიდევ ერთხელ სახლში წასვლა სთხოვა.

სემინარიიდან ყველაზე ბოლოს ამირანი და ნინო გამოვიდა. როგორც ყოველთვის მათ დავითი და მართა ელოდებოდა, რომლებიც დედა ქრისტინეს ესაუბრებოდნენ.

– ჰა, აგერ ესენიც, – აღნიშნა დავითმა.

– რაო ბავშვებო, ერთ კვირაში არდადეგები გეწყებათ? – ღიმილით ჰკითხა მართამ მოახლოებულ ამირანს და ნინოს.

– კი გვეწყება, – უპასუხა ნინომ.

– მართა ბებია, კვირას ხომ მოდიხართ ჩვენთან? – შეახსენა ამირანმა, და ნინოს გახედა.

– აბა რა, – ბებიას მაგივრად უპასუხა ნინომ და მერე ბებიას ჰკითხა: – ბებია, ხომ მივდივართ?

– კი ბებია მივდივართ, – ღიმილით უპასუხა ქალბატონმა მართამ.

– ამ ბავშვებზე მთელი სემინარიაა შეყვარებული, – საუბარში ჩაერთო დედა ქრისტინე.

– დედაოს თქვენთან საქმე აქვს, – დავითმა ბავშვებს მიმართა.

– ჰო, საქმე მაქვს, სემინარიაში ვერ გითხარით, ჩვენს მოძღვარს ეჭვი აქვს, რომ შეიძლება მრევლში ვინმე ინჩ-რუს-ეზუმეს ჯაშუში იყოს ან მოსასმენის დაყენება მოასწრო დემოკრატამ, ამიტომაც მთხოვა ცალკე მეთქვა თქვენთვის... თუ, რომელიმე ჩვენი მრევლიდან ან მღვდელმა, ნებისმიერი მიზეზით, თუნდაც დიდი სიყვარულით გაჩუქათ წითელი ვარდი რომელსაც ყვითელი ეკლები და შავი ფოთლები ექნება, არ გამოართვათ, ეს ვარდი ანტი-ქრისტეს ნიშანია. მისი ეკალი თუ გეჩხვლიტათ სისხლი მოგეწამ-



ლებათ. და, გაფრთხილებთ: გამორთმევისას აუცილებლად გეჩხვლიტებათ, რადგანაც ეკლები ცოცხალია და შეხებისას იზრდება. ბავშვებო იცოდეთ, ბოროტ ძალებს თქვენ ჰყავხართ მიზანში ამოღებული, რამეთუ მხოლოდ თქვენი მოწამლვის შემდეგ შესძლებენ სხვა ბავშვების დამორჩილებას, – დედაო ქრისტიანებო როცა საუბარი დაასრულა, ბავშვებს პირჯვარი გადაწერა, უფროსებს თავი მორჩილად დაუხარა და სემინარიაში შებრუნდა.

– ყველაფერი გაირკვა, ახლა წავიდეთ სახლებში. ოხ, არა ჩვენც თქვესკენ მოვდივართ, სამსახურში დედის ნაჩუქარი მაჯის საათი დამრჩა და უნდა ავიღო, – გულდაწყვეტით თქვა დავითმა.

– ძალიან კარგი, – სიხარულით აღნიშნა ნინომ.

– ძალიან კარგი რა, რომ დამრჩა? – გაეღიმა დავითს.

– ძალიან კარგი ის კი არა, საათი რომ დაგრჩათ, არამედ ძალიან კარგი ის, რომ ჩვენსკენ მოდიხართ, – ნინოს უხერხულობა შეეცყო.

– ვიცი, ვიცი, ჩემო ტკბილო... გაგეხუმრე, – დავითი დაიხარა, ნინოს ჯერ თვალებში ჩახედა და მერე ჩაიხუტა. სხეულმა სხეული მიიღო და ორივემ ერთურთის დიდი სიყვარული იგრძნო.

ამირანს ასეთი მოსიყვარულე მამა, ჯერ არ ენახა და გული აუჩუყდა:

– ეი, მამა, არ წავიდეთ? – ზოგადად აღნიშნა ამირანმა.

– წავიდეთ, წავიდეთ, – გამოერკვა მამობრივ სიყვარულში ჩაძირული დავითი, გასწორდა, ბავშვებს ხელი ჩასჭიდა აქედან და იქიდან გვერდში ამოიყენა, ქალბატონ მართას მოწიწებით გაუღიმა და თავის მოძრაობით ყველას ანიშნა წავიდეთო.

აღმართს მიუყვებოდნენ სიყვარულით დამძიმებული და ერთი ტკივილით გაერთიანებული ნოეს შთამომავლები, რომლებსაც ფესვები ერთდროულად იბერიის ნაყოფიერ მიწაში და ეგვიპტის ქვიშიან, დაღარულ, საიდუმლოებებით სავსე უდაბნოში ჰქონდათ გადგმული, მიდიოდნენ და ყოველი მათი ნაბიჯი იყო მიახლოება სამყაროსთან, საიდანაც განიდევნენ ადამის ძენი და რომლის შთამომავლებს სასჯელის ნიშნად წილად ერგოთ ცდუნებებითა და ტკივილებით დამძიმებული სამყარო.



– ახლა კი უნდა დაგშორდეთ, ჩვენ აქეთ უნდა წავიდეთ, – და დავითმა ხელი მარჯვნივ გაიშვირა.

– ნახვამდის, დროებით, – დაემშვიდობნენ ბებია და შვილიშვილი.

– კვირამდე, – დაემშვიდობა ამირანი.

მამა-შვილმა მარჯვნივ შეუხვიეს და აღმართს აუყვნენ.

– მამა ნახე კედელზე ცოცხალი ლანდი, ნახე რა ნაღვლიანი სახე აქვს. ვინ არის ეს კაცი? – იკითხა ამირანმა როცა ეროვნული ბანკის შენობის კედელზე მოსრიალე ლანდი შეამჩნია.

– ჰო საცოდავი, ეს დვალი-ლალიშვილია, ყოფილი ბანკის პრეზიდენტი, დროდადრო მისი ლანდი ამ შენობის კედელზე ჩნდება. ის მოკლეს... ხალხში კი, ხმა გაავრცელეს თითქოს-და თავი მოიკლაო, ამის გამო მღვდელმა წესი არ აუგო, ამიტომაც სამუდამოდ დარჩა მისი ლანდი ამ სამყაროს განზომილებაში და ელოდება სამართლის აღსრულებას, – დავითმა ლანდს გახედა, რომელიც მათ იმედის თვალებით შესცქეროდა.

– რატომ მოკლეს? – იკითხა ამირანმა.

– ეს გრძელი ამბავია, თანაც უსიამოვნო, რაში გჭირდება მისი ცოდნა, – და დავითმა, ხელი ჩაიქნია.

– მაინტერესებს, – არ მოეშვა ამირანი.

– ჰო, კარგი. წითელი ხოჭოების ყოფილმა მმართველმა, სახელად ედომ, მას უკანონო კრედიტის გაცემა დაავალა ერთ-ერთ წითელხოლებიან შავ ხოჭოზე, რომელსაც სახელად ჯაბა-ჯუბა ერქვა. დვალი-ლალიშვილია კი, ეს არ გააკეთა. მაშინ ხოჭოებმა, დვალი-ლალიშვილი შეაგვიწროვეს, ცუდ დღეში ჩააგდეს და როცა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, იმ საცოდავმა, დასახმარებლად რომან-კუპონ გოცირიკას მიაკითხა, გოცირიკამ დახმარების ნაცვლად, მისი ზრახვები ედოს აცნობა, ედომ ჯაბა-ჯუბას... შედეგს კი, შენ თვითონაც ხედავ... – და დავითმა ხელი კედელზე გამოსახული ლანდისკენ გაიშვირა.

– მამა, ედო მაინც ვინ იყო? – ჰკითხა ამირანმა.

– ედო, ედო, თეთრი მელა. თვითონ არ იცოდა ვინ იყო, აბა მე რა გითხრა. ეს კი ვიცი, რომ კავკასიელი მისი დავალებით მოკლეს, ასევე უარი თქვა იბერიის იმ კუთვნილ ტერიტორიებზე,

რომელიც ამჟამად თურქეთშია და, რომელიც უნდა დაგებრუნებოდა. ჰო, აი, კიდევ რა, მისი ბრძანებით დახვრიტეს ახალგაზრდა ბიჭები, რომლებმაც თვითმფრინავი გაიტაცეს იმისათვის, რომ თავისუფალ სივრცეში შეეღწიათ. ასე, რომ ბევრი ცოდვებია მის კისერზე, – და დავითმა მძიმედ ამოისუნთქა.

– მამა, სადაა თავისუფალი სივრცე და რას ნიშნავს ეს? – ამირანს სახეზე ცნობისმოყვარეობა აღებეჭდა.

– თავისუფალი სივრცე ჩვენივე სამყაროშია, მაგრამ იქ რომ მოხვდე ძალიან მაღალი სიჩქარე უნდა განავითარო, ამასთან შენი აზროვნება ანუ გონებრივი სწრაფვა, უფრო სწორედ წარმოსახვითი უნარი, წინ უნდა უსწრებდეს ფიზიკურ გადაადგილებას, – და დავითმა, ხელი წინ გააქანა, თითქოს-და უნდოდა ენახებია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს.

– ეს სამოთხეა მამა? – გაკვირვებულმა იკითხა ამირანმა.

– არა, ეს სულ სხვა რამეა, სხვა განზომილებაა. ეს არის მოლექულების, ატომების და სხვადასხვა დაშლილი ნაერთების სამყარო, ამ სამყაროში ყველაფრის შექმნა შეიძლება, შეიძლება დედამიწის მსგავსი სამყარო შექმნა, მაგრამ ამ სამყაროში კანონზომიერება არ არსებობს და შესაძლებელია შენივე შექმნილმა გარემომ შთანთქას ან დამოუკიდებლად განაგრძოს განვითარება. ეს ის სამყაროა სადაც ადამიანი უკვდავია და ყოველთვის იმ ასაკისაა რა ასაკშიდაც შეაღწია მოცემულ სამყაროში, ესე იგი ინარჩუნებს მუდმივობას. ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეტქვა: იმ სამყაროში რასაც შექმნი ის მხოლოდ შენთვისაა ხილული, – დავითი ფრთხილად საუბრობდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა.

– მამა ეს მოსაწყენია, – სევდა ნარევი ხმით აღნიშნა ამირანმა.

– მართალია, გეთანხმები, და ყველაზე ცუდი რა არის იცი? იქ მოხვედრილები თავს ველარ აღწევენ იქაურობას, სამუდამოდ იქ რჩებიან, – მუქარა ნარევი ტონით თქვა დავითმა.

– მამა, მამა შეხედე! დამურების მასწავლებელი გუ-თლინკო, ისევ ძველებურად ფეხის წვერებზე დახტის, მაგრამ ახლა უფრო მაღლა, ეტყობა დააწინაურეს. მამა, იცი რა მაინტერესებს, ახალი





შენობისთვის დამუშავების სკოლამ ფული საიდან იშოვა? – და ამირანს ტუჩებზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა.

– ძალიან გაინტერესებს? – და დავითმა თვალებში ჩახედა ამირანს.

– კი, მამა მაინტერესებს! და, უფრო იცი რატომ? სხვა მსგავსმა სკოლებმაც აიშენეს ახალი შენობები და... – და ამირანმა, თავი ორჭოფულად აქეთ-იქით გააქნია.

– კარგი, ესე იგი, ფულის შოვნის ერთი გზაა მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელსაც სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებისათვის ეკუთვნის სკოლის შემოსავლის გარკვეული პროცენტი და რექტორი-ფაქტორი თვითმართველობის პრეზიდენტს სთავაზობს გარიგებას ანუ სთავაზობს პროცენტიდან რაღაცას - მცირე წილს, ხოლო თვითონ იღებს დანარჩენს - უფრო მეტს. გასაგებად ავიხსენი? – და, დავითმა, კიდევ ერთხელ ჩახედა შვილს თვალებში.

– კი გასაგებია. მაგრამ, მამა, ამ კორუფციულ გარიგებაზე, რომ არ დათანხმდეს თვითმართველობის პრეზიდენტი? – დასრულებული არ ჰქონდა კითხვა ამირანს, რომ დავითმა უპასუხა.

– დათანხმდება, დათანხმდება. ჩემო კარგო, თვითმართველობის პრეზიდენტს რექტორი-ფაქტორის ჩარევით ირჩევენ და ის ხშირად მისი ახლობელია, ეს ბავშვებმაც კარგად იციან, მაგრამ რა, ისინიც რექტორი-ფაქტორის ხელში არიან და ხმას ვერ იღებენ, – სინანულით აღნიშნა დავითმა.

– კარგი, ფულის შოვნის კიდევ რა საზიზღარ გზებს ნახულობენ რექტორი-ფაქტორები? – კიდევ უფრო დიდი დაინტერესება გამოამჟღავნა ამირანმა.

– ჰო, კიდევ რა და, ჯარიმები აქეთ შემოდებული: გაკვეთილის გაცდენაზე, საგნის ვერ ჩაბარებაზე, ამასთან ამ თანხის სიდიდეს თვითონ ადგენენ. კიდევ - ბავშვებს წიგნებს ასყიდებენ ძალით, თანაც ორმაგ ფასში, – და დავითმა წარბები შეკრა. – ფულის შოვნის ეშმაკური მეთოდი გამოძებნა სკოლა - სვრალმა, ამ სკოლაში ბავშვს, შვიდი გაცდენა თუ დაუგროვდათ, გამოცდაზე არ უშვებენ, მიზეზია ის რომ, ვითომდაც ამ ბავშვმა სასწავლო პროგრამა სრულად არ გაიარა, ხვდები ალბათ, რომ ეს მახეა... და

სასწავლო პროგრამის ხელახალი გასაგებლად, მოსწავლესაგან, დიდ ფულს ითხოვენ. და, ყველაზე ცუდი რა არის თუ იცი? ხანდახან, რექტორი-ფაქტორის დავალებით, სკოლის ადმინისტრაცია, ბავშვებს ჟურნალში არებს ჩუმად უწერენ.

– რა დროზე გადავედი სემინარიაში... მამა, ეს უკანონობა როდის დამთავრდება? – მკაცრი ტონი შეეტყო ამირანის ხმას.

– სანამ ეს სისტემა არ დაიშლება, ან არ შეიცვლება ხედვა პროცესებზე, საქციელზე, არაფერი არ გვეშველება, – დანანებით თქვა დავითმა.

– კი მაგრამ იბერიელები, ხომ არ ვიყავით ასეთები? – გაკვირვებით იკითხა ამირანმა.

– იბერიელები არც ახლა ვართ ასეთები. ვინც მსგავს სიბინძურეს ჩადის გადაგვარებულები არიან, სისხლამღვრეულები. იბერიელი იცი რას ნიშნავს? – ამაღლებული ტონით დასვა კითხვა დავითმა.

– ვიცი მამა, ეს არის სისხლი, ზნეობა, სარწმუნეობა და სიყვარული, ჯვრის ოთხი ბოლოს სიმბოლო, – ამაყად უპასუხა ამირანმა.

– გაიხარე ჩემო ვაჟკაცო, – სიამაყე აღებეჭდა დავითს სახეზე.

– მამა შენი სამსახური! – და ამირანმა მამას მკლაფზე მოქაჩა.

– უი, კინაღამ არ გავცდი... გავერთე შენთან საუბარში. აქ დამელოდე ახლავე ჩამოვალ, – დავითმა შეაღო სამსახურის სადარბაზოს კარი და კიბის საფეხურები სწრაფად აირბინა.

ამირანი, კართან გაჩერდა და იქაურობის თვალღებვა დაიწყო, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დაინახა შავებში ჩაცმული ქალი, რომელსაც თავზე შარავანდედი ედგა. ამირანმა იცნო ის - ეს ქეთევან დედოფალი იყო, მუხრანბატონის ასული, მეუღლე კახეთის მეფე დავითისა და დედა თეიმურაზისა, დედოფალი რომელიც ათი წელი იტანჯა შახ-ტრაკბასის ტყვეობაში და მაინც არ გატყდა, არ განუდგა ქრისტეს რჯულს. მიხვდა შახ-ტრაკბასი, რომ ცდუნებებით ვერ გატეხავდა წმინდა სამების სასოებით შეპყრობილ დედოფალს და მაშინ მისი წამება განიზრახა, და ერთ დღეს,



როცა ყველასათვის გასაოცრად აღუბლის ხეებმა ხელახლა დაიწყეს ყვავილობა, შახ-ტრაკბასმა ჯალათებს უხმო და დედოფლის წამება ბრძანა. ჯალათებმა ჯერ ქალაქის ბინძურ ქუჩებში თმებით ათრიეს დედოფალი, მერე ქალაქის მოედანზე ძელზე გააკრეს, ხელები ეკლიანი მართულებით შეუკრეს, თავზე გახურებული სპილენძის ქვაბი დაამხეს, მარწუხებით ძუძუები დააგლიჯეს, ეს არ აკმარეს და გახურებული ბარით შუბლი გაუპეს, მხოლოდ ამის შემდეგ ამოხდა სული დედოფალს. დედოფლის წმინდა სულმა არ მიატოვა ნეშტი, ზემოდან დასცქეროდა, უყურებდა თუ როგორ განაგრძობდნენ ჯალათები მისი სხეულის ტანჯვას და სულს სული სტკიოდა, ხოლო როცა ჯალათები დაიღალნენ და მიწაზე დაეყარნენ როგორც მძორები, დედოფლის სულმა დალოცა თავისი წმინდა ნეშტი, სამუდამოდ დაემშვიდობა და თავის საყვარელ იბერიისკენ გაფრინდა. ახლა კი, დგას ქუჩის მოპირდაპირე მხრეს, მხოლოდ ამირანისათვის ხილული და უღიმის მას, იმ ადამიანს რომელმაც უნდა იხსნას იბერია და აღასრულოს ეფუთის წინასწარმეტყველება.

ამირანმა ფრთხილად გადაირბინა ქუჩა და დედოფალს მიუახლოვდა. დედოფალს ეამა ამირანის საქციელი, შუბლზე ეამბოროა და ყურში რაღაც წასჩურჩულა, მერე ხელი მოკიდა და უკან გადაიყვანა, თვითონ კი, ისევ ჰაერში გაუჩინარდა.

– რას ჩაფიქრებულხარ მამა? – ჰკითხა სამსახურის შენობიდან გამოსულმა დავითმა შვილს.

– დედოფალმა გამაფრთხილა შენზე, – ანერვიულებულმა თქვა ამირანმა.

– მაინც რა? – ღიმილით იკითხა დავითმა და თან დედის ნაჩუქარი საათი მაჯაზე გაიკეთა.

– რა და... – მაგრამ ვერ მოასწრო თქმა, რადგანაც მამამ შეაწყვეტინა სათქმელი.

– ჩვენ ყოველთვის უნდა გავაკეთოთ ის რაც ჩვენი მოვალეობაა, – მკაცრი ტონით თქვა დავითმა და ამირანს ძერასავით დახედა.

– კარგი, – დაეთანხმა ამირანი.



– ჰო-და წავიდეთ სახლისკენ, – უკვე მოფერებით მიმართა შვილს.

– წავიდეთ მამა, თანაც რაღაც-რუღაცეები ვიყიდოთ კვირას ხომ ნინო და მართა ბებია მოდიან, – ძალით იმხიარულებდა თავს ამირანი.

– რაღაც-რუღაცეებს დედა იყიდის, ჩვენ კი იმ რაღაც-რუღაცეებს შევსანსლავთ, – სიცილით უპასუხა დავითმა.

მამა-შვილი ისევ იმ ქუჩას გაუყვა რითაც ამოვიდნენ, ჩაუარეს სემინარიის შენობას და იმ სკვერს სადაც მამას პროფესორი გამოდიოდა სამათხოვროდ.

– მამა აქ რომ გავივლით, სულ შენი პროფესორი მახსენდება, – ნაღვლიანად თქვა ამირანმა.

– მეც მამა, – უპასუხა დავითმა.

– მამა, ამათ შეხედე, – და ამირანმა ხელი გაიშვირა მშრალ ხიდისკენ.

– ვაი, რა ხდება, – გაიკვირვა დავითმა როცა დაინახა ქალი, რომელიც გამწარებული უკან მისდევდა, დაახლოებით ასე შვიდი წლის ბიჭს.

– იმ ქალს ხელში ანგელოზის ფრთები უჭირავს, შეხედე მამა, შეხედე! – აღტაცებული საუბრობდა ამირანი.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა დავითი.

ქალი რომელიც ბავშვს მისდევდა და ორივე ხელში ანგელოზის ფრთები ეჭირა, ხმამაღლა და ამასთან მუდარიის ხმით ბავშვს მიმართავდა:

– დედა გენაცვალოს, გაიკეთე ფრთები, ეს კარგია, მოგეწონება!

– არ მინდა ანგელოზი ვიყო, მათ ყველაფერი აქვთ, მე ადამიანი მინდა ვიყო, ეს საინტერესოა, ადამიანები ყოველთვის მიიღტვიან სრულყოფისაკენ, – და ატირებული ბავშვი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

საპირისპირო მხრიდან მომავალმა ქალმა ბავშვი დაიჭირა და ძალა-ძალით, სირბილისაგან გულამოვარდნილ დედას მიგვარა, რომელსაც ბავშვის დაწვევის იმედი დაეკარგა და ხიდის შუა ნაწილში გაჩერებულიყო.



მამა-შვილი უკვე ხიდზე იყვნენ და კარგად გაიგონეს მათი საუბარი - უცნობი ქალი ბავშვის დედას სთავაზობდა:

- თუ არ უნდა ამ ბავშვს ეს ფრთები, მომეცი, და მე გავიკეთებ, აი შენ სანაცვლოდ ფული, - და ბავშვის დედას, ხელში ფულის დასტას აჩვენებდა.

- არა ეს ჩემი შვილისაა, მას არგუნეს ანგელოზებმა, ბავშვისაა! - გაკვირვებული უმტიციებდა ბავშვის დედა უცნობ ქალს, თან ხელით იცილებდა აბეზარა ბუზს, რომელიც თავზე დაბზუოდა და ყურში ჩასძახოდა:

- აიღე ქალო ფული, გემრიელ საჭმელებს იყიდი, რა შავქვად გინდა ეს ფრთები.

უცნობმა ქალმა, რაღაც მომენტში დრო იხელთა, ბავშვის დედას ფრთები გამოსტაცა და ზურგზე მიიღო. ფრთებმა თითქოს ფესვები გაიდგაო ქალის სხეულს შეეზარდა, ამოძრავდნენ, უცნობი ქალი ჰაერში აიტაცა, დაატრიალა, ხიდის მიღმა გააქანა, კიდევ ერთხელ დაატრიალა, მერე ერთიანად მოსცილდნენ და ბავშვისკენ გაფრიდნენ, ბავშვს ზურგზე მიეკრნენ მსუბუქად აიტაცეს ჰაერში და უკიდუგანო სივრცისკენ გააფრინეს.

ამირანმა ეს რომ დაინახა, სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა და ხმამაღლა დაიყვირა:

- ვაშა! ვაშა! გაიხარა სულმა!

ბავშვის დედა, ბედნიერებისაგან, ატირდა და მოახლოებულ დავითს ახსნა დაუწყო:

- იცით?... მე და ჩემმა მეუღლემ მთელი ჩვენი სიცოცხლე იმის ღოცვაში და ნატვრაში გავატარეთ, რომ ანგელოზი გვყოლოდა - ნატვრაც აგვისრულდა... ეჰ, სამწუხაროთ მამა ვერ მოესწრო.

- გილოცავთ, - გულთბილად მიულოცა დავითმა და მერე, ორივემ ზემოთ აიხედა, იქ სადაც უცნობი ქალი ჰაერში დაკიდებული დარჩენილიყო.

- ამას რა ეშველება? - ირონიულად იკითხა დავითმა.

- ალბათ, ქარი წაიღებს და სადმე მიაგდებს, - უპასუხა ამირანმა.

- შესაძლოა, - დაეთანხმა ბავშვის დედა.



– შეხედეთ!.. გაუჩნდა ხალხს გასართობი, – სიცილით თქვა დავითმა და ხელი შეჯგუფებული ხალხისკენ გაიშვირა, რომლებიც ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდნენ ცაში დაკიდებულ ქალს. მერე, ისევ ბავშვის დედას მიმართა:

– რომ, მოგენატრებათ შვილი?

– ძალიან, მაგრამ მონატრება წარსულია, სიყვარული აწმყო, ხოლო მომავალი იმედია, – ღიმილით უპასუხა ბავშვის დედამ და მამა-შვილს კეთილი სურვილებით გამოემშვიდობა.

მამა-შვილი ცოტახანი ხიდზე გაჩერდა, შორიდან ხალხის ქცევას აკვირდებოდნენ და როცა დაინახეს, რომ ხალხმა ქვების სროლა და დაცინვა დაუწყეს ჰაერში დაკიდებულ ქალს – იქაურობა დატოვეს.

– ხედავ, რას აკეთებენ მამა, – გულისტკივილით აღნიშნა ამირანმა.

– თავის უგვანოებას აშიშვლებენ. – სევდანარევი ირონიით უპასუხა დავითმა.

თამარი, როგორც ყოველთვის, დაგვიანებულ მამა-შვილს, აივანზე გადმომდგარი ელოდებოდა და როგორი გადაჭედილი არ უნდა ყოფილიყო ქუჩა ხალხით, მაინც იმწამსვე, თანაც ძალიან იოლად, გამოარჩევდა თავისიანებს, თავისმხრივ ამირანი და დავითიც როგორც კი დაინახავდნენ აივანზე გადმომდგარ დედას ხელს დაუქნევდნენ, ეს იმის ნიშნად, რომ: „აქა ვართ, მოვდივართ“. თამარიც არ დააყოვნებდა და საპასუხოდ დაუქნევდა ხელს: „გხედავთ, გხედავთ გელოდებით“. ახლაც ასე მოხდა, მაგრამ თამარი კიდევ რაღაცას ანიშნებდა მათ.

– მამა! დედა რაღაცას გვანიშნებს, – და ამირანმა მამის ყურადღება დედის მინიშნებაზე გაამახვილა, რომელიც მოპირდაპირე ქუჩაში მდგომარე კაცისკენ იშვერდა ხელს.

– ჰო, დავინახე. მგონი ვიღაცაზე გვანიშნებს, – თქვა დავითმა და იმ კაცს დააკვირდა ვისზედაც თამარი ანიშნებდა.

– ამირან, ეს თორნიკეა, – იცნო დავითმა თორნიკე.

– გიორგის შვილი, რუსებთან ომში, რომ დაიღუპა? – აღტაცებულმა იკითხა ამირანმა.



– ჰო მამა, ის არის. მაგრამ, ის მეორე ნეტავი ვინ არის? –  
საკუთარ თავს დაუსვა კითხვა დავითმა და თვითონვე გამოთქვა  
ვარაუდი: – რაღაც ჩენური იერი აქვს, ასლანი იქნება. ვითომ  
იპოვა? ჰო ასე იქნება, – უკვე გახარებულმა, მაგრამ, მაინც ორჭ-  
ოფული ტონით თქვა დავითმა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგომარე თორნიკემ გვერდით მდ-  
გომი მამაკაცი დავითის სახლისკენ მიატრიალა და როცა აივა-  
ნზე ქეთევანი დაინახა, ხელი დაუქნია, ქეთევანმაც უპასუხა და,  
მერე, თითოთ მიანიშნა აივნის ქვევით მდგომ დავითზე.

თორნიკემ დავითისკენ გაიხედა, ორივეს მზერა ერთმანეთს შე-  
ხვდა. ამ მზერაში დიდი სიყვარული, დარდი, სიხარული და რაღ-  
აც კიდევ გამოუცნობი რამ იყო ჩამარხული, რომელსაც ფილო-  
სოფოსები გონების პაექრობას უწოდებენ, პოეტები ჭვრეტას,  
მეომრები შერკინებას, ხოლო მეგობრები მონატრებას. თორნიკეს  
გვერდით მდგომმა უცნობმა მამაკაცმა დაიჭირა მათი მზერა და  
იგრძნო, რომ თვითონაც ამ მზერის არეალში მოექცა.

დავითმა, ხელის დაქნევით ანიშნა თორნიკეს გადმოდიო. თო-  
რნიკემ გვერდით მდგომ მამაკაცს რაღაც გადაულაპარაკა და  
ორივე დავითისკენ წამოვიდა.

ქუჩა, მანქანებით და მოხტუნავე კენგურუებით იყო გადაჭედი-  
ლი, რის გამოც ჰაერში დაკიდებული გადასასვლელები ისე სწრა-  
ფად მოძრაობდნენ, რომ თორნიკემ და უცნობმა ძლივს მოასწრეს  
გადასასვლელზე ახტომა.

– გამარჯობა დავით, – მიესალმა ქუჩაზე მშვიდობიანად გადმ-  
ოსული თორნიკე დავითს.

– გაგიმარჯოს, – დავითმა ჯერ მხარზე აკოცა მეგობარს და  
მერე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

– ეს ასლანია, – გააცნო თორნიკემ დავითს მათს გვერდით  
მდგომი მამაკაცი და დავითის ჩამორთმეული ხელი ასლანს  
გადაულოცა. ასლანმა, მეგობრობის ნიშნად ხელი მაგრად  
ჩამოართვა.

– ასლანი. ღმერთმა დაგლოცოს, – გაეცნო და იბერიულ ენაზე  
დალოცა.



დავითს ასლანის გამართული იბერიული ენა გაუკვირდა და ჰკითხა:

- საიდან იცი ჩვენი ენა?
- დედა მყავს იბერიელი, - ღიმილით უპასუხა ასლანმა.
- ეს ჩემი ვაჟია, - გააცნო ორივეს დავითმა და დაამატა: - ახლა ჩვენთან ავიდეთ, კარგი ღვინო მაქვს.
- არა ახლა არ გვცალია, მაგრამ კვირას აუცილებლად ამოვალთ, - ბოდიშის მოხდით უპასუხა თორნიკემ.
- ჰო, ასე სჯობს, - დაადასტურა ასლანმა.
- კვირას?! ხომ აუცილებლად მოხვალთ? - იკითხა დავითმა.
- პირობას გაძლევთ, - უპასუხა თორნიკემ.
- კარგით მაშინ კვირამდე, - და დავითი გულთბილად დაემშვიდობა თორნიკეს და ასლანს.
- კვირამდე, - გაიმეორა თორნიკემ.
- კვირამდე, - იგივე გაიმეორა ასლანმა და თორნიკესთან ერთად, ისევე, ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე გადასასვლელად მოემზადა.
- ნახვამდის, - მიაძახა ამირანმა, უკვე ჰაერში მოძრავ გადასასვლელზე ასულ თორნიკეს და ასლანს.
- ნახვამდის, - ექოსავით დაუბრუნეს დამშვიდობება თორნიკემ და ასლანმა ამირანს.
- ნუ ნადვლობ, ავიდეთ სახლში, კვირას აუცილებლად მოვლენ, - დაამშვიდა დავითმა ამირანი და ორივე ეზოში შესასვლელ თაღში შევიდნენ.
- მამა-შვილს ჯერ პირველი სართულის სადარბაზოს კიბეები არ ჰქონდათ ავლილი, რომ ზემოდან თამარის ხმა გაიგეს:
  - დავით რატომ არ მოიპატიუე?
  - გვაცალე სახლში შემოსვლა და ყველაფერს გეტყვით, - ასძახა დავითმა მეუღლეს.
  - რატომ არ მოიპატიუე, - ხელმეორედ გაუმეორა თამარმა, უკვე ოთახში შემოსულ მამა-შვილს.
  - ნუ დედავ, კვირას მოვლენ, აუცილებლად მოვლენ, - უპასუხა დავითმა მეუღლეს და შუბლზე ეამბორა.





– კარგია, კვირას ბევრი სტუმრები გვეყოლება, მაგრამ რაღაც აწრიალებული ვარ, კაქტუსის ეკალზე დამაგრებული თმის სამაგრიც რაღაც უცნაურად ციმციმებს, – ცოტა აღელვებულად საუბრობდა თამარი.

– ყველაფერი რიგზე იქნება, – ღიმილით უპასუხა დავითმა მეუღლეს და საძინებელი ოთახისკენ გავიდა, ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

ამირანი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ოთახში იდგა და მშობლების საუბარს უსმენდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა: „რა ძლიერად უყვართ ერთმანეთი, ასე ოსტატურად, რომ უმაღავენ მოსალოდნელ საფრთხეს ერთმანეთს“. მერე, ფიქრიდან გამოურკვეა და ერთმა აზრმა გაურბინა თავში: „იქნებ იმედი აქვთ იმისა, რომ შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად განვითარდეს“.

– ამირან, რას დამდგარხარ შუა ოთახში, წადი შენც გამოიცვა ალე ტანსაცმელი, – მიმართა თამარმა ამირანს და თვითონ სამზარეულოში გავიდა.

– ამირან, კვირას ნინო მოდის? – ჰკითხა ფუტკარმა.

– რა, ვერ გაიგე, რა თქვა თამარმა?! დიახ მოდის და შენთვის თაფლი მოაქვს, – ამირანის მაგივრად უპასუხა სხივის ბურთმა და თან ისე ჩაიხიბითა, რომ კინაღამ თავის ხის ფიალადან გადმოგორდა.

– გამარჯობა ამირან, – საძინებელ ოთახში შესულ ამირანს მიესალმა კაქტუსი.

– უყურე შენ ამათ, მე კი არ მომესალმნენ, რომ შემოვედი, – მხიარულად აღნიშნა დავითმა.

– მოგესალმეთ, მოგესალმეთ, ოღონდ შენ ვერ გაიგე, რაღაცაზე იყავი ჩაფიქრებული, – ერთხმად უპასუხეს კასრმა, ფუტკარმა და კაქტუსმა.

– ჰო კარგი, კარგი, ნუ დამესიეთ ყველა ერთად, ჩავფიქრდი და ვერ გავიგე, – ისევ მხიარულად უპასუხა დავითმა მეგობრებს და სამზარეულოსაკენ წავიდა.

ცოტახანში, სამზარეულოში ამირანიც გავიდა და უკვე მაგიდასთან მიმსხდარ მშობლებს შეუერთდა.

– ღვინო დაუსხი ამირანს, – მიმართა თამარმა დავითს.



დავითმა, შვილს წითელი ღვინო დაუსხა და სადღეგრძელოს თქმა სთხოვა.

ამირანმა ღვინით სავსე ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, გემო გაუსინჯა, შემდეგ ჭიქა მაღლა აღმართა და სადღეგრძელო თქვა:

– ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სამი ისეთი ადგილი, სადაც ბევრს ტირიან, სადაც გამუდმებით ტირიან და სადაც არასოდეს ტირიან. სადაც ბევრს ტირიან, ეს ჩვენი - ადამიანთა სამყაროა. ტირის ახალ შობილი ჩვილი, ტირიან სიყვარულისგან დაჩაგრულები და მოტყუებულები, ტირიან უპატრონოდ მიტოვებული მოხუცებულები, ტირიან მწუხარების დადგომის უამს, ტირიან საკუთარი და სხვისი ცოდვების გამო. ცრემლებით დაბადებულნი ცრემლებში ატარებენ თითქმის მთელ თავის ცხოვრებას. მაგრამ, სხვა მეორე ადგილი უფრო საშინელია, სადაც სულ, გამუდმებით ტირიან, ეს ჯოჯოხეთია. უფალი ამბობს, რომ იქ გოდებაა და დიდი ტანჯვა. სამაგიეროდ, მესამე ადგილი ნეტარების ადგილია, სადაც არავინ არასოდეს არ ტირის. იქ არც ურვაა, არცა სულთქმა, არამედ მხოლოდ სიხარულია და ცხოვრება დაუსრულებელი. – ამირანი შეყოვნდა და მშობლებს შეხედა და სადღეგრძელო ომახიანად დაასრულა: – გაუმარჯოს დედამიწას, რომელიც გვცდის და გვამზადებს სამოთხისათვის, – და ღვინით სავსე ჭიქა ბოლომდე დაცალა.

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – აიტაცეს სადღეგრძელო თამარმა და დავითმა და მათაც დაცალეს ღვინით სავსე ჭიქები.

– გაუმარჯოოს! – მოგვიანებით გამოსატა აღფრთოვანება ფუტკარმა და ამირანს ჰკითხა: – სამოთხეში თაფლი არის?

ამ კითხვაზე ყველას გაეცინა.

– არის, – უპასუხა ამირანმა.

– ახლა მე ვიტყვი სადღეგრძელოს ოღონდ ლექსად, – ითხოვა დავითმა.

– ის ხომ არა გუშინ კედელზე, რომ მიაწერე? – იკითხა თამარმა.

– გამოიცანი, და მომისმინეთ:

მე, გონების დემონი ვარ,



შენ - რითმების მეფე,  
მე, კლდის პირი ავირჩიე,  
შენ - ზღვის ტალღებს ეტრფი.  
ჩემს გულისთქმას არვის ვანდობ,  
შენ - გაანდე ღამეს.  
მე დურგალის დადრდით ვცხოვრობ,  
შენ - უმღერე მთვარეს.  
ჩემში მოგონება ჭარბობს,  
შენში - ოცნებები.  
მე თეთრ რაშზე დავგვირითობ,  
შენ - „ლურჯა ცხენებს“ ხედნი.  
მე, ქარიშხლის მონა გაეხდი,  
შენ - ქარიშხალს ებრძვი.  
მე, კლდის პირი ავირჩიე,  
შენ - ზღვის ტალღებს ეტრფი.

მოიცა! ეს არა. სხვა ლექსი, მეორე ლექსი წაუკითხე ამირანს.  
კარგი, – გამოსავალი აღარ დარჩა დავითს.

ქარიშხალივით არა ვარ წყნარი,  
ჩემი ცხოვრების დაფარე ვალი  
და როცა სული ჩემს სხეულს მოწყდა,  
ნათელში ვპოვე, მე, ჩემი ოდა.

ამ ლექსმა თამარი დაანადგვლიანა.... თითქოსდა ინანა: „რატომ ჩავაჟინდიო“. ამირანმა, დედას მოწყენილობა შეატყო და გამხიარულების მიზნით ტელევიზორი ჩართო. ეკრანზე ცხარედ მოსაუბრე კაცი გამოჩნდა.

– მოიცა, მოიცა სხვაგან არ გადართო, მგონი ამას ვიცნობ, ჰო ეს ვიგინდარა ზობა კურგელიაა. მან რაც კი, ბუნებრივი რესურსები გააჩნდა იბერიას სულ თეთრ ვირთხებზე გაყიდა, მათ შორის ოქროს საბადოც. – და დავითი ტელევიზორის ეკრანს მიაშტერდა.



– მერე, რათ გინდა, ვიგინდარების ყურება არ სჯობს სხვაგან გადავართოთ, – თამარმა სატელევიზიო არხების გადასართვი პულტი გამოართვა ამირანს და საპატრიარქოს არხზე გადაართო, სადაც მამა გიორგი გამრეკელი კითხულობდა ღირსი ვასილი ახლის მორჩილი თეოდორას ცად ამაღლების ამბავს, რომელიც გრიგოლიმ ნახა სიზმრისეულ ხილვაში. მამაო მშვიდად და ხმადაბლა კითხულობდა:

– ღირსი მამა ვასილის ჰყავდა მორჩილი თეოდორა, რომელიც მას დიდხანს და უდრტვინველად ემსახურა. სიკვდილის წინ თეოდორამ მონოზენის ხარისხი მიიღო და მშვიდობით აღესრულა. ღირსი მამის ერთ-ერთ მოწაფეს, გრიგოლს, აზრად მოუვიდა გაეგო, სად იმყოფებოდა გარდაცვლილი თეოდორა, იქმნა თუ არა წყალობის და სიხარულის ღირსი უფლისგან, წმინდა მამის წინაშე გაწეული მსახურებისათვის. გრიგოლი ხშირად ფიქრობდა ამბზე, დაბოლოს ბერ ვასილს ჰკითხა თეოდორას აღსრულების შემდგომი ხვედრის შესახებ, რადგან მტკიცედ სჯეროდა, რომ ღვთისსათნო ბერისთვის ეს ცნობილი იქნებოდა. ღირს ვასილის არ უნდოდა გაეწილებინა თავისი მოწაფე და უფალს შეევედრა, გაემხილა მისთვის ნეტარი თეოდორას მისაგებელი. და, აი, გრიგოლიმ ნახა ის სიზმარეულ ხილვაში ნათელ სავანეში, ზეციური დიდებისა და გამოუთქმელი სიკეთის გარემოში, რომელიც ღმრთისგან ღირსი ვასილისთვის წინასწარ იყო გამზადებული და სადაც მისი ღოცვებით ახლა ნეტარი თეოდორა განწესებულიყო. მისი ხილვით გახარებულმა გრიგოლიმ წმინდანს კითხვები „დააყარა“: როგორ მოხდა მისი სულის სხეულისგან განშორება, რა ნახა სიკვდილის წინ, როგორ გაიარა ჰაერის საზვერეები? – მამა გიორგი გამრეკელმა თვალები მოწყვიტა მის წინ დადებულ წიგნს, ჩაფიქრდა, ტელევიზიის ეთერში გაიხედა, თითქოს-და განჭვრიტა თუ ვინ უსმენდა ტელევიზიის ეთერის მიღმა და ცოტახნის შეყოვნების შემდეგ, ისევ, განაგრძო კითხვა: – ამ კითხვებზე თეოდორამ შემდგნაირად უპასუხა: შვილო, გრიგოლ, საშინელ საქმეზე მეკითხები, ძრწოლით ვიხსენებ ყოველივეს. ისეთი სახეები ვიხილე, რომლებიც არასდროს მენახა და ისეთი სიტყვები მოვისმინე, რომლებიც არასოდეს გამეგონა. აბა, რა უნდა გითხ-



რა? საშინელი და საზარელი რამეების დანახვა და მოსმენა მომიხდა ჩემი საქმეების გამო, მაგრამ ჩვენი მამის, ღირსი ვასილის შემწეობითა და ლოცვებით, შედარებით იოლად გამოვედი. აბა, როგორ გადმოგცე, შეილო, ის ხორციელი ტანჯვა, ის შიში და შეშფოთება, რომლის გადატანაც მომაკვდავს უხდება?! როგორც ცეცხლი ნთქავს მასში ჩაგდებულ საგანს და ფერფლად აქცევს, ასევე არღვევს და შლის ადამიანს სასიკვდილო წამება. ჭეშმარიტად, საშინელია სიკვდილი ჩემნაირი ცოდვილისათვის! ამრიგად, როდესაც დადგა ჟამი ჩემი სულის სხეულისგან განშორებისა, ჩემი საწოლის ირგვლივ უამრავმა ეთიოპმა მოიყარა თავი. მურივით შავები იყვნენ და ნაკვერჩხალივით მოვარვარე თვალები ჰქონდათ. მათ ხმაური და ყიჟინა ატეხეს, ერთნი გაჰყვიროდნენ როგორც საქონლები და მხეცები, მეორენი ტურებივით ყეფდნენ, სხვები კიდევ მგლებივით ყმუოდნენ, კიდევ სხვანი ღორებივით ღრუტუნებდნენ. ყველანი გაცოფებულები მიმზერდნენ, მემუქრებოდნენ, კბილებს მიღრჭენდნენ, თითქოს შეჭმას მიქადდნენ. ისინი ქარტიას ამზადებდნენ, სადაც ყველა ჩემი ავი საქმე ეწერა. ყველაფერი ამის დანახვაზე ჩემი საწყალი სული შეძრწუნდა. სასიკვდილო ტანჯვა ჩემთვის, თითქოს, უკვე აღარ არსებობდა: საშინელი ეთიოპების მრისხანე სახეებმა სიკვდილზე უფრო შემაშინეს. თვალს ვარიდებდი, რომ მათი საზიზღარი სახეები არ დამენახა, მაგრამ ისინი ირგვლივ მეხვივნენ და ყოველი მხრიდან მესმოდა მათი ხმები. როდესაც სრულიად დაუძღლურდი, მაშინ, უეცრად, ჩემთან მოახლოვებული ღვთის ორი ანგელოზი დავინახე, ღამაზი ყმაწვილების სახით; მათ ნათელი სახე ჰქონდათ, სიყვარულით მიყურებდნენ, თავზე თოვლივით სპეტაკი თმები ეფინათ და ოქროსავით უბზინავდათ; სამოსელი ელვასავით უბდღვიალებდათ, მკერდზე კი ჯვრისებრი ფორმის ოქროს სარტყელი ეკრათ. მოუახლოვდნენ თუ არა ჩემს სარეცელს, მარჯვენით დამიდგნენ და ერთმანეთში ნელი ხმით გააბეს საუბარი. მათმა დანახვამ უზომოდ გამახარა და დამამშვიდა. შავი ეთიოპები კი აწრიალდნენ და მოშორებით განდგნენ. ერთი ნათელი ყმაწვილი მათ შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა: "ჰოი, უსირცხვილნო, წყეულნო, ბნელნო და ბოროტნო მტერნო ადამიანის

მოდგმისა! რატომ ჩქარობთ ყოველთვის მომაკვდავის სარეცელთან მოსვლას, ხმაურობთ, აშინებთ და აშფოთებთ ყოველ სულს, რომელიც სხეულთან განსაშორებლად გამზადებულია? მაგრამ ამჯერად ძალიან ნუ გაიხარებთ, აქ თქვენ ვერაფერს იპოვით, რადგან ღმერთი მოწყალეა და თქვენი საწილო არაფერია ამ სულში". მოისმინეს თუ არა ეს, ეთიოპები შეიძრნენ და ყვირილი მორთეს: "როგორ თუ არაფერია ჩვენი ამ სულში? აბა ეს ცოდვები ვისია: აკივლდნენ ისინი და გრაგნილები ააფრიალეს, სადაც ყველა ჩემი ცუდი საქმე ჰქონდათ ჩამოწერილი, – განა ამან არ ჩაიდინა ყველაფერი ეს?" ამის შემდეგ ისინი ფეხმოუცვლელად დადგნენ და ჩემს სიკვდილს დაელოდნენ. ბოლოს თვით სიკვდილიც მოვიდა, ღომივით მბღვინავი და შესახედად ძალიან საშინელი. იგი ადამიანს ჩამოჰგავდა, თუმცა სხეული არ გააჩნდა და მხოლოდ ადამიანის შიშველი ძვლებისაგან შედგებოდა. მას თან ჰქონდა სხვადასხვა საწამებელი იარაღი: ხანჯლები, ხერხები, ცელები, ცულები. ყოველივე ამის დანახვაზე უბადრუკი სული, ჩემი, სულ მთლად ათრთოლდა. წმინდა ანგელოზებმა სიკვდილს მიმართეს: „რადას აყოვნებ, გაანთავისუფლე ეს სული სხეულისაგან, გაანთავისუფლე ჩქარა და მშვიდად, რადგან მას ბევრი ცოდვა არა აქვს". სიკვდილი დაემორჩილა ამ ბრძანებას, მომიახლოვდა, პატარა ცული აიღო და სხეული დაანაწევრა, მერე სიკვდილმა თასში რაღაც სასმელი შეაზავა, ტუჩებთან მომიტანა და ძალით დამალევიანა. ამ სასმელს იმდენად მწარე გემო ჰქონდა, რომ ჩემმა სულმა ვეღარ გაუძლო, ძლიერად შექანდა და ძალდატანებული სხეულის ბუდიდან ამოვარდა. მაშინ ნათელმა ანგელოზებმა იგი ხელში აიტაცეს. ეშმაკები, რომლებიც ეთიოპების სახით იყვნენ წარმოდგენილნი, ამ დროს გარს შემოგვერტყნენ და წმინდა ანგელოზებს ხმამაღალი ყვირილით ჩემს ცოდვებს უჩვენებდნენ. პასუხად წმინდა ანგელოზები ჩემს კეთილ საქმეებს ეძებდნენ, ღვთის მადლით პოულობდნენ და ერთად აგროვებდნენ ყველაფერს, რაც კი ცხოვრებაში უფლის შეწევნით გამეკეთებინა: თუკი ვინმეზე წყალობა გამიცია, ან მშვიერი დამიპურებია, ან მწყურვალისთვის წყალი დამილევინებია, ანდა შიშველისათვის სამოსელი მიმიცია, ან კიდევ მწირი სახლში შემიპატიჟებია და მასპინძლობა გა-



მიწვევია, წმინდანებს მოვმსახურებივარ თუ ავადმყოფი ან პატიმარი მომინახულებია, ან, თუნდაც, ეკლესიაში შევსულვარ და გულდადებითა და ცრემლით მილოცია, გინდაც ყურადღებით მომისმენია ეკლესიაში საკითხავები და გალობები, ანდა ტაძარში საკმეველი და სანთლები მიმიტანია, ან კიდევ სხვა რაიმე შემოწირულობა გამიკეთებია, ან მიმარხულია და ოთხშაბათს და პარასკევს საჭმელი არ მიმიღია, ან მთელი გულით მიმიმართავს ღვთისადმი და ჩემი ცოდვების გამო მიტირია, ან, როცა ბოროტებისათვის სიკეთით გადამიხდია, ან კიდევ თავი დამიმდაბლებია, ან კიდევ ამაო საქმეები მიმიტოვებია, თავი შემიკავებია ამაო ფიცის, ცილისწამებისა და ფუჭსიტყვაობისგან, და ასე, ყველა ჩემს უმცირეს საქმესაც კი, ერთად უყრიდნენ თავს ანგელოზები და ამზადებდნენ, რომ ჩემი ცოდვების საწინააღმდეგოდ დაეღაგებინათ. ეთიოპები, ამის დანახვაზე, კბილებს აღჭრიალებდნენ, რადგან უნდოდათ ხელიდან გამოვეტაცე ანგელოზებისათვის და ჯოჯოხეთის ფსკერზე შთავეგდე. ამ დროს, იქვე, მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენი ღირსი მამა ვასილი და წმინდა ანგელოზებს უთხრა: „ჩემო უფალნო, ეს სული დიდად მემსახურა მე, მინუგეშა სიბერე, მე კი ღმერთს მის თავს ვთხოვდი და ღმერთმა მარუქა იგი“. ამ სიტყვებით, მან ჯიბიდან, ოქროთი სავსე ქისა ამოიღო, ანგელოზებს გაუწოდა და დასძინა: „როდესაც ჰაერის საზვერებებს გაივლით და მზაკვარი სულები ამ სულის წამებას შეეცდებიან, ამით გამოიხსენით ის თავისი ვალებისაგან“. თქვა თუ არა ეს, ჩვენი ღირსი მამა ისევე უეცრად გაქრა, როგორც მანამდე გამოჩნდა. მზაკვარმა ეშმაკებმა, როდესაც ყოველივე ეს იხილეს, განცვიფრდნენ, მერე კი ვაი-ვიში ატეხეს და ისინიც გაუჩინარდნენ. მაშინ ღვთისსათნო ვასილი კვლავ გამოჩნდა და სუფთა ზეთითა და ძვირფასი მირონით სავსე მრავალი ჭურჭელი მოიტანა; შემდეგ, ერთიმეორეს მიყოლებით, ყველა ისინი გახსნა და თავზე დამასხა: ჩემგან ირგვლივ, კეთილი სურნელი დაიფრქვა. მაშინ მივხვდი, რომ შევიცვალე და განსაკუთრებულად ნათელი გახვდი. წმინდანმა კი კვლავ მიმართა ანგელოზებს: „ჩემო უფალნო, როდესაც ყოველივეს აღასრულებთ, რაც ამ სული-



გამოყოფილ სავანეში და იქ დაამკვიდრეთ". ამ სიტყვების შემდეგ იგი უჩინარი გახდა, ანგელოზებმა კი ხელში ამიტატეს და ჩვენ, სულ უფრო და უფრო ვმადლდებოდით ზეცისკენ... ამ სიზმრის-ეულ ხილვის შემდეგ გრიგოლი კიდევ უფრო მორჩილი შეიქმნა... – მამა გიორგი გამრეკელმა როცა კითხვა დაასრულა ტელევიზიის ეკრანიდან დალოცა მისი სავარაუდო მსმენელები: – ღმერთმა შეგაძლებინოთ კეთილი ცხოვრება, – და მსმენელს, ტელევიზიის ეკრანებთან მომავალი შეხვედრის თარიღი აუწყა.

– გულს ნათელი მომეფინა, – მშვიდად თქვა თამარმა, როცა გადაცემა დასრულდა.

– მეც, – მშვიდი და რბილი ხმით თქვა დავითმა.

– ჰო-და, ახლა წავიდეთ და დავიძინოთ. ოხ, მაგიდა მაქვს ასა-ლაგებელი, არაუშავს ხვალ ავაღაგებ და ჭურჭელსაც ხვალ გავრეცხავ, – და თამარმა ტელევიზორი გამორთო.

ამირანი და დავითი ჩუმად წამოდგნენ და მთქნარება-მთქნარე-ბით თამარს უკან აედევნენ.

ცაზე, მთვარეს თავისი ადგილი უკვე დაეკავა, ღრუბლის სავა-რძელში მოკალათებულიყო, ფეხი ფეხზე გადაედო და უდარდელ-ად გაჰყურებდა მოკაშკაშე ვარსკვლავებს, ღამე კი, აქეთ-იქით და-ძვრებოდა, ფანჯრებში იჭვრიტებოდა, ახალ ამბებებს აგროვებდა, ხურჯინში ალაგებდა, თან თავისთვის ღიღინებდა:

– იყო სადამო და იყო დილა და დადგა მეორე დღე.

### შარბათის შაბათი დილა



დილა მალულად შემოიპარა ქალაქში, და იმის შიშით ღამემ არ შემამჩნიოსო ხის ფოთლებში დაიმალა, საიდანაც ჩუმ-ად აკვირდებოდა კაქტუსის ეკალს... აინტერესებდა გუშინდელი მცდელობა როგორ დასრულდა.

– საოცრებაა! – აღრფთოვანებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა, როცა დაინახა კაქტუსის ეკალში თუ ელვასავით როგორ გადიო-და პარალელური სამყაროს ენერგია. – ფრთხილად, ფრთხილად!





მაგრად მოეჭიდე ეკალს! – დაუყვირა, კაქტუსის ეკალზე შემომჯდარ ფუტკარს, რომელიც კინაღამ პარარელური სამყაროს ენერჯიამ შთანთქა.

ყვირილზე ფუტკარმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება, ხმა ეცნაურა, თუმცა ვერაინ ვერ დაინახა, გაუკვირდა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის კაქტუსის ეკალს კიდევ უფრო მაგრად მოეჭიდა. სამაგიეროდ, დილის ხმა, იმ წამსვე იცნო ღამემ და ერთი ამბავი ატეხა:

– გიცანი, გიცანი! სად ხარ? ჯერ არ მოსულა შენი დრო. მაინც სად იმალები? დამენახე! დამენახე!

და, დილაც, ხის დაბურულ ფოთლებიდან გამოძვრა, გამოძვრა და იქაურობა გაანათა.

ღამემ ისევ ატეხა ხმაური:

– კი, მაგრამ ჯერ ხომ არ მოსულა შენი დრო. რატომ ანათებ აქაურობას?

– შენ არ მითხარი დამენახეო და მეც დაგენახე, – სიცილით უპასუხა დილამ.

დილა ისე გულწრფელად იცინოდა, რომ ღამესაც გაეცინა. ასე ერთხანს ერთმანეთს მხიარულად ექილიკებოდნენ. მათი მხიარულება ტოროლასაც გადაედო, მხოლოდ იმას კი ვერ მიმხვდარიყო დილა იყო, თუ ისევ ღამე, და როცა შეამჩნია, რომ შუქმა იძალა, წკრიალა ხმით ცაში აიჭრა.

ტოროლას ხმაზე ზაქარიას გაეღვიძა:

– ამ შუა ქალაქში ტოროლა საიდან გაჩნდა, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა თავისთვის და ხელებით თვალები მოიფშენიდა.

გაღვიძებულ ზაქარიას თბილი ლოგინის მიტოვება ენანებოდა, ეზარებოდა კიდევ, მოჭუტული თვალებით ჭერზე ახლად გაჩენილ ბზარს დააკვირდა, რომელიც მდინარესავით იკლაკნებოდა და კედლის სიღრმეში იკარგებოდა... უცებ, გუშინდელი სიზმარი გაახსენდა:

– რა იყო ეს? – თავისთვის ჩაილაპარაკა და სიზმრის მოგონებაში გადაეშვა.

ზაქარიამ თანდათანობით აღიდგინა სიზმრის სურათები, გაახსენდა, თუ როგორ მშვიდად იდგა ჩანჩქერის პირას, ისიც გაახსენდა,



ნდა - წყალი, რომელიც მაღალი სიჩქარით, ზათქითა და შხუილით მოედინებოდა, მასთან მოახლოებისას უეცრად წყნარდებოდა. გაახსენდა: მისი სხეული, სულმა როგორ აიტაცა ჰაერში; ესამოვნა ფრენა, მაგრამ დიდხანს ჰაერში ვერ გაჩერდა, სხეულის სიმძიმემ ქვევით დაუშვა, ისევ ფეხზე იდგა, მიმოიხედა, მინდორში იყო, გარშემო სხვადასხვა ყვავილები შემორტყმოდა, მაგრამ, მათ შორის მხოლოდ გვირილები გაარჩია, სადღაც თითქოს-და წითელ ვარდსაც მოჰკრა თვალი. უცებ ზურგიდან წყლის შხუილი შემოესმა, მოიხედა, ჩანჩქერი მოახლოვებოდა, წყლის წვეთები თავზე ესხმებოდა, მაგრამ არ სველდებოდა, თვალი ააყოლა ჩანჩქერს, და იმ ადგილს დააკვირდა სადაც ადრე იდგა და, საოცრება, ისევ თავისი თავი დაინახა, უცნაური გრძნობა დაეუფლა, ადელდა, თავის ორეულს თვალი მოარიდა, მერე თანდათანობით დაწინარდა, გონებაში აზრმა გაუელვა: „ალბათ ჩვენ, ერთდროულად, სამ განზომილებაში ვიბადებით“, ისევ გახედა თავის ორეულს, მაგრამ, იქ აღარავინ ჩანდა. მოტრიალდა, მინდორი ახლა სხვადასხვა ყვავილების ნაცვლად, მხოლოდ ზამბახებით იყო მოფენილი, სირბილის სურვილი გაუჩნდა, გაიქცა და ისევ ჰაერში აფრინდა, მინდორს ზემოდან გადაუფრინა და ჭალაში თეთრი ცხენი დაინახა. ახლა, ცხენით ჭენების სურვილი გაუჩნდა, ძირს დაეშვა და ცხენს შემოაჯდა, ცხენმა დაიჭინვინა და გასაოცარი სიჩქარით გაქანდა. ზაქარიამ, შორს ბრძოლის ველი დაინახა, სადაც ერთმანეთს სხვადასხვა რჯულისა და ჯიშის ადამიანები დარეოდნენ, ყველა სხვადასხვა ენაზე, გაუგონარ ამაზრზენ ხმაზე ყვიროდა, როცა მათ, ზაქარია დაინახეს - მისკენ დაიძრნენ. შეწრწუნდა ზაქარიას გული, მას ჯერ ასეთი მახინჯები არასდროს ენახა, პირველმა აზრმა რაც გონებაში გაურბინა ის იყო, რომ იარაღი არ ჰქონდა. მაშინ, ცხენს ქუსლი ჰკრა, ცხენმაც იგრძნო პატრონის გასაჭირი და მთელი ძალით დაიჭინვინა, ჭინვინზე უგვანოების ბრბო, უეცრად, სადღაც გაუჩინარდა, იქაურობა კი, ქვიშით დაიფარა. მერე რა მოხდა, რა ესიზმრა, ვერასდობებით ვერ გაიხსენა.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს? – ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ზაქარიამ, გაიზმორა და ლოგინიდან წამოდგა.



დილის ნაადრევი მობრძანება, ტოროლას გარდა ვერავინ ვერ შეიტყო; შაბათი დღე იყო და, ყველას ლოგინში კოტრიალი ერჩია. ქუჩა ცარიელი იყო, მხოლოდ დავითი გამოსულიყო აივანზე.

– დავითს გაუმარჯოს! – რიხიანად მიესალმა სადარბაზოდან გამოსული ზაქარია.

– გაგიმარჯოს! – ასევე რიხიანად უპასუხა დავითმა.

– რა ადრინად ამდგარხარ?! – ხალისიანად შეეხმიანა ზაქარია.

– მეც არ ვიცი, თუ რატომ ავღეგი ასე ადრე. იცი, რაღაც ჩვენი სოფლის დილის სურნელება ვიგრძენი... ჰოო, თანაც კარგა დიდიხანია ტოროლას ხმა არ გამიგია, – ცოტა სევდიანად თქვა დავითმა.

– აა, გამოტყდი, ლექსების წერა ხომ არ დაიწყე? – ღიმილით ჰკითხა ზაქარიამ.

– არა კაცო, რა დროს ჩემი ლექსებია, – იუარა დავითმა.

– მაიცა, ნუ ცრუობ, გუშინ შენ რომ არ იყავი სახლში, შენთან ვიყავი და კედელზე თვალი მოგკარი დაწერილ ლექსს, თამარმა აღიარა, რომ შენი იყო, ჰო-და მაგ შენს ლექსზე, მეც შევთხზე ლექსი. გინდა წაგიკითხო? – ნიშნის მოგებით ჰკითხა ზაქარიამ.

– მინდა, – დაეთანხმა დავითი.

– ჯერ აღიარე, რომ შენი ლექსია, და რომ ჭადარა შეგპარვია გულში, – არ მოეშვა ზაქარია.

– ვაღიარებ, ოღონდ ქუჩის ამ მხარეს გადმოდი, თორემ ყველას გაგადვიებთ. – სთხოვა დავითმა.

– უკვე გაგვადვიებთ, შეგეძლოთ უფრო ხმადაბლა გესაუბრათ, – უსაყვედურა დაირა ექიმმა და ოთახის ჰაერის გაწმენდის მიზნით ფანჯარა უფრო ფართოდ გამოაღო და, დასძინა: – თუ არ გინდათ, რომ უფრო მეტი საყვედურები მიიღოთ ორივემ უნდა წაიკითხოთ ლექსები.

– ჰო, ჰო ორივემ, თუ პოეზიის დილაა, პოეზიის დილა იყოს, – და ფანჯრიდან, პოსლიკამაც გამოყო თავი.

– გეთანხმებით, მეც მინდა მოვისმინო დავითის ლექსი, – ეს ახალი მეზობელი იყო, რომელიც სულ სამი დღეა რაც გადმოსულიყო პოსლიკას მეზობლად.

– სხვა რა გზაა, მიდი დაიწყო დავით, – მოუწოდა ზაქარიამ დავითს.

დავითმა სევდიანი ხმით დაიწყო:

ქარიშხალივით არა ვარ წყნარი,  
ჩემი ცხოვრების დაგფარე ვალი  
და როცა სული ჩემს სხეულს მოწყდა,  
ნათელში ვპოვე, მე, ჩემი ოდა.

ზაქარიამ გააგრძელა:

არც ჩემი სული არ არის წყნარი,  
მეც სიკეთისთვის გადავდე თავი  
და შენთან ერთად ცად ავმაღლდები,  
იქ სადაც არ არის ცოდვა და ბრალი  
და არ არსებობს მრუშობა, შური,  
სადაც მეფობენ ანგელოზები,  
სადაც გვექნება ცხოვრება მშვიდი,  
სადაც ფასდება სიკეთე, ნიჭი  
და არ არსებობს ტყუილი, ქიშპი,  
სადაც მბრძანებლობს ღმერთის კანონი  
და გვეყოლება ერთი პატრონი.

ახლა პოსლიკამ გააგრძელა:

მეც მინდა თქვენთან დავიდო ბინა,  
მზად ვარ, ამისთვის ვიხადო ქირა,  
მოვინანიო ცოდვები ჩემი  
და სიკეთისთვის გავიდო ხელი.

– ტაში, ტაში! ძალიან კარგია, – შეაქო ესმა ონიანმა, რომელსაც მზის სხივებისათვის მიეშვირა სახატავი ფუნჯები და, თან, ცალი ყურით უსმენდა სამთა პაექრობას.



ყველას გაუგვირდა მხატვრის ეს საქციელი, რამეთუ ის არასოდეს არ ერეოდა მეზობლების საუბარში და საერთოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა.

– ტაში, ტაში! ვაშა, ვაშა! – ჩაილაპარაკა თავისთვის და ნარნართ ჩაიქროლა დილის ნიაგმა, მერე ცოტახანში, ასე დაახლოებით სამ წუთში, უკან ჩამოიქროლა და ახლა უკვე ყველას გასაგონად თქვა: – ეჰ რა კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდა დროის წინ წაწევა, ან უკან დაბრუნება.

– გაიგონე რა თქვა ნიაგმა? – ჰკითხა დავითმა ზაქარიას.

– არ ვეთანხმები, ყველა დროს თავისი დანიშნულება აქვს, – უპასუხა ზაქარიამ.

– არ ვიცი დროს რა დანიშნულება აქვს, მაგრამ ჩვენ კი ძალიან შეგვაწუხებთ, – ხის კენწეროზე შემომჯდარმა ყვავმა დაიჩივლა, მერე დაიხსავლა და იქაურობას ფრთების ტყლაშუნით გასცილდა.

პოსლიკას ძალიან არ მოეწონა ყვავის ჩხაგილი, გაბრაზებულმა უმისამართოდ შეიგინა და ფანჯარა მიხურა. დავითიც თავის ბინაში შევიდა. ქუჩაში მხოლოდ მეზოვე ზაქარია დარჩა, რომელიც დაირა ექიმს, ყვავის სამას წლიანი ცხოვრების შესახებ ესაუბრებოდა და, როცა შეატყო, საუბრით თავი მოაბეზრა, დადუმდა და ქუჩის ხვეტას შეუდგა.

ზაქარია, ჩვეულებისამებრ ცოცხს ცელივით აქეთ-იქით იქნევიდა, ნაგავს ხან აქეთ, ხან იქით ყრიდა და, მერე, მესამე განზომილებაში გააქანებდა. იქ მესამე განზომილებაში სხვა ზაქარია, გადმოყრილ ნაგავს, მეორე განზომილებაში ყრიდა, მეორე განზომილებიდან პირველში იყრებოდა და ასე უსაშველოდ ტრიალებდა ნაგავი ერთი განზომილებიდან მეორეში და არავინ არ იცოდა როდის დამთავრდებოდა ნაგვის ეპოპეა. ერთხელ წმინდა მამაო, რომელიც ამ ქუჩაზე ცხოვრობდა და, ამავე დროს, პარალელურ სამყაროს ამავე ქუჩაზეც, დაინტერესდა შეიძლებოდა თუ არა ამ ნაგავის ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოცილება, და ანგელოზებს შორის ყველაზე ჭკვიან ანგელოზს ჰკითხა: „როგორ შეიძლებოდა ნაგვის სამუდამოდ თავიდან მოცილება“. მაშინ ანგელოზმა წმინდანს კითხვა შეუბრუნა: „თქვენთან, ადამიანების

უმრავლესობა, ფულიან კაცს უფრო მეტ პატივს მიაგებს, თუ სიმშილისაგან გამხდარ მწერალს ან მეცნიერს?" მიხვდა წმინდანი ყველაფერს, და დაღონებული გასცილდა ანგელოზს, გერგეთის სალოცავის სენაკში ჩაიკეტა და დარჩენილი მიწიერი ცხოვრების დღეები ლოცვაში გაატარა... გარდაცვალების შემდეგ კი, მისი სული მფარველი ანგელოზით თავს დასტრიალებდა ზაქარიას და ძალას მატებდა, ამით, წმინდა მამას სული სულსაც ინუგეშებდა – სჯეროდა წმინდანის სულს, რომ ზაქარია, ოდესღაც შესძლებდა ნაგვისაგან ქვეყნის განწმენდას და ეღირსებოდა განწმენდილი სამყაროს ხილვა.

შაბათის დილა, შარბათივით ნელ-ნელა შედიოდა თავის უფლებებში - ყველა დაატკბო. ხოლო, მისმა მეგობარმა – მთქნარებამ, ყველა სულიერს ჩამოურბინა, და ახლად გაღვიძებულები აიძულა, რაც შეიძლება მეტი დილის ჰაერი შეესუნთქათ. მთქნარებას ვერც ამირანი გადაურჩა, და ამირანმა იმხელაზე დაამთქნარა, რომ კასრს შეეშინდა - არ გადამყლაპოსო.

– ამირან გაიღვიძე? – ჰკითხა დავითმა, რომელიც ამირანის ოთახის კარის ზღურბლთან იდგა.

ამირანმა მამის ხმაზე თავი გამოყო კასრიდან და ჰკითხა:

– დედას ღვიძავს?

– მგონი კი. ჰო, ახლა გაიღვიძა, – და დავითმა, საწოლზე წამომჯდარ თამარს გახედა.

– მართლა?! – გაუხარდა ამირანს, გამოძვრა თავის კასრიდან და დედის ლოგინისკენ გაქანდა.

– მამა, ეს ბავშვური ჩევეა როდის უნდა მოიშალო? – სიცილით ჰკითხა დავითმა ამირანს.

– არც არასოდეს, ის ყოველთვის ჩემთვის პატარა იქნება, – უპასუხა თამარმა და ამირანი ძლიერად ჩაიკრა გულში.

– კარგი რა მამა, შენ ხომ არ აღიარებ ფროიდის უაზრო ფილოსოფიას... ჩვენ იბერიელები ვართ! ჯანსაღი ფსიქიკის მქონენი, – მხიარულად უპასუხა ამირანმა.

– ასეთ რამეს როცა ამბობ გასაგებია... უკვე აღარ ხარ პატარა, – აღნიშნა დავითმა, მერე ორივე მკლავში მოაქცია და ლოგინზე გააგორა.



– დედა! მამა ომს გვიცხადებს მოდი წავაყაროთ! – ამირანმა მოხერხებულად თავი დააღწია დავითის მკლავებს და მამას ზემოდან მოექცა.

– ეე, თქვე ყაჩაღებო გაგიჭყლიტე, – აყვირდა, ქვეშ მოყოლილი თამარი და დავითს ქვემოდან ისე ძლიერად მიაწვა, რომ დავითი გადაგორდა, საწოლიდან ჩამოვარდა და ძირს - იატაკზე გაიშხლართა, ზემოდან კი, ამირანი დაეცა.

ამის შემხედვარი ფუტკარს სიცილი აუვარდა, აროხროხდა კასრიც. ხმაურზე სხივის ბურთიც შემოფრინდა, მხოლოდ, კაქტუსს არ ეცალა ონავრებისთვის, ის მესამე განზომილებიდან მის სხეულში შემოსული ენერჯის განაწილებით იყო დაკავებული. მეგობრებმა იგრძნეს, რომ ამ მხიარულ ორომტრიალს კაქტუსი აკლდა და ყველამ, თითქმის ერთდროულად, იმ მხარეს გაიხედეს სადაც ის ეგულებოდათ.

– ნახე, როგორ მწვანეთ ანათებს, – აღნიშნა სხივის ბურთმა, მიახლოება დააპირა, მაგრამ, მიახლოებისთანავე კაქტუსსა და მას შორის ელექტრონული ნაპერწკალი გაკრთა, და სხივის ბურთმაც უკან დაიხია.

– ჩემი თმის სამაგრი უკეთია ეკალზე? – იკითხა თამარმა და როცა დაინახა დამშვიდდა.

ფეხზე წამომდგარი მამა-შვილი კაქტუსს მთელი არსებით აკვირდებოდა, უხაროდათ კაქტუსის წარმატება.

– ეს კარგია! თუ მოასწრო ენერჯის სრული შეთვისება იმ დრომდე... მაშინ, ჩვენ შევძლებთ კარის გაკეთებას პარალელურ სამყაროში, სადაც დროებით დავიმალებით, ასევე შეგვეძლება იქიდან პროცესების მართვა, – გამხიარულდა დავითი, მაგრამ უეცარმა აზრმა გაურბინა: „რომ ვთქვი - იმ დრომდე, ხომ არ გაგამჟღავნე მოსალოდნელი საფრთხე?“.

– რამდენი დღე დასჭირდება? – იკითხა ამირანმა.

– სამი, – უპასუხა დავითმა.

– ბევრია?... – სინანულით აღნიშნა ამირანმა.

– შენ რაღაც იცი, და ვიცი, რომ იცი. აბა მითხარი რა ხდება?

– შეეკითხა თამარი ამირანს.



– არაფერიც არ იცის, – კატეგორიული ტონით აღნიშნა დავითმა და თამარს შესთავაზა: – მოდი ჩვენს საყვარელ მთაწმინდაზე ავიდეთ, გავერთოთ და მერე, იქიდან, ერთად გავიაროთ ბაზარში... გემრიელი რამერუმები ვიყიდოთ.

– კარგი, – დაეთანხმა თამარი და ამირანს მიმართა: – ამირან, მომეხმარები სამზარეულოში?

– კი დედა, – სიხარულით დაეთანხმა ამირანმა.

– მეც მოგეხმარებით, – შესთავაზა დავითმა.

ცოტახანში, სამივემ სამზარეულო მოაწესრიგა, ჩაი დალიეს და მთაწმინდაზე წასასვლელად გაემზადნენ.

მთაწმინდაზე ასვლა, განსაკუთრებით, დავითს უყვარდა, რადგანაც იქ ზუსტად ისეთი უცნაური ფერის ალვის ხე იზრდებოდა, როგორც მისი სოფლის ეზოში - შემოსასვლელ ჭიშკართან. დავითმა, ბაბუასაგან იცოდა, რომ მათ ეზოში ამოსული ალვის ხე, სამი კოსმიური ზონის: ქვესკნელის, შუასკნელის და ზესკნელის დამაკავშირებელი იყო. ბაბუამ, დავითს, საიდუმლოდ ისიც გაანდო, რომ ალვის ხის ტანში ცხოვრობდა ქალწული ლილა და, მართლაც, ერთხელ კიდევ იხილა დავითმა ქალწული ლილა. ეს მოხდა, მაშინ როცა ბოროტმა სულებმა განიზრახეს მალულად, ღამე, სოფელში შეპარვა, ეს ლილამ შეიტყო და ისე საშინლად ააშრიალა ალვის ხის ფოთლები გეგონებოდათ ქარიშხალი ამოფარდაო. ამ უცნაურმა ხმაურმა, დავითი გამოადვიდა, ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, თუ როგორ მოსცილდა ალვის ხის ტანს ქალწული ლილას სხეული, რომელიც ჰაერში აფრინდა. ცოტახანში ეკლესიის ზარების ხმა გაისმა. დავითი მიხვდა, ეს ლილა რეკდა. ზარების განგაშის ხმაზე სოფელმა გაიდვიდა... შეიტყეს ბოროტი სულების შემოსევის ამბავი, დაერივნენ და სულ ერთიანად გაწყვიტეს. სოფლის მაცხოვრებლებმა დღემდე არ იციან, თუ ვინ შემოჰკრა განგაშის ზარები. ამ ამბის შემდეგ, დავითი, განსაკუთრებით უვლიდა ალვის ხეს და როცა ძალიან დაცხებოდა - ხეს წყალს უსხამდა, და გრძნობდა, თუ როგორ უღიმოდა ხის ტანის სიღრმიდან ქალწული ლილა.

დავითი, როცა მთაწმინდაზე ადიოდა, ყოველთვის პირველად იმ ადგილისკენ გაეშურებოდა სადაც ალვის ხე ეგულებოდა,





რატომღაც სულ ეშინოდა, რომ ხე მოჭრილი დახვდებოდა. ახლაც ასე მოიქცა და, როცა, ხე, უვნებელი დახვდა ეამა. ცოტახანი გაჩერდა, მოგონებების მორევში ჩაძირული... და, მერე, თამარს მიმართა:

- ახლა თქვენს განკარგულებაში ვარ.
- ისედაც ჩვენს განკარგულებაში ხარ, - ღიმილით უპასუხა თამარმა.
- მამა, წავიდეთ ტირში, ერთმანეთს სროლაში შევეჯიბროთ, - სთხოვა ამირანმა.
- წავიდეთ, მეც მინდა სროლაში შეგეჯიბროთ, - გამომწვევი ტონით მიმართა ორივეს თამარმა.
- და, ვინც თქვენს შორის გაიმარჯვებს მინერალ ფლუორიტიდან დამზადებულ სამკაულს ვაჩუქებ, - წააქეზა დავითმა.
- მე გავიმარჯვებ, - კატეგორიული ტონით თქვა ამირანმა.
- არა მე, - არ დათმო პოზიციები თამარმა.
- მე მგონი თამარი მართალია, - ამირანის გასაბრაზებლად, ხაზგასმით, აღნიშნა დავითმა.
- არა, მე გავიმარჯვებ! - მაინც არ თმობდა პოზიციას ამირანი.

ასე, ერთმანეთის წაქეზებით, და ოხუნჯობით, ტირს მიადგნენ. ტირში მუშაობდა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი სროლაში, ზედმეტ სახელად, იმნა-ზუსტი. იმნა-ზუსტი, დავითის ოჯახის დანახვამ გაახარა, ის მათ შორიდან იცნობდა და მათ შესახებ ბევრი კარგი სმენოდა, ამიტომაც იმაზე მეტი ტყვიები დაურიგა, რაც გადახდილი ფულით ეკუთვნოდათ.

- პირველი მე ვისვრი, ქალი ვარ და უნდა დამითმოდ, - პრეტენზია გამოთქვა თამარმა.

- კარგი ასე იყოს, - დაეთანხმნენ მამა-შვილი.
- თამარმა, ოცი სროლიდან, ოცივე ცხრიანში მოარტყა.
- ცუდათ გაქვს საქმე, ამირან, - დამცინავად მიმართა დავითმა შვილს.

ამირანმა, ზუსტად დედის წაარმატება გაიმიორა და თვითონაც დამცინავად მიმართა მამას:

- აბა ვნახოთ, შენ რას მოიმოქმედებ ერთი.



დავითს, რატომღაც თავისი სამსახურის საიდუმლო ოთახში ნანახი ხილვა გაახსენდა, გაახსენდა, თუ როგორ ებრძოდა მტერს დავაუკაცებელი ამირანი, თვალწინ წარმოუდგა ხილვის ის ეპიზოდიც სადაც უკვე ხანში შესული თამარი, შვილიშვილებთან ერთად, როგორი თავგამეტებით ცდილობდა ხელიკის ტანიანი თეთრი ვირთხების ალყაში მოყოლილი ნინოს დახსნას, და თვალებზე ცრემლი მოადგა, ვერ დაინახა სამიზნე და, ააცილა.

– განგებ გააკეთე, განგებ, – აღშფოთდა ამირანი, და ეს მიუხედავად იმისა, რომ მამის თვალებში ცრემლი შეამჩნია. რატომ აღშფოთდა? თვითონაც არ იცოდა ამირანმა.

– ეჰ, რახან პირველი სროლა გამიფუჭდა, აზრიც აღარ აქვს, სჯობს კაფეში დავსხდეთ, – გულდაწყვეტილმა თქვა დავითმა.

– კი მაგრამ?! ჩემსა და დედას შორის გამარჯვებული ხომ უნდა გამოვლინდეს. შენ ხომ თქვი გამარჯვებულს დავაჯილდოვებო...

– იცით რა, ფლუორიტის ქვას, კვირას, ნინოს ვაჩუქებ, თქვენს შორის შეჯიბრი ფრედ დამთავრდა, ამდენად არც ერთს არ გეკუთვნით, – ნიშნის მოგებით თქვა დავითმა.

– ჩვენ არ ვართ წინააღმდეგები, – და თამარმა დაამატა: – კაფეში დიდხანს არ გაგჩერდეთ, ბაზარშიც ხომ უნდა წავიდეთ.

დავითმა, დასაჯდომათ, კაფე-რესტორანის ვერანდის ის ადგილი შეარჩია, საიდანაც შესაძლებელი იყო საკუთარი სახლის დანახვა.

– დედა, აი იქ იქნება ჩვენი სახლი, კი ასეა, აი ჩვენი სახლი, იმ შენობის უკანაა.

– ჰო ისაა, – დაეთანხმა თამარი.

– ამირან, ფრთხილად, მოაჯირს მაინცდამაიც არ ენდო, არ გადავარდე, – გააფრთხილა დავითმა.

ამირანი მოაჯირს მოცილდა და მაგიდას მიუჯდა, შემკვეთი გოგონაც გამოჩნდა. მას ხელში ჩასაწერი ბლოკნოტი და ფანქარი ეჭირა.

– რას შეუკვეთავთ, – მიახლოებისთანავე ჰკითხა დავითს.

– სამი იმერული ხაჭაპური, ამდენივე მწვადი, პომიდვრის სალათა, ყველი და მჭადი, ჰო მართლა და, – სამი ვაშლის ღვეზელი,



– და ლიმონათი, – დაამატა ამირანმა.

– და ლიმონათი, – გაიმეორა დავითმა.

ამავე ვერანდაზე, ცოტათი მოცილებით, ვერანდის მოაჯირთან ახლოს, ერთმანეთის გვერდით ორი მოხუცებული წყვილი იჯდა, რომლებიც სადღაც შორს სივრცეში იყურებოდნენ.

– გახსოვს?! სულ პირველად აქ რომ ამოვედით, – თბილი ხმით მიმართა ხანში შესულმა მამაკაცმა ქალბატონს, რომელსაც თავისი პატარა ფერმკრთალი ხელი მამაკაცის მუხლზე დაედო.

– ჰო, მაშინ აქ ყველაფერს სხვა ელფერი ჰქონდა, – უპასუხა ქალბატონმა და თავი მამაკაცის მხარზე ჩამოდო.

ორივე გაირინდა, და ისევ უკიდევანო სივრცის მიმზიდველობას დაემორჩილნენ.

– თამარ, შეხედე, რა საყვარელი მოხუცები არიან, როგორი ნათელი სახეები აქვთ, – და დავითმა, თვალებით მიანიშნა მოხუცებულებზე.

– გესმის რაზე საუბრობენ?... ეტყობათ ცოლქმარნი არიან... ეს არის ტკბილი სიბერე, – სიტკბო ჩააქსოვა თავის ნათქვამს თამარმა.

– მოდი მოეუსმინოთ თუ რაზე საუბრობენ, მე მგონი ამით ცუდს არაფერს ჩავიდნენ, – თქვა დავითმა, და სამივე დადუმდა, იმის მოლოდინში, რომ მოხუცები საუბარს ისევ განაგრძობდნენ, ასეც მოხდა:

– ჩვენი გოგოები, ალბათ, უკვე დედები არიან, ხოლო იოანე - მამა. რა იქნებოდა ჩვენც, რომ გაგვეყვანა ინტერნეტი, ახლა სხვებივით ჩვენც სკაიპით შევიტყობდით მათ შესახებ... დაველაპარაკებოდით, – დროებითი სიჩუმე ხანში შესულმა ქალბატონმა დაარღვია.

– ეჰ, თუ დაბრუნდებიან როდესმე სამშობლოში? – ზოგადად იკითხა მოხუცებულმა კაცმა, და გაბრაზებით დაამატა: – ჩვენ ხომ შევთანხმდით ამაზე აღარ ვისაუბრებდით!

– ჰო, მაგრამ მენატრებიან, – გულის ტკივილით წარმოთქვა ქალბატონმა.



– მეც, ძალიან. მაგრამ, ეს ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ახალგაზრდობამ დატოვოს იბერია, ეტყობათ ეს ქვეყანა სხვებისთვის უნდათ, – გულდაწყვეტით თქვა მამაკაცმა.

– ეგემნ, იმათაც ვენატრებით... ნახე შენ, თუ ამ შემოდგომაზე არ ჩამოვიდნენ, – იმედინად თქვა ქალბატონმა.

ეგემნმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ხელით მოეაღწერსა თავზე, თავის დედოფალს და ორივე ისევ ტკბილ მოგონებაში დაიკარგა.

– არა, ახალ წელს აუცილებლად ჩამოვლენ, – უეცრად წარმოთქვა ქალბატონმა, თითქოს ძილბურანიდან გამოფხიზლდაო.

– გახსოვს ნანა! პატარები რომ იყვნენ, კამფეტებს ჩუმიად ბალიშის ქვეშ, რომ ამოვუდებდი და როცა დილით აღმოაჩენდნენ, რა სიხარულით გაჰყვიროდნენ: „კეთილმა ჯადოქარმა კამფეტები მომიტანა!“ „ჯადოქარი მესტუმრა!“ ძალიან უხაროდათ... იცი, ამას მამაჩემიც მიკეთებდა, კარგი მამა მყავდა. – გულდაწყვეტილმა თქვა ეგემნი.

– მეც, მამა უფრო მეფერებოდა, ძალიან მანებიერებდა, მახსოვს სკოლის გამოსაშვებ სადამოსათვის, ჩემთვის, ისეთი ლამაზი კაბა შეაკერინა მკერავს, რომ ყველა ჩემს კლასეულ გოგონებს თვალები ზედ დარჩათ. შენც იცი ეს კაბა, დღემდე მიკილია კარადაში, – და ალერსიანად გახედა ქმარს.

– როგორ არ ვიცი... მახსოვს... ჰო, მახსოვს, მახსოვს ჩვენს უმცროს გოგონას შენი კაბის ნაჭრით, თავისი კაბის გაწყობა სურდა და შენ, ამის გამო, იმისთანა დღე აყარე, რომ დიდუუ... ახლაც, რომ მახსენდება... შიშისაგან მაკანკალებს. ჰმ, გახსოვს ნერვიულობისაგან სლოკინიც კი დაგეწყო და კალიასავით დახტოდი? – თავისივე ნათქვამზე, ეგემნს, სიცილი აუტყდა. სიცილი ნანასაც გადაედო. ორივე გამხიარულდა და თვალებში ჩაგუბებული სევდა გაუფერმკრთალდათ.

კაფე-ბარს ხალხი სულ უფრო და უფრო ემატებოდა.

– იცი ხალხი ემატება კაფეს, ხომ არ სჯობს ბაღში გადავიდეთ? – ჰკითხა ეგემნმა თავის მეუღლეს.

– ჰო, მაგრამ ჯერ ბევრი თავისუფალი ადგილია, თანაც ეს მოსამსახურე გოგო გარეგნობით ძალიან ჰგავს ჩვენს უმცროს გოგ-



ონას. ხომ მეთანხმები?.. ცოტახანი კიდევ გავჩერდეთ, – ითხოვანანამ, და თან თამარს და დავითს გახედა.

– ეგმენ! ისინი რატომ გვიყურებენ ასე? – გაიკვირვა ნანამ.

– ვინ? – იკითხა ეგმენმა.

– აგერ, ჩენს მახლობლად რომ სხედან, მაგიდასთან, – და ნანამ, ქმარი, გვერდზე მიახედა.

– არ ვიცი ნანა, ალბათ ჩვენს საუბარს მოკრეს ყური, ისე ძალიან სასიამოვნო ხალხი ჩანს. შეხედე იმ პატარას! ჩვენ ბიჭს მაგონებს... იოანე ბავშვობაში ზუსტად ასეთი იყო. არაა? – და ეგმენს სიამოვნების შუქმა გადაურბინა სახეზე.

– ჰო მართლაც, – დაეთანხმა ნანა.

ცოტახანი, ორივე, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ამირანს და როცა უხერხულობა შეამჩნიეს, მზერა მოაცილეს და ისევ მოგონებების მორევში ჩაეშვნენ.

– თქვენი შეკვეთა, – მოულოდნელად თავზე წამოადგათ მოსამსახურე გოგონა.

– დიდი მადლობა, – მადლობა მოუხადა თამარმა და მოსამსახურე გოგონას ხაჭაპურების გადმოღებაში დაეხმარა.

– ლიმონათი? – იკითხა ამირანმა, როცა ლიმონათი ვერ დაინახა.

– ახლავე მოგართმევთ, – დიმილით უპასუხა მოსამსახურე გოგონამ და ლიმონათის მოსატანად გაბრუნდა.

ერთი ბოთლი ლიმონათი, ამირანმა, მშობლების ჭიქებში გაანაწილა, და ხუმრობის ტონით მიმართა: – მიირთვით დიდებო პატარების სასმელი. – ხოლო მეორე პირდაპირ მიიყუდა. ლიმონათის გაზი ცხვირში აუვარდა და თვალები აუცრემლდა.

დავითს გაეცინა:

– მახსოვს პირველად ლიმონათი რომ დავლიე, მეგონა ენაზე ჭიანჭველები დამესია, გავიქეცი და სარკეში ენაზე დავიხედე, – გაიხსენა დავითმა.

– ეს, რომ ჩემთვის არასოდეს მოგიყოლია, – უსაყვედურა თამარმა დავითს.



– უბრალოდ არ მახსოვდა, ახლა გამახსენდა, ამირანს რომ შეეხედე, – და დავითს სახეზე კიდევ ერთმა ტკბილმა მოგონებამ გადაურბინა, მაგრამ არ გაამჟღავნა.

– მე პირველად არ ვსვამ, – ხაზგასმით აღნიშნა ამირანმა.

– გახსოვს? ამირან, მაწონს, რომ არ ჭამდი, გაფუჭებულ რძეს უძახდი, – გაახსენა თამარმა.

– აი, ახლა გამახსენდა მეც ეს, – და დავითს გაეცინა.

– მე, ის უფრო მახსოვს საჭმელს ძალით, რომ მაჭმევდი, – ღიმილნარევი საყვედურით უპასუხა ამირანმა დედას.

– შე მბებულარა, მე კი ის მახსოვს ნათლიასთან, რომ დამაბეზღე, დედა შხამს მაჭმევსო, – და თამარმა, მუქარის ნიშნით თითი დაუქნია ამირანს.

ამ გახსენებაზე სამივეს გაეცინა. და, ასე მხიარულად ისხდნენ, მხიარული მოგონებების ნაბადში გახვეულები, სანამ თამარმა არ შეახსენა:

– ახლა ჩვენი წასვლის დროა, ხომ არ დაგაგიწყდათ, რომ ბაზარშიც უნდა გავიაროთ.

დავითი, ბაზარს, მეორე ჯოჯოხეთს ეძახდა და ძალიან არ უყვარდა იქ სიარული, განსაკუთრებით შაბათს. ახლაც ფეხს ითრევდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა ოჯახის ნებას.

ბაზარი, ქალაქის რკინიგზის სადგურთან ახლოს იყო განლაგებული, აქ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხი იყრიდა თავს, რომლის ერთ ნაწილს სურდა რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა, ხოლო, მეორე ნაწილს კი, რაც შეიძლება იაფად ეყიდა საქონელი ან სხვა რამე - თუნდაც სინდისი. მყიდველისა და გამყიდველის გარდა აქ საკმაოდ ბევრი მათხოვარი და მასზე მეტი, ჯიბის ქურდი დაბოდიშდებოდა. იყვნენ ისეთებიც ვისაც საქმე არ ჰქონდა და ისე უბრალოდ, უაზროდ, დადიოდნენ, იქნებ რაიმე ხეივი ან გასართობი ენახათ, ხეივი არა, მაგრამ გასართობი და ჩხუბი ბაზარს არ აკლდა, ახლაც პატარა ბიჭს ორი ცალი პომიდორი მოეპარა და თავკუდმოგლეჯილი გარბოდა, უკან კი, პომიდორის გამყიდველი მისდევდა, ერთ-ერთმა უაზროდ მობოდიშლემ ფეხი დაუდო ბიჭს, ბიჭი ძირს გაიშხლართა, პომიდორები დას-



ცვივდა... მართალია, წამოდგომა მოასწრო, მაგრამ გაგცევა ვე-  
ლარ... პომიდორების პატრონმა ქეროში სტაცა ხელი და ისევ ძირს  
დასცა, მერე იქვე მიწაზე დაყრილი პომიდორები აკრიფა და ზედ  
თავზე დაასრესა. ამაზე გამყიდველებს სიცილი აუვარდათ, ჯამ-  
ბახებივით იჭყანებოდნენ და პომიდორების გამყიდველს აქე-  
ზებდნენ:

– მიდი, მიდი, ეგრე უნდა მაგას!

ვილაცამ გარგალი მიაწოდა:

– აგერ კაცო, გამომართვი, და ესეც დააჭყლეტე!

ოსური კილოთი, წითელ ფეხსაცმელებში და მწვანე შარვალში  
გამოწყობილი კაცი ლელვს აწვდიდა:

– ლელვი სჯობს, ლელვი. ჰა გამომართვი!

პომიდორების გამყიდველი ლელვის გამოსართმევად გაიწია, მა-  
გრამ ძლიერი პანჩური იგრძნო... მოიხედა, მის უკან ახოვანი კაცი  
და შავებში ჩაცმული ქალი იდგა.

– შენ რეებს ბედავ?! – უყვირა პომიდორების გამყიდველმა, მა-  
გრამ იმწუთსავე დადუმდა, რადგანაც ახლა ქალისგან ისეთი სი-  
ლა მოხვდა სახეში, რომ თვალები გაუელამდა... დაიბნა აქეთ-იქ-  
ით დაიწყო ყურება თანამდგომს ეძებდა, მაგრამ, ისინიც ვინც  
ცოტა ხნის წინ აქეზებდნენ, დადუმებულნიყვნენ...

ირგვლივ, მიძიმე სიჩუმე ჩამოვარდა და პომიდორების გამყიდვე-  
ლის წამქეზებლები, ახლა პირიქით, მას შეუტყეს:

– არ გრცხვენია, ამხელა კაცმა ორი პომიდორის გულისთვის  
როგორ გაიმეტე ბავშვი...

– რა ცუდი კაცი ყოფილხარ, – აბუზღუნდა გარგლის გამყიდვე-  
ლი.

– ეი, შე უსირცხვილო, იქნებ როგორ შია ბავშვს, – და ის ვი-  
ნც, ლელვს აწვდიდა ბავშვის თავზე დასასრესად, ახლა ლელვი  
ბავშვს მიაწოდა... და, ჯერ ოსურად რაღაც ჩაილაპარაკა, მერე  
კი, იბერიულ ენაზე: – აა, შვილო ჭამე, ღმერთმა შეგარგოს. –  
თვალებიდან კი, გაიძვერა მზერა ესროლა.

ბავშვს აშკარად ეტყობოდა, რომ შიოდა, მაგრამ ლელვი მაინც  
არ გამოართვა. თავის მხსნელს ახედა... თვალებში კითხვა ჩაუსა-  
ხლდა... მამაკაცს გაეღიმა და შავებში ჩაცმულ ქალს მიმართა:

– მიეცი ჩვენთვის წამოდებული საჭმელი და ხუთი ლარი.

ქალმა არ დააყოვნა, მიუახლოვდა დახლთან დადებულ ჩანთას, რაღაც ამოიღო თეთრ ქაღალდში გახვეული, წელზე ჩამოკიდებული ქისიდან ხუთლარიანიც ამოაძვრინა და ორივე ბავშვს მიაწოდა. ბავშვმა ხუთლარიანი ჯიბეში ჩაიღო, ქაღალდის ნახვევიც გახსნა და როცა შიგ შემწვარი ვარია აღმოაჩინა, სასწრაფოდ ისევე გაახვია და თავქუდმოგლეჯილი სადღაც გაიქცა, ისე რომ მადლოების თქმაც კი დაავიწყდა.

– გაიქცა, ალბათ ვიღაცას წაუღო, კარგი ბავშვია... ეტყობა აფხაზეთიდანაა... – თქვა ბავშვის საქციელით კმაყოფილმა ახოვანმა მამაკაცმა და თავის დახლს დაუბრუნდა.

– მოდით, საზამთრო მისგან ვიყიდოთ, – სთხოვა ამირანმა მშობლებს.

– კარგი, – დაეთანხმა მამა.

დავითი მიუახლოვდა იმ ახოვან მამაკაცს, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ, ირგვლივმყოფთ სიკეთის ძალა დაანახა.

– რა ღირს საზამთრო? – ჰკითხა დავითმა.

– კილო ოცდაათი თეთრი, – უპასუხა ახოვანმა მამაკაცმა.

– ახალი მოკრეფილია? – ისევე ჰკითხა დავითმა.

– მაშ, ჩემი ბალისაა, მე გლეხი ვარ კაცო, ამათნაირი კი არა ვარ, ესენი გადამყიდველები არიან, მათ რა იციან მიწის მადლი, – და იქვე მყოფთ თითით წრე შემოავლო.

– კარგი ამიწონე, ერთი ხუთკილოიანი, – სთხოვა დავითმა.

– სანამ შენ საზამთროს აარჩევ, მე, მანამდე სხვა ხილს შევიძენ, – დავითის გასაგონად თქვა თამარმა.

– კარგი, – დაეთანხმა დავითი.

– ამირან, ჩემთან ერთად წამოდი, – სთხოვა თამარმა ამირანს. ამირანიც გაჰყვა.

სანამ დავითი საზამთროს იყიდიდა, უფრო სწორედ - გულს იჯერებდა ახოვან მამაკაცთან საუბრით, თამარმა და ამირანმა მთელი ბაზარი მოიარეს და შეიძინეს: ბალი, გარგალი, მწვანელები, ერთი თავი კომბოსტო – ტოლმასათვის, და ასე დატვირთულები დავითს დაადგნენ თავზე, რომელიც ჯერ კიდევ საზამთროს გამყიდველ მამაკაცს ესაუბრებოდა.





– კარგი ალექსანდრე, წავედი თორემ ჩემებს ვერ გადავურჩები,  
– დაემშვიდობა დავითი საზამთროების გამყიდველ მამაკაცს, მო-  
უტრიალდა თავისიანებს და ჰკითხა: – ყველაფერი შეიძინეთ,  
მივდივართ სახლში?

– კი წავიდეთ. ხორცი და ქათამი გუშინწინ ვიყიდე, – და თა-  
მარმა, დავითს ცელოფანის ჩანთა მიაწოდა, რომელშიც გარგალი  
იყო, თან გააფრთხილა: – ფრთხილად, გარგალი ძალიან მწიფეა  
და არ გაგესრისოს.

დავითმა საზამთრო მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენათი  
ცელოფანის ჩანთა გამოართვა თამარს და ამირანს მხიარულად  
შესძახა:

– და სახლისკენ ჰერი, ჰერი!

ამირანმა აიტაცა მამის მხიარული განწყობა და თვითონაც წა-  
იმღერა:


დატვირთულები ხორაგით  
სახლისკენ მიგვიჩქარია,  
სტუმრის მიღება პატივით,  
ყველა მასპინძლის ვალია.

დაახლოებით რვა საათი იქნებოდა როცა სახლში მიბრუნდნენ.  
კარში ფუტკარი დახვდათ, რომელიც ცნობისმოყვარე თვალებით  
ათვალიერებდა შეძენილ პროდუქტს და როცა საზამთრო დაინახა  
ძალიან გაუხარდა, ეს სიხარული ამირანმა შეამჩნია და დედას  
სთხოვა:

– დეე, ამოუჭერი პატარა ნაჭერი, გთხოვ, ნახე როგორ დაბზუ-  
ის...

თამარმა, ფუტკარს საზამთროდან პატარა ნაჭერი ამოუჭრა და  
თეფშზე დაუდო. ამან ძალიან გაახარა ფუტკარი, საზამთროს  
ნაჭერს დააჯდა და ტკბილი წველის წრუპვა დაიწყო.

– მამა ნახე, ნახე სიამოვნებისაგან ფრთებს როგორ იქნევს...

– ამირან! თავის თეფშიანად გაიყვანე შენთან, მე ახლა ხვალი-  
ნდელი საჭმელების კეთება უნდა დავიწყო, – სთხოვა თამარმა  
ამირანს. 

– მეც გავიდე, თუ გინდა რამეში დაგეხმარო? – ჰკითხა დავითმა თამარს.

– შენ დარჩი, ხორცია გასაყვანი, – და თამარმა, დავითს, ხორცის გასაყვანი მანქანა მიაწოდა.

ამირანმა, საზამთროს ტკბილი წვენიტ გაბრუნებული ფუტკარი ისე გაიყვანა თავის ოთახში, რომ ფუტკარმა ვერც კი შეიტყო და მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა სიცილის ხმა გაიგონა... თურმე მას, თავზე სხივის ბურთი წამოსდგომოდა, რომელიც გულიანად იცინოდა.

– ჰო, რა გაცინებს მიყვარს ტკბილი. თავი დამანებე, თორემ... – შეუტია ფუტკარმა სხივის ბურთს და საზამთროს წვენის წრუპვა განაგრძო.

სხივის ბურთმა, როცა შეამჩნია ფუტკარს ოხუნჯობაში ვერ აიყოლიებდა, თავი დაანება და თავის ხის ფიალაში ჩაგორდა, ერთი ეს იყო ამირანს საყვედურის მზერით შეავლო თვალი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– როცა თვითონ ხუმრობს მაშინ კი, მე თუ მოვინდომე... არ ამყვა... წიგნებში ჩაიკარგა. ჰმ.

ამირანმა გაიგონა სხივის ბურთის საყვედური, მაგრამ არ შეიმჩნია, არც გაუხედავს მისკენ და მშვიდად განაგრძო კარადაში წიგნების თვალიერება... ლურჯყდიან წიგნზე შეაჩერა მზერა, ეს ილია ჭავჭავაძის ლექსების კრებული იყო, გამოიღო და მშობლებთან გავიდა - სამზარეულოში.

– გინდათ ილიას ლექსი წაგიკითხოთ, – შესთავაზა მშობლებს ამირანმა.

– აბა მიდი, გავხალისდებით, – წააქეზა დავითმა.

ამირანმა მშვიდი ხმით დაიწყო ლექსის კითხვა:

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?  
მძიმე ყალბით,  
ლამაზ ფალბით  
მორთული და მშვენიერი;  
უწყინარი,



უჩივარი,  
ქედდრეკილი, მადლიერი;  
უშფოთველი,  
ქვემპრომელი,  
რიგიანი, წესიერი;

და, ზეპირად დავითმა გააგრძელა:

ყოვლად მთმენი,  
ვით ჯორ-ცხენი,  
ნახედნი და ღონიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!

ყველა უნჯი,  
ყველა მუნჯი,  
გულჩვილი და ღმობიერი;  
თვალაბმული,  
თავაკრული,  
პირს ლაგამი ზომიერი;  
ყველა ყრუი,  
ყველა ცრუი,  
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;  
მცირე, დიდი –  
ყველა ფლიდი,  
ცულლუტი და მანკიერი.

– დედა შენც ხომ იცი ეს ლექსი, ახლა შენ გააგრძელე, – სთ-  
ხოვა ამირანმა.

თამარმა დროებით შეწყვიტა საქმიანობა და გააგრძელა:

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!

მტვერწაყრილი,  
თავდახრილი,



ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზღუდონი,  
გზამრუდონი,  
არგამტანი და ცბიერი;  
მტრის არმცნობი,  
მოყვრის მგმობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არრის მქონე,  
არრის მცოდნე,  
უზრუნველი და მშიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?

– მე დავასრულებ, – ითხოვა ამირანმა და გააგრძელა:

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
ჭკვიანი და გონიერი,  
ლამაზ კალმით მოხატული,  
უდრეკი და ლმობიერი,  
ცუდის მგმობი,  
კარგის მთქმელი,  
ღმერთის მაღლით ნაკურთხი  
და მშვენიერი.  
ყველგან ზრდილი,  
სახლში მშვიდი,  
მტრის მცნობი,  
და მოყვასის მოყვარული.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?

– ეე, ამას უყურე ჩვენი გაცურება მოინდომა, ასე არ მთავრდება ილიას ლექსი, ეს უკვე შენი იმპროვიზაციაა, ეს შენი ლექსია,  
– თითი დაუქნია დავითმა ამირანს და ხუმრობით დატუქსა.



– მამა, ილია ალბათ ამ ლექს ასე დაასრულებდა, როგორც მე დავწერე, მჯერა, გულში ნამდვილად ასე ფიქრობდა... თუ არა?

– გეთანხმები შვილო, გეთანხმები. ოო, უკვე თერთმეტი საათია, ამირან შვილო, ჩაი დალიე და დაწექი, ძილის დროა. – თამარმა ამირანს ჩაი დაუსხა, მაგიდაზე დაუწყო პური, ყველი და კარაქი, თვითონ კი ისევ კვირის სამზადისს შეუდგა.

– დედა, გინდა ილიაზე ლექსი წაგიკითხო?

– მინდა, – მოკლედ უპასუხა თამარმა და მთელი ყურადღება ამირანზე გადაიტანა.

ამირანმაც არ დააყოვნა:

ახლა, რა თქმა უნდა, ყველა მართალია?

ასე ამბობენ: „ეპოქის ბრალია“.

ვინ რა ჩაიდინა?

ვის რა გაუვიდა?

ბრიყვთა მოსაზრებით –  
ჩახმახის ბრალია.

თალხი ჩამოწვა,

ცა მოიქუფრა,

თოფმა დაიქუხა,

ბალახი გაწითლდა.

ტყვიამ საზიზღარმა

გულში გაიარა,

ზარები რეკავენ:

სისხლი დაიღვარა.

გულმა მწუნარება

ვეღარ დაიტია,

ცოდვის ფიალა

ბოლომდე დაილია.

მზემ გამოანათა,

მანც წყვილიაღია,

ზარები რეკავენ:

„ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?“



იყო დაცემა, იყო მწუხარება,  
მაგრამ, ახლა უარესია - ბრიყვთა პარადია.

– მართალი ხარ შვილო – ბრიყვათა აღლუმია, კარგი წადი  
დაიძინე, ხვალ ხომ იცი...

ამირანს, დიდხანს არ ჩაეძინა, მას სურდა, რომ ეს ღამე  
ყველაზე, ყველაზე უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო, მაგრამ რა...

### გათელილი ყაყაჩოს ფურცლების კვირა



მთვარემ, ზღვაში ჩაიხედა და შეამჩნია, რომ წყალში მისი ან-  
არეკლი თანდათანობით ფერმკრთალდებოდა: – აა, ესე იგი დილა  
გვიახლოვდება. ნეტავი ღამე სადაა? რას აკეთებს? იქნებ უკვე  
წავიდა... – და, თვალებით მის ძებნას შეუდგა.

ამ დროს კი, ღამე, დილას საყვედურობდა:

– რა იყო შე დალოცვილო, კვირას მაინც არ გეზარებოდა ად-  
რე აღვომა? რას დამადექი თავზე უთენია. ჰმ, მაცლი რომ მოვწე-  
სრიგდე?

– შენ მგონი მთვარე გეძებს, და გირჩევნია დროზე მოუსვა  
მასთან, თორემ შავდღეს დაგაყრის, – მკვახედ უპასუხა დილამ  
ღამეს.

ღამემ, ცალი თვალით გახედა მთვარეს და როცა დაინახა რომ,  
თავისთან იხმობდა - გაბრაზდა:

– ვინ არის ეს, უხ, არ გამიწყალა ყოველ დილით საქმე, აბა  
თუ დამაცდის სიზმრების აკრეფვას, – ღამემ ზურგზე მოიკიდა  
სიზმრების გუდა და ბუზღუნ-ბუზღუნით მთვარისკენ წავიდა.

მთვარემ სიზმრების გუდას თავი ახსნა და აღმოაჩინა, რომ ერ-  
თი სიზმარი აკლდა.

– სადაა ერთი სიზმარი, დაკარგე? – გაბრაზებულმა იკითხა  
მთვარემ.



– აბა, რომ არ მაცდი სიზმრების აკრეფას, რა ვიცი, ეტყობა დამრჩა ვიღაცასთან, – იქით შეუტია ღამემ მთვარეს.

– კარგად გაიხსენე ვისთან დაგრჩა და რომელი სიზმარი... შენ რაღაც ვერ ასრულებ შენს მოვალეობას... – მუქარის ტონით დაუწყო საუბარი მთვარემ.

ღამემ იგრძნო დანაშაული და მოტეხილი ხმით უპასუხა:

– ჰო, შე მაღლიანო, რა მოხდა, დამრჩა ერთი სიზმარი. შენც ხომ მოგესტია ასეთი შემთხვევა.

– მომსვლია, კარგი... მაინც რა სიზმარი დაგრჩა? – ხელმეორედ ჰკითხა მთვარემ.

ღამე დაფიქრდა, ნელ-ნელა აღიდგინა სურათი, თუ როგორი წესითა და რიგითობით დაარია სიზმრები და გაახსენდა:

– გამახსენდა! გამახსენდა! წყალზე, წყალზე იყო სიზმარი, ორსულ სალომესთან დამრჩა, – და სიხარულისაგან ხტუნაობა დაიწყო.

– კარგი დაწყნარდი, აბა მომიყევი ერთი მაგ სიზმრის შინაარსი, – სთხოვა მთვარემ, მაგრამ, ამ თხოვნაში ბრძანებაც იგრძნობოდა.

ღამემ მოყოლა დაიწყო:

– სალომემ, სიზმარში ნახა თითქოს მთელი დედამიწა წყალს დაეფარა, წყალი გამჭვირვალე და თბილი მოეჩვენა. წყალზე, ხალხი ნაგებობით დაცურავდნენ და სხვადასხვა სიმღერებს მღეროდნენ. სალომეს დახრობის შეეშინდა, მაგრამ, როცა ფეხებთან დაიხედა შეამჩნია, რომ წყალი მხოლოდ კოჭებამდე სწვდებოდა, გაუკვირდა, და გაიფიქრა: „ამ უზარმაზარი ნაგებობით, ასეთ მეჩხერ წყალში როგორ დაცურავენო“. უცებ ქარი ამოვარდა და გარემო ცისფერი კვამლით დაიფარა, როცა ქარი ჩადგა კვამლიც გაქრა და სალომემ აღმოაჩინა, რომ იქ სადაც წყალი იყო, ტყე გამდარიყო. ტყეში, ხეებს შორის, პატარა რუ მოედინებოდა. რუს აუყვა... დაინტერესდა - თუ სად უნდა წასულიყო წყალი, და უზარმაზარი ტბა დაინახა, რომელსაც მთები ჯარისკაცებივით გარსშემორტყმოდა. ტბა ბობოქრობდა, დელავდა და საშინელი ძალით კლდეებს ეხეთქებოდა, ხოლო, ყველაზე მაღალი კლდის პირას ხალხი ირეოდა და ერთმანეთს ხელს კრავდნენ, კლდიდან

გადმოვარდნილს წყალი ხის ნაფოტივით აიტაცებდა და ნაპირზე გამოისვრიდა, სადაც დამშეული ნიანგები ეტაკებოდნენ და გლეჯდნენ. ამ სურათმა სალომე შეაშფოთა და მათ დასახმარებლად გაიქცა, ნიანგებმა სალომე, რომ დაინახეს შეშიდნენ და გაიქცნენ. სალომე წყალთან მივიდა, დაინახა და ეამბორა, წყალი დაწყნარდა და ცაზე ცისარტყელაც გაჩნდა.

– აი ეს იყო სალომეს სიზმარი, შენ კი საშინელი ხმაური ატეხე თითქოს ქვეყანა დაიქცაო, – და ქედმაღლულად გადახედა ღამემ მთვარეს.

მთვარემ არ შეიმჩნია ღამის მზერა და ისევ უსაყვედურა:

– რა დაუმთავრებელი სიზმარია.

– რა ჩემი ბრალია გამოვღვიძა. უფრო სწორედ გამოაღვიძეს. ჰო, პატარა მუცელში ისე აწრიალდა, რომ სალომე კინაღამ საწოლიდან გადმოვარდა, – უკვე ხითხითით საუბრობდა ღამე.

– ღმერთმა დალოცოს პატარა! და წმინდა გიორგის სულიერი სიმტკიცე დაჰყოლოდეს, – ეს თქვა მთვარემ და რამდენიმეჯერ პირჯვარი გადაიწერა.

– ასეც იქნება. იცი წინასწარმეტყველმა, წუხელ საიდუმლოდ მითხრა, რომ ამირანის ჯარში მას მთავარსარდალის წოდება ექნებაო, – ხმადაბლად თქვა ღამემ, ისე რომ, მთვარის მეტს არავის არ გაეგო.

ღამეს, მთვარესთან საუბარი გაუგრძელდა, გაერთო და ვერ იგრძნო თუ როგორ შეეჭრუსა ფრთები, მოძალებული მზის სხივებისგან.

– ეი დაიწვეები! – დაუყვირა მთვარემ.

– ოი! ოი! ეს რა მომსვლია, ეს ერთი, და მეორე, დედამიწის მეორე მხარეს დამაგვიანდა. ვაი! ვაი! ხალხს ალბათ უკვირს რატომ არ ღამდებაო. რა არეული კვირაა, რა ხდება, – გაიკვირვა ღამემ და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ამასობაში, უკვე დღის თერთმეტი საათი გამხდარიყო. მანქანებს და ხალხს, ქუჩა ხმაურით აევსოთ, ყველა სადღაც მიიჩქაროდა, მხოლოდ მეეზოვე ზაქარია, თავისი განუყრელი ცოცხით სახლის კედელს მიყუდებოდა და შორს, სადღაც სივრცეში იყურებოდა.





– ეი, პოეტო! – ზემოდან ჩამოსძახა ფანჯარაზე გადმოყუდებულმა პოსლიკამ: – ამ დილით სად იყავი? – მაგრამ, როცა პასუხი არ მიიღო, ისევ გააგრძელა ქუჩაში ხალხის თვალიერება.

ჰაერი უცნაურად დამძიმებულიყო, ხალხი ქუჩაში შეწუხებული დადიოდა. ჰაერში დაკიდებული გადასასვლელები გაფუჭებულიყო, ხოლო იქ სადაც ფეხითმოსიარულეების შუქნიშნიანი გადასასვლელები იყო, მხოლოდ ორი ფერი ინთებოდა წითელი და ყვითელი, რაც გადასასვლელებზე ჩოჩქოლს ქმნიდა, და ეს ყოველივე ქუჩის საერთო დაძაბულობას, კიდევ უფრო მუხტავდა.

ხმაურმა იმატა, ყველა მხრიდან ისმოდა ხალხის უკმაყოფილო შეძახილი:

- გამოიძახეთ გზების მინისტრი!
- რა არის, რა ხდება დღეს?
- ამ მთავრობამ შეგვჭამა!
- არ სჯობს ისევ ინჩ-რუს-უზუმე გვმართავდეს?
- რატომ არ მუშაობს შუქნიშნები?

ქუჩის საერთო ხმაურმა და ვიღაცის ტაშის ხმამ ნატყორცნი ბადროსავით გააპო ამირანის ოთახის სიმყუდროვე, დატრიალდა ოთახში, მერე ამირანს ყურებიდან თავში შეუძვრა და იქ დაიწყო ხტუნვა. ამირანს ეცნაურა ტაშის ხმა, წიგნის კითხვას თავი დაანება და იავანზე გავიდა. ტაშის ხმა, მისი სახლის მარცხენა მხარეს ისმოდა - ქუჩის პირველი გადასასვლელიდან მოდიოდა, ამირანმა თვალები დაძაბა, მზერა იმ ადგილისკენ მიმართა საიდანაც ტაშის ხმა მოდიოდა, კაცი დაინახა... და, იცნო... გახარებული ბინაში შებრუნდა:

– მამა! მამა! მე რომ ღამურების სკოლაში დავდიოდი და ქუჩის გადასასვლელთან ტაშის დამკვრელი კაცი იდგა, ის ცოცხალია! არ გარდაცვლილა, ახლა აქ ჩვენს გადასასვლელზე დგას.

– მართლა? ძალიან მიხარია, – გაუხარდა დავითსაც.

– როგორ მაინტერესებს, წამოდი მანახე, – და თამარმა, ამირანი აივანზე გაიყვანა.

– აი, აი, დედა! ეგერ, – ამირანი თითს იშვევდა ქუჩის გადასასვლელისკენ.



თამარმა ამირანივით დაძაბა თვალები და როცა ტაშის დამკვრელი ხალხისგან მზერით გამოაცალკავა, გულტკბილად გაეღიმა:

– ეტყობა კეთილი ადამიანია, კარგი წამოდი შევიდეთ, – თამარი აივნის კარისკენ შემობრუნდა, თან კაქტუსის ეკალზე ჩამოკიდებულ თმის სამაგრს შეავლო თვალი. თმის სამაგრი უცნაურად ციმციმებდა.

– ამირან, ნინოს დაურეკე, ახლავე თუ წამოვლენ კარგი იქნება. ჰო, სთხოვე, რომ ახლავე წამოვიდნენ, – და თამარმა მძიმედ ამოისუნთქა.

– კარგი დედა, – დაეთანხმა ამირანი და როგორც კი, ოთახში შევიდა მობილური ტელეფონით ნინოს დაურეკა:

– გისმენ ამირან, – უპასუხა ნინომ.

– ნინო დროზე წამოდით და ეცადეთ ისე გამოხვიდეთ სახლიდან, რომ იმ კრეტინმა რობოტმა არ დაგინახოთ. ჩემები ძალიან ნერვიულობენ, მაგრამ არ იმჩნევენ. მეც ისე ვიქცევი ვითომ არაფერი არ ვიცი, – ჩუმად და დამაჯერებლად საუბრობდა ამირანი.

– არა ამირან ჩვენ ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ უბრალოდ ერთმანეთს არ ვუშხელთ, იმიტომ რომ ერთმანეთს ვუფრთხილდებით, – ოდნავ ანერვიულებული ხმით უპასუხა ნინომ.

– ჰო, კარგი დროზე წამოდით. ჰო, მართლა, გადასასვლელებზე მწვანე შუქი გაქრა და შემოვლით წამოდით, – თითქმის უბრძანა ამირანმა ნინოს.

– ჩვენ, მანქანით წამოვალთ, არ ინერვიულო, – დაამშვიდა ნინომ.

– მაშინ იქ ჩამოდით სადაც ტაშის დამკვრელ კაცს დაინახავთ, არა სჯობს ფეხით წამოხვიდეთ. მე ვფიქრობ, ინჩ-რუს-უზუმეს სამსახურმა ტაქსის მძღოლები თავისი ჯაშუშებით შეცვალა, – ახლა უკვე სიფრთხილვე იგრძნობოდა ამირანის ხმაში.

– კარგი, კარგი, – დაეთანხმა ნინო.

– კარგი, აბა დროებით, – დაემშვიდობა ამირანი ნინოს და იქვე ხის დოქზე ჩამომჯდარ ფუტკარს დააკვირდა:

– რაო, რა მოწყენილი ხარ? – ჰკითხა ამირანმა ფუტკარს.

– არაფერი... ვარ რა ჩემთვის, – უპასუხა ფუტკარმა.



ამირანი თავის ოთახში შებრუნდა და წიგნის კითხვა განაგრძო: – მეთვრამეტე საუკუნეში ძლიერ დაიძაბა პოლიტიკური მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ოდესღაც ძლევამოსილი ირანის იმპერია დანგრევის პირას იყო მისული. მას აღმოსავლეთიდან გაშმაგებით უტევდნენ ავღანელები. ამ დროს იბერიის აღმოსავლეთ ნაწილში მეფობდა ვახტანგ VI. მეფე ვახტანგს ამ არეულობაში გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა, რაც იბერიას დიდ სარგებლობას მოუტანდა საგარეო პოლიტიკაში. თუმცა ეს არ მოხერხდა. 1722 წელს ავღანელებმა ირანის დედაქალაქი ისპაჰანი აიღეს და ქვეყნის აღმოსავლეთი მთლიანად დაიპყრეს. ვახტანგ მეფეს იმის მაგივრად, რომ ნეიტრალური პოზიცია ჰქონოდა, ორიენტაცია რუსეთზე აიღო. ვახტანგმა, შესთავაზა, მამით იბერიელ რუსეთის მეფეს პეტრე I-ს, ერთად გაელაშქრათ სპარსეთის წინააღმდეგ და გაეყოთ მისი სამფლობელოები, მაგრამ პეტრე I ამ შეთავაზებაზე დიდხანს იფიქრა და როცა გადაწყვეტილება მიიღო, უკვე გვიანი იყო, პეტრე I ავად გახდა და გარდაიცვალა. ხოლო, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, ოსმალებმა შეიტყვეს და დასჯის მიზნით დიდძალი ჯარი შეუსიეს იბერიას. მეფე ვახტანგ VI იძულებული იყო თავი რუსეთისათვის შეეფარებინა, იმ რუსეთისათვის რომელმაც თანადგომა არ აღმოუჩინა.


ამირანმა წიგნი დახურა და თავისთვის ხმამაღლა დაიწყო საუბარი:

– კიდევ ვერ ისწავლეს ჭკუა, ისევ ჩრდილოეთისკენ იყურებიან, რამდენჯერ მოგვატყუეს, დაგვაქციეს, რამდენი იბერიელის სიცოცხლე გააქრეს მაგ თეთრმა ვირთხებმა. სულ ჩვენი ისტორიკოსების ბრალია... სიმართლეს არ წერენ და...

ამ მსჯელობაში იყო ამირანი, როცა მობილურის ხმა გაისმა. ამირანმა ტელეფონს დახედა, ნინო რეკავდა:

– ხომ მშვიდობაა, სად ხართ?

– აქ ვართ, მოედანზე, – უპასუხა ნინომ.

– დედა! ისინი უკვე მოედანზე არიან. – გასძახა ამირანმა დედას, – არ გავშალოთ სუფრა? – და ისევ ნინოსთან განაგრძო საუბარი 

ბარი: – ნინო, ნინო მისმენ, დედამ შენთვის მარწყვის ტორტი გამო-  
ოაცხო.

– მადლობა ამირან. იცი, აქ - მოედანზე ძალიან ბევრი ხალხია  
შეკრებილი, რამდენიმე კაცი ჩვენსკენ იშვერს ხელს, – უკვე  
აღელვებული საუბრობდა ნინო.

– მართლა? ჰმ... ნუთუ დღეისთვის მოილაპარაკეს? – აღელვება  
ამირანის ხმასაც შეეცყო.

– ამირან! მამა გააფრთხილე, – კიდევ უფრო მეტი აღელვება  
შეეცყო ნინოს.

– კარგი, ნუ გეშინია, – ამირანმა ნინოს ტელეფონი გაუთიშა  
და აივანზე გავიდა.

მოედნიდან ხალხის ხმამაღალი შეძახილები ისმოდა, ზოგიც  
მუქარის ნიშნად მუშტებს იქნევდა ჰაერში და იგინებოდა... ხალხ-  
ის უმეტესობა ცალკეულ ჯგუფებად იდგა, ერთ-ერთი ყველაზე  
მოზრდილი ჯგუფი ამირანის სახლისკენ დაიძრა.

– მამა! მამა! გამოჩნდნენ ვირთხები, – აივნის ღია კარიდან და-  
უყვირა სამზარეულოში მყოფ მამას.

დავითი დაძახებისთანავე აივანზე გაჩნდა, თითქოს ელოდებო-  
და ამირანის დაძახებას.

– დღეისთვის გადაუწყვეტიათ... ჰო, ძალიან ბევრი არიან. ხომ  
არ გეშინია? – ღიმილით და გასაოცარი სიმშვიდით ჰკითხა დავი-  
თმა ამირანს. – არაფერია, ნინო და მართა ამოვლენ და, ყველაფ-  
ერი მოგვარდება... ჰომ არ გეშინია? – ისევ ჰკითხა დავითმა ამირ-  
ანს.

– არა, – მოკლედ უპასუხა ამირანმა, მამას ახედა და ისევ ის  
მამა დაინახა, დამურების სკოლის ქუჩის გადასასვლელზე რომ  
ხედავდა, მხოლოდ ახლა მის თვალებში, სევდის ნაცვლად არწი-  
ვის მზერა დაინახა.

დავითს ტანი შვილდღივით ჰქონდა მომართული და დამცინავი  
ღიმილით ათვალიერებდა ხალხის ბრბოს, რომლებსაც სხვადასხ-  
ვა ფერის დროშები ეჭირათ და გაჰყვიროდნენ:

- გააუმარჯოს სიმართლეს!
- ჩვენ მხარს ვუჭერთ ხალხთა თავისუფლებას!
- გააუმარჯოს სახელმწიფოების გაერთიანებას!



- ჩვენ გვსურს მსოფლიოს კორპორაციული მართვა!
- დიდება დემოკრატიას!
- გაუმარჯოს სექსუალურ თავისუფლებას!

ამ აუტანელ ყვირილს, ვერტმფრენის გუგუნიც შეემატა, რომელიც ჰაერში დაწვრილებდა თითქოს ვიღაცას ეძებდა; აშკარა იყო რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო.

- ჩვენები სად არიან? - იკითხა დავითმა, - სად არიან? - ისევე იკითხა და თვალებით ნინოს და მართას ძებნა დაიწყო.

- ეგერ არიან, - ამირანმა ხელი გაიშვირა და მამას, ნინო და ქალბატონი მართა დაანახა, რომლებიც თითქმის სირბილით მოდიოდნენ.

დავითის სახლისკენ წამოსულ ბრბოს რამდენიმე ადამიანი გამოეყო, დაახლოებით ათი კაცი, რომლებიც ნინოსკენ და მართასკენ მიზანმიმართულად გაემართნენ, ეს დავითმა შეამჩნია:

- დროზე გამოიქეცით, დროზე! - მთელი ძალით დაუყვირა დავითმა, მერე აივნიდან ოთახში შევარდა, იქვე მიყუდებულ ფარდების გასასწორებელ რკინის ჯოხს წაავლო ხელი და გასასვლელი კარისკენ გავარდა.

- რა ხედება? - სამზარეულოდან იკითხა თამარმა.

თამარის ხმაზე, დავითი, გასასვლელ კართან შეყოვნდა. აივნის კარიდან კი, საშინელი ხმები შემოდინდა, რომელიც ყოველ წუთს მატულობდა და მატულობდა.

ზაქარიამ, რომელიც შორიდან აკვირდებოდა ქუჩაში მიმდინარე პროცესებს, დაინახა თუ არა რომ ნინოს და მართას საშიშროება შეექმნათ, ჯოხის ტარს ცოცხი თავისი სამაგრიანად მოაძრო, და მის ხელთ უკვე ხის ტარიანი შუბი იყო. შუბის მოლიპლიპე რკინის წვერი ზაქარიამ მზის სხივზე აათამაშა, ისე როგორც ამას მისი წინაპრები აკეთებდნენ - ბრძოლის წინ, და იმ ათ კაციანი ჯგუფისკენ გაქანდა, რომლებიც ნინოს და მართას თითქმის დაწეოდნენ. ლაღად შეიჭრა მათ შორის, სწრაფი გვერდული მოქნევით ორი მძიმედ დაჭრა, მერე ცალ ფეხზე ჩაიმუხლა და ერთ-ერთს, რომელსაც ხელში მომარჯვებული რევორვერი ეჭირა, შუბი პირდაპირ შუბლში აძგერა, მერე სწრაფად გასწორდა გვერდზე გახტა და უკნიდან მოპარულს, შუბის ტარი პირდაპირ ყელში ატაკა.

სროლის ხმა გაიგონა, შეტორტმანდა, მარცხენა მხარში მწარე ტკივილი იგრძნო, მაგრამ არ შედრკა და წითელ თვალებიან კაცს შუბი მუცელში გაურჭო, მეორედ გაიგონა გასროლის ხმა, ახლა იგრძნო თუ როგორ ჩაეშალა მარჯვენა მუხლი, ტკივილმა სხეული გაუქვა და ძირს დაეცა, დაინახა ის ვიღაცა ვინც ესროდა და იცნო:

– თქვენ ხართ ბატონო რაპანა? – ზაქარიას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა როცა ერთ-ერთი სასწავლებლის ლექტორი-ფაქტორი დაინახა.

– ჰო, მე ვარ, – და მთელი მჭიდი დაახალა.

გაგულისებული ბრბო წაესია დაჭრილ ზაქარიას და ფეხებით ცემა დაუწყეს.

– ეი თქვე ძაღლის შვილებო, რას ჩადიხართ? – გაისმა განწირული ხმა.

ქუჩაში ხმაღლაშიშვლებული პოსლიკა გამოვარდა. რაპანამ, დაინახა მისკენ გიჟივით გამოქანებული პოსლიკა, მოასწრო ახალი მჭიდის ჩადება რევორვერში და პირდაპირი დამიზნებით ესროლა, პოსლიკა წაბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა, მაინც მოახერხა და მამა-პაპისეული ხმლით თავი გაუჩხა. რაპანა თავგაჩეხილი ძირს დაეცა.

– დაანებეთ მაგათ თავი! უხ მაგათი... ისინი, არ გაგვექცნენ! – დაიყვირა თეთრპერანგში და ლურჯ ჰალსტუკში გამოპრანჭულმა კაცმა და ხელი გაიშვირა უკვე ეზოს შესასვლელ თაღში გამქრალ ბებია და შვილიშვილისკენ.

დავითმა, რომელიც უკვე სადარბაზოდან გამოსულიყო, დაინახა თუ არა ნინო და მართა, დაუყვირა:

– დროზე! ჩქარა, ჩქარა! – და თვითონაც აჰყვა კიბეზე.

ქოშინით ამორბენილ ნინოს და მართას მთელი ოჯახი აფორი-აქებული შეეგება.

– აჰა ყველა აქა ვართ, დროზე ყველა სურათისკენ, სასწრაფოდ! – ყვიროდა დავითი და პირველი ნინოს უყვირა: – მიდი ნინო დროზე! – ეს უკვე ბრძანება იყო. – ჩქარა მართა! რას უცდი თამარ! – ამჟამად უკვე განწირული ხმით დაიყვირა დავითმა, იგრძნო, რომ ვერ ასწრებდნენ.



ოთახში, სახე გაოფლიანებული, არ-სეი-რგო სტეფან-რაფნაძე შემოვარდა, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა. არ-სეი-რგომ საშინელი ხმით იღრიალა:

– ახლა ხომ ავიხდენ ჩემს სიზმარს, შე ძაღლის გაგდებულო,  
– და ამირანს ესროლა.

დავითმა მოასწრო და შვილს გადაეფარა. ტყვია მუცელში მოხვდა, წაბარბაცდა.

– ამირან, დროზე! სურათში შედი! ჩემს თავს გაფიცებ. თამარ დროზე! სურათისკენ ყველა! – იმუდარებოდა დავითი, და თან ხელს აჭერდა ჭრილობას, სისხლის შეჩერებას ცდილობდა.

არ-სეი-რგო წინ გადადობილ დავითს დამიზნებით ესროლა, პირდაპირ გულში, მაგრამ ტყვია გულს აცდა. დავითი ისევ ფეხზე იდგა და არ-სეი-რგოს, ოთახში შესვლის საშუალებას არ აძლევდა. მაშინ არ-სეი-რგომ ხელი ჰკრა დავითს, დავითი უკან წაბარბაცდა, მაინც არ წაიქცა, სურათს გახედა, დაინახა თუ როგორ გაუჩინარდნენ სურათის სიღრმეში ნინო, მართა, ამირანი, ფუტკარი, ხის კასრი, სხივის ბურთი და ბოლოს თამარიც, რომლის სახე სურათზე აისახა და სურათთან ერთად გაქრა.

დავითმა ძალა მოიკრიფა, მარცხენა ხელით არ-სეი-რგოს პერანგის საყელში წვდა, ხოლო მარჯვენათი ყელში მოუჭირა:

– ახ, შე გველის წიწილა, წაგახჩობ, – და რაც ძალ-ღონე ჰქონდა მოუჭირა, არ-სეი-რგო დაიბნა, მოიჩვარა, მაგრამ საშველად შემოვარდნილმა კურგელიამ ავტომატის კონდახი ჩასცხო დავითს თავში. დავითი უგონოდ დაეცა.

კურგელიას შემოყვანენ ინჩ-რუს-უზუმეს, კლეპტო-მან-უზუმეს და მე-ინჩ-უზუმეს აგენტები, ოთახებში უაზროდ დაიწყეს ბოდიალი, იფურთხებოდნენ, იგინებოდნენ:

– მაინც გაგვექცნენ მაგათი დედა... უხ მაგათი...

– სურათი რა იქნა?

– როგორ მოახერხეს მაგ ძაღლის შვილებმა, მაგათი...

– მოდი ამაზე მაინც ვიყაროთ ჯავრი, – თქვა აბუ-ლიყ-ძემ და უკვე გონებადაკარგულ დავითს წიხლი პირდაპირ სახეში ჩაცხო.

– კარგით, შეეშვით, წავიდეთ, გუშინ ამ-მინ მითა-გაშვირმა მითხრა ერთ კვირაში ვილაც იბერიელი გიორგი დაიბადებო, სჯო-



ბს ის ვიპოვოთ და გავანადგუროთ, წავედით! – ყველას გასაგონად დაიყვირა ხაინ-დრიკამ და ბინიდან გავიდა.

ხაინ-დრიკას ჯერ არ-სეი-რგო გაჰყვა, მერე ნელ-ნელა ყველამ დატოვა ბინა, თან ხელს გააყოლეს რისი წადებაც შეიძლებოდა.

დავითის ბინაში გასაოცარი სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ კედლების აჩქარებული სუნთქვა ისმოდა, რომლებიც შეშინებული ცახცახებდნენ: „გაი კიდევ რამე ხომ არ მოხდებაო“. და, შიშით, ხან ჭერს და ხან იატაკს დააცქერდებოდნენ. ცოტახანში დავითის უკანასკნელი ამოსუნთქვის ხმაც გაისმა. სხეულს განშორებული სული კოსმიური სიჩქარით ცისკენ გაქანდა, მზეს შემოუარა და დედამიწას ზემოდან დააცქერდა, მერე ნელ-ნელა დაეშვა, თავის ყოფილ სახლში შეიხედა და როცა მხოლოდ კაქტუსი დაინახა მოიწყინა.

კაქტუსი ერთხანს შეშინებული ფანჯრის მინას მიკროდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა, ფესვები შემოიკეცა, ქოთანში დატრიალდა და ეკლის მიერ ნაპოვნ, მესამე განზომილებაში გასასვლელი კარისკენ გააქანდა. ამ გადაადგილებას, ჯერ ფანჯრის მინის მსხვრევის, მერე მესამე განზომილებაში კაქტუსის შეღწევის უცნაური ხმა, დაბოლოს მესამე განზომილების კარის დახურვის ისეთი მძლავრი გრუხუნის დაერთო, რომ ქუჩაში მყოფ ხალხს ჭექა-ქუხილი ეგონათ და წვიმის მოლოდინის შიშით აქეთ-იქით მიმოიფატნენ, უმეტესობამ სახლის სადარბაზოებს შეაფარა თავი. ქუჩაში, მხოლოდ ინჩ-რუს-უზუმეს ჯაშუშები დაწრწოდნენ, და უპატრონოდ მიგდებული ზაქარიას გვამი ეგდო, ცოტა მოცილებით კი - პოსლიკასი, რომელსაც ცოლი დასტიროდა, მისი ქვითინი მხოლოდ გამოღებულ ფანჯრებში ისმოდა და ესმოდათ. ქუჩაში კი, დაჭაობებული ღუმელის ბურუსი ჩამოწვა, სალახანა ფიქრების სახლების ბნელ კუთხეებში დაიმაღლნენ. სადარბაზოებში შეყუჟული ხალხი სადღაც გასაპარად ემზადებოდა, მხოლოდ ვიღაც მთვრალი კაცი, ქუჩის შუაგულში გაჩერებულიყო, ხელები მაღლა აღემაართა და მთელ ხმაზე გაყვიროდა:

მწყობრად მოდიან ზვარაკად გაღებულები,  
ჯერ არ დაბადებული გვამები,





მადლა აღუმართავთ ჩამქრალი სანთლები,  
ქამარში გაურჭიათ დანები.  
მოდიან, მოდიან ეშმაკის ზვარაკად  
ბნელეთის მოციქულები,  
გულზე უკიდიათ ექვსკუთხა ნიშნები  
ყურებში გაუყრიათ ლურსმნები.  
ბღაველით მოდიან მურაზ დაკარგულები  
და წინ მოუძღვით შავი მუტრიბი.  
მოდიან, ეფუთის წესის დამგმობნი  
ურჩხულის შვილთაშვილები.

ამ ლექსზე, შეყუჟულ სალახანა ფიქრებს გაეღიმათ, და თავის-  
თვის ჩაილაპარაკეს:

– ესლა გვაკლდა, გამოგვივიდა მეორე პოსლიკა.

მთვრალი კაცი კი, გაუჩერებლად ყვიროდა და ყვიროდა... ამ  
ყვირილში დღე სანთელივით ჩაიდგენთა და მთვრალი კაცის ლექ-  
სიც ჩაიწვა. ქუჩა საბოლოოდ დადუმდა. დამეც გამოჩნდა, მართა-  
ლია მას მომხდარის გამო არ სურდა გამოჩენა, მაგრამ ბუნების  
წესი წესია და მისი შესრულება ყველას წესია.

არავის, თუ შენი დილა?



ღამე ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა, დილას ელოდებოდა  
და როგორც კი დილა გამოჩნდა, კოპწია იმერელი კაცის  
მიხვრა-მოხვრით შეეგება და თავის დახრით მიესალმა:

– გამარჯობა ჩემო კითილო და დაუღალავო.

– გაგიმარჯოს ჩემო ყოვლის მთმენელო, – სევდიანად უპასუხა  
დილამ.



მერე, ცოტახნით ორივე დადუნდა და უაზროდ მიაშტერდნენ ჩამტვრეული ფანჯრის მინას, საიდანაც გუშინდელდღემდე, მხიარული ხმები გამოდიოდა.

– რა უგუნურები ყოფილან ადამიანები, ჩემზე ამბობენ ღამე ბნელიაო, სინამდვილეში თვითონ ყოფილან გულშაყები, – და ღამემ დილას გახედა.

– სიბნელე სიშავით არ განისაზღვრება; საქციელით ჩემო კარგო, საქციელით. მოდი ბინაში შევიხედოთ, – შესთავაზა დილამ ღამეს.

– რატომ? – ჰკითხა ღამემ.

– დავხედოთ ჩვენს დავითს, – და ისე ამოიოხრა დილამ, გეგონებოდათ გული ამოუვარდაო.

– დავითის გვამი არ არის ოთახში, სადამოს თორნიკე და ასლანი იყვნენ. მაღულად გაიტანეს, – ჩურჩულით თქვა ღამემ, თითქოს ეშინოდა ვინმეს არ გაეგო.

– გადამაღეს? – გაკვირვებით იკითხა დილამ.

– ჰო გადამაღეს. იცი როგორ გამწარდნენ ინჩ-რუს-უზუმეს ჯაშუშები, როცა მობრუნებულებს გვამი ადგილზე არ დახვდათ, – გაგულისებულმა თქვა ღამემ.

– სად გადამაღეს? – ახლა დილამ იკითხა ჩურჩულით.

– სად-და, ხომ იცი სათაფლიას გამოქვაბული? – მინიშნებით ჰკითხა ღამემ.

– როგორ არ ვიცი, – გაიკვირვა დილამ.

– ჰო-და იქ, ოღონდ მეორე ღვიმეში. დღეს კი, სადაც იბერთა ოქროს ხმალია დაფლული იქ გადაასვენებენ, – ისევ ჩურჩულით თქვა ღამემ.

– ბედის მონასტერში? – აღფრთოვანებით იკითხა დილამ.

– ჰო, ჩუმად, ნუ ყვირი, – გააფრთხილა ღამემ.

– ძალიან საშიშ გზას დაადგენ, იქ ხომ ინჩ-რუს-უზუმეს ჯარი დგას, – შიში შეეპარა ხმაში დილას.

– მართალი ხარ, მაგრამ აფხაზები დაჰპირდნენ დახმარებას, – დაამშვიდა ღამემ.


– წამოდი მაინც შევიდეთ, – უკვე თხოვნით მიმართა დილამ.

– კარგი, – დაეთანხმა ღამე.



ორივე გატეხილი ფანჯრიდან შეძვრა და იქაურობის დათვალიერება დაიწყო.

- ვაიმე, - შეშფოთებით დაიყვირა დილამ.
- რა მოხდა? - შეშინებულმა იკითხა ღამემ.
- ხის ფიალა დარჩენიათ. კიდოკაი, რომ ინჩ-რუს-უზუმეს ნაძირალებმა ვერ დაინახეს, - და დილამ აქეთ-იქით მიმოიხედა, უცხო ვინმე ხომ არ არისო.
- აბა სად? - და ღამე დილას მიეკრო.
- ასე ნუ მომეკრობი, თორემ გავერთიანდებით, - ღიმილით უპასუხა დილამ.
- იცი რა, მოდი ეს ხის ფიალა ჩვენ წავიღოთ და ერთმანეთს გადავცეთ, აი მაგალითად დილით მე შენ გადმოგცემ, ხოლო საღამოთი, შენ მე, - შესთავაზა ღამემ.
- თანახმა ვარ, - დაეთანხმა დილა, და ხის ფიალა გულის უბეში ჩაისვენა.
- კარგი წავედით მიგხედოთ ჩვენს საქმეს, ისედაც დამაგვიანდა, - თქვა ღამემ და ჯერ ქუჩებში, მერე ხეებში გაძვრა-გამოძვრა, მაღლა აფრინდა და დედამიწის მეორე მხარეს მოექცა, სადაც მთვარე უკვე დიდხანია ელოდებოდა.
- რატომ დააგვიანე? - და მთვარემ თავისივე კითხვას თვითონვე უპასუხა: - ვერ მოცილდი დავითის სახლს, ვიცი, ვიცი.
- ჰო ჩემო ბატონო, ვერ მოვცილდი. იცი შენ, როგორ მიყვარდა დავითის ოჯახი. ცუდი ამბავი მოხდა... ეჰ, დავითს ახლა კაი ორმოცი დღე ვერ ვნახავთ, ხოლო მის ოჯახს თორმეტი წელი, ან მეტი, - სევდა შეეტყო ღამეს.
- მეც ძალიან დამწყდა გული, - და მთვარემაც მოიწყინა.
- იმედია დავითის სული, სანამ ამირანი თავის საქმეს არ აღასრულებს, მფარველად ეყოლება, - ჩაილაპარაკა ღამემ.
- კი, უფაღმა ასე ისურვა, - დაამშვიდა მთვარემ.
- კარგია... ჰო, მომეცი სიზმრები წავალ დავარიგებ, - ხალისი შეეტყო ღამეს.

მთვარემ, მხიარული სიზმრებით გავსებული ტომარის ნაცვლად, სიყვარულის სიზმრებით გავსებული ტომარა მისცა და დაარ-იგა:

– გაუხანგრძლივე სიზმარი, იქნებ რაიმე ჩავიდეს მაგათ თავში, იქნებ მიხვდნენ, რომ სიყვარულის გარეშე ადამიანური ცხოვრება არ არსებობს.

– კარგი. შენ რა სიზმრები დაიტოვე? – იკითხა ღამემ.

– მე ხვალინდელი დღის სიზმრები დავიტოვე, ეს ჯოჯოხეთური, საშინელი სიზმრებია, – უპასუხა მთვარემ.

– ვისთვის გინდა? – იკითხა ღამემ.

– მათთვის, – მოკლედ უპასუხა მთვარემ და ღამეს ხელით ანიშნა: „წადი საქმეს მიხედო“.

– კარგი წავედი, – მაგრამ შეყოვნდა, და მთვარეს მიმართა: – გინდა მეგზოვებს ბოლო ლექსი წაგიკითხო, რომელიც კედელზე მიაწერა?

– მინდა, – მოკლედ უპასუხა მთვარემ.

– კეთილი:

კომეტასავით ჩავიქროლე ბილწ სამყაროში,  
წყლისგან შეკრულ ამ ჩემს სხეულში აფეთქდა სული  
და ჩავიფერფლე უკიდებანო მოგონებაში.  
მიმოიფანტა სამყაროში მოლექულები,  
დადუმდა გრძნობა...  
სევდამ შეჭამა თვალის ხილვები  
და მხოლოდ ფიქრი შერჩა ზეცას,  
როგორც მძივები.

ლექსი რომ დაასრულა, ღამემ სევდიანად გაუღიმა მთვარეს და სიზმრების დასარიგებლად წავიდა.

მარტო დარჩენილმა მთვარემ კიდევ უფრო მოიწყინა, წარმოიდგინა ზაქარია, რომელიც ცელივით იქნევდა ცოცხს და ნაგავს მესამე განზომილებაში ყრიდა, და მისი საყვარელი ლექსიც გაახსენდა - მერე, ვითომ თავისთვის, სინამდვილეში კი, უზანაესის გასაგონად თქვა:

სამში მაარტობა  
უფრო ძნელია,



ვიდრე მარტო ყოფნა.

თუმცა:

სამში ჩასახლება

ყველას სურვილია,

ვიდრე ერთში ყოფნა.

სულის გარდასახვა

უფრო ადვილია,

ვიდრე მიტოვება.

მაგრამ:

სულის მარტოობა

სხეულის საშველია,

ვიდრე მასთან ყოფნა.

დაკარგულის პოვნა

უფრო რთულია,

ვიდრე დაბრუნება.

რამეთუ:

სულის ზიარება

უფრო საამოა,

ვიდრე გახევება.

ცოდვების გახსენება

უფრო საჭიროა,

ვიდრე დავიწყება.

ვინაიდან:

ნათლიას სანატრელი

სულის დაბრუნება,

ყველას საშველია.

მაგრამ, აშკარაა:

სულს სხეულის მიტოვება

მანც ენანება,

სულს სხეულთან ყოფნა

ყოველთვის ენატრება.

და მანც:

სამში მაარტოობა

უფრო ძნელია,



ვიდრე მარტო ყოფნა.  
და, ამიტომაც!  
სულს სხეულის მიტოვება  
ყოველთვის ენანება.

– ეჰ, – კიდევ ერთხელ ამოიოხრა მთვარემ და ღრუბელს მიეფარა.

დედამიწის ერთ მხარეზე ადამიანები სიყვარულზე ხედავენ სიზმრებს, ხოლო მეორე მხარეზე, იქ სადაც დავითის სამშობლო იყო, დიდი ქალაქის ერთ პატარა ოთახში, მარტო დარჩენილმა დილამ, ადამიანების უგვანო საქციელის გამო, ძალიან მოიწყინა. მოწყენილობამ ისე დააღონა, რომ სევდა მოეძალა, გულის ტკივილით ამოიოხრა და დანანებით თავისთვის ჩაილაპარაკა: „ეჰ, მარტო ამის ატანა გამიჭირდება, არ უნდა გამეშვა ღამე“. მერე, ზღაზღაზნით გამოძვრა გატეხილი ფანჯრიდან და როცა ქუჩაში უპატრონოდ ზაქარიას მიგდებული ცოცხი დაინახა, ატირდა. დილის ცრემლები ტყაპა-ტყუპით ეცემოდნენ მიწას და ცოცხალი არსებებივით ხტუნაობდნენ, ზოგი წვეთი ყინულის ლოლუასავით დაეკიდა დავითის აივნის მოაჯირს და დარცხვენილები დააცქერდნენ ერთგანზომილებიან სხეულში მოქცეულ ხალხს. ქუჩაში გამოსული ადამიანები კი, გაკვირვებულები იყურებოდნენ ცაში, უკვირდათ წვიმა, რადგანაც ღრუბელი არსად არ ჩანდა, არც ცა იყო მოქუფრული, პირიქით კაშკაშა მზე ანათებდა და როცა ისიც აღმოაჩინეს, რომ წვიმა მათ არ ასველებდათ, საერთოდ დაიბნენ.

– რატომ არ ვსველდებით? – იკითხა ერთ-ერთმა გამვლელმა.

– ეს თქვენი დილა არ არის და იმიტომ, – უპასუხა ფანჯარაზე გადმოყუდებულმა ესმამ, რომელიც დილის ცრემლებში სახატავ ფუნჯებს რეცხავდა.

– არც შენი დილაა, – ასძახეს შავი ჯიპიდან გადმოსულმა ინჩ-რუს-უზუმეს ჯაშუშებმა და ესმას სადაარბაზოში შევიდნენ.

– აბა ვისი დილაა? – ისევ იმ უცნობმა გამვლელმა იკითხა.

– წადი ჯობია შენს საქმეს მიხედე, – და ხელი ჰკრა მანქანასთან დარჩენილმა ინჩ-რუს-უზუმეს ერთ-ერთმა ჯაშუშმა.



– ეს დილა ჩემია, ჩემია ეს დილა, მე მიყვარს იბერია, იბერია ჩემია! – ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან გაისმა სოსო ნათლიას ხმა, და როცა გამოღებულნი ფანჯრიდან ახლად დაბადებული გიორგის ტირილის ხმა გაისმა, მაშინ უფრო ხმამაღლა დაიყვირა: – ეს დილა ჩვენია!!! ჩვენი!

ყვირილმა კავკასიის მთებზე მიჯაჭულ ამირანამდე მიაღწია, გულამდე ჩაადწია, ძარღვებში გაიარა და ისე ძლიერად შეარყია, რომ ამირანს ეგონა: „ეს-ესაა და გული გამისკდებაო“, ყელში ცრემლის ბურთი მოეხვინა, ძლივს ჩაისუნთქა ჰაერი, ფეხის წვერებზე წამოიწია, კიდევ ერთხელ მოზიდა ჯაჭვი, ისევ ვერ გაწყვიტა, მოეშვა, ხელმეორედ ჩაისუნთქა კავკასიის მთების მაღლიანი ჰაერი და მთელი ძალით ასძახა ღმერთს:

ღმერთო მომეცი ამ ქვეყნად  
მეორედ მოსვლის უფლება!

და....

### სოკრატეს ღამე



ხანში შესული მამაკაცი მინდორში გულაღმა იწვა, თვალები ცის დასალიერისათვის მიეხვინა და ვარსკვლავებს ითვლიდა:

– ერთი, ორი, სამი, ....., ასი ..., მგონი გუშინ უფრო ნაკლები იყო, მოკლედ თვლა აღარ აქვს, – ჩაილაპარაკა თავისთვის და ისევ განაგრძო: – ორასი, ..., სამასი...

გაკვირვებული ღამე დაშტერებოდა მინდორში წამოწოლილ თეთრწვერა მამაკაცს, ბოლოს კი, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ნეტა რა სჭირს, მესამე ღამეა ითვლის და ითვლის ამ ვარსკვლავებს, რით ვერ დაითვალა. მოდი ერთი მთვარეს ვკითხო, ამ კაცის შესახებ თუ იცის რამე.

– ვიცი, ვიცი, – გამოეხმაურა მთვარე, რომელიც იქვე ქარის ნაკადებისაგან შეკრულ საქანელაზე ქანაობდა.



- აა, გაიგონე? ჰო-და, გამარკვიე ვინ არის ეს კაცი, - და ღამემ ცნობისმოყვარე თვალები მიანათა მთვარეს.
- ფილოსოფოსია! - ამაყად უპასუხა მთვარემ, თითქოს თეთრწვერა მისი კარგი ნაცნობია.
- მართლა, - გაიკვირვა ღამემ.
- რა მართლა... ჩემი არ გჯერა? - წყენა შეეტყო მთვარეს.
- ჰო კარგი, მჯერა, მჯერა, - დაამშვიდა ღამემ და თეთრწვერა ფილოსოფოს კარგად დააკვირდა: - ვაი, ეს სოკრატე ხომ არ არის? - შეშინებულმა იკითხა.
- არა, - მოკლედ უპასუხა მთვარემ.
- აბა ვინ არის? - ჩააჟინდა ღამე.
- სოკრატეს მოწაფეა. გინდა მისი გუშინდელი ლექსი წაგიკითხო? სოკრატეს გამონათქვამზე აქვს დაწერილი. - მთვარე არ დაელოდა ღამის თანხმობას და ლექსის კითხვას შეუდგა:

სოკრატემ თქვა:

„მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“.

მეცნიერმა თქვა:

„მე ვიცი, რომ მან იცის, ის რომ არაფერი არ იცის“.

მღვდელმა თქვა:

„მეცნიერმა, რომ იცოდეს თუ სოკრატემ რა იცის ქადაგებით, უეჭველად თავის ქალას აგვხვდის“.

გლეხმა თქვა:

„მე ვიცი, რომ მან იცის ის, რაც ბევრმა არ იცის“.

ვაჭარმა თქვა:

„რომ იცოდეს რა იცის, ცოდნას ფულში გაგვიცდის“.

ავაზაკმა თქვა:

"რას გვიმაღავს, თუ იცის?"

ყვეყჩმა თქვა:

„რომ იცოდეს რა იცის არ იტყოდა არ ვიცი“

ბავშვმა თქვა:

„მე ვიცი, რომ არ ვიცი, რაც სოკრატემ არ იცის“.





– ამ ლექსის მიხედვით ბავშვი უფრო გონიერი გამოდის ვიდრე სოკრატე, – და ღამემ გულიანად ჩაიხითხითა.

– დიახ, ბავშვები უფრო გონიერები არიან ვიდრე დიდები. დაი-მასხოვრე! ადამიანი რაც უფრო წრფელია და უცოდველი მით უფრო გონიერია. დიახ გონიერება ეს სულის სიწმინდის სინონიმია, – და მთვარემ წკლიპურტი ჩაკრა ღამეს შუბლში.

აშკარა იყო მთვარე რაღაცაზე გაბრაზდა, ეს ღამემ შეატყო და უფრო გულიანად გაეცინა, თან ნიშნის მოგებით მიმართა:

– რაო, ხომ არ გაბრაზდი?

ღამის ხალისიან სიცილზე მთვარესაც გაეცინა და მეგობარს, უკვე ალერსიანად მიმართა:

– ჩემო ღამე, შენ რომ არ იყო, ადამიანები ვერც ჩემს შუქს და ვერც ვარსკვლავების ნათებას შეამჩნევდნენ.

– შენ ამით რა გინდა თქვა? სულელები რომ არ იყვნენ, არც ფილოსოფოსები იარსებებდნენ? – და ღამემ ალმაცერად გახედა მთვარეს. ახლა წყენა ღამეს შეეტყო.

– შენზე ცუდი არაფერი მიგულისხია, – და ამჟამად მთვარეს აუვარდა თავშეუკავებელი სიცილი.

– იცი რა, ზოგიერთისათვის სიღარიბე ჯიბის სიცარიელეა, მაგრამ ჩემთვის კი, ცოდნის უკმარისობაა სიღარიბე... მე ყველაზე მდიდარი ვარ, რამეთუ ეს ყველაფერი ჩემია... და, ეს ყველაფერი ცხოვრებაა! ადამიანები მხოლოდ ღამე რჩებიან მარტო საკუთარ თავთან და მხოლოდ მაშინ არიან გულახდილები. აი ასე, – ნიშნის მოგებით მიმართა ღამემ მთვარეს.

– კარგი, კარგი. ჰო მართლა, იცი რომ, ამირანმა და ნინომ ჯვარი დაიწერეს, – მთვარემ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

– მართლა? ამდენი დრო გავიდა, – გაიკვირვა ღამემ.

– აბა რა გგონია შენ... აბა შენა ხარ... მაიცა, შენ რა, ხუმრობ თუ მართლა არ იცოდი მათი ქორწინების ამბავი? – მთვარემ საქანელაზე ქანაობა შეწყვიტა, ღრუბელზე ჩამოსტა, ჯერ ღამეს გახედა და მერე თეთწვერას: – ერთი საინტერესოა, ამ სოკრატეს მოწაფემ, თუ იცის ამირანის შესახებ, რაიმე მაინც, – ხმამაღლა ჩაილაპარაკა და ზედ დაანათა.



მთვარის შუქმა, თვალები მოჭრა სოკრატეს მოწაფეს, მაგრამ ვარსკვლავების დათვლა მაინც არ შეწყვიტა:

– ათას ერთი, ათას ორი, ეს ოქროსფერი ვარსკვლავიც ათას სამი...

– რა იყო რას დააცქერდი? – ჰკითხა ღამემ.

– არა ისე, – უპასუხა მთვარემ, მერე ჩაფიქრდა და ღამეს მიმართა: – გინდა იგავი მოგიყვე?

– სიამოვნებით მოგისმენ, – და ღამე, სმენად გადაიქცა.

– მაშე კარგი, – და მთვარემ იგავის მოყოლა დაიწყო:

– კავკასიის მთისწინეთში ღამაზი სოფელი გაშენებულიყო, ამ სოფელში ორი კაცი ცხოვრობდა, ერთი ძალიან მშრომელი, მეორე კი ზარმაცი. მშრომელი კაცი ყოველ დილით ადრე დგებოდა მიდიოდა ზღვის პირას და დაღამებამდე ქვიშიან ორმოში ზღვის წყალს ეზიდებოდა, მაგრამ ვერა და ვერ გააგსო ორმო წყლით, მარილი რომ გამოეშრო. ზარმაცი კაცი კი, მთელი დღე სოფლის შარაგზაზე ამოსული მუხის ხის ჩრდილში იყო წამოწოლილი და უდარდელად ცას გაჰყურებდა, ზოგჯერ ჭიანჭველების საქმიანობას აკვირდებოდა ან პეპლების ნარნარით ირთობდა თავს. ზამთარში კი, ვინმეს შეეკედლებოდა და მთელ დღეს ნაცრის ქექვაში ატარებდა. მოკლედ, მასზე უფრო უქნარა კაცი ქვეყანაზე არ არსებობდა, ეს კი იყო, თუ არაფერს აკეთებდა, არც არაფერს აშავებდა. ერთხელაც, თვითონაც არ იცოდა რატომ, და შარაგზის შუაგულში დაგდებული ღოღი ნაპირზე გადააგორა. ძარმაცის ამ საქციელმა თანასოფლელები განაცვიფრა და გაკვირვებულები ამბობდნენ: „რამდენიხანია ურმით ამ გზაზე დავდივართ და ეს დაწყველილი ღოღი ყოველთვის გვიშლიდა, ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვიფიქრეთ მისი გადაგორება. დაილოცოს ზარმაცი“. ბოლოს კი, მის საპატივცემულოდ, ერთ-ერთ ქუჩას ზარმაცი კაცის სახელი დაარქვეს.

მშრომელმა კაცმა, რომ გაიგო ზარმაცს ასეთი პატივი ერგო, გული დაწყდა: „რა არის, მე, მთელი დღე ვმშრომობ და ხალხი ჩემს გარჯას არ აფასებს, ხოლო ზარმაცმა ერთი ღოღი გადააგორა და მისი სახელი ქუჩას დაარქვეს“. და, სევდას მიეცა. ამ დრ-



ოს მგზავრმა ჩამოიარა და როცა დასევდიანებული მშრომელი კაცი ნახა ჰკითხა:

– რამ დაგასევდიანა?

მშრომელმა კაცმა ყველაფერი უამბო. მგზავრს გაეცინა და უთხრა:

– მართალია შენ მუყაითი კაცი ხარ, მაგრამ შენი შრომა ფუჭია, რამეთუ არ იცი რას აკეთებ და რისთვის აკეთებ, წადი ახლა ამოლესე ორმო თიხით და შემდეგ ჩაასხი წყალი. – ეს უთხრა და გაქრა.

მშრომელმა კაცმა დაუჯერა მგზავრს და როცა შედეგი იხილა გაიხარა. ამ დღიდან მოყოლებული მშრომელი კაცი, როცა რამე საქმეს ხელს მოკიდებდა, ჯერ დაფიქრდებოდა და მერე დაიწყებდა საქმიანობას, ამ თვისების გამო, ხალხმა, მას ბრძენი შეარქვა.

– ვა, რა მაგარი იგავია, – აღტაცება ვერ დაფარა ღამემ.

– გინდა კიდევ მოგიყვე? – ისევ შესთავაზა მთვარემ.

– მინდა, მინდა, – სხაპასხუპით უპასუხა ღამემ და ჰკითხა: – რაზე იქნება?

– ორ ბრძენზე, – უპასუხა მთვარემ და გუნებაში გაიფიქრა: „მართლა აინტერესებს თუ მაშაყირებს?“ და როცა შეატყო ღამეს მართლა აინტერესებდა, მეორე იგავის მოყოლა დაიწყო:

– ერთ სოფელში ორი ბრძენი ცხოვრობდა, მათ ერთად ყოფნა უყვარდათ და ერთმანეთთან საუბარი. ამ ორ ბრძენს, ყველაფერზე ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ. ერთხელაც როცა წყაროსთან, ქვის სკამზე იყვნენ ჩამომსხდარნი და საუბრით იქცევდნენ თავს, ბავშვმა ჩამოიარა და ჰკითხა მათ:

– ცალ-ცალკე, რომ იცხოვროთ, თქვენს შორის რომელი უფრო დიდხანს აიტანს მეორეს არ ყოფნას?

ორივე ბრძენი დადუმდა.

მაშინ ბავშვმა სხვა კითხვა დაუსვა?

– წვიმის დროს შესაძლებელია თუ არა მეორე წვეთმა პირველს გაასწროს?

– არა, – ერთდროულად წამოიყვირა ორივე ბრძენმა.

ბავშვს გაეცინა და კიდევ ერთი კითხვა დაუსვა:



– რომელი კაცი უფრო გონიერია, რომელიც სიკეთისთვის ტყუის თუ, ის ვინც ტყუის სიკეთისთვის?

– განა ეს ერთი და იგივე არ არის? – და სიცილი აუვარდა ორივე ბრძენს.

– არა ჩემო ბატონებო, არ გეთანხმებით ვინაიდან ტყუილი თავისთავად ცუდია და არა აქვს მნიშვნელობა სიკეთეს წინ უსწრებს თუ უკან მოსდევს, ისევე როგორც წვიმის წვეთების შემთხვევაში, ისინი მაინც ყველა დედამიწაზე დაეცემა, ხოლო რაც შეეხება თქვენს ერთად ყოფნას, გეტყვით, რომ ერთმანეთის გარეშე იმიტომ ვერ ძლებთ, გეშინიათ საკუთარი თავის უცოდინარობასთან მარტო დარჩენა. – და, ბეშემა გამოცანით დაასრულა მათთან საუბარი:

ვიდაცასათვის - ცოდნა ცოდნაა,  
მცოდნესათვის, ცოდნა ცოდვაა,  
თქვენთვის - არცოდნა, არ ცოდვაა,  
ჩემთვის - ცოდვის ცოდნაა ცოდნა!  
ზოგიერთი ამბობს, ცოდნა სამყაროს წვდომაა,  
სხვა ამბობს - ცოდნა, ეს კოსმიური ბოდვაა.  
თავგზა ამებნა, აზრი გამებნა,  
გამაგებინეთ: თუ წვდომის წდომა ბოდვაა  
მაშასადამე გამოდის: - ცოდნის ცოდნა არ ცოდვაა  
თუ კი, იცი რა ცოდვაა ცოდნა.  
და, მაინც, თქვენი აზრით - ცოდნა წვდომაა?  
თუ, კოსმიური ბოდვაა?

ამ დღის შემდეგ ორივე ბრძენი ცალცალკე ცხოვრობდა და მხოლოდ ეკლესიაში, წირვის დროს, ხვდებოდნენ ერთმანეთს.

– ასე მთავრდება ეს იგავი, – და მთვარემ ღამეს, და იქვე მყოფ თავის მეგობრებს გახედა.

– ჰმ, შენ გინდა თქვა, რომ ცოდნა პირობითია? – ჰკითხა ღამემ მთვარეს.

– ამას მე კი არ ვამბობ, იგავი ამბოს, – უპასუხა მთვარემ.

– მაშინ ცოდნა რაა? – არ მოეშვა ღამე.



– სულის მართვა, რამეთუ ის ქმნის ყველაფერს, – მშვიდად უპასუხა მთვარემ.

– მეც ვიცი იგავები, – ყველასათვის მოულოდნელად ალაპარაკდა ღრუბელი.

– ოჰ, რახან შენ ხმა ამოიღე, რაღა დაგებაერებს. მიდი ჰა, მოყევი, – წააქეზა იქვე მყოფმა ქარმა და დანარჩენებს თვალი ჩაუკრა.

ღრუბელმა ქარის ოხუნჯობას ყურადღება არ მიაქცია და იგავის მოყოლა დაიწყო:

– სოფელში, ასწლოვანი ხის დიდ ფულუროში, ერთი ძალიან ღარიბი კაცი ცხოვრობდა, მას არაფერი არ გააჩნდა, თავს ხან მათხოვრობით და ხან კი მოჯამაგირეობით ირჩენდა, ზოგჯერ ბოთლებსაც აგროვებდა, ქარხანაში აბარებდა და აღებული ფულით საჭმელს ან ტანსაცმელს ყიდულობდა.

ერთხელ სოფელში მდიდარმა ბანკირმა ჩამოიარა შეეცოდა ღარიბი და ბევრი ფული აჩუქა. გაიხარა ღარიბმა, შეიძინა სახლი, ძვირად ღირებული მანქანა, დაოჯახდა, ქალმა ვაჟიც აჩუქა და ასე სიამტკბილობაში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

გავიდა ჟამი და მდიდარი ბანკირი უეცრად გაღარიბდა, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა, მაშინ გაახსენდა ის ღარიბი რომელსაც ოდესღაც ხელი გაუმართა, იპოვნა და თხოვნით კარზე მიაღგა, მაგრამ უკვე გამდიდრებულმა ღარიბმა იუკადრისა ძონძებში გახვეული ბანკირი, ზემოდან დახედა და მედიდური ხმით მიმართა:

– რატომ მოხვედი სათხოვნელად?... წადი იცხოვრე როგორც მე ცხოვრობდი და იქნებ შენც გამდიდრდეო.

არ ელოდა ასეთ პასუხს გაღარიბებული ბანკირი, მაგრამ რა ექნა, წავიდა და დასახლდა სწორედ იმ ხის ფულუროში სადაც ადრე ღარიბი ცხოვრობდა. ერთხელ ბანკირს ძალიან მოშივდა, სოფელში გავიდა სამათხოვროდ - ვერაფერი იშოვა, მაშინ ხიდან ძირს ჩამოვარდნილი ოთხი ცალი ვაშლი აკრიფა, სამი ჯიბეში ჩაიდო ერთი კი, ქვაზე დადო: „იქნება-და ჩემზე უფრო ღარიბმა ჩამოიაროს ნახავს და გაიხარებს“. ასე რომ მოიქცა, ესიამოვნა, ამაღლებული გრძნობა დაეუფლა და მიხვდა, რომ აქამდე სიღარიბეში უცხოვრია, და მხოლოდ ახლა გამდიდრებულა.

– ამას უყურე, წელიწადში ერთხელ ამოიღებს ხმას და რა სიბრძნეს აფრქვევს, – ირონიით აღნიშნა მთვარემ და მერე დაამატა: – არ გეწყინოს... რა ვქნა ადამიანების სენი შემეყარა... მართლაც კარგი იგავი იყო.

– მეც ვიტყვი იგავს, – ახლა ქარმაც გამოთქვა სურვილი.

– მიდი აბა, – ერთხმად წააქეზეს მეგობრებმა ქარი, ქარმაც არ დააყოვნა:

– კაკასიის სამხრეთ ფერდობზე, ერთი პატარა სოფელი იყო გაშენებული, სადაც ბრძენი კაცი ცხოვრობდა, ეს კაცი არა მარტო თავისი სიბრძნით გამოირჩეოდა, არამედ სიკეთითაც, ამიტომაც ის სოფელში ყველას უყვარდა და სოფლის ბრძენთა სკოლის მთავარ ბრძენად დანიშნეს.

ამავე სოფელში, ასევე, ყველასაგან თავმდაბლობით გამორჩეული გლეხი კაცი ცხოვრობდა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, სამაგიეროდ მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების ენა ესმოდა, რის გამოც თანასოფლელებმა, ხუმრობით, მას წერამწერალი შეარქვეს.

წერამწერალი თავისთვის ცხოვრობდა და არავის არ აწუხებდა, გაზაფხულზე დათესავდა ხორბალს, შემოდგომაზე აიღებდა, თვითონაც ირჩენდა თავს და სოფლის გაჭირვებულებსაც ეხმარებოდა.

ერთხელ სოფელში ბერის სამოსში გადაცმულმა ღმერთმა ჩამოიარა, მართალია სოფლის მაცხოვრებლებმა მასში ღმერთი ვერ ამოიცნეს, მაგრამ გუმანით მიხვდნენ, რომ ეს ბერი უფრო მეტი იყო რასაც თვითონ ხედავდნენ და ამიტომაც იმ დღის სოფლის შეკრებაზე მიიწვიეს, სადაც მათი ბრძენი სიტყვით უნდა გამოსულიყო.

ბერმა ყურადღებით მოუსმინა ბრძენს, და იქ მყოფთ მიმართა:

– ხალხო აი ვუსმენდი თქვენს ბრძენს, მაგრამ მაინც ვერ გავიგე ცოდნა რა არის?

– როგორ ცოდნა რა არის ვერ გაიგე, – გაიკვირვა ბრძენმა და ხელმეორედ დაიწყო ახსნა: – ცოდნა არის ის უნარ-ჩვევა რაც ჩვენ გვეხმარება საკვების მოპოვებაში ანუ, თუ როდის უნდა დავთვსოთ, როგორ მოუუაროთ და როდის ავიღოთ მოსავალი.



– მაიცა, მაიცა, ესე იგი შენ ამბობ, რომ ადამიანი, რომ არ იყოს, არც ხორბალი, არც ყურძენი და სხვა მცენარეულობა არ აღმოცენდებოდა? – განცვიფრებულმა იკითხა ბერმა.

– რა თქმა უნდა, – დამაჯერებლად დაუდასტურა ბრძენმა.

– ყველა ასე ფიქრობთ? – განრისხებულმა იკითხა ბერმა.

– არა ჩვენო მფარველო, ყოველივე შენი შექმნილია, – და წერამწერალი ფეხებში ჩაუვარდა ღმერთს, – არ განრისხდე და შეგვინდე ჩვენი ცოდვები.

– ჰო, თქვენ მართლაც გყოლიათ ბრძენი, – თქვა ღმერთმა და გლეხს ბრძენისთვის გამზადებული დაფნის გვირგვინი დაადგა თავზე.

– ამით რისი თქმა გინდა? – ჰკითხა მთვარემ ქარს.

– არაფრის ჩემო კარგო, უბრალოდ შენი მეორე იგავი გაგამართლე, – და ქარმა, როგორც ყოველთვის ჩვეოდა, ეშმაკურად ჩაიხიოთხითა.

– შენ ჩემო კარგო, ჩვენი ღრუბლის არ იყოს, დიდი ბრძენი ყოფილხარ, – ირონიულად მიმართა ღამემ ქარს და მთვარეს მინიშნებით გახედა: „აი შენს მაგივრად გადავუხადე სამაგიერო“.

ღამის ირონიაზე ღრუბელი გასივდა, გასივდა და გასკდა. წვიმა თქემად დაასკდა მიწას.

– რას სკდებოდი შე კაცო, ვინ არ გაუშაყირებიათ... ძლივს აშრა აქაურობა და... – უსაყვედურა მთვარემ უკვე წვიმად ქცეულ ღრუბელს და სოკრატეს მოწაფეს გახედა, რომელიც დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა, წვიმისგან თავშესაფარს ეძებდა, ბოლოს დიდი მუხის ხე დაინახა და მის ფულუროში შეძვრა, იმ ფულუროში, რომელშიც ადრე მდიდარი გაღარიბებული კაცი, და მერე, ღარიბი გამდიდრებული ბანკირი ცხოვრობდა.

– რა ვქნათ? – ჰკითხა ღამემ მთვარეს.

– ქალაქში წავიდეთ, გავისეირნოთ. იცი რა კარგია წვიმიან ამინდში ქალაქში სეირნობა, – შესთავაზა მთვარემ.

– არა, მე სოფელი უფრო მიყვარს. მითუმეტეს იმის შემდეგ რაც დავითის ოჯახს თავს დააწიეს... ჰო, გინდა სოფლის მონატრებაზე ახალი ლოთის ლექსი წაგიკითხო? – ჰკითხა ღამემ.



– ოღონდ გამოთქმით თქვი, – და მთვარემ ძლივს შეიკავა სიც-  
ილი. – მოიცა, მოიცა, რომელი ახალი ლოთის? – დაფიქრდა  
მთვარე: – აი მაშინ, იბერიელების დარბევის კვირას შუა ქუჩაში,  
რომ იდგა და ყველას ეშმაკის ნაშიერებს, რომ უძახდა?

– ჰო მისია, – დაეთანხმა ღამე და ლექსის კითხვა დაიწყო:

საბანში დილის სუსხი შემოძვრა,  
ცხვირში ვიგრძენი მისი სურნელი,  
ო, რა კარგია დილა სოფელში  
როცა გაღვიძებს მამლის ყივილი.  
შორიდან ისმის ცხენის ჭიხვინი,  
ძაღლის ყეფა და ძროხის ბღავილი,  
მესმის ბუზღუნის ბაბუაჩემის  
და დედაჩემის ტკბილი ჩურჩული.  
ო, რაკარგია დილა სოფელში  
როცა გაღვიძებს ტკბილი ჰანგები!  
ჭიშკრის ჭრიალი, ურმის ჭრაჭუნნი  
და მეზობლების გადაძახილი.

– გეთანხმები კარგია სოფელი, მაგრამ... ჯობია ქალაქში წავი-  
დეთ, – უკვე მუდარის ხმით მიმართა მთვარემ ღამეს.

– კარგი წავიდეთ, – დაეთანხმა ღამე, და ორივე ქალაქისკენ  
გაეშურა.

წვიმას ქალაქის გახურებული ქუჩები გაეგრილებინა, ხოლო  
ნიაღვრად წამოსულ წყალს ნაგავი აეტაცა და საკანალიზაციო  
საწრეტი არხისკენ მიაქანებდა. ამ ნაგავში, თვალთ ადვილად გა-  
მოარჩევდით გაზეთში დაბეჭდილ პოლიტიკოსების, რექტორი-ფაქ-  
ტორების, ექიმი-მღვდლებების და, სხვათა და სხვათა უგვანო სახ-  
ეებს, რომლებიც შიშით აცეცებდნენ თვალებს და ყვიროდნენ:

- ვაი, სად მიგვაქანებს ეს ნიაღვარი?
  - რა ჩვენი ბრალია, სისტემაა დამპალი... გვიშველეთ!
  - ყველა მამაძაღლობს, მე რა თეთრი ყვავი ვარ?
  - ხომ მოვინანიე ჩემი ცოდვები. მიშველეთ!
- მათ წუხილზე ღამეს გაეცინა და მიაძახა:





– მიგაქანებენ იქ სადაც თქვენი ადგილია.

წყალმა ერთ-ერთი გაზეთის ფურცელი ამოატრიალა და ცნობილი პროფესორის სახე გამოჩნდა. ისიც გამწარებული ყვიროდა:

– ცურვა არ ვიცი მიშველეთ!

ახლა მთვარემ მიაძახა:

– ტყუილები ხომ კარგად გეხერხება და ბავშვების გაცუცურა-კება. მიდი, მიდი, ნახე შენი ადგილი, მოგეწონება იქაურობა, იქ ყველა ერთად იქნებით. აგერ, უკან, შენი მეგობარი იურისტიც მოგყვება.

– იმას შეხედე, იმას, – და ღამემ, მთვარე, მაწანწალა ძაღლისკენ მიახედა, რომელმაც ნაპირზე გამორიყულ ისტორიკოსის სურათს მიაშარდა. – კარგი ვქენი, რომ დაგიჯერე და გამოგყევი ქალაქში, აბა ასეთ სეირს სად ვნახავდი... მოდი გინდა, დავითის სახლში შევიხედოთ.

– კარგი, – დაეთანხმა მთვარე.

ორივე დავითის სახლისკენ გაემართა და როცა ოთახიდან გამოსული შუქი შენიშნეს გაოცდნენ. მერე, ფრთხილად მიუახლოვდნენ ფანჯარას, შიგნით შეიჭვრიტეს, საწოლზე ჩვილი დაინახეს, რომლის გვერდით ახალგაზრდა მშობლები ჩამომსხდარიყვნენ.

– დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, – ჩუმად ჩაილაპარაკეს თავისთვის და ფანჯრის მინას მიეკრნენ.



წარსულიდან მომავალში მიმავალი დილა

დილა, მთვარეს საქანელაში ჩამჯდარიყო, და სევდიანად უღიმოდა მეგობრებს:

– რაო, მორჩით იგავების კითხვას და სხვის ფანჯრებში ძრომიალს?

– ოჰ, შენ რა ჩემს საქანელაში მოკალათებულხარ, – ხუმრობით უსაყვედურა მთვარემ დილას.

– ვინც მოვიდა გაუმარჯოს, – მხიარულად მიესალმა ღამეც.



– გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ. რაო... ჰოო... გინდათ მომავალი დღის ამბავი მოგიყვებთ? – ჰკითხა დილამ მეგობრებს.

– ვიცით, მაგრამ მაინც მოგისმენთ. – სიხარულით დაეთანხმნენ მეგობრები.

– კარგი, მაშინ მისმინეთ, – და დილამ მოყოლა დაიწყო:

ხვალ, როცა ეკლესიის ზარი სამჯერ ჩამოკრავს, ჩემო კეთილო მეგობრებო სემინარიის ყოფილი მოწაფეები თავს მოიყრიან სემინარიის ბაღში და ბებერი მუხის ხის ძირში, პატრიარქის მიერ, დარიგებულ შინდისფერყდიან წიგნებს დააწყობენ, ....? ....? ....? ....? ....? 7, ... : ! ...! !... !... 2, ..., 3, !!!.....

– დაასრულე თხრობა? – ჰკითხა ღამემ.

– ჰო, დავასრულე. – მოკლედ უპასუხა დილამ.

– ეე, გახედეთ! ნახეთ, ვიღაცა ქუჩას ხვეტავს! – აღრფთოვანებით აღნიშნა მთვარემ და დილას შეხედა.

– მართლაც! – გაიკვირვა დილამ და მენაგვეს გახედა, თან გულში გაიფიქრა: „რა ყველაფერი ახლიდან დაიწყო?.. კი მაგრამ?.. ამირანმა ხომ დაამარცხა ბოროტება?!“... დაამარცხა!

ახალი მენაგვე კი, ცოცხს ცელივით აქეთ-იქით იქნევდა, ნაგავს ხან აქეთ, ხან იქით და მერე, მეორე განზომილებიდან მესამეში ყრიდა, თან ლექს ამბობდა:

ვერცხლზე გაგცვალებს, გაგყიდეს  
ოქროც არ გაიმეტესო,  
ეს არ გაკმარეს გათრიეს  
ლაფში გაგსვარეს იესო.

ეკლის გვირგვინი დაგადგეს  
მეფედ კურთხეულს, ღმერთკაცო,  
წყალი გწყუროდა არ გასვეს  
გველები დაგასიესო.

ხელში ლურსმები ჩაგარჭეს  
პირჯვარი არ გადაიწეროსო,  
სიკეთეს პირი უბრუნეს  
თვალთ ცრემლი დაგადინესო.

ჯვარზე გაგაკვრეს, გაწამეს



ლოცვა არ შეისმინესო,  
შუბი გაძგერეს, გაგწირეს  
საჩინო დაგიბნელესო.  
წილი ყარეს, და დაჯიჯგნეს  
პერანგი დაგიხიესო,  
დაგცინეს, გლანძღეს, გაფურთხეს  
გული გატკინეს იესო.  
მეფობა სხვას დააბრალეს  
შენ გლახად მიგიჩნიესო,  
ეს რა დაგმართეს?  
რა გიყვეს?  
სულზე უტკბესო იესო!  
ვერცხლზე გაგცვალეს, გაგყიდეს  
ოქროც არ გაიმეტესო,  
ეს არ გაკმარეს გაწამეს  
ჯვარზე გაგაკრეს იესო.


დილას ეამა მენაგვეს გამოჩენა, მხრებში გასწორდა, ამაყად  
გახედა ქალაქს და თავის საქმიანობას შეუდგა...

და იყო დილა - დღე მეშვიდე, სამყაროს განწმენდის დღე, .....  
ამინ!





ვაჟა კაკაბაძე  
Vazha (Vaja) Kakabadze

 ზღაპრის ფილოსოფია  
(ზღაპარი სულელი დიდებისათვის და ჭკვიანი პატარებისათვის)

**Philosophy of a Fairy-Tale**  
(A Tale for Stupid Adults and Clever Children)

**Filozofia baśni**  
(Opowieść dla Głupych dorosłych i mądre dzieci)

მხატრული გაფორმება და ლექსების ავტორი: ვაჟა კაკაბაძე

ქაღალდის ზომა 60x80, 1/16; პირობითი ნაბეჭდი ქაღალდი 30;  
ტირაჟი 500. სტამბაში შესულია 2014 წ.

ფასი სახელშეკრულებო

თბილისი,  
2014 წელი